მრისხანების მტევნები

ჯონ სტაინბეკი

ალფაბეტი
წიგნების
თაროს

ჯონ სტაინბეკი

მრისხანების მტევნები

ინგლისურიდან თარგმნა
ლალი ყუშიტაშვილმა

1.

ოკლაჰომაში დიდი ხნის ნანატრმა წვიმამ წითელ მინდვრებს გადაუარა და ოდნავ დანამა. მერე რუხი მინდვრების ერთ ნაწილსაც მისწვდა, მაგრამ დაშაშრულ მიწაში ღრმად ვეღარ ჩააღწია. გუთნები ცვრიან კვლებში გადი-გამოდიოდნენ. მალე სიმინდი წამოიზარდა: გზების გასწვრივ მიწას ბალახი და შამბნარი მოედო. წითელი და რუხი მინდვრები ხასხასა სიმწვანის ქვეშ მოექცა. მაისის ბოლოს ცა გაფერმკრთალდა და მძიმე ღრუბელი, მთელი გაზაფხულის ხანს იქაურობას თავს რომ დასცქეროდა. გაიფანტა. თაკარა მზე წამოზრდილ სიმინდს თვალს არ აშორებდა: თანდათან ყოველ ახალამოწვერილ მწვანე ფოთოლს კიდეები გაუხუნდა. მოქუფრული ღრუბლები ჯერ ისევ იმუქრებოდნენ, მაგრამ მალე მობეზრდათ, გადაიკრიფნენ და აღარც გამოჩენილან. შამბნარმა, თავი რომ დაეცვა, მუქი ფერი მოირგო და გამრავლება შეწყვიტა. მიწის ზედაპირმა თხელი ქერქი მოიგდო. ცის შემხედვარემ მანაც ფერი იცვალა და წითელი მინდვრები ღია ვარდისფრად, ხოლო რუხი კი, თეთრად შეფერადდა.

მტვრადქცეული მიწა ხევებში წვრილ ნაკადებად ჩაედინებოდა. თრიებისა და ლომჭიანჭველების გამალებული ფუსფუსის გამო მიწა იფშვნებოდა და ხევში პატარ-პატარა მეწყრებად ცვიოდა. მწველი მზე დღითიდღე ცხარდებოდა. ნორჩი ყანა ისე ვეღარ ყელყელაობდა, მოიწყინა. მერე როცა უღონობა მთავარ ძარღვში სწვდა, თავი ჩაქინდრა და ფოთლები მიწაზე დაუშვა. ივნისში მზე კიდევ უფრო გავარვარდა. ფოთლებს ყა-

ვისფერი შუა ძარღვებამდე მოედო. ძალაგამოცლილი შამბნარი საკუთარ ფესვებთან გაწვა. ჰაერი გამჭვირვალე იყო, ცა — გაცრეცილი; მიწა დღითიდღე ფერმკრთალდებოდა.

გზებზე, სადაც მუშათა ბრიგადები გადაადგილდებოდნენ, ბორბლების ტრიალი და ჩლიქების ცემა გამხმარ ტალახს ფშვნიდა და იქაურობას მტვრის კორიანტელში ჰხვევდა. ნებისმიერი მოძრაობა ჰაერში მტვრის ავარდნას იწვევდა: კაცი გაივლიდა და მტვერი წელამდე სწვდებოდა, ურემი ჩაივლიდა და ბუღი ღობეებს ეფინებოდა, ხოლო მანქანა კი, მტვრის დიდ ღრუბელს ტოვებდა. მერე კარგა ხანს, სანამ ისევ მიწას მოეფინებოდა, მტვერი ჰაერში ტრიალებდა.

ივნისის მიწურულს ტეხასიდან და მექსიკის ყურედან ღრუბლები დაიძრა. მძიმე, საავდრო ღრუბლები. ყანის მუშები ცას თვალს არ აშორებდნენ. ჰაერს ღრმად ისუნთქავდნენ, თითებს ისველებდნენ და ცდილობდნენ. ქარის მიმართულება გამოეცნოთ, აფორიაქებული ცხენები გამუდმებით ბოლთას სცემდნენ. ბოლოს ერთბაშად წამოუშინა. უცბად გადაიღო და ღრუბლები სწრაფად გაეცალნენ იქაურობას. ცა ისევ გადაიწმინდა, მზე ისევ გავარვარდა. მიწაზე წვიმის წყლით სავსე პატარა გუბურები გაჩნდა და სიმინდის ფოთლები სუფთა წვეთებმა დანამა; სულ ეს იყო.

მერე სუსტმა ქარმა ღრუბლები ჩრდილოეთისკენ გარეკა და შელახული ყანა ოდნავ შეარხია. დღე მიილია. ქარი გაძლიერდა, თანაბრად, ერთბაშად მოვარდნის გარეშე ქროდა. მტვერმა ჰაერში აიწია. გზების გასწვრივ შამბნარს მოედო და ყანებისკენ გადაინაცვლა. ახლა ქარი კიდევ უფრო ღონივრად უბერავდა და გამომხმარი მიწის დაფშვნას ცდილობდა. ნელ-ნელა ჰაერს მტვერი შეერია, ცა გამუქდა, ქარი დაბლა დაძრწოდა, მტვერს იტაცებდა და მაღლა მიაქანებდა, ყოველ

წუთს უფრო და უფრო ძლიერდებოდა. მიწის ქერქი დასკდა. ყანებიდან მტვრის მძიმე შავი ღრუბელი ზანტად მიიწევდა ზევით. სიმინდის ყანა მოვარდნილ ქარს მშრალი სისინით პასუხობდა. ახლა მტვრის ნატამალიც ვეღარ ჩერდებოდა მიწაზე და ერთიანად მოქუფრული ცისკენ მიემართებოდა.

ქარი კიდევ უფრო გათამამდა. გოროხების ქვეშ ძვრებოდა, თვალის დახამხამებაში ხვეტდა ჩალას, გამხმარ ფოთლებს, მიწის პატარა კოშტებსაც კი და ყანების თავზე აფრიალებდა. შავი ციდან მზე წითლად იჭვრიტებოდა, დახაშმული ჰაერი ისუსხებოდა. დაღამდა გამძვინვარებული ქარი გახელებით უვარდებოდა ფესვებში სიმინდს და ძირფესვიანად გლეჯდა. ფოთლებდაშაშრული სიმინდი, სანამ ფესვები ზევით ამოეყრებოდა. გაბოროტებულ ქარს უძალიანდებოდა. ბოლოს დაქანცული გვერდულად დაწვა: ისღა შეეძლო, რომ შრიალით ქარის მიმართულება მიენიშნებინა.

ირიჟრაჟა, მაგრამ გათენებას საშველი არ დაადგა. შავ ცაზე წითელი მზე გამოკრთა, მქრქალი წითელი წრე, მწუხრის მზესავით ნაღვლიანი. საღამოს ბინდი ღამის სიბნელეს შეერია; დაცემულ ყანას ქარი ზუზუნით დასტიროდა.

ხალხი სახლებში შეყუჟულიყო. უსაფრთხოების მიზნით, გარეთ გამოსვლისას, ცხვირსახოცებს იფარებდნენ და სათვალეს იკეთებდნენ.

კუნაპეტი ღამე ჩამოწვა. ვარსკვლავების სხივი მტვერს თავს ვერ აღწევდა; მიწაზე წყვდიადი სუფევდა. ფანჯრებიდან გამოსული მკრთალი შუქი ეზოებს ძლივს ანათებდა. ახლა გარშემო მტვერი იმდენივე იყო, რამდენიც ჰაერი, გეგონებოდათ, რომ ჰაერი და მტვერი ერთმანეთს შეერწყა და ერთგვაროვან მასად, ემულსიად, იქცა. შინ გამოკეტილებს ფანჯრები და კარები საგულდაგულოდ დაეგმანათ, მაგრამ მტვერი შე-

უმჩნევლად აღწევდა სახლებში და სკამებს, მაგიდებსა და ჭურჭელს თხელ ფენად ედებოდა. ადამიანები წამდაუწუმ ბეჭებს იფერთხავდნენ. ყველა კარის ზღურბლზე მტვერი ეფინა.

შუაღამისას ქარი ჩადგა და სიმშვიდემ დაისადგურა. მტვრით გაჯერებული ჰაერი ხმას კიდევ უფრო მეტად ახშობდა, ვიდრე ნისლი. ქარი რომ ჩაყუჩდა, ხალხს ჯერ კიდევ ეძინა. დილით მისი ყმუილი უკვე აღარ ისმოდა. ადამიანები გატრუნულები იწვნენ და სიჩუმეს უსმენდნენ. მალე მამლებმა იყივლეს, მაგრამ მათი ხმა მტვრიანმა ჰაერმა ჩაახშო. ხალხი ლოგინებში აწრიალდა. გათენებას აგვიანდებოდა. იცოდნენ, რომ მტვერი კარგა ხანს იტრიალებდა ჰაერში; დილით ბუღი ნისლივით ჩამოწვა. მზე ახალი სისხლივით წითელი იყო. მთელი დღის განმავლობაში და მომდევნო დღესაც ციდან მტვერი ცვიოდა. მიწა მტვრის საფარში გაეხვა. ყანები, ღობეების ბოძები, სადენები, სახურავები, ბალახი, ხეები მტვერში იყო ამოგანგლული.

უფრო გაბედულები სახლებიდან გამოვიდნენ, ცხვირებზე ხელაფარებულებმა დახაშმული ჰაერი შეისუნთქეს. ბავშვებიც გამოიშალნენ, სხვა დროს სირბილითა და ყიჟინით რომ მოედებოდნენ ხოლმე იქაურობას, ახლა მათ ხმას ვერ გაიგონებდით. თავ-თავიანთი ღობეებიდან კაცები დაცემულ ყანებს გადაჰყურებდნენ. მტვრის ფენის მიღმა სიმწვანე მხოლოდ აქა-იქ მოჩანდა. კაცები უხმოდ, გახევებულნი იდგნენ. მალე ქალებიც გარეთ გამოვიდნენ და ქმრებს გვერდში ამოუდგნენ — რას იზამენ მათი კაცები, გაუძლებენ? ქმრებს შეფარვით აკვირდებოდნენ: მართალია, ყანა წახდა, მაგრამ ყველაფერი არ დამთავრებულა. ბავშვები იქვე იდგნენ და შიშველი ფეხის თითებით მტვერში ხატავდნენ. ბავშვური ალღოთი ცდილობდნენ, გაერკვიათ, როდის იფეთქებდნენ მშობლები. ცხენები

სარწყულებლებთან მივიდნენ, დრუნჩებით წყალს ზედაპირიდან მტვერი მოხადეს. ცოტა ხანში კაცების სახეებიდან დაბნეულობა გაქრა და ახლა შეუპოვრობასა და რისხვას აკვესებდა. ქალები მიხვდნენ, რომ ამჯერად გადარჩნენ, მათი ოჯახების უფროსები ყველაფერს გაუმკლავდებოდნენ მერე ქმრებს კითხვაც შეჰბედეს — როგორ მოვიქცეთ? — არ ვიცი, — იყო პასუხი. მართალია, გადაჭრილი პასუხი ვერ მიიღეს, მაგრამ დარწმუნდნენ, რომ არც ისე უნუგეშოდ იყო საქმე, ყველაფერს ეშველებოდა. ბავშვებიც, ასე რომ აკვირდებოდნენ მშობლებს, მიხვდნენ, არაფრის უნდა შეშინებოდათ. ბავშვებმა და ქალებმა ზუსტად იცოდნენ, რომ ისეთი უბედურება, რომელსაც ვერ აიტანდნენ, არ არსებობდა, თუ მათი ოჯახების უფროსები არ გატყდებოდნენ. ქალები შინ შევიდნენ და საქმეებს დაუბრუნდნენ, ბავშვებმა, მართალია, გაუბედავად, მაგრამ თამაში დაიწყეს. დღემ წინ წაიწია, სიწითლედაკარგული მზე მტვერში გახვეულ მიწას დაუნდობლად დააცქერდა. კაცები თავიანთი სახლების წინკარში ჩამომსხდარიყვნენ. ზოგს ჯოხი ეჭირა ხელში და ზოგსაც ქვა. მშვიდად ისხდნენ — ფიქრობდნენ. ანგარიშობდნენ, წონიდნენ.

2.

პატარა გზისპირა რესტორნის წინ დიდი წითელი სატვირთო მანქანა იდგა. ვერტიკალური გამოსაბოლქვი მილი ყრუდ ფრუტუნებდა, მის თავზე თითქმის უხილავი მონაცრისფრო ლურჯი კვამლი ტრიალებდა. ახალი სატვირთო წითლად ლაპლაპებდა, ორივე მხარეს უზარმაზარი ასოებით ეწერა — ქალაქ ოკლაჰომას სატრანსპორტო კომპანია. მანქანას ორმაგი უკანა საბურავები ჰქონდა, ფართო შავი კარების ურდულებიდან თითბრის საკეტები ამოვარდნილიყო. რესტორნის რადიო საცეკვაო მუსიკას ხმადაბლა უკრავდა, ყურს არავინ უგდებდა. შესასვლელის თავზე ამოჭრილ სივრცეში ჩასმული პატარა ვენტილიატორი უხმოდ ტრიალებდა. ბუზები ბზუილით აწყდებოდნენ კარებსა და ფანჯრებს. სატვირთოს მძღოლი უზურგო სკამზე ჩამომჯდარიყო, მკლავებით დახლს დაყრდნობილი ყავას წრუპავდა და გამხდარ, მოწყენილ მიმტან ქალს უყურებდა. ერთმანეთს უგულოდ, სხვათაშორის ესაუბრებოდნენ; ასე ხშირად საუბრობენ ხოლმე გზისპირა რესტორნებში.

კაცი:

— დაახლოებით სამი თვის წინ ვნახე. ოპერაცია გაუკეთებია: რაღაც ამოუჭრიათ, ზუსტად არ მახსოვს.

ქალი:

— მეც ვნახე: ერთი კვირაც არ იქნება გასული, მშვენივრად გამოიყურებოდა. კაი ტიპია. თუ გალეშილი არაა.

დროდადრო ბუზები ბზუილით აწყდებოდნენ კარზე აკრულ ბადეს. ყავის მადუღარა ათუხთუხდა. მიმტან ქალს უკან არც გაუხედავს. ხელი გადასწია და გამორთო.

მოსახვევში კაცი გამოჩნდა. სატვირთო რომ დაინახა, გზა გადაკვეთა და მანქანას მიუახლოვდა. წინ გაუარ-გამოუარა, პრიალა ფრთაზე ხელი გადაუსვა და საქარე მინაზე აწებებული წარწერა წაიკითხა — არასამგზავრო. წასვლა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და რესტორნიდან მოშორებით, სატვირთოს საფეხურზე ჩამოჯდა. ოცდაათზე მეტის არ იქნებოდა. მუქი ყავისფერი თვალები, ოდნავ ჩაყვითლებული სკლერები, მაღალი, ფართო ყვრიმალები და დაღარული სახე ჰქონდა. პირის კუთხეები ღრმა ნაოჭებს დაეღარა, პირმოკუმულს ზედა ტუჩი წინ წამოწეულ კბილებზე გადმოედო. ხელები გაუხეშებოდა. მსხვილ თითებზე ფრჩხილები ზღვის ნიჟარის ზედაპირივით დასერვოდა. ხელის გულებზე, ცერა და საჩვენებელ თითებს შორის კოჟრები მოსდებოდა.

ახალი ტანსაცმელი ეცვა — ყველაფერი ახალი და იაფფასიანი. კეპის წინაფრას მოდრეკვა ვერ მოესწრო, ჯერ ღილიც ზედ ეკერა, ისეთი კი არ იყო, ვიღაც-ვიღაცებს რომ ახურავთ — ჩამოჩაჩული და მოფლაშული, ხან ტომრად რომ იყენებენ, ხან პირსახოცად და ხან ცხვირსახოცად. უბრალო უხეში ქსოვილისგან შეკერილ ახალთახალ შარვალს ნაკეცები ისევ ეტყობოდა. თხელი ბამბის ქსოვილის ლურჯი გატკიცინებული პერანგი ეცვა. დიდი ზომის პიჯაკი ტანზე თავისუფლად ედგა. მაღალი კაცი იყო. პიჯაკის მხრები მკლავებზე გადმოჩაჩვოდა, მაგრამ სახელოები მაჯებამდე მაინც ვერ სწვდებოდა. შარვალიც მოკლე ჰქონდა. სამხედრო სტილის ჩალისფერი ფეხსაცმელი ეცვა, რომლისთვისაც, სწრაფად რომ არ გაცვეთილიყო, ლანჩებზე სქელთავიანი ლურსმანი, ქუსლებზე კი

რკინის ნალები დაერტყათ. კაცი სატვირთოს საფეხურზე ჩამოჯდა, კეპით სახე მოიწმინდა, ისევ დაიხურა და წინაფრა ჩამოიფხატა — უახლოეს მომავალში მისი ახალთახალი კეპი სხვებისას დაემსგავსებოდა. ფეხებზე დაიხედა, დაიხარა, ფეხსაცმლის ზონრები მოუშვა და ბოლომდე აღარ შეუკრავს. კაცთან ახლოს დიზელის ძრავის გამოსაბოლქვი მილი ლურჯი კვამლის ბოლქვებს ერთიმეორის მიყოლებით ისროდა.

რესტორანში მუსიკა შეწყდა. კაცმა ლაპარაკი დაიწყო. მიმტანმა ქალმა ვერც კი შენიშნა, რომ მუსიკა აღარ ისმოდა და რადიო არ გამოურთავს, რადგან თითებით, სახეზე რომ იცაცუნებდა, ყურის ძირში ძიძიბი აღმოაჩინა; ცდილობდა, სარკეში დაენახა, ოღონდ ისე, რომ სატვირთოს მძღოლს არ შეემჩნია და ეფიქრა, რომ თმას ისწორებდა. სატვირთოს მძღოლმა ჰკითხა:

— შონიში ხალხი საცეკვაოდ შეკრებილა და ვიღაც მოუკლავთ თუ რაღაცა, ხო არაფერი გაგიგია?

— არა, — უპასუხა მიმტანმა და ყურის ძირში ძიძიბს ფრთხილად შეეხო.

გარეთ კაცი საფეხურიდან წამოდგა, მზერა სატვირთოს კაპოტს გადაატარა და რესტორანს გახედა. მერე ისევ დაჯდა, გვერდითა ჯიბიდან თუთუნის ტოპრაკი და ქაღალდი ამოიღო, მარჯვედ, აუჩქარებლად გაახვია, გაასწორა და მოუკიდა. ასანთის ნამწვი ფეხებთან მტვერში ჩააგდო. შუადღე ახლოვდებოდა, სატვირთოს ჩრდილი თანდათან ფერმკრთალდებოდა.

რესტორანში სატვირთოს მძღოლმა გადაიხადა და ხურდა, ორი ხუთცენტიანი, სათამაშო მანქანაში ჩაყარა. ცილინდრი დატრიალდა, მაგრამ ვერაფერი მოიგო.

— ისე აკეთებენ, რო ვერასდროს მოიგო, — უთხრა მიმტანს.

ქალმა უპასუხა:

— ორი საათიც არ გასულა, რაც ერთმა კაცმა ჯეკპოტი მოხსნა. სამი და ოთხმოცი იყო. როდის დაბრუნდები?

კაცმა ბადეაკრული კარი გამოაღო:

— ერთ კვირაში ან ათ დღეში, — თქვა მან. — ალსაში მივდივარ, იქიდან მალე ვერასდროს ვბრუნდები.

ქალმა გაბრაზებით უთხრა:

— ბუზებს ნუ უშვებ, ან შემოდი ან გადი.

— ნახვამდის. — უთხრა კაცმა და გავიდა.

კარი ბრახუნით დაიხურა. კაცი მზეზე იდგა და საღეჭ რეზინას ქაღალდს აცლიდა. ჩაფსკვნილი იყო, მხარბეჭიანი, ღიპი დასდებოდა. წითელი სახე და ლურჯი, გამუდმებით კაშკაშა სინათლის ყურებით მოწკურული, ვიწრო ნაპრალებივით თვალები ჰქონდა. სამხედრო შარვალი და ყელიანი, ზონრებით შესაკვრელი ფეხსაცმელი ეცვა. საღეჭი რეზინა პირთან მიიტანა და კარს იქით გადასძახა:

— ისეთს ნურაფერს იზამ, რისი გაგებაც გამაბრაზებს.

მიმტანი უკანა კედელზე ჩამოკიდებული სარკისკენ მიბრუნებულიყო, პასუხად რაღაც ჩაიბურტყუნა. სატვირთოს მძღოლმა საღეჭი რეზინა კბილებს შორის მოიქცია, ყოველ ჩაღეჭვაზე პირს ფართოდ აღებდა და ყბას მაგრად იქნევდა. საღეჭ რეზინას ფორმა მისცა, ენის ქვეშ ამოიგდო და დიდი წითელი სატვირთოსკენ გაემართა.

კაცი საფეხურიდან წამოდგა, მანქანის სარკმლისკენ გაიხედა და მძღოლს გასძახა:

— ხომ არ გამიყოლებდით, მისტერ?

მძღოლმა წამით რესტორნისკენ გაიხედა.

— საქარე მინაზე წარწერას, არასამგზავრო, ვერ ხედავთ?

— ვხედავ როგორ არა, მაგრამ კარგი კაცი მაინც კარგ კაცად რჩება მაშინაც კი, როცა ვიღაც მდიდარი ნაბიჭვარი აიძულებს, რო ეგეთი წარწერით იაროს.

მძღოლი საჭესთან ჯდებოდა და თან პასუხზე ფიქრობდა. უარი რომ ეთქვა, გამოვიდოდა, რომ არც კარგი კაცია და თან ვიღაც აიძულებს, ისეთი წარწერით იმოძრაოს, რომ მგზავრი ვერ აიყვანოს, დათანხმდებოდა და ესე იგი, თავის თავს კარგ კაცად მიიჩნევდა, რომელსაც ვერცერთი მდიდარი ნაბიჭვარი ვერაფერს დააძალებდა. იცოდა, რომ გამოიჭირეს, მაგრამ გამოსავალს ვერ ხედავდა. ძალიან კი უნდოდა, კარგ კაცად გამოჩენილიყო. რესტორნისკენ კიდევ ერთხელ გაიხედა.

— საფეხურზე ჩაიცუცქე, სანამ იმ მოსახვევამდე მივალთ, — უთხრა კაცს.

კაცი დაიხარა და სახელურს ჩაეჭიდა. მძღოლმა მანქანა დაქოქა, ძრავამ დაიგუგუნა და უზარმაზარი სატვირთო დაიძრა. პირველი სიჩქარე, მეორე, მესამე. კიდევ ერთი დაგრუხუნება და მანქანა მეოთხე სიჩქარეში ჩავარდა. საფეხურზე მოკუნტულ კაცს შარაგზამ თავბრუდამხვევი სისწრაფით ჩაუქროლა. პირველ მოსახვევამდე ერთი მილი გაიარეს, მერე მანქანამ სვლა შეანელა. უფასო მგზავრი გაიმართა, კარი გამოაღო, კაბინაში შეძვრა და დაჯდა. მძღოლმა მოწკურული თვალებით გადახედა. ღეჭვის დროს ყბებს ისე იქნევდა, გეგონებოდათ, შთაბეჭდილებასა და მოსაზრებას ჯერ ყბებით ალაგებდა და ტვინს შემდეგ უგზავნიდა. თვალიერება კეპით დაიწყო, მზერა ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე გადაიტანა. უფასო მგზავრი საზურგეს მიეყრდნო, მოხერხებულად დაჯდა, ქუდი მოიხადა, ოფლიანი შუბლი და ნიკაპი მოიწმინდა

— მადლობა, ძმაო, ფეხები ლამის დამემტვრა

— ახალი ფეხსაცმლის ბრალია, — თქვა მძღოლმა. იდუმალება და უნდობლობა მის ხმასა და თვალებში ერთნაირად იგრძნობოდა. — შეიძლება ახალი ფეხსაცმლით ამ სიცხეში სიარული?

უფასო მგზავრმა მტვრიან ჩალისფერ ფეხსაცმელზე დაიხედა და უპასუხა:

— მეტი თუ არ გაქ, აბა რა უნდა ქნა?

მძღოლმა გზას გამოცდილი თვალი მოუჭუტა და მანქანას სიჩქარე მოუმატა.

— შორს მიდიხარ?

— უჰ, მაგრამ ფეხითაც წავიდოდი, რო არ დამლეწოდა.

მძღოლი ცნობისმოყვარეობას ვერ მალავდა: მგზავრს კითხვების ქსელში ხვევდა, ხაფანგს უგებდა:

— სამსახურს ეძებ? — ჰკითხა მან.

— არა, მამაჩემს ორმოცი აკრი მიწა აქ არენდით აღებული. დიდი ხანია ამ მხარეში ვცხოვრობთ.

მძღოლმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედა გზის გასწვრივ მიწაზე განრთხმულ, მტვერწაყრილ ყანებს. მტვრის ფენის ქვეშ, აქა-იქ, პატარა ქვები მოჩანდა. მძღოლმა, ვითომ თავისთვის, ჩაილაპარაკა:

— ორმოცი აკრის მონახევრეა და თვითმფრინავით შეწამვლა ან ტრაქტორების მომრავლება არ ადარდებს?

— არ ვიცი, დიდი ხანია ოჯახისგან არაფერი გამიგია, — უპასუხა მგზავრმა.

— დიდი ხანია, — გაიმეორა მძღოლმა. კაბინის საქარე მინას ფუტკარი ბზუილით დაეტაკა. მძღოლმა ხელი გაიწოდა, ფუტკარს ფრთხილად შეუცვალა მიმართულება და ჰაერის ნაკადს ფანჯრისკენ გააყოლა.

— არენდატორები ცუდ დღეში არიან, — თქვა მან. — ერთი მუხლუხა ტრაქტორი ათ ოჯახს ყრის ადგილებიდან. ისეთი რამე ქნეს ამ ტრაქტორებმა რო... ერთს გადაივლიან მიწაზე და მშვიდობით, არენდატორებო. როგორ უძლებს მამაშენი? — ენა და ყბები ისევ საღეჭ რეზინაზე აამუშავა: ყბის ყოველ მოქნევაზე ენით რეზინას ერთი გვერდიდან მეორეზე ატრიალებდა.

— ჰო, დიდი ხანია არ მოუწერიათ. არც მე მიყვარს წერა და არც მამაჩემს, ისე კი ვიცით, თუ მოვინდომებთ.

—სადმე მუშაობდი? — ისევ იმ შეფარული ცნობისწადილით, ვითომ სხვათაშორის, ჰკითხა მძღოლმა. სიცხისგან გავარვარებულ ჰაერსა და ყანებს გახედა. საღეჭი რეზინა ლოყასთან მიაყუჩა და ფანჯრიდან გადააფურთხა.

— აბა, რა, — თქვა უფასო მგზავრმა.

— ეგრეც ვიფიქრე, შენი ხელები რო დავინახე: დაკოჟრილი გაქ. ალბათ ნაჯახის ან უროს ხმარებით. ეგეთ რამეებს იმ წუთში ვამჩნევ.

უფასო მგზავრი დაჟინებით მიაცქერდა. სატვირთოს ბორბლები გზას სიმღერით მიუყვებოდა.

— კიდე რისი გაგება გინდა? თავს ნუ შეიწუხებ, მე თვითონ მოგიყვები.

— კაი რა, არ გეწყინოს. ცხვირს კი არ ვყოფ შენს საქმეში.

— ყველაფერს მოგიყვები. დასამალი რა არი...

— არ გეწყინოს, კარგი? რაღაცებს ვაკვირდები. დროის გაყვანაში მეხმარება.

— ყველაფერს გეტყვი. ჩემი სახელი და გვარი ტომ ჯოუდია. მამაჩემიც ტომ ჯოუდია. — მძღოლს თვალს არ აშორებდა.

— ნუ გწყინს, ისე, უბრალოდ გკითხე.

— მეც უბრალოდ გეუბნები. — თქვა ჯოუდმა. — ჩემთვის წყნარად ვცხოვრობ და არავის ვერჩი. — შეჩერდა. გავარვარებულ ჰაერს მიღმა გადამხმარ ყანებსა და გვალვისგან ღონემიხდილ ხეებს გადახედა, გვერდითა ჯიბიდან თუთუნის ტოპრაკი და ქაღალდი ამოიღო, ქარი რომ არ მისწვდომოდა, მუხლებს შორის მოიქცია და თუთუნი შეახვია.

ჩაფიქრებული მძღოლი ძროხასავით რიტმულად იცოხნებოდა. შეიცადა, რომ ცოტა ხნის წინანდელ უხერხულობას გაევლო და თქვა:

— ვინც არასდროს ყოფილა სატვირთოს მძღოლი, არც იცის ეს რა არი. მეპატრონეები მგზავრის აყვანის ნებას არ გვაძლევენ, ჰოდა, იჯექი მარტო და ხეხე ეს სავარძელი... თუ არადა, წადი სამსახურიდან, მაგრამ მე შენ აგიყვანე.

— ვაფასებ. — უპასუხა ჯოუდმა.

— ბიჭებს ვიცნობ, უცნაურ რამეებს რო აკეთებენ მართვის დროს. მახსოვს, დრო რო გაეყვანა, ერთი ლექსებს იგონებდა.

ჯოუდს შეფარვით გადახედა; იქნებ გაართო მისმა ნაამბობმა? ჯოუდი ჩუმად იჯდა. ფანჯრიდან გზას გასცქეროდა, თეთრ გზას, რომელიც მის თვალწინ ზღვიდან მოვარდნილი ტალღებივით ნელ-ნელა უკან იხევდა. ბოლოს მძღოლმა ისევ წამოიწყო:

— იმ ბიჭის ერთი ლექსი დღესაც მახსოვს. თავის თავზე და კიდე რამდენიმე ბიჭზე დაწერა, რომლებიც მთელ მსოფლიოში დადიოდნენ, სვამდნენ და სადაც მივიდოდნენ, ყველგან ჯოჯოხეთს აწყობდნენ. ნეტა მთლიანად მახსოვდეს, ისეთი სიტყვები დაწერა, რო მაღალმა ღმერთმაც არ იცის, რას ნიშნავს. აი, მაგალითად „ზანგი შემოგვხვდა ახმახი, ვეებერთელა ქაჩაბურივით ჰქონდა ჩახმახი“. ქაჩაბური სამწყემსო დიდ

ჯოხს ნიშნავს. ბიჭმა ლექსიკონში მაჩვენა, სადაც წავიდოდა, ლექსიკონი თან დაჰქონდა, ყავას და ღვეზელს რო შეუკვეთავდა, იჯდა და შიგ იჭყიტებოდა, — მძღოლი შეჩერდა. ალბათ მარტო ლაპარაკი მოსწყინდა. მზერა ისევ მგზავრისკენ გააპარა. ჯოუდი ჩუმად იჯდა. მძღოლმა კიდევ ერთხელ სცადა, რომ როგორმე საუბარში ჩაეთრია.

— იცნობ ვინმეს, ასეთ სიტყვებს რო ამბობდეს?

— კი, ვიცნობ, — თქვა ჯოუდმა, — მქადაგებელი.

— მქადაგებელი სხვა საქმეა, მაგათთან ენის ტარტარს ვერ დაიწყებ ისე. ძაან მაბრაზებს სიტყვების რახარუხი, მაგრამ ის ბიჭი, სასაცილო იყო, ხუმრობდა, კი არ ბაქიბუქობდა.

მძღოლს ხასიათი გამოუკეთდა, ბოლოს და ბოლოს, ჯოუდი უსმენდა მაინც. მოსახვევში ისე სწრაფად შეუხვია, რომ საბურავებმა ჭრიალი დაიწყო.

— ჰოდა, როგორც ვამბობდი, მძღოლები უცნაურ რამეებს აკეთებენ ხოლმე. მეტი რა გზაა, შეიძლება დაუფშტვინო, ზიხარ და უყურებ როგორ მიიზლაზნება გზა ბორბლების ქვეშ. ბიჭები ამბობენ, ზოგი მძღოლი სუ ჭამსო. მართალია. წამდაუწუმ ჩერდებიან ბურგერ ბარებთან.

— ხო, სუ იქ არიან. — დაეთანხმა ჯოუდი.

— ჩერდებიან, მაგრამ კი არ შიათ. უბრალოდ, ყელში ამოსდით ეს გაუთავებელი გზა. ბურგერ ბარი ერთადერთი ადგილია, სადაც შეჩერდები, მაგრამ რო შეჩერდები, რამე უნდა იყიდო. დახლის უკან რო ქალი დგას, იმას ერთი-ორ სიტყვას ეტყვი, ყავას და ღვეზელს შეუკვეთავ და ცოტას დაისვენებ კაცი.

რეზინას პირში ატრიალებდა და ნელა ღეჭავდა.

— ძნელია, — გულგრილად თქვა ჯოუდმა.

მძღოლმა სწრაფად გადახედა. ხომ არ დამცინისო, იფიქრა.

— უბრალო საქმე ხო არ გგონია? — გამომცდელად ჰკითხა მძღოლმა. — ადვილია რვა, ათი და ხან თოთხმეტი საათი ჯდომა? თან გზა არ თავდება და ყელში ამოგდის. რამე ხო უნდა გააკეთო, ზოგი მღერის და ზოგი უსტვენს. კომპანიები რადიოსაც გვიკრძალავენ. ზოგი სვამს, მაგრამ ეგეთები დიდხანს ვერ უძლებენ. მე გზაში რო ვარ, სასმელს არ ვეკარები, — თვითკმაყოფილებით თქვა მძღოლმა.

— მართლა? — ჰკითხა ჯოუდმა.

— აბა, რა. წინ უნდა წავიდე, მექანიკური ინჟინერია უნდა ვისწავლო დაუსწრებელად. ადვილია, კურსს ავიღებ და სახლში ცოტას ვიმეცადინებ. მერე მშვიდობით სატვირთოებო, სხვებმა იმუშაონ.

ჯოუდმა გვერდითა ჯიბიდან ვისკის ბოთლი ამოიღო

— ერთს არ დაარტყამ? — გამომწვევი ხმით ჰკითხა მძღოლს.

— აუჰ, არა, პირსაც არ დავაკარებ. სმა და სწავლა ერთად არ გამოდის. მე სწავლას ვაპირებ.

ჯოუდმა ბოთლს საცობი ამოაძრო, ორი ყლუპი გადახუხა, საცობი დაახურა და ისევ შეინახა. კაბინაში ვისკის საამო სურნელი დატრიალდა.

— რაღაც დაძაბული ხარ, — უთხრა ჯოუდმა. — რაშია საქმე? გოგო ხო არ გაიჩინე?

— აბა, რა.. მაგრამ მაგაში არ არის საქმე. წინ მინდა რო წავიდე. რამდენი ხანია უკვე ტვინს ვავარჯიშებ.

ჯოუდი სასმელმა ლაპარაკის ხასიათზე მოიყვანა. თუთუნი შეახვია და მოუკიდა.

— ბევრი აღარ დაგვრჩა. მალე მივალთ.

— დალევა არაფერში მჭირდება, — სწრაფად განაგრძო მძღოლმა, — ჩემ თავს სუ ვასწავლი. ორი წლის წინ ერთი კურსიც კი გავიარე, რო ტვინი გამევარჯიშებინა. — მარჯვენა ხელი საჭეს გადაუსვა. — დავუშვათ, გზაზე კაცს ჩავუარე. შევხედავ და მერე ვცდილობ, ყველაფერი გავიხსენო, როგორი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ეცვა, როგორი ქუდი ეხურა, როგორ დადიოდა, სიმაღლე, წონა. სახეზე ნაიარევიც კი; მაგრად გამომდის. თავში სრული სურათის აღდგენა შემიძლია. ზოგჯერ ვფიქრობ დაქტილოსკოპისტი ხო არ გამოვიდე-მეთქი. გაგიკვირდება, კაცს იმდენი რამის დამახსოვრება შეუძლია.

ჯოუდმა ბოთლი მოიყუდა და კიდევ გადაჭკრა. გალეული სიგარეტი ბოლოჯერ მოქაჩა და დაკოჟრილი თითებით ჩააქრო. ნამწვი დაფშვნა, ხელი ფანჯარაში გადაყო და ნიავს გაატანა. საბურავები სიმღერ-სიმღერით მისრიალებდნენ. ჯოუდი გზას გასცქეროდა, მშვიდ მუქ თვალებში მხიარულების ნაპერწკალი აუკიაფდა. მძღოლი უხერხულად შეიშმუშნა და თავის მგზავრს ალმაცერად გადახედა. ბოლოს ჯოუდის ზედა ტუჩმა კბილებს გზა მისცა და სახეზე ფართო ღიმილი გადაეფინა, უხმო სიცილისგან ბეჭები უცახცახებდა.

— ძმაკაც, რამდენი იწვალე რო მაგას მიდგომოდი, ა?

მძღოლს მისკენ არ გაუხედავს.

— რას მივდგომოდი, რას გულისხმობ?

ჯოუდის ზედა ტუჩი ისევ გადაეფარა წინ წამოყრილ კბილებს, მერე ძაღლივით ტუჩი ორჯერ გაილოკა, შუა ნაწილიდან პირის კუთხეებამდე. ხმა გაუმკაცრდა.

— ძალიან კარგად იცი, რასაც ვგულისხმობ. რაც ჩაგიჯექი, სუ მიკირკიტებ, გგონია ვერ ვამჩნევ?

მძღოლი გზას თვალს არ აშორებდა, საჭეს ისე ჩააფრინდა, რომ ხელები დაებერა და გაუთეთრდა. ჯოუდმა განაგრძო:

— ხო იცი, საიდანაც მოვდივარ.

მძღოლი ხმაგაკმენდილი იჯდა.

— იცი თუ არა? — ჩააცივდა ჯოუდი.

— ჰო, შეიძლება ვიცი, მაგრამ ეგ ჩემი საქმე არ არი. მე არ მეხება, რაში მაინტერესებს? არავის საქმეში არ ვერევი. — მძღოლმა სიტყვები ერთმანეთს წააყარა, მერე უცებ გაჩუმდა და შეიცადა. გათეთრებული ხელებით ისევ საჭეს ებღაუჭებოდა. ფანჯრიდან კალია შემოფრინდა, ინსტრუმენტების მაკონტროლებელი დაფის თავზე დაჯდა და მოხრილი უკანა ფეხებით ფრთების გასუფთავება დაიწყო. ჯოუდმა წინ გადაიწია, კალიას ქალას მსგავსი თავი თითებით გაჭყლიტა, ფანჯრიდან ქარის ნაკადს გააყოლა და სანამ კალიის ნარჩენებს თითებიდან იცილებდა, კიდევ ერთხელ ჩაიცინა.

— არ ცდებით, მისტერ, — თქვა მან — არაფრის დამალვას ვაპირებ. ჰო, მაკალესტერიდან მოვდივარ. ოთხი წელი მოვიხადე. რო გამოვედი, ეს ტანსაცმელი მომცეს. ფეხებზე მკიდია, ხალხი ხვდება თუ არა. ვიცი, თუ არ მოიტყუე, სამუშაოს ვერ იშოვი, ჰოდა, ტყუილს არ ვაპირებ და მამაჩემთან მივდივარ.

— ეგ მე არ მეხება, სხვის საქმეში ცხვირს არ ვყოფ. — უპასუხა მძღოლმა.

— ყოფ რომელია, ეგ ცხვირი რვა მილით დაგიგრძელდა: რაც ჩაგიჯექი, ისე მჩიჩქნი, როგორც ცხვარი ბოსტნეულის კვალს.

მძღოლი დაიძაბა.

— ცუდად გამიგე. — წამოიწყო შეცბუნებულმა.

ჯოუდს გაეცინა.

— კარგი კაცი ხარ, ქუჩაში არ დამტოვე. ჰო, მე ჩემი მოსახდელი მოვიხადე. ეხლა რისი გაგება გინდა, რატო მომისაჯეს?

— რა ჩემი საქმეა.

— ჰო, ვითომ აქ ზიხარ, ამ „მახინას“ მიერეკები და მეტი არაფერი გაინტერესებს, მაგრამ სხვანაირად რო ჩანს? აქეთ მოიხედე. წინ რო სოფლის გზა შედის. ხედავ?

— კი.

— იქ ჩამოვალ. ლამის შარვალში ჩაიფსა, ისე გინდა, რო გაიგო, რატო დამიჭირეს. არა? არ გაწყენინებ. გეტყვი. — მანქანის ძრავა ნაკლებად ხმაურობდა. საბურავებმაც ხმას დაუწიეს. ჯოუდმა ვისკის ბოთლი ამოიღო და კიდევ გადაჰკრა. მანქანა გზატკეცილის მარჯვენა გადასახვევთან ნელი სვლით მივიდა. აქ სოფლის გზა იწყებოდა. ჯოუდი მანქანიდან გადმოვიდა. კაბინის ფანჯარასთან დადგა. ვერტიკალური გამოსაბოლქვი მილი ოდნავ შესამჩნევ მოლურჯო კვამლს ისროდა. ჯოუდი მძღოლისაკენ გადაიხარა:

— კაცთმკვლელობა, აი, ესეც კიდე ერთი გრძელი სიტყვა. რაც იმას ნიშნავს, რო კაცი მოვკალი, შვიდი წელი მომისაჯეს. მაგრამ ოთხში გამომიშვეს, იმიტო რო ვიცოდი, იქ როგორ მოვქცეულიყავი.

მძღოლმა სახეში შეხედა ჯოუდს, ალბათ კარგად რომ დაემახსოვრებინა.

— არაფერი მიკითხავს. ეგ მე არ მეხება, — თქვა მან.

— შეგიძლია აქედან ტექსოლამდე ყველა რესტორანში შეხვიდე და მოყვე. — გაიღიმა. — აბა, კარგად. კაი კაცი ხარ, მაგრამ იცოდე, კაცი ციხეში ცოტა ხნით მაინც თუ იჯდა, მაშინვე ხვდება, ეგეთი კითხვები საით უბერავს. პირველად პირი რო გააღე, მაშინვე მივხვდი — ხელისგული კაბინის კარს დაჰკრა:

— მადლობა წამოყვანისთვის, კარგად იყავი.

მიბრუნდა და სოფლის გზას გაუყვა.

მძღოლი ერთხანს გაშტერებით უცქერდა, მერე სიტყვა დაააწია, — ბედნიერად.

ჯოუდმა ისე დაუქნია ხელი, უკან არ მოუხედავს. ძრავამ დაიბღუვლა, სიჩქარეში ჩავარდა და დიდი წითელი სატვირთო მძიმედ დაიძრა.

3.

ბეტონის გზატკეცილის აქეთ-იქით ერთმანეთში გადახლართული ხმელი ბალახი ფარდაგივით დაფენილიყო. ველური შვრიის მომწიფებული თავთავი მზად იყო, რომ ძაღლის ბეწვს გამოსდებოდა, მდელოს მელაკუდას ერთი სული ჰქონდა, ცხენს საოლავზე აკვროდა, ყანის ბირკას ცხვრის ქურქში ჩაკარგვა ეჩქარებოდა, მიძინებული სიცოცხლე იცდიდა, რომ გაბნეულიყო, გაფანტულიყო, გავრცელებულიყო. ყოველ თესლს თავისი სასროლი იარაღი ჰქონდა. მოღუნული ისრები, პარაშუტები, პატარა შუბები, ეკლის პაწია ბურთები და ყოველი მათგანი მოუთმენლად ელოდა, როდის გაიღვიძებდნენ ცხოველები, ადამიანები, როდის დაუბერავდა ქარი, რომ ცხოველების ბეწვის ქურქებს, კაცების შარვლების გადანაკეცებსა და ქალების ქვედა კაბების ქობებს აკვროდნენ. გათენებას მოთმინებით, მშვიდად უცდიდნენ.

მზე ბალახს გადაეფარა. ბალახის ჩრდილქვეშ მწერები ამოძრავდნენ. ჭიანჭველებმა და ლომჭიანჭველებმა ფაციფუცი წამოიწყეს. ჰაერში ახტომისას კალიები წამიერად შლიდნენ ყვითელ ფრთებს, სუსტ ფეხებზე შემდგარი არმადილების მსგავსი პატარა ნამიჭიები მოუსვენრად მიდი— მოდიოდნენ გზის გასწვრივ. ბალახზე ხმელეთის კუ მიბობღავდა და თავის გუმბათივით მომრგვალებულ ბაქანს ეზიდებოდა: ღონიერი, ყვითელბრჭყალებიანი ფეხებით ხმელ ბალახს ლეწავდა, ზედ დაყრილი ქერის თესლი და ბირკა ბაკნიდან მიწაზე სრიალით ცვიოდა. კუ შეუჩერებლივ მიდიოდა, თან ბაკანს მიათრევდა,

რქოვანი ნისკარტი ნახევრად ღია ჰქონდა, ფრჩხილივით მორკალული წარბების ქვეშიდან მომნუსხველი, დამცინავი თვალებით პირდაპირ იყურებოდა, წინ მიიწევდა და გათელილ კვალს ტოვებდა. ცოტა ხანში, გზატკეცილის კიდესთან მთასავით აღმართულ პატარა მიწაყრილს მიადგა. წამით შეჩერდა, კისერი წაიგრძელა, თვალები დაახამხამა, ჯერ ზევით აიხედა, მერე ქვევით, ბოლოს მიწაყრილზე აბობღება სცადა. ბრჭყალიანი წინა ფეხები გამოჰყო, მაგრამ მიწას ვერ მოეჭიდა, უკანა ფეხებით ბაკანს უბიძგა და ბალახიდან ხრეშზე გადაგორდა. უფრო ზევით ასვლა კიდევ უფრო დიდ ძალისხმევას ითხოვდა. უკანა ფეხებით წინ იწევდა, იჭიმებოდა, სრიალდებოდა, მაგრამ ბაკანს მაინც წინ სწევდა: რქოვანი თავი იმდენად ჰქონდა გამოწეული, რამდენადაც კისერი აძლევდა საშუალებას. როგორც იქნა, ბაკანმა მიწაყრილი დაძლია. ახლა გზას ოთხი დიუმის სიმაღლის ბეტონის პარაპეტი უღობავდა. უკანა ფეხებით, რომელსაც თითქოს სხეულის სხვა ნაწილებისგან დამოუკიდებლად ამოძრავებდა, ბაკანს პარაპეტისკენ უბიძგებდა. კისერწაგრძელებული ცემენტის ფართო გლუვ ზედაპირს გასცქეროდა. წინა ფეხებით კარაპეტის კედელს მოეჭიდა, დაიძაბა, აიწია და ბაკანი კედლის თავზე შეაგდო, ცოტა ხანს შეისვენა. ამ დროს წითელმა ჭიანჭველამ დრო იხელთა და ბაკნის ქვეშ, რბილ კანზე შეაცოცდა. კუმ სასწრაფოდ შემალა თავი, ფეხები, ქერცლიანი კუდი და ბაკანში ჩაიკეტა. სხეულსა და ფეხებს შორის მოქცეული წითელი ჭიანჭველა გაჭყლეტილი დაეცა. კუს წინა ფეხზე ველური შვრიის თავთავი წამოედო, ისიც, ჭიანჭველასავით ბაკანში ჩაკეტილი აღმოჩნდა. წუთით უმოძრაოდ იწვა, მერე კისერი წაიგრძელა, ბებრული, დამცინავი თვალებით მიმოიხედა, ფეხები და კუდი გამოყო, უკანა ფეხები აამუშავა: ნაბიჯებს სპი-

ლოსავით მძიმედ ადგამდა. ბაკანმა ზევით აიწია, მაგრამ წინა ფეხებით ცემენტის გლუვ ზედაპირს ვერ მისწვდა. უკანა ფეხებით უფრო და უფრო ზევით უბიძგებდა ბაკანს, სანამ, ბოლოს და ბოლოს, გაწონასწორდებოდა. სხეულის წინა ნაწილი ქვევით ჩაუშვა, წინა ფეხებით ბეტონს მოეჭიდა და გზატკეცილზე გავიდა. კუს წინა ფეხებს შორის ველური შვრიის თავთავი ფესვიანად გაბლანდულიყო.

ახლა სიარული ადვილი იყო. კუმ ოთხივე ფეხი აამუშავა. ბაკანი აქეთ-იქით ირწეოდა და წინ მიიწევდა. ამასობაში კუს სედანი მიუახლოვდა. მძღოლი, ასე, ორმოცდახუთიოდე წლის ქალი იყო. მან კუ შენიშნა და მანქანა სწრაფად გადაიყვანა მარჯვნივ. ბორბლების ღრჭიალის ხმა გაისმა, მტვერი ჰაერში ავარდა, წამიერად ბორბლებმა ზევით აიწია და მაშინვე მიწაზე დაეშვა. მძღოლმა საჭე გაასწორა და გზა შენელებული სვლით განაგრძო. კუ ბაკანში შეიმალა, მაგრამ მალევე გაუდგა გზას. ახლა უნდა ეჩქარა, რადგან გზატკეცილზე სიცხე უსაშველოდ იკბინებოდა.

მალე სატვირთო მანქანა გამოჩნდა. არც სატვირთოს მძღოლს დარჩენია კუ შეუმჩნეველი, მისკენ სწრაფად გადაუხვია და მანქანა ზედ მიაგდო, წინა ბორბლით ბაკნის კიდეს წაარტყა, კუ დომინოს კოჭივით ააგდო, ხურდა ფულივით დააბზრიალა და გზატკეცილიდან მოისროლა. სატვირთო თავის კურსს დაუბრუნდა, მარჯვენა მხარე დაიჭირა და წავიდა. კუ ამოყირავდა. კარგა ხნის განმავლობაში ღრმად იყო ბაკანში შეყუჟული, ბოლოს ფეხები ჰაერში გააფართხალა, ცდილობდა, რაიმეს მოსჭიდებოდა და გადმობრუნებულიყო. მერე, როგორღაც, წინა ფეხებით კვარცის ნატეხს ჩაებღაუჭა და ზღართანით გადმობრუნდა. ველური შვრიის თავთავს შუბივით წამახვილებული მარცვლები დასცვივდა და მიწაში ჩა-

ესო. კუ ქვევით, მიწაყრილისკენ დაეშვა და მარცვლებს ბაკ-ნით მიწა გადააყარა. როგორც იქნა, თავი სოფლის შარაზე შეაგდო, ბაკანს წინ მიათრევდა და მტვერში ტალღისებრ ნაკ-ვალევს ტოვებდა. ბებრული, დამცინავი თვალებით პირდა-პირ იცქირებოდა, რქოვანი ნისკარტი ნახევრად ღია ჰქონდა. ყვითელი ბრჭყალები მტვერში უსრიალებდა.

4.

ჯოუდის ზურგს უკან სატვირთო დაიძრა, სიჩქარე აკრიფა, ბორბლების ღჭრიალით გზატკეცილი შეაზანზარა და თავის გზას გაუდგა. ჯოუდი შებრუნდა. სანამ მანქანა გაუჩინარდებოდა. მისთვის თვალი არ მოუშორებია, მერე კარგა ხანს იდგა, ცისფრად მოცახცახე ჰაერს გასცქეროდა. ჩაფიქრებულმა ჯიბიდან ვისკის ბოთლი ამოიღო, ლითონის თავსახური მოხსნა და მოიყუდა: გემო რომ უკეთ ეგრძნო, ნება-ნება მოწრუპა. ენა ბოთლის ყელს შემოავლო და ტუჩები გაილოკა. — „ზანგი შემოგვხვდა ახმახი..“ — გამეორება სცადა ჯოუდმა, მაგრამ სულ ეს იყო, რაც ახსოვდა. ბოლოს გზატკეცილს ზურგი შეაქცია და სოფლის მტვრიანი გზისკენ შებრუნდა, რომელიც მართ კუთხეს ქმნიდა და ყანების გავლით სოფლისკენ მიემართებოდა. მზე აცხუნებდა, ქარი არ იძვროდა, მტვერს არაფერი აფორიაქებდა. გზა მტვრით ამოვსებული ნაურმალით იყო დაღარული. ჯოუდმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. მტვერი ფქვილივით შეერქვა და მისი ახალი ჩალისფერი ფეხსაცმელი რუხად შეღება.

ჯოუდი დაიხარა, ზონრები შეიხსნა, ჯერ ერთი ფეხსაცმელი გაიხადა, მერე მეორე. ოფლიანი ტერფები ცხელ მტვერში გაშალა, შვება იგრძნო; თითებს შუა მტვერი შეეყარა და ცოტა ხანში სიმშრალისგან კანი დაეჭიმა.

ფეხსაცმელი პიჯაკში გამოკრა, ფუთა ამოიღლიავა და გზას გაუდგა. ნაბიჯის გადადგმისას აყრილი მტვერი მის უკან ღრუბელს ქმნიდა და მიწასთან ახლოს ტრიალებდა. გზის გას-

წვრივ ტირიფის ხისგან გამოჩორკნილი ორი დაბრეცილი ტოტი ჩაერჭოთ და მათ შორის ეკლიანი მავთული გაებათ. იმ ადგილზე, სადაც ორკაპა შტო სათანადო სიმაღლეზე იყო, მავთული მყარად გადაეჭიმათ, სადაც არა და, ეკლიანი მავთული ტოტზე ჟანგიანი გადასაჭერი მავთულით მიემაგრებინათ. ღობის მიღმა ქარისგან, სიცხისა და გვალვისგან მოცელილ სიმინდს ფოთლებისა და ღეროს შეერთების ადგილები მტვრით ამოვსებოდა.

ჯოუდი მძიმედ მიაბიჯებდა. უკან მტვრის ღრუბელი მიჰყვებოდა. უცებ გუმბათისებრ ბაკანს მოჰკრა თვალი. კუ ტლანქ ფეხებს შეუჩერებლად ამოძრავებდა, წინ ჯაღჯაყითა და ბობღვით მიიწევდა. ჯოუდი შეჩერდა და დააცქერდა. კუმ ჩრდილის დაცემა იგრძნო; თავი და ფეხები სასწრაფოდ შემალა, კუდი ბაკანში გვერდულად შეკეცა. ჯოუდმა ხელში აიყვანა, გადმოაბრუნა. ზურგი მტვრის ფერი ჰქონდა, ბაკნის ქვედა მხარე კი, მოყვითალო, სუფთა და გლუვი. ჯოუდმა ფუთა მხარზე შეიგდო და თითი ბაკნის ქვედა მხარეს დააჭირა, უფრო რბილი ეჩვენა, ვიდრე ზურგი. კუმ ბებერი თავი გამოჰყო, ფეხები ააფართხალა, მერე ჯოუდის ხელისგულზე ჩაისველა და ბრძოლა განაგრძო. ჯოუდმა კუ ისევ გადმოაბრუნა, ფეხსაცმელებთან ერთად პიჯაკში შეახვია და იღლიის ქვეშ ამოიდო. მიდიოდა და გრძნობდა, როგორ წრიალებდა, იბრძოდა, იჭიმებოდა კუ. ჯოუდმა ნაბიჯს აუჩქარა, შიშველ ტერფებს მტვერში ახლა უფრო სწრაფად აბიჯებდა.

გზის პირას მიწას გაქუცული, მტვრიანი ტირიფის მეჩხერი ჩრდილი ეცემოდა. გზაზე საცოდავად გამოკიდებულ სუსტ ტოტებზე გაპუტული წიწილას ღინღლის მსგავსი რამდენიმე უჯიშო ფოთოლი ამოჩროდა. ჯოუდმა თვალი შეავლო, ოფლი წურწურით სდიოდა. ლურჯი პერანგი, ზურგსა და იღლიების

ქვეშ გაშავებოდა. წინაფრის მუყაოს სარჩული შუაზე გადატეხა და კეპი შუბლზე ჩამოიფხატა. მისი შემხედვარე ნამდვილად ვეღარ იტყოდით, ახალი ქუდი ახურავსო. ჯოუდმა, იმ იმედით, რომ თავს ჩრდილს შეაფარებდა, ფეხს აუჩქარა. მზე ზენიტიდან გადახრილიყო. ფოთლებისა რა გითხრათ, მაგრამ ხის ტანი კი ნამდვილად ქმნიდა ჩრდილს. კეფა და ბეჭები უხურდა, თავს გუგუნი გაჰქონდა. ტირიფის ძირს ვერ ხედავდა, რადგან ხე პატარა ღრმულიდან ამოზრდილიყო, სადაც მიწა ტენს უფრო დიდხანს ინახავს, ვიდრე სწორ ადგილას. ჯოუდი სწრაფად დაეშვა ფერდობზე, მაგრამ ნაბიჯი შეანელა, რადგან ჩრდილში ადგილი ვიღაცას დაეკავებინა. კაცი მიწაზე იჯდა, ხეს ზურგით მიყრდნობოდა, მოხრილი ფეხები ერთი მეორეზე გადაედო, მარჯვენა ფეხზე გაეხადა და ლამის თავის სიმაღლემდე აეშვირა. Yes, Sir, That's My Baby– ის მელოდიას უსტვენდა და ვერ გაიგო, ჯოუდი როგორ მიუახლოვდა; წყნარ მელოდიას ფეხს აყოლებდა. შემდეგ სტვენა შეწყვიტა და მსუბუქად წაიმღერა: — „დიახ, სერ, ჩემი მხსნელია, იესო ჩემი მხსნელია, დიახ, მხსნელია: ვერ მომერევა ეშმაკი. იესომ მიხსნა. იესო ჩემი მხსნელია“.

ვიღაც რომ მიუახლოვდა, კაცმა მხოლოდ მაშინ შენიშნა, როცა ჯოუდმა თავი ფოთლების მეჩხერ ჩრდილს შეაფარა.

კაცმა სიმღერა შეწყვიტა, ჯოუდისკენ შეტრიალდა. ნიახურის ღეროსავით წვრილ, დაკუნთულ, დაძარღვულ კისერზე მოგრძო, ძვლიანი თავი ედგა, ზედ კანი გადასკდომამდე ჰქონდა გადაჭიმული. გადმოყრილ თვალის კაკლებზე ჩაწითლებული ქუთუთოები ჩამოფარებოდა. მუქ, უწვერულვაშო პირისახეზე კანი ულაპლაპებდა. ვერ მიხვდებოდით, სავსე ტუჩები მგრძნობიარე იერს სძენდა მის სახეს, თუ დამცინავს. ნისკარტივით წვეტიანი ცხვირის კეხზე კანი გათეთრებამდე

გადაჭიმვოდა. სახესა და მაღალ ფერმკრთალ შუბლზე ოფლი შეშრობოდა. უჩვეულოდ მაღალ შუბლზე, საფეთქლებთან, წვრილი ცისფერი ძარღვები ეტყობოდა. შეიძლება ითქვას, რომ თვალები სახეს შუაზე უყოფდა. უხეში ჭაღარა თმა შუბლიდან უკან გადაეყარა. სამუშაო შარვალი, ლურჯი პერანგი და ჯინსის ლითონისღილებიანი ქურთუკი ეცვა. ღორის ხორცის ღვეზელივით მრგვალი, დალაქავებული ყავისფერი ქუდი მის გვერდით, მიწაზე ეგდო, მტერისფერი ტილოს სპორტული ფეხსაცმელი სადაც გაიძრო, ისევ იქ ეყარა.

კაცი დიდხანს უცქერდა ჯოუდს. მზის შუქი მისი ყავისფერი თვალების სიღრმემდე აღწევდა და გუგებიდან პატარა ოქროსფერ ნაპერწკლებად იღვრებოდა. კისრის კუნთები კიდევ უფრო დაებერა.

ჯოუდი მეჩხერი ჩრდილის ქვეშ იდგა. ქუდი მოიხადა, ოფლიანი სახე მოიწმინდა და გადახვეულ პიჯაკთან ერთად მიწაზე დააგდო.

ხის ჩრდილს შეფარებულმა კაცმა ფეხები ჩამოსწია და ფეხის თითები მიწაში ჩამალა.

— გზაზე ჯოჯოხეთური სიცხეა, — თქვა ჯოუდმა.

კაცი ცნობისმოყვარე თვალს არ აშორებდა.

— შენ უმცროსი ტომ ჯოუდი არა ხარ? ტომ ჯოუდის ბიჭი.

— ჰო, მე ვარ. — უპასუხა ჯოუდმა, — სახლში მივდივარ.

— არ გემახსოვრები. — თქვა კაცმა, გაიღიმა, სავსე ტუჩები გადაეხსნა და ცხენის კბილები გადმოყარა. — არა, არ გემახსოვრები. მე რო ლოცვას ვატარებდი, შენ პატარა გოგოებს თმას წიწკნიდი. მეტი არაფერი გაინტერესებდა, ოღონდ გოგოებისათვის თმა ძირიანად ამოგეძრო. ვერ გაიხსენე? მე კი კარგად მახსოვს, სარწყავ არხში შენ და ერთი გოგო მე მოგნათლეთ. აუ, რას ჩხუბობდით! კატებივით იკაწრებოდით.

ჯოუდმა ზევიდან დახედა და გაიცინა.

— კაი, რა! მქადაგებელი ხარ? ეგრეა, არა? სულ ერთი საათის წინ გაგიხსენე, აქეთ რო მოვდიოდი.

— ყოფილი მქადაგებელი, — სერიოზულად თქვა კაცმა, — ღირსი მამა ჯიმ კეისი — მე, ვისაც ცეცხლწაკიდებული მაყვლის სწამდა, ვინც იესოს სახელს ადიდებდა. სარწყავ არხს მონანიე ცოდვილებით ვავსებდი და ვნათლავდი, ნახევარზე მეტი თავის დახრჩობას გადავარჩინე, — ამოიოხრა მან, — ეს წარსულს ჩაბარდა, ახლა უბრალოდ ჯიმ კეისი ვარ. მოწოდება დავკარგე. თავში ცოდვილი აზრები მიტრიალებს. ცოდვილი, მაგრამ ჭკვიანური.

— ეგრეა, რამეზე თუ ფიქრობ, აზრებიც მოგდის. შენს თავს რა დამავიწყებდა, რა მაგარ ლოცვებს გვიწყობდი. მახსოვს, ერთხელ ხელებზე დადიოდი და ისე ქადაგებდი, თან მთელ ხმაზე გაჰკიოდი. დედაჩემს შენსავით არავინ უყვარდა. ბებიაჩემი ამბობდა, სიწმინდით არი სავსეო. — ხელით დახვეული პიჯაკის ჯიბე მოძებნა და ვისკის ბოთლი ამოიღო. კუმ ფეხი გამოყო, ჯოუდმა პიჯაკი მჭიდროდ ამოუკეცა, ბოთლს თავსახური მოხსნა და კეისის გაუწოდა.

— ცოტას არ დალევ?

კეისიმ ბოთლი ჩამოართვა, დაფიქრდა და თქვა:

— ქადაგებას თავი დავანებე, ხალხში მადლი აღარ არის. რაც მთავარია, აღარც ჩემშია. ზოგჯერ ისევ მეწვევა და ხალხს ლოცვაზე ვეძახი, ხან საჭმელად რო სხდებიან, დავლოცავ ხოლმე, მაგრამ გულიდან აღარ მოდის, იმიტო ვლოცავ, რო ჩემგან ელიან და უარს ვერ ვეუბნები.

ჯოუდმა სახე ისევ ქუდით მოიწმინდა.

— არც ისეთი წმინდანი ხარ, სასმელზე უარი რო თქვა, არა?

კეისი ბოთლს ისე უყურებდა, გეგონებოდათ, პირველად ხედავდა. მერე მოიყუდა და სამი დიდი ყლუპი მოსვა.

— კარგია. — თქვა მან.

— კარგია, აბა რა, ქარხანაშია ჩამოსხმული, ერთი დოლარი ღირს.

სანამ კეისი ჯოუდს ბოთლს გადააწოდებდა, ერთხელ კიდევ მოსვა. — დიახ, სერ, ასეა, სერ, — თქვა კეისიმ.

ჯოუდმა ბოთლი ჩამოართვა. თავაზიანობა გამოიჩინა და ისე გადაკრა, ბოთლის პირი სახელოთი არ მოუწმენდია. მერე ჩაცუცქდა, ბოთლი პიჯაკის ფუთას მიაყუდა, მიწიდან პატარა ტოტი აიღო, ფოთლები გვერდზე გადაყარა, ხელის გულით მტვერი მოასწორა და თავისი ფიქრის მიწაზე გადატანას შეუდგა, ტოტით წრეები და კუთხეები მოხაზა.

— დიდი ხანია არ მინახავხარ. — თქვა მან.

— არავის ვუნახივარ. — უპასუხა მქადაგებელმა. — ერთ დღესაც ავდექი და წავედი, განვმარტოვდი. მადლი ისევ არის ჩემში, ოღონდ სახე იცვალა, რაღაცებში ისე დარწმუნებული აღარ ვარ.

გაიმართა და ხეს მიეყუდა. მისი ძვლიანი ხელი ციყვივით დაფაცურდა სამუშაო შარვლის ჯიბეში და შავი, გვერდებმოკვნეტილი თამბაქოს ფილა ამოიღო, ჯიბიდან ამოყოლილი ჩალა და ბუსუსები მოაცილა, კუთხე ჩამოაკვნიტა და ენით ლოყისკენ გადაიტანა. ჯოუდსაც მიაწოდა, მაგრამ მან უარის ნიშნად ტოტი გააქნია. პიჯაკში კუ აფუთფუთდა. კეისიმ მოძრავ ფუთას შეხედა.

— რა გყავს მანდ? ქათამი? არ გაიგუდოს.

ჯოუდმა კუს პიჯაკი მჭიდროდ შემოახვია.

— ბებერი კუა, — თქვა მან, — გზაზე ავიყვანე. ბულდოზერივით არი, ისეთი დიდია. ვიფიქრე, ჩემს უმცროს ძმას წავუყვანმეთქი. ხო იცი, ბავშვებს უყვართ კუები.

მქადაგებელმა თავი ნელა დააქნია.

— ჰო, ყველა ბავშვს ჰყავს ხოლმე კუ, მაგრამ ვერავინ ინარჩუნებს. თან ჰყვებიან და ერთ მშვენიერ დღეს, მოიხედავ და აღარ არი, სადღაც გაძვრებიან და იკარგებიან. კაცმა არ იცის, სად მიდიან. მეც ეგრე ვარ. იმის მაგივრად, რომ ხელიდან არ გამეგდო სახარება და ღვთის სიტყვა მექადაგა, იმდენი ვატრიალე აქეთ-იქით, რო არაფერი შემრჩა. ხანდახან სულიწმინდის მადლი მეწვევა ხოლმე, მაგრამ სიტყვებს ვეღარ ვპოულობ, რო ვიქადაგო. ჩემი ვალია, ხალხს გავუძღვე და გზა ვაჩვენო, მაგრამ საით წავიდე, მე თითონ არ ვიცი.

— შენც ადექი, გაუძეხი და ირგვლივ ატარე. — უთხრა ჯოუდმა, — სადაც სარწყავ არხს გადააწყდები, შიგ ჩაყარე და უთხარი, რო ჯოჯოხეთში დაიწვებიან, შენ თუ არ გამოგყვებიან. სად ჯანდაბაში გინდა რო წაიყვანო? უბრალოდ გაუძეხი.

ხის ჩრდილი მიწაზე გაწვა. ჯოუდმა ამოისუნთქა და ჩრდილისკენ გადაინაცვლა. ჩაცუცქდა, ხელით ისევ გადაასწორა მტვერი და ჯოხით ისევ თავისი ფიქრების ხატვა დაიწყო. გზაზე კუდამოძუებული ბანჯღვლიანი ნაგაზი მიძუნძულებდა, ენაგადმოგდებულს დორბლი სცვიოდა და ხმამაღლა ქოშინებდა. ჯოუდმა დაუსტვინა. ძაღლმა თავი კიდევ უფრო დაბლა დასწია, ძუნძულს უმატა და თავის გზას გაუყვა.

— სადღაც მირბის. — თანაგრძნობით თქვა ჯოუდმა, — ალბათ სახლში.

მქადაგებელი თავის თემას ვერ მოსწყდა, — სადღაც მირბის — გაიმეორა მან. — ჰო, სადღაც მირბის, იცის სადაც, რასაც ჩემ თავზე ვერ ვიტყვი, არ ვიცი, სად მივდივარ. იცი, რას

გეტყვი, ჩემს ლოცვებზე ხალხი იქამდე მიდიოდა, რო ყვიროდა, ხტოდა და სხვადასხვა ხმაზე ადიდებდა ღმერთს, ლამის გონი დაეკარგათ. აზრზე რო მომეყვანა, წყალში ვნათლავდი. მერე იცი, რას ვაკეთებდი? რომელიმე გოგო გვერდზე გამყავდა და ბალახში ვგორაობდით. ყოველ ჯერზე ესე იყო. მერე ცუდად ვხდებოდი, ვლოცულობდი და ვლოცულობდი, მაგრამ არაფერი მშველოდა. კიდე მეწვეოდა სულიწმინდის მადლი, კიდე შევკრებდი ხალხს და კიდე იმავეს ვაკეთებდი. მერე მივხვდი, რო ჩემი საქმე დამთავრებული იყო, დაწყევლილი ფარისეველი ვიყავი. არ მინდოდა. მაგრამ ესე გამოვიდა.

ჯოუდმა გაიღიმა. გრძელი კბილები გადმოყარა და ენით ტუჩები გაილოკა.

— კარგი ლოცვის შემდეგ გოგოები უფრო ადვილად ებმებიან, გამოცდილი მაქვს.

კეისი გამოცოცხლდა და მისკენ გადაიხარა.

— ხო იცი, — წამოიყვირა მან, — მეც ზუსტად ეგრე ვფიქრობდი. — მსხვილი სახსრიანი ხელების ზევით — ქვევით მოძრაობით სიტყვების რიტმს აჰყვა.

— აი, აქა ვარ და ღვთის მადლით ვქადაგებ, მადლიერი მრევლი სიხარულისგან ხტის და ყვირის. გოგოსთან წოლას ეშმაკი გიბიძგებსო, ამბობენ, მაგრამ რაც უფრო მეტი მადლი გადადის გოგოზე, მით უფრო ეჩქარება ბალახზე გაგორება. ჰოდა, მე რა დავაშავე, რა შუაშია ეშმაკი, როცა გოგო იმდენად სავსეა ღვთის მადლით, რო ყურებიდან და ცხვირიდან გამოსდის. ეშმაკს შანსი არა აქვს, ახლოსაც კი ვერ მივა. სინამდვილეში სუ სხვანაირადაა. — მღელვარებისგან თვალები გაუნათდა. პირის კუნთები აამუშავა და გადმოაფურთხა, ფურთხი მტვერში ამოიგანგლა, გაგორდა და ბოლოს პატარა მშრალ სორსლად იქცა. მქადაგებელმა ხელისგულზე ისე და-

იხედა, გეგონებოდათ წიგნს კითხულობდა. — ჰოდა, აი, ესეა, — ხმადაბლა თქვა მან. — ჩემი მრევლის სული ხელის გულზე მიდევს, მათ სულებზე პასუხისმგებელი ვარ. მე კი, ყოველი ქადაგების მერე ერთ-ერთ გოგოსთან ვწვები. — უმწეოდ გამოიყურებოდა. ისე უცქერდა ჯოულს, აშკარა იყო, რომ მისგან შველას ელოდა.

ჯოუდი მტვერში დიდი მონდომებით ხატავდა ქალის ტანს, მკერდს, თეძოებსა და მენჯებს.

— მქადაგებელი არასდროს ვყოფილვარ, — თქვა მან. — ვისი გამოჭერაც შემეძლო, ხელიდან არასდროს გამიშვია, არც აზრები მაწუხებდა და არც სინდისი, მარტო ის ვიცი, რო თუ კარგი გოგო ჩამივარდებოდა ხელში, ძალიან კმაყოფილი ვიყავი.

— მაგრამ შენ მქადაგებელი არ ყოფილხარ, — დაიჟინა კეისიმ, — შენთვის გოგო მხოლოდ გოგოა და მეტი არაფერი. ჩემთვის კი წმინდა ჭურჭელი იყო. მე მათი სულების ხსნა მევალებოდა. და რა გამოვიდა? ავავსებდი ღვთის მადლით და მერე ბალახში ვაგორავებდი.

— რა კაი იქნებოდა, მეც რო მქადაგებელი ვყოფილიყავი, — თქვა ჯოუდმა. თუთუნი და ქაღალდი ამოიღო, შეახვია, მოუკიდა და მოწკურული თვალებით კვამლის მიღმა დარჩენილ კეისის გახედა. — დიდი ხანია, ქალი არ მყოლია. უნდა ავინაზღაურო.

— ისე ვწუხდი, რო ძილი რა იყო, არ ვიცოდი. ქადაგებაზე რო მივდიოდი, ღმერთის წინაშე პირობას ვდებდი, თავს შევიკავებ-მეთქი, მარა რად გინდა! ვამბობდი და მაშინვე ვიცოდი, რო ისევ იმავეს ვიზამდი.

— ცოლი უნდა მოიყვანო, — უთხრა ჯოუდმა. — ჩვენთან ერთი მქადაგებელი ცხოვრობდა თავის ცოლთან ერთად. იეღო-

ველები იყვნენ. ზევით იძინებდნენ. ლოცვას ჩვენს ბოსელში ატარებდნენ. ლოცვის მერე ცოლს მაგრა ხვდებოდა, ბავშვები ვიყავით და ვუსმენდით ხოლმე

— კაია, რო მითხარი, ჯოუდ, მე მეგონა, ეგეთი მხოლოდ მე ვიყავი. ბოლოს ტკივილს ვეღარ გავუძელი, ყველაფერს შევეშვი და განზე გავდექი. იმის შემდეგ დღე არ ჩამიგდია, ამაზე რო არ მეფიქრა. — ფეხები მოხარა, წინ გადაიხარა და თითებშუა ჩამხმარი მტვერი გამოიფხიკა, — ჩემ თავს ვეკითხები: რას იტანჯები? რა არ გაძლევს მოსვენებას? რა და, ცოდვა. ეგ როგორ ხდება, რო კაცი, რომელიც იესოს ადიდებს და ცოდვას წინ სახედარივით გაბოტილი უნდა ედგეს, შემთხვევას არ უშვებს, რო შარვალი ჩაიხადოს? — ორი თითი ხელისგულზე ერთმანეთის მიყოლებით აათამაშა, თითქოს სიტყვების გვერდიგვერდ ალაგებდა. — ზოგჯერ ვფიქრობ, იქნებ ცოდვა არ არის-მეთქი, იქნებ კაცი ასეა მოწყობილი? იქნებ საკუთარ თავს არაფრის გამო ვამათრახებთ და ეშმაკის განდევნასაც იქიდან ვცდილობთ, სადაც არ არი? ამას წინათ ორი და გამახსენდა. აიღებდნენ სამფუტიან მავთულს და საკუთარ თავს დაუნდობლად სცემდნენ. ჰოდა, ვიფიქრე, იქნებ მოსწონთ ტკივილს რო განიცდიან-მეთქი, იქნებ მეც მომწონს თავს რო ვიტანჯავ? ამაზე რო ვფიქრობდი, მაშინ ხის ძირას ვიყავი წამოწოლილი, ფიქრში ჩამეძინა, რო გამეღვიძა, უკვე ბნელოდა. იქვე სადღაც კოიოტი ყმუოდა, უცებ გონება გამინათდა და ხმამაღლა ვთქვი: ჯანდაბას ყველაფერი! რა ცოდვა, რის სათნოება, მხოლოდ ის არი, რასაც კაცი აკეთებს, ეგრეა, და ყველაფერი ერთი მთელის ნაწილია, რადგან კაცი ხან კარგ საქმეს აკეთებს, ხან ცუდს და ამაზე ლაპარაკის უფლება ყველას აქვს, — შეისვენა და ხელისგულიდან, სადაც ცოტა ხნის წინ სიტყვები დაალაგა, თვალები ასწია.

ჯოუდი დამცინავი ღიმილით უცქერდა, თუმცა მის თვალებში ცნობისმოყვარეობა იკითხებოდა.

— აუ, რა გიმუშავია, რამდენი გიფიქრია, — თქვა ჯოუდმა.

კეისიმ ლაპარაკი განაგრძო. მის ხმაში ტკივილი და დაბნეულობა ისმოდა.

— ჩემ თავს ვეკითხები, საიდან მოდის ეს მოწოდება და მადლი? და ვპასუხობ: — სიყვარულისგან. ხალხი მიყვარს, გული სავსე მაქვს ხალხის სიყვარულით. მერე ისევ ვეკითხები ჩემ თავს — იესო არ გიყვარს? ვფიქრობ, ვფიქრობ და ბოლოს ვპასუხობ — არა, ეგეთს არავის ვიცნობ. კი, რაღაც ისტორიები მსმენია მასზე, მაგრამ მე ხალხი მიყვარს. ისე მიყვარს, რო გული ვეღარ იტევს, მინდა ბედნიერები გავხადო და იმას ვუქადაგებ, რაც სიხარულს მიანიჭებს მერე. აუჰ, რა ეშმაკი შემიჩნდა, რამდენს ვლაქლაქებ. ალბათ, გიკვირს, რა სიტყვებს ხმარობსო, რანაირად ლაპარაკობსო, მაგრამ იცი, რას გეტყვი? კარგი და ცუდი სიტყვები ჩემთვის აღარ არსებობს, არსებობს უბრალოდ სიტყვები, რომლითაც ხალხი ლაპარაკობს. კიდე ერთ რამეს გეტყვი, რაც მქადაგებლისგან ცოდვაა, მაგრამ მჯერა იმის, რაც უნდა გკითხო და იცოდე, რო მე მქადაგებელი აღარ ვარ.

— ეგეთი რა უნდა მკითხო? — გაიკვირვა ჯოუდმა.

კეისიმ მორცხვად შეხედა.

— თუ რამე ისე არ მოგეჩვენა, წყენად ნუ მიიღებ. კარგი?

— ცხვირში ნუ დამკრავ და მეტი არაფერი მეწყინება, — უპასუხა ჯოუდმა, — აბა, რა მოიფიქრე?

— ბევრი ვიფიქრე იესოზე და სულიწმინდაზე. ყველაფერი ღმერთს და იესოს რატო უნდა ავკიდოთ? იქნებ-მეთქი, ვიფიქრე, ადამიანების სიყვარულშია საქმე. იქნებ ადამიანის სულია სულიწმინდა და სულ ეგ არი, იქნებ ყველას ერთი დიდი

სული გვაქვს და ყველაში არი იმ დიდი სულის პატარა ნაწილი. ამაზე დიდ ხანს ვიფიქრე და მერე უცებ გამინათდა გონება. ვიცი, რო მართალი ვარ, დღემდე ეგრე მჯერა.

ჯოუდმა ძირს დაიხედა, თითქოს ამ პატიოსნად გამხელილ სიმართლეს თვალს ვერ უსწორებდა.

— მაგ აზრებით არც ერთ ეკლესიაში არ გაგაჩერებენ, — თქვა მან, — ამ მიწებიდან კინწისკვრით გაგაგდებენ. ხალხს ხტუნვა და ძახილი მოსწონს, თავს მაგ დროს მაგრა გრძნობენ. ბებიაჩემი რო სხვადასხვა ხმაზე დაიწყებდა ძახილს, ვერ მოთოკავდი. მუშტის ერთი დარტყმით ჯანიანი დიაკონის დაგდება შეეძლო.

კეისი დაფიქრებით უცქერდა.

— რაღაც მინდა გკითხო, რაც სუ მაწუხებს.

— მიდი, მკითხე. ზოგჯერ მეც მიყვარს ლაპარაკი.

— კარგი, — ნელა დაიწყო მქადაგებელმა, — შენ მე მაშინ მოგნათლე, როცა ღვთის მადლით სავსე ვიყავი. იმ დღეს ჩემი პირიდან ქრისტეს დიდება იღვრებოდა, შენ არ გემახსოვრება. გოგოს თმის ქაჩვით ერთობოდი.

— მახსოვს. — თქვა ჯოუდმა, — პატარა სუზი იყო. ერთი წლის მერე თითი მომტეხა.

— რამე სარგებელი თუ მოგიტანა იმ ნათლობამ? დაგეხმარა რამეში? უკეთესი გახდი?

ჯოუდი დაფიქრდა.

— არა�ა, არაფერი მიგრძნია.

— გავნო რამე? კარგად დაფიქრდი.

ჯოუდმა ბოთლი აიღო და მოსვა.

— არაფერი. არც კარგი მახსოვს რამე და არც ცუდი. უბრალოდ გავერთე და ეგ იყო, — კეისის ბოთლი გადააწოდა.

კეისიმ ამოიოხრა, ბოთლი მოიყუდა და დალია, მერე შეამჩნია, რომ ვისკი ძირამდე დასულიყო და ცოტა კიდევ მოსვა.

— რა კარგია, სუ ვფიქრობდი, ვინმეს ზიანი ხო არ მივაყენე-მეთქი.

ჯოუდმა პიჯაკისკენ გაიხედა. კუს თავი დაეხსნა და იქით ჰქონდა გეზი აღებული, საიდანაც წამოიყვანეს. ჯოუდი ერთხანს უცქერდა. მერე ნელა წამოდგა, კუ დააბრუნა და ისევ პიჯაკში შეახვია.

— ბავშვებისთვის საჩუქრები არა მაქ. — თქვა მან. — ამ კუს მაინც წავუყვან.

— სასაცილო არ არი? შენ რო გამოჩნდი, იმ წუთში მამაშენზე ვფიქრობდი. ერთი შევუარო, მოვინახულო-მეთქი. ურწმუნო კაცი იყო, როგორ არი?

— არ ვიცი, ოთხი წელია სახლში არ ვყოფილვარ.

— არც მოუწერია?

ჯოუდი შეიშმუშნა.

— წერა მაინცდამაინც არ ეხერხება. ხელის მოწერა თუ არი საჭირო, მშვენივრად ახერხებს, ფანქარს დაასველებს და თავის გვარს დაასვამს. მაგრამ წერილების წერა არ უყვარს. სუ ამბობდა, თუ კაცისთვის რამე მაქ სათქმელი, პირდაპირ ვეტყვი, რაღა ფანქრით ვჯღაბნოო.

— სამოგზაუროდ იყავი? — ჰკითხა კეისიმ.

ჯოუდმა უნდო თვალით გახედა.

— რა, ჩემზე არაფერი გაგიგია? ყველა გაზეთში გამოჭენებული ვიყავი.

— არაფერი. და რა არი? — კეისიმ ერთი ფეხი მეორეზე გადაიდო, ტანით ხეს მიეყრდნო და ცოტა ქვევით ჩაიწია. შუადღე გადასულიყო. მზემ ფერი იცვალა.

— გეტყვი და დავამთავროთ. ისევ მქადაგებელი რო იყო, არ გეტყოდი, რო ჩემთვის ლოცვები არ წამოგეწყო. — სიფრთხილით თქვა ჯოუდმა, ბოთლიდან ბოლო ყლუპი მოსვა და მოისროლა. ბრტყელი ყავისფერი ბოთლი მტვერში გაგორდა. — ოთხი წელი მაკალესტერში გავატარე.

კეისი მისკენ გადაიხარა, წარბები ისე ჩამოეჩაჩა, რომ მაღალი შუბლი კიდევ უფრო მაღალი გამოუჩნდა.

— არ გინდა მაგაზე ლაპარაკი? არაფერს გკითხავ, არ მაინტერესებს რამე ცუდი თუ ჩაიდინე...

— რაც ჩავიდინე, საჭირო რო გახდეს, კიდე ჩავიდენდი. ჩხუბში კაცი მოვკალი. ცეკვებზე ვიყავით და დავთვერით, იმან დანით დამჭრა. იქვე ნიჩაბი ეგდო, ავიღე და იმით გავუხეთქე თავი.

კეისის წარბები თავის ადგილს დაუბრუნდა.

— ესე იგი, სამარცხვინო არაფერი ჩაგიდენია?

— არა, — უპასუხა ჯოუდმა, — შვიდი წელი მომისაჯეს, გაითვალისწინეს, რო პირველად იმან დამარტყა დანა. ოთხ წელიწადში პირობითით გამომიშვეს.

— ოთხი წელი შენს ოჯახზე არაფერი იცი?

— როგორ არა, ორი წლის წინ დედამ გამომიგზავნა ბარათი, ამ შობას ბებიაჩემმა. ბიჭებმა საკანში მაგრა იცინეს, ბარათზე ნაძვის ხე ეხატა და ისე ბრჭყვიალებდა, კაცი იფიქრებდა, თოვლი აყრიაო. იქვე ლექსიც ეწერა:

ქრისტე ლმობიერია, ქრისტე თავმდაბალია,
შობა დადგა, გილოცავ. ეს დღე მშვენიერია.
საშობაო ხის ქვეშ, ჩემო, შენთვის საჩუქარი ძევსო.

მგონი, ბებიაჩემს არც კი წაუკითხავს. ალბათ ბარათები მეწვრილმანემ ჩამოატარა და ყველაზე ბრჭყვიალა ამოარჩია. ბიჭები საკანში სიცილით კინაღამ დაიხოცნენ. იმ დღის მერე თავმდაბალ ქრისტეს მეძახდნენ. რა იცოდა ბებიაჩემმა, სასაცილო თუ გახდებოდა. მოეწონა და თავი არ შეიწუხა, რო წაეკითხა. მე რო დამიჭირეს, სათვალე იმ წელს დაკარგა, ვინ იცის, იქნებ არ უპოვია.

— როგორ გექცეოდნენ მაკალესტერში? — ჰკითხა კეისმა.

— არა უშავს, საათობრივად გაჭმევენ, სუფთად გაცვია და საბანაო ადგილიც არის. უქალოდ ჭირს, თორე ისე არა უშავს — უცებ გაეცინა. — ერთი ბიჭი ჩემსავით პირობით გაათავისუფლეს. გარეთ რა ჯანდაბა მინდა, მამაჩემს არც შუქი აქვს, არც შხაპი, არც წიგნები და საჭმელიც უვარგისიაო, ამბობდა. იმიტო დავბრუნდი, რო აქ კარგი პირობები და საათობრივი კვებააო. გარეთ ვიძაბები, სუ იმაზე უნდა ვიფიქრო, რა გავაკეთო, რო გადავრჩეო. ჰოდა, მანქანა მოიპარა და უკან დაბრუნდა, — ჯოუდმა თუთუნი ამოიღო, ერთმანეთზე მიკრული ფურცლებიდან ერთი სულის შებერვით გამოაცალკევა და თუთუნი შეახვია. — ეს ბიჭი მართალი იყო. წუხელ რო გავიფიქრე, სად უნდა დავიძინო, კინაღამ გული გამისკდა. ჩემი საკანი გამახსენდა და ერთი პატიმარი, დიდი სასჯელი ჰქონდა, ნეტა რას აკეთებს-მეთქი. მე და რამდენიმე ბიჭი ანსამბლში ვუკრავდით, მაგარი იყო, ყველას მოსწონდა. ბიჭები გვეუბნებოდნენ, რადიოში უნდა გამოხვიდეთო. ამ დილას კი, რო გავიღვიძე, ავდგე თუ ადრეა-მეთქი, ვფიქრობდი და ზარის დარეკვას ველოდებოდი.

კეისიმ ჩაიცინა.

— შეჩვევა ისეთი რამეა, თუ შეეჩვევი, შეიძლება ხე-ტყის სახერხი ქარხნის ხმა ვეღარ გაიგო.

ნაშუადღევის მოყვითალო მტვრიანი სინათლე მიწას ოქროსფრად მოეფინა, სიმინდის ღეროებიც ოქროსფრად შეფერადდა. მერცხლების გუნდმა ზევით, წყლის გუბურისკენ გადაიფრინა. კუმ კიდევ ერთხელ სცადა გაქცევა. ჯოუდმა კეპის წინაფრა ისე მოკეცა, რომ ყვავის ნისკარტს დაამსგავსა.

— ნელ-ნელა გავუყვები, მზეში საშინელებაა სიარული, თუმცა ეხლა ისე აღარ იკბინება.

კეისი წამოიმართა.

— აღარც მახსოვს მამაშენი როდის ვნახე. ისედაც ვაპირებდი მის მონახულებას. შენს ოჯახში დიდი ხნის განმავლობაში შემქონდა ღვთის სიტყვა. ფული არასდროს ამიღია. საჭმელს მაჭმევდნენ და ეგ არი.

— წამოდი, — უთხრა ჯოუდმა, — მამაჩემს გაუხარდება. სუ ამბობდა, ეგეთი დაუდეგარი მქადაგებელი არ მინახავსო. — ქურთუკის ფუთა აიღო, კუ და ფეხსაცმელები მჭიდროდ გამოკრა.

კეისიმ ტილოს ფეხსაცმელები თავისკენ მისწია და შიშველ ფეხებზე ამოიცვა.

— მე ვერ ვბედავ. რა იცი, მტვრის ქვეშ რა არი, წვეტიანი მავთული თუ შუშის ნაჭერი. თითის გაჭრა სუ არ მინდა.

ერთხანს ჩრდილში შეიცადეს და ყვითელ სინათლეში ისე შეაჭრეს, თითქოს მცურავები იყვნენ და ნაპირზე გადასვლას ჩქარობდნენ. რამდენიმე სწრაფი ნაბიჯი გადადგეს, შემდეგ გზას დინჯად გაუდგნენ. სიმინდის ღეროების წაგვერდებული ჩრდილი მიწაზე გაფენილიყო, ჰაერში ცხელი მტვრის სუნი ტრიალებდა.

სიმინდის ყანები მწვანე ბამბის ბუჩქებით შეიცვალა. ფოთლები და ახლადწარმოქმნილი კოლოფები მტვრის ფენას დაეფარა. ნარგავები არათანაბრად გაზრდილიყო. დაბლობ ად-

გილებში, სადაც ტენი შედარებით დიდხანს ნარჩუნდება, ნარგავებს ფოთლები შერჩენოდათ, მაღლობებზე კი, მზესთან ბრძოლაში დამარცხებულები, შიშვლად იდგნენ. მწუხრის მუქი ფერები ჰორიზონტს გადაჰფარებოდა და მთლიანად დაებურა. წინ მტვრიანი გზა ტალღებივით ზევით-ქვევით ადი—ჩადიოდა. დასავლეთისკენ, მდინარის გასწვრივ, ტირიფები ჩამწკრივებულიყო, ჩრდილოდასავლეთით დაუმუშავებელ მიწას კი მეჩხერი ბუჩქნარი მოსდებოდა. ჰაერი ისე იყო მტვრით გაჟღენთილი, რომ ცხვირში ლორწო ხმებოდა და დაშრეტილი თვალებიდან ცრემლი ცვიოდა.

— ნახე, რა კარგი პირი უჩანდა მოსავალს, ქარს რო არ დაერტყა, — თქვა კეისიმ.

— რაც თავი მახსოვს, სუ ეგრე იყო. სუ კარგი მოსავლის მოლოდინში იყვნენ, მაგრამ ვერასდროს იღებდნენ. პაპაჩემი ამბობს, პირველი ხუთი წელი, სანამ ჩამპალი სარეველა ჯერ კიდე მიწაში იყო, კარგ მოსავალს ვიღებდითო, — უპასუხა ჯოუდმა.

გზა თავქვე დაეშვა და მალე პატარა გორაზე ავიდა.

— ტომის სახლი ერთი მილის მოშორებით უნდა იყოს. მესამე ასასვლელში არ არი?

— ჰო, — უპასუხა ჯოუდმა, — იქ არი, ვინმემ თუ არ მოიპარა, როგორც ერთ დროს მამაჩემმა ქნა.

— რა ქნა, სახლი მოიპარა?

— აბა! აქედან ჩრდილოეთით, მილ-ნახევრის მოშორებით იდგა და იქიდან მოათრიეს. ის ოჯახი აქედან აიყარა. პაპაჩემს, მამაჩემს და ჩემს ძმას, ნოას, მთელი სახლის გადმოტანა უნდოდათ, მაგრამ ვერ მოახერხეს და ნახევარი მოზიდეს. იმიტომაა გვერდიდან ეგეთი სასაცილო. შუაზე გადახერხეს, თორმეტი ცხენითა და ორი ჯორით მიადგნენ და წამოათრიეს.

მერე მეორე ნახევარიც მოინდომეს, ფიქრობდნენ შევაერთებთო, მაგრამ უინკ მენლიმ დაასწრო და მეორე ნახევარი თავის ბიჭებთან ერთად მოიპარა. ჩემები ძაან გაბრაზდნენ, მაგრამ მერე ერთად დალიეს და უნდა გენახა, რას იცინოდნენ. უინკი ხუმრობდა, ჩემი სახლი ატეხილია, თქვენი მოუყვანეთ, იქნება იბარტყონ და კაი საჭირო ოთახები გაგვიჩინონო. რო დათვრებოდა, მაგრა ხუმრობდა ხოლმე. ამ ამბის მერე უინკი და ჩვენები დაძმაკაცდნენ. შანსს არ უშვებდნენ, ერთად რო დაელიათ.

— ტომი მაგარია, — დაეთანხმა კეისი. თავქვე ეშვებოდნენ. ფეხის ყოველი გადადგმისას მტვერი ჰაერში იბნეოდა. მერე ნაბიჯი შეანელეს და აღმართს აუყვნენ. კეისიმ სახელოთი შუბლი მოიწმინდა, თავისი თავწაბრტყელებული ქუდი ისევ დაიხურა. — ჰო, — გაიმეორა მან, — მაგარია, უღვთო კაცის პირობაზე. ლოცვაზე ვხედავდი ხოლმე. ცოტა მადლიც რო გადასულიყო, ათი-თორმეტი ფუტის სიმაღლეზე იწყებდა ხტომას. უნდა გაცლოდი, რო ფეხებით არ გადაეჯეგე. ისე გიჟდებოდა, როგორც ბაკში დაბმული საჯიშე ცხენი.

შემდეგი აღმართი აიარეს. გზა არხის უშნო, ოღროჩოღრო კალაპოტზე გადადიოდა. რომელსაც ორივე მხარეს ოდესღაც ჩამდინარე წყლის ნაკადის ნაჭდევები ემჩნეოდა. ხიდის მაგივრობას რამდენიმე ქვა ასრულებდა. ფეხშიშველა ჯოუდმა ქვებზე ფრთხილად გადაიარა.

— მამაჩემს რა უშავს, შენ ძია ჯონი უნდა გენახა, პოლკების სახლთან ახლოს, ნათლობის დროს, რა გააკეთა; პიანინოს სიმაღლის კასიას ბუჩქს გადაახტა. ცოტა გაირბინა და ისევ გადმოახტა, თან მამალი მგელი რო მთვარეს შეჰყმუის, ისე ყმუოდა. მამაჩემმა დაინახა — თავი ხო ყველაზე მაგარი მხტომელი ეგონა იმ არემარეში — ჰოდა, ისეთი კასიას ბუჩქი

შეარჩია, რო ორჯერ იმაზე მაღალი იყო, დასაკლავი გოჭივით დაიჭყვიტინა. გაქანდა, გადაახტა და მარჯვენა ფეხი ამოიგდო. ეგ იყო და ეგ, მადლი დაკარგა. მქადაგებელი ეუბნება, მოდი, ვილოცოთ, რო ფეხი მოგირჩესო, და თავი დამანებე, ექიმი მომიყვანეთო. ექიმი სად იყო, ერთი გამვლელი დანტისტი იპოვეს და ფეხი იმან ჩაუსვა. მქადაგებელმა, ყოველი შემთხვევისთვის, ლოცვაც წაუკითხა.

არხის კალაპოტი გადაიარეს და პატარა აღმართს შეუდგნენ. მინავლებული მზე ისე აღარ აცხუნებდა, თუმცა ჰაერი ისევ ისე ვარვარებდა. გზის გასწვრივ მიწა დაბრეცილ ტოტებშუა გაბმული მავთულით შეეღობათ. მარჯვენა მხარეს ღობე ბამბის მინდვრებს შუაზე ჰყოფდა. ღობის ორივე მხარეს გამომშრალი მუქი მწვანე მტვრით დაფარული ნარგავები იდგა.

ჯოუდმა თითი ღობისკენ გაიშვირა.

— აი, ჩვენი მიწები. ღობე საჭირო არ იყო, მაგრამ მავთული გვქონდა და მამაჩემმა აიჩემა, შემოვღობოთ, ის მაინც მეცოდინება, ჩემი რა არიო. მავთული ერთხელ ძია ჯონიმ თავისი ურმით მოგვიტანა, ექვსი კოჭა იყო, მამაჩემს ღორში გაუცვალა. თითონ საიდან ჰქონდა ეს მავთული, არ ვიცით.

ნაბიჯი შეანელეს და აღმართს შეუდგნენ, რბილი, სქლად მოფენილი მტვრის ქვეშ მიწას გრძნობდნენ. ჯოუდი მოგონებამ წაიღო, თვალებზე ეტყობოდა, რომ რაღაც სასაცილო ახსენდებოდა.

— მაგარი გიჟი იყო ძია ჯონი, რო იცოდე, იმ ღორს რა უქნა, — ჩაეცინა და გზა განაგრძო.

ჯიმ კეისი მოუთმენლად ელოდა ამბის გაგრძელებას, მაგრამ ჯოუდი დუმდა. კეისიმ ცოტა ხანს დააცადა, ბოლოს მოთმინებამ უღალატა და ჰკითხა:

— აღარ იტყვი. რა უქნა იმ ღორს?

— აუჰ, იქვე დაკლა და დედაჩემს უთხრა, ღუმელი გაახურეო. მერე სუკი ჩამოაჭრა, ნაჭრებად დაჭრა, ტაფაზე დააწყო, ნეკნები და ბარკალი ღუმელში შეყარა. სანამ ნეკნები შეიწვებოდა, სუკის ნაჭრები შეჭამა, მერე, სანამ ბარკალი გამზადდებოდა, ნეკნებს მიადგა. ბოლოს ბარკალი დაითრია, გააცალა, რაც კი ხორცის ნარჩენი ჰქონდა და პირში ჩაიყარა. ბავშვები იქ ვიდექით და ნერწყვი გვდიოდა. ცოტა გვიწილადა, მაგრამ მამაჩემს პირი არ დააკარებინა. იმდენი ჭამა, ბოლოს არწყია და დაიძინა. მე, მამაჩემი და ბავშვები ბარკალს მივეპარეთ და რაც გადარჩა, შევჭამეთ. დილას ღუმელში კიდევ ერთი ბარკალი შეაგდო. მამაჩემი ეუბნება — ჯონ, სუ უნდა შეჭამო ეგ ოხერო ღორი? ის კი პასუხობს — ჰო, უნდა შევჭამო, მაგრამ მეშინია, სანამ დავამთავრებ, არ გაფუჭდეს. ცოტა აიღე და ერთი— ორი კოჭა მავთული დამიბრუნე. მამაჩემი გიჟი კი არ იყო. მიუშვა და იფიქრა თუ გინდა, გასკდომამდე ჭამე. ნახევარიც ვერ შეჭამა. მამაჩემი ეკითხება, რატო არ ამარილებო, მაგრამ ძია ჯონი ესეთია, რო შია, მთელი ღორი უნდა, გაძღება და თვალის დასანახად ვეღარ იტანს. ნახევარი ღორი დარჩა და რო წავიდა, მამაჩემმა დაამარილა.

— ეხლა მქადაგებელი რო ვიყო, მაგ ამბიდან გაკვეთილს გამოვიტანდი და ქადაგებას წაგიკითხავდი. შენ რას ფიქრობ, რატო მოიქცა ასე?

— რავი, აბა! — უპასუხა ჯოუდმა. — ალბათ, ღორის ხორცი ენატრებოდა. რო მახსენდება, ნერწყვი მომდის. ოთხი წლის განმავლობაში ოთხი ნაჭერი შემწვარი ღორის ხორცი მაქ მარტო ნაჭამი, თითო-თითო შობაზე.

— იქნებ კარგად ნასუქი ხბოც დაუკლას თავის უძღებ შვილს. ისე, როგორც საღმრთო წერილშია აღწერილი. — მრავალმნიშვნელოვნად თქვა კეისიმ.

— შენ მამას არ იცნობ, — ნაღვლიანად ჩაიცინა ჯოუდმა, — ქათამს რო კლავს, ქათამზე მეტს თითონ კაკანებს. ვერ ისწავლა კაცმა, ღორს სუ შობისთვის ინახავს და სექტემბერში რაღაც ისეთი დაავადებით უკვდება, რო ვერ ვჭამთ. ძია ჯონის კი არ ჰგავს. უნდა ხორცი? კლავს და ჭამს.

გორაკის თხემზე ავიდნენ; ქვევით ჯოუდების სამფლობელო გადაიშალა. ჯოუდი შეჩერდა:

— რაღაც ისე არ არის... სახლს შეხედე, რაღაცა მოხდა, არც არავინ ჩანს.

იდგნენ და რამდენიმე პატარა სახლს უცქერდნენ.

5.

დროდადრო მიწის მეპატრონეები, უფრო ხშირად კი მათი შუამავლები, დახურული მანქანებით აკითხავდნენ, მშრალ მიწას თითებით ფშვნეტდნენ, ამოწმებდნენ, ნიადაგის სინჯის ასაღებად ზოგჯერ დიდ ბურღებსაც იყენებდნენ. დახურული მანქანების დანახვისას არენდატორები გარეთ გამოეფინებოდნენ ხოლმე და მანქანების მოძრაობას თავიანთი გადახრიოკებული კარმიდამოდან შეშფოთებულ მზერას ადევნებდნენ. მერე შუამავლები ეზოებში შედიოდნენ, არენდატორებს მანქანიდან გადმოუსვლელად, ფანჯრებიდან ესაუბრებოდნენ. კაცები ერთხანს მანქანებთან იდგნენ, შემდეგ ჩაცუცქდებოდნენ, პატარა ჯოხებს აიღებდნენ და მტვერში ხატვას იწყებდნენ. ქალები ღია კარიდან იცქირებოდნენ. მათ უკან სიმინდის ფუჩეჩივით ყვითელთმიანი, თვალებგაფართოებული ბავშვები იდგნენ, ფეხს ინაცვლებდნენ და ცალის შიშველ ტერფს მეორე ფეხის წვივზე ისვამდნენ, თან თითებს არ აჩერებდნენ. კაცებსა და მეპატრონეებს შორის მოლაპარაკება იმართებოდა. ხმაგაკმენდილი ბავშვები და ქალები თავიანთ ოჯახის უფროსებს აკვირდებოდნენ.

ისეთი მეპატრონეებიც იყვნენ, თავაზიანობას რომ ინარჩუნებდნენ, რადგან სძულდათ ის, რისი გაკეთებაც უწევდათ, ისეთებიც, ბრაზს რომ ვერ იოკებდნენ, რადგან იცოდნენ, რომ სისასტიკე უნდა ჩაედინათ, და ისეთებიც, უკმეხად რომ საუბრობდნენ, რადგან ესმოდათ, უკმეხობა აუცილებელი პირობა იყო, სხვაგვარად მეპატრონეები ვერ იქნებოდნენ. ყოველი

მათგანი საკუთარ თავზე მეტად, რაღაც უფრო დიდზე იყო დამოკიდებული. არენდატორებთან ისინი ორ ანგარიშს მიჰყავდა — მათემატიკას, რომელსაც ზოგი ვერ იტანდა, ზოგს აშინებდა, ზოგი კი აღმერთებდა, რადგან გრძნობებისა და ფიქრებისაგან თავის დაღწევის საშუალებას იძლეოდა. თუ მიწა ბანკს ან ფინანსურ კომპანიას ეკუთვნოდა, შუამავლები სიტყვებს ასე აწყობდნენ: ბანკი. ფინანანსური კომპანია. ითხოვს. უნდა. სჭირდება. აუცილებელია. გეგონება, ბანკები ან ფინანსური კომპანიები მოაზროვნე ურჩხულები იყვნენ, რომლებსაც გრძნობებიც გააჩნდათ და მათ ხაფანგში გაბმას ცდილობდნენ. შუამავლები ვერაფერს გააწყობდნენ ბანკებსა და კომპანიებთან, რადგან ჩვეულებრივი კაცები იყვნენ, მონები, ბანკები კი მათი მანქანა— მბრძანებლები. ზოგი მათგანი ამაყობდა კიდეც ასეთ ცივსისხლიან, ძლევამოსილ მბრძანებელს რომ ემონებოდა, მანქანებში ისხდნენ და არენდატორებს უხსნიდნენ: მიწა გამოიფიტა. აღარაფერს იძლევა. ღმერმა იცის, რამდენი ხანია ჩიჩქნით.

ჩაცუცქულები თავებს აქნევდნენ, ფიქრობდნენ, მტვერში რაღაცას ხატავდნენ; ჰო, ესმოდათ, იცოდნენ, ღმერთია მოწამე, ქარი რომ არ ამოვარდნილიყო, მტვერი მიწას რომ არ გადაკვროდა, საქმე ასე ცუდად არ იქნებოდა.

შუამავლები მათ დარწმუნებას განაგრძობდნენ: ხომ იცით, მიწა გამოშრა, ხომ იცით, რას უშვება ბამბა მიწას, სისხლს წოვს, აუძლურებს.

ჩაცუცქებულები ისევ თავებს აქნევდნენ. ღმერთია მოწამე, იცოდნენ, ბამბის ნაცვლად სხვა რამის დათესვა რომ შესძლებოდათ, მიწას სასიცოცხლო ძალები დაუბრუნდებოდა.

მაგრამ უკვე გვიანაა და შუამავლები დიდი ურჩხულის, მათი მბრძანებლის ფიქრებსა და ხრიკებს უზიარებდნენ. რა

თქმა უნდა, მაშინაც კი შეუძლიათ დარჩნენ, თუ მხოლოდ საკვებსა და გადასახადებზე ჰყოფნით, დიახ, მაგრამ ერთხელაც მოსავალმა რომ უღალატოთ, მეტი გზა არ ექნებათ და ფულის სასესხებლად ბანკს მიადგებიან. ბანკები ან კომპანიები ჩვენსავით ჰაერით კი სუნთქავენ ან დამარილებული ღორის ხორცით კი არ იკვებებიან. არა, ისინი მოგებით, ფულზე დარიცხული პროცენტით სუნთქავენ. თუ სასუნთქი გზა გადაეკეტათ, კვდებიან, ისევე, როგორც ჩვენ ვკვდებით ჰაერისა და ხორცის გარეშე. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ასეა.

ჩაცუცქულები თავებს ზევით სწევდნენ. იქნებ გაიაზრონ როგორ მოიქცნენ. ერთი წელი რომ გვადროვოთ? ვინ იცის, რა კარგი მოსავალი მოვიდეს, ქვეყნებში ომები მიდის, იქნებ ბამბას რა ფასი დაედოს. ასაფეთქებლებს ბამბისგან არ ამზადებენ? უნიფორმებს? გაისად ომი თუ იქნება, ბამბის ფასი ცაში ავა. ეგრე არ არის?

ჩვენ მაგაზე ვერ ვიქნებით დამოკიდებული. ურჩხულმა ყოველ წამს უნდა მოიგოს. ვერ იცდის, მოკვდება. გადასახადების შეჩერება არ გამოვა. როცა ურჩხული არ იზრდება, ის კვდება. სხვანაირად არ შეუძლია.

მოვლილი, ფაქიზი თითები მანქანის ფანჯრის ჩარჩოზე იწყებდნენ კაკუნს; დაკოჟრილები კი, პატარა ჯოხებს, რომლითაც მტვერში შეუჩერებლივ ხატავდნენ, უფრო მაგრად ებღაუჭებიან. მზით გამომწვარი სახლების ღია კარებში ქალები ოხრავდნენ, ფეხს ინაცვლებდნენ და იმ ფეხის ტერფს, რომელსაც ეყრდნობოდნენ, მეორე ფეხის წვივზე ისვამდნენ. თან თითებს არ აჩერებდნენ. ძაღლები შუამავლების მანქანებთან ახლოს მიდიოდნენ, ყნოსავდნენ, ერთიმეორის მიყოლებით ოთხივე ბორბალთან მიდიოდნენ და რწყავდნენ. ქათმები გახურებულ მტვერში ისხდნენ, ბუმბულს იბუებდნენ და კანიდან

მტვრის ჩამოყრას ცდილობდნენ. პატარა საღორეებში ტალახიან ნარჩენებში ჩაგორებული ღორები გაოცებულები ღრუტუნებდნენ.

ჩაცუცქულები თავებს ისევ ხრიდნენ. ჩვენგან რას ითხოვთ? მოსავლის წილის შემცირება შეუძლებელია, ლამის შიმშილით დავიხოცოთ, ბავშვები მშივრები გვყავს. ტანსაცმელი არ გვაქვს, რაც გვაქვს, დაფხრეწილია, ყველა რომ ასეთ დღეში არ ვიყოთ, მეზობლებს ერთმანეთის შეგვრცხვებოდა და ლოცვაზეც ვერ ვივლიდით.

ბოლოს შუამავლები მთავარ სათქმელთან მიდიოდნენ. საარენდო სისტემა აღარ მუშაობს. ერთ ტრაქტორისტს თორმეტი-თოთხმეტი ოჯახის ჩანაცვლება შეუძლია. გადაუხადე ხელფასი და მთელი მოსავალი შენია. სულ არ გვინდა, მაგრამ ასე უნდა მოვიქცეთ. ურჩხული თავს კარგად ვერ გრძნობს, რაღაც დაემართა.

მიწასთან ერთად ბამბას გაანადგურებთ.

ვიცით, სანამ გავანადგურებთ, მოსავალს ავიღებთ. მერე გავყიდით. აღმოსავლეთში უამრავი ოჯახია, ვისაც უნდა, რომ მიწის მეპატრონე გახდეს.

არენდატორებს აღელვება ეტყობოდათ. ჩვენ რა ვქნათ? რა ვჭამოთ? ოჯახს რა ვაჭამოთ?

თქვენ აქედან უნდა აიბარგოთ. გუთნები ეზოებიდან უნდა გაიტანოთ.

ასეთ დროს ჩაცუცქულები ფეხზე წამოხტებოდნენ და აყაყანდებოდნენ. ეს მიწა ჩვენმა პაპებმა ბრძოლით მოიპოვეს. ინდიელები დახოცეს და ვინც გადარჩა, აქედან გაყარეს. მამები აქ დაიბადნენ, მთელი ცხოვრება სარეველასა და გველებს ებრძოდნენ. მერე უნაყოფო წელი დადგა და ცოტა ფულის სესხება დასჭირდათ. ჩვენც აქ დავიბადეთ. — კარისკენ

უთითებდნენ — ჩვენი ბავშვებიც აქ დაიბადნენ და ჩვენს მამებსაც ფული გაუხდათ სასესხებელი. მერე მიწა ბანკმა წაიღო, მაგრამ აქედან ფეხი არ მოგვიცვლია, მოსავლიდან ცოტა მაინც გვრჩებოდა.

ვიცით, ყველაფერი ვიცით. ჩვენ არაფერი გვინდა, ბანკი ითხოვს. ბანკი ან ორმოცდაათი ათასი აკრის მეპატრონეები კაცები ხომ არ გგონიათ. ისინი ურჩხულები არიან.

მართალია, ყვიროდნენ არენდატორები, მაგრამ ეს ჩვენი მიწებია, ჩვენ მოვზომეთ და ჩვენ ვაქციეთ ყანებად. აქ დავიბადეთ, აქ გვხოცავდნენ, აქ ვკვდებოდით. ვარგა თუ არ ვარგა, ჩვენია და იცით რატომ? იმიტომ, რომ აქ ვიბადებოდით, ამ მიწას ვამუშავებდით და აქ ვიმარხებოდით. ეს გვაძლევს მესაკუთრეობის უფლებას და არა ქაღალდზე დაჯღაბნილი ციფრები.

ვწუხვართ, ძალიან ვწუხვართ, მაგრამ ჩვენ კი არა, ბანკი მოითხოვს, ის ხომ კაცი არ არის. ურჩხულია. ურჩხული.

დიახ, მაგრამ იქაც ხომ კაცები მუშაობენ.

ცდებით, ძალიან ცდებით. ნებისმიერ კაცს, ვინც იქ მუშაობს, ეზიზღება, რასაც ბანკი აკეთებს, მაგრამ ბანკი თავისას არ იშლის, ბანკი უფრო მეტია, ვიდრე ერთად აღებული კაცები. ის ურჩხულია, რომელიც კაცებმა შექმნეს, მაგრამ ვეღარ მართავენ.

პაპებმა ინდიელები დახოცეს. მამებმა გველები, ჩვენ ბანკებს გავანადგურებთ, ეგენი გველებსა და ინდიელებზე უარესები არიან, — ღრიალებდნენ არენდატორები.

აქ შუამავლებს მოთმინების ძაფი უწყდებოდათ — წასვლა მოგიწევთ!

ჩვენია, ღრიალებდნენ არენდატორები. ჩვენ...

არა. ურჩხულისაა. უნდა წახვიდეთ!

იარაღი რომ ავიღოთ, როგორც ჩვენმა პაპებმა აიღეს, როცა ინდიელები დაესხნენ თავს, რას იზამთ?

ჯერ პოლიცია ამოვა, მერე ჯარი. თუ დარჩებით, სხვისი ქონების მიტაცებაში დაგადანაშაულებენ, თუ ისვრით, მკვლელობაში. ურჩხული კაცი არ არის, მაგრამ თვითონ რაც უნდა, კაცებს იმას აკეთებინებს.

და სად წავიდეთ, როგორ წავიდეთ? ფული არ გვაქვს.

ვწუხვართ, ამბობდნენ შუამავლები, ბანკს და ორმოცდაათი ათასი აკრის მფლობელს ეგ არ აინტერესებთ. თქვენ სხვის მიწაზე ცხოვრობთ. იქნებ მოასწროთ და შემოდგომაზე ბამბის კრეფაში მიიღოთ მონაწილეობა, იქნებ შემწეობაც მოგცენ. კალიფორნიაში წასვლაზე არ გიფიქრიათ? იქ სამუშაოს მოძებნა არ ჭირს, თან სულ თბილა, სადაც გაიხედავ, ყველგან ფორთოხალს კრეფენ, სულ რაღაცის მოსავალს იღებენ, რომელიმეში ჩაერთვებით. ურიგო არ იქნება, იქ თუ გადასახლდებით.

შუამავლები მანქანებს ქოქავდნენ და მიდიოდნენ.

არენდატორები ისევ ჩაცუცქდებოდნენ, ისევ იწყებდნენ ჯოხით მტვერში ხატვას, ფიქრობდნენ, ანგარიშობდნენ. გარუჯულ სახეებზე დასიცხული თვალები უელავდათ. დამფრთხალი ქალები სახლებიდან გამოდიოდნენ და თავიანთი კაცებისკენ მიემართებოდნენ. დედებს ამოფარებული შეშინებული ბავშვები მზად იყვნენ გასაქცევად. მოზრდილი ბიჭები მამების გვერდით ცუცქდებოდნენ, ასე კაცებად გრძნობდნენ თავს. ცოტა ხნის შემდეგ ქალები ცნობისმოყვარედ იკითხავდნენ: რა უნდოდათ?

კაცები წამით ცას მიაპყრობდნენ ტკივილით სავსე თვალებს: — აქედან წასვლა მოგვიწევს. ტრაქტორის ზედამხედველი, რაღაც ფაბრიკის მსგავსი...

— სად უნდა წავიდეთ? — ეკითხებოდნენ სასოწარკვეთილი ქალები.

— არ ვიცი, არ ვიცით...

ქალები წინ ბავშვებს გაიძღოლებდნენ და უსიტყვოდ ბრუნდებოდნენ თავ-თავიანთ სახლებში. იცოდნენ, ასეთ უსაშველო ტკივილს შეიძლება კაცებისთვის თავგზა ისე აერია, ისე გაფიცხებულიყვნენ, რომ ბოღმა ყველაზე საყვარელ ადამიანებზე გადმოენთხიათ. კაცებს მარტო ტოვებდნენ — ხატონ მტვერში და იფიქრონ

ცოტა ხანში კაცები წამოიშლებოდნენ და კარ-მიდამოს გადახედავდნენ — ეს წყალსაქაჩი ათი წლის წინათ დააყენეს, ბატის კისერივით მოხრილი მილის ტუჩი რკინის ყვავილივით რომ უბოლოვდება, ამ მორზე ვინ იცის რამდენი ქათმისთვის წაუცლიათ თავი, ფარდულის ქვეშ გუთანია, სახურავის ძელზე ვარცლი კიდია.

სახლებში ბავშვები დედების გარშემო ტრიალებდნენ. დედა რა გვეშველება? სად უნდა წავიდეთ?

დედები დაყვავებით პასუხობდნენ: ჯერ არ ვიცით. გადით და წყნარად ითამაშეთ. კაცებისგან თავი შორს დაიჭირეთ. თორემ შეიძლება, მაგრად მოგხვდეთ. ქალები საქმეს უბრუნდებოდნენ, თან მტვერში ჩაცუცქულ, თავგზაარეულ ქმრებს თვალს არ აშორებდნენ.

ტრაქტორებმა გზიდან მინდვრებისკენ გადაუხვიეს; გაუმაძღარი უხერხემლო ცხოველებივით მიბობღავდნენ, მუხლუხებით მიწას ღარავდნენ და დიდ ბელტებს ისროდნენ. დიზელზე მომუშავე ტრაქტორები, სანამ უმოქმედოდ იდგნენ, დახშული ხმით გუგუნებდნენ, რომ ამოძრავდნენ, დაიჭექეს და კვლები თანაბარი გუგუნით გაიტანეს.

ბრტყელცხვირა ურჩხულები მიწაში დინგებს ჰყოფდნენ, ჰაერში მტვერს აბნევდნენ და შეუჩერებლივ მოძრაობდნენ ზევიდან ქვევით, მარჯვნიდან მარცხნივ, არად დაგიდევდნენ ღობეებს, ეზოებს, ხრამებს. წინ დაუნდობლად მიიწევდნენ და გორებს, ხევებს, ღობეებსა და სახლებსაც კი არ ერიდებდნენ.

კაცი, რკინის სკამებზე რომ იჯდა, ადამიანს არ ჰგავდა — ხელთათმანები, სათვალე, ცხვირ-პირზე აფარებული მტვრისგან დამცავი ნიღაბი, გეგონებოდათ ურჩხულის ნაწილები იყო, თითქოს სკამზე რობოტი დასკუპებულიყო. მთელ არემარეზე ცილინდრების გრუხუნი ისმოდა, მათი ხმა ჰაერსა და მიწას შერწყმოდა და ახლა ერთად, შეხმატკბილებულად თრთოდნენ და გუგუნებდნენ. ტრაქტორები ისე მოძრაობდნენ, იფიქრებდით, მათ მართვაში კაცის ხელი არ ურევიაო — მთელ მიდამოზე, კუთხიდან კუთხემდე დაბობღავდნენ, გზას ათობით ფერმაზე ჭრიდნენ და უკან ბრუნდებოდნენ. მართვის ბერკეტზე ერთი მსუბუქი შეხება და ნებისმიერი მიმართულებას შეიცვლიდა, მაგრამ ტრაქტორისტს ეს თავში აზრადაც არ მოსდიოდა, რადგან ურჩხული, რომელმაც მისი მანქანა შექმნა და რომელმაც ტრაქტორი აქეთ გამოუშვა, მის ხელებს, გონებასა და კუნთებს მართავდა, თვალებზე სათვალე ააფარა და მხედველობა დაუშრიტა, გონება დაუბნელა, ნიღაბი ააკრა და მეტყველების უნარი დააკარგვინა, შეგრძნება დაუჩლუნგა, ამბოხი ჩაუხშო. ამიტომაც მიწას ვერ ხედავდა, მის სურნელს ვერ შეიგრძნობდა, ამ მიწის ბელტებს ფეხებით არ ფშვნიდა, მის ძლიერებას ვერ აღიქვამდა. რკინის სკამზე იჯდა და ფეხს რკინის მუხრუჭიდან არ იღებდა. იმას, რაც მას ძალაუფლებას მატებდა, ვერც ტაშს დაუკრავდა, ვერც სცემდა, ვერც შეაჩვენებდა და ვერც გაამხნევებდა, ამიტომ ისიც არ შეეძლო, რომ საკუთარი თავი შეექო, დაეგმო, ან გაემათრა-

ხებინა. რა იცოდა მძღოლმა, რა იყო მიწა, არც არასდროს ჰქონია და არც სარჩო-საბადებელს შევედრებია. დიდი ამბავი თუ მიწაში ჩაგდებული თესლი არ გაღვივდა; რა მოხდა, თუ ნერგები გვალვამ გაახმო ან წვიმამ დაალპო. ეს ყველაფერი ტრაქტორისტს ისევე ანაღვლებდა, როგორც ტრაქტორს.

მას რომ უყვარდა ეს მიწა, ისე ბანკირებსაც უყვარდათ; ტრაქტორი კი აღაფრთოვანებდა — ქარხანაში გამოჩარხული ზედაპირი, მოზღვავებული ძალა, ცილინდრების გრუხუნი. მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ მისი საკუთრება არც ტრაქტორი იყო. პრიალა დისკები მიგორავდა და მიწას ბასრი პირით ჭრიდა — ხვნას კი არა, ქირურგიულ ოპერაციას უფრო ჰგავდა — მოჭრიდა მიწას და მარჯვნივ გადაუშვებდა, სადაც დისკების მეორე წყება ანაწევრებდა და შემდეგ მარცხნივ უბიძგებდა; ამასობაში დისკები კიდევ უფრო პრიალდებოდა. დისკების უკან, ფარცხი პატარ-პატარა გოროხებს რკინის კბილანებში ატარებდა, ფშვნიდა და ვარცხნიდა. ფარცხის უკან გრძელი სათესელები, საამქროში ჩამოსხმული ამძრავი კბილანების ტრიალით გახელებული რკინის თორმეტი მოღუნული პენისი მიწას თანმიმდევრობით, ვნების გარეშე აუპატიურებდა. რკინის სკამზე მოკალათებული ტრაქტორისტი ამაყობდა კვლებით, რომლის გაყვანაც თვითონ არასდროს სდომებია, ტრაქტორით, რომელიც არ უყვარდა და მას არ ეკუთვნოდა, ძალაუფლებით, რომელიც სხვათა მიერ იყო მართული. სადღა იყვნენ კაცები, მოსავლის აღების შემდეგ თბილი მიწის გოროხს ხელით რომ ფშვნეტდნენ და გაფხვიერებულს თითებშორის ატარებდნენ, ან ისინი, ვინც თესლს ხელით ეხებოდნენ და ნაყოფის გამოღებას ევედრებოდნენ. ხალხი იმას ჭამდა, რის მოწევაზეც თვითონ არ უზრუნია. მათ პურთან აღარაფერი აკავშირებდათ, მიწას რკინა ანაყოფიე-

რებდა და რკინა აბერწებდა, აღარც უყვარდა ვინმეს და აღარც სძაგდა, აღარც ვედრება ისმოდა და აღარც წყევლა.

ზოგჯერ, შუადღისას, ტრაქტორისტი რომელიმე მდგმურის სახლთან ახლოს სასაუზმოდ ჩამოჯდებოდა ხოლმე. გასანთლულ ქაღალდში გახვეული სენდვიჩი, თეთრი პური, მჟავე კიტრი, ყველი, ძეხვი, ღვეზელის ნაჭერი — ყველაფერი, მანქანის ძრავის ნაწილების მსგავსად იარლიყდაკრული იყო. იჯდა და სწრაფად, სიამოვნების გარეშე ჭამდა. არენდატორები, რომლებიც ჯერ არსად წასულიყვნენ, გარეთ გამოეფინებოდნენ და აკვირდებოდნენ, ის კი ჯერ სათვალეს იხსნიდა, მერე მტვრისგან დამცავ ნიღაბს, რომელსაც თვალების, ცხვირისა და პირის გარშემო დიდი თეთრი წრეები დაეტოვებინა. ტრაქტორის გამოსაბოლქვი მილი თავისთვის ფრუტუნებდა. რადგან საწვავი ძალიან იაფი იყო, მძღოლი ჩართულს ტოვებდა, რომ ყოველ ჯერზე ახლიდან არ გაეხურებინა. ძონძებში გამოხვეული ცნობისმოყვარე ბავშვები შემწვარ ცომს შეექცეოდნენ და მძღოლს დამშეულ თვალებს არ აშორებდნენ. ქაღალდშემოცლილი სენდვიჩის, მჟავე კიტრის, ყველისა და ძეხვის სუნზე ნერწყვი სდიოდათ, იდგნენ და უსიტყვოდ აკვირდებოდნენ მძღოლის ხელის მოძრაობას, ლუკმა პირთან რომ მიჰქონდა. ღეჭავდა თუ არა, აღარ აინტერესებდათ. მათი თვალები მხოლოდ ხელით პირისკენ წაღებულ სენდვიჩს ხედავდა. რომელიმე არენდატორი, რომელსაც იქაურობის დატოვება ვერ გადაეწყვიტა, ტრაქტორს მიუახლოვდებოდა და ჩრდილში ჩაცუცქდებოდა:

— შენ ჯო დევისის ბიჭი არა ხარ?

— ჰო, მე ვარ, — პასუხობდა იგი.

— რატო მოკიდე ესეთ სამუშაოს ხელი, რატო წახვედი შენი ხალხის წინააღმდეგ?

— სამი დოლარი დღეში. მომბეზრდა საჭმლისთვის ვიღაცის ფეხქვეშ გაგება და ნახევრად მშიერი ცხოვრება. ცოლშვილი მყავს, რამე ხომ უნდა ვაჭამო, სამი დოლარი დღეში, თან მუდმივი სამუშაო მაქვს.

— გასაგებია. მაგრამ მაგ შენი დღეში სამი დოლარის გამო თხუთმეტი-ოცი ოჯახი სუ მშიერი დარჩა. დაახლოებით ას კაცს სახლ-კარის მიტოვება და გზებზე ხეტიალი მოუწევს. გაიგე?

— ეგ ჩემი საქმე არ არის, ჩემს ბავშვებზე დარდი მეყოფა. ყოველდღე სამი დოლარი მაქ. დრო იცვლება, მისტერ, ორი, ხუთი, ათი ათასი აკრი და ტრაქტორი თუ არ გაქვს, მიწით თავს ვერ ირჩენ. სახნავ-სათესი მიწები ჩვენნაირი პატარა ხალხისთვის არ არის. რატომ იმაზე არ ჩივით, „ფორდებს“ ვერ ვუშვებთ ან სატელეფონო კომპანიას ვერ ვმართავთო, შეუძლებელია და იმიტომ. არა? ჰოდა, ეხლა მიწით ცხოვრებაც შეუძლებელია. რას იზამ. ესეა. სამსახური უნდა იშოვო, სადაც სამ დოლარს გადაგიხდიან, მეტი გზა არ არის.

მძღოლის პასუხი არენდატორს საგონებელში აგდებდა.

— უცნაურია. კაცს პატარა მიწის ნაკვეთი მაინც თუ ეკუთვნის, ის მიწის ნაწილი ხდება, მას ემსგავსება: იმ მიწაზე დადის, უვლის, წუხს, როცა გვალვა აშრობს, უხარია, როცა წვიმს; მიწა მისი მარჩენალია. კაცი თუ მიწის პატრონია, უფრო ძლიერია, მაშინაც კი, როცა ის არაფერს იძლევა. ეს ესეა, — და არენდატორი ხმამაღლა ფიქრს განაგრძობდა, — მაგრამ თუ კაცი დროს ვერ ნახულობს, რომ საკუთარ მიწას უყუროს, ზედ იაროს, ხელით შეეხოს, მაშინ პატრონი მიწა გამოდის. კაცი კი არა, კაცს რა უნდა, ან რას ფიქრობს, არავინ ეკითხება, საკუთრება ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე თვითონ კაცი. გამოდის, რომ შენი საკუთრების მსახური ხდები. ესეც ესეა.

მძღოლი ღვეზელს ჩაახრამუნებდა და შემოცლილ იარ-ლიყს იქვე მოისროდა.

— დრო იცვლება, რა, ვერ ხვდებით? მაგ რაღაცებზე ფიქ-რით ბავშვებს ვერ გამოკვებავ. სამდოლარიანი სამსახური იშოვე და ბავშვებს აჭამე, სხვის ბავშვებზე დარდი შენ არ გე-ვალება, საკუთარს მიხედე. თუ გაიგეს, რასაც ლაპარაკობ, არავინ არაფერს მოგცემს. იცოდე, არცერთი ბობოლა გადა-გიხდის სამ დოლარს, თუ იცის, რო იმ სამი დოლარის გარდა, კიდევ რამეზე ფიქრობ.

— მაგ სამი დოლარის გამო ასი ოჯახი გზაზე ვართ გამოსუ-ლი, სად წავიდეთ?

— კარგად გამახსენე, აჩქარდით, ნასადილევს ეზოებში შევდივარ.

— ამ დილას ჭა უკვე ჩააქციე.

— ჰო, ხაზი სწორად უნდა დამეჭირა. სადილის შემდეგ ეზო-ში შემოვალ. ეგრეა საჭირო. კვლები სწორი უნდა იყოს. მამა-ჩემზე, ჯო დევისზე, მითხარი ვიცნობო და გაფრთხილებ — ბრძანება მაქვს მიღებული, იმათთან დაკავშირებით, ვინც ჯერ არ წასულა, — ტრაქტორი სახლთან უნდა მივაყენო და გვერ-დი გავკრა და დავაზიანო — ერთი-ორი დოლარით მეტს ვიშო-ვი. უმცროს შვილებს ჯერ ფეხსაცმელი არ ღირსებიათ.

— ჩემი ხელით ავაშენე, ძველ გაღუნულ ლურსმნებს ვას-წორებდი, სახლი სახურავის ქვეშ რომ მომექცია, ძელები კო-ჭებზე შესაფუთი მავთულით მაქვს მიმაგრებული. ჩემია, მე ავაშენე. დაანგრევ და იქ ვიქნები. ფანჯრიდან თოფს დაგიმიზ-ნებ. ახლოს მოხვალ და ღორივით გაგაგორებ.

— მე ვინ მეკითხება, უბრალოდ სამუშაოს დავკარგავ, თუ არ დავემორჩილები. მისმინე. დავუშვათ, მომკალი, მერე რა იქნება? ჩამოგახრჩობენ. მაგრამ ვიდრე ჩამოგახრჩობენ,

სხვა ტრაქტორისტი მოვა და სახლს ის დაგინგრევს. ვინც საჭიროა, ის მოკალი, მე რა შუაში ვარ.

— მართალია. ვინ გასცა ბრძანება? ჩავუსაფრდები, სულს გავაფრთხობინებ.

— მაგაშიც ცდები. იმან ბრძანება ბანკიდან მიიღო. დაავალეს, ყველა გამოასახლეთ ან სამუშაოს დაემშვიდობეთო.

— პრეზიდენტი ხომ ჰყავს ბანკს. დირექტორები, იარაღს გავტენი და ბანკში წავალ.

— ამას წინათ ვიღაც მეუბნებოდა, ბანკებმა ბრძანება ჩრდილოეთიდან მიიღესო — მიწა მომგებიანი გახადეთ, თორე ყველას დაგხურავთო.

— სადმე ხომ უნდა გაჩერდეს? აბა, ვის ვესროლო? სანამ შიმშილით სული გამძვრება, ის უნდა მოვკლა, ვინც შიმშილამდე მიმიყვანა.

— რა ვიცი, იქნებ არავის. ვინც შიმშილამდე მიგიყვანა, იქნებ კაცი არ არის და როგორც ამბობდი, შენი საკუთრება მიდის შენ წინააღმდეგ. ესეა თუ ისე, მე გითხარი, რისი გაკეთებაც მევალება.

— რამე უნდა მოვიფიქრო, ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ, ჭექა-ქუხილი ან მიწისძვრა ხომ არ არის, რომ ვერ შევაჩეროთ. ბოროტებას კაცი სჩადის, ესე იგი, ღვთის ნებით, გამოსწორება შეიძლება.

არენდატორი კარისკენ წავიდოდა, ტრაქტორი დაიქუხებდა და მუხლუხებს დაატრიალებდა, უკან კვლებს გაიყოლებდა, ფარცხი მიწას დავარცხნიდა, სათესელას ფალოსი მიწაში თესლს ჩაასრიალებდა, მერე ვიღაცის კარ-მიდამოს გადაუვლიდა, გამომხმარ, ფეხით გათელილ მიწას დათესილ ყანად გადააქცევდა და თავის საქმეს გააგრძელებდა. მოუხვნელი ზოლი ათ ფუტამდე მცირდებოდა. ტრაქტორი უკან ბრუნდე-

ბოდა, რკინის გვერდს სახლის კუთხეს გაჰკრავდა, კედელს ჩამოშლიდა, საძირკვლიდან გადასწევდა და პატარა სახლი გაჭყლეტილი ბაღლინჯოსავით გვერდულად ვარდებოდა. სახეზე რეზინის ნიღაბაფარებულ მძღოლს სათვალე ეკეთა. აგრუხუნებული ტრაქტორი სწორ კვლებს ავლებდა. ჰაერი და მიწა თრთოდა, იარაღმომარჯვებული არენდატორის გვერდით ცოლი, უკან კი ხმაგაკმენდილი ბავშვები იდგნენ და ტრაქტორს ერთად უცქერდნენ.

6.

ღირსი მამა კეისი და უმცროსი ტომი გორაკიდან ჯოუდების სამფლობელოს გადაჰყურებდნენ. პატარა შეუღებავი სახლი გვერდზე გადაქანებულიყო, აშკარად კუთხიდან მიუდგნენ, დაარტყეს და საძირკვლიდან გადასწიეს; ჩაბნელებული ფანჯრები მაღლა, ჰორიზონტის ხაზის ზევით იყურებოდა. ღობეები მოენგრიათ, მთელ კარმიდამოზე, სახლთან ახლოს, ფარდულისა და გადაქცეული საპირფარეშოს გვერდით, ბამბა დაერგოთ. ცხენის ჩლიქებითა და ურმის თვლებით გადათელილი ადგილები, სადაც ერთ დროს ფეხშიშველა ბავშვები დარბოდნენ, მოეხნათ და ახლა ბამბის მტვერწაყრილი, მუქი მწვანე ბუჩქები ხარობდა. ცხენების ამომშრალ სარწყულებელს თავს გაქუცული ტირიფი დასტიროდა. ბეტონის სადგამზე, ერთ დროს, წყალსაქაჩი იდგა... უმცროსი ტომი ადგილზე გაშეშდა.

— ღმერთო! — როგორც იქნა, ხმა ამოიღო, — რა ჯანდაბა მოხდა! კაციშვილი არ ჭაჭანებს, — გორაკიდან სწრაფად დაეშვა, კეისი უკან მიჰყვა. ტომმა ბეღელში შეიხედა, შიგ არავინ იყო, იატაკზე ცოტაოდენი ჩალა ეყარა. ჯორის სადგომიც ცარიელი დახვდა. ჯოუდის დანახვაზე დამფრთხალი თაგვები ფართხაფურთხით შეიმალნენ ჩალის ქვეშ. ჯოუდი ერთხანს ხელსაწყო-იარაღების ფარდულთან შეჩერდა — გატეხილი სახნისის პირის, კუთხეში მიგდებული აბურდული მავთულის, თივასაბრუნელას რკინის ბორბლის, ჯორის საყელურის — რომელიც ვირთხას დაეღრღნა, ტალახით დათითხნილი ზე-

თის ბიდონისა და ლურსმანზე ჩამოკიდებული ორი ჭუჭყიანი სამუშაო შარვლის მეტი, არაფერი დახვდა.

— ყველაფერი წაუღიათ, კარგი ხელსაწყოები გვქონდა, — თქვა ჯოუდმა.

— ისევ მქადაგებელი რო ვიყო, გეტყოდი, ღვთის მოვლენილი სასჯელია-მეთქი, მაგრამ ეხლა რა გითხრა, აბა, აქედან წასული ვიყავი. არაფერი ვიცი.

ჭისკენ ბამბის ბუჩქების გავლით წავიდნენ. მიწა დაემუშავებინათ, ნარგავებს უკვე კოლოფები გამოეღო.

— აქ არასდროს არაფერი დაგვირგავს, სუ ცარიელს ვტოვებდით. ეხლა ცხენს ხო ვერ შემოიყვან, სუ გადათელავს ბამბას.

დამშრალ სარწყულებელთან შეჩერდნენ. სარეველა, ადრე აქაურობას რომ მოედებოდა ხოლმე, აღარსად ჩანდა. განიერი ხის ვარცლი სიმშრალისგან დამსკდარიყო.

ჭის თავსახურის ხრახნები, ჭანჭიკები, ქანჩები, სამაგრები აქეთ-იქით ეყარა, ხელსაწყოებს ჟანგი მოსდებოდა. ჯოუდმა მილში ჩაიხედა და ყური მიუგდო.

— რა კარგი ჭა იყო, — თქვა მან. — წყლის ხმა არ მესმის. ჯოუდს სახლში შესვლა არ უნდოდა. ჭაში მიწის კოშტებს ერთმანეთის მიყოლებით ყრიდა. — იქნებ დაიხოცნენ. მაგრამ ხო შემატყობინებდნენ, რაღაცნაირად მაინც მომაწვდიდნენ ხმას.

— წერილი ან რამე ხო არ დატოვეს სახლში. იცოდნენ, რომ უნდა ჩამოსულიყავი?

— არ ვიცი, მგონი არა, ერთი კვირის წინ მე თითონაც არ ვიცოდი.

— მოდი, სახლში შევიდეთ, ნახე, რას ჰგავს, თითქოს ვიღაცამ სცემაო, — თქვა კეისიმ და გადაღრეცილი სახლისკენ წა-

ვიდნენ, წინკარის ორი საყრდენი ბოძი, სახურავს რომ იჭერდა, გადაქცეულიყო. სახურავი ცალ მხარეს იყო გადაქანებული, სახლის კუთხე კი ჩამოშლილი, დახეთქილი ხის ბოძების ლაბირინთის მიღმა, კუთხეში, ოთახი მოჩანდა. კარი შიგნით იყო შეღებული. მის წინ, ტყავის ანჯამებზე ჩამოკიდებული პარმაღის მძიმე დაბალი კარი თავის ნებაზე მიდი-მოდიოდა. ჯოუდი კიბის საფეხურთან შეჩერდა — მსხვილი მორისგან იყო გამოთლილი, თორმეტი-თორმეტზე იქნებოდა.

— კიბე კი ადგილზეა, მაგრამ თვითონ სადღაც წასულან, ან დედაჩემი აღარ არი ცოცხალი, — თქვა ჯოუდმა და შესასვლელი კარისკენ გაიხედა, — სადმე აქ რო იყოს, კარი ღია არ იქნებოდა, არასდროს ავიწყდებოდა, სუ ამოწმებდა, რო კაუჭით ყოფილიყო ჩაკეტილი, — თვალებში სითბო ჩაეღვარა, — იმის შემდეგ, რაც ჯეიკობსებს დაემართათ... სახლში ღორი შევიდა და ჩვილი ბავშვი შეუჭამათ. მილი ჯეიკობსი ბეღელში იყო გასული. რო დაბრუნდა, ღორი ბავშვს ჭამდა. მილი ორსულად იყო, რა დაემართებოდა, ძნელი მისახვედრი არ არის. გონება აერია და ჭკუაზე აღარც მოსულა. დედაჩემმა ეს ამბავი სამუდამოდ დაიმახსოვრა, იმის შემდეგ კარი ღია არ დაუტოვებია. თუ სახლში იყო, ეგ არ ავიწყდებოდა, გამორიცხულია. არა, სადღაც წავიდნენ ან დაიხოცნენ... კიბის გახეთქილ საფეხურს გადააბიჯა და სამზარეულოში შეიხედა. ფანჯრები ჩალეწილი იყო. კედლები და იატაკი მიბრეცილ-მობრეცილი, იატაკზე ფანჯრებიდან შემოყრილი ქვები ეყარა. ყველაფერს მტვრის თხელი ფენა დასდებოდა. ჯოუდმა თითი შუშის ნამსხვრევებისკენ გაიშვირა: — ბავშვები, — თქვა ჯოუდმა, — ბავშვების გაკეთებულია. ოც მილს გაირბენენ, ოღონდ ფანჯარა ჩაამტვრევინე, მეც ეგეთი ვიყავი. ზუსტად იციან, რომელი სახლია ცა-

რიელი, ოჯახი ჯერ გადასულიც არ არი, რო ფანჯრები უკვე ჩალეწილია.

სამზარეულო დაცლილი იყო. ღუმელი აეღოთ, საკვამური მილის ხვრელიდან სინათლე შემოდიოდა, ნიჟარის ზევით, თაროზე ლუდის ბოთლის გასახსნელი და ტარმოტეხილი ჩანგალი ეგდო. ჯოუდმა ფრთხილად შეაბიჯა ოთახში. იატაკმა ტკივილისგან კვნესა დაიწყო. კედელთან ფილადელფიური გაზეთის, „ლეჯერის“ ძველი, გვერდებჩაყვითლებული, დაჭმუჭნული ნომერი ეგდო. ჯოუდმა საძინებელში შეიხედა — არც საწოლი, არც სკამები, ყველაფერი გაეტანათ. კედელზე გაკრული ინდიელი გოგონას ფერადი სურათის ქვევით მიეწერათ — „წითელი ფრთა“. ტახტის ფიცარი კედელზე აეყუდებინათ. კუთხეში ქალის ღილებიანი, ცხვირაწეული და შუაზე გადამსკდარი ფეხსაცმელი ეგდო. ჯოუდმა ფეხსაცმელი აიღო და კარგად დაათვალიერა.

— მახსოვს, — თქვა ჯოუდმა, — დედასია, როგორ გაცვეთილა. უყვარდა ეს ფეხსაცმელი, ვინ იცის, რამდენი წელი ეცვა. არა, სადღაც წავიდნენ, ყველაფერი წაღებულია.

მზემ დაბლა დაიწია, გადაბრეცილ ფანჯრებში შეიხედა და შუშის ნამსხვრევები ააბრჭყვიალა. ბოლოს ჯოუდი შებრუნდა. პარმაღი გადაკვეთა, კიბის კიდეზე ჩამოჯდა და შიშველი ფეხები, თორმეტი-თორმეტზე რომ იყო. იმ საფეხურზე დააწყო. მინდვრებს საღამოს მზე ანათებდა. ბამბის ბუჩქებისა და გაქუცული ტირიფის ხის ჩრდილი მიწაზე გაწოლილიყო. კეისი ჯოუდს გვერდით მიუჯდა.

— მართლა არაფერი მოუწერიათ, არა?

— არა, ხო გითხარი, წერა არ ეხერხებათ. მამაჩემს შეუძლია, მაგრამ არ უყვარს. წერილის წერა საჩემო საქმე არ

არი, მაჟრიალებს, ისე მეზიზღებაო, ამბობდა. შეკვეთას კი გამოწერს ფასების მიხედვით, მაგრამ წერილებისა რა გითხრა.

გვერდიგვერდ ისხდნენ და სადღაც შორს იყურებოდნენ. ჯოუდმა პიჯაკის ფუთა დადო და ხელები გაითავისუფლა. თუთუნი შეახვია, გაასწორა, მოუკიდა, მაგრად მოქაჩა და კვამლი ცხვირიდან გამოუშვა.

— ცუდად არი საქმე. გული მიგრძნობს, რო ცუდი რაღაც მოხდა, სახლი დანგრეულია, ჩემები წასულები არიან.

— აი, იქ იყო ის არსი, მე რო მოგნათლე. ცუდს ვერ ვიტყვი, მაგრამ ჯიუტი კი იყავი, ბულდოგივით ჩაავლებდი ხოლმე იმ გოგოს ნაწნავებს. ჩვენ წმინდა სულის სახელით გნათლავდით, შენ კიდე გოგოს თმას ქაჩავდი. ტომი მეუბნებოდა, თავი წყალში ჩააყოფინე და ეგრე გეჭიროსო. იმდენხანს არ გაგიშვი, რო წყალმა ბუყბუყი დაიწყო, მერე იკადრე და შეეშვი იმ გოგოს, ძაან ჯიუტი იყავი, ზოგჯერ შენნაირი ჯიუტი ბავშვები ღვთისნიერები ხდებიან.

ბეღლიდან გამხდარი რუხი კატა გამოძვრა, ბამბის ბუჩქებს ჩაუარა, პარმაღს მიუახლოვდა, ზედ ახტა, მერე თათები მოხარა, სიგრძეში გაიწელა და კაცებს ჩუმად მიუახლოვდა. მათ ზურგს უკან, შუაში დაჯდა. კუდი გვერდზე მოიგდო და იატაკს გადააფინა. იჯდა და ისიც სადღაც შორს იცქირებოდა.

ჯოუდმა კატისკენ გაიხედა:

— ნახე, ჩვენთან ვინ მოვიდა. კიდე კაი, ვიღაც მაინც დარჩენილა. — კატისკენ ხელი გაიწოდა, მაგრამ კატა განზე გახტა. ცალი თათი ასწია და თათის ბალიშის ლოკვას შეუდგა. ჯოუდი გაოცებული სახით უცქერდა. — ახლა მივხვდი, აქ რა ამბავი დატრიალდა. ამ კატამ მიმახვედრა.

— მეტი რაღა უნდა მომხდარიყო, უბედურება დატრიალდა. — თქვა კეისიმ.

— ჰო, მაგრამ მარტო ამ სახლში არა. კატა მეზობლებთან, მაგალითად, რენსებთან, რატო არ წავიდა? სახლს ხის მასალა რატო არ მოაცალეს? აქ სამი-ოთხი თვე არავინ ყოფილა, მაგრამ ხის მასალა არავის მოუპარავს, ბეღელი კარგი ფიცრებითაა შეკრული, სახლის კედლებზეც სუ მთელი ფიცრებია აკრული, ფანჯრის ჩარჩოებიც ისევ ისეა, ხელი არავის უხლია. ასე არ ხდება ხოლმე. სწორედ ეგ მადარდებს, თავი და ბოლო ვერ გავიგე.

— რას ფიქრობ? — კეისი დაიხარა, ფეხსაცმელები გაიხადა და გრძელი ფეხის თითები კიბის საფეხურზე აათამაშა.

— არ ვიცი, მგონი არცერთი მეზობელი აღარ არი დარჩენილი. რო იყვნენ, ესეთი კარგი ფიცრები აქ იქნებოდა? ღმერთო! ერთ შობას ალბერტ რენსმა თავისი ოჯახი, ბავშვები, ძაღლები და ვინც ჰყავდა, ყველა ოკლაჰომაში, ბიძაშვილის მოსანახულებლად წაიყვანა. ხალხმა იფიქრა, სუ წავიდა, რა იცი, რა მოხდა, იქნებ ვალები ჰქონდა ან სულაც ქალი არ აძლევდა მოსვენებასო. ერთ კვირაში ალბერტი რო დაბრუნდა, სახლი ცარიელი დახვდა — ღუმელი, საწოლები, ფანჯრის ჩარჩოები, ყველაფერი გაიტანეს. სამხრეთის მხარეს სახლს რვა ფუტი ფიცარი შემოაცალეს. ოთახებში პირდაპირ ეზოდან შეიხედავდი. ალბერტი სახლს რო მიუახლოვდა, იმ დროს მიული გრეივს კარი და წყლის საქაჩი გამოჰქონდა. მერე ალბერტი ორი კვირა მეზობლებში დადიოდა, თავისი ნივთები რო მოეგროვებინა.

კეისი ფეხის თითების ფხანით გაერთო.

— მერე ყველაფერი ისე დაუბრუნეს, რო არ უჩხუბიათ?

— აბა რა! კი არ მოუპარავთ, უბრალოდ იფიქრეს, რო აღარ დაბრუნდებოდა და წაიღეს. ყველაფერი დაიბრუნა ერთი ხავერდგადაკრული ტახტის ბალიშის გარდა, ზედ ინდიელის

დოქი იყო ამოქარგული. პაპაჩემის იყო, პაპაჩემს ინდიელის სისხლი უდუღდაო, ამბობდა. ის ბალიში პაპაჩემმა აიღო, მაგრამ არ დაუბრუნა. ამოქარგული ინდიელის დოქი ფეხებზე ეკიდა, უბრალოდ მოსწონდა და ეგ იყო. სადაც წავიდოდა, ყველგან თან დაჰქონდა, რო დაჯდებოდა, ქვეშ ამოიდებდა ხოლმე. ცოცხალი თავით არ დავუბრუნებ, თუ ალბერტს ეს ბალიში ესე ძაან უნდა, თვითონ მოვიდეს, ოღონდ იარაღი არ დარჩეს, იმიტო რო ვესვრი და იმ გასიებულ თავს გოგრასავით გავუხეთქავ, ჩემს ბალიშს ხელს თუ მოჰკიდებსო. ბოლოს ალბერტმა დათმო და კაი, გაჩუქებ მაგ ბალიშსო, შემოუთვალა. მერე პაპაჩემი სუ გაგიჟდა და ქათმის ბუმბულის შეგროვება დაიწყო, ბუმბულის ლოგინი მინდაო, ამბობდა, მაგრამ არ გამოუვიდა. ერთხელაც მამაჩემი იატაკის ქვეშიდან ამოსულმა სიმყრალემ ისე გააგიჟა, რო ის ადგილი ორი-ოთხზე ფიცრით აჭედა, დედაჩემმა კი, კვარი მოახრჩოლა, რო სუნი გამქრალიყო და სახლში ისევ შესაძლებელი ყოფილიყო ცხოვრება. მაგარი კაცია პაპაჩემი, იჯდა იმ ბალიშზე და ამბობდა, ერთი აქ მოსვლა გაბედოს, ნიფხავჩახდილს გავუშვებო.

კატა ისევ კაცებშუა დაჯდა, კუდი იატაკზე გადაფინა და ულვაში აათამაშა. მზე ჩადიოდა, მტვრიანი ჰაერი მოწითალო ოქროსფრად შეიღება. კატამ ცნობისმოყვარე თვალებით გახედა ჯოუდის ფუთას და თათით შეეხო.

— ჯანდაბა! — თქვა ჯოუდმა, — კუ დამავიწყდა, — ფუთა გაშალა და კუს სახლისკენ უბიძგა, მაგრამ როგორც კი კუმ თავისუფლება იგრძნო, სამხრეთ-დასავლეთისკენ აიღო გეზი, ისე, როგორც მაშინ, როცა ჯოუდმა აიყვანა. კატამ ისკუპა, ზედ დაახტა, წაგრძელებულ კისერსა და ფეხებზე კლანჭი გამოსდო. კუმ ბებერი ქერცლიანი თავი სწრაფად შემალა, სქე-

ლი კუდი ბაკანში გვერდულად შეკეცა. შეიცადა. კატას ლოდინი მალე მობეზრდა და გაეცალა. კუმ სვლა ისევ სამხრეთ-დასავლეთისკენ განაგრძო.

უმცროსმა ტომმა და მქადაგებელმა თვალი გააყოლეს — კუ მძიმედ მიიწევდა წინ, თავის გუმბათისებრ ბაკანს სამხრეთ-დასავლეთისკენ მიათრევდა. კატა მიწაზე გაწვა, უკნიდან მიპარვა დააპირა, მაგრამ მერე წამოდგა, ზურგი ამოზნიქა, დაამთქნარა, ისევ კაცებისკენ წავიდა და მათ უკან დასკუპდა.

— ნეტა სად ჯანდაბაში მიდის? რაც მე ჩემ ცხოვრებაში კუები მინახავს.. სუ სადღაც ეჩქარებათ, სუ სადღაც მისვლა უნდათ.

რუხი კატა მათ შუაში, ოდნავ უკან იჯდა და თვალებს ნაბავდა. ალბათ რწყილმა უკბინა, ბეჭზე ბეწვი აეწეწა, თათი ასწია, დახედა, კლანჭები გამოუშვა, ისევ შემალა და ვარდისფერი ენით თათის ბალიშის ლოკვა დაიწყო. წითელი მზე ჰორიზონტზე მედუზასავით გაიდღაბნა, ზევით ცას სიკაშკაშე შეემატა, გამოცოცხლება დაეტყო. ჯოუდმა ფუთა გახსნა, ახალი ჩალისფერი ფეხსაცმელები ამოიღო, მტვრიანი ფეხები ხელით გაიწმინდა და ჩაიცვა. მქადაგებელი შორს, მინდვრებს მიღმა იცქირებოდა.

— ვიღაც მოდის, იქით გაიხედე, აი, ქვევით, ბამბის ბუჩქებს შორის.

ჯოუდმა იქით გაიხედა, საითაც კეისიმ თითით მიანიშნა.

— მართლა ვიღაც მოდის. ვერ ვხედავ, ისეთი მტვერია. ვინ ჯანდაბაა?

საღამოს ბინდში ვიღაც უახლოვდებოდათ. ჩამავალი მზის სხივები ჰაერში აჭრილ მტვერს წითლად აფერადებდა.

— კაცია, — თქვა ჯოუდმა. კაცი მათკენ მიდიოდა, რომ მიუახლოვდა და ბეღელს ჩაუარა, ჯოუდმა წამოიძახა:

— ვიცი, ვინც არი, შენც იცნობ — მიული გრეივსია. ჰეი, მიული, როგორ ხარ?

კაცი შეცბა, აქ არავის ელოდა. მერე მათკენ სწრაფი ნაბიჯებით გაემართა. დაბალი, გამხდარი კაცი იყო, სწრაფად მოძრაობა და ხელში ჯუთის ტომარა ეჭირა. ლურჯი ჯინსები მუხლებსა და საჯდომზე გასცრეცოდა; ძველი, დალაქავებული, იდაყვებთან გამოგლეჯილი პიჯაკი ეცვა: ბეჭებთან სახელოები მორღვეოდა. შავი გაზინტლული ქუდი ეხურა, ქუდის ნახევრად ჩამოწყვეტილი თასმა სიარულისას აქეთ-იქით ქანაობდა. მიულის გადატკეცილი, უნაოჭო სახე ჰქონდა, მაგრამ გაბრაზებული ბავშვივით უკმეხი ჩანდა. პატარა პირი მაგრად მოეკუმა. წვრილ თვალებში ავი მზერა უკრთოდა.

— მიული ხო გახსოვს? — თბილი ხმით ჰკითხა ჯოუდმა მქადაგებელს.

— რომელი ხარ? — იკითხა კაცმა. ჯოუდმა არ უპასუხა. მიული ახლოს მივიდა, მერე კიდევ უფრო მიუახლოვდა და მტვერში ტომის სახე ძლივს დაინახა.

— არაა! დასწყევლის ღმერთი! ტომ ჯოუდი ხარ? როდის გამოხვედი, ტომი?

— ორი დღის წინ, — უპასუხა ტომმა, — რამდენი ვიარე, რო სახლამდე მომეწია და ნახე, რა დამხვდა. ჩემები სად არიან, მიული? რატოა სახლი დანგრეული ან ბამბას ეზოში რა უნდა?

— კიდე კაი, გამოვიარე. — თქვა მიულიმ, — უფროსი ტომი წუხდა, წასასვლელად რო ემზადებოდნენ. სამზარეულოში ვიჯექი და ვუთხარი, არსად წასვლას ვაპირებ-მეთქი. ის მეუბნება, ტომზე ვდარდობ, სახლში რო მოვა და არავინ დახვდება, რას იფიქრებსო. ვეკითხები, წერილი რატო არ მიწერე-მეთქი.

მივწერო, მითხრა, მაგრამ თუ ვერ მივწერე, თვალი გეჭიროსო. მე არსად წასვლას ვაპირებ, აქ დავრჩები, სანამ მენდომება და არ არსებობს ვინმე, ვინც აქედან გამაგდებს-მეთქი. მე გვარად გრეივსი ვარ, ესენი ვერ გამაგდებენ.

— ჩემი ოჯახი სად არის, მიული? ეგ მერე მოყევი.

— ბანკმა რო ტრაქტორი მოაყენა აქაურობას, შენებმა გაგდება დაუპირეს. პაპაშენი თოფით ხელში გამოვარდა და ტრაქტორს წინა ფარები ჩაულეწა, მარა გინდა უსვრია და გინდა არა. ტრაქტორმა თავისი საქმე გააგრძელა. მძღოლი უილი ფილი იყო, იცოდა, რო პაპაშენი არ მოკლავდა, ჰოდა, ტრაქტორი სახლს მიაყენა და დაარტყა. ძაღლის კბილებში მოქცეული ვირთხა რო ფართხალებს, სახლი ისე ათახთახდა. ტომს ისე ჩასწყდა გული, რო მას მერე სულ სხვანაირი გახდა.

— სად არიან ჩემები! — გაბრაზება დაეტყო ჯოუდს.

— მაგას გიყვები სწორედ. ძია ჯონის ურმით სამი გზა გააკეთეს, ღუმელი, ტუმბო, საწოლები, ყველაფერი წაიღეს. უნდა გენახა, როგორ გამოჰქონდათ საწოლები. ბავშვები ურემზე ავიდნენ, პაპაშენი და ბებიაშენი საწოლის თავთან ისხდნენ. შენი ძმა ნოა იჯდა, დიდის ამბით სიგარეტს აბოლებდა და იპურჭყებოდა. — ის იყო ჯოუდმა პირი გააღო, რომ მიულიმ სწრაფად დაამატა: — ძია ჯონთან არიან.

— ძია ჯონთან? იქ რას აკეთებენ? აბა, მიული, აღარ გადაუხვიო, მითხარი, იქ რას აკეთებენ და დანარჩენი მერე მოყევი.

— ბამბას კრეფენ ყველანი ერთად, ბავშვები, პაპაშენი, ბებიაშენი. ფულს აგროვებენ, რო დასავლეთში წავიდნენ. ჯერ მანქანის ყიდვა უნდათ, მერე წავლენ. იქ ადვილია ცხოვრება, აქ არაფერი ყრია. ერთ აკრ მიწაზე ბამბის მოსავლის აღებაში

ორმოცდაათ ცენტს გიხდიან, მაგრამ ეგეც არ არი, კაცები სამუშაოს იხვეწებიან.

— ჯერ არ წასულან?

— როგორც მე ვიცი, არა. ბოლოს შენი ძმა ოთხი დღის წინ ვნახე. კურდღელზე სანადიროდ იყო გამოსული. ორ კვირაში ვაპირებთ წასვლასო, მითხრა. ჯონმა შეტყობინება მიიღო და უნდა წავიდეს, მეტი რა გზა აქ. ჯონის სახლამდე რვა მილია. რო მიხვალ, ნახავ, ყველა თრია სოროში რო ერთად შეყარო, ისე არიან ჯონის სახლში შეყუჟულები.

— კარგი, — თქვა ჯოუდმა, — ახლა შეგიძლია, შენი ამბავი მოყვე. რაც იყავი, ისევ ის ხარ, მიული, არ შეცვლილხარ. გინდა, რო კაცს რამე სამხრეთ-ჩრდილოეთით დაანახო და ცხვირს სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ ატრიალებ.

— არც შენ შეცვლილხარ, — შეუტია მიულიმ, — რა ჭკუის კოლოფიც იყავი, ისევ ისა ხარ. მე როგორ ვარ, არ გაინტერესებს, არა? ჩემ ცხოვრებას რა ვუყო, ხო არ იცი?

— არა, კაცი რო თავს დამტვრეულ ფანჯარაში თითონ გაყოფს, იმას ვერავინ დაეხმარება. მქადაგებელი ვერ იცანი? ღირსი მამა კეისი.

— როგორ არა, ვიცანი, უბრალოდ ჯერ ვერ გამოველაპარაკე.

კეისი წამოდგა. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

— გამიხარდა შენი ნახვა, დიდი ხანია აქეთ აღარ გამოჩენილხარ, — უთხრა მიულიმ.

— მეც შეგეკითხები, მიული, რა მოხდა, ხალხს რატო ყრიან?

მიულიმ პირი ისე მაგრად მოკუმა, რომ ზედა ტუჩის შუა ნაწილი თუთიყუშის ნისკარტივით გადმოეწია და ქვედა ტუჩზე ჩამოეფარა. უცებ იფეთქა:

— ეგ ნაბიჭვრები! ეგ ტურტლიანი ნაბიჭვრები! იცი, რას გეტყვი, არსადაც არ წავალ, თავიდან ვერ მომიშორებენ. გამაგდებენ და დავბრუნდები, მოკვლას დამიპირებენ და იმქვეყნად მარტო არ წავალ, ერთი სამ ნაბიჭვარს მაინც გავიყოლებ, — ხელი ქურთუკის გვერდითა ჯიბეზე დაიკრა, — არ წავალ და მორჩა! მამაჩემი აქ ორმოცდაათი წლის წინ დასახლდა.

— რას ამბობენ, რატო ვყრით ხალხსო? — ჰკითხა ჯოუდმა.

— უჰ, ამოდიან და ენის გაუჩერებლად ყბედობენ. ხო იცი, ბოლო წლებში მტვერი რას გვიშვება. წელსაც ყველაფერი გაანადგურა, ჭიანჭველა რო ჭიანჭველაა, ისიც მშიერი დალასლასებს. ხალხს მაღაზიაში ნისია დაუგროვდა, შენც კარგად იცი, როგორც ხდება. მიწის მეპატრონეები ამბობენ, არენდატორებს აქ ვეღარ გავაჩერებთ, ამ მიწებიდან ხეირი სუ ის არი, რასაც ეგენი იღებენ, ჩვენ არაფერი გვრჩებაო, ყველა ნაკვეთი რო შევაერთოთ, თავისთავს მაინც ვერ გამოისყიდისო. ჰოდა, მოაყენეს ტრაქტორები და არენდატორები გაყარეს. ყველა, ჩემ გარდა. ხო მიცნობ, ტომ, ბავშვობიდან მიცნობ, მე აქედან წამსვლელი არა ვარ.

— ეგრეა, ბავშვობიდან გიცნობ.

— იცი, რო სულელი არ ვარ, ძალიან კარგად მესმის, რო ეს მიწები, არაფრად ვარგა, მარტო საძოვრებად თუ გამოდგება, მოხვნადაც არ ღირდა. ეხლა ამ ბამბამ სუ გამოფიტა. ძალას რო არ მატანდნენ, აქამდე უკვე კალიფორნიაში ვიქნებოდი, ხან ყურძენს შევჭამდი და ხან ფორთოხალს. მაგრამ ეგ ნაბიჭვრები მეუბნებიან, შენი მიწიდან წაეთრიეო. თუ კაცი მქვია, მე აქედან ფეხს არ მოვიცვლი.

— მართალი ხარ, ძალიან მიკვირს, მამაჩემმა ეგრე ადვილად როგორ დათმო, ან პაპაჩემს, კაცი უბატონოდ სიტყვას

რო ვერ გაუბედავდა, რა დაემართა? ვერც დედაჩემს ატარებდი შენს ჭკუაზე. მახსოვს, ერთხელ მეწვრილმანე შეეპასუხა და ცოცხალი ქათამი ურტყა სახეში. დედაჩემს ქათამი უნდა დაეკლა და ერთ ხელში ქათამი ეჭირა, მეორეში ნაჯახი. მეწვრილმანე რო აღარ გაჩერდა, აერია და ნაჯახის მაგიერად ქათამი მოუქნია, მერე იმდენი ურტყა, რო იმ ქათმისგან ფეხების მეტი აღარაფერი დარჩა. ერთი ლუკმაც არ გვიჭამია, პაპაჩემმა ნარჩენები გადაყარა. თან სიცილით იგუდებოდა და ამბობდა, იმ ბიჭმა კიდე კარგად დააღწია თავიო.

— ის კაცი, აქ რო მოსალაპარაკებლად ამოდიოდა, დაშაქრული ხმით გვესაუბრებოდა. ჩემზე ნუ ბრაზობთ, თქვენ რო აქედან წასვლა გიწევთ, ეგ ჩემი ბრალი არ არისო. ვისი ბრალია მითხარი, რო წავიდე და ადგილზე გავაქვავო-მეთქი. მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კომპანიის — „შოუნის“ ბრალიაო. მე უბრალოდ ბრძანებას ვასრულებო. „შოუნი“ ვინ არის? ვეკითხები და არავინ, კომპანიააო, ლამის ჭკუიდან გადამიყვანა. სწორ პასუხს არავინ გცემს, ვერავის ენდობი, ბევრს მობეზრდა დამნაშავის ძიება, რო ბოღმა გადმოენთხიათ და აქედან გაიკრიფნენ. მაგრამ მე ვერ ვისვენებ. ვგიჟდები, ამაზე რო ვფიქრობ. არსადაც არ წავალ.

მზის დიდი წითელი წვეთი ერთხანს ჰორიზონტზე ეკიდა, მერე ჩაწყდა და გაუჩინარდა. ზევით ცა კაშკაშებდა. ადგილს, სადაც ცოტა ხნის წინ მზე ანათებდა, დაფლეთილი ღრუბელი სისხლიანი ხალიჩასავით გადაეფარა. ბინდი აღმოსავლეთიდან დაიძრა, მიწა ნელ-ნელა ეხვეოდა სიბნელეში, ცაზე პირველი ვარსკვლავი აინთო. რუხი კატა ბეღლისკენ გაიძურწა და ღია კარში ჩრდილივით შეიპარა.

— ძია ჯონთან დღეს ვერ წავალთ, ფეხებზე ცეცხლი მიკიდია. შენთან რო წავიდეთ, მიული? იქამდე ერთი მილია.

— აზრი არა აქვს, — შეცბუნდა მიული, — ჩემი ცოლი, ბავშვები, ცოლის ძმა, ყველა აიკრიფნენ და კალიფორნიაში წავიდნენ. საჭმელი არაფერი იყო. ისინი ჩემსავით არ გაცოფებულან, ბარგი ჩაალაგეს და წავიდნენ. რა ექნათ, რო დარჩენილიყვნენ, რა ეჭამათ.

მქადაგებელს მოუსვენრობა დაეტყო:

— შენც უნდა წასულიყავი, ოჯახს არ უნდა ჩამოშორებოდი.

— ვერ წავედი, რაღაცამ არ გამიშვა.

— უჰ, როგორ მომშივდა, — თქვა ჯოუდმა, — ზუსტად ოთხი წელი საჭმლის დრო რო მოვიდოდა, წუთს არ გადავაცდენდი ხოლმე. ახლა შიმშილისგან ლამის გულ-მუცელი ამომიტრიალდეს. შენ რას ჭამ, მიული, თავი რითი გაგაქ?

— თავიდან ბაყაყებს, ციყვებს, ზოგჯერ მდელოს ძაღლებს ვჭამდი, მეტი გზა არ მქონდა, — მორცხვად თქვა მიულიმ, — მერე დამშრალ წყაროსთან ბუჩქნარში მავთულის ხაფანგები დავაგე. ხან კურდღელი გაებმევა ხოლმე, ხან როჭო, სკუნსი, ზოგჯერ ენოტიც.

მიული დაიხარა, ტომარა აიღო და იქვე გადმოაპირქვავა. ორი ბოცვერი და ერთი კურდღელი ბამბის ფუმფულა ქულებივით გადმოგორდნენ.

— ღმერთო ძლიერო! — წამოიძახა ჯოუდმა, — ოთხი წელია ახლადდაკლული ხორცი არ მიჭამია.

კეისიმ ერთი ბოცვერი ხელში აიყვანა და მიულის ჰკითხა:

— მიული გრეივს, ლუკმას გაგვიყოფ?

შეცბუნებული მიული აწრიალდა.

— სხვა რა არჩევანი მაქ? — მიხვდა, რომ უხეშად მოუვიდა და გამოსწორება სცადა. — იმას ვგულისხმობ, — წაიბორძიკა, — ის მინდოდა მეთქვა, რო თუ ორი კაციდან ერთს შია და საჭ-

მელი მეორეს აქ, არჩევანი არ არი. ხო არ წავიყვან ამ კურ-
დღლებს და მარტო ხო არ შევჭამ. გაიგე?

— გავიგე. ტომ, კაცი ყველაფერს გრძნობს, უბრალოდ კარ-
გად ვერ გამოხატავს. რაღაც საცოდავი მღრღნელები ჰყავს.
მოდი, საქმეს შევუდგეთ.

მიულიმ შარვლის ჯიბიდან დიდი ძვლისტარიანი ჯაყვა
ამოიღო. ტომმა გამოართვა, გახსნა, დაყნოსა, რამდენჯერმე
მიწას გაუსვა, ისევ დაყნოსა. მერე შარვალზე შეიწმინდა და
ცერა თითით დანის პირი შეამოწმა. მიულიმ შარვლის უკანა
ჯიბიდან ხელს წყლით სავსე ბოთლი ამოაყოლა.

— წყალი მეტი არ არის, გაუფრთხილდი, — თქვა მან. — აქ
ჭა ამოვსებულია.

ტომმა კურდღელი ხელში აიყვანა.

— რომელიმემ მავთული გამოიტანეთ ბეღლიდან. ამ დამ-
ტვრეული ფიცრებით ცეცხლი დავანთოთ. — ყელგამოჭრილ
კურდღელს დახედა, — კურდღელზე ადვილი მოსამზადებელი
არაფერი არ არი, — თქვა მან. ზურგის ტყავი აუწია და ჩაჭრა,
შიგ თითები შეყო, გამოქაჩა, თავისა და თათების გარდა,
მთელი სხეულიდან ტყავი წინდასავით წამში გააძრო. ჯოუდმა
ისევ დანა აიღო, თავი და თათები მოაჭრა, ტყავი იქვე დადო,
კურდღელი მუცელზე გაჭრა, შიგანი ამოაცალა და ტყავზე და-
ყარა. ნაგავი ბამბის ბუჩქებისკენ მოისროლა. მთავარი საქმე
რომ მოილია, ჯოუდმა კურდღელს ფეხები დააჭრა და ორ ნა-
წილად გაყო. მეორე კურდღელს სანამ დაკლავდა, კეისი ბეღ-
ლიდან დაბრუნდა. ხელში აბურდული მავთული ეჭირა.

— ეხლა ცეცხლი დაანთეთ, — თქვა ჯოუდმა, — და სარები
ჩაარჭეთ. უჰ, ისე მშია, რო დორბლი მომდის! — დარჩენილი
ხორცი აქნა და მავთულზე სათითაოდ ჩამოაცვა. ნახევრად-
დანგრეული სახლის დახეთქილი ფიცრებით ცეცხლი დაან-

თეს, აქეთ-იქით სარები ჩაარჭვეს, რომ ზედ მავთული დაემაგრებინათ.

მიული ჯოუდისკენ შებრუნდა.

— ნახე რა, ხორცმეტები არ ქონდეს. ვერ შევჭამ, რამე თუ შეყვა, — თქვა მან, ჯიბიდან ნაჭრის პატარა ჩანთა ამოიღო და პარმაღზე გააფინა.

— ნუ გეშინია, სუფთაა. მარილიც ხო არა გაქ? ერთი ჯიბეები კარგად მოიქექე, იქნებ თეფშები და კარავიც აღმოგაჩნდეს.

მარილი ხელის გულზე გადმოყარა და მავთულზე ჩამწკრივებულ ხორცის ნაჭრებს წააყარა.

აცეკვებული ცეცხლის ენები სახლის კედლებზე ჩრდილებს ხატავდნენ. მშრალ ფიცრებს ტკაცატკუცი გაჰქონდა, ბნელ ცაზე ვარსკვლავები კაშკაშებდნენ. რუხი კატა ბეღლიდან გამოვიდა და კნავილით წავიდა ცეცხლისკენ. თითქმის მისული იყო, მხარი რომ იცვალა და ბუჩქებში ჩაყრილ კურდღლის შიგანის გროვას მიადგა. გამალებული ჭამდა, ნაწლავების ნარჩენები პირზე ეკიდა.

კეისი იჯდა და ცეცხლს ფიცრის ნაფოტებს უკეთებდა. ღამურები ელვის სისწრაფით დაქროდნენ წინ და უკან. კატა დაბრუნდა და პირისა და ულვაშების ლოკვა წამოიწყო.

ჯოუდმა მავთულზე აცმული კურდღლის ხორცი ცეცხლთან მიიტანა.

— აბა, მიული, ერთი ბოლო გამომართვი და სარს შემოახვიე. აი, ესე... ეხლა მავთული კარგად დაამაგრე. უნდა დავიცადოთ, სანამ ცეცხლი მინავლდება, მაგრამ უკვე აღარ შემიძლია... — ჯოუდმა მავთული მოჭიმა, მერე ჯოხი აიღო, ხორცის ნაჭრები ჩასწია და ცეცხლის თავზე მოაქცია. ცეცხლმა ხორცს ენა შეავლო, ხორცის ნაჭრები აიტკიცა და პრიალა

ქერქი გაიკეთა. ჯოუდი ცეცხლთან დაჯდა. ჯოხით ხორცის ნაჭრები დააშორიშორა, მავთულს რომ არ მიჰკვროდა. — რა პურ-მარილი გამოგვივიდა! შემწვარი კურდღელი, მარილი, წყალი. არ გამიკვირდება, ჯიბეში ცოტა ღერღილიც რო გეყაროს. რა მაგარი იქნებოდა...

— ალბათ ფიქრობთ, ესე როგორ ცხოვრობს, ხო არ გაგიჟდაო, არა ბიჭებო? — ჩაილაპარაკა მიულიმ.

— ეგრე არ არი. ნეტა ყველა შენნაირი გიჟი იყოს.

— რაღაც დამემართა, აქედან წადიო რო მითხრეს, — განაგრძო მიულიმ, — თავიდან ვიფიქრე, ვინც გზაზე შემომხვდება, ყველას ამოვხოცავ— მეთქი. მერე ჩემები დასავლეთში წავიდნენ. მარტო დავრჩი და მას მერე ახლომახლო დავხეტიალობ. შორს არასდროს წავსულვარ, სადაც მომიხდებოდა, იქ ვიძინებდი. დღეს აქ ვაპირებდი დაძინებას, იმიტომაც მოვედი. ჩემს თავს ვეუბნები, ამ ხალხის სახლებს ხო უნდა მიხედო, თორე რო დაბრუნდებიან, არაფერი დახვდებათ-მეთქი. სინამდვილეში ძალიან კარგად ვიცი, რო მისახედი არაფერია და არც არავინ აპირებს დაბრუნებას. დავრჩი ესე და საფლავის აჩრდილივით დავხეტიალობ.

— მართალია, ძნელია შეჩვეული ადგილის მიტოვება, — თქვა კეისიმ, — სხვანაირად ფიქრის დაწყებაც ძნელია. აი, მე მქადაგებელი აღარ ვარ და ვერც კი ვხვდები, რას ვაკეთებ, ისე ვიწყებ ხოლმე ლოცვას.

ხორცი წვეთ-წვეთად იწრიტებოდა. წვეთები ცეცხლში ცვიოდა და ნაპერწკლებად იფრქვეოდა. დაბრაწულ ნაჭრებს ჯოუდი გვერდს უნაცვლებდა.

— აუჰ, რა სუნია! ერთი შეისუნთქეთ რა, ნახეთ, რა სუნია!

— საფლავის აჩრდილივით დავხეტიალობდი და ყველა ადგილი, სადაც თავს რამე გადამხდენია, შემოვიარე. ხევში,

ჩვენი ნაკვეთის იქით, ბუჩქნარია. თოთხმეტი წლისა ქალთან პირველად იქ დავწექი. ატროკებული ვაცივით ვხტოდი, მამალი ირემივით ფლოქვებს ვცემდი და ვუშენდი. იქ რო მივედი და მიწაზე გავწექი, თითქოს ყველაფერი ახლიდან განვიცადე. ბეღლის ქვევით მამაჩემი ხარმა რქებზე წამოიგო, სისხლი ეხლაც ატყვია მიწას, არავის მოურეცხია. მივედი და მამაჩემის სისხლით მორწყულ მიწას ხელი დავადე. ვიგრძენი, რო მამაჩემი ამ მიწის ნაწილია. გიჟი გგონივართ, არა? — აღმოხდა შეცბუნებულს.

ჯოუდი ხორცს ატრიალებდა, თვალებზე ეტყობოდა, რომ ფიქრს წაეღო, კეისი მუხლებმოხრილი იჯდა და ცეცხლს მიშტერებოდა. ორმოციოდე ნაბიჯის მოშორებით მაძღარი კატა დასკუპებულიყო და გრძელი რუხი კუდი წინა თათებთან გაეფინა, დიდმა ბუმ კოცონს კივილით გადაუფრინა, ცეცხლის შუქზე მისი თეთრი ბუმბული და გაშლილი ფრთები გამოჩნდა.

— არა, — უპასუხა კეისიმ, — მარტოსული ხარ, გიჟი კი არა.

მიულის კანგადატკეცილი სახე გაქვავებოდა.

— მამაჩემის სისხლით დანამულ მიწას მარჯვენა ხელი დავადე და მკერდგაგლეჯილი მამაჩემი დავინახე. ვიგრძენი, როგორ კანკალებდა. დავინახე, როგორ გადავარდა უკან და როგორ გაჭიმა ხელ-ფეხი. თვალები ტკივილით ჰქონდა სავსე. მერე დაწყნარდა, თვალები დაეწმინდა და ზევით აიხედა.. პატარა ვიყავი, მის გვერდით ვიჯექი, არ ვტიროდი, უბრალოდ ვიჯექი. — თავი გაიქნია. ჯოუდმა ხორცი კიდევ ერთხელ შეატრიალა. — მერე ჯო რო დაიბადა, იმ ოთახში შევედი, საწოლი წაღებულია, მაგრამ ხო იქ დაიბადა... ყველაფერი სინამდვილეა, ყველაფერი აქ მოხდა, აქ დაიწყო ჯომ სიცოცხლე. პირი გააღო და ისეთი დაიყვირა, ერთი მილის იქით გაიგონებდა კაცი. ბებიამისი იქვე იდგა და სიამაყით ამბობდა, ნახეთ, რა

ლამაზია, რა საყვარელიაო. ისეთი გახარებული იყო, რო იმ დღეს სამი ჭიქა გაუტყდა.

ჯოუდმა ჩაახველა და თქვა:

— მოდით, ჯობია ვჭამოთ.

— მოიცა რა, კარგად შეიწვას. დაიბრაწოს, — გაღიზიანება დაეტყო მოულის, — ლაპარაკი დამაცადე, იმდენი ხანია არავის დავლაპარაკებივარ! თუ გიჟი ვარ, რა ვქნა, ვარ და ეგ არი. ღამით აჩრდილივით ვიპარებოდი მეზობლების სახლებში — პიტერსების, ჯეიკობსების, რენსების, ჯოუდების სახლებში, ბნელ, ვირთხის ბუდედ ქცეულ სახლებში, სადაც დრო იყო რო სტუმრებს სუფრას უშლიდნენ, ცეკვავდნენ, ლოცულობდნენ. ღმერთს ადიდებდნენ, ქორწილებს იხდიდნენ, და ეს ყველაფერი ამ სახლებში ხდებოდა. ისეთი აღრენილი ვიყავი, რო ვფიქრობდი, ქალაქში წავალ და ვინც გზაზე შემომხვდება, ყველას დავხოცავ-მეთქი. რატო აყარეს ხალხი? რატო, გადაუარეს მიწებს ტრაქტორით? რა მიიღეს იმისთვის, რო თავისი „მოგების მარჟა“ დაეცვათ? რა მიიღეს და მამაჩემის სისხლით მორწყული მიწა, მიწა სადაც ჯო დაიბადა, სადაც ბუჩქებში ვაცივით ვქშენდი. იცის ღმერთმა, რო ეს მიწები უვარგისია, წლებია ხალხს მოსავალი არ აუღია, მაგრამ იმ ნაბიჭვრებმა, კანტორებში რო სხედან, თავისი „მოგების მარჟის“ გულისთვის ხალხი შუაზე გახლიჩეს. კაცი სადაც ცხოვრობს, იმ ადგილს უერთდება, მისი ნაწილი ხდება. როცა ხარახურით სავსე მანქანით გზებზე ხარ გამოდებული, ნახევარი კაცი ხდები, სიცოცხლეს ამთავრებ. იმ ნაბიჭვრებმა ხალხი დახოცეს. — მიული გაჩუმდა. მისი ხმა აღარ ისმოდა, თუმცა თითქოს ტუჩებს ისევ ეწადათ რაღაცის თქმა. გულსაც ისევ ისე გაუდიოდა ბრაგაბრუგი, დაჯდა და ცეცხლის შუქზე ხელებს დააშტერდა, — იმდენი ხანია არავისთან მილაპარაკია... — ხმადაბლა მო-

იბოდიშა მიულიმ, — აჩრდილივით დავხეტიალობ ამ არემარეზე.

კეისიმ ცეცხლს მოგრძო ფიცრები შეუკეთა. ალი ფიცრებს მოედო და მერე ისევ ხორცისკენ აიჭრა. ღამის გრილმა ჰაერმა სახლის გახურებულ ფიცრებს ტკაცატკუცი დააწყებინა.

— აყრილი ხალხი უნდა ვნახო; ვგრძნობ, რო დახმარება სჭირდება, დახმარება, ქადაგება კი არა.. ზეციური სამოთხე რა ნუგეშია, როცა მიწიერი ცხოვრება არ გაუვლიათ? რომელი სულიწმინდა, როცა მათ სულებს სევდა ღრღნის? დახმარება სჭირდებათ. სანამ სიკვდილის დრო მოვა, აქ მიწიერი ცხოვრება უნდა გაიარონ, — დაბალი ხმით თქვა კეისიმ.

— ღმერთო! — წამოიძახა ჯოუდმა, — მოდი, ვჭამოთ, თორე, ისე დაპატარავდა ეს კურდღელი, რო თაგვის ტოლი გახდა. შეხედე, რა! აუჰ, რა სუნი აქ! — ჯოუდი ფეხზე წამოხტა, ხორცის ნაჭრები მავთულზე გაასრიალა და ცეცხლს მოარიდა. მერე მიულის დანა აიღო, ერთი ნაჭერი მავთულიდან ჩამოჭრა და კეისის მიაწოდა.

— ეს მქადაგებელს, — თქვა მან.

— გითხარი, რომ მქადაგებელი აღარ ვარ.

— კარგი, მაშინ, უბრალოდ კეისის, — კიდევ ჩამოჭრა. — ესეც შენ, მიული, თუ დარდისაგან მადა არ წაგიხდა. უჰ, ეს კურდღლის ხორცი. ქვასავითაა. — ისევ დაჯდა, გრძელი კბილები ხორცს ჩანგალივით ჩაარჭო, დიდი ლუკმა მოაგლიჯა და ჩაღეჭა, — აუ, რა კარგად დაიბრაწა! ხრაშახრუში გაუდის, — თქვა და ხორცს მშიერი მგელივით დაეწაფა.

მიული იჯდა და თავის წილ ხორცს დასცქეროდა.

— იქნებ ამდენი არ უნდა მელაპარაკა, — თქვა მან, — ესეთი რაღაცები კაცმა თავისთვის უნდა შეინახოს.

კურდღლის ხორცით პირგატენილმა კეისიმ მიულის გადახედა. ღეჭავდა და ყლაპვის დროს კისრის კუნთები ეჭიმებოდა.

— უნდა გეთქვა, ზოგჯერ დამწუხრებულმა კაცმა თავისი დარდი უნდა ამოთქვას. კაცს რო ვინმეს მოკვლა უდევს გულში, უნდა ილაპარაკოს, ბოღმა ამოიღოს და არავინ მოკლას. სწორად მოიქეცი, თავს რო მოერიე და ხელი სისხლში არ გაისვარე. — უთხრა კეისიმ და ხორცის ნაჭერი ჩაკბიჩა. ჯოუდმა ძვლები ცეცხლში ჩაყარა, წამოხტა და მავთულიდან კიდევ ერთი ნაჭერი ჩამოხსნა. მიული ნელა ჭამდა, მოუსვენარი მზერა ჯოუდიდან კეისიზე გადაჰქონდა. ჯოუდი გავეშებული ცხოველივით თქვლეფდა, პირის გარშემო ცხიმი გაგლესოდა.

მიული დიდხანს, შეიძლება ითქვას, შეშინებული თვალებით, უცქერდა ჯოუდს.

— ტომი, — გასძახა მიულიმ.

ჯოუდს ძვლის ხვრა არ შეუწყვეტია, ისე გადახედა.

— ჰო, რა იყო? — ხორცით გამოტენილი პირით ჰკითხა მან.

— ტომი, ხო არ მიბრაზდები მკვლელობაზე რო ვილაპარაკე?

— არა, არ გიბრაზდები. ხდება ხოლმე. რაც იყო, იყო.

— ყველამ იცის, რო დამნაშავე არ ხარ, — თქვა მიულიმ, — მოხუცი ტერნბელი ამბობდა, ტომი რო გამოვა, შურს ვიძიებ, ჩემი შვილის სიკვდილს არ შევარჩენო, მაგრამ მერე მეზობლები დაელაპარაკნენ და გადააფიქრებინეს.

— მთვრალები ვიყავით, — ხმადაბლა თქვა ჯოუდმა. — ცეკვებზე დავლიეთ. არც კი ვიცი, როგორ დაიწყო. უცებ ვიგრძენი, რო დანა დამარტყა და აზრზე მოვედი, დავინახე, რო ჰერბი ისევ დანით იწევდა ჩემკენ. იქვე, სკოლის კედელთან, ნიჩაბი იყო მიყუდებული. ხელი ვტაცე და თავში ჩავცხე. არას-

დროს არაფერს ვერჩოდი, კარგი ბიჭი იყო. პატარაობისას ჩემ დას, შარონს, სიყვარულს ეფიცებოდა. მომწონდა კიდეც.

— ყველამ ეგრე უთხრა მამამისს და ბოლოს დაწყნარდა. ამბობენ, მოხუცი ტერნბელი ჰეტფილდს ენათესავება დედის მხრიდანო, ჰოდა, აღარ იცის, რა ქნას, დადის გაბღენძილი. რამდენად მართალია, ვერ გეტყვი. ის კი ვიცი, რო ექვსი თვის წინ, ოჯახთან ერთად, კალიფორნიაში წავიდა.

ჯოუდმა ხორცის დარჩენილი ნაჭრები ჩამოხსნა და თანამეინახეებს გაუნაწილა. ისევ დაჯდა და ჭამას შეუდგა. ახლა მხეცივით აღარ თქვლეფდა, ნელა ღეჭავდა. სახელოთი პირზე გაგლესილი ცხიმიც მოიწმინდა. მუქი თვალები ნახევრად დახუჭა და ჩაფიქრებული მინავლებულ ცეცხლს ჩააცქერდა.

— ყველა დასავლეთში მიდის, — თქვა მან, — მე პირობით გამათავისუფლეს. შტატის დატოვება მეკრძალება.

— პირობით? — ჰკითხა მიულიმ, — კი გამიგია, მაგრამ არ ვიცი, რა არის. პირობით როგორ უშვებენ?

— სამი წლით ადრე გამომიშვეს. რაღაცებს თუ არ შევასრულებ, უკან შემაბრუნებენ. დათქმულ დროს აუცილებლად უნდა გამოვცხადდე ხოლმე.

— მაკალესტერში როგორ გექცეოდნენ? ჩემი ცოლის ბიძაშვილი იჯდა და ჯოჯოხეთიაო, ამბობდა.

— არც ისე ცუდია, გაძლება შეიძლება. შენ თითონ თუ ატეხე აურზაური, მართლა ჯოჯოხეთს მოგიწყობენ, ისე არა უშავს, მთავარია ზედამხედველი არ გადაგეკიდოს. მე ჭკვიანად ვიქცეოდი, ჩემთვის ვიყავი: ეგრე უნდა ქნა, თუ გინდა, რო შარი არ აიკიდო. წერა ვისწავლე, ხატვაც. მამაჩემს გული გაუსკდება, რო ნახავს, ერთი ხელის მოსმით როგორ ვხატავ ჩიტებს და ეგეთ რაღაცებს. წერაზე ხო სულ გაგიჟდება, თითონ სიტყვა წერაც კი ეზიზღება. აშინებს თუ რა, არ ვიცი, ალბათ

იმიტო, რო რამდენჯერაც წერაზე მიდგა საქმე, იმდენჯერ ვიღაცამ რაღაც წაართვა.

— არ გცემდნენ ან რამე ეგეთი?

— არა, მე ჩემთვის ვიყავი, არაფერს ვაშავებდი, მაგრამ ოთხი წელი რო ყოველდღე ერთსა და იმავეს აკეთებ, ბოლოს შეიძლება დაუფშტვინო. ისე, თუ რამე სამარცხვინო გაქ ჩადენილი, იჯექი, იფიქრე და მოინანიე, თუ გინდა. ჩემი საქმე სხვანაირად არი, ახლა რო ჰერბ ტერნბელი ჩემკენ დანით მოდიოდეს, გეფიცები, ისევ ნიჩბით გავუხეთქავდი თავს.

— ყველა ეგრე იზამდა, — თქვა მიულიმ. მქადაგებელი ცეცხლს მიშტერებოდა. მისი მაღალი შუბლი სიბნელეში შუქურასავით ანათებდა. ძარღვიან კისერზე მიმქრალი ცეცხლის ალი დასთამაშებდა. ხელები მუხლებზე შემოეხვია და თითების სახსრებს ატკაცუნებდა.

ჯოუდმა ძვლები ცეცხლში შეყარა, თითები გაილოკა, შარვალზე შეიწმინდა და წამოდგა. პარმაღიდან ბოთლი აიღო. ცოტა წყალი მოსვა, სანამ დაჯდებოდა, მიულის გადააწოდა და განაგრძო:

— მე ის მადარდებს, რო აზრი ვერაფერში დავინახე. დავუშვათ, ძროხას მეხი დაეცა და მოკლა ან წყალდიდობა მოხდა, ხო არავინ იწყებს რამე აზრის ძიებას, მოხდა და ეგ არი, მაგრამ რამდენიმე კაცი რო შეიკრიბება და ოთხი წლით გამოგკეტავს, აუცილებლად რამე აზრი უნდა ჰქონდეს. კაცმა იმაზე უნდა იფიქროს, რაც ჩაიდინა. დამიჭირეს, ციხეში ჩამსვეს, ოთხი წელი მაჭმევდნენ, წესით, იგივე აღარ უნდა ჩავიდინო, ან ისე უნდა დავესაჯეთ, რო შემშინებოდა და შიშით ვეღარ ჩამედინა, — შეისვენა — მაგრამ ჰერბი, ან ნებისმიერი სხვა, ჩემკენ თუ გამოიწევს, ეხლაც ზუსტად იმავეს გავაკეთებ.

განსაკუთრებით, თუ მთვრალი ვიქნები. აი, ეს უაზრობა მადარდებს, მეტი არაფერი.

— მოსამართლე ამბობს, მსუბუქი სასჯელი მიიღო, იმიტო, რო დამნაშავე არ არისო, — შენიშნა მიულიმ.

— ჩემთან ერთად კაცი იჯდა, სამუდამო ჰქონდა მისჯილი, სუ რაღაცას სწავლობდა. ციხის ზედამხედველის მდივნად მუშაობდა — მიწერ-მოწერას აწარმოებდა და რაღაც ეგეთებს. ძალიან ჭკვიანი იყო, კანონები კარგად იცოდა, ბევრს კითხულობდა. ერთხელ ველაპარაკე და იცი რა მითხრა? კითხვას რა აზრი აქ, ციხეებზე ყველაფერი წავიკითხე, მაგრამ ახლა კიდე უფრო ნაკლები მესმის, ვიდრე მაშინ წაკითხული რო არ მქონდაო. ისეა ყველაფერი ერთმანეთში არეული, რო გეგონება, ეშმაკი წინ და უკან დადის და ერთი კაცი არ არი, რო შეაჩეროს, ან ჭკვიანური აზრი გამოთქვას, რო რამე შეცვალოს. თუ ღმერთი გწამს, არაფერი წაიკითხო, ტვინი უფრო აგერევა და მთავრობის პატივისცემასაც სუ დაკარგავ

— პატივს ისედაც არ ვცემ, — თქვა მიულიმ, — ჩვენ რო მთავრობა გვყავს, ისეთს პატივი როგორ უნდა სცე, თავის ხალხს „მოგების მარჟის“ გულისთვის გადაუარეს. მე ის ვერ გავიგე, უილი ფილი, მძღოლი, როგორ ატარებს ტრაქტორს იმ მიწაზე, რომელსაც ცოტა ხნის წინ მისი ოჯახი ამუშავებდა. სხვა მხრიდან რო მოსულიყო ვინმე, კიდე გავიგებდი, მაგრამ უილი აქაურია. ისე მაწვალებდა ეს ამბავი, რო ვიფიქრე. წავალ, მე თითონ ვკითხავ-მეთქი. კითხვა რო დავუსვი, დასაბმელი გიჟივით გახდა, ორი პატარა შვილი, ცოლი და სიდედრი მყავსო, ჭამა ხო უნდათო. გააფთრებული იყო: მე ჩემი ოჯახის გამოკვებაზე უნდა ვიფიქრო, ყველამ თავის თავს მიხედოსო. მგონი, ესე იმიტო გაცეცხლდა, რო ცოტათი რცხვენია.

ჯიმ კეისი მიმქრალ ცეცხლს უცქერდა. თვალები გაფართოებოდა, კისრის კუნთები კიდევ უფრო დასჭიმვოდა.

— ისევ! — უეცრად წამოიძახა მან, — თუ ოდესმე კაცზე სულიწმინდა გადასულა, ეხლა ჩემზეა გადმოსული და მთელი სხეულით ვგრძნობ! — ფეხზე წამოხტა და წინ და უკან სიარული დაიწყო, თან თავს იქნევდა. — იყო დრო, რო კარავს ვშლიდი და ერთ ღამეში ხუთას კაცს ვაგროვებდი. ეს მანამდე იყო, სანამ თქვენ გაგიცნობდით, — შეჩერდა, — როდესმე თუ შეგიმჩნევიათ, აქ რო ვქადაგებდი, ბეღელში თუ ღია ცის ქვეშ, ფული რო ამეღო?

— ღმერთია მოწმე, არა! ის კი არადა, სხვა მქადაგებელი რო მოვიდოდა და ქუდს გამოიწვდიდა, ხალხი ძაან ბრაზდებოდა.

— კი ბატონო, მაჭმევდნენ, შარვალი რო სუ დამეგლიჯებოდა და ფეხსაცმელს ძირი გასძვრებოდა, ძველმანებს მაძლევდნენ და ვიღებდი, მაგრამ კარავი რო მქონდა, საქმე სხვანაირად იყო. ზოგჯერ ათ ან ოც დოლარს ვაგროვებდი, თუმცა ამის გამო თავს ძაან ცუდად ვგრძნობდი და მალე ვთქვი უარი. ისევ მეწვია, არც კი ვიცი, როგორ გამოვთქვა, არც ვეცდები, მაგრამ მგონი, ისევ შემიძლია ქადაგება. გზებზე გასული, მიწის, სახლ-კარის გარეშე დარჩენილი ადამიანები მიტოვებულებად გრძნობენ თავს, მათ თავშესაფარი სჭირდებათ. იქნებ.. — ცეცხლთან გაჩერდა, კისერზე ძარღვები დასკდომაზე ჰქონდა, თვალები ნაკვერჩხალივით უელავდა; იდგა და ცეცხლს უცქერდა. სახე დაეძაბა, თითქოს რაღაცას მიაყურადა, მოუსვენარი ხელები, რომელსაც აზრების გამოთქმის დროს იშველიებდა ხოლმე, ახლა ქვევით ჩაუშვა და ჯიბეში ჩაიწყო. მიმქრალი ცეცხლის თავზე ღამურები დასრიალებდნენ, მინდვრის გადაღმა ბინდის უფეხურა ჭყიოდა.

ტომმა აუჩქარებლად ჩაიყო ჯიბეში ხელი, თუთუნი ამოიღო და სიგარეტი შეახვია. ერთხანს იდგა და ნაკვერჩხალს დასცქეროდა. მქადაგებლის ლაპარაკს ყურადღებას არ აქცევდა, თითქოს მქადაგებელი პირად ამბავს ჰყვებოდა და ჩარევა უადგილოდ მიაჩნდა.

— ყოველ ღამე, ძილის წინ, ვფიქრობდი ხოლმე, რო დავბრუნდები, როგორ იქნებიან-მეთქი. ბებიაჩემი ან პაპაჩემი ცოცხლები თუ დამხვდებიან, ან იქნებ ბავშვები გაჩნდნენ, იქნებ მამაჩემი მოტყდა, დედაჩემი დაიღალა და სახლის საქმეები შარონის ვარდს გადაულოცა-მეთქი. ვიცოდი, რო ძველებურად აღარაფერი იქნებოდა. კარგი, ახლა აქ დავიძინოთ, როგორც კი ინათებს, ძია ჯონთან წავალთ, ყოველ შემთხვევაში, მე წავალ. შენ რას ფიქრობ, კეისი, წამოხვალ?

მქადაგებელი ისევ ნაკვერჩხალს დაჰყურებდა.

— ჰო, შენთან ერთად მოვდივარ, — ხმადაბლა უპასუხა კეისიმ, — როცა შენები გზაზე გავლენ, მათთან ვიქნები და საერთოდ, ვინც გზაზეა, მეც მასთან ვარ.

— მადლობა, კეისი, — დედაჩემს ყოველთვის მოსწონდი, ისეთია, კაცი რო ენდობაო, ამბობდა. მაშინ შარონის ვარდი ჯერ კიდე ბავშვი იყო. — შენ რას იზამ მიული? არ წამოხვალ?

მიული გზას გასცქეროდა.

— დაფიქრდი, მიული, იქნებ წამოხვიდე? — გაიმეორა ჯოუდმა.

— ა? არაა! სად წამოვიდე. არ წამოვალ, არა! შეხედე, იმ სინათლეს ხედავ, ზევით-ქვევით რო ანათებს? ამ ნაკვეთის ზედამხედველი იქნება, ალბათ ჩვენი კოცონი შენიშნა.

ტომმა გაიხედა. სინათლე გორაკიდან ეშვებოდა.

— რას ვაშავებთ? — თქვა მან, — უბრალოდ ვსხედვართ, არაფერი გაგვიფუჭებია.

— როგორ არა! არაფერი დაგვიშავებია! — ჩაიქირქილა მიულიმ, — უკანონოდ ვიმყოფებით სხვის საკუთრებაში. ვერ დავრჩებით, ორი თვეა ცდილობენ, რო დამიჭირონ. მისმინეთ, თუ ეგ მანქანა მოგვიახლოვდა, იცოდეთ, ბამბის ნარგავებში გადავდივართ და მიწაზე ვწვებით. შორს წასვლა არ არის საჭირო, იარონ ზევით-ქვევით და გვეძებონ, ყველა ბუჩქი გადაქექონ.

— რა მოგივიდა, მიული? როდის იყო, რო იმალებოდი? შემტევი იყავი.

მიული მოახლოებულ სინათლეს თვალს არ აშორებდა.

— ჰო, მგელივით ვიყავი, მაგრამ ეხლა სინდიოფალასავით ვარ. როცა მონადირე ხარ, როცა შენ ნადირობ, ძლიერი ხარ, და თუ შენზე ნადირობენ, მაშინ სხვანაირადაა საქმე. რაღაც გემართება, სუსტდები. ბრაზი გახრჩობს, მაგრამ ძლიერი აღარ ხარ. შეიძლება, ვიღაცას სიბნელეში ვესროლო, მაგრამ ღობიდან ამოგლეჯილი სარით ვეღარავის ვესხმი თავს. ეს ესეა და შენ მოტყუებას არ ვაპირებ.

— კარგი, მაშინ შენ წადი და დაიმალე; მე და კეისი ერთიორ სიტყვას ვეტყვით იმ ნაბიჭვრებს.

სინათლის სხივი უკვე ახლოს იყო. ზევით, ცისკენ ახტა, გაუჩინარდა, მაგრამ მალე ისევ გამოჩნდა. კაცები იდგნენ და უცქერდნენ.

— როცა შენზე ნადირობენ, — თქვა მიულიმ, — საფრთხეზე ფიქრობ. შენ როცა ნადირობ, არ გეშინია, საფრთხე არც გახსენდება, შენ არ მითხარი, შარში თუ გავებმები, ისევ უკან, მაკალესტერში, დამაბრუნებენ და სასჯელს ბოლომდე მომახდევინებენო?

— მართალია. გითხარი, — უპასუხა ჯოუდმა, — მაგრამ აქ ჯდომა, დასვენება და მიწაზე ძილი შარში გაბმას ნიშნავს?

არაფერს ვაშავებ. ეხლაც მთვრალი ხო არ ვარ, ხო არ ვჩხუ-ბობ?

— შენ თითონ ნახავ. — გაეცინა მიულის, — ცოტა დაელოდე და მანქანა მოვა. შიგ ალბათ უილი ფილი ზის, ეხლა შერიფის თანაშემწეა. სხვის საკუთრებაში რატო ხარ, აქ რა გინდაო, გკითხავს. ხო იცი, რა სულელი იყო. შენ რას უპასუხებ, ალ-ბათ რა შენი საქმეაო, არა? ჰოდა, უილი ძაან გაბრაზდება და გეტყვის, აქედან წაეთრიე, თორე დაგაპატიმრებო და რას იზამ? ვიღაცა ფილის, შენი რო აქეთ ეშინია, თავს ხო არ გააგ-დებინებ? იმას მეტი გზა არ ექნება, გაბრაზებული უნდა დარ-ჩეს, შენც გამწარდები და უკან ვერ დაიხევ. ერთი ვიცოდე, ამას ბამბაში დამალვა არ ჯობია? თან გავერთობით, ოჰ, ოჰ, როგორ გაგიჟდებიან, რო ვერ გვიპოვიან, ჩვენ კიდე, მაგრა ვიცინებთ. მაგრამ იცოდე, საკმარისია, უილის ან რომელიმე უფროსს დაელაპარაკო, დაგიჭერენ და თვალის დახამხამება-ში მაკალესტერში გიკრავენ თავს. მერე იჯექი და ხეხე ციხე კიდე სამი წელი.

— ჭკვიანურად ლაპარაკობ, ხო იცი? ყოველ სიტყვაში აზრი იგრძნობა, მაგრამ, ამხელა კაცმა მაგის დაკრულზე როგორ ვიცეკვო. ერთი ხელში ჩამაგდებინა, ცემაში გავხევდი მაგ უი-ლის თუ ვიღაცას.

— შეიარაღებულია და იცოდე, რო გამოიყენებს. ეხლა შე-რიფის თანაშემწეა. ან ის მოგკლავს, ან იარაღს წაართმევ და შენ მოკლავ. წამოდი, ტომი, იფიქრე, რო შენთვის წევხარ და იმათ მაგრა ასულელებ; როგორც იფიქრებ, ისე არ არი, ტო-მი? — სინათლის სხივები ცაში კუთხეებს ხაზავდა. მანქანის ძრავის ხმა უკვე გარკვევით ისმოდა.

— წავიდეთ, ტომი, შორს წასვლა არ მოგვიწევს, თოთხმეტი-თხუთმეტი მწკრივი გავიაროთ, ჩავიმალოთ და ვნახოთ ერთი, რას იზამენ.

ტომი წამოდგა.

— მართალი ხარ, ხო იცი! რო დავრჩე, რას მოვიგებ.

— ჰოდა, წამო, აი, აქეთ წავიდეთ, — მიული კაცებს გაუძღვა, სახლს შემოუარეს. ბამბის ნარგავებში ორმოცდაათი იარდი რომ გაიარეს. შეჩერდნენ

— აი, ასე. ეხლა დაწექით და თუ მოგვანათეს, თავები არ ასწიოთ, გავერთოთ ცოტა.

სამივე მიწაზე გაწვა და იდაყვებს დაეყრდნენ. მიული წამოხტა. სახლისკენ გაიქცა, რამდენიმე წუთში დაბრუნდა და მიწაზე ფუთა და ფეხსაცმელი დაყარა.

— წაიღებდნენ, რო ზარალში არ დარჩნენ.

სინათლე აღმართის თავზე მოექცა და სახლისკენ დაეშვა.

— მანქანიდან არ გადმოვლენ, რო ფარანი მოანათონ მოგვძებნონ? ერთი ჯოხი მაინც მქონდეს.

მიულიმ ჩაიცინა.

— არ გადმოვლენ. მგელივით არა, მარა სინდიოფალასავით მაინც შემიძლია შეტევა. ერთხელ სცადა და უკნიდან ისეთი ჩავცხე სარი, რო კუნძივით დაეცა. მერე ხალხში ყვებოდა, თავს ხუთი კაცი დამესხაო.

მანქანა სახლთან გაჩერდა. ფარები გამოირთო.

— თავები დასწიეთ, — თქვა მიულიმ, — თეთრი შუქის ზოლმა კაცებს თავზე გადაუარა და მინდორი გადაკვეთა. მიწაში თავჩარგულები ვერაფერს ხედავდნენ. მხოლოდ ხმები ესმოდათ. კარი გაჯახუნდა.

— სინათლეზე ვერ ბედავენ გადმოსვლას, — წაიჩურჩულა მიულიმ. — ერთი-ორჯერ უილის ფარები ჩავულეწე. ეხლა ფრთხილობს, ამაღამ მარტო არ არი, ვიღაც წამოუყვანია.

ხის პარმაღზე გაიარეს. მერე სახლიდან ფარნის შუქი გამოკრთა.

— ვისროლო? — ჩურჩულით იკითხა მიულიმ, — ვერ დაინახავენ საიდან ისვრიან. იქნებ ცოტა შეფუცხუნდნენ.

— მიდი, — უთხრა ჯოუდმა.

— არა, არ გინდათ, — ხმადაბლა თქვა კეისიმ, — რა აზრი აქ. მოდი, ისეთი რამე მოვიფიქროთ, რასაც აზრი ექნება.

სახლთან ახლოს ჩხაკუნის ხმა გაისმა.

— ცეცხლს აქრობენ, — თქვა მიულიმ, — ნაკვერჩხალს მტვერს აყრიან. — მანქანის კარი გაჯახუნდა. — დაწექით! — ბრძანება გასცა მიულიმ. კაცებმა თავი მიწაში ჩარგეს. ფარების შუქმა თავზე გადაუარა და მინდორი გზისკენ გადაკვეთა. მანქანა აღმართზე ავიდა და მალე თვალს მოეფარა.

მიული წამოჯდა.

— წასვლისას ფარების კიდე ერთხელ მონათება უილის ხერხია, სუ ეგრე აკეთებს. გონია, რო მაგარია, — თქვა მან.

— იქნებ ის ტიპი სახლში იმალება და ჩვენ დაბრუნებას ელოდება, რო დაგვიჭიროს.

— შეიძლება, — აქ დამიცადეთ, ვიცი მაგათი ხრიკები, — თქვა მიულიმ და ფეხაკრეფით გაეცალა იქაურობას. კეისიმ და ჯოუდმა მიაყურადეს, მაგრამ მისი ნაბიჯების ხმა არ ისმოდა. რამდენიმე წუთში მიულიმ დაიძახა:

— არავინაც არ არი. დაბრუნდით.

კეისი და ჯოუდი წამოდგნენ და ჩაბნელებული სახლისკენ გაემართნენ. მიული მტვერწაყრილ, მხრჩოლავ მიწის გროვასთან იდგა, მათი კოცონისგან ესღა დარჩენილიყო.

— ვიცოდი, რო არავინ იქნებოდა, — ამაყად თქვა მიულიმ, — ერთი-ორჯერ ვესროლე და ფარები ჩავუმსხვრიე. ეხლა ფრთხილად არი, არ იცის, ვინ ერჩის. მე მაგათ თავს არ დავაჭერინებ, სახლებთან ახლოს ერთხელაც არ დამიძინია. თუ გინდათ, წამომყევით და გაჩვენებთ, სად შეიძლება ღამის გათევა. იქ თავზე არავინ დაგვადგება.

— გაგვიძეხი და გამოგყვებით, — უთხრა ჯოუდმა, — რას ვიფიქრებდი, რო მამაჩემის სახლში ვერ შევიდოდი და დამალვა მომიწევდა.

მიულიმ გეზი ბამბის მინდვრების გაღმა მხარისკენ აიღო, კეისი და ჯოუდი უკან გაჰყვნენ.

— რამდენ რამეს უნდა დაემალო კაცი, — თქვა მიულიმ. ერთიმეორის მიყოლებით, წელში მოხრილები მიდიოდნენ. ხევს მიადგნენ. დამრეც ფერდობზე ადვილად დაეშვნენ და მალე გაივაკეს.

— ღმერთო, დაგენაძლევები, რო ვიცი, სადაც მივდივართ! — წამოიძახა ჯოუდმა, — ნაპირზე, გამოქვაბულში. ეგრე არ არი?

—ეგრეა. საიდან იცი?

— ჩემი გამოთხრილია, მე და ჩემმა ძმამ, ნოამ გამოვთხარეთ. ყველას ვეუბნებოდით, რო ოქროს ვეძებდით, სინამდვილეში უბრალოდ ვთხრიდით, სხვა ბავშვებივით ვერთობოდით.

ხევის ფერდობები ზევიდან დასცქეროდათ.

— უკვე ახლოს უნდა ვიყოთ, — თქვა ჯოუდმა, — მე ეგრე მახსოვს.

— ფიჩხით დავფარე, რო ვერავინ იპოვოს.

ხევში გზა გასწორდა. ახლა ქვიშაში მიაბიჯებდნენ. ჯოუდი სუფთა ქვიშაზე წამოწვა.

— მე აქ დავიძინებ, გამოქვაბულში შეძრომა არ მინდა. — პიჯაკი დაახვია და თავქვეშ ამოიდო.

მიულიმ გამოქვაბულის შესასვლელიდან ფიჩხი გადაყარა და შიგ შეძვრა.

— აქ მიყვარს ძილი, ვიცი, რო თავზე არავინ დამადგება.

ჯიმ კეისი ჯოუდის გვერდით, ქვიშაზე დაჯდა.

— ცოტა წაუძინე, კეისი, — უთხრა ჯოუდმა, — გათენდება თუ არა, ძია ჯონთან უნდა წავიდეთ,

— ვერ დავიძინებ, იმდენი რამე მაქ მოსაფიქრებელი, — უპასუხა კეისიმ. ფეხები მოხარა, ზედ ხელები შემოიხვია, თავი უკან გადააგდო და ვარსკვლავებს ახედა. ჯოუდმა დაამთქნარა და ცალი ხელი თავქვეშ ამოიდო. ჩაყუჩდნენ. თანდათან მიწას, ხვრელებსა და სოროებს სიცოცხლე უბრუნდებოდა. ბუჩქები აშრიალდნენ, თრიები აფუსფუსდნენ, კურდღლებმა სიმწვანის ძებნა, თაგვებმა კი მიწის ბელტებს შორის სუნსული დაიწყეს. ფრთებგაშლილი მტაცებელი ფრინველები იქაურობას თავს უხმოდ დასტრიალებდნენ

7.

ქალაქებში, გარეუბნებში, მინდვრებში, უშენ ადგილებში ყველგან მეორადი დანჯღრეული მანქანებით სავსე ეზოები, სადგომები შთამბეჭდავი წარწერებით — მეორადი მანქანები, კარგი, გამოსადეგი მანქანები. იაფი ტრანსპორტი, სამი მისაბმელით. 27 წელს გამოშვებული „ფორდი“, ძრავა მწყობრშია. შემოწმებული მანქანები, ხარისხი გარანტირებულია. უფასო რადიო, 100 გალონი გაზი საჩუქრად. მობრძანდით, თავად დარწმუნდით. მეორადი მანქანები, მინიმალური ხარჯი.

პატარა მიწის ნაკვეთზე მოწყობილი კანტორა, რომელიც ძლივს იტევს მერხს, სკამს და ლურჯ წიგნს. ხელშეკრულებების დასტა, კუთხეებდაჭმუჭნილი, სამაგრით შეერთებული ფურცლები და კოხტად დაწყობილი ჯერ შეუვსებელი ხელშეკრულებები. კალამი — მელანი არ დაგაკლდეთ, იმუშავეთ, შეუძლებელია გარიგება ჩაიშალოს მხოლოდ იმის გამო, რომ კალამი მელნით ვერ შეავსეთ.

ის ნაბიჭვრები არაფერს ყიდულობენ. ყველა ეზოში შედიან და მხოლოდ ათვალიერებენ. თავის დროს ხომ კარგავენ და შენც გაკარგვინებენ. მაგრამ აი, ისინი, ორნი... არა, ეგენი არა. ბავშვებთან ერთად რომ არიან, ისინი. მანქანაში ჩაისვი. ორასიდან დაიწყე და მერე თანდათან ჩამოაკელი. ასოცდახუთის გადამხდელებს ჰგვანან. ის დანჯღრეული გამოიყვანე: მანქანაში ჩაისვი და ცოტა გაატარე, მაგრად მიაწექი. დრო ტყუილად არ დაკარგო.

მეპატრონეები დაკაპიწებული სახელოებით. სუფთად ჩაცმული გამყიდველები მიზანდასახული, გამჭოლი მზერით, სხვებში სისუსტის აღმოჩენა რომ არ უჭირთ.

ქალებს დააკვირდი; თუ მათ მოეწონებათ, კაცს ადვილად შეახვევ. ძველი „კადილაკით“ დაიწყე. მერე 26 წლის „ბიუიკზე“ გადადი: „ბიუიკით“ რომ დაიწყო, „ფორდს“ მოითხოვენ. აბა, დაიკაპიწე სახელოები და სამუშაოს შეუდექი. იჩქარე. დრო მიდის. „ნეში“ აჩვენე, სანამ მე 25 წლის „დოჯის“ გახვრეტილ საბურავს გავბერავ. ნიშანს მოგცემ, მზად რომ ვიქნები.

სამგზავროდ არ გინდათ? აბა, ამას რა მნიშვნელობა აქვს? ჰო, გადასაკრავი მასალა ცოტა გაცვეთილია, მაგრამ ბალიში ხომ არ ატრიალებს ბორბლებს?

ერთმანეთთან ახლო-ახლო მწკრივში ჩაყენებული მანქანები, ჟანგმოდებული ცხვირებით, გაცვეთილი საბურავებით.

მანქანის დათვალიერება გნებავთ? კი ბატონო, არ დაგზარდებით და გამოვიყვან. დაავალდებულე. აგრძნობინე, რომ დროს გაკარგვინებენ. იცოდეს, რომ შენ დროს ხარჯავს. მუშტრები, უმეტესად, თავაზიანი ხალხია, ჩვენი ერიდებათ კიდეც. მაგრამ აიძულე, რომ შეგაწუხონ და მერე მიაწექი.

T მოდელის მწკრივები. მაღალი, ბრტყელცხვირა, ჭრიალა ბორბლებით, გაცვეთილი ღვედებით; უამრავი „ბიუიკი“. „ნეში“. „დე სოტო“.

— დიახ, სერ, 22 წლის „დოჯი", საუკეთესო მანქანა, უცვეთელი. დაბალი კომპრესია; მაღალი კომპრესია თავიდან იცოცხლე კარგია, მაგრამ ძრავა დიდხანს ვერ უძლებს. „პლიმუთი“. „როკისი“. „სტარი“...

ღმერთო, ეს „აპერსონი“ საიდან მოვიდა? ნოეს კიდობანში ხომ არ იმალებოდა? ან ის „ჩამლერსი“ და „ჩანდლერი“? უკვე

რამდენი წელია აღარ გამოდის. მანქანებს კი არა, მოძრავ ჯართს ვყიდით. ჯანდაბა, ეს ხარახურა კიდევ უნდა ვიშოვო. ოცდახუთ-ოცდაათ დოლარზე მეტს არ მოვითხოვ. ორმოცდაათად ან სამოცდათხუთმეტად თუ გაიყიდა, ხომ კარგი, მაგარი მოგება იქნება. აბა, ახალ მანქანაში რა უნდა მოვიგო? ხარახურა ჯობია, მალე გავყიდი, ხელიდან გამომტაცებენ. ორას ორმოცდაათზე მეტად არ მინდა. ჯიმ, ერთი ის ბებერი ნაბიჭვარი გააჩერე, ტროტუარზე რომ მისეირნობს. ეტყობა, რომ აზრზე არ არი. იქნებ „აპერსონი“ შეტენო. სად არის „აპერსონი?“ გაიყიდა? თუ ხარახურა არ მოვზიდეთ, ვეღარაფრით ვივაჭრებთ.

დროშები, წითელი და თეთრი, თეთრი და ლურჯი — ყველგან ბორდიურების გასწვრივ. მეორადი მანქანები. კარგი მეორადი მანქანები.

დღევანდელი ფასდაკლება — სტენდზე გამოკრული.

მაგ ფასად არავინ ჰყიდის, მაგრამ წარწერა ხალხს იზიდავს. მაგ ფასად გაყიდვა და დაღუპვა ერთია. იკითხავენ და ეტყვი, რომ უკვე გაიყიდა, სანამ მანქანას გაატან. აკუმულატორი ამოიღე და ცარიელი ჩაუდგი, მეტი რა უნდათ? ხურდა ფულს იხდიან. აბა, სამუშაოს შეუდექი, იჩქარე. მალე უნდა დავამთავროთ. ერთი ბევრი ეგეთი მომცა, ექვს თვეში ყველაფერს თავს დავანებებდი და დავისვენებდი.

მისმინე, ჯიმ, ამ „შევროლეს“ უკანა ხიდიდან ისეთი ხმა ისმის, გეგონება ბოთლებს ამსხვრევენ. ცოტა ნახერხი ჩააყარე. სიჩქარის კოლოფსაც არ აწყენს. ოხ, კიტრივით არის, ოცდათხუთმეტ დოლარად წავა. მომატყუა იმ ნაბიჭვარმა, ათი დოლარი შევთავაზე და თხუთმეტამდე ამიყვანა, თან ნაწილებიც ამოუცლია. ეჰ, ერთი ხუთასი ასეთი დანჯღრეული მანქანა მომცა... ახლა ამის დროა, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდე-

ბა. საბურავები არ მოსწონს? უთხარი, კიდევ ათი ათასი მილის გავლა შეუძლია-თქო და დოლარ-ნახევარი დაუკელი.

ღობის გასწვრივ ჟანგიანი ნამსხვრევების გროვა. უვარგისი, მაზუთით დათითხნილი მანქანის ფრთებით სავსე უკანა ეზო, მიყრილ-მოყრილი დანაწევრებული ცილინდრთა ბლოკები, მათ შორის ამოზრდილი ჯიჯლაყა. მუხრუჭის ბერკეტები. გველებივით დახვეული გამოსაბოლქვი მილები, ზეთი, ბენზინი.

ერთი, იქნებ მთელი ამნთები სანთელი იპოვო. უჰ, ორმოცდაათი მისაბმელი რომ მომცა, ასე, ას დოლარად, რა ფულს ვიშოვიდი! ეგ რას გვიჩმახებს? ჩვენი საქმე მანქანის გაყიდვაა, სახლში ხელის კვრით მიყვანა კი არა, ხელი თვითონ კრას. ჟურნალშია ეგ ტიპი გამოსაყენებელი. გააგდე, რა! რა საქმე გვაქვს ეგეთ უტვინოსთან, თვითონაც არ იცის რა უნდა. „გრეიამს“ მარჯვენა წინა საბურავი მოხსენი და დაწებებული მხარე ქვევით მოაქციე. ახლა კარგია, ყველაფერი ადგილზე აქვს, პროტექტორიც ჯერ არ გაცვეთილა.

რა თქმა უნდა, ორმოცდაათიათასს კიდევ გაივლის. ბლომად ზეთი ჩაასხით. ნახვამდის, აბა, ბედნიერად. მანქანის შეძენა გნებავთ? როგორ მანქანას ეძებთ? უკვე შეარჩიეთ? უჰ, პირი გამიშრა. ერთად ხომ არ მოვძებნოთ? წამობრძანდით, სანამ თქვენი ცოლი „ლასალს“ ათვალიერებს, ჩვენ აქეთ წავიდეთ. „ლასალს“ არ გირჩევთ, ბევრს წვავს. აი, „ლინკოლნი“ სულ სხვაა, 24 წელსაა გამოშვებული. მუდმივი მანქანაა, სატვირთოდ გადაკეთებაც შეიძლება.

ჟანგიან ლითონზე ანთებული მცხუნვარე მზე, მიწაზე დაღვრილი ზეთი. სასურველი მანქანის ძებნით თავგზაარეული ხალხი.

ფეხები გაიწმინდე. ამ მანქანას ნუ მიეყრდნობი, ჭუჭყიანია. როგორ შევარჩიოთ? რა ღირს? ბავშვები არ გაგექცნენ. ნეტა ეს რა ღირს? მოდი, ვიკითხოთ, კითხვის დასმაც ფული ხო არ ღირს. სამოცდათხუთმეტის ზევით ერთი ცენტის გადამხდელი არა ვარ, სხვანაირად კალიფორნიამდე ვერ ჩავალთ.

ერთი, ბევრი მაშოვნინა ასეთი ჯართი, სულ არ მაინტერესებს. დადის თუ არა.

საბურავები — ძველი, გაცვეთილი, ერთმანეთზე აკოკოლავებული; მილები — წითელი, რუხი, ძეხვივით ჩამოკიდებული.

საბურავის ბებკი? რადიატორის საწმენდი? კონდესატორი? ეს პატარა აბი თქვენს ბენზინის ბაკში ჩააგდეთ და ყოველი გალონით ათი მილით მეტის გავლას შეძლებთ. შეღებეთ — ორმოცდაათ ცენტად ზედაპირს განაახლებთ. მინასაწმენდი, ვენტილიატორის ღვედი, შუასადები? იქნებ სარქვლის ბრალია? ჭოკი გამოცვალეთ, ხუთი ცენტი აქეთ, ხუთი — იქით, რა მნიშვნელობა აქვს?

კარგი, ჯო, შენ ეგენი დაამუშავე და მერე ჩემთან გამოუშვი, მე მაგათ ვაჩვენებ სეირს. ან ვაყიდინებ, ან სულს გავაფრთხობინებ. იცოდე, ნაღდი მუშტრები გამომიგზავნე, სათამაშოდ არ მცალია.

დიახ, სერ, მობრძანდით. ნაპოვნია, სერ, ოთხმოც დოლარად მართლა ნაპოვნია.

ორმოცდაათზე მეტს ვერ გადავიხდი. გარეთ კაცი ორმოცდაათს აფასებს. ორმოცდაათს? ალბათ გიჟია ვიღაცა. მე თვითონ სამოცდათხუთმეტ-ნახევარი მაქვს გადახდილი. ჯო, ხო არ დაუბერე? ჩემი გაკოტრება გინდა? იცოდე, მომიწევს შენი გაგდება. დიახ, მისტერ, სამოცად მოგცემთ. საქმიანი კაცი ვარ. ვიღაც ვიგინდარა კი არა, მთელი დღე აქ ვერ ვიქნები, რამე ხომ არ გაქვთ ისეთი, რისი დამატებაც შეგიძლიათ?

ორი ჯორი მყავს.

ჯორი? ჯო, გესმის? ჯორებს დაგიმატებთო. თქვენთვის არა. ვის უთქვამს, რომ მანქანების საუკუნეში ვცხოვრობთ? ჯორი ვიღას რად უნდა, მხოლოდ წებოს დასამზადებლად თუ გამოიყენებს კაცი.

ჯანმრთელი ჯორები მყავს. ერთი ხუთი წლისაა, მეორე შვიდის. კარგი, ცოტას გავივლით, დავათვალიერებთ. დაათვალიერებთ არა? მოდიხართ, დროს გვართმევთ და მიდიხართ. ჯო, არ იცოდი ვისთან იჭერდი საქმეს? ნამდვილი გამომძალველია.

როგორ არა, გამომძალველი! მანქანის ყიდვა მინდა, კალიფორნიაში უნდა წავიდეთ.

მე დამყოლი კაცი ვარ, როგორც ჯო ამბობს, დოყლაპია. თუ ბოლო პერანგის გაცემას არ შეეშვები, შიმშილით სიკვდილი გიწერიაო, მეუბნება. იცით, რას გეტყვით? თითო ჯორს ხუთ დოლარად ვიანგარიშებთ, ძაღლების გამოსაკვებად გამოდგება.

რატომ ძაღლების გამოსაკვებად? იქნებ ათი ან შვიდი დოლარი ავიღო თითოში. კარგი, კარგი, ოც დოლარად ვიღებ. ურემი მოყვება, არა? ორმოცდაათს ნაღდი ფულით გადაიხდით, ხელშეკრულება უნდა გავაფორმოთ, შემდეგ ყოველ თვე ათი დოლარის გადახდა მოგიწევთ.

ჰო, მაგრამ ოთხმოცი არ თქვით?

არასდროს გაგიგონიათ ზედნადები ხარჯების და დაზღვევის შესახებ? ცოტას აძვირებს, მაგრამ ოთხ-ხუთ თვეში გადაიხდით. აქ ხელი მოაწერეთ. ყველაფერს ჩვენ მოვაგვარებთ.

ჰოო, არ ვიცი...

აქეთ მოიხედეთ, ბოლო პერანგს ვიხდი და გაძლევთ, თქვენ კი დროს მაკარგვინებთ, აქამდე სამ მყიდველს გავის-

ტუმრებდი. საწყენია პირდაპირ! დიახ, ხელი მოაწერეთ, აი, აქ. ძალიან კარგი, სერ. ჯო, ბაკი გაუვსე ჯენტლმენს. ბენზინი ჩვენგან საჩუქრად.

ღმერთო, რა კერკეტი კაკალივით იყო, ა, ჯო? რა მივეცით იმ ჯართში? ოცდაათი თუ ოცდათხუთმეტი? რა კაცი ვიქნებოდი, სამოცდათხუთმეტი მაინც რომ არ ამეღო. ორმოცდაათი ნაღდი ფულით და ორმოცი ხელშეკრულებით. ვიცი, რომ ყველა პატიოსან საქმიანობას არ ეწევა, მაგრამ მაინც მიკვირს, როგორ ახერხებენ გადახდას. ერთი ტიპი ორი წლის შემდეგ ასდოლარიანით გამომეცხადა. უკვე ხარჯში მქონდა გატარებული. დაგენაძლევები, ესეც გადაიხდის. ღმერთო, კიდევ ასეთი ხუთასი ცალი და... აბა, საქმეს შეუდექი, ჯო. ტკბილად ესაუბრე. მერე მე გამომიგზავნე. ბოლო გარიგებიდან ოცი დოლარი შენია. ყოჩაღ მაგრად იმუშავე.

ნაშუადღევის მზეზე ჩამოშვებული დროშები. ფასდაკლება. 39 წელს გამოშვებული „ფორდის“ პიკაპი — სრულ წესრიგში.

ორმოცდაათ დოლარად რა გინდათ, „ზეფირი“?

ბალიშებიდან გამოჩრილი ცხენის ძუა, შეჭყლეტილი, ჩაქუჩით გასწორებული ფრთები, ჩამოგლეჯილი, ცალი მხრით ჩამოკიდებული ბამპერი.

უჩვეულო ფორმის „ფორდ როდსტერი“ — ორი პატარა ფერადი ნათურა რადიატორის თავზე, სამი ფერადი ნათურა უკან. საშხეფარისა და სიჩქარის გადამრთველ ბერკეტზე დიდი საფირმო შტამპით. სათადარიგო საბურავზე ფერადი საღებავით დახატული ლამაზი გოგო, წარწერით — კორა.

ნაშუადღევის მზე მტვრიან საქარე მინაზე.

ოჰ, საჭმელად რომ გავიდე, იმის დროც არ მაქვს. ჯო, ბიჭი გააგზავნე და ჰამბურგერი მოატანინე.

ძველისძველი ძრავების თუხთუხი.

მკითხველთა ლიგა

ვიღაც გამოტვინებული „კრეისლერს“ ათვალიერებს. გაარკვიე, ფული თუ უდევს ჯიბეში. ეს სოფლელები დიდი ვირეშმაკები არიან. მიდი, ჯო, ცოტა დაამუშავე და ჩემკენ გამოუშვი. აბა, შენ იცი ჯო.

დიახ, ჩვენ გავყიდეთ, გარანტია? გარანტია მოგეცით, რომ ავტომობილს ყიდულობდით. მეტი რისი გარანტია უნდა მოგვეცა? როდის დაგპირდით, რომ ძიძას გამოვაყოლებდით? მისმინეთ, მანქანა უკვე ნაყიდია და ახლა ხმაურობთ? სულ არ მადარდებს, თუ არ გადაიხდით. თქვენი ვექსილი უკვე ბანკშია გადაგზავნილი, ფულის ამოღება იმათი საქმეა. ჩვენ ვექსილებს არ ვიტოვებთ. რაა? აბა გაბედეთ, მაშინვე პოლიციას გამოვიძახებ. არა, ჩვენ არ შეგვიცვლია საბურავები. ჯო, გაადგე აქედან. მანქანა იყიდა და ახლა აღარ მოსწონს. მე რომ თქვენგან ხორცი ვიყიდო, ნახევარი შევჭამო და მერე დაბრუნება მოვინდომო. რას იტყვით? ჩვენ აქ ფულს ვშოულობთ, ქველმოქმედებას კი არ ვეწევით. იმ ტიპს შეხედე, ჯო, ბრელოკზე ლოსის კბილი ჰკიდია. მიდი, მიდი, 36 წლის „პონტიაკი“ აჩვენე.

მანქანები — ოთხკუთხა მრგვალი, ნიჩბისებრი ჟანგიანი ცხვირებით, გარსშემოდენილი ფორმის მრუდები, იმდროინდელი ბრტყელი ზედაპირები, ვიდრე გარსშემოდენილი ფორმები დამკვიდრდებოდა. დღეს ფასდაკლებაა. ადამისდროინდელი ურჩხულები ნაჭერგადაკრული სავარძლებით სატვირთოდ ადვილად გადაკეთდება. ორთვლიანი მისაბმელები, მცხუნვარე მზით განათებული ჟანგიანი ხიდები. მეორადი მანქანები. კარგი მეორადი მანქანები. შემოწმებული მანქანები — ძრავა მწყობრშია, ზეთს არ აპარებს.

ერთი შეხედეთ, რა დღეშია მანქანა!

„კადილაკი“, „ლასალი“. „ბიუიკი“, „პლიმუთი", „პაკარდი“, „შევროლე“, „ფორდი“, „პონტიაკი“ — მწკრივში მიჯრით ჩაწყობილი. მცხუნვარე მზეში აბრჭყვიალებული ფარები. კარგი მეორადი მანქანები.

მიდი, ჯო, მოთაფლე. ასეთი ათასი მომცა და მეტი არაფერი მინდა მოთაფლე და ჩემკენ გამოუშვი.

კალიფორნიაში მიდიხართ? აი, სწორედ ეს გჭირდებათ. ცოტა შელახულია, მაგრამ ათას მილს კიდევ გაივლის.

ჩამწკრივებული, მიჯრით მიწყობილი. კარგი მეორადი მანქანები. ფასდაკლება, შემოწმებული — ძრავა მწყობრშია.

8.

ვარსკვლავებს შორის ცა განაცრისფრდა. ფერმკრთალი, მილეული მთვარის ნათება თავისივე რკალს არ სცილდებოდა. ტომ ჯოუდი და მქადაგებელი ბამბის მინდვრებში მუხლუხო ტრაქტორით გაჭრილ გზას მიუყვებოდნენ. გაცრეცილი ცა დასავლეთით ჰორიზონტს შერწყმოდა, აღმოსავლეთით ცისა და მიწის გამყოფი ხაზი წაშლილიყო. თენდებოდა. ორი კაცი ხმის ამოუღებლად მიდიოდა და ჰაერში ავარდნილ მტვერს ისუნთქავდა.

— ნამდვილად იცი, რო სწორად მივდივართ? თორე მალე გათენდება და ვინ იცის, სად ჯანდაბაში აღმოვჩნდებით, — თქვა კეისიმ.

ბამბის მინდვრები ახალგაღვიძებულ სიცოცხლეს შრიალით ეგებებოდნენ. დილის ფრინველები ფრთხიალით ეძებდნენ საკვებს, გოროხიდან გოროხზე სკუპ-სკუპით გადადიოდნენ და კურდღლებს აფრთხობდნენ. კაცების ფეხქვეშ ბელტების ფშვნის ხმა მტვერში იხშობოდა და განთიადის იდუმალებით მოცულ შარიშურს ერწყმოდა.

— თვალდახუჭული მივაგნებ, მთავარი ის არი, რო გასავლელ გზაზე არ ვიფიქრო. შენც შეეშვი მაგაზე ფიქრს, ნუ გეშინია, მიგიყვან. ხო არ გავიწყდება, აქ რო დავიბადე, ყოველ კუთხე-კუნჭულს ვიცნობ. აი, იმ ხეს ხო ხედავ. ერთხელ მამაჩემმა ტოტზე მკვდარი კოიოტი ჩამოკიდა. იმდენ ხანს ეკიდა, რო გახმა და ერთ დღესაც ქვასავით ჩამოვარდა. ღმერთო, ნეტა დედაჩემს სადილი ჰქონდეს მზად. კუჭი ცარიელი მაქ.

— მეც. — თქვა კეისიმ, — ცოტა თამბაქოს ხო არ გაღეჭავ. შიმშილის გრძნობას კლავს. ასე ადრე რამ წამოგვიყვანა, გათენდებოდა და წამოვიდოდით, სინათლეში მაინც ვივლიდით, — შეჩერდა და თამბაქო მოკვნიტა — კარგად მეძინა, ადგომა არ მინდოდა.

— იმ სულელმა მიულიმ გამაღვიძა, — თქვა ტომმა, — მივდივარ, აქ ვერ დავრჩებიო, ჯობია, შენც წახვიდე, რო გათენდება, აქ არ უნდა იყოო. თრიასავით დამფრთხალია. ისე ეშინია, გეგონება, ინდიელები მოსდევდნენ. რას ფიქრობ, კეისი, მიული გაგიჟდა?

— კაცმა არ იცის. ხო ნახე, ცეცხლი ავანთეთ და ეგრევე მანქანა მოვიდა. ისიც ხო ნახე, სახლი როგორ გადააქციეს. კარგი პირი არ უჩანს ამ ამბებს. რა გასაკვირია, ცოტა თუ აურია. სადმე მისვლა რო უნდა, ტურასავით მიიპარება. ბოლოს ვიღაცა შემოაკვდება, ძაღლებს მიუშვებენ და იპოვნიან. მე მითქვამს და ესე იქნება, ისე ნათლად ვხედავ, როგორც დღევანდელ დღეს. რაო, რა თქვა, არ წამოვალ თქვენთან ერთადო?

— არაო, მგონი ხალხთან შეხვედრის ეშინია. ჩვენ რო დაგველაპარაკა, ისიც მიკვირს. ძია ჯონთან მზის ამოსვლამდე ვიქნებით.

ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ. დღის შუქს რომ არიდებოდნენ, ღამურებს ხის ფუღუროებში, ბეღლებში, წყლის საცავებში შეფრენა ეჩქარებოდათ. აღმოსავლეთით ცა განათდა. ახლა ბამბის მინდვრები და რუხი მიწა კარგად ჩანდა.

— ძია ჯონთან როგორ ეტევიან, აზრზე არა ვარ. ერთი ოთახი, ფარდული, სადაც საჭმელს ამზადებს და პატარა ბეღელი, სულ ეგ არი. ეხლა იქ ალბათ ნემსსაც ვერ ჩააგდებ.

— მგონი, უცოლო კაცია, არა? ოჯახი არ ჰყავს. როგორც მახსოვს.

— მარტო უცოლო რო იყოს... გიჟია ეგ ნაბიჭვარი, მიულისნაირი, ზოგჯერ უარესიც. საითაც გაიხედავ, იქ დაინახავ. ხან შონიშია მთვრალი. ხან ოცი მილის იქით ერთ ქვრივთან არი, ხან ფარნის შუქზე თავის ნაკვეთში აკეთებს რაღაცას. ყველა ფიქრობდა, ისე ცხოვრობს, მალე მოკვდება, მაგრამ ძაან კარგად არი. მამაჩემზე უფროსია, მაგარ ჯანზეა; ისეთი მოუდრეკელია, პაპაჩემი დაგავიწყდება.

— შეხედე, როგორ განათდა, — თქვა მქადაგებელმა, — ვერცხლისფერი გახდა ყველაფერი. ოჯახი არასდროს ჰყოლია?

— ჰყავდა, როგორ არა. რო მოგიყვები, გაიგებ, რა კაციც არი. მამაჩემი ამბობს, ახალგაზრდა ცოლი ჰყავდა, ოთხი თვე გაგრძელდა მათი ქორწინებაო. ეს ქალი ორსულად ყოფილა და ერთ ღამეს თურმე მუცელში ტკივილი უგრძნია. ჯონ, ექიმი მომიყვანეო, უთხოვია. ის კიდე იქვე იჯდა თურმე და ყურსაც არ იბარტყუნებდა. მერე უთქვამს, ბევრი ჭამე და მუცელი იმიტო გტკივაო, ადექი და ტკივილგამაყუჩებელი დალიეო. მეორე დღეს ქალს გონება დაუკარგავს და ნაშუადღევს, დაახლოებით ოთხ საათზე, მომკვდარა.

— და რა იყო? მოიწამლა?

— არა, რაღაც გაუსკდა, აპენდიკი თუ რაღაცა, არ ვიცი. სინამდვილეში, ძია ჯონი ბოროტი არ არის, ეს ამბავი მძიმედ გადაიტანა. თავის თავს ცოდვა ვერ აპატია, დიდი ხნის განმავლობაში არავის ელაპარაკებოდა, თითქოს ვერაფერს და ვერავის ხედავდა, აქეთ-იქით დადიოდა და თავისთვის ლოცვებს ამბობდა. ორი წელი დასჭირდა, რო აზრზე მოსულიყო, მაგრამ ძაან შეიცვალა. ცოტა აურია, აღარ გვასვენებდა. რო-

მელიმე ჩვენგანს მუცელი ეტკინებოდა თუ ჭიები შეაწუხებდა, ეგრევე ექიმი მოყავდა. ბოლოს მამაჩემმა უთხრა, გაჩერდი რა, აღარ შეგვიძლია, ბავშვებს მუცელი ეტკინებათ, აბა, ისე როგორ იქნებაო. იმ ქალის სიკვდილში თავს იდანაშაულებს. სასაცილო კაცია, სუ რაღაცას იგონებს, ხან რას ჩუქნის ბავშვებს და ხან რას, ზოგჯერ ვიღაცის კართან საჭმლით სავსე ტომარას ტოვებს; მზად არი, რო რაც აქ, ყველაფერი გასცეს, მაგრამ მაინც ვერ ისვენებს. ისევ ცოდვა აწუხებს. ღამ-ღამობით აქაურობას მარტო უვლის გარშემო. ისე კარგი ფერმერია, კარგად მოვლილი ნაკვეთი აქ.

— საწყალი კაცი, — თქვა მქადაგებელმა, — საწყალი მარტოსული კაცი. ცოლი რო მოუკვდა, ეკლესიაში ხშირად დადიოდა?

— არა, ხალხთან სიახლოვე არ უნდოდა. სუ მარტო იყო. ჯერ ბავშვი არ მინახავს, რო ძია ჯონი არ უყვარდეს. ხანდახან ღამე მოდიოდა ხოლმე ჩვენთან. დილას ეგრევე ვხვდებოდით, რო ღამე ჩვენთან იყო, იმიტო, რო ყველას საღეჭი რეზინის პაკეტი გვხვდებოდა ბალიშის ქვეშ. ვაღმერთებდით ძია ჯონს.

მქადაგებელი თავჩაქინდრული მიდიოდა. ჯოუდისთვის პასუხი არ გაუცია. განთიადის შუქზე შუბლი თეთრად უქათქათებდა. ნაბიჯების ტაქტს აყოლილი ხელები ხან გამოკრთებოდა მკრთალ სინათლეში, ხანაც უჩინარდებოდა.

ტომი ისე დადუმდა, გეგონებოდათ, საიდუმლო გასცა და ახლა რცხვენოდა. ნაბიჯს აუჩქარა. მქადაგებელმა ფეხი აუწყო. წინ, ნაცრისფერ ბინდბუნდში გზა გამოჩნდა. ბამბის ბუჩქებიდან გზაზე გველი გამოიკლაკნა. ტომი შეჩერდა და დახედა. — თრიებს ანადგურებს, გაუშვი, — გველს შემოუარეს და თავის გზას გაუდგნენ. აღმოსავლეთით ცა შეფერადდა და მი-

წას განთიადის მკრთალი სინათლე მოეფინა. მწვანე ბამბის ნარგავები გამოჩნდა. მიწას ყავისფერი დაედო. კაცების სახიდან ნაცრისფერი აიკრიფა. მომატებულ სინათლეზე ჯოუდის სახე კიდევ უფრო მუქი ჩანდა.

— კარგია დილა, — ხმადაბლა თქვა ჯოუდმა, — ბავშვობაში ადრე ვდგებოდი და მარტო ვსეირნობდი ხოლმე. იქ რა ჩანს?

ერთი ძუკნა ძაღლის პატივსაცემად ხუთ ხვადს მოეყარა თავი. მეცხვარესთან ნაჯვარი, კოლისთან ნაჯვარი — ძაღლები, რომელთა ჯიშმაც სოციალური არსებობის თავისუფალი წესის გამო დეგრადაცია განიცადა, ძუკნის ყურადღების მიქცევას ცდილობდნენ. ყოველი მათგანი გრაციოზული მოძრაობით უახლოვდებოდა ძუკნას, ყნოსავდა, მერე გამართული ფეხებით ამაყად მიდიოდა ბამბის ბუჩქთან, უკანა ფეხს საქმიანად სწევდა, შარდავდა და უკან ბრუნდებოდა. ჯოუდი და კეისი შეჩერდნენ. ჯოუდმა მხიარულად ჩაიცინა.

— ნახე, რა! — თქვა მან. კისრებზე ბეწვაჯაგრული ძაღლები შეჯგუფდნენ, იღრინებოდნენ, მაგრამ ადგილიდან არ იძვროდნენ, იცდიდნენ, რომ რომელიმეს ჩხუბი წამოეწყო და მერე ერთმანეთი გაებრდღვნათ. მაგრამ ერთი ძუკნას შემოაჯდა, დანარჩენებმა დათმეს, ენაგადმოგდებულებს დორბლი სცვიოდათ და ინტერესით უყურებდნენ.

კაცებმა გზა განაგრძეს.

— ნახე, რა! მგონი, ძუკნაზე როა შემომჯდარი, ჩვენი ფლეშია. მე მკვდარი მეგონა. ფლეშ! ფლეშ! ესეთ დროს ჩემთვისაც რო დაეძახათ, ვერც მე გავიგონებდი, — გაიცინა ჯოუდმა. — უილი ფილიზე ერთი ამბავი გამახსენდა. ახალგაზრდობაში ძალიან მორცხვი იყო. ერთხელ გრეივსების ხართან ფური წაიყვანა. სახლში ელსის გარდა არავინ იყო: ელსიმ კიდე სირცხვილი რა იყო, საერთოდ არ იცოდა. უილი სუ გაწითლდა და

დამუნჯდა. ელსი ეუბნება, ვიცი რატომაც მოხვედი, ხარი ბაკ-შია, უკანა ეზოშიო. ფური ხართან მიიყვანეს. თითონ ღობეს-თან დასხდნენ და ყურება დაიწყეს. მალე უილის ისეთი და-ემართა, რო აღარ იცოდა, სად გაქცეულიყო. რა მოგივიდაო, ჰკითხა ელსიმ, ვითომ არ იცოდა, რაც მოუვიდა. უილი ისეთი აღგზნებული იყო, რო ადგილზე ვეღარ ჩერდებოდა. უჰ, უჰ, ნეტა მე ვაკეთებდე ეხლა მაგასო. ელსი კიდე ეუბნება, მერე ვინ გიშლის, ფური შენი არ არიო.

კეისიმ ჩაიცინა.

— კარგია, ხო იცი, მქადაგებელი რო აღარ ვარ. ეგეთ ამ-ბებს არავინ მიყვებოდა და თუ მიყვებოდნენ, ვერც ვიცინოდი და ვერც ვიგინებოდი. ეხლა იმდენს ვიგინები, რამდენიც მინ-და, ვინ არი დამშლელი.

აღმოსავლეთით ცას წითელი შეერია. ჩიტები აეღურტულ-დნენ.

— აგე, შეხედე! წინ გაიხედე, ეს ძია ჯონის ცისტერნაა. ჯერ ქარის წისქვილი არ ჩანს, მაგრამ ცისტერნა ძია ჯონისაა. ხე-დავ? ნეტა ყველა სახლშია? — ჯოუდმა ფეხს აუჩქარა.

ცისტერნა გორაკის თავზე იდგა. ჯოუდს მტვერი მუხლებამ-დე სწვდებოდა, — ნეტა დედაჩემი... — ცისტერნის სადგამი გა-მოჩნდა. მალე სახლიც გამოიკვეთა — პატარა ოთხკუთხა შე-უღებავი ხის ყუთი, და იქვე დაბალი, გაურანდავი ფიცრებით შეკრული, გადაბრეცილი ფარდული. სახლის საკვამურიდან კვამლი ამოდიოდა. ეზო ათასგვარი ნივთით იყო სავსე. ერ-თად მიყრილი ავეჯი, დანის პირები, ქარის წისქვილის მექა-ნიზმი, საწოლები, სკამები, მაგიდები.

— ღმერთო, წასასვლელად ემზადებიან, — წამოიძახა ჯო-უდმა. ეზოში სატვირთო იდგა. მაღალგვერდებიანი სატვირ-თო ცოტა უცნაური ჩანდა. წინა ნაწილი მსუბუქი ავტომობი-

ლისა ჰქონდა, თავი გადაეჭრათ და ზედ სატვირთოს ძარა დაემაგრებინათ. ცოტა უფრო ახლოს რომ მივიდნენ, ეზოდან ბრაგუნი მოესმათ. დამაბრმავებელმა მზემ ჰორიზონტისკენ გადაიწია და სატვირთოს ძარას დახედა. ძარაზე კაცი იდგა, რაღაცას აჭედებდა. ჩაქუჩი ყოველ მოქნევაზე ლაპლაპებდა. სახლის ფანჯრებზეც გაბრწყინებულმა მზის სხივებმა სახლის დახეთქილი ფიცრებიც გაანათა. ეზოში ორი წითელი წიწილა მზემ ცეცხლისფრად გააფერადა.

— ხმა არ ამოიღო, მივეპაროთ, — უთხრა ჯოუდმა კეისის და ისე აუჩქარა ფეხს, რომ მტვერი წელამდე მისწვდა.

მინდორი გადაკვეთეს და ეზოში შევიდნენ, ალაგ— ალაგ რამდენიმე მტვრიანი, ფეხქვეშ გათელილი სარეველა ამოჩრილიყო. ჯოუდმა ნაბიჯი შეანელა, თითქოს ახლოს მისვლის ეშინოდა. მქადაგებელმა ფეხი აუწყო, ტომმა წინ წაიწია და სატვირთოსთან გვერდული, უხერხული სვლით მივიდა. „ჰადსონის სუპერ-6“ სედანისთვის თავი საზეინკლო ღოჯით გადაეხსნათ, უფროსი ტომ ჯოუდი ძარაზე იდგა და სატვირთოს გვერდებს ფიცრებს აჭედებდა. ჭაღარაწვერიანი სახე სამუშაოსკენ დაეხარა, კბილებით ექვსპენსიანის ტოლი რამდენიმე ლურსმანი ეჭირა. ლურსმანი დასვა და ჩაქუჩი ქუხილით დააჭედა. სახლიდან ქვაბის თავსახურის ჩხაკუნი და ბავშვის ღნავილის ხმა მოისმა. ჯოუდი სატვირთოს მიეყრდნო. მამამისმა შეხედა, მაგრამ ვერ დაინახა და კიდევ ერთი ლურსმანი ჩააჭედა. ცისტერნიდან მტრედები აიშალნენ — თეთრი, ლურჯი, ნაცრისფერი მტრედები, მზეზე სხვადასხვაფრად აელვარებული ფრთებით — აიშალნენ, ცისტერნას გარშემო შემოუფრინეს, მერე ისევ დასხდნენ, კიდეს მიუახლოვდნენ და თავმომწონედ გადაიხედეს.

ჯოუდი სატვირთოს ძარას ქვედა ფიცარს ხელით ჩაეჭიდა; ხანშიშესულ, ჭაღარა კაცს ახედა, სქელი ტუჩები ენით გაისველა და ხმადაბლა თქვა:

— მა..

— რა გინდა? — ლურსმნებს შორის გამოცრა უფროსმა ტომმა. შავი შელახული ქუდი ეხურა. ლურჯ სამუშაო პერანგზე უღილო ჟილეტი მოეცვა. ჯინსი ტყავის ფართო, თითბრის ბალთიანი ქამრით დაემაგრებინა, რომელიც ისე იყო გაცვეთილი, რომ ზედ გაგლესილი ჭუჭყი მზეზე ელავდა. ალაგ-ალაგ დამსკდარი ფეხსაცმლის ძირი გვერდებში გასულიყო, წლობით მზეში, წვიმასა და მტვერში ტარებისგან ნავის ფორმა მიეღო. პერანგის სახელოები დაკუნთულ მკლავებზე შემოტმასნოდა. შევარდნილი მუცელი და მოკლე, ჩაფსკვნილი ფეხები ჰქონდა. ჭაღარა ჯაგარივით წვერი წინ გამოწეულ ურჩ ნიკაპზე ჩამოჰფარებოდა; ნიკაპზე წვერი ჯერ არ გაჭაღარავებოდა, რაც მის გამომეტყველებას კიდევ უფრო მეტ სიძლიერეს მატებდა. სუფთა ღაწვებს ზემოთ ხვირთქლის ჩიბუხივით მუქი კანი დანაოჭებოდა და თვალების გარშემო სხივებივით შემოჯარვოდა. ყავისფერი თვალები ჰქონდა. მხედველობა ღალატობდა და როცა რამეს უყურებდა, თავს წინ წასწევდა ხოლმე. თხელი ტუჩები, რომელთა შორის ახლა ლურსმნები გამოჩრილიყო, წითლად უღვიოდა.

შემართული ჩაქუჩით ის იყო, ლურსმანი უნდა ჩაეჭედებინა, მაგრამ სამუშაო შეაწყვეტინეს და ძარადან უკმაყოფილო სახით გადმოიხედა. მერე ნიკაპი წინ წასწია და ტომს შეხედა. ნელ-ნელა ტვინმა თვალით ნანახის გააზრება დაიწყო. ჩაქუჩიანი მარჯვენა ხელი დაუშვა, მარცხენით პირიდან ლურსმნები გამოიღო. გაოცებულმა, ისე თითქოს თავის თავს ახალ ამბავს ატყობინებდა, თქვა:

— ჩემი ტომი, — და ფაქტის დადასტურება განაგრძო, — ჩემი ტომი შინ დაბრუნდა. — წინ წაწეული ნიკაპი დაუშვა და შეშინებულმა ჰკითხა: — ციხიდან გამოიქეცი? იმალები? — პასუხს დაძაბული ელოდა.

— არა, არა, პირობით გამათავისუფლეს, საბუთები ჯიბეში მაქ, — ტომი ქვედა ფიცარს ჩაეჭიდა და ზევით აიხედა. უფროსმა ტომმა ჩაქუჩი დადო, ლურსმნები ჯიბეში ჩაიწყო, ფეხი გადმოყო და მარჯვედ ჩამოხტა, მაგრამ როგორც კი ვაჟიშვილის წინ აღმოჩნდა, დაბნეულობა იგრძნო.

— ტომი, კალიფორნიაში მივდივართ. შენთვის წერილის მოწერას ვაპირებდით, — და ისე დაამატა, თითქოს თავის ნათქვამის თვითონაც არ სჯეროდა, — მაგრამ დაგვიბრუნდი, ტომი, ეხლა ერთად წავალთ! ერთად წავალთ! — სახლიდან ყავადანის თავსახურის ჩხარუნის ხმა გაისმა, უფროსმა ტომმა უკან გაიხედა. — მოდი, წინასწარ არ ვუთხრათ, გავახაროთ, — აღტაცებამ თვალები გაუბრწყინა, — დედაშენს ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა, ამბობდა, ტომის ნახვას ვეღარ მოვესწრებიო. ისეთი სახით დადიოდა, კაცი იფიქრებდა, ვინმე მოუკვდაო. კალიფორნიაში წამოსვლაც არ უნდოდა, ტომის ვეღარ ვნახავო, ეშინოდა. — სახლიდან ისევ ბრახუნი მოისმა, — მოდი, ისე მივიდეთ, თითქოს წასული არც იყავი, ვნახოთ, დედაშენი რას იტყვის. — როგორც იქნა, უფროსი ტომი შვილს შეეხო, მაგრამ მხოლოდ ბეჭზე დაადო ხელი, მორცხვად, გაუბედავად და მაშინვე უკან წაიღო. ჯიმ კეისი იქვე იდგა:

— მა, მქადაგებელი გახსოვს? ჩემთან ერთად მოვიდა.

— ერთად იჯექით?

— არა, გზაში შემხვდა. დიდი ხანია, აქ აღარ ყოფილა. — ტომმა დარბაისლურად ჩამოართვა ხელი, — მიხარია, აქ რომ გხედავთ, სერ.

— მეც მიხარია, — მიუგო კეისიმ, — მიხარია, რომ თქვენი შვილის სახლში დაბრუნებას შევესწარი.

— სახლში... — თქვა უფროსმა ტომმა.

— ოჯახში, — სწრაფად გამოასწორა კეისიმ. — წუხანდელი ღამე ძველ ადგილას გავათენეთ. — ტომმა ნიკაპი წინ წასწია და წამით გზას გახედა. მერე შვილისკენ შებრუნდა და აღელვებულმა ჰკითხა: — როგორ მოვიქცეთ? მოდი, ჯერ მე შევალ და ვეტყვი, ვიღაც კაცია მოსული, საჭმელს ითხოვს-მეთქი, თუ მარტო შეხვალ და სანამ დაგინახავს, იდგები, როგორ ჯობია? — აღტაცებისგან სახე უბრწყინავდა,

— ისე არა ვქნათ, რო შეეშინდეს. არ მინდა, რო შეეშინდეს.

ეზოში ორი ნაგაზი უდარდელად დაძუნძულებდა, მაგრამ როგორც კი უცხო სუნი იკრეს, შეჩერდნენ, უკან დაიხიეს, კუდები ნელ-ნელა, სიფრთხილით ააქიცინეს, თვალები და ცხვირები დაძაბეს და საფრთხისთვის მოემზადნენ. ერთმა კისერი წაიგრძელა, ტომთან მივიდა, ფეხები დაუყნოსა, მერე უკან გაბრუნდა და უფროსი ტომისგან ნიშანს დაელოდა. მეორეს სითამამე არ ეყო. მიიხედ-მოიხედა, რომ ყურადღება ღირსეულად გადაეტანა სხვა რამეზე, იქვე უჩვეულოდ წითელი დედალი დაინახა და ეცა. გამწარებული დედლის კრიახი გაისმა, წითელი ბუმბული მიმოიფანტა. დედალმა მოკლე ფრთები აა-ფართხუნა და გაქცევა მოახერხა. ძაღლმა ამაყად გადახედა კაცებს, გაწვა და კმაყოფილმა კუდის ქნევა დაიწყო.

— წავედით, — თქვა უფროსმა ტომმა, — ერთი დაგინახოს, მე კიდე იმის სახეს შევხედავ. წავედით, მალე საუზმეზე დაგვიძახებს. დიდი ხნის წინ გავიგონე, როგორ დააგდო ტაფაზე დამარილებული ღორის ნაჭერი.

მტვრიანი ეზო გადაკვეთეს. სახლს პარმაღი არ ჰქონდა: ერთი საფეხური და პირდაპირ კარს შეაღებდით. კართან

ხორცის საჩეხი კუნძი იდო. წლების განმავლობაში ხმარებას კუნძის ზედაპირი დაეფშვნა და დაერბილებინა. ხის მასალას ტექსტურა მხოლოდ ზედაპირზე შერჩენოდა, დანარჩენი მტვერს შეეჭამა. ჰაერში დამწვარი ტირიფის ტოტების სუნი ტრიალებდა. სამი კაცი კარს მიუახლოვდა და შემწვარი ხორცის, დაბრაწული ფუნთუშებისა და ყავის მძაფრმა სურნელმა ტირიფის ტოტების სუნი გადაფარა. უფროსმა ტომმა ღია კარში შეაბიჯა და მოკლე, განში გასული სხეულით ცარიელი სივრცე გადაფარა.

— დე, აქ ორი მგზავრია, საჭმელს ხო არ გვიწილადებსო, გეკითხებიან.

ტომმა დედამისის ხმა გაიგონა, ისეთი, როგორიც ახსოვდა — მშვიდი, დინჯი, მეგობრული, მოკრძალებული.

— შემოვიდნენ. საკმარისი საჭმელი გვაქ. უთხარი, რო ხელები დაიბანონ. პური უკვე გამოცხვა; ეხლა ხორცს გადმოვიღებ. — ტაფაზე ცხიმი აშიშხინდა. უფროსი ტომი ოთახში შევიდა. ტომმა ღია კარში შეიხედა და დედას შეხედა. ტაფიდან დაბრაწული ღორის ხორცის ნაჭრებს იღებდა. ღია ღუმელში ყავისფერი ფუნთუშებით სავსე ტაფა იცდიდა. დედამ კარისკენ გაიხედა, მაგრამ ტომის უკან მზე ანათებდა და კაშკაშა ყვითელი სინათლის ფონზე მხოლოდ მუქი ფიგურა დაინახა. — მობრძანდით, — თქვა მან. სტუმრებს თავი დაუკრა, — გაგიმართლათ, დღეს ბევრი პური გამოვაცხვე. ტომი იდგა და უცქერდა. დედას მშობიარობების გამო სხეული დამძიმებოდა, მაგრამ მსუქანი არ იყო. ხაკისფერი განიერი კაბა ეცვა, რომელიც ერთ დროს ფერადი ყვავილებით იყო მოჩითული, მაგრამ კაბა გახუნებულიყო, პატარა ფერადი ყვავილები, ფონთან შედარებით ოდნავ ღია, მოთეთრო ლაქებად ქცეულიყო. კაბა კოჭებამდე სწვდებოდა, ძლიერი, განიერი, შიშველი

ტერფებით სწრაფად და მარჯვედ მოძრაობდა იატაკზე. თხელი ჭაღარა თმა კეფაზე შეეკრა. ღონიერი მკლავები იდაყვებამდე მოეშიშვლებინა. პატარა გოგონასავით პუტკუნა და ნაზი ხელები ჰქონდა. ეზოსკენ გაიხედა. მის გამომეტყველებას თბილს ვერ დაარქმევდით, მაგრამ კეთილგანწყობას კი გაგრძნობინებდათ. თაფლისფერ თვალებში კაცობრიობის თავს დატეხილი ყოველგვარი ტრაგედიის კვალი უკრთოდა, გეგონებოდათ, რომ ზეადამიანურ შეგნებამდე სავალი აღმართი ტკივილსა და ტანჯვაზე ამაღლებით, ნაბიჯ-ნაბიჯ აიარა. მას კარგად ესმოდა, ნათლად ხედავდა, რომ თვითონ იყო თავისი ოჯახის ბურჯი, ციხესიმაგრე, რომლის აღებაც ძალით შეუძლებელი იყო, და რადგან უფროსი ტომი და ბავშვები შიშსა და ტკივილს მაშინ გრძნობდნენ, როცა დედას ეშინოდა ან სტკიოდა, დედამ თავის თავს ასწავლა, რომ არ სტკენოდა და არც შეშინებოდა. და რადგან, მხიარულების დროს მის სახეზე სურდათ სიხარულის ამოკითხვა, დედას ჩვევად ექცა, იქაც კი დაენახა სიხარულის მიზეზი, სადაც შეუძლებელი იყო. მაგრამ მხიარულებას სიმშვიდე ჯობდა. უფრო სანდო იყო. ოჯახში მისი ყოვლისმომცველი, მაგრამ, ამავე დროს, მოკრძალებული როლი დედას ღირსებასა და სულიერ მშვენიერებას მატებდა. სანდო, ძლიერი, სიმშვიდის მომგვრელი ხელები ჰქონდა, რადგან მათგან განკურნებას ელოდნენ. მომრიგებელი მოსამართლე იყო და განაჩენის გამოტანისას ქალღმერთივით მიუკერძოებელი და შეუცდომელი რჩებოდა. კარგად ესმოდა, რომ მისი წაბორძიკება ოჯახს შეარყევდა, ხოლო თუ სასოწარკვეთა დაეუფლებოდა, ოჯახი დაეცემოდა, სიცოცხლის ნებას დაკარგავდა.

მზით განათებულ ეზოში კაცის ფიგურას გახედა. უფროსი ტომი იქვე იდგა, მღელვარებისგან ცახცახებდა.

— შემობრძანდით, მისტერ, — ტომმა ზღურბლს მორცხვად გადააბიჯა.

დედამ თვალები ტაფას მოაშორა და ალერსიანად შეხედა. შემდეგ მისი ხელი ნელა დაეშვა და უეცრად, ხის იატაკზე ჩანგალი გაჩხაკუნდა. თვალის გუგები გაუფართოვდა, სუნთქვა გაუხშირდა, თვალები დახუჭა.

— მადლობა ღმერთს, ოჰ, ღმერთო, მადლობა, — სახეზე ღრუბელმა გადაუარა, — ტომი, გეძებენ? გამოიქეცი?

— არა, არა, დე, პირობით გამომიშვეს. საბუთები აქ მაქ. — მკერდზე ხელი დაიკრა.

გაოგნებული სახით, მსუბუქი, უხმო ნაბიჯებით დედა ტომისკენ წავიდა. პატარა ხელით მკლავზე შეეხო, მისი კუნთების სიმკვრივე იგრძნო, მერე ბრმასავით ხელის ცეცებით თითებმა ტომის ლოყა მოძებნეს. დედის თვალებიდან სიხარული და უსაზღვრო სევდა ერთად იცქირებოდა. ტომმა ტკივილისგან ქვედა ტუჩი მოიკვნიტა. გაოცებულმა თვალებმა სისხლი დაინახა. შვილის ტუჩზე ჩამოგორებული სისხლის პატარა წვეთი და მიხვდა, რომ თავი ხელში უნდა აეყვანა, სისუსტე არ ეპატიებოდა. ხელი ჩამოსწია. სუნთქვისთვის ლამის გული ამოეყოლებინა.

— ოჰ, ოჰ, კინაღამ უშენოდ წავედით! — წამოიძახა დედამ. — ნეტა, ტომი როგორ გვიპოვის-მეთქი, ვფიქრობდი, — იატაკიდან ჩანგალი აიღო, მდუღარე ცხიმს მოურია, დამწვარი ნაჭერი ამოიღო და ათუხთუხებული ყავადანი ქურიდან გადადგა.

უფროსმა ტომმა ჩაიცინა.

— ხო გაგაცურეთ, დე! ეგრე გვქონდა ჩაფიქრებული. ხო იდექი დარეტიანებული ცხვარივით! პაპა უნდა ყოფილიყო აქ, რო დაენახე. ისე იდექი, კაცს ეგონებოდა, თვალებს შუა ჩაქუ-

ჩი ჩაარტყესო. სიცილით გასკდებოდა, იმდენს იხტუნებდა, იქნებ ახლიდან ამოეგდო ის ფეხი, როგორც მაშინ, ელმა რო დირიჟაბლს ესროლა. ტომი, ხო იცი, ერთხელ დირიჟაბლმა გადაგვიფრინა, სიგრძეში ერთი მილი იქნებოდა. ელმა იარაღს ხელი სტაცა და სროლა დაიწყო. პაპამ დაინახა და ყვირილი ატეხა — ბიჭო, ბარტყებს ნუ ესვრი, დიდები რომ მოფრინდებიან, იმათ ესროლეო, თან ჩაბჟირებამდე იცინოდა. წელში ისე იხრებოდა, ისე ხტუნავდა, რო ბოლოს ფეხი ამოიგდო.

დედამ მორიდებულად ჩაიცინა და თაროდან თუნუქის თეფშების წყება ჩამოდგა.

— პაპა სად არის? — იკითხა ტომმა. — ეგ ბებერი ეშმაკი ჯერ არ მინახავს.

დედამ თეფშები მაგიდაზე დააწყო, თითოეულს ჭიქა მიუდგა და თქვა:

— პაპას და ბებიაშენს ფარდულში სძინავთ. ღამღამობით ძალიან ხშირად უწევთ ადგომა, ბავშვებს ზედ აბიჯებდნენ.

— ხო, ყოველ ღამე ურევდა ხოლმე. — ჩაერია მამა, — უინფილდს სიბნელეში ფეხს წამოდებდა, უინფილდი შიშისგან აყვირდებოდა, ის კიდე ბრაზდებოდა და საცვალში ეპარებოდა, ამაზე კიდე უფრო ბრაზდებოდა და მალე სახლში ყველას თავი ჰქონდა წამოწეული და ყვიროდა, — სიცილით ყვებოდა მამა. — მხიარული დრო იყო. ერთ ღამეს, სახლში ისეთი აურზაური ატყდა, რო ყველა დედას იგინებოდა, შენმა ძმამ, თავი ჭკუის კოლოფი რო გონია, უთხრა, ეხ, პაპაჩემო, რატო არ გაიქეცი სახლიდან, შენგან მაგარი პირატი გამოვიდოდაო. ამან სუ გააგიჟა და თოფის მოსატანად წავიდა. ის ღამე ელმა გარეთ, მინდორში გაათენა. იმის შემდეგ მოხუცებს ფარდულში ძინავთ.

— ღამე ადგომა თუ დასჭირდათ, გარეთ გადიან, — თქვა დედამ, — მა, წადი პაპას გააგებინე, რო ტომი დაბრუნდა. ხო იცი, ტომი ძალიან უყვარს.

— აბა, რა, აქამდეც უნდა მეთქვა, — ოთახიდან გავიდა და ეზო ხელების მწყობრი ქნევით გადაჭრა.

ტომმა თვალი გააყოლა. დედამ ყავა დაასხა და საუბარი წამოიწყო. ტომისთვის არ შეუხედავს, ისე მიმართა:

— ტომი, — გაუბედავად, შეიძლება ითქვას, მორცხვად თქვა მან.

— ჰო, — დედის გაუბედაობა შვილისას ამძაფრებდა. გაუგებარ დაბნეულობას იწვევდა. ერთმაც იცოდა და მეორემაც, რომ ორივე შეცბუნებულები იყვნენ და ამის გამო, დამორცხვებულები ჩანდნენ.

— ტომი, უნდა გკითხო — ხო არ გაბოროტდი?

— გავბოროტდი, დე?

— სიბრაზემ გონება ხო არ მოგიწამლა? ხალხი ხო არ შეგძულდა? ისე ხო არ გექცეოდნენ ციხეში, რო გაცოფებულიყავი?

ტომმა ცერად გახედა, დააკვირდა. თვალებში ეტყობოდა, რომ გაიფიქრა, ამდენი საიდან იცისო.

— არაა, — უპასუხა ტომმა. — შეიძლება თავიდან, ცოტა ხნით. მაგრამ მე სხვა ბიჭებივით ამპარტავანი არა ვარ. ჩემთვის ვიყავი, არაფერში ვერეოდი. რატო მეკითხები, დე?

ახლა დედა უცქერდა დაჟინებით. პირი გაეღო, თითქოს ასე პასუხს უკეთ გაიგონებდა; მზერას არ აშორებდა, რომ არაფერი გამოჰპარვოდა, იცოდა, რომ ზოგჯერ სიმართლე წარმოთქმულ სიტყვებში იმალებოდა. დაბნეულმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ განაგრძო:

— ბოი ფლოიდს ვიცნობდი, დედამისსაც, კარგი ხალხი ჩანდა. ბოი ბევრს ცელქობდა, მაგრამ ბიჭი ეგეთი უნდა იყოს. — ერთხანს შეჩერდა; მერე სიტყვები წყალივით გადმოღვარა, — ესე არ ხდება ხოლმე, მაგრამ ვიცი, რო იმათ ესე დაემართათ. ბიჭმა ცოტა რაღაცა დააშავა, დაიჭირეს და მაგრა სცემეს. ძაან გაამწარეს. მერე გამწარებულმა კიდე რაღაც დააშავა, კიდე სცემეს. სუ გააცოფეს, იქამდე მიიყვანეს, რო გონება აერია. მტაცებელს რო დასდევენ იარაღით, ისე დასდევდნენ. ესროდნენ და ისიც ესროდა. კოიოტივით წინ წაიგდებდნენ და უმიზნებდნენ, ბიჭი ცოფიანი მგელივით იღრინებოდა და კბილებს აღჭრიალებდა. ბოლოს გაგიჟდა. ვეღარც ბიჭს დაუძახებდი და ვერც კაცს. მოარულ ბოროტებად, ცოფიან მგლად იქცა. ვინც იცნობდა, ერიდებოდა. თითონაც არ ერჩოდა. ბოლოს ძაღლები მიუშვეს, იპოვეს და მოკლეს. რა მნიშვნელობა აქ, გაზეთებში რა დაწერეს. მე ხო ვიცი, როგორც მოხდა ყველაფერი — შეჩერდა, გამშრალი ტუჩები ენით გაისველა, თვალები შიშითა და ტკივილით ჰქონდა სავსე. — უნდა ვიცოდე, ტომი, გცემდნენ? შენც გაბოროტდი?

ტომს სავსე ტუჩები მაგრად მოეკუმა. დიდ, ღონიერ ხელებზე დაიხედა.

— არა, — უპასუხა ტომმა. — მე იმათ არ ვგავარ, — შეჩერდა; თავის კიდეებშემომტვრეულ, ნიჟარასავით დასერილ ფრჩხილებს დააცქერდა, — ციხეში არეულობისგან თავი შორს მეჭირა. მე არ გავბოროტებულვარ.

— მადლობა ღმერთს! — ოხვრას ამოაყოლა დედამ.

ტომმა დედას თვალი გაუსწორა.

— დე, რო ვნახე ჩვენი სახლი რა დღეში ჩაუგდიათ...

დედა ტომთან ახლოს მივიდა და მგზნებარე ხმით უთხრა:

— ტომი, მაგათთან მარტო შებრძოლება არ შეიძლება. მხეცივით წინ გაგიგდებენ, შენზე ნადირობას დაიწყებენ. მთელი ეს ხანი ვვარაუდობ, ვფიქრობ... ამბობენ, რო ჩვენ, კარ-მიდამოდან აყრილები, ასი ათასი ვართ, ყველა ერთად თუ ვაჩვენებთ, როგორი განრისხებულები ვართ, ტომი, იცოდე, რო დევნას ვეღარ დაგვიწყებენ, — თქვა დედამ და გაჩუმდა.

ნელ-ნელა ქუთუთოები დახარა: ანთებულ თვალებს წამწამები ჩამოეფარა.

— შენსავით ბევრი ფიქრობს? — ჰკითხა დედას.

— არ ვიცი, ხალხი თავგზააბნეულია, მთვარეულებივით დადიან. — გარეთ ბებრული, ხრინწიანი ხმა გაისმა.

— მადლობა უფალს! მადლობა უფალს, გამარჯვებისთვის! — ტომმა თავი შეატრიალა და ჩაიცინა — ბებიაჩემსაც გაუგია ჩემი ჩამოსვლის შესახებ. დე, ადრე ესეთი არ იყავი.

დედას სახე გაუმკაცრდა, თვალებში სიცივე ჩაუსახლდა.

— ადრე ჩემი სახლი არავის დაუნგრევია, არც ჩემი ოჯახის წევრები გაუყრიათ გზაზე, — თქვა დედამ, — კაპიკების შესაგროვებლად ყველაფერი არ გამიყიდია... აი, მოვიდნენ. — შებრუნდა, ღუმელთან მივიდა და ფუნთუშებით სავსე დიდი ტაფა ორ ბრტყელ თუნუქის თეფშზე დაცალა. საწებლის მოსამზადებლად ცხიმს ფქვილი წააყარა, ხელები ფქვილში ამოესვარა. ტომი ერთხანს თვალს ადევნებდა, შემდეგ კარისკენ გაემართა.

სახლს ოთხნი უახლოვდებოდნენ. პაპა წინ უძღოდათ. გამხდარი, ცქვიტი, დაუდევრად ჩაცმული მოხუცი მარჯვენა ფეხს, ცოტა ხნის წინ სახსრიდან რომ ამოუვარდა, ძალას ატანდა და ნაბიჯებს სწრაფად, ხტუნვა-ხტუნვით დგამდა. მოდიოდა და თან შარვალს იკრავდა, მაგრამ ბებერ თითებს ძლივს იმორჩილებდა, ზედა ღილი ქვედა ღილის კილოში გააძვრინა და

მერე ერთმანეთს შეუწყობლად მიაყოლა. მუქი გაცვეთილი შარვალი და დახეული ლურჯი პერანგი ეცვა. გაღეღილი პერანგიდან რუხი ღილებშეხსნილი ღამის პერანგი უჩანდა, საიდანაც თეთრ გამხდარ მკერდზე შერჩენილი თეთრი ბალანი ამოჩროდა. შარვლის შეკვრას შეეშვა და პერანგის ღილებზე გადავიდა. მერე იმასაც თავი დაანება და ყავისფერი აჭიმის ქაჩვა წამოიწყო. გამხდარ სახეზე პატარა თვალები უხედნი კვიცივით ავად უელავდა, ჭირვეული, ურჩი, ეშმაკურად მოღიმარი გამომეტყველებით გამუდმებით ჩხუბობდა, კამათობდა, ბილწსიტყვაობდა, ერთი სიტყვით, ბოლომდე ისეთი ავხორცი დარჩა, როგორიც ახალგაზრდობაში იყო — გიჟმაჟი ბავშვივით მოუთოკავი, სასტიკი და მოუთმენელი. ყველაფერს ერთად კი, მისი მხიარულება აგვირგვინებდა. ბევრს სვამდა, სასმელს ხელში თუ ჩაიგდებდა, ბევრს ჭამდა, თუ რამე იყო საჭმელი და ბევრს, შეუჩერებლივ ლაპარაკობდა

მის უკან ბებო მიბანცალებდა, რომელმაც მხოლოდ იმიტომ მიაღწია სიბერეს, რომ ქმარივით ავი იყო. სულ თავისაზე იდგა და ისეთი შეუვალი გააფთრებით იცავდა თავს, რომ პაპას უზნეობასა და ულმობლობას დიდად არ ჩამოუვარდებოდა. ერთხელ, ლოცვის შემდეგ, როცა ჯერ კიდევ ისე იყო აღგზნებული, რომ სხვადასხვა ენაზე ადიდებდა ღმერთს, პაპას ორლულიანი საფანტის თოფით ცალი დუნდულა გაუგლიჯა. ამ ამბავმა პაპა აღაფრთოვანა და ადრე თუ ისე აწვალებდა საკუთარ ცოლს, როგორც ბავშვები მწერებს, სროლის შემდეგ მისი წამება შეწყვიტა. ბებიას ფართო კაბა მუხლებამდე აეწია და განმგმირავი, საზარელი წიკვინა ხმით იმეორებდა: — დიდება უფალს! დიდება უფალს, გამარჯვებისთვის!

პაპა და ბებო ერთმანეთს ასწრებდნენ, რომ ფართო ეზო გადაეჭრათ. პაექრობის მიზეზს ყველაფერში ნახულობდნენ,

რადგან ერთმანეთთან ბრძოლის გარეშე ცხოვრება არ შეეძ-ლოთ.

მათ უკან აუჩქარებელი თანაბარი ნაბიჯებით მამა და ნოა მოდიოდნენ. ნოა — პირველი შვილი, მაღალი, უცნაური, გაკ-ვირვებული გამომეტყველებითა და მშვიდი, შეფიქრიანებუ-ლი კაცის იერით. ნოა არავის არასდროს უნახავს გაბრაზებუ-ლი. თუ მის შორიახლოს ვინმე მწყობრიდან გამოვიდოდა, ნოა გაოცებული, შეცბუნებული უცქერდა ისე, როგორც ჯან-მრთელი ადამიანი უყურებს ხოლმე ავადმყოფს. დინჯად მოძ-რაობდა, იშვიათად და იმდენად ნელა ლაპარაკობდა, რომ ზოგიერთებს გონებაჩლუნგი ეგონათ. არა, გონებაჩლუნგი არ იყო, მაგრამ უცნაურს კი ნამდვილად დაარქმევდით. სიამაყე რა იყო, არ იცოდა, ქალების მიმართ ინტერესს არ გამოხა-ტავდა. მუშაობდა და ეძინა, თუმცა თავისი ცხოვრების წესით კმაყოფილი გახლდათ. ოჯახი უყვარდა, მაგრამ არასდროს ამჟღავნებდა. დაკვირვებული თვალი ადვილად მიხვდებოდა, რომ რაღაც წესრიგში არ ჰქონდა, მაგრამ რა, ვერავინ გეტ-ყოდათ. იქნებ თავის ფორმის ბრალი იყო ან სხეულის, ფეხე-ბის ან ტვინის? მამამ იცოდა, რატომ იყო მისი შვილი სხვების-გან გამორჩეული, მაგრამ რცხვენოდა და ამაზე არასოდეს ლაპარაკობდა. ნოა რომ გაჩნდა, მამა სახლში მარტო იყო. ისე დაიზაფრა გადახსნილი მენჯებისა და იმ მკივანი უბადრუ-კობის ყურებით, რადაც უეცრად მისი ცოლი იქცა, რომ გონე-ბა აერია, აღარ იცოდა, რა ექნა, ძლიერი თითები ბავშვს მა-შასავით ჩაავლო, მოქაჩა, დაატრიალა და დედის საშოდან გამოათრია. ბებიაქალი რომ მოვიდა, ახალშობილს თავი ფორმადაკარგული, კისერი გაჭიმული, სხეული კი დაბრეცი-ლი ჰქონდა. მეტი რა გზა იყო, კისერი ჩაუსწორა და ხელებით სხეული ახლიდან გამოუძერწა. მამას ეს ამბავი არ დავიწყე-

ბია, სულ ახსოვდა და რცხვენოდა. სხვა შვილებთან შედარებით, მის მიმართ მეტ სითბოს ამჟღავნებდა. როცა ნოას ფართო სახეს, წინ წამოწეულ ვიწრო ყბასა და შორიშორ განლაგებულ თვალებს უყურებდა, ახალშობილის დეფორმირებულ თავის ქალას ხედავდა. ნოას რაც მოეთხოვებოდა, ყველაფერს პირნათლად ასრულებდა. წერდა, კითხულობდა, ანგარიშობდა, მაგრამ მისთვის ყველაფერი სულერთი იყო. სრულიად გულგრილი რჩებოდა იმის მიმართ, რისკენაც სხვა ადამიანები ისწრაფვოდნენ, სურდათ ან სჭირდებოდათ. თითქოს სადღაც, უცნაურ მდუმარებით მოცულ სახლში ცხოვრობდა და იქიდან მშვიდი თვალებით უცქერდა სამყაროს, რომლისთვისაც ნოა უცხოდ რჩებოდა, თუმცა ის თავს ეულად არ გრძნობდა.

ოთხმა ეზო გადაჭრა. პაპამ იკითხა:

— სად არი? დასწყევლის ღმერთი, სად არი? — და მისმა თითებმა კიდევ სცადეს შარვლის შეკვრა, მაგრამ მალე ჯიბისკენ გადაინაცვლეს და იქ დარჩენა ამჯობინეს. მერე კარში მდგომი ტომი დაინახა. პაპა შეჩერდა და ისინიც შეაჩერა, ვინც მის უკან მოდიოდნენ. თვალებში ბრაზი აუკიაფდა: — ერთი შეხედეთ რეციდივისტი! როდის იყო, ჯოუდები ციხეში ისხდნენ, — ფიქრი აქეთ— იქით გაურბოდა, — რა უფლება ქონდათ, ციხეში რო ჩასვეს, ის გააკეთა, რასაც მეც გავაკეთებდი, მაგ ნაბიჭვრებს, რა უფლება ქონდათ, — ფიქრი ისევ გაექცა, — ის ბებერი ტერნბელი, ის აქოთებული ნაბიჭვარი, გულზე ხელს იბრაგუნებდა, რო გამოვა შუბლს გავუხვრიტავო, ჰეტფილდების სისხლი მიდუღს, ამას ვერ მოვითმენო. მე სიტყვა გავუგზავნე, ჯოუდებს არ გაეკარო, იქნებ მე უკეთესი სისხლი მიდუღს და ვერც მე მოვითმენ-მეთქი. მერე გავაფრთხილე, ტომისთან ახ-

ლოს რო დაგინახო, თოფს გავტენი და ტრაკში გაგთხრი-მეთქი. შეეშინდა იმ ნაბიჭვარს.

ბებო არ უსმენდა და წიკვინა ხმით თავისას ერეკებოდა: — დიდება უფალს! დიდება უფალს!

პაპა ტომთან მივიდა და მკერდზე ხელი დაჰკრა. თვალები სიყვარულითა და სიამაყით უცინოდა.

— როგორ ხარ, ტომი?

— არა მიშავს, შენ როგორ ხარ?

— ისე, რო მთების გადადგმა შემიძლია. — ისევ სიამაყე მოეძალა. — ვამბობდი, ჯოუდს ციხეში ვერ გააჩერებ, ტომი ხარი-ვით გამოანგრევს ციხის კარს და გამოიქცევა-მეთქი. ჰოდა, აი, გამოქცეულხარ. იქით გამეცალე, მშია. — მაგიდას მიუჯდა, თეფშზე ხორცის ნაჭრები და ფუნთუშები დაიხვავა, სქელი საწებელი გადაასხა და სანამ სხვები შემოვიდოდნენ, პირი უკვე სავსე ჰქონდა. ტომი სიყვარულით უცინოდა.

— ოო. რა თავზეხელაღებული ხარ! — უთხრა ტომმა. პაპას პირი ისე ჰქონდა გამოტენილი, რომ ამოლუღლუღებაც კი ვერ შეძლო, სამაგიეროდ, ავი თვალები გაუბრწყინდა და თავი დააქნია.

ბებომ სიამაყით დაამატა:

— ჰო, ეგეთ თავზეხელაღებულს და უზრდელს სხვას ვერ ნახავთ. ჯოჯოხეთშია მაგის ადგილი, დიდება უფალს! სატვირთო უნდა რო წაიყვანოს! — ღვარძლიანად განაგრძო, — მაგრამ ვერ მოგართვით, არ გამოუვა.

პაპას საჭმელი გადასცდა, დაახველა და მთელი ლუკმა პირდაპირ კალთაში ჩაუვარდა.

— აი, ფეთხუმი მესმის. — ბებომ ტომს გაუცინა.

ნოა საფეხურზე იდგა, დაშორიშორებული თვალებით თითქოს ტომის მიღმა იცქირებოდა. მისი სახე არაფერს ამ-ბობდა.

— ნოა, როგორ ხარ? — ჰკითხა ძმას.

— კარგად. შენ როგორ ხარ? — სულ ეს იყო, მაგრამ ტომი კმაყოფილი ჩანდა.

დედამ საწებლით სავსე ჯამიდან ბუზები გააქშია.

— ადგილი არ არის, რო ყველა დავსხდეთ. თეფშები აიღეთ და სადაც ადგილს ნახავთ, იქ მოკალათდით, ეზოში ან სადმე.

უეცრად ტომმა წამოიძახა:

— მქადაგებელი სად არი? აქ არ იყო? სად წავიდა?

— მეც დავინახე, მაგრამ წასულა.

და ბებომ ისევ წიკვინი დაიწყო:

— მქადაგებელი? მქადაგებელი მოიყვანე? დაუძახე, და-უძახე, დაგვლოცოს. ერთი იმას შეხედეთ, უკვე ჭამს. — თითი პაპასკენ გაიშვირა.

— ეი, კეისი! ჯიმ კეისი! — ტომი ოთახიდან გავიდა, კეისის ეძახდა და ეზოში ეძებდა — ოჰ, კეისი, აი, სად ყოფილხარ, — მქადაგებელი ცისტერნის ქვეშ შემძვრალიყო. გამოვიდა, წა-მოდგა და სახლისკენ გაემართა.

— იქ რას აკეთებდი? იმალებოდი?

— არა. მაგრამ ოჯახის საქმეებში ცხვირის ჩაყოფა არ მინ-დოდა, ჩემთვის ვიჯექი და ვფიქრობდი.

— წამოდი, ჭამე, — უთხრა ტომმა, — ბებიაჩემს უნდა, რო ლოცვა წაიკითხო.

— როგორ? მქადაგებელი აღარ ვარ, ხო იცი.

— კარგი რა, დალოცე. შენ არაფერი დაგიშავდება, იმას კი-დე მოსწონს.

სამზარეულოში ერთად შევიდნენ.

— მობრძანდით, — ხმადაბლა თქვა დედამ.

— მობრძანდით, საუზმე მიირთვით, — მიიპატიჟა მამამ.

— ჯერ ლოცვა, ჯერ ლოცვა, — მომთხოვნი ხმით წამოიძახა ბებომ.

პაპა თვალს არ აშორებდა მქადაგებელს, ბოლოს იცნო.

— ოჰ, ეს ის მქადაგებელია, მახსოვს, რაც გავიცანი, იმის მერე სუ მომწონდა... — თვალი ისე ჩაუკრა, ბებომ იფიქრა რამე უხამსი თქვაო და პაპას შეუტია: — მოკეტე, შე ბებერო ცოდვილო!

კეისის აღელვება დაეტყო. თითებით თმა გადაივარცხნა და თქვა:

— უნდა გითხრათ... მე მქადაგებელი აღარ ვარ, უბრალოდ, მიხარია, თქვენთან, კეთილ, გულუხვ ხალხთან ერთად ყოფნა და თუ ეს საკმარისია, რო ლოცვა წავიკითხო, წავიკითხავ, მაგრამ მქადაგებელი აღარ ვარ.

— დაიწყე, არ დაგავიწყდეს, რო კალიფორნიაში მივდივართ, გზაც დაგვილოცე.

მქადაგებელმა თავი დახარა. სხვებიც ასევე მოიქცნენ. დედას თავი დაეხარა და ხელები მუცელზე დაეწყო, ბებოს თავი ლამის ფუნთუშებითა და საწებლით სავსე თეფშში ჩაეყო. ტომს ხელში თეფში ეჭირა, კედელს მიყრდნობოდა და თავი ოდნავ დაეხარა. პაპას თავი გვერდზე ისე გადაეგდო, რომ ავი, მაგრამ მხიარულად აციმციმებული თვალი მქადაგებელზე ეჭირა. მქადაგებლის სახეზე ღვთისმოსავობას ვერ ამოიკითხავდით, თუმცა დაფიქრებული კაცის იერი ჰქონდა. მის ხმაში ღვთის მიმართ ვედრება არა, მაგრამ განსჯა ისმოდა.

— ბევრი ვიფიქრე. — თქვა კეისიმ, — ტყე-ღრეში დავხეტიალობდი და ვფიქრობდი, შეიძლება ითქვას, ქრისტეს მსგავსად, როცა უფალი კითხვებზე პასუხს უდაბნოში ეძებდა.

— დიდება უფალს! — თქვა ბებომ. მქადაგებელმა გაოცებული მზერა ესროლა.

— იესოს ისე მოერია საზრუნავი, რო გამოსავალი ვეღარ იპოვა, ეჭვი შეეპარა და იფიქრა, ნეტა რა ყრია ჩემ ბრძოლაში, ან ამდენ ფიქრს რა აზრი აქო. დაიღალა, სულით დაეცა. ცოტაც და იფიქრებდა, ჯანდაბას ყველაფერიო. მერე ადგა და უდაბნოში წავიდა

— აა-მინ! — წაიწიკვინა ბებომ. ვინ იცის, რამდენი წელი ვარჯიშობდა, რომ მაშინ პაუზებს შორის სწორად ჩაესვა, მაგრამ ახლა აღარც ახსოვდა, ბოლოს როდის უსმინა საღვთო სიტყვას.

— ჩემს თავს იესოს კი არ ვადარებ, — განაგრძო მქადაგებელმა. — მაგრამ მეც დავიღალე, მეც დავიბენი და მეც გავეცალე ცხოვრებას. ღია ცის ქვეშ ვათევდი. არც კარავი წამიღია თან და არც სხვა ნივთები. ღამე გულაღმა ვიწექი და ვარსკვლავებს შევყურებდი, დილით წამოვჯდებოდი და მზის ამოსვლას ვუცდიდი, შუადღისას გორაზე ავდიოდი და გამომშრალ მიწას დავცქეროდი, საღამოს მზეს ქვევით მივყვებოდი, ზოგჯერ ისევ ისე ვლოცულობდი, მაგრამ ვეღარ გამეგო ვის მიმართ ან ვისთვის. იქ მხოლოდ მე და გორები ვიყავით, მაგრამ ცალ-ცალკე კი არა, ერთ მთელად ვიქეცით და ის ერთობა წმინდა იყო.

— ალილუია, — თქვა ბებომ. თან წინ და უკან ირწეოდა. ცდილობდა, რომ რელიგიური ექსტაზისთვის მიეღწია.

— ვფიქრობდი, ჩემი ფიქრები უფრო ღრმა იყო, ვიდრე სხვა დროს. მივხვდი, რო სიწმინდე მთლიანობაშია. კაცობრიობაც წმინდა იქნებოდა, მთლიანობა რო შეენარჩუნებინა. ალბათ ერთმა უწმინდურმა, უბადრუკმა კაცუნამ კბილებში მოიქცია მისი ნაწილი და თავის გზაზე გაიქცა. მარტო ეგეთ კაცს შეუძ-

ლია მთლიანობის დარღვევა, მაგრამ როცა ერთად ვიმუშავებთ, ერთი კაცი მეორისთვის კი არა, ერთად, ერთ უღელში შებმული, ეგეთ შრომაში სიწმინდე იქნება. აი, ასეთ რაღაცებზე ვფიქრობდი და ბოლოს ჩემს თავს ვკითხე, „სიწმინდე“ რა არის-მეთქი.

კეისიმ ლაპარაკი შეწყვიტა, მაგრამ დახრილი თავის აწევა აზრად არავის მოსვლია, რადგან, მისი მსმენელები ძაღლებივით დაგეშილები იყვნენ და იცოდნენ, თავი მაშინ უნდა აეწიათ, როცა ყურს „ამინ“ მისწვდებოდა.

— მე ლოცვას ვეღარ წარმოვთქვამ. მახარებს თქვენი საუზმობის სიწმინდე. მიხარია, რო თქვენ შორის სიყვარულია. სულ ეს არი.

თავები დახრილი დარჩა. მქადაგებელმა მიმოიხედა — ჩემ გამო საუზმე გაგიცივდათ, — თქვა და უცებ გაახსენდა: — ამინ, — თავებმა მაშინვე აიწიეს.

— აა-მინ, — თქვა ბებომ, საუზმეს შეუტია და საწებლით გაჟღენთილ ფუნთუშას უკბილო ყბა ღონივრად მოუქნია. ტომი სწრაფად ჭამდა, მამა პირს დიდი ლუკმებით იტენიდა. ვიდრე საჭმელი გათავდებოდა და ყავა დაილეოდა, კრინტი არავის დაუძრავს, სამაგიეროდ, ჩაღეჭილი საჭმლის ხრაშახრუში და ყავის ხვრეპა ისმოდა კარგად. დედა მქადაგებელს გამომცდელ, ცნობისმოყვარე, გამგებ მზერას არ აშორებდა. ისე უცქერდა, გეგონებოდათ, მქადაგებელი კაცი კი არა, სული იყო და მისი ხმა, სადღაც შორიდან, მიწიდან ამოდიოდა.

კაცებმა საუზმე დაასრულეს, თეფშები დააწყვეს, ბოლო ყლუპი ყავა მოსვეს და ეზოში გავიდნენ. მამამ, მქადაგებელმა, ნოამ, პაპამ და ტომმა აქეთ-იქით დაყრილ ავეჯს, ხის საწოლებს, ქარის წისქვილის მექანიზმს, ძველ გუთანს გვერდი აუქციეს და გეზი სატვირთოსკენ აიღეს, სატვირთოსთან შე-

ჩერდნენ და ფიჭვის ხის ფიცრებით აჭედილ ძარას ხელი შეავ-ლეს.

ტომმა კაპოტი ახადა. დიდ, ზეთით დათითხნილ ძრავას დახედა, მამა გვერდით ამოუდგა.

— სანამ ვიყიდიდით, შენმა ძმამ, ელმა, შეამოწმა და კარ-გიაო, თქვა.

— ელმა საიდან უნდა იცოდეს? მაგ მეტიჩარამ.

— შარშან ორ კომპანიაში მუშაობდა, სატვირთოს ატარებ-და, ცოტა რაღაცა ესმის. ხო იცი, რა ჭკუის კოლოფია, ძრავის დაშლა და აწყობა შეუძლია. ეგრე კი არ არი საქმე.

— ეხლა სად არი?

— ჰო, ატეხილი დაწანწალებს, ხვადი კატასავით არი. თავი კი მოაქ, მაგრამ თავისი კვერცხების ჭკუაზე დადის. ქალებისა და მანქანების მეტი არაფერი აინტერესებს. ერთი კვირაა, შინ არ შემოსულა.

პაპა ხელის ცეცებით აგრძელებდა ღილების შეკვრას. იმ-დენი ქნა, რომ ლურჯი პერანგის ღილები ღამის პერანგის კი-ლოში გაუყარა. თითებით გრძნობდა, რომ რაღაც წესრიგში არ იყო, მაგრამ ეს აღარ ადარდებდა. ხელებმა ქვევით გადაი-ნაცვლეს და შარვლის შესაკრავის სირთულეში გარკვევა სცა-დეს.

— მე უარესი ვიყავი, — მხიარულად თქვა პაპამ, — ბევრად უარესი, სუ მთლად ხელი მქონდა თავზე აღებული. მახსოვს, სალისოში ლოცვა გაიმართა, მაშინ ელზე უფროსი ვიყავი, ხუთასამდე კაცი შეიკრიბა, იქაურობა სავსე იყო ქორფა გო-გოებით.

— პაპა, შენ ეხლაც თავზეხელაღებული ხარ, — უთხრა ტომ-მა.

— აბა, რა! მაგრამ მთლად ისე ვეღარ ვარ. ერთი კალიფორნიამდე ჩავაღწიო, მერე ნახეთ, რო მივადგები და ხან ფორთოხალს შევჭამ და ხან ყურძენს. რამდენიც მინდა, იმდენს ჩავიყრი, ეგ მთელი ცხოვრება მაკლდა. ბუჩქია თუ რაც არი, სუ გავაცლი მტევნებს და სახეზე მივიჭყლიტავ, რო ნიკაპზე ჩამომეწუწოს.

— ძია ჯონი სად არი? შარონის ვარდი, რუთი, უინფილდი რატო არ ჩანან? არც კი გიხსენებიათ,

— ვინ იკითხა, რო... — უპასუხა მამამ, — ჯონი სალისოშია, საქონელი წაიღო გასაყიდად: საქაჩი, ხელსაწყოები, ქათმები, მოკლედ ყველაფერი, რაც ფერმიდან გადმოვზიდეთ. რუთი და უინფილდი თან წაიყვანა. უთენია გავიდნენ.

— მართლა? რატო არ შემხვდნენ? — ჰკითხა ტომმა.

— შენ მთავარი გზით მოხვედი, არა? ისინი უკანა გზით წავიდნენ, კაულინგტონის გავლით. შარონი კონის ოჯახთან ცხოვრობს. ოჰ, შენ ისიც არ იცი, რო შენი და კონი რივერსს გაჰყვა ცოლად. ხო გახსოვს კონი? კარგი ბიჭი ჩანს. შარონი ოთხ-ხუთ თვეში დედა გახდება, ყოველდღე წონაში იმატებს, უხდება ორსულობა.

— ღმერთო, რო წავედი, სუ ბავშვი იყო და ეხლა დედა უნდა გახდესო. რამდენიმე რამე მომხდარა ამ ოთხ წელიწადში. მა, დასავლეთისკენ გასვლას როდის გეგმავ?

— აი, ესენი უნდა გავყიდოთ. თუ ელი წანწალს მორჩება, მანქანას დატვირთავს და ყველაფერს გასაყიდად წაიღებს, ხვალ ან ზეგ უკვე გასვლა შეგვეძლება. ფული ცოტა გვაქ და ბიჭები ამბობენ, ორი ათასი მილი მაინც იქნება კალიფორნიამდეო, თუ მალე გავალთ, იქამდე კიდე შეიძლება რო ჩავაღწიოთ. ხო იცი, ფული როგორ იხარჯება. შენ გაქ ფული?

— ერთი-ორი დოლარი. შენ სად იშოვე?

— ყველაფერი გავყიდეთ, — უპასუხა მამამ, — თან მთელი ოჯახი, პაპაშენის ჩათვლით, ბამბას ვთოხნიდით.

— ჰო, ეგრე იყო, — დაადასტურა პაპამ.

— რო დავითვალეთ, ორასი დოლარი გამოვიდა. სამოცდათხუთმეტი სატვირთოში გადავიხადეთ. მე და ელმა გადავჭერით და ძარა დავადგით. ელი სარქველების გახეხვას აპირებდა, მაგრამ სად დაეთრევა, ვინ იცის, ვერ დააყენა საშველი. გზას რო დავადგებით, ხელზე ას ორმოცდაათი მაინც უნდა გვქონდეს. ამ საბურავებით შორს ვერ წავალთ, ძაან ძველებია. კიდე გვაქ სათადარიგო, მაგრამ ისიც გაცვეთილი. ალბათ გზაზე ყიდვა მოგვიწევს.

მზე ზენიტიდან მწარედ იკბინებოდა. სატვირთოს ძარას ჩრდილი მუქ ზოლებად იწვა მიწაზე. ჰაერში ცხელი ზეთის, მუშამბისა და საღებავის სუნი ტრიალებდა. ქათმები ეზოდან გასულიყვნენ. ხვატს ხელსაწყოების ფარდულში ემალებოდნენ. ღორები, ღობის გასწვრივ, მეჩხერ ჩრდილში იწვნენ და დროდადრო სიცხისგან შეწუხებულები ღრუტუნებდნენ. ორივე ძაღლი სატვირთოს ქვეშ, მოწითალო მტვერში ამოგანგლული ქოშინებდა, მტვერწაყრილი ენებიდან დორბლი სცვიოდათ. მამამ ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა და ჩაცუცქდა, ასე უფრო კარგად ფიქრობდა, დასანახს უკეთესად ხედავდა. ტომის ახალ, მაგრამ უკვე შელახულ ქუდს, პიჯაკსა და ფეხსაცმელს ცნობისმოყვარე თვალი ააყოლ-ჩააყოლა.

— ფული მაგ ტანსაცმელში დახარჯე? ეგეთ ტანსაცმელში თავს კარგად ხო ვერ იგრძნობ?

— იმათ მომცეს, სახლში რო მიშვებდნენ, — კეპი მოიხადა, აღტაცებით დახედა, მერე შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, ისევ დაიხურა და წინაფრა ჩამოიფხატა.

— კარგი ფეხსაცმელი მოუციათ, — შენიშნა მამამ.

— ჰო, ლამაზებია, მაგრამ სიცხეში სასიარულოდ არ ვარგა, — თქვა ტომმა და მამის გვერდით ჩაცუცქდა.

— იქნებ ძარას შეკეთება დავამთავროთ, დატვირთვა დავიწყოთ და ამასობაში ელიც მოვა... — ნელა თქვა ნოამ.

— მე ვიცი ტარება, თუ მაგაზე მიდგა საქმე. მაკალესტერში სატვირთოს ვატარებდი.

— ჰოდა, ძალიან კარგი. — თქვა მამამ და გზას გახედა. — თუ არ მეშლება, ჩვენი ჭკუის კოლოფი მოდის, ნახეთ რა დღეშია, ფეხებს ძლივს მოათრევს.

ტომმა და მქადაგებელმა გზისკენ გაიხედეს. ქალთა გულთამპყრობელი ელი, რომელმაც დაინახა, რომ შენიშნეს, მხრებში გაიმართა, მამალივით ისე გაიფხორა, თითქოს დაყივლებას აპირებდა, და ეზოში შეაბიჯა. კაცებს რომ მიუახლოვდა და ტომი იცნო, მედიდური იერი მაშინვე შეეცვალა, მის თვალებში აღტაცებისა და მოწიწების სხივი აციმციმდა. ვერც ტანზე მომდგარი ჯინსი, რომლის ტოტებიც რვა ინჩით აეკეცა, რომ ქუსლიანი ჩექმები გამოსჩენოდა, ვერც ქამარი სპილენძის დიდი ბალთით, ვერც ლურჯი პერანგი რეზინის წითელი სამკლავებით და ვერც მოხდენილად მორგებული, ფარფლებაკეცილი კოვბოური ქუდი ელს ძმის სიმაღლემდე ვერ სწევდა, რადგან მისმა ძმამ კაცი მოკლა და ამის დავიწყება შეუძლებელი იყო. ელმა იცოდა, თანატოლებში აღტაცებას რომ იწვევდა; ხშირად გაუგონია, როგორ ეუბნებოდნენ ბიჭები სალისოში ერთმანეთს, ეს ელ ჯოუდია. მისმა ძმამ კაცი მოკლა, ნიჩბით გაუხეთქა თავიო.

და ახლა, როცა ძმას მოკრძალებით მიუახლოვდა, შეამჩნია, რომ ტომი სულაც არ იყო ისეთი ყოყოჩა, როგორიც მას წარმოედგინა. ელმა ტომის მუქ ფიქრიან თვალებში ციხეში გამობრძმედილი კაცის სიმშვიდე დაინახა; ტომის გაპარსულ,

უტყვ სახეზე ციხის ზედამხედველი, ძალიანაც რომ მოენდომებინა, ვერც წინააღმდეგობას ამოიკითხავდა და ვერც მორჩილებას. და უეცრად, ელი გადასხვაფერდა, ქვეცნობიერად ძმის ყაიდაზე გადავიდა. ლამაზ სახეზე სევდანარევი ფიქრი გამოესახა, ბეჭები ისევ მოხარა. ადრე როგორი იყო ტომი, აღარ ახსოვდა.

ელმა მორცხვად გაიღიმა, ხელი გამზადებული ჰქონდა იმ შემთხვევისთვის, თუ ტომი ჩამორთმევას მოინდომებდა. ტომმა ხელი გამოსწია და ელმა თავისი შეაგება. ერთმანეთი სიყვარულით დაათვალიერეს.

— მითხრეს, რო სატვირთოებში მაგრა ერკვევი. — უთხრა ტომმა.

ელი მიხვდა, რომ ტომთან ტრაბახი არ ივარგებდა და უპასუხა:

— არაა, ბევრი არაფერი გამეგება.

— დადის და თავი მოაქვს მთელ ქვეყანაზე. არაქათი აღარა გაქ. ხო იცი, რო საქონელი გაქ წასაღები სალისოში, — ჩაერია მამა.

ელმა ძმას შეხედა.

— წავედით? — რაც შეეძლო უდარდელად ჰკითხა ტომს.

— არა, მე ვერ წამოვალ, აქ მოგეხმარებით. მერე ვიქნებით ერთად — გზაში.

ელი თავს იკავებდა, მაგრამ ბოლოს ჰკითხა:

— ციხიდან გამოიქეცი?

— არა, პირობით გამათავისუფლეს.

— აა, — ელი ოდნავ იმედგაცრუებული დარჩა.

9.

პატარა სახლებში არენდატორები თავისი თუ მამა-პაპათა ცხოვრების განმავლობაში შეძენილი ნივთების გადალაგება-გადმოლაგებას შედგომოდნენ. დასავლეთში წასასვლელად ემზადებოდნენ. კაცები გამეხებული სახით ანადგურებდნენ წარსულის ნარჩენებს, რადგან იცოდნენ, რომ მათი წარსული გაცამტვერდა, დაიღუპა; ქალები კი ხვდებოდნენ, რომ წარსული კიდევ არა ერთხელ შეახსენებდათ თავს. კაცები ბეღლიდან ფარდულში და ფარდულიდან ბეღელში გადი-გამოდიოდნენ.

გუთანი, ფარცხი... გახსოვს, ომის დროს მდოგვი რო დავთესეთ? ის კაცი გახსოვს, რო გვეუბნებოდა, კაუჩუკის ბუჩქნარი გააშენეთო? თითონ გვაიულას ეძახდა. გამდიდრდებითო ამბობდა. ეგ ხელსაწყოები გამოიტანეთ — რამდენიმე დოლარს მაინც ავიღებთ, თავის დროზე ოთხმოცი დოლარია გადახდილი, კიდე „სიერს რობაკმა“ წაიღო ტრანსპორტირების გადასახადი.

ღვედები, ურიკები, სათესელები, თოხები, ყველაფერი გამოიტანეთ. ერთად მოაგროვეთ. ოთხთვალაში ჩააწყვეთ. ქალაქში წაიღეთ, რამდენსაც მოგცემენ, იმდენად გაყიდეთ. ცხენებიც გაყიდეთ, ოთხთვალაც, აღარაფერში დაგვჭირდება. ორმოცდაათი ცენტი კარგ გუთანში? რას ამბობთ სათესელა ოცდათვრამეტი დოლარი ღირს და ორს მაძლევთ? უკან ხო არ წავიღებ ყველაფერს — კარგი, აიღე, ჩემი გაჭირვებაც თან გააყოლე. ეს ჭის საქაჩი და ღვედი არ გინდა? აიღე ულაგმო

აღვირი, საყელური, ცალუგი, საბუქსირო ტროსი, ეს საშუბლე ღვედის წითელვარდებიანი მოსართავი? წაბლისფერი ქურანისთვის მქონდა ნაყიდი. როგორ წევდა ფეხებს, ჩორთზე რო გადადიოდა

ძველმანების გროვა ეზოებში.

ხელის გუთანი აღარავის უნდა. ჯართში ორმოცდაათ ცენტზე მეტს არ იძლევიან. ახლა მხოლოდ დისკოიან გუთანსა და ტრაქტორებს ითხოვენ.

კარგი. ხუთი დოლარი მომეცი და მთელი ეს ჯართი წაიღე. მარტო ჯართს კი არა, ჯართადქცეულ ჩემ ცხოვრებასაც ყიდულობ. იცოდე, ჩემი რისხვა თან მოჰყვება. რას ყიდულობთ იცით? გუთანს, რომლითაც საკუთარ შვილებს ფეხქვეშ მიწას გამოუთხრით; იარაღს და შემართებას, რომელსაც თქვენი გადარჩენა შეეძლებოდა. ოთხი არა, ხუთი დოლარი; უკან ვერ წავათრევ — კარგი, ოთხად აიღე. გაფრთხილებ, იმას ყიდულობთ, რითაც თქვენს შვილებს ფეხქვეშ მიწას გამოაცლით, მაგრამ ისე, რომ ვერც კი შენიშნავთ. ამ ოთხთვალასა და ცხენებში რამდენს მომცემთ? ნახეთ, რა ლამაზები არიან! ჯიშიანები, ორივე წაბლისფერი ქურანია, ერთნაირად დადიან, ერთნაირად დარბიან, ერთდროულად ადგამენ ნაბიჯებს, წამით არ ჩამორჩებიან ერთმანეთს. ღვედებს მოქაჩავ და უკანა ფეხები და გავა ეჭიმებათ. დილაობით, მზის შუქზე ხო ოქროსფრად ანათებენ. ღობიდან იცქირებიან და ცხვირები ჩვენკენ აქვთ მომართული, ყურებდაცქვეტილები ჩვენი ხმის გაგონებას ელიან. და ის შუბლზე ჩამოყრილი შავი ფაფარი...! ჩემი ქალიშვილი ფაფარს უწნის ხოლმე და შიგ პატარა წითელ ბაბთებს ატანს. ეხლა რაღას დაუწნის, მაგრამ... ჩემს გოგონაზე და იმ ქურანზე ბევრი სასაცილო ამბის მოყოლა შეიძლია. ეს რვა წლისაა, ის ათი, მაგრამ გეგონებათ, ტყუპები

იყვნენ, ისე ეწყობიან ერთმანეთს. აბა, კბილები ნახეთ, ყველა საღი აქვთ, ჯანსაღი სუნთქვა, კოხტა და სუფთა ჩლიქები. რამდენს მომცემთ? ათ დოლარს ორივეში და ამ ოთხთვალაშიც? — ღმერთო, შენ მიშველე! მირჩევნია, დავხოცო და ძაღლებს მივუყარო! კარგი, კარგი, წაიყვანე. ოღონდ იჩქარე, მისტერ. მაგ ცხენებთან ერთად პატარა გოგოსაც ყიდულობთ, რომელიც იდგა და ცხენებს ფაფარს გულმოდგინედ უწნავდა. თავის ბაფთებს იხსნიდა და ნაწნავებში ატანდა, ცხენები უკან იხევდნენ, მერე თავებს წინ წამოსწევდნენ და რბილი დრუნჩებით ლოყაზე ეფერებოდნენ. თქვენ წლობით შრომას ყიდულობთ, მზეზე წელში გაწყვეტამდე შრომასა და მწუხარებას, რომელმაც ლაპარაკი არ იცის. მაგრამ იცოდეთ, მისტერ, ამ ჯართსა და ჯიშიან ცხენებს ჯილდო მოჰყვება — დაგროვილი რისხვა, რომელიც, ერთ დღეს თქვენს სახლებში გაიხარებს, იყვავილებს და ნაყოფს გამოიღებს. ჩვენ შეგვეძლო გადაგვერჩინეთ, მაგრამ თქვენ მოგვთხარეთ, ამოგვძირკვეთ, მალე თქვენც იმავე დღეში ჩავარდებით, თქვენ სხვები ამოგძირკვავენ და მაშინ, ჩვენ აღარ ვიქნებით, არავინ მოვა თქვენს საშველად.

ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა არენდატორებმა ქუდები ჩამოიფხატეს და გამობრუნდნენ. ზოგმა სპირტიანი სასმელი იყიდა და უცბად გადაჰკრა, შედეგი რომ სწრაფად მიეღოთ. დალიეს, მაგრამ არც სიცილის იშტაზე დამდგარან, არც ცეკვის და არც გიტარაზე დამღერებისა. ფერმებისკენ თავდახრილები, ჯიბეში ხელებჩაწყობილები გაეშურნენ; ფეხსაცმელებით მიწაზე წითელ მტვერს ფანტავდნენ.

იქნებ ახალი ცხოვრება დავიწყოთ იქ, მდიდარ მიწაზე, კალიფორნიაში, სადაც ხეხილი ხარობს. ყველაფერს ახლიდან დავიწყებთ.

თქვენ ვერაფერს დაიწყებთ. ცხოვრებას ბავშვები იწყებენ. ჩემი და თქვენი ცხოვრება — იყო და არა იყო რა. რისხვის წუთები, მეხსიერებაში ჩარჩენილი წარსულის სურათები, მეტი არაფერი, ჩვენ ეს მიწა ვართ, წითელი მიწა, წყალდიდობის, მტვრისა და გვალვის წლები. ჩვენ ვეღარაფერს დავიწყებთ. ბრაზი და ბოღმა ჯართთან ერთად გავყიდეთ, მაგრამ წარსული არსად წასულა, ისევ ჩვენშია, ის წუთიც, მეპატრონემ რომ გვითხრა, აქედან წადითო, ისიც, როცა ტრაქტორებით გადაუარეს ჩვენს სახლებს, ყველაფერი ჩვენშია და სიკვდილამდე ასე იქნება. კალიფორნიაში თუ სადმე სხვაგან, ყოველი ჩვენგანი მთავარი მედოლეებივით წინ წავუძღვებით ჩვენს სიმწარეს, მწყობრი სვლით ვივლით ჩვენს რისხვასთან ერთად. და დადგება დღე, როცა განრისხებულთა ჯარები შეერთდებიან, ერთსულოვნად, ერთი გზით წავლენ და მერე ეშინოდეთ, რადგან შენდობა აღარ იქნება.

არენდატორები ფერმებში წითელ მტვერში ფეხების თრევით მილასლასდნენ.

თითქოს რაც გასაყიდი იყო, ყველაფერი გაიყიდა — ღუმელები, საწოლები, სკამები, მაგიდები, კუთხის კარადები, კასრები, ცისტერნები, მაგრამ ჯერ კიდევ დარჩენილი ნივთების გორები იდგა. ქალები ნივთებს შუა ისხდნენ, არჩევდნენ, ხელში ატრიალებდნენ, წარსულს იხსენებდნენ. სურათები, სარკეები, აი, ლარნაკიც...

ახლა უკვე იცი რა წაიღო და რა დატოვო. გზაში გაჩერება მოგვიწევს — ქვაბი, ტაშტი, ლეიბი, გადასაფარებელი, სათლი, ფარანი, ყველაფერი დაგვჭირდება. ბრეზენტი არ დაგვრჩეს, კარავი ხომ უნდა გავშალოთ. ეს ნავთის ბიდონი ღუმლად გამოდგება. ტანსაცმელი — ყველაფერი წამოიღეთ. და იარაღი? უიარაღოთ როგორ წავალთ. ფეხსაცმელი, ტანსაც-

მელი, საჭმელი, იმედიც კი შეიძლება გათავდეს, იარაღი კი სულ ჩვენთან იქნება. პაპა აქ რომ ჩამოვიდა, შენთვის არ მითქვამს? მხოლოდ წიწაკა, მარილი და იარაღი ჰქონდა, მეტი არაფერი. ეს წამოიღე. წყლისთვის ბოთლი არ დაგავიწყდეს, მგონი, უკვე შევავსეთ. მისაბმელი გატენილია. ბავშვები მისაბმელით წამოვლენ, ბებოს ლეიბზე დავსვამთ. ხელსაწყოები, ნიჩაბი, ხერხი, ბრტყელტუჩა, ქანჩის გასაღები და ხერხი. ეგ ხერხი უკვე ორმოცი წელია გვემსახურება, ნახე, პირი როგორ აქვს გათხელებული. თოკები არ დაგრჩეს. დანარჩენს რა ვუყოთ? — თავი დაანებე. ეყაროს, ან დაწვი.

ბავშვები მოსვენებას არ აძლევდნენ.

მერის თუ ის ტურტლიანი ნაჭრის თოჯინა მოაქვს, მაშინ მე ინდიელების მშვილდს წამოვიღებ, და ეს ჯონი, ლამის ჩემ სიმაღლეა, მჭირდება, უკვე რამდენი ხანია მაქვს, ერთი თვე ან ერთი წელი იქნება. კალიფორნია როგორია?

ქალები გადასაყრელად გამეტებულ ნივთებს ხელში ატრიალებდნენ, არჩევდნენ. მოგონებებს ვეღარ ელეოდნენ. ეს წიგნი მამაჩემის იყო, „პილიგრიმის მოგზაურობა“, კითხულობდა ხოლმე. მოსწონდა, ზედ თავისი სახელიც წაუწერია. მამაჩემის ჩიბუხი. ჯერ კიდევ ასდის თუთუნის სუნი. აი, ანგელოზის სურათი. პირველი სამი ბავშვის გაჩენის დროს შველას ვეხვეწებოდი, მაგრამ არ მახსენდება, რომ ეშველოს. ეს ფაიფურის ძაღლი წამოვიღო? დეიდა სედიმ სენტ-ლუისის ბაზრობაზე გვიყიდა. წარწერაც აქვს. მგონი არ ღირს. ეს წერილი ჩემმა ძმამ სიკვდილამდე ერთი დღით ადრე დაწერა. ძველებური, ბუმბულით გაწყობილი ქუდი — არასდროს დამიხურავს. არა, სად არის მაგის ადგილი.

როგორ ვიცხოვრებთ ჩვენი ცხოვრების გარეშე? როგორ ვიცნობთ ჩვენ თავს, თუ ჩვენი წარსული გაქრება? არა, დატოვე, დაწვი.

ისხდნენ, უცქერდნენ და მეხსიერებიდან ამოშლას ცდილობდნენ. კარს იქით როგორი მიწაა? ის როგორ იქნება, თვალს რომ გაახელ და იცი, ტირიფის ხე არ დგას ეზოში? ტირიფის გარეშე ცხოვრება? არა, შეუძლებელია. ტირიფი შენ ხარ, ის ტკივილი ამ ლეიბზე რომ განიცადე. ის საშინელი ტკივილი, შენ ხარ.

ისევ ბავშვები — სემი თუ ინდიელების მშვილდს და იმ გრძელ ჯოხს წამოიღებს. მეც ორ რაღაცას წამოვიღებ. მე ეს ფუმფულა ბალიში მინდა, ჩემია.

უეცრად აღელვება დაეტყოთ. ავჩქარდეთ, ვეღარ დავიცდით. ყველაფერს თავი მოუყარეს და ცეცხლი წაუკიდეს. იდგნენ და უცქერდნენ. შემდეგ ელდანაკრავივით ეცნენ გადარჩეულ ნივთებს, სატვირთოში ჩაყარეს და მანქანები დაძრეს. მტვერი ჰაერში ავარდა და კარგა ხანს ცაში დარჩა გამოკიდებული.

10.

ხელსაწყო-იარაღით, საწოლებით, ზამბარებიანი მატრასებითა და სხვა ყველაფრით, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა, პირამდე სავსე სატვირთო თვალს მოეფარა. ტომმა ცოტა ხანს შეიცადა და კარ-მიდამოს კიდევ ერთხელ შემოუარა. ჯერ ბეღელში შევიდა. მერე ცარიელ ბაკს გახედა, ხელსაწყოების ფარდულში დატოვებული გამოუსადეგარი ნივთები ფეხით მიყარ-მოყარა, გატეხილი ცელის კბილს ფეხი ჰკრა. მერე მეხსიერებაში ჩარჩენილ ადგილებს დაუარა — წითელი სანაპიროს ფერდობი, სადაც მერცხლები იდებდნენ ბუდეს. ტირიფის ხე, საღორის გასწვრივ რომ ხარობდა. მის დანახვაზე ღობის მიღმა, მზეზე ნებიერად ორი შავი ღორი აღრუტუნდა. ტომის მოგზაურობა იქვე დასრულდა, უკან გამობრუნდა, სახლის წინ საფეხურზე ჩამოჯდა და ჩრდილს შეეფარა. დედა სამზარეულოში საქმიანობდა, ბავშვების ტანსაცმელს რეცხავდა, ძლიერ, ჭორფლიან მკლავებს მარჯვედ ამოძრავებდა. იდაყვებიდან საპნის ქაფი სცვიოდა. ტომს თვალი მზის სინათლისთვის გაეშტერებინა. დედამ ხელები შეასვენა და შვილს დიდხანს უცქერდა. მერე ისევ რეცხვას დაუბრუნდა.

— იქნებ კალიფორნიაში ყველაფერი კარგად აეწყოს, — თქვა დედამ.

— რატო ფიქრობ, რო არ აეწყობა? — ჰკითხა ტომმა.

— რა ვიცი, ისე. ყველაფერი ისე ადვილი ჩანს რო... აქ ფურცლები დაგვირიგეს, ბევრი სამუშაოაო, წერია, მაღალი ხელფასებიო და ყველაფერი. მე თითონ წავიკითხე. ყურძნის,

ფორთოხლის, ატმის დასაკრეფად ხალხი გვჭირდებაო. ატმის მოკრეფას რა უნდა, ტომ, თან რა კარგია, ჭამის უფლებაც რო არ გქონდეს, ხანდახან დამპალს მაინც გაკრავ კაცი კბილს. ხეების ჩრდილში იდგები და იმუშავებ, ჩრდილში მუშაობას რა ჯობია. ძალიან კარგი ჩანს ყველაფერი, ამიტომაც მეშინია. აღარაფრის მჯერა. მეშინია, რო ისე არ იქნება, როგორც გვეუბნებიან.

— ძალიანაც ნუ ირწმუნებ, ჩიტივით ცაში ნუ აიჭრები, რომ ბოლოს მატლებთან ერთად ხოხვამ არ მოგიწიოს.

— მართალია, საღმრთო წერილიდანაა, არა?

— მგონი, რაც „ბარბარა უორთის გამარჯვება“ წავიკითხე, საღმრთო წერილი თავიდან ამომივარდა.

დედამ ხმადაბლა ჩაიცინა და რეცხვას დაუბრუნდა, ხალათებისა და პერანგების ამოწურვა რომ დაიწყო, მკლავებზე კუნთები დაეძაგრა.

— პაპაშენი, რამეს რო ამბობდა, სუ საღმრთო წერილს იშველიებდა, მაგრამ ერეოდა და ხან „დოქტორ მაილსის ალმანახზე“ გადადიოდა. ალმანახს ხმამაღლა გვიკითხავდა, შიგ ბევრი ამბები ეწერა, ადამიანებზე. ვისაც უძილობა აწუხებდათ ან წელში ტკივილები ჰქონდათ, მერე სხვებს უყვებოდა და ჭკუას არიგებდა, თან დააყოლებდა ხოლმე, ეს იგავი საღმრთო წერილიდან არისო. მამაშენი და ძია ჯონი დასცინოდნენ და ძაან ბრაზობდა. — გაწურული სარეცხი მაგიდაზე დაჭრილი შეშასავით დააწყო. — ტომ, იქამდე, სადაც ჩვენ მივდივართ ორიათასი მილი ყოფილა, შენი აზრით, რა დროს წაიღებს? რუკაზე ვნახე და ბარათებზე როგორც ხატია, ზუსტად ისე ყოფილა, დიდი მთებია გადასავლელი. რამდენ ხანს უნდა ვიაროთ?

— არ ვიცი, — უპასუხა ტომმა, — ორი კვირა ალბათ, ან ათი დღე, თუ გაგვიმართლა. დე, მოიხედე აქეთ, ნუ დარდობ, ეხლა მოგიყვები, ციხეში როგორ ცხოვრობენ და მომისმინე. იმაზე თუ იფიქრე როდის გაგიშვებენ, შეიძლება გარეკო, მარტო დღევანდელ დღეზე ან ხვალინდელზე ფიქრობ, ბევრი-ბევრი შაბათს რო თამაშია — იმაზე. უვადოები ეგრე ცხოვრობენ. ახლები თავს ურტყამენ საკნის კარს, იმაზე ფიქრობენ, რამდენ ხანს მოუწევთ იქ ყოფნა. რატო იტანჯავ თავს? ყოველი დღით იცხოვრე.

— ეგრე ჯობია, — თქვა დედამ, ღუმლიდან ქვაბი გადმოდგა, სათლი ცხელი წყლით აავსო, შიგ ჭუჭყიანი ტანსაცმელი ჩაყარა და საპნიან წყალში მოჭყლიტა, — ეგრე ჯობია, მაგრამ რა ვქნა მომწონს იმაზე ფიქრი, რო კალიფორნიაში ყველაფერი კარგად იქნება. სუ თბილა, საითაც გაიხედავ, ხეხილი ხარობს, ხალხი ფორთოხლის ხეებს შორის, პატარა თეთრ სახლებში ცხოვრობს. თუ ყველას სამუშაო გვექნება, იქნებ ჩვენც გვეღირსოს ეგეთი სახლი. ბავშვები ეზოში გავლენ და ფორთოხალს პირდაპირ ხიდან მოწყვეტენ, ძაანაც რო გინდოდეს, ვერ გააჩერებ, ყვირილით აიკლებენ იქაურობას.

ტომი იჯდა და უსმენდა, თვალები უღიმოდა.

— მაგაზე ფიქრი კარგ ხასიათზე გაყენებს, არა? ერთ კალიფორნიელ ტიპს ვიცნობდი. პირს გააღებდა თუ არა, მაშინვე მიხვდებოდი, რო სხვა შტატიდან იყო, სულ სხვანაირად ლაპარაკობდა. მაგრამ ის კაცი ამბობდა, ძაან ბევრი ხალხი ეძებს სამუშაოსო, ვინც ხილის კრეფაზე მუშაობს, ჭუჭყიან სახლებში ცხოვრობენ და თავი ძლივს გააქვთო, თუ მოახერხე და სამუშაო იშოვე, ისე ცოტას გიხდიან, რო არაფერში გყოფნისო.

დედას სახეზე ღრუბელმა გადაუარა.

— არა, ეგრე არ არის, მამაშენს ყვითელი ფურცელი მისცეს. ზედ წერია, რო მუშახელი სჭირდებათ, თავს შარში რატო ჩაიგდებდნენ, თუ მართალი არ არის? მაგ ფურცლების დაბეჭდვა ქვეყნის ფული უჯდებათ. ტყუილში რატო გადაიხდიდნენ?

— არ ვიცი, დე, — თავი გააქნია ტომმა, — კაცმა არ იცის, რას აკეთებენ, იქნებ... — ტომმა გავარვარებულ მზეს ახედა.

— იქნებ რა? — ჰკითხა დედამ.

— იქნებ მართლა ისეთი კარგია, როგორც შენ ამბობ. პაპა სად არის? მქადაგებელი სად წავიდა?

დედამ გარეცხილი ტანსაცმელი ამოიღლიავა და ეზოსკენ გაემართა ტომმა გზა დაუთმო. — მქადაგებელმა ცოტას გავივლიო. — თქვა დედამ, — პაპა სახლშია და სძინავს. ზოგჯერ დღისით აქ მოდის ხოლმე და იძინებს. — დედამ ლურჯი გახუნებული ჯინსი, ლურჯი პერანგი და ღამის საცვლები მავთულზე გადაფინა.

ტომის ზურგს უკან ფლასტუნის ხმა გაისმა, პაპა ოთახიდან გამოვიდა და ხელის ცეცებით ისევ შარვლის შეკვრას შეუდგა. — რას ხმაურობთ, თქვე ნაბიჭვრებო, არ იცით, რო მოხუცს ძილი უნდა აცალოთ? მანამდე ვერ გაიგებთ, სანამ ჩემი ხნის მოიყრებით, არა? — თითების გამალებული მოძრაობით შარვლის ღილების შეკვრას ცდილობდა, მაგრამ ბოლოს იმდენი მოახერხა, ორადორი შეკრული ღილი გახსნა. მის ხელს მიცემული დავალება დაავიწყდა, შარვალში შეძვრა და ღილების შეკვრა საზარდულის სიამოვნებით მოქავებად გადააკეთა. დედას ცხელი წყლისგან ხელის გულები დაჭმუჭვნოდა და შეშუპებოდა. პაპას მიუახლოვდა... — მოდი, შეგიკრა, თორე სუ გაღეღილი დადიხარ, — პაპამ გაიბრძოლა, მაგრამ დედამ ღამის პერანგი, პერანგი და შარვალი მაინც შეუკრა. პაპამ გაბ-

რაზებით ჩაიბურტყუნა: თავი დამანებე, შარვალს მე თითონ ვერ შევიკრავ? — დედა გამხიარულდა:

— ხო იცი, კალიფორნიაში გაღეღილებს არ უშვებენ.

— უშვებენ! ერთი ვნახოთ, იმათ ვინ კითხავთ, თუ მინდა, სუ ჩავიხდი და ისე ვივლი!

— ამ სიბერეში სუ წაიხდინა ენა, მე მგონი, მაგით მოაქ თავი.

მოხუცმა ჯაგარა ნიკაპი წინ წამოსწია, დედას ეშმაკური თვალები მოუწკურა და მხიარულად თქვა:

— დიახ, ბატონო, — თქვა მან, — მალე გზას დავადგებით, კალიფორნიაში ყურძენი ზედ გზის პირას იზრდება. რო ჩავალთ, იცი, რას გავაკეთებ? ტაშტს ყურძნით გავავსებ. შიგ ჩავხტები და უკანალით კარგად დავსრისავ, რო შარვალი წვენში ჩალბეს.

— ორასი წელი რო იცოცხლოს, თავისას მაინც არ მოიშლის, — სიცილით თქვა ტომმა. — პაპა, წასასვლელად მზად ხარ, არა?

მოხუცმა ყუთი ჩამოდგა და ზედ მძიმედ დაეშვა.

— დიახ, სერ, — თქვა მან, — უკვე დროა. ჩემი ძმა ორმოცი წლის წინ წავიდა კალიფორნიაში. იმის მერე მისგან არაფერი მსმენია. გაიძვერა ნაბიჭვარი იყო, არავის უყვარდა. აიღო ჩემი კოლტის რევოლვერი და გაიქცა. ჩემს ძმას ან იმის შვილებს, თუ ჰყავს, გზაზე რო გადავეყარო, პასუხს მოვთხოვ იმ კოლტის გამო. მაგრამ ხო ვიცი, რა კაციც არი, შვილები თუ ჰყავს, ალბათ გუგულივით სხვებს მიუყარა და იმათ გაზარდეს. დარწმუნებული ვარ, კარგი იქნება კალიფორნიაში. აი, ნახავ, გავახალგაზრდავდები, ჩავალ თუ არა, ხილის კრეფას დავიწყებ.

დედამ თავი დააქნია.

— მართალს ამბობს. მხოლოდ ბოლო სამი თვეა, რაც ვეღარ მუშაობს. დღე არ ჩაუგდია, სანამ თეძოს ამოიგდებდა.

— აბა, რა! — დაუდასტურა პაპამ.

— აი, მქადაგებელიც მოდის, ალბათ ფარდულის უკან აფარებდა თავს, — თქვა ტომმა.

— რა უცნაური ლოცვა მოვისმინე ამ დილას, — თქვა დედამ, — ლოცვა არ იყო, საუბრობდა, მაგრამ ყურში ლოცვასავით ჩამესმოდა.

— ჰო, ცოტა უცნაური კაცია, ისე უცნაურად ლაპარაკობს, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებოდეს, მაგრამ ესეთია, სხვების დასანახად კი არ აკეთებს.

— ნახე, როგორი თვალები აქვს. ისე იცქირება, თითქოს ახლახანს მონათლეს, პირდაპირ გულში გწვდება და როგორ დადის, თავს ჩაქინდრავს, მიწას დასცქერის, მაგრამ ვერაფერს ამჩნევს, ნამდვილად მადლი სცხია. — თქვა დედამ და გაჩუმდა, რადგან კეისი სახლს უახლოვდებოდა.

— იმდენს დადიხარ, მალე მზის დარტყმას მიიღებ, — უთხრა ტომმა.

— ჰო, შეიძლება, — მერე ყველას ერთად მიმართა, დედას, პაპას, ტომს, — მეც მინდა დასავლეთში, აუცილებლად უნდა წავიდე. და მაინტერესებს, შეიძლება თუ არა, რო თქვენ დაგემგზავროთ, — თავისი ნათქვამით შეცბუნებული ჩანდა.

დედამ ტომს გადახედა, რადგან კაცი იყო და პირველი სიტყვა მას ეთქმოდა, მაგრამ ტომი ჩუმად იყო. დედამ ერთხანს შეიცადა და თქვა:

— ჩვენთვის დიდი პატივი იქნება. რასაკვირველია, მე ვერაფერს დაგპირდებით; მამა ამბობს, ამაღამ შევიკრიბებით და მოვიფიქრებთ, როდის გავიდეთო. მანამდე ვერაფერს გეტყვით. ჯონი, მამა, ნოა, ტომი, პაპა, ელი, კონი, იმათ უნდა

გადაწყვიტონ. მალე დაბრუნდებიან. ადგილი თუ იქნა, ჩვენთვის დიდი პატივია.

მქადაგებელმა ამოიოხრა,

— ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გავემგზავრო, — თქვა მან, — გარშემო ყველა სახლი ცარიელია, ქვეყანა დაიცალა, ყველგან სიცარიელეა. აქ ვერ დავრჩები. იქ უნდა ვიყო, სადაც ხალხია. მინდვრებში ვიმუშავებ, იქნებ მეც მოვიპოვო სიმშვიდე.

— ქადაგებას აღარ აპირებ? — ჰკითხა ტომმა.

— არა, აღარ ვაპირებ.

— ხალხს აღარ მონათლავთ? — ჰკითხა დედამ.

— არა, აღარ მოვნათლავ, მიწაზე ვიმუშავებ. ხალხთან ვიქნები. არავის არაფერს ვასწავლი, ახლა მე თითონ ვისწავლი. ბალახზე ნაბიჯების ხმას დავუგდებ ყურს, ხალხის საუბარს, სიმღერას მოვუსმენ. გავიგონებ, როგორ ლოკავენ ბავშვები ფაფას, როგორ ჭრიალებს ღამღამობით ცოლ-ქმრის საწოლი. ხალხთან ერთად გავტეხ პურს და ყველაფერს ვისწავლი, — აცრემლებული თვალები უბრწყინავდა, — ბალახზე გავწვები, წრფელი და გულღია ვიქნები იმასთან, ვინც ჩემს ყოფას გაიზიარებს. არც ლანძღვაზე ვიტყვი უარს და არც დედის გინებაზე, ხალხის ენას მოვუსმენ და შიგ პოეზიას აღმოვაჩენ. და ეხლა მივხვდი, რო ეს ყველაფერი წმინდაა. — მქადაგებელმა ოდნავ დაიმორცხვა და კართან, საჩეხ კუნძზე ჩამოჯდა. — მარტოსული კაცისთვის რა უნდა იყოს უფრო სასურველი.

ტომმა მორიდებით ჩაახველა.

— კაცისთვის, რომელიც აღარ ქადაგებს.. — წამოიწყო მან.

— არა, უბრალოდ ვლაპარაკობ, ქადაგებისგან შორს მიჭირავს თავი, — თქვა კეისიმ, — ქადაგება ის არი, როცა ხალხს

ჭკუას არიგებ, მე პირიქით, ხალხს ჭკუას ვეკითხები. ეგრე არ არი?

— არ ვიცი, — უპასუხა ტომმა. — ქადაგება მარტო ლაპარაკი არ არი, რაღაცნაირი ხმა უნდა გქონდეს, ისიც უნდა ჩანდეს, შენ როგორ უყურებ ამ ქვეყანას. ქადაგება სიკეთეა, თუ იმდენი არ ქენი, რო ვიღაცას, ქადაგების შემდეგ შენი მოკვლა მოუნდეს. გასულ შობას მაკალესტერში ხსნის არმიიდან მოვიდნენ, მთელი სამი საათი კორნეტზე უკრავდნენ, ჩვენ ვისხედით და ვუსმენდით. ვითომ სიკეთე გააკეთეს, მაგრამ აბა ერთი რომელიმე წამომდგარიყო და დარბაზიდან გასულიყო, მაშინვე კარცერში ჩააყუდებდნენ. ეგეც შენი სიკეთის ქადაგება ხალხისთვის, რომელსაც ხელ-ფეხი შეკრული აქ და არ შეუძლია, რო მაგ სიკეთისთვის მაგრა მოგადოს ცხვირ-პირში. არა, შენ არ ხარ მქადაგებელი, მაგრამ შენც არ დაიწყო აქ კორნეტზე დაკვრა.

დედამ ღუმელში ფიჩხი შეყარა.

— საჭმელს მოგიმზადებთ, ბევრი არაფერი მაქ. მაგრამ მაინც...

პაპამ ყუთი გარეთ გაიტანა, დაჯდა და ზურგით კედელს მიეყრდნო. ტომმა და კეისიმ კედლისკენ მიიწიეს. ნაშუადღევის ჩრდილი სახლიდან ეზოზე გადავიდა. საღამო ხანს ხტუნვა-ხტუნვითა და თახთახით მტვერში მომავალი სატვირთო ეზოში შევიდა. კაპოტსა და ძარას მტვრის სქელი ფენა დასდებოდა, წინა ფარები ისე იყო დაბინდული, თითქოს წითელი ფქვილი შეეყარათ. საღამოვდებოდა. ჩამავალი მზის სხივებს მიწა სისხლისფრად შეეღება. ელი ამაყი, გამოცდილი და სერიოზული სახით საჭესთან იჯდა. მამა და ძია ჯონი, ისე როგორც კლანის მეთაურებს შეშვენით, მძღოლის გვერდით საპატიო ადგილებს იკავებდნენ. ძარაზე, გვერდითა კედლებს ჩაჭიდე-

ბული, თორმეტი წლის რუთი და ათი წლის უინფილდი იდგნენ. ამ ორ ონავარს გათხუპნულ სახეებზე დაღლილი, მაგრამ აღტაცებული თვალები უბრწყინავდათ. ძირტკბილას კანფეტებს, რომელიც მამას ღნავილით გამოსტყუეს, თითები და პირის კუთხეები გაეშავებინა. ჭუჭყიანი თითები ერთმანეთზე შეწებებოდათ. რუთი, რომელსაც ნამდვილი მუსლინის კაბა მუხლებს უფარავდა, შედარებით თავდაჭერილი იყო და ცდილობდა, ისე მოქცეულიყო, როგორც კარგად აღზრდილ ქალიშვილს შეეფერებოდა. უინფილდი კი ჯერ კიდევ ცხვირმოუხოცავი ღლაპი იყო, სიგარეტის ნამწვს სადაც დაინახავდა, ხელიდან არ უშვებდა, გარბოდა და ფარდულის უკან იმალებოდა. რუთი თავისი წამოზრდილი მკერდის გამო განსაკუთრებულ ძალას, ღირსებასა და პასუხისმგებლობას გრძნობდა, უინფილდი კი ჯერ კიდევ ხბოსავით გულუბრყვილო იყო. მათ გვერდით, კედელს მსუბუქად მიყრდნობილი შარონის ვარდი წონასწორობის შენარჩუნებას ცდილობდა, ორსულობის გამო სიფრთხილეს იჩენდა, ფეხისწვერებზე იწევდა. რომ დარტყმები თეძოებსა და მუხლებზე გადაეტანა. ნაწნავები თავზე შემოეხვია და მოფერფლისფრო, ჩალისფერ გვირგვინად დაედგა. მრგვალი სახე, სულ რამდენიმე თვის წინ ასე მაცდური და გამომწვევი, ახლა ორსულობას თავის ყაიდაზე მოექცია და ზედ თვითკმაყოფილი, თავდაჯერებული ღიმილი დასთამაშებდა ჩათქვირულ სხეულს — სავსე, მაღალ მკერდსა და რბილ მუცელს. მკვრივ თეძოებსა და დუნდულებს ისე ვნებიანად არწევდა, რომ ძნელი იყო კაცს ხელის შემორტყმისგან ან მოფერებისგან თავი შეეკავებინა. ახლა ვნებადამცხრალი სხეული ღირსეულად ეჭირა, მისი ფიქრი და საქციელი მხოლოდ ბავშვისკენ იყო მიმართული. ფეხის თითებზეც იმიტომ იწევდა, რომ ბავშვს უფრთხილდებოდა. მისთვის

მთელი სამყარო ორსული ქალი იყო, მისი ფიქრი გამრავლებასა და დედობას არ სცდებოდა. შარონის ვარდის ცხრამეტი წლის ქმარი, რომელმაც ცოლად ფუმფულა, ვნებიანი, თავაწყვეტილი ქალი ითხოვა, დამფრთხალი და დაბნეული აკვირდებოდა მის გადასხვაფერებას. სადღა იყო ლოგინში კატათაგვობანას თამაში, ან კბენა და კაწვრა, დახშული ხითხითი და ბოლოს ცრემლები. კონის ცოლი ახლა გაწონასწორებული, თავდაჭერილი არსება იყო, რომლის ღიმილში, მორცხვობასთან ერთად, შეუპოვრობაც იკითხებოდა. კონი ცოლით ამაყობდა, მაგრამ ხშირად შიშიც იპყრობდა, სადაც კი მოიხელთებდა, მის გვერდით დგებოდა, ხელს ხვევდა, ეხუტებოდა, ცდილობდა მისი სხეული ეგრძნო, ასე მასთან სიახლოვის შენარჩუნებას ცდილობდა, რომელიც თითქოს ხელიდან უსხლტებოდა. ტეხასური წარმოშობის კონის მკვეთრად გამოხატული ნაკვთები ჰქონდა, გამხდარი ბიჭი იყო, ბაც ცისფერ თვალებში ხან მუქარა უკრთოდა, ხან სიკეთე და ხანაც შიში. ბევრს, თავდადებით მუშაობდა და ფიქრობდნენ, რომ მისგან კარგი ქმარი დადგებოდა. სვამდა, მაგრამ ცოტას; ჩხუბობდა თუ საჩხუბარი იყო, მაგრამ არასდროს ტრაბახობდა. თავყრილობის დროს წყნარად იყო, თუმცა შეუმჩნეველი არასდროს რჩებოდა, მის ყოფნას ყოველთვის ანგარიშს უწევდნენ.

ორმოცდაათი წლის წინ ძია ჯონს ბუნებრივად ეკისრებოდა ოჯახის მეთაურობა და რომ არა ეს გარემოება, ის მძღოლის გვერდით საპატიო ადგილის დაკავებას არ ისურვებდა, სიამოვნებით დაუთმობდა ადგილს შარონის ვარდს, მაგრამ ის ახალგაზრდა იყო და თანაც ქალი. ძია ჯონი მოუსვენრად იშმუშნებოდა, მოწყენილი თვალები აქეთ-იქით გაურბოდა, გამხდარი, ძლიერი სხეული დაჭიმვოდა. მარტოობა კედელი-

ვით აღმართულიყო მასსა და ხალხს, მასსა და ადამიანურ მოთხოვნილებებს შორის. ჭამდა ცოტას, სვამდა არაფერს, ცხოვრობდა ბერბიჭურად. მაგრამ დაუკმაყოფილებელი ვნებანი გროვდებოდა, იბერებოდა და ბოლოს ერთად ამოხეთქავდა ხოლმე. ასეთ დროს მაძღრისობის შეგრძნებას კარგავდა, იმდენს ჭამდა, რომ გული ერეოდა, ნებისმიერ სპირტიან სასმელს ან ვისკის ხარივით ეწაფებოდა და ბოლოს ჩაწითლებულ ცრემლიან თვალებს დამბლადაცემულივით ატრიალებდა; ან სალისოში გავარდებოდა და რომელიღაც ბოზს ლოგინში უგორდებოდა, ამბობდნენ, ერთხელ შოუნიში სამი ბოზი ჩაიწვინა ლოგინში და ამ სამ უგრძნობელ სხეულზე ერთი საათის განმავლობაში, მამალი ირემივით ყალყზე შემდგარი ფრუტუნით ანთხევდა ვნებასო. ძია ჯონის, როგორც კი ერთ-ერთ ინსტიქტს დაიოკებდა, ისევ სევდა, სიმარტოვე იპყრობდა, და რაც მთავარია, რცხვენოდა. ხალხს ემალებოდა. ცდილობდა, დანაშაული საჩუქრებით გამოესყიდა. მეზობლების სახლებში იპარებოდა ხოლმე და ბავშვებს ბალიშის ქვეშ საღეჭი რეზინის შეკვრებს უტოვებდა ან შეშას ჩეხდა და გასამრჯელოს არ ითხოვდა, ბოლოს აუცილებლად გასცემდა თავის ქონებას — უნაგირს, ცხენს, ახალ ფეხსაცმელებს, თუ მოულოდნელად ვინმეს შეეფეთებოდა, თავის თავში იკეტებოდა და შეშინებული თვალებით იცქირებოდა. ცოლის სიკვდილმა, თვეების განმავლობაში მარტო ყოფნამ, დანაშაულის განცდა დაუტოვა, შეუვალი სიმარტოვის დაღი დაასვა.

მაგრამ იყო რაღაც, რასაც ძია ჯონი ვერ გაექცეოდა. ოჯახის წინამძღოლობა იმასაც უნდა ეტვირთა, მეტი გზა არ ჰქონდა, ეს მოვალეობა უნდა შეესრულებინა. ამიტომაც იკავებდა ახლა მძღოლის გვერდით საპატიო ადგილს

სატვირთო მტვერში მიიკვლევდა გზას. კაბინაში სამივენი პირქუშად ისხდნენ, ელი საჭისკენ გადახრილიყო, მზერა გზიდან ხელსაწყოთა პანელზე გადაჰქონდა; ამპერმსაზომის ისარი საეჭვოდ კრთოდა, საწვავის დონეს და სინათლის ინდიკატორს აკვირდებოდა. გონებაში მანქანის საეჭვო მაჩვენებლებსა და სუსტ წერტილებს ითვლიდა. ჭრიალს ყურს უგდებდა — იქნებ უკანა ხიდს ზეთი არ ყოფნის — სარქვლის საბიძგებლების მოძრაობას უსმენდა, ხელი სიჩქარის გადართვის ბერკეტზე ედო, სატერფულს ფეხს აჭერდა, სიჩქარეში აგდებდა და მუხრუჭს ამოწმებდა. მართალია, ზოგჯერ ელი ატეხილი ვაცივით დაუოკებელი იყო, მაგრამ გრძნობდა, რომ სატვირთოს გამართვასა და შეკეთებაზე თვითონ იყო პასუხისმგებელი. გაფუჭდებოდა რამე და მას დაბრალდებოდა. თუნდაც ხელი არავის გაეშვირა მისკენ, იცოდა, რომ თვითონ იქნებოდა დამნაშავე. ამიტომაც ამოწმებდა, აკვირდებოდა, უსმენდა. დაფიქრებული, პასუხისმგებლობით სავსე კაცის იერი ჰქონდა და ამის გამო მას ყველა პატივს სცემდა. მამაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის უფროსი იყო, ქანჩის გასაღებით ხელში იდგა ხოლმე და მითითებას მისგან ელოდა.

სატვირთოზე ყველა დაქანცული იყო. რუთი და უინფილდი მეტისმეტმა მოძრაობამ, ახალი სახეების ნახვამ, ძირტკბილას კანფეტების მოსაპოვებლად ბრძოლამ, მოულოდნელად ჯიბეებში საღეჭი რეზინების აღმოჩენამ დაღალა.

კაცებს გათანგულ სახეებზე ბრაზი და სევდა ეწერათ, რადგან ყველაფერში, რაც ფერმიდან გაზიდეს — ცხენები, ოთხთვალა, ხელსაწყოები, ავეჯი — თვრამეტი დოლარი აიღეს. დიახ, მხოლოდ თვრამეტი დოლარი. მყიდველს მაგრად შეუტიეს, ეკამათნენ, მაგრამ არაფერი გამოვიდა, არანაირ ფასად აღარ მაინტერესებსო, თქვა; დაუჯერეს, დამარცხება

აღიარეს, ყურები ჩამოყარეს და იმაზე ორი დოლარით ნაკ-ლებს დასჯერდნენ, ვიდრე თავდაპირველად შესთავაზეს. ახ-ლა არაქათგამოცლილები და შეშინებულები იყვნენ, უფრო მეტიც, განადგურებულები, რადგან ხვდებოდნენ, რომ ისეთ დაბრკოლებას შეეჯახნენ, რაზეც წარმოდგენაც კი არ ჰქონ-დათ. დარწმუნებულები იყვნენ, რომ ცხენები და ოთხთვალა გაცილებით ძვირი ღირდა; იცოდნენ, რომ გადამყიდველი ბევრად მეტად გაყიდდა, მაგრამ როგორ ვერ ხვდებოდნენ. ვაჭრობა მათთვის საიდუმლოებად რჩებოდა.

— ის ბიჭი ადგილობრივი არ არი. სხვანაირად ლაპარა-კობს. ტანსაცმელიც სხვანაირი აცვია, — თქვა ელმა, თან მზე-რა გზიდან ხელსაწყოების პანელზე გადაიტანა.

— საწყობში ნაცნობს დაველაპარაკე. მითხრა, რო შესასყი-დად არიან ჩამოსულები და ჩვენ რო წავალთ, მერე გამოიტა-ნენ გასაყიდად. იმდენი რამე უყიდიათ, სუ მოუსუფთავებიათ იქაურობა. მაგრამ ჩვენ ვერაფერს ვიზამთ, — აუხსნა ელს მა-მამ, — ტომი უნდა წამოგვეყვანა, იქნებ იმას უფრო ძვირად გა-ეყიდა. მაგრამ რა უნდა გვექნა, სუ არაფრის ყიდვა აღარ უნ-დოდა იმ კაცს, უკან ხო არ წამოვათრევდით. ჩემმა ნაცნობმა მითხრა, სუ ეგრე აშინებენ ხალხსო. უბრალოდ ჩვენ არ ვი-ცით, ეგეთ დროს როგორ მოვიქცეთ. დედას იმედი გაუცრუვ-დება, ეჰ, როგორ გამწარდება... — თქვა მამამ.

— მა, წასვლას როდის გეგმავ? — ჰკითხა ელმა.

— არ ვიცი, ამაღამ დავილაპარაკოთ და გადავწყვიტოთ. როგორ მიხარია, რო ტომი დაბრუნდა, ამაზე ფიქრი მაწყნა-რებს. კარგი ბიჭია ჩვენი ტომი.

— მა, ბიჭები ტომზე ლაპარაკობდნენ და პირობით არი გა-მოშვებულიო, თქვეს. ეს იმას ნიშნავს, რო შტატის გარეთ გას-

ვლა არ შეუძლია, თორე ისევ დაიჭერენ და სამი წლით ჩასვამენო.

მამას ელდა ეცა.

— ეგრე თქვეს? ნამდვილად იციან, თუ უბრალოდ ლაყბობენ?

— არ ვიცი, — უპასუხა ელმა. — ერთმანეთში ლაპარაკობდნენ, მე არ მითქვამს, რო ჩემი ძმა არი. იქვე ვიდექი და ვუსმენდი.

— ღმერთო, იმედი მაქ, რო ტყუილი იქნება. ტომის გარეშე როგორ წავალთ? ვნახოთ, რას გვეტყვის. ესღა გვაკლდა, ისედაც იმდენ უბედურებაში ვართ გახვეულები. იმედი მაქ, ტყუილია, უნდა გავარკვიოთ,

— ტომს ეცოდინება, — თქვა ძია ჯონმა.

გაჩუმდნენ. სატვირთო წინ მიიკვლევდა გზას. ძრავიდან შიგადაშიგ ჩხაკუნი ისმოდა, სამუხრუჭე ხუნდები ხრიალებდა, ბორბლები ისე ჭრიალებდა, თითქოს ხისგან იყო გამოთლილი, რადიატორის თავსახურის ღრიჭოდან ორთქლის წვრილი ნაკადი მოედინებოდა. სატვირთოს უკან ჰაერში ავარდნილი წითელი მტვერი მორევივით ტრიალებდა. ბოლო პატარა აღმართს გრუხუნით რომ აუყვნენ, მზე ჰორიზონტის ხაზის მიღმა ჯერ არ ჩამალულიყო. თავქვე დაეშვნენ, სახლს მიუახლოვდნენ და მზეც გაუჩინარდა. სატვირთო გაჩერდა და მუხრუჭებმა დაიჭყივლეს. ელის გონებაში ეს ხმა ასე გადაითარგმნა — სარჩული აღარ არსებობს.

რუთი და უინფილდი ყვირილით აძვრნენ სატვირთოს გვერდითა კედლებზე და გადმოხტნენ.

— სად არი? ტომი სად არი? — ტომი კართან იდგა. ბავშვებმა რომ დაინახეს, დაიბნენ და შეჩერდნენ. მერე ნელი ნაბიჯით მიუახლოვდნენ და მორცხვად შეხედეს.

— გაუმარჯოს, ბავშვებო, რას შვებით, როგორ ხართ? — ჰკითხა ტომმა.

— გამარჯობა, კარგად, — უპასუხეს, გვერდზე გადგნენ და ჩუმად უცქერდნენ. უბრალო საქმე ხომ არ იყო, უფროსი ძმა ჩამოვიდა, რომელმაც კაცი მოკლა და ციხეში იჯდა. ცოტა ხნის წინ „ციხეობანას“ თამაშობდნენ; ციხე საქათმე იყო, პატიმარი კი ჩხუბში გამარჯვებული.

კონი რივერსმა სატვირთოს უკანა კედელზე გარდიგარდმო გადებული ფიცარი ჩამოხსნა და შარონის ვარდს ჩამოსვლაში დაეხმარა. ქალმა დახმარება დარბაისლურად მიიღო და თან ყოვლისმცოდნე, თვითკმაყოფილი ღიმილი დააყოლა. ტუჩის კუთხეები სასაცილოდ ჩამოსწეოდა.

— ოჰ, შარონ, არ ვიცოდი, ერთად თუ იყავით, — წამოიძახა ტომმა.

— ფეხით მოვდიოდით, მაგრამ სატვირთო დაგვეწია და წამოგვიყვანა. ეს კონია, ჩემი ქმარი, — ამ სიტყვებს რომ ამბობდა, მართლაც დიდებული იყო.

ტომმა და კონიმ ერთმანეთი შეაფასეს, ხელი ჩამოართვეს. თვალი-თვალში გაუყარეს და კმაყოფილები დარჩნენ.

— ვხედავ, რო დრო ტყუილად არ გაგიცდენია.

შარონის ვარდმა მუცელზე დაიხედა.

— არა, ვერ ხედავ, ჯერ არ მემჩნევა.

— მამამ მითხრა. როდის ელოდები?

— ოჰ, ჯერ ადრეა. ზამთრამდე არაფერი იქნება.

ტომმა გაიცინა.

— ესე იგი, ფორთოხლის ბაღში აპირებ გაჩენას, არა? როგორია? თეთრ სახლში, გარშემო ფორთოხლის ხეებით...

შარონის ვარდი მუცელს ხელებით შეეხო.

— ჯერ არაფერი მემჩნევა, — თვითკმაყოფილი ღიმილით თქვა მან და სახლში შევიდა.

ცხელი საღამო იყო, დასავლეთიდან ჯერ კიდევ იღვრებოდა სინათლე. წინასწარ მოხმობის გარეშე, მთელი ოჯახი სატვირთოსთან შეიკრიბა — საოჯახო კონგრესმა და მთავრობამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

საღამოს შუქი წითელ მიწას თითქოს სიკაშკაშესა და გამჭვირვალობას მატებდა თითქოს განზომილებები შეიცვალა, ისე რომ თითოეულ ქვას, ბოძს, შენობას მეტი სიღრმე და სიმკვეთრე შესძინა. ყოველი მათგანი უჩვეულოდ თავისთავადი გახდა. ბოძი დამოუკიდებლად იდგა არაფერი აკავშირებდა მიწასთან და მის უკან გადაშლილ მინდვრებთან. ნარგავებმა ერთიანი სახე დაკარგეს, თითოეული ცალკეულ ინდივიდად იქცა. გაქუცული ტირიფის ხეც, სხვა ტირიფებისგან გათავისუფლებული, თავისთვის იდგა. წითელი მიწა საღამოს ბინდის სინათლეს აძლიერებდა. რუხი, შეუღებავი სახლის წინა მხარე, რომელიც დასავლეთისკენ იყურებოდა, მთვარესავით ანათებდა. კარის წინ, საღამოს ბინდიდან ჯადოსნურად გამოკვეთილი მტვრიანი სატვირთო, სტერეოსკოპის პერსპექტივაში მოქცეულს ჰგავდა.

საღამომ ადამიანებიც შეცვალა, უჩვეულოდ ჩაყუჩდნენ, თითქოს არაცნობიერში გადავიდნენ, შინაგან იმპულსებს ემორჩილებოდნენ, რაც მათ აზროვნებაზე მხოლოდ მცირედით აისახებოდა. სულიერებასა და სიმშვიდეს ასხივებდნენ, და იმ საღამოს მტვრიან სახეებზე თვალებიც სხვაგვარად უელავდათ.

ოჯახი ყველაზე მნიშვნელოვან ადგილზე შეიკრიბა — სატვირთოს გარშემო. სახლი და მინდვრები მათთვის მკვდარი იყო, ეს სატვირთო კი, ერთადერთი მოძრავი რამ, სიცოც-

ხლის წყაროდ ესახებოდათ. ძველისძველი „ჰადსონი“ დაბრეცილი, დაკაწრული რადიატორით, მტვერშერეული ზეთით გაზინტული მოძრავი ნაწილების გაცვეთილი კიდეებით, წითელი მტვრის ხუფებით, საბურავის დისკოს ხუფების ნაცვლად, — ეს მათი ახალი კერა იყო, მათი ოჯახის თავშეყრის ადგილი — ნახევრად სამგზავრო, ნახევრად სატვირთო, მაღალკედლებიანი და მოუხერხებელი.

მამამ სატვირთოს გარს შემოუარა, დაათვალიერა, მტვერში ჩაცუცქდა და იქვე მიგდებული ჯოხი აიღო, ცალი ფეხის ტერფი ბრტყლად დადგა მიწაზე, მეორე ოდნავ უკან, თითებზე დაებჯინა, ასე რომ, ცალი მუხლი უფრო ზევით რჩებოდა. მარცხენა ხელი მარცხენა მუხლზე ჩამოედო, მარჯვენა იდაყვი მარჯვენა მუხლზე, მარჯვენა ხელის მუშტში კი ნიკაპი ჩაემალა. სატვირთოს თვალს არ აშორებდა. ძია ჯონი მიუახლოვდა და მის გვერდით ჩაცუცქდა. ორივე ფიქრიანად იმზირებოდა. სახლიდან პაპა გამოვიდა, ჩაცუცქებულები დაინახა, ბორძიკით გაეშურა და მათ წინ, სატვირთოს საფეხურზე ჩამოჯდა, ოჯახის ბირთვი შეიკრა. მალე ნელი სვლით ტომი და ჯონი შეუერთდნენ. ნახევარწრის გასასვლელში პაპა იჯდა. სახლიდან დედა და ბებო გამოვიდნენ, მათ უკან შარონის ვარდი მონარნარებდა. ქალებმა კაცების უკან თავისი ადგილი დაიკავეს. ფეხზე იდგნენ, ხელები თეძოებზე შემოეწყოთ. ქალების გვერდით რუთი და უინფილდი ერთ ფეხს მეორეს უნაცვლებდნენ, შიშველი ფეხის თითებით წითელ მტვერს ჩიჩქნიდნენ, მაგრამ ხმას არ იღებდნენ. მხოლოდ მქადაგებელი არ ჩანდა. თავაზიანობა ითხოვდა, რომ არ ჩარეულიყო და სახლის უკან მიწაზე იჯდა. ის გამოცდილი მქადაგებელი იყო, თავის მრევლის ავანჩავანიც ზედმიწევნით კარგად იცოდა.

საღამოს ბინდმა სიმკვეთრე დაკარგა. რამდენიმე წუთის განმავლობაში მთელი ოჯახი, ისინი ვინც ისხდნენ და ისინიც, ვინც იდგნენ, ხმაგაკმენდილები იცდიდნენ. შემდეგ მამამ ანგარიშის ჩაბარება წამოიწყო და ყველას ერთად მიმართა:

— გაგვყვლიფეს, იცოდნენ, რო ვერ დავიცდიდით. სუ თვრამეტი დოლარი ავიღეთ.

დედამ მოუთმენლად მოინაცვლა ფეხი, მაგრამ არაფერი უთქვამს, სიმშვიდე შეინარჩუნა.

ნოამ, უფროსმა ვაჟმა, იკითხა: — სუ რამდენი გვაქ?

მამამ მტვერში ციფრების გამოსახვა დაიწყო, თან თავისთვის ბურტყუნებდა.

— ასორმოცდათოთხმეტი, — თქვა მან, — მაგრამ ელი ამბობს, რო საბურავები უნდა ვიყიდოთ, ესენი ვერ გაუძლებსო.

ელს პირველად უწევდა სხდომაში ჩართვა. ადრე უკან, ქალების გვერდით იდგა ხოლმე. მან თავისი ანგარიში მთელი სერიოზულობით წარადგინა:

— მანქანა ძველია, მაგრამ სანამ ვიყიდდით, შევამოწმე. გამყიდველი კი ცდილობდა, თავბრუ დაეხვია, მაგრამ მე ყური არ დამიგდია, პირდაპირ დიფერენციალში ჩავყავი თითი — ნახერხი არ იყო, გადაცემათა კოლოფი გავხსენი და არც იქ დამხვდა, გადაბმულობა შევამოწმე, მანქანის ქვეშ შევძვერი. ჩარჩო მთელი იყო — ეტყობა, არავის დაურტყამს. ერთ აკუმულატორზე ნაპრალი შევნიშნე და გამოვაცვლევინე; საბურავები არ უვარგა, მაგრამ ისეთი ზომა აქ, რო შოვნა არ გაგვიჭირდება. ვერ იფრენს, მაგრამ კარგია, რო ზეთს არ აპარებს. ვიფიქრე, ღირდა ყიდვა, იმიტო რო ესეთი მანქანები ბევრი იყო, ავტოსაყრელები სავსეა დამტვრეული „ჰადსონებით", ნაწილები ადვილად იშოვება და იაფია. იმავე ფასად უფრო მაგარი მანქანის ყიდვაც შეიძლებოდა, მაგრამ ნაწილები ძვი-

რია და არც არის ბაზარზე. ყოველ შემთხვევაში, მე ესე ვფიქრობ. — გაჩუმდა და სხვების მოსაზრებებს მორჩილებით დაელოდა.

ნომინალურად პაპა ოჯახის მეთაურად რჩებოდა, მაგრამ მართვის სადავეები მის ხელთ აღარ იყო. ოჯახური წეს-ჩვეულებები პაპას საპატიო წოდებას უნარჩუნებდა და, რასაკვირველია მას პირველი სიტყვის თქმის უფლება ჰქონდა. ასე რომ, მთელი ოჯახი, ჩაცუცქებული კაცები და ფეხზე მდგომი ქალები, მას უცდიდა.

— მართალი ხარ, ელ. — თქვა პაპამ — მეც შენნაირი მამაძაღლი ვიყავი, ატეხილი დავრბოდი, ფეხებზე მეკიდა ყველაფერი, მაგრამ მუშაობაზე უარი არასდროს მითქვამს. კარგი ბიჭი გამოხვედი, ელ, ყოჩაღ! — მისი უკანასკნელი ფრაზა კურთხევასავით გაისმა. ელს სიამოვნებისგან ლოყები შეეფაკლა.

— ჰო, ყველაფერი აშკარაა, ცხენები ხო არ გვიყიდია, რო ელისთვის მოგვეკითხა პასუხი, მანქანებში მარტო ეგ ერკვევა, — თქვა მამამ.

— რაღაც მეც გამეგება, მაკალესტერში ვმუშაობდი; ელი მართალია, სწორად მოიქცა.

ელს შექებამ ლოყები აუღაჟღაჟა. ტომმა განაგრძო:

— ერთ რაღაცას გეტყვით, მქადაგებელს ჩვენთან ერთად წამოსვლა უნდა. — ტომი გაჩუმდა. მისი სიტყვები მიიღო ოჯახმა, მაგრამ პასუხს აგვიანდებოდა — კარგი კაცია, — დაამატა ტომმა, — დიდი ხანია ვიცნობთ, ზოგჯერ ცოტა უცნაურად ლაპარაკობს, მაგრამ ჭკვიანია, — თქვა ტომმა და სიტყვა ოჯახს გადასცა.

სინათლე თანდათან იკრიფებოდა. დედა შინ შევიდა და სახლიდან რკინის ღუმლის კარის გაბრახუნების ხმა გაისმა.

რამდენიმე წუთში საგონებელში ჩავარდნილ ოჯახს დაუბრუნდა.

— ამ საქმეს შეიძლება სხვადასხვანაირად შევხედოთ. ამბობენ, მქადაგებლებს უბედურება მოაქვთო. — თქვა პაპამ.

— კაცი ამბობს, მქადაგებელი აღარ ვარო, — უპასუხა ტომმა. პაპამ ხელი გააქნია:

— ერთხელ თუ იყავი, მერე სუ მქადაგებელი ხარ, სად გაიქცევი. ზოგი სხვანაირად ფიქრობს, მქადაგებლის შენახვა პატივს და ღირსებას გმატებსო, ამბობენ, მოკვდება ვინმე და დამარხავს, ქორწილია და, განსაკუთრებით თუ გეჩქარება, მქადაგებელი იქვეა, ბავშვი დაიბადება და ხო უნდა მონათლო, ხოდა, მქადაგებლის მოსაძებნად შორს წასვლა არ მოგიწევს, მაგრამ ყველა მქადაგებელს მქადაგებელს ვერც დაარქმევ. ეს მე მომწონს. უბრალო კაცია, არ იბღინძება.

მამამ ჯოხი თითებშორის ისე დაატრიალა, რომ მტვერში პატარა ორმო ამოთხარა.

— საქმე იმაში არ არი, იღბალი მოაქ თუ არა, ან კარგი კაცია თუ ცუდი. ყველაფერი კარგად უნდა დავითვალოთ. საწყენია, რო ესეა, მაგრამ რას იზამ. უყურეთ, პაპა და ბებია — ეს ორი, მე, ჯონი და დედა — ეს უკვე ხუთი, ნოა, ტომი და ელი — რვა, შარონი და კონი ათი, რუთი და უინფილდი — თორმეტი. ორი ძაღლიც — თოთხმეტი, რა ვქნა აბა, ხო არ დავხოცავ და არავინ არი რო დავუტოვო.

— ეს ქათმებს და ორ ღორს თუ არ ჩავთვლით, — დაამატა ნოამ.

— მაგ ღორებს დავამარილებ და წამოვიღებ, გზაზე ხორცი ხო გვინდა, დავამარილებ და კასრებით წავიღებთ, მაგრამ არ ვიცი, ყველა დავეტევით? კიდე ერთი კაცის ჭმევა შეგვიძლია?

— თავი არ მიუბრუნებია, ისე დასვა შეკითხვა, — შენ რას იტ-ყვი, დე?

დედამ ჩაახველა, ხმა ჩაისუფთავა.

— ის კი არ არის მთავარი, შეგვიძლია თუ არა, მთავარი ის არი, გვინდა თუ არა. შეძლებაზე თუ მიდგა საქმე, არაფერი შეგვიძლია, არც კალიფორნიაში წასვლა და არც სხვა რამე. მაგრამ სურვილს რაც შეეხება, იმას გავაკეთებთ, რაც გვინ-და. ამ მხარეში ჩვენი ოჯახები დიდი ხანია ცხოვრობენ და არც მსმენია, რო რომელიმე ჯოუდს ან ჰაზლეტს, თავშესაფრის სათხოვნელად მოსული კაცისთვის უარი ეთქვა ან პური არ გაეტეხა. ძუნწი ჯოუდი მინახავს, მაგრამ ეგეთი, არასდროს.

მამამ შეაწყვეტინა:

— რო ვერ დავეტიოთ? ადგილი რო არ გვეყოს? — კისერი მიაბრუნა, დედას შეხედა, მაგრამ დედას ისეთი სახე ჰქონდა, რომ საკუთარი სიტყვებისა შერცხვა.

— ადგილი ისედაც არ გვყოფნის, ექვს კაცზეა და თორმეტ-ნი ვართ. კიდე ერთი კაცი რას დაგვიშავებს? როგორ შეიძლე-ბა რო ჯანმრთელი ძლიერი კაცი ტვირთად გექცეს? ან ის შე-იძლება რო ას დოლარზე მეტი გქონდეს, ორი ღორი გყავდეს და ფიქრობდე კაცს ვაჭამო თუ არაო? — მამა უსიტყვოდ შებ-რუნდა, იმდენჯერ მოხვდა მათრახი, რომ ხასიათი ძალიან წა-უხდა.

— მქადაგებელთან ერთად კარგი იქნება, დილას როგორი ლოცვა წაგვიკითხა, ხო გახსოვთ — თქვა ბებიამ.

მამამ დანარჩენებს შეხედა განსხვავებულ აზრს ეძებდა. ბოლოს თქვა:

— ტომი, არ დაუძახებ? თუ ჩვენთან ერთად მოდის, აქ უნდა იყოს.

ტომი წამოდგა და სახლისკენ გაემართა.

— კეისი, ჰეი, კეისი! — სახლის უკანა მხრიდან დახშული ხმა გაისმა. კეისი მიწაზე იჯდა, ზურგით სახლის კედელს მიყრდნობოდა და საღამოს ცაზე აციმციმებულ ვარსკვლავს შესცქეროდა.

— მეძახდი? — ჰკითხა კეისიმ.

— ჰო. თუ მოდიხარ, ერთად დავსხდეთ და მოვიფიქროთ, რა და როგორ გავაკეთოთ.

კეისი წამოდგა. კარგად იცოდა, რა იყო ოჯახური შეკრება, ისიც იცოდა, რომ ოჯახმა მიიღო. ახლა კეისის მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა. ძია ჯონი გვერდით ჩაიწია და მამასა და მას შორის კეისისთვის ადგილი გაათავისუფლა. კეისი სხვების მსგავსად ჩაცუცქდა. პაპა მის წინ, ავტომობილის საფეხურზე წამოჯიმულიყო.

დედა კვლავ შინ შევიდა. ფარნის სახურავი გაჩხაკუნდა და მალე ბნელი სამზარეულო განათდა. დედამ დიდ ქვაბს ახადა. ჰაერში მოხარშული ხორცისა და ჭარხლის ფურცლის სურნელი დატრიალდა. ჩაბნელებული ეზოს გადაღმა დედას ელოდნენ, რადგან მას საერთო საქმეში სიტყვა ეთქმოდა.

— უნდა გადავწყვიტოთ, როდის გავალთ: რაც მალე, მით უკეთესი. ღორები უნდა დავკლათ, დავამარილოთ, ჩავალაგოთ და წავიდეთ. დროის დაკარგვა არ ღირს.

— თუ ეხლავე დავიწყებთ, ხვალ მზად ვიქნებით, ზეგ გათენდება თუ არა, გავალთ, — დაეთანხმა მამას ნოა.

ძია ჯონი წინააღმდეგ წავიდა.

— სიცხეში დაკვლა არ შეიძლება, ხორცი გაცივებას ვერ მოასწრებს. ეხლა დაკვლის დრო არ არი. თბილ ხორცს რა უნდა უყო? თუ არ გაცივდა, რბილი დარჩება.

— მოდი, ამაღამ დავკლათ, შედარებით გრილა. ვივახშმოთ და დავკლათ. მარილი გვაქ?

— გვაქ. მარილიც გვაქ და ორი კარგი კასრიც.

— ჰო, ეგრე ვქნათ, — თქვა ტომმა.

პაპა ადგილზე აწრიალდა. წამოდგომა უნდოდა და მიზეზს ეძებდა.

— ბნელდება. — უკვე მომშივდა. აი, ჩავალთ კალიფორნიაში და ყურძენს ხელიდან არ გავუშვებ, როგორც კი მომინდება, მარცვალ-მარცვალ ჩავიყრი პირში, — თქვა პაპამ, წამოდგა და სხვებიც წამოიშალნენ.

რუთი და უინფილდი სიხარულისგან გიჟებივით ხტოდნენ მტვერში. რუთი უინფილდს ეჩურჩულებოდა:

— ღორებს დავკლავთ და კალიფორნიაში წავალთ, დავკლავთ და წავალთ...

უინფილდი სულ გაგიჟდა. თითი ყელზე მიიბჯინა, სახე დაღრიჯა, აკანკალდა და დაბალი ხმით აჭყვიტინდა:

— მე ბებერი ღორი ვარ, შემხედე, ბებერი ღორი ვარ, ნახე, რამდენი სისხლია, — დაბარბაცდა, მიწაზე გაგორდა და ხელფეხის ქნევა დაიწყო.

მაგრამ რუთი უფროსი იყო და დროის ძლევამოსილებას შეიგრძნობდა.

— კალიფორნიაში მივდივართ, — გაიმეორა მან და ნათლად ჩანდა, რომ ესმოდა, ეს მის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი დღეები იქნებოდა.

უფროსები სიბნელიდან განათებულ სამზარეულოში შევიდნენ. დედამ ჭარხლის ფურცელი და ხორცი თუნუქის თეფშებით ჩამოარიგა. სანამ თვითონ ჭამას შეუდგებოდა, ღუმელს ბლომად შეუკეთა და ზედ დიდი ტაშტი შემოდგა, აგიზგიზებულ ცეცხლს ტკაცატკუცი გაჰქონდა. სათლით წყალი მოიტანა. ტაშტი პირამდე შეავსო. წყლით სავსე რამდენიმე სათლი იქვე ჩაამწკრივა.

სამზარეულოში ჯოჯოხეთური სიცხე იდგა. სწრაფად ივახშმეს. გარეთ გამოვიდნენ და სანამ წყალი გაცხელდებოდა, კიბის საფეხურზე ჩამოსხდნენ. სიბნელეში მიწაზე გაწოლილ სამზარეულოს ფარნის ოთხკუთხა სინათლეს უცქერდნენ, შუაში პაპას მოხრილი სხეულის ჩრდილი ყანყალებდა. ნოას ჩალის ცოცხისთვის ღერი ამოეძრო და კბილებს დიდი გულმოდგინებით იჩიჩქნიდა. დედამ და შარონის ვარდმა ჭურჭელი დარეცხეს და მაგიდაზე დააწყვეს.

შემდეგ, უეცრად, ოჯახი ამოძრავდა. მამა წამოდგა და მეორე ფარანი აანთო. ნოა სამზარეულოში შევიდა. ყუთიდან მოღუნული დანა ამოიღო; გარეთ, კარბორუნდის პატარა გაცვეთილ ქვაზე ალესა და სამართებელთან ერთად კართან, საჩეხ კუნძზე დადო. მამამ ორ მსხვილ ჯოხს ნაჯახით ბოლოები წაუმახვილა და შუაში სქელი თოკი გადაუჭირა, თან გაბრაზებული ბურტყუნებდა:

— ერთი ხარიხა მაინც დაგვეტოვებინა, ყველაფერი გავყიდეთ.

წყალს ოხშივარი ასდიოდა.

— წყალი ჩაგვაქ ქვევით თუ ღორები ამოგვყავს? — იკითხა ნოამ.

— ღორები ამოგვყავს, — უპასუხა მამამ, — ღორები ხო წყალი არ არი, რო დაღვარო და დაიფუფქო. ადუღდა? — გასძახა დედას.

— საცაა ადუღდება, — უპასუხა დედამ.

— კარგი, ნოა, ელ, ტომ, გამომყევით. მე ფარანს წამოვიღებ. იქ დავკლათ და მერე ამოვიტანოთ,

ნოამ დანა აიღო, ელმა ნაჯახი და კაცები ქვევით, საღორისკენ დაეშვნენ. ფეხებზე ფარნის შუქი ელაქუცებოდათ. რუთი და უინფილდი ხტუნვა-ხტუნვით მიჰყვებოდნენ. საღორეს-

თან რომ მივიდნენ, მამა გადაიხარა და მძინარე ბურვაკებს ფარანი მიანათა. ბურვაკები ფეხზე წამოხტნენ და უნდოდ აღრუტუნდნენ.

ძია ჯონი და მქადაგებელი დასახმარებლად მივიდნენ.

— კარგი, — თქვა მამამ. — აბა, დაჰკარით, მერე ზევით ავიტანოთ, დაიწრიტება და იქვე დავმდუღრავთ.

ნოამ და ტომმა ღობეს გადააბიჯეს. საქმეს სწრაფად და მარჯვედ აკეთებდნენ. ტომმა ნაჯახის ყუა ორჯერ ჩასცხო, ნოა დაცემული პირუტყვისკენ დაიხარა, ხელით დიდ არტერიას მიაგნო და მოღუნული დანა გამოუსვა, სისხლმა იფეთქა. მქადაგებელმა და ძია ჯონმა ერთ ბურვაკს უკანა ფეხებში ჩასჭიდეს ნელი და ისე გაათრიეს საღორედან, მეორე ტომმა და ნოამ წაიღეს. მამა ფარნით უნათებდათ გზას. შავი სისხლი მტვერში ორ ნაკადად მიედინებოდა.

ღორები სახლთან რომ მიათრიეს, ნოამ უკანა ფეხების ძელებსა და მყესებს შორის დანა გამოუსვა და სახლის კედლიდან გამოშვერილ რიდეზე დაკიდეს, ბოლოწამახვილებულ ჯოხებს ფეხები ცალ-ცალკე ეჭირა. კაცებმა დაკლულ ცხოველებს მდუღარე წყალი გადაასხეს. მერე ნოამ დანით გაფატრა და შიგანი მიწაზე დაყარა. მამამ კიდევ ორ ჯოხს წაუმახვილა ბოლოები. ჰაერი რომ მოხვედროდა, სხეულები გადახსნილი დაამაგრეს. ტომი საფხეკით, დედა კი დანით კანს ჯაგარს აცლიდნენ. ელმა ნიჩბით ნაწლავები მოაგროვა, სათლი გაავსო და სახლიდან მოშორებით, მიწაზე დაცალა. უკან აჩხავლებული კატები გაჰყვნენ, კატებს ძაღლები აედევნენ ღრენით.

მამა ღია კარში დაჯდა და დაკლულ პირუტყვს შეხედა, ჯაგარი უკვე გაეცალათ, შავ გუბურაში ბოლო სისხლის წვეთები იწრიტებოდა. მამა წამოდგა. დასამარილებლად გამზადებულს ხელი შეავლო და ისევ დაჯდა, პაპა და ბებო დასაძინებ-

ლად წავიდნენ, პაპა გზას სანთლით ინათებდა. ოჯახის დანარჩენი წევრები სახლის შესასვლელის შორიახლო დამსხდარიყვნენ. კონი, ელი და ტომი მიწაზე მოკალათდნენ, ზურგით სახლის კედელს მიეყრდნენ. ძია ჯონი ყუთზე იჯდა, მამა კარის ზღურბლთან. მხოლოდ დედა და შარონის ვარდი ფუსფუსებდნენ. რუთს და უინფილდს ძილი მორეოდათ, მაგრამ მაინც კამათობდნენ. ნოა და მქადაგებელი სახლის წინ, გვერდიგვერდ ჩაცუცქებულიყვნენ.

მამას აფორიაქება ეტყობოდა. ქუდი მოიხადა, თითებით თმა შეისწორა და თქვა:

— დილით ადრე ღორებს დავამარილებთ, მერე მანქანას დავტვირთავთ, საწოლების გარდა ყველაფერს ჩავაბარგებთ და ზეგ დილას გავალთ, ბევრი-ბევრი ერთი დღის სამუშაო იყოს, მეტი არა.

— და მთელი დღე მთვარეულებივით ვიბოდიალოთ, რო რამე საქმე მოვნახოთ? დილისთვის მოვემზადოთ და გავიდეთ. — თავისი სიტყვა თქვა ტომმა. მამამ მუხლი მოისრისა. უსიამოვნების მოლოდინში ოჯახი უხერხულად შეიშმუშნა.

— არაფერი მოუვა ამ ხორცს, ეხლავე რო დავამარილოთ. დავჭრათ და უფრო მალე გაცივდება, — დაამატა ნოამ.

ძია ჯონმა, რომლის სიტყვასაც დიდი ფასი ჰქონდა, თქვა:

— ვერ გავიგე. რას ვაკეთებთ? ერთი სული მაქ როდის დამთავრდება ყველაფერი. თუ მივდივართ, წავიდეთ, გადადება რაღად უნდა. — და უცბად თითქოს ყველა აზრზე მოვიდა, — მართლა რას ვაკეთებთ? რატო არ მივდივართ? დაძინება გზაშიც შეგვიძლია. — და იცოდნენ, რომ უნდა ეჩქარათ.

— ორიათასი მილია გასავლელი, ძაან შორია, მალე უნდა გავიდეთ. ნოა, მე და შენ ხორცი დავჭრათ და მერე ბარგის ჩა-

ლაგება დავიწყოთ, — თქვა მამამ. დედამ კარიდან გამოიხედა.

— სიბნელეში რო ვერ დავინახოთ და რამე დაგვრჩეს?

— დილით ყველა კუთხე-კუნჭულს დავივლით და დავათვალიერებთ, — უპასუხა ნოამ.

ერთხანს ისხდნენ და ფიქრობდნენ. მერე ნოა წამოდგა და პატარა გაცვეთილ ქვაზე დანის ალესვა დაიწყო.

— დე, მაგიდა აალაგე. — უთხრა დედას ნოამ. დაკლულ ცხოველს ხერხემლის გასწვრივ დანა დაუსვა და ნეკნებიდან ხორცის ათლა დაიწყო.

მამა მარდად წამოხტა.

— აბა, ბიჭებო, წამოდით, დავიწყოთ, ბარგი მოვაგროვოთ.

სხარტად, შემართებით მუშაობდნენ, რადგან წასვლა ყველას ეჩქარებოდა. ნოამ ჩამოთლილი ხორცი სამზარეულოში შეიტანა და პატარა ოთხკუთხა ნაჭრებად დაჭრა. დედამ თითოეულს მსხვილი მარილი მოაყარა, კასრში ისე ჩააწყო, რომ ერთმანეთს არ შეხებოდა, აგურებივით ჩაამწკრივა და გვერდებს შორის ადგილი მარილით ამოავსო. მერე ჩაწყობილი ნაჭრები ხელით დატკეპნა. ნოამ ამასობაში გვერდები და ბარკლები ჩამოაჭრა. დედას ღუმელი გაეხურებინა და როცა ნოამ ნეკნებს, ხერხემალსა და ფეხებს პირწმინდად გააცალა ხორცი, დედამ ძვლები ღუმელში შეყარა, რომ მოშივებულზე კუჭის მოსატყუებლად გამოეხრათ.

ჩაბნელებულ ეზოსა და ფარდულში სინათლის წრეები ამოძრავდნენ. კაცებმა ბარგი სატვირთოსთან დაახვავეს. შერონის ვარდს მთელი ოჯახის ტანსაცმელი გამოეტანა: სამუშაო შარვალ-ხალათები, სქელძირიანი ფეხსაცმელები, რეზინის ჩექმები, გაცვეთილი გამოსასვლელი ტანისამოსი, სვიტერები, ცხვრის ტყავის ტყაპუჭები. ყველაფერი ხის ყუთში ჩააწ-

ყო, ზედ შედგა და ფეხებით დატკეპნა. მერე სახლიდან მოჩითული კაბები, შალები, შავი ბამბის ქსოვილის მაღალყელიანი წინდები, ბავშვების ჭრელი კაბები, პატარა კომბინეზონები გამოიტანა, ისინიც ხის ყუთში ჩააწყო და ფეხებით დატკეპნა.

ტომმა ფარდულიდან წასაღებად გადარჩეული ხელსაწყოები გამოიტანა — ხელის ხერხი, ქანჩის გასაღებების წყება, ჩაქუჩი და დახარისხებული ლურსმნით სავსე ყუთი, ბრტყელტუჩები, ბრტყელი და მრგვალი ქლიბები.

შარონის ვარდმა სატვირთოს უკან ბრეზენტის დიდი ნაჭერი დააფინა. სამი ორკაციანი და ერთი ვიწრო მატრასი ძლივს მიათრია ბრეზენტამდე და ყველაფერი ზედ დაყარა. მერე იღლიის ქვეშ ამოჩრილი დაკეცილი დაძონძილი საბნებიც დაამატა.

ნოა და დედა ისევ ხორცს ამარილებდნენ. ღუმლიდან შემწვარი ღორის ძვლების სუნი გამოდიოდა. ბავშვებს ღამემ აჯობა და ძილისკენ გაისტუმრა, უინფილდი გარეთ მტვერში მოკუნტულიყო, სამზარეულოში ყუთზე ჩამომჯდარ რუთის თავი უკან გადაეგდო, მძინარეს პირი გაღებოდა და კბილები უჩანდა.

ტომმა ხელსაწყოები ჩაალაგა და ფარნით ხელში სამზარეულოში შევიდა, უკან მქადაგებელი მიჰყვა.

— აუ,რა სუნია! გესმის, ძვლები როგორ ტკაცუნობს?

დედა ხორცს ფენა-ფენა აწყობდა კასრში, მარილს აყრიდა და ხელით ტკეპნიდა. ტომს ახედა და გაუღიმა, მაგრამ თვალები დაღლილი და სევდიანი ჰქონდა.

— თავი შეიკავე. ღორის ძვლებია, საუზმეზე ვჭამოთ.

მქადაგებელი დედას მიუახლოვდა.

— მოდი, მე გავაგრძელებ, — უთხრა დედას, — შენ სხვა საქმე გააკეთე.

დედამ დამარილება შეწყვიტა და მქადაგებელს ცნობის-მოყვარეობით სავსე თვალი მიაპყრო, გეგონებოდათ, რაღაც უცნაურობა გაიგონა. ხელებზე მარილი შეხმობოდა, ახალი ხორცის ნაჟურს თითები ვარდისფრად შეეღება, ბოლოს უპასუხა: — ეს ქალის საქმეა.

— რატო მარტო ქალის. იმდენი საქმეა, რო დაყოფა არ ივარგებს. შენ სხვა საქმე გააკეთე, მიმიშვი, მე გავაგრძელებ, — ერთხანს კვლავ მიშტერებით უცქერდა, მერე სათლიდან წყალი ამოიღო და თუნუქის ხელსაბანში წყალი გადაივლო, მქადაგებელმა ხორცის ნაჭრებს მარილი წააყარა — დედა თვალს არ აშორებდა — მერე ზუსტად ისე ჩააწყო კასრში, როგორც თვითონ ირჯებოდა. როცა ერთი ფენა ჩააწყო, მარილი მოაყარა და ჩატკეპნა, დედამ დაშაშრული, შეშუპებული ხელები კმაყოფილი სახით შეიმშრალა.

— დე, აქედან რა მიგვაქ? — ჰკითხა დედას ტომმა.

დედამ სწრაფად მოავლო თვალი იქაურობას. — სათლი, — თქვა მან, — და ყველაფერი, რაც ჭამისთვის გვჭირდება: თეფშები, ჭიქები, ჩანგლები, დანები. იმ უჯრაში ჩააწყვე და უჯრით წამოიღე. ხორცის შესაწვავი დიდი ტაფა, დიდი ჩაიდანი, ყავადანი. ღუმელი გაგრილდება და ბადეც აიღე. ცეცხლს რო დავანთებთ. გამოგვადგება. სარეცხისთვის ტაშტის წამოღებაც მინდა, მაგრამ არა უშავს, სათლში გავრეცხავ. პატარა რაღაცები არ წამოიღო, დიდ ქვაბში ცოტასაც მოხარშავ, მაგრამ პატარაში დიდს ვერ ჩატევ. პურის ფორმები წამოიღე, დიდ-პატარაა და ერთმანეთში ჩააწყვე. — დედა იდგა და სამზარეულოს ათვალიერებდა — რაც გითხარი, ის ჩაალაგე, ტომ, დანარჩენს მე მივხედავ. წიწაკის, მარილის, მუსკატის კაკლის ქილებს და სახეხს ბოლოს ჩავაწყობ. — ფარანი აიღო და ფეხშიშველმა საძინებლამდე უხმოდ გაიარა.

— დაქანცული ჩანს. — თქვა მქადაგებელმა. — ქალები სუ დაღლილები არიან, ეგეთია მაგათი ცხოვრება, მარტო ლოცვაზე თუ მიდიან, მაშინ არ ემჩნევათ დაღლილობა.

— ჰო, მაგრამ რაღაც სხვანაირად დაქანცულია, თითქოს ავად არი.

ამ დროს დედა კარში გადიოდა და მქადაგებლის სიტყვები გაიგონა. მოშვებული სახე დაეძაბა, კუნთები დაეჭიმა და დაღარული ლოყები გაუსწორდა. თვალებში მტკიცე მზერა დაუბრუნდა, ბეჭები გამართა. დაცარიელებულ ოთახს გადახედა. ნაგვის გარდა აღარაფერი დარჩენილიყო. ლეიბები, იატაკზე რომ ჰქონდათ გაშლილი, და ჭურჭლის კარადები გაყიდეს. იატაკზე დამტვრეული სავარცხელი, ტალკის ყუთი და კუთხეებში მოგროვილი მტვრის გროვები ეყარა. დედამ ფარანი დადგა. ერთ-ერთი ყუთიდან, რომელიც სკამის მაგიერობას უწევდათ, ძველი, ჭუჭყიანი, გვერდებდახეთქილი ყუთი ამოიღო. მერე დაჯდა. ყუთი გახსნა. შიგ ათასგვარი რამ ეწყო — წერილები, გაზეთის ამონაჭრები, ფოტოები, საყურეები, დამღიანი ოქროს ბეჭედი, ოქროს შესაკრავიანი საათის სამაჯური. თითებით წერილების დასტას შეეხო, გაზეთის ამონაჭერს, სადაც ტომის სასამართლოს ანგარიში ეწერა, ხელი გადაუსვა, დიდხანს იჯდა ასე. წერილები გადაათვალიერა, მერე ისევ დასტად შეკრა. ქვედა ტუჩს იკვნეტდა, იხსენებდა, ფიქრობდა. ბოლოს გადაწყვეტილება მიიღო — ყუთიდან ბეჭედი, საათის სამაჯურის სამშვენისი, საყურეები ამოიღო; ყუთის ფსკერზე ხელი მოაფათურა, მაჯის ოქროს საკინძი იპოვა, მერე წერილს კონვერტი შემოაცალა და ეს იაფფასიანი სამკაულები შიგ ჩაყარა. ყუთი ფრთხილად დახურა, თავსახურზე ნაზად გადაუსვა ხელი, წამოდგა და ფარანი აიღო, ღუმლისკენ შებრუნდა, თავი ახადა და ყუთი ნაკვერჩხლებს შორის დადო.

მუყაოს მაშინვე ფერი ეცვალა. მალე ალი მისწვდა, ცეცხლმა თითქოს ამოიოხრა და მუყაოს ყუთი ერთიანად შთანთქა.

გარეთ, ბნელ ეზოში, ფარნის შუქზე, მამა და ელი მანქანას ტვირთავდნენ — ხელსაწყოები ქვევით, მაგრამ ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში ხელმისაწვდომი იყოს, შემდეგ ტანსაცმლის ყუთები, სამზარეულოს ნივთებით სავსე ტომრები, ყუთებში ჩაწყობილი დანა-ჩანგალი და ჭურჭელი. დიდი სათლი უკანა კედელს მიაბეს. ბარგის ქვედა ფენა, რაც შეიძლება კარგად მოსწორებული უნდა ყოფილიყო, ამიტომ ყუთებს შორის სივრცეები დახვეული საბნებით ამოავსეს, შემდეგ ზედ მატრასები გააფინეს. ბარგის თავზე ბრეზენტი გადაჭიმეს. ელმა ბრეზენტის კიდეები ორი ფუტის დაშორებით დახვრიტა, ხვრელებში მოკლე თოკები გაუყარა და სატვირთოს გვერდების კედლებზე დაამაგრა.

— თუ იწვიმებს, აქედან მოვხსნით და ზედა ფიცრებზე დავამაგრებთ, ოჯახი ბრეზენტს შეაფარებს თავს წვიმის დროს, ჩვენ კაბინაში დასველება არ გვემუქრება.

მამამ ხელი ხელს შემოჰკრა.

— ყოჩაღ, ელ. მაგრა მოგიფიქრებია!

— ჯერ სადა ხარ, — თქვა ელმა, — როგორც კი სადმე გრძელ ფიცარს ვიშოვი, კეხის ძელს გავაკეთებ, ზედ ბრეზენტს გადავჭიმავ და მზეც აღარ შეგვაწუხებს.

— კარგი აზრია, — დაეთანხმა მამა, — აქამდე სად იყავი?

— დრო არ მქონდა.

— წანწალის დრო ხო გქონდა? ღმერთმა იცის, ბოლო ორი კვირა სად იყავი და რას აკეთებდი.

— იმას ვაკეთებდი, რასაც კაცი უნდა აკეთებდეს, ქვეყანას რო ტოვებს მაშინ. — მერე თითქოს ეჭვი შეეპარა, მამას ჰკითხა:

— მა, გიხარია რო მივდივართ?

— ჰო, მიხარია, ყოველ შემთხვევაში... ჰო, კარგია, რო მივდივართ. აქ კარგი ცხოვრება გვქონდა, თუ რა! იქ უკეთესი იქნება — სამუშაო, გარშემო სიმწვანე და სილამაზე, პატარა თეთრი სახლები და ფორთოხლის ბაღები.

— ფორთოხალი ყველგან ხარობს?

— შეიძლება ყველგან არა, მაგრამ ბევრია.

ცას რუხი სინათლე შეეპარა. ყველაფერი მზად იყო — ღორის ხორცით სავსე კასრები, ქათმების გალიას, სადაც იყო, სატვირთოს თავზე შემოდგამდნენ. დედამ რომ ღუმლიდან ყავისფრად დაბრაწული ძვლები გამოიღო, კბილის გაკვრად ღირდა, ზედ საკმაო ხორცი შერჩენილიყო. რუთი გამოფხიზლდა, ყუთიდან ჩამოსრიალდა და ძილი გააგრძელა. უფროსები კართან შეკრებილიყვნენ, დილის სუსხით შემცივნებულნი დაბრაწულ ძვლებს ხრავდნენ.

— პაპა და ბებო გავაღვიძოთ, თენდება, — თქვა ტომმა.

— ეძინოთ, დასვენება სჭირდებათ, წასვლისას გავაღვიძოთ. რუთმა და უინფილდმაც გამოიძინონ.

— ბარგზე დაიძინებენ, ისე მოვაწყეთ, რო მოხერხებული იყოს.

უეცრად ძაღლები ფეხზე წამოხტნენ და მტვრის შრიალს მიაყურადეს, მერე გაავებული ყეფითა და ღრენით სიბნელეს შეერივნენ.

— რა ჯანდაბა ხდება? — იკითხა მამამ. ვიღაცამ ძაღლებს დაუყვავა, ისევ ყეფდნენ, თუმცა ნაკლები სიავით, შემდეგ ნაბიჯების ხმა გაისმა და კაცი გამოჩნდა. მიული გრეივსი იყო. თვალებზე ქუდი ჩამოეფხატა, შეცბუნებული ჩანდა.

— მიული, — მამამ კანჭის ძვალი დაუქნია, — მოდი, მიული. ცოტა ხორცი მიირთვი.

—არა, — თქვა მიულიმ, — არ მშია.

— კარგი რა, მიული, — მამა სახლში შევიდა, ნეკნები გამოიტანა და მიულის გაუწოდა.

— არა, საჭმელად არ მოვსულვარ, შორიახლოს ვიყავი და ვიფიქრე. მივალ, ვნახავ, როგორ არიან-მეთქი, თან დამშვიდობებაც მინდოდა.

— წუთი წუთზე გავდივართ, — თქვა მამამ, — ერთი საათით გვიან რო მოსულიყავი, ვეღარ გვნახავდი. ნახე, ყველაფერი ჩალაგებული გვაქ.

— ჰო, ჩაგილაგებიათ, — მიულიმ დატვირთულ მანქანას გახედა. — ზოგჯერ ისე მინდა, რო წავიდე და ჩემი ოჯახი მოვძებნო..

— არაფერი ამბავი იცი კალიფორნიიდან?

— არა, — არაფერი, მაგრამ ფოსტაში არ მომიკითხია. უნდა წავიდე, იქნებ კიდეც მომწერეს.

— ელ, ჩადი ერთი, პაპა და ბებო გააღვიძე. უთხარი, რო მოვიდნენ და ჭამონ. მალე გავდივართ, — ელი ნელა წამოდგა და ფარდულისკენ დაეშვა.

— მიული, ხო არ შემოგვიერთდები, შევიწროვდებით და ადგილს გამოგიძებნით.

მიულიმ ნეკნს ხორცი მოაგლიჯა და ღეჭვას შეუდგა.

— ზოგჯერ ვფიქრობ, რო წავიდე, მოვშორდე-მეთქი აქაურობას, მაგრამ არ შემიძლია. ვიცი, რო ბოლო წუთში გავიქცევი და საფლავის აჩრდილივით დავიმალები.

— რა გინდა, რო მინდორში მოკვდე? — ჰკითხა ნოამ.

— მაგაზეც მიფიქრია. ზოგჯერ თავს ძაან მარტო ვგრძნობ, ზოგჯერ არა უშავს და ხანდახან კარგადაც კი ვარ, ამას არა აქ მნიშვნელობა. მაგრამ ჩემ ოჯახს თუ შეხვდებით, უთხარით,

რო კარგად ვარ, არ გააგებინოთ, როგორ ვცხოვრობ, გადაეცით, რო როგორც კი ფულს ვიშოვი, მათთან ჩავალ.

— ჩახვალ კი? — ჰკითხა დედამ.

— არა, — ხმადაბლა თქვა მიულიმ, — არა, ეხლა ვეღარ წავალ, ცოტა ხნის წინ შეიძლება წავსულიყავი. ბევრი ვიფიქრე და მივხვდი, რომ არსად წამსვლელი არა ვარ.

განთიადმა იმძლავრა, ფარნების შუქი გაფერმკრთალდა. ელი გამოჩნდა. გვერდით პაპა მოჰყვებოდა ბარბაცით.

— არ ეძინა, ფარდულის უკან იჯდა, რაღაც ვერ არი კარგად. — პაპას ჩამქრალი თვალები ჩვეულ სიავეს აღარ ასხივებდა.

— ძალიანაც კარგად ვარ. — თქვა მან, — უბრალოდ არ მოვდივარ.

— არ მოდიხარ? — ჰკითხა მამამ, — რას ნიშნავს არ მოვდივარ? რატო? ყველაფერი ჩავალაგეთ, უნდა წავიდეთ. აქ ჩვენი ადგილი არ არი.

— შენ ხო არ გეუბნები დარჩი-მეთქი. თქვენ უნდა წახვიდეთ, მაგრამ მე ვრჩები. მთელი ღამე ვფიქრობდი, ჩემი ადგილი აქ არი, ეს ჩემი მხარეა. ფეხებზე მკიდია ფორთოხალი და ყურძენი, არ მოვდივარ, მორჩა! აქ კარგი არაფერია, მაგრამ მე აქაური ვარ. თქვენ წადით, მე აქ ვრჩები.

პაპას გარს შემოეხვივნენ.

— ვერ დარჩები, პაპა, აქ მალე ტრაქტორებს მოაყენებენ. საჭმელს ვინ მოგიმზადებს? როგორ იცხოვრებ? აქ რა, უპატრონოდ დარჩები? შიმშილით უნდა მოკვდე?

პაპა ყვირილზე გადავიდა:

— დასწყევლის ღმერთი! ბებერი ვარ, მაგრამ ჩემი თავის მოვლა ჯერ კიდე შემიძლია, მიული როგორ ცხოვრობს? მეც ისე ვიცხოვრებ. გეუბნებით, არ წამოვალ, შეეგუეთ. თუ გინ-

დათ, ბებო წაიყვანეთ, მაგრამ მე ძვრასაც ვერ მიზამთ. მორ-ჩა, ეგრეა.

— მისმინე, პაპა, ერთი წუთი ყური დამიგდე. — მამამ აღარ იცოდა, რა ეთქვა.

— არ მოვდივარ, არა! უკვე გითხარით რასაც ვაპირებ.

ტომმა მამას ბექზე ხელი დაჰკრა.

— მა, სახლში შემოდი. რაღაც უნდა გითხრა. — სახლისკენ გაემართნენ, — დე, ერთი წუთით მოხვალ? — გასძახა დედას.

სამზარეულოში ერთი ფარანი ბჟუტავდა. მაგიდაზე ღორის ძვლები ისევ ისე იყო დახვავებული. ტომმა თქვა:

— მისმინეთ, უფლება აქ, რო არ უნდოდეს წამოსვლა, მაგ-რამ ჩვენ ხო ვიცით, რო დარჩენა არ შეიძლება.

— აბა, რა! როგორ დარჩება, — თქვა მამამ.

— მისმინეთ, რო დავაბათ, შეიძლება რამე ვატკინოთ, მაგ-რამ რო დავათროთ, კარგი იქნება. ვისკი გვაქ?

— არა, — თქვა მამამ, — ერთი წვეთიც კი არ არი სახლში. ჯონსაც არა აქ. თუ არ სვამს, სასმელს არც ინახავს.

— ტომ, ნახევარი ბოთლი დამამშვიდებელი სითხე მაქ. უინფილდს რო ყური ტკიოდა, მაშინ ვიყიდე. გამოდგება? უინ-ფილდს ვასმევდი, ძალიან რო ტკიოდა და მაშინვე აძინებდა.

— იქნებ გამოდგეს, — უპასუხა ტომმა, — მომეცი, მაინც უნ-და ვცადოთ.

— ნაგავში ჩავაგდე. — თქვა დედამ, ფარანი აიღო და გა-რეთ გავიდა. რამდენიმე წუთში დაბრუნდა და ტომს ნახევრად სავსე წამლის ბოთლი მიაწოდა.

ტომმა ბოთლი გამოართვა და წამალი გასინჯა.

— უგემური არ არი, მოდი ერთი ჭიქა ყავა გავუკეთოთ, შავი მაგარი ყავა. ერთი ჩაის კოვზი არ ეყოფა, ერთი ორი სუფრის კოვზი მაინც უნდა ჩავუსხათ.

დედამ ღუმელი გამოაღო, ჩაიდანში ერთი ჭიქა წყალი ჩაასხა, ყავა ჩაყარა და ზედ ნაკვერჩხლებზე დადგა.

— თუნუქის ქილაში უნდა დავუსხათ, ჭიქები ჩალაგებულია.

ტომი და მამა გარეთ გავიდნენ.

— კაცს ხო აქ უფლება, რო თქვას, რის გაკეთებას აპირებს. ნეკნებს როდის შევჭამთ? — იკითხა პაპამ.

— ჩვენ უკვე ვჭამეთ, — უპასუხა ტომმა, — მიდი, შენც ჭამე. დედა ყავასაც გიმზადებს.

პაპა სამზარეულოში შევიდა, ხორცი მოციცქნა და ყავა დააყოლა. ნირწამხდარი ოჯახი ხმაგაკმენდილი იდგა და პაპას თვალს ადევნებდა. პაპამ მთქნარება დაიწყო, ხელები თავქვეშ ამოიწყო და დაიძინა.

— მაინც დაღლილი იყო, ეძინოს, — თქვა ტომმა.

ახლა ყველა მზად იყო. ბებია ფარდულიდან სახლისკენ მოდიოდა, ჯერ კიდევ ძილბურანში იყო.

— რა ამბავია? რას აკეთებთ ამ უთენია?

მას უკვე ჩაეცვა და როგორც ეტყობოდა, წინააღმდეგობის გაწევას არ აპირებდა. რუთს და უინფილდს გაღვიძებოდათ. ჯერ კარგად ვერ გამოფხიზლებულიყვნენ, წუხანდელი დაქანცულობის კვალი ემჩნეოდათ.

დილის სინათლე სწრაფად მატულობდა. წასვლის წინ ოჯახი უცნაურად მიყუჩდა. პირველი ნაბიჯის გადადგმას ვერავინ ბედავდა. ახლა, როცა გამგზავრების დრო დადგა, პაპას მსგავსად, ყველა შიშმა შეიპყრო. იდგნენ და უცქერდნენ, — სინათლეში ფარდული გამოიკვეთა, ფარნების გარშემო ყვითელი წრეები გაფერმკრთალდა, ვარსკვლავები ერთიმეორის მიყოლებით გაიკრიფნენ დასავლეთისკენ. ყველა უძრავად იდგა, მთვარეულებივით უმისამართოდ იცქირებოდნენ. მათი თვალები ერთიანად აღიქვამდნენ მომძლავრებულ გან-

თიადს, უკიდეგანო მიწას, გადაშლილ მინდვრებს, მაგრამ უფრო მცირე რაღაცები მათი თვალსაწიერის მიღმა რჩებოდა.

მიული გრეივსი მოუსვენრად მიდი-მოდიოდა. სატვირთოსთან მივიდა და ფიცრებს შორის შეიჭყიტა, მერე სატვირთოს უკან დამაგრებულ სათადარიგო საბურავებს ხელი დაჰკრა, ბოლოს ტომს მიუახლოვდა,

— ტომ, შტატის საზღვრის გადაკვეთას აპირებ? პირობა უნდა დაარღვიო?

და ტომი უცბად გამოცოცხლდა.

— ღმერთო, საცაა მზე ამოვა, — თქვა მან ხმამაღლა. — უნდა ვიჩქაროთ, — დანარჩენებიც გამოფხიზლდნენ და სატვირთოსკენ გაემართნენ.

— მოდით, პაპა გამოვიყვანოთ,

მამა, ძია ჯონი, ტომი და ელი სამზარეულოში შევიდნენ. პაპას შუბლი ხელებში ჩაემალა და ეძინა, მაგიდაზე დაღვრილი ყავა შრებოდა. კაცებმა იდაყვებით ასწიეს და ფეხზე დააყენეს, პაპა მთვრალი კაცივით ალუღლუღდა და მაგრად შეუკურთხა. გარეთ რომ გავიდნენ, ასწიეს და სატვირთოსთან მიიყვანეს. ტომი და ელი ძარაზე ავიდნენ, პაპასკენ დაიხარნენ. იღლიებში ხელი ამოსდეს. ფრთხილად ასწიეს და ბარგზე გადააწვინეს. ელმა ბრეზენტის ერთი ბოლო გახსნა და პაპას გადააფარა, მერე ქვეშ ყუთი შეუდგა, რომ ბრეზენტის სიმძიმეს პაპა არ შეეწუხებინა.

— საყრდენი ძელი უნდა დავამაგრო, — თქვა ელმა. — ამაღამ რო გავჩერდებით, გავაკეთებ. — პაპამ რაღაც წაიბურტყუნა, გამოფხიზლება სცადა, მაგრამ მერე კარგად მოთავსდა და ისევ დააძინა.

— დე, — უთხრა მამამ დედას, — შენ ბებო წაიყვანე და კაბინაში ადი ცოტა ხნით, აქ უფრო მოხერხებულად დავაწყობთ რაღაცებს და მერე გადმოგიყვანთ.

დედა და ბებია კაბინაში ჩასხდნენ. შემდეგ კონი, შარონის ვარდი, მამა, ძია ჯონი, რუთი, უინფილდი, ტომი და მქადაგებელი ბარგზე მოთავსდნენ. ნოა ქვევით იდგა და მძიმედ დატვირთულ მანქანას უცქერდა. ელმა სატვირთოს შემოუარა, დაიხარა და რესორი შეამოწმა.

— ფუ, რესორი ბოლომდეა დამჯდარი, კიდე კაი, შუასადები ჩავუდგი.

— მა, ძაღლებს რა ვუყოთ? — იკითხა ნოამ.

— ძაღლები სულ დამავიწყდა, — თქვა მამამ, — მძლავრად დაუსტვინა და ერთ-ერთმა ხტუნვა-ხტუნვით მიირბინა. ნოამ დაიჭირა და ძარაზე შესვა. ძაღლს სიმაღლის შეეშინდა და ადგილზე გაქვავდა.

— დანარჩენი ორის დატოვება მოგვიწევს, — დაიძახა მამამ. — მიული, შენ არ მიხედავ? შიმშილით რო არ დაიხოცნონ...

— მივხედავ, კარგი იქნება ძაღლები თუ მეყოლება, წავიყვან და მივხედავ.

— ქათმებიც წაიყვანე, — უთხრა მამამ.

ელი საჭეს მიუჯდა. ძრავამ დაიგუგუნა, რამდენიმე ბრუნი და ჩაქრა, ისევ დაიგუგუნა და შემდეგ ექვსმა ცილინდრმა ერთად დაიღრიალა. უკან ლურჯი კვამლი გამოჩნდა.

— კარგად იყავი, მიული, — გასძახა ელმა.

— მშვიდობით, მიული, — ყველა ერთად დაემშვიდობა მიულის.

ელმა მანქანა პირველ სიჩქარეში ჩააგდო და მუხრუჭი მიუშვა. სატვირთო შეზანზარდა, ეზო გადაჭრა, მეორე სიჩქარე და აღმართზე აბობღდა; წითელი მტვერი ჰაერში აიჭრა.

— ღმერთო, რამხელა სიმძიმეა, — თქვა ელმა, — დიდ დროს წაიღებს.

დედამ უკან გაიხედა, მაგრამ ვერაფერი დაინახა, ბარგი ეფარებოდა. მერე გაიმართა, თავი ასწია და უკან მოტოვებულ მტვრიან გზას გახედა. მისი თვალებიდან უსაზღვრო სევდა იმზირებოდა. ძარიდან მთელი ოჯახი უკან იყურებოდა — სახლი, ფარდული, კვამლი, საკვამურიდან ჯერ კიდევ რომ ამოდიოდა, მზის სხივებით წითლად შეფერადებული ფანჯრები და ეზოში მარტოდმარტო დარჩენილი მიული, რომელიც გზას თვალს არ აშორებდა. და შემდეგ მოსახვევში ყველაფერი ერთად გაუჩინარდა, გზის გასწვრივ ბამბის მინდვრები გადაიშალა, სატვირთო მტვერში მძიმედ მიიკვლევდა გზას. მალე გზატკეცილზე გავიდოდნენ. გზატკეცილი დასავლეთისკენ მიდიოდა.

11.

ცარიელ მიწაზე ცარიელი სახლები იდგა. სიცოცხლის ნიშანწყალიც კი არსად იყო. მხოლოდ ტრაქტორების გოფრირებული რკინით შეჭედილი სადგომები ელავდა ვერცხლისფრად და თუ სიცოცხლე შეიძლება დაერქვას, ფოლადს, ბენზინს, ზეთს, სახნისის დისკებს ლაპლაპი გაუდიოდა. ტრაქტორების ფარები ანათებდა, რადგან ტრაქტორმა არც დღე იცის და არც ღამე. ღამეც ისევე აბრუნებს მიწას, როგორც დღისით, სულ სხვაა, როცა ცხენი მინდვრიდან ბაკში ბრუნდება; იქ სიცოცხლეა, სუნთქვა და სითბო, ჩალაზე დგას, ხანდახან ფეხს იცვლის, თივას ცოხნის, ყურებს ცქვეტს, იცქირება, ბაკში სიცოცხლის სითბო და სურნელი ტრიალებს. მაგრამ როცა ტრაქტორის ძრავა ჩერდება, ტრაქტორი კვდება. თანდათან ხევდება, როგორც სიცივეშეპარული გვამი, როგორც მადანი, რისგანაც შეიქმნა. შემდეგ რკინის კარი იხურება. ტრაქტორისტი, ალბათ ოცი მილის მოშორებით, შინ ბრუნდება და შეუძლია უკან თვეობით აღარ მოიხედოს, რადგან იცის, ტრაქტორი მკვდარია. ეს ძალიან ადვილი და მოსახერხებელია. იმდენად ადვილი, რომ მიწას ჯადოსნურ ხიბლს უკარგავს. იმდენად მოსახერხებელი, რომ მიწის გულის ფეთქვას ჯადოსნურ ძალას ართმევს და ამის გარეშე კი, მიწასთან სიახლოვე, მასთან ურთიერთობა შეუძლებელი ხდება. ტრაქტორისტი მიწას ზიზღით უყურებს, მისთვის მიწა უცხოა, რადგან სიახლოვის და ნათესაობის არაფერი გაეგება. არ იცის, რომ მიწა ნიტრატები, ფოსფატები და ბამბის ბოჭკოს სიგრძე არ არის, არც

კაცია მარტო ნახშირბადი, მარილი, წყალი და კალციუმი; კაცი მეტია. ბევრად მეტი და მიწაც მეტია, ვიდრე ნიადაგის შემადგენლობა. კაცი, რომელიც მეტია, ვიდრე მისი ორგანიზმის შემადგენელი ქიმიური ელემენტები, ამ მიწაზე დააბიჯებს, გუთანს ქვას არიდებს, რომ სახნისი არ დაუზიანოს, სახელურს მართავს, რომ კაჟოვან მიწაზე გადაატაროს, იმუხლება, რომ შეისვენოს და დანაყრდეს; კაცმა, რომელიც მეტია, ვიდრე მისი ორგანიზმის შემადგენელი ქიმიური ელემენტები, იცის, რომ მიწა უფრო მეტია, ვიდრე ნიადაგის შემადგენლობა. მაგრამ მან, მკვდარი ტრაქტორის მძღოლმა არ იცის, არ უყვარს, არ ესმის, მისთვის მთავარი ქიმიაა, მიწას პატივს არ სცემს და ქედმაღლურად უყურებს. როგორც კი რკინის კარს დაკეტავს, შინ მიდის, მაგრამ მისი სახლი მიწაზე არ დგას, მიწა მისთვის სახლი არ არის.

ცარიელი სახლების ღია კარებს ქარი წინ და უკან აქანავებს. ახლომახლო ქალაქებიდან პატარა ბიჭები ჩადიან და ფანჯრებს ამსხვრევენ, მერე ნარჩენებში იქექებიან, იქნებ განძსაც მიაგნონ. აი, პირმომტვრეული დანა, კარგი რამეა. ფუჰ, ისეთი სუნია, ალბათ ვირთხა მოკვდა. შეხედე უიტის კედელზე რა დაუწერია, სკოლის ტუალეტშიც იგივე დაწერა და მერე მასწავლებელმა წააშლევინა.

იმავე საღამოს, როცა სახლების ბინადრებმა იქაურობა დატოვეს, კატები მინდვრებიდან გამოვიდნენ, პარმაღებზე დასკუპდნენ და აკნავლდნენ; არავინ გამოხედა წამოდგნენ, სახლებში შევიდნენ და ცარიელი ოთახები კნავილით მოიარეს. მიხვდნენ, რომ იქ არაფერი ესაქმებოდათ, მინდვრებში დაბრუნდნენ და მას შემდეგ ველურ მონადირე კატებად იქცნენ, დღისით თხრილებში ეძინათ, ღამით მინდვრის თაგვებსა და თრიებზე ნადირობდნენ. ღამურები, სინათლის შიშით

კარებში შეფრენას რომ ვერ ბედავდნენ, ახლა ცარიელ ოთახებში დასრიალებდნენ, ბნელ კუთხეებში დღის შუქს ემალებოდნენ, ფრთებს კეცავდნენ და სახურავის დირეზე თავდაყირა ეკიდებოდნენ. იქაურობა მათი ცურცლის სუნად ყარდა.

თაგვები ოთახების კუთხეებში, ყუთებისა და სამზარეულოების კარადების უკან სარეველას თესლს იმარაგებდნენ. თაგვებს სინდიოფალები აკითხავდნენ და მუსრს ავლებდნენ. ყავისფერი ბუები კივილით დაფრინავდნენ წინ და უკან.

წვიმას იქაურობა ოდნავ დაენამა და ახლა სარეველა იქ მოძალებულიყო, სადაც ადრე ეკრძალებოდა. მწვანე ბალახი პარმაღის ფიცრებს შორის ამოწვერილიყო. მიტოვებული სახლები მალე იშლება. დახეთქილი ფიცრებიდან ჟანგიანი ლურსმნები ცვიოდა, იატაკზე გადაფენილი მტვრის ფენის მთლიანობას მხოლოდ ვირთხებისა და სინდიოფალების ნაკვალევი არღვევდა.

ერთ ღამეს ქარმა კრამიტი დაძრა და მიწაზე ჩამოაგდო. მომდევნო ჯერზე ქარი ხვრელში შეძვრა, დატრიალდა და სამი კრამიტი ერთად აჰყარა. მერე უკვე ერთმანეთის მიყოლებით ჩამოცვივდა. შუადღის მცხუნვარე მზე პირდაპირ იატაკს დასცქეროდა. ღამღამობით კატები ისევ ბრუნდებოდნენ მინდვრებიდან, მაგრამ კარებთან აღარ კნაოდნენ, ღრუბლის ჩრდილებივით გადადიოდნენ ოთახიდან ოთახში და თაგვებზე ნადირობდნენ. ქარიან ღამეში კარებს ბრახაბრუხი გაჰქონდა. დაძონძილი ფარდები ჩამსხვრეულ ფანჯრებს ეხლებოდა.

12.

66 მთავარი გზატკეცილია, რომელზეც გადასახლებულნი გადაადგილდებოდნენ — მთელ ქვეყანაზე გადაჭიმული ბეტონირებული ტრასა, რომელიც რუკაზე მისისიპიდან ბეიკერსფილდამდე აღმა-დაღმა ადი-ჩადის, წითელი და რუხი მიწების ზევით მთებში მიიკლაკნება, დიდ წყალგამყოფს კვეთს და დამაბრმავებლად მოელვარე უდაბნოზე გადადის, მერე ისევ მთებში იჭრება და ბოლოს კალიფორნიის მდიდარ ხეობაში ჩადის.

66 გაქცეულების გზაა, ხალხისა, მტვერსა და მწირ მიწებს, ტრაქტორების გუგუნს, ჩამორთმეულ ქონებას, ნელ-ნელა ჩრდილოეთიდან უდაბნოს შეჭრას, ტეხასიდან კივილით მოვარდნილ ქარბორბალებს, წყალდიდობებს რომ გაურბოდა. ამ ყველაფრის გამო იქცნენ დევნილებად, ამან მიიყვანა ისინი 66-მდე, რომელზეც მინდვრებში გაჭრილი ნაურმალი, გადათხრილი, ოღროჩოღრო გვერდითა შენაკადი გზებით გავიდნენ. 66 მთავარი გზატკეცილია. ეს დევნილთა გზაა.

კლაკსვილი, ოზარკი, ვან ბარენი, ფორტ სმიტი და აქ მთავრდება არკანზასი. ტულსადან ყველა გზა ოკლაჰომა-სიტისთან, 66-ზე ერთდება — 270 მაკალესტერიდან, 81 სამხრეთიდან, უიჩიტო-ფოლსიდან მოდის, ჩრდილოეთით ენიდაა და იქიდანაც გზა გამოდის. ედმონდი, მაკლაუდი, პარსელი. 66 ოკლაჰომა-სიტიზე გადის, ელ რენო და კლინტონი დასავლეთით რჩება, ჰაიდრო, ელკ-სიტი, ტექსოლა და ოკლაჰომა მთავრდება. 66 ტეხასზე გადის. შემროკი და მაკლენი, კონუეი

და ყვითელი ამარილლო, უილდერადო, ვეგა, ბოიზი და ტეხასი მთავრდება. ტუქამქერი, სანტა როზა და ნიუ მექსიკოს მთებიდან ალბუკერკეში; აქ გზა სანტა ფედან ჩამოდის. ქვევით რიო გრანდეს ხეობიდან ლას ლუნაში და 66-ით ისევ დასავლეთით გალაპისკენ. და აი, ნიუ მექსიკოს საზღვარიც.

შემდეგ მთები იწყება. ჰოლბრუკი, უინსლოუ, ფლეგსტაფი — არიზონას მაღალ მთებს შორის ფართოდ გადაშლილი, ტალღებივით მოლივლივე დიდი ზეგანი, ეშფორკი, კინგმენი და კლდოვანი მთები, სადაც წყალს სხვა ადგილებიდან ეზიდებიან და ყიდიან და არიზონას მზით დახრუკული მთებიდან პირდაპირ კოლორადოში, რომლის სანაპიროებზეც მწვანე ლელქაშია მოდებული. აქ არიზონა მთავრდება. რა ახლოს ვართ! მდინარის გადაღმა კალიფორნიაა, რა ლამაზი პატარა ქალაქით იწყება. ნიდლსი ზედ მდინარის პირასაა გაშენებული, მაგრამ მდინარე თითქოს აქ არ უნდა იყოს, უცხო სტუმარივითაა, რადგან ნიდლსიდან ზევით მზით გადაბუგული ქედები მოჩანს, შემდეგ უდაბნო იშლება. 66 ამ საზარელ უდაბნოზე გადის, სადაც სიცხისგან ჰაერი ცახცახებს. საიდანაც შორს ცაში გამოკიდებული შავი მთების ყურება გაუსაძლისი ხდება. ბოლოს და ბოლოს. ბარსტოუ. შემდეგ ისევ უდაბნო და, როგორც იქნა, მთები, ლამაზი მთები. 66 მათ შორის მიიკლაკნება. შემდეგ, უეცრად, ვიწრო გასასვლელი და ქვევით გადაშლილი წარმტაცი ხეობა, ბაღები, ვენახები, პატარა სახლები და შორს ქალაქი, ღმერთო დასრულდა, ჩამოვედით!

დევნილებმა 66-ზე მოიყარეს თავი. ცალ-ცალკე თითო მანქანით ან პატარა ქარავნებით მთელი დღის განმავლობაში, გვიან საღამომდე, წინ მიიწევდნენ. ღამით წყალთან შორიახლოს ჩერდებოდნენ. ძველისძველი მანქანების გახვრეტილი რადიატორებიდან ორთქლი იფრქვეოდა. მაერთებელ

საწევებს ძაგძაგი გაუდიოდა. გადატვირთული მანქანების მძღოლები შეშინებულები უგდებდნენ ყურს. ქალაქამდე რამდენი დარჩა? სანამ ერთი ქალაქიდან მეორეში ჩახვალ, შიშისგან გული გისკდება. რამე რომ გაუფუჭდეს, მერე? — რას იზამ, აქ გავჩერდებით და ჯიმი ქალაქში წავა ნაწილების საშოვნელად. საჭმელი საკმარისი გვაქვს?

ძრავას მოუსმინე. ბორბლებს მოუსმინე. ყურებით უსმინე, ხელებით უსმინე, საჭეზე რომ გიდევს, ხელის გულებით უსმინე სიჩქარის კოლოფის ბერკეტს რომ ეხები, ფეხებით უსმინე, ფიცრებზე რომ გიდგას. უსმინე ამ ძველი ჯაბახანის ბრახუნს, უსმინე ხუთივე გრძნობით, იქნებ შეცვლილი ხმა, რიტმიდან ამოვარდნა იმას ნიშნავს, რომ კიდევ ერთი კვირა აქ? ეს ჩხაკუნი... ნამდვილად სარქველია, არა უშავს, სარქვლებს მეორედ მოსვლამდე შეუძლიათ იჩხაკუნონ, საშიში არ არის. მაგრამ ეს დახშული გუგუნი? არ გესმის, მაგრამ გრძნობ. იქნებ ზეთი აკლია? ვაითუ, საკისრის შუასადები დადნა, მერე რა ვქნათ? ფული ისე სწრაფად იხარჯება...

დღეს რატო ცხელდება ეს ნაბიჭვარი? აღმართზე ხო არ ავდივართ. კარგად დავათვალიეროთ. უჰ, ვენტილიატორის ღვედი გამწყდარა აი, ამ პატარა თოკით დაამაგრე. ჰო, ეგრე, ბოლოებს მე გავკვანძავ. ეხლა ნელ-ნელა დაძარი, იქნებ ქალაქამდე ჩავაღწიოთ, თოკის ღვედი როდემდე გაუძლებს.

ერთი კალიფორნიამდე ჩაგვაღწევინა, სანამ ეს ჯაბახანა დაიშლება! ერთი ფორთოხლის ბაღები დამანახა!

ოჰ, ეს საბურავები — დამცავის ორი ფენა სუ გაცვეთილა. კიდე ას მილს გავივლიდით, იმ ქვაზე რო არ გახეთქილიყო. რომელი უნდა ავირჩიოთ, დაშვებული საბურავი თუ კიდე ასი მილი? რა ვიცი, აბა, მგონი ასი მილი. საბურავის ზესადები გვაქ. იქნებ ცოტა გააპაროს? ან მანჟეტი რო გავუკეთოთ? იქ-

ნებ ხუთასი მილი კიდე გამოვტყუოთ. მოდი, წავიდეთ, სანამ გამსკდარა.

საბურავი უნდა ვიყიდოთ, მაგრამ ძველ საბურავებშიც იმდენს ითხოვენ... კაცს რო უყურებენ, უკვე იციან, რო ეჩქარება და ფასს უმატებენ. გინდა აიღე და გინდა არა.

მე აქ დროის გასატარებლად კი არა ვარ. საბურავებს ვყიდი, გაჩუქებას არ ვაპირებ. რაში მაინტერესებს შენი ამბავი? შენზე ვიფიქრო თუ საკუთარ თავზე?

ქალაქამდე შორია?

გუშინ ორმოცდაორი თქვენნაირი მგზავრებით სავსე მანქანა დავითვალე. საიდან მოდიხართ? ან სად მიდიხართ?

კალიფორნია დიდი შტატია, მაგრამ საკმარისად დიდი არ არის. შეერთებული შტატები დიდია, მაგრამ იმდენად არა, რომ მე და თქვენ, ჩემნაირები და თქვენნაირები, მდიდრები და ღარიბები, ქურდები და წესიერი ადამიანები, მშიერები და მაძღრები ერთად დაიტიოს. საიდანაც ჩამოხვედით, ისევ იქ დაბრუნდით.

ეს თავისუფალი ქვეყანაა. კაცს სადაც უნდა, იქ წავა.

შენ ეგრე გეგონოს! კალიფორნიის საზღვრის პატრულზე თუ გსმენია რამე? ლოს-ანჯელესის პოლიცია ხალხს აჩერებს და ეუბნება, უკან დაახვიეთ, მიწის ყიდვა თუ არ შეგიძლიათ, აქ რა გესაქმებათო. მართვის მოწმობა გაქვსო, შეგეკითხება. არა? ვერ შემოხვალ მოწმობის გარეშეო, გეტყვის.

ეს თავისუფალი ქვეყანაა.

ჰო, წადი, ეძებე თავისუფლება; ამას წინათ ვიღაცამ მითხრა, იმდენად თავისუფალი ხარ, რამდენი ფულიც გაქ ჯიბეშიო.

კალიფორნიაში კარგად იხდიან, აი, ამ ფურცელზეც ეგრე წერია.

რა სისულელეა! ისიც მინახავს, როგორ ბრუნდებიან უკან. ვიღაცამ ტვინი აგირიათ. მოკლედ, იღებთ ამ საბურავს თუ არა?

მეტი რა გზა მაქვს, მაგრამ, მისტერ, ფული გვიმთავრდება...

მე ქველმოქმედებას არ ვეწევი, აჰა, წაიღე.

დამაცადე, შევამოწმო. ოოხ, შე ნაბიჭვარო, აკი კარგიაო. ნახე, სუ დაცხრილულია.

მართლა? როგორ ვერ შევნიშნე?

შენიშნე. როგორ ვერ შენიშნე. შე არაკაცო! დახვრეტილ საბურავში ოთხ დოლარს გვართმევ? იცოდე, მაგ ცხვირ—პირს დაგინგრევ!

რა ტანსაცმლიდან ამოხტი! ვერ შევამჩნიე-მეთქი. მოდი, ამას მოგცემ სამ ნახევრად.

ჩემ ფეხებს გადავიხდი, როგორმე ჩავაღწევთ შემდეგ ქალაქში.

მართლა გგონია, რო ჩავაღწევთ?

უნდა ჩავაღწიოთ. სუ შიშველი ბორბლებით ვივლი და მაგ ნაბიჭვარს ერთ ცენტსაც არ მივცემ.

როგორ გგონია, რატო ვაჭრობს ეს კაცი? თვითონ როგორც თქვა, აქ დროის გასატარებლად არ დგას. ეგეთი საქმეა ვაჭრობა, მეტი კი არ მოეკითხება. შეხედე, გზის გასწვრივ იმ აბრას ხედავ? „მომსახურების ბიურო, სამხარი სამშაბათობით, სასტუმრო „კოლმადო“. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. ეგ არი მომსახურება. ამას წინათ ერთმა მითხრა, საქმიანი ხალხის შეკრებაზე წავედი და ესეთ ამბავს მოვუსმინეო: პატარა ბიჭი რო ვიყავი, მამაჩემმა ფური გამოიყვანა და მეუბნება, ხართან წაიყვანე, მომსახურება სჭირდება. იმის მერე, როცა სიტყვა „მომსახურება“ მესმის, სუ ვფიქრობ, ეხლა ვის

უნდა მიარჭონ— მეთქი. კაცი რო ვაჭრობას იწყებს, ის ტყუილებსაც ამბობს, ოღონდ ამას სხვა რამეს ეძახიან. შენ რო წახვიდე და საბურავი მოიპარო, ქურდი ხარ, მაგრამ შენგან რო ოთხი დოლარის მოპარვას ცდილობს ვიღაც არაკაცი, ეგ ჯანსაღი ბიზნესია.

დენის წყალი სწყურია.

მოითმინოს.

უკანა ხიდიდან ხმა გესმის?

რა არი?

ვერ ვხვდები. თითქოს ჩარჩოდან მოდის.

ამორტიზატორს დედა ეტირა, მაგრამ უნდა ვიაროთ. უსმინე, როგორ უსტვენს. სადმე კარგ ადგილს ვნახავ, გავაჩერებ და შევამოწმებ. მაგრამ, ღმერთო, საჭმელიც რო გვითავდება? ფულიც ცოტა გვაქ. რა გვეშველება, საწვავი რო ვეღარ ვიყიდოთ?

უკანა სკამზე პატარა დენი წუხს. წყალი სწყურია.

გესმის? შუასადების ხმაა.

ღმერთო! გასკდა. მილი, საბურავი, ყველაფერი გასკდა. უნდა შევაკეთო. ეგ საბურავი არ გადააგდო, დაჭერი, გაცრეცილ ადგილებზე დასაწებებლად გამოდგება.

გზის გასწვრივ მოგროვილი მანქანები — ახდილი კაპოტები, საბურავების შეკეთება. 66-ზე დაჭრილი მხეცივით ბობღვით, ქოშინით, ძლივს მიმავალი მანქანები. გადახურებული ძრავები, მოშვებული შემაერთებლები, მოშვებული საკისრები, გრუხუნი, ძაგძაგი.

დენის სწყურია.

უნდა მოითმინოს. საწყალ პატარა დენის სცხელა. მალე ბენზინგასამართი სადგურია, მომსახურების ცენტრი, იმ კაცის არ იყოს, იქ ემსახურებიან.

გზაზე გასული ორას ორმოცდაათი ათასი კაცი. ორმოცდაათი ათასი ძველი, დასახიჩრებული, მხრჩოლავი მანქანა. დალეწილი, მიტოვებული მანქანები. რა მოხდა? რა დაემართა იმ ხალხს, ამ მანქანებში რომ ისხდნენ? სად არიან? ფეხით მიდიან? საიდან ამდენი გამბედაობა? საიდან ამდენი რწმენა?

ერთ ამბავს ჰყვებიან, ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ სრული სიმართლეა, სახალისო და თავისებურად ლამაზი ამბავია. თორმეტკაციანი ოჯახი მიწიდან აუყრიათ. მანქანა არ ჰყოლიათ და თურმე მისაბმელი ჯართისგან ააგეს, შიგ თავიანთი ბარგი-ბარხანა ჩაყარეს, როგორღაც 66-მდე მიათრიეს, გზის პირას დადგნენ და იცდიდნენ. როგორც ამბობენ, სულ მალე მსუბუქმა მანქანამ ჩაიარა, გააჩერა და ბუქსირზე აიყვანა. ხუთი მათგანი მანქანაში ჩაისვაო, დანარჩენებს და კიდევ ერთ ძაღლს მისაბმელით უმგზავრიათ. უკან მოხედვაც ვერ მოასწრეს, რომ უკვე კალიფორნიაში ამოუყვიათ თავი, იმ ავტომობილის პატრონი თურმე საჭმელსაც აჭმევდა. ეს ნამდვილი ამბავია, მაგრამ ასეთი სიმამაცე და რწმენა საიდან ჩნდება ადამიანებში? ამქვეყნად ძალიან ცოტა რამ არის, რასაც რწმენა შეუძლია მოგმატოს.

საშინელებას გამოქცეულნი — უცნაურია მათი ბედი, ზოგისთვის ცხოვრება დაუნდობელია, ზოგისთვის კი იმდენად მშვენიერი, რომ მათ გულებში რწმენა იბადება, თანდათან ღვივდება და აღარასოდეს ქრება

13.

წარღვნისდროინდელმა „ჰადსონმა“ ჭრიალითა და ქოშინით მიაღწია სალისომდე. მთავარ გზაზე გადავიდა და თაკარა მზეში გეზი დასავლეთისკენ აიღო. ბეტონის გზაზე ელმა სიჩქარეს მოუმატა, რადგან რესორს ახლა საფრთხე არ ემუქრებოდა. სალისოდან გოურამდე ოცდაერთი მილია. „ჰადსონი“ საათში ოცდათხუთმეტ მილს გადის. გოურიდან უერნერამდე ცამეტი მილია, უერნერიდან ჩეკოტამდე — თოთხმეტი. მერე ჰენრიეტამდე დიდი მანძილია — ოცდათოთხმეტი მილი, სამაგიეროდ ნამდვილი ქალაქია. ჰენრიეტადან კასლამდე ცხრამეტი მილია.

მზემ ზენიტისკენ აიწია და გავარვარებულ წითელ მიწას დახედა: სიცხისგან ჰაერი ცახცახებდა.

ელი საჭესთან დაძაბული იჯდა; მარტო ყურებით კი არა, მანქანას მთელი სხეულით უსმენდა; მზერა გზიდან ხელსაწყოთა პანელზე გადაჰქონდა. თითქოს მანქანას შეერწყა, მის ნაწილად იქცა, ყოველი ნაკვთით, ყოველი ძარღვით, გამახვილებული ყურით უსმენდა ბრაგუნს, წრიპინს, გუგუნს, ფრუტუნს, რომელსაც შეიძლებოდა, მანქანის გაჩერება გამოეწვია.

ელის გვერდით ბებო თვლემდა, ხანდახან რაღაცას წაიჩურჩულებდა, თვალს გაახელდა, მიმოიხედავდა და ისევ იძინებდა. ბებოს გვერდით დედას იდაყვი ფანჯარაზე ჩამოედო მკლავზე კანი გასწითლებოდა. წინ იყურებოდა, მაგრამ მისი ჩამქრალი თვალები ვერც გზას ხედავდა, ვერც მინ-

დვრებს, ვერც ბენზინგასამართ სადგურებს და ვერც პატარა გზისპირა სასადილოებს.

ელი ეცადა დანჯღრეულ სკამზე მოხერხებულად დამჯდარიყო. საჭეს ჩაჭიდებული ხელი მეორეთი შეანაცვლა და ამოიოხრა.

— ძაან ბრახუნობს, მაგრამ, მგონი, არა უშავს, გაქაჩავს. აი, საქმე ისაა, გორები რო იქნება, ამხელა ტვირთით რას იზამს. დე, კალიფორნიამდე არი გორები?

დედამ თავი ელისკენ შეატრიალა, თვალებში სიცოცხლე დაუბრუნდა.

— მგონი კი. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მითხრეს, რო მარტო გორები კი არა, მთებიც არი, მაღალი მთები.

ბებიამ ძილში ღრმად ამოიოხრა,

— აღმართზე საკისარი სუ ჩაიშლება. ზოგი რამის გადაგდება მოგვიწევს. იქნებ ის მქადაგებელი არ უნდა წამოგვეყვანა.

— მერე მიხვდები და იტყვი, რა კარგია, რო წამოვიყვანეთო. მქადაგებელი ბევრ რამეში დაგვეხმარება. — თქვა დედამ და ისევ მზეზე აბრჭყვიალებულ გზას გახედა.

ელი ცალი ხელით მართავდა, მეორე სიჩქარის გადამრთველ ბერკეტზე ედო. თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ ბედავდა. სანამ სიტყვებს ხმამაღლა წარმოთქვამდა, ტუჩებს უხმოდ ამოძრავებდა.

— დე, — დედა ნელა შეტრიალდა მისკენ. მანქანის მოძრაობის რიტმს აყოლილი თავს აკანტურებდა, — დე, არ გეშინია? უცხო ადგილას წასვლის არ გეშინია?

დედას ფიქრიან თვალებში სითბო ჩაეღვარა.

— ცოტა, ასე არა, შენ რო გგონია. აქ ვზივარ და ვიცდი. როცა რამე იქნება გასაკეთებელი, გავაკეთებ.

— იმაზე არ ფიქრობ, რა იქნება, რო ჩავალთ? არ გეშინია, რო ისე არ იყოს როგორც ჩვენ ვფიქრობდით?

— არა, — სწრაფად თქვა დედამ, — არ მეშინია. წინ შეიძლება ათასნაირი ცხოვრება გველოდება და მეტისმეტი იქნება, თუ თითოეულზე ცალ-ცალკე ვიდარდებ. იმ ბევრი ცხოვრებიდან ჩვენი გასავლელი მხოლოდ ერთია. ყველაფერზე ვერ ვიფიქრებ, ვერ გავწვდები. შენ ახალგაზრდა ხარ, წინ უნდა იყურო, ჩემთვის ეს მხოლოდ გზაა, მეტი არაფერი. ჩემი საფიქრალი ის არი, ოჯახს რო მოშივდება, დროზე მივართვა ღორის ხორცი. — სახე გაუმეხდა, — სულ ეგ არი, მეტი არაფერი შემიძლია. მე თუ სხვა რამის კეთება დავიწყე, ოჯახი თავს უფრო ცუდად იგრძნობს. ის აძლებინებთ, რო მე ჩემ საქმეს არ ვღალატობ.

ბებომ დაამთქნარა და თვალები დაჭყიტა. გაფაციცებით მიმოიხედა და თქვა:

— უნდა ჩავიდე, გააჩერე. დიდება უფალს!

— მალე ბუჩქებთან მივალთ, აი, აქვეა, — უთხრა ელმა.

— ბუჩქი იქნება თუ არა, უნდა ჩავიდე, მე შენ გეუბნები, — და აწიკვინდა, — უნდა ჩავიდე, გესმის? უნდა ჩავიდე.

ელმა სიჩქარეს მოუმატა, დაბალ ბუჩქნარს მიუახლოვდა და მკვეთრად გააჩერა. დედამ კარი გააღო. აფორიაქებულ მოხუცს ხელი შეაშველა, მანქანიდან გადაიყვანა და ბუჩქამდე მიაცილა. ბებო ჩაცუცქდა, დედა გვერდით ედგა და ხელით ეჭირა, რომ არ დაცემულიყო. სატვირთოს ძარაზე შემომსხდრები გამოცოცხლდნენ. დამწვარი სახეები უელავდათ — ძარაზე მზეს სად დაემალებოდნენ. გათანგული ტომი, კეისი, ნოა და ძია ჯონი ძლივს ჩამოვიდნენ. რუთი და უინფილდი გვერდითა კედლებიდან გადმოძვრნენ და ბუჩქებისკენ გაიქცნენ. კონიმ შარონის ვარდი ფრთხილად ჩამოიყვანა. პაპას

ეღვიძა, ბრეზენტიდან თავი გამოეყო და არეული, ცრემლიანი თვალებით აქეთ-იქით უაზროდ იცქირებოდა, სად იყო, ვერ გაეგო.

— პაპა, არ ჩამოხვალ? — ჰკითხა ტომმა.

— არა, — ბებერი თვალები არაფერს ამბობდა, მაგრამ წამით ძველი სიავე დაუბრუნდა.

— არ მოვდივარ, ვერ გაიგე? მიული თუ დარჩა, მე ვერ დავრჩები? — თქვა და ყველაფერი ისევ სულერთი გახდა.

დედას ბებია მანქანისკენ მიჰყავდა.

— ტომ, ბრეზენტის ქვეშ, უკან, ძვლებით სავსე ტაფაა, გამოიღე, უნდა წავიხემსოთ.

ტომმა ძვლებით სავსე ტაფა ჩამოატარა. მთელი ოჯახი გზისპირას იდგა და ღორის ძვლებს დაბრაწულ ხორცს აძიძგნიდა.

— კიდე კაი, წამოვიღეთ, ფეხები ისე მაქ გაშეშებული, რო ძლივს ვამოძრავებ, — თქვა მამამ, — წყალი სად არი?

— ზევით არ არი? მთელი ბიდონი გავამზადე წამოსაღებად.

მამა ძარაზე აძვრა და ბრეზენტის ქვეშ შეიხედა.

— აქ არ არი, ალბათ დაგვრჩა.

ჯერ სიტყვა ნათქვამი არ ჰქონდა, რომ უკლებლივ ყველას მოსწყურდა. უინფილდმა ღნავილი დაიწყო: — მინდაა. წყალი მინდაა... კაცები, რომლებიც ახლა მიხვდნენ, რომ სწყუროდათ, ტუჩებს ენით ისველებდნენ. შფოთავდნენ, მოუსვენრობა ეტყობოდათ.

— არა უშავს, პირველივე ბენზინგასამართ სადგურზე ავიღებთ, გაზიც უნდა ვიყიდოთ.

ოჯახი ისევ ძარაზე მოთავსდა. დედამ ბებია დასვა და გვერდით მიუჯდა. ელმა მანქანა დაქოქა და დაიძრნენ.

კასლიდან პეიდენამდე ოცდახუთი მილია, მზე კი უკვე ზენიტიდან დასავლეთისკენ გადაწეულიყო. რადიატორის თავსახურიდან ორთქლი თუხთუხით იფრქვეოდა. პადენთან ახლოს. გზის პირას, ქოხი და ორი ბენზინის ჩასასხმელი სვეტი იდგა. ღობესთან წყლის მილი იყო გაყვანილი, იქვე შლანგი ეგდო. ელმა მანქანა პირდაპირ შლანგთან მიაყენა. ჩასასხმელი სვეტის უკან მსუქანი კაცი იჯდა. სახე და ხელები წითლად უღაჟღაჟებდა. მანქანა დაინახა და მისკენ სწრაფი ნაბიჯებით გაემართა. მოკლესახელოებიანი პერანგი ეცვა, ყავისფერი ველვეტის შარვალი აჭიმებით დაემაგრებინა, თავზე ვერცხლისფრად შეღებილი მუყაოს ჩაფხუტი ეხურა, ცხვირიდან და თვალის უპეებიდან ოფლის წვეთები წურწურით ცვიოდა და ჩასუქებული კისრის ნაკეცებში ჩაედინებოდა. მანქანასთან მივიდა, უკმეხი, პირქუში კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

— რამის ყიდვა გინდათ? საწვავის? თუ სხვა რამის?

— ბენზინის, მისტერ.

— ფული გაქვთ?

— თქვენ რა, მათხოვრები ხო არ გგონივართ?

მსუქანს სახე გაუნათდა.

— ძალიან კარგი. წყალი მიირთვით, — თქვა და ახსნა-განმარტება მოაყოლა: — ბევრი ხალხი მოდის, წყალი მიაქვთ, საპირფარეშოს აბინძურებენ და მერე, უნამუსო ვიყო, ნაწილებს იპარავენ. მოდიან და ერთ გალონ ბენზინს მემათხოვრებიან. რამის ყიდვა თავში აზრადაც არავის მოსდის.

გაბრაზებული ტომი მანქანიდან ჩამოხტა და კაცს მიუახლოვდა.

— რა შეგვამჩნიე? — გააფთრებით შეუტია, — რა ჯიბეებს გვიჩხრეკ? რამე გთხოვეთ თუ რა!

— არა, არა, — სწრაფად თქვა კაცმა. ოფლმა პერანგის სახელოებში გამოჟონა. — მიირთვით, წყალი მიირთვით, საპირფარეშოშიც შედით, თუ გინდათ.

უინფილდმა შლანგიდან წყალი დალია, მერე თავი შეუშვირა და გაწუწული უცებ გვერდზე გახტა, — თბილია, — თქვა მან.

— რა ხდება? საით მიდის ეს ქვეყანა? — განაგრძო მსუქანმა კაცმა. ამჯერად მისი განკითხვის თემა ჯოუდები აღარ იყო. — დღეში ორმოცდაათი-სამოცი მანქანა მაინც ჩაივლის ხოლმე დასავლეთისკენ. მთელი ოჯახები მიდიან, ბავშვებით და თავისი ბარგი-ბარხანით. სად მიდიან? რა უნდა გააკეთონ?

— რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ის უნდა გააკეთონ, მიდიან, რო აქაურობას თავი დააღწიონ და სადმე დასახლდნენ, მეტი არაფერი.

— არ ვიცი, საით მიექანება ეს ქვეყანა, უბრალოდ არ ვიცი, მეც ვცდილობ, რო თავი გავართვა ამ ცხოვრებას, ხო არ გგონია, რო რომელიმე დიდი მანქანა აქ ჩერდება? არა, სერ! ქალაქში ყვითლად შეღებილ დიდ ბენზინგასამართ სადგურებთან აჩერებენ, ასეთ ადგილას რა უნდათ! ვინც აჩერებს კიდე, არაფერს ყიდულობს.

ელმა რადიატორის სახურავი მოუშვა და სახურავი ორთქლის ნაკადთან ერთად ჰაერში ავარდა. ბუყბუყის ხმა გაისმა. გასავათებულმა ძაღლმა სატვირთოდან წყალს წკმუტუნით გადახედა. ძია ჯონი მივიდა, საყელურში ხელი ჩაავლო და ჩამოიყვანა. ძაღლი დაბარბაცდა, შემდეგ ფეხები გამართა, წყლის მილთან მიირბინა და გუბურას დაეწაფა. მზეზე ალაპლაპებული მანქანები გზატკეცილზე შხუილით მიქროდნენ. ცხელი ქარი ბენზინგასამართის ეზოსკენ უბერავდა. ელმა რადიატორი შეავსო.

— ისე არ გამიგოთ, თითქოს მდიდარ მყიდველებს ვეძებ, ჩემთვის სულერთია, მთავარია, ვაჭრობა არ ჩამივარდეს, — განაგრძო მსუქანმა. — აქ ვინც აჩერებს ან მუქთად უნდათ, ან რაღაცაში გაცვლას მთავაზობენ. უნდა ნახოთ უკანა ოთახი რითი მაქ გამოტენილი — საწოლები, საბავშვო ეტლები, ქვაბები, ტაფები. ერთმა ოჯახმა შვილის თოჯინა გამიცვალა ერთ გალონ ბენზინში. რა ვუყო ამ ხარახურას, ძველმანების მაღაზიას ხო არ გავხსნი? ერთი კაცი ფეხსაცმელს იხდიდა, ოღონდ ერთი გალონი მომეციო. ეგეთი ტიპი არა ვარ, თორე... — დედას შეხედა და მაშინვე ხმა გაკმინდა.

ჯიმ კეისიმ თავი დაისველა. მაღალ შუბლზე წყლის წვეთები ჩამოუგორდა. დაძარღვული კისერი და პერანგი სველი ჰქონდა. ტომისკენ წავიდა და გვერდით ამოუდგა.

— რა ქნას ხალხმა, შენ ნებაზე რო იყოს, საწოლს, რომელზეც იძინებ, ერთ ბიდონ ბენზინში გაცვლი?

— ვიცი, რო ნებით არ აკეთებენ. ყველას თავისი მიზეზი აქ. მაგრამ საით მიექანება ეს ქვეყანა? აი, ამის გაგება მინდა, საით მიდის? ხალხი თავს ვეღარ ირჩენს, მიწაზე მუშაობამ აზრი დაკარგა. საით მიექანება ქვეყანა? ვერ გავიგე. ვისაც ვკითხე, ვერავინ მიპასუხა. კაცი ფეხსაცმელს იხდის, რო კიდე ასი მილი გაიაროს, ეს როგორ უნდა გავიგო? — ვერცხლისფერი ქუდი მოიხადა და ხელისგულით შუბლი მოიწმინდა. ტომმა თავისი კეპით მოიწმინდა შუბლი, მერე წყალთან მივიდა, კეპი დაასველა, გაწურა და ისევ ჩამოიფხატა. დედამ გვერდითა ფიცრებს შორის ხელი გაყო, თუნუქის ჭიქა აიღო და ბებიას წყალი დაალევინა. მერე ფიცარზე შედგა და ბარგზე წამოწოლილ პაპას წყლით სავსე ჭიქა მიაწოდა. პაპამ პირი გაისველა, მაგრამ თავი გააქნია და არ დალია. წამით ტკივილით

სავსე, დაბნეული მზერა შეაგება დედას, მერე ისევ უმტყუნა ცნობიერებამ.

ელმა მანქანა დაქოქა და უკანა სვლით ბენზინის ჩასასხმელ სვეტთან მიაყენა.

— გაავსე. შვიდი ეტევა, მაგრამ ექვსი ჩაასხი, რო არ გადმოიღვაროს.

მსუქანმა საქაჩი აიღო, — არა, სერ, ვერ გავიგე. საით მიექანება ეს ქვეყანა? უმუშევრობა...

საუბარში კეისი ჩაერთო:

— ეს მიდამოები სუ მოვლილი მაქ. ყველას ეგ კითხვა უტრიალებს თავში. საით მივდივართ? სად მივალთ? მგონია, რომ არსად. სუ გზაზე ვიქნებით. ვივლით და ვივლით. რატო არ უფიქრდება ხალხი ამას? იმიტო რო მოძრაობაში არიან, ხალხი მოძრაობს, გადაადგილდება. და ჩვენ ვიცით მიზეზი, ხალხს მეტი გზა არა აქვს. უნდა იმოძრაოს. უნდა იმოძრაოს, რომ იმაზე მეტი მიიღონ, რაც ეხლა აქვთ, რაც უნდათ და რაც სჭირდებათ. მოძრაობა ერთადერთი გზაა, ისე არავინ არაფერს მოგიტანს, მაგრამ ეს გზა მტკივნეულია. ხალხი გახელებულია. უკან არ დაიხევს. გითხარი, ეს მხარე სუ შემოვიარე-მეთქი და ვიცი, რო ბევრი სვამს მაგ შეკითხვას.

მსუქანმა ბენზინის ჩასხმა დაიწყო, მრიცხველის ისარი ჩასხმული ბენზინის ოდენობას აჩვენებდა. — ჰო, მაგრამ საით მივექანებით? ეგ არ ვიცი.

ტომს გაღიზიანება დაეტყო, თავი ვერ შეიკავა და საუბარში ჩაერია:

— არც გეცოდინება. კაცი ამდენი ხანია გიხსნის და ისევ იმას იმეორებ. შენნაირები ბევრი მინახავს. კითხვას კი არ სვამ, უბრალოდ შენსას ერეკები. „საით მივექანებით?" აგიჩემებია და არაფრის გაგება გინდა. ვერ ხედავ. ოჯახები მიწები-

დან აყარეს, ყველა სადღაც მიდის, ხალხი გზაში იხოცება, იქ-ნებ მალე შენც სული გააფრთხო და ისე მოკვდები, არაფერი გეცოდინება. შენნაირები ყოველ ნაბიჯზე არიან. ის კი არ გინ-და, რო რამე იცოდე, უბრალოდ სიმღერასავით გაქ ეგ „საით მივექანებით?" აკვიატებული და შენ თავს უმღერი, — ტომმა ძველ, ჟანგიან ბენზინის ჩასასხმელ სვეტებს გადახედა. სვე-ტებს უკან ფიცრებისგან შეკოწიწებული ქოხი იდგა. ალბათ დიდი ბენზინგასამართი სადგურებისთვის რომ დაემსგავსები-ნა, პატრონს კაშკაშა ყვითლად შეეღება. საღებავი ფიცრების ნახეთქებსა და ნალურსმალს ვეღარ ფარავდა. გადაღებვა შე-იძლებოდა, მაგრამ ვის ეცალა. ისიც კარგად ესმოდა, რომ მი-სი კაშკაშა ყვითელი ქოხი სასაცილოდ გამოიყურებოდა. ქო-ხის კარი ღია იყო და ტომმა მხოლოდ ორი ზეთის კასრი და ტკბილეულის დახლი დაინახა, ზედ ძველი კანფეტები, დების-გან გაყვითლებული ძირტკბილას შაქარყინული და სიგარე-ტის რამდენიმე კოლოფი ეწყო. იქვე დამტვრეული სკამი იდ-გა, ბუზებისგან დამცავ, დახვრეტილ ბადეს ჟანგი მოსდებო-და. ნაგვით სავსე პატარა ეზოს უკან მზით გათანგული სიმინ-დის ყანა კვდებოდა. ქონის გვერდით რამდენიმე ნახმარი და ერთი-ორი აღდგენილი საბურავი ეგდო. ტომმა მხოლოდ ახ-ლა შენიშნა მსუქანი კაცის გაცვეთილი მოკლე შარვალი, იაფ-ფასიანი პერანგი და ქაღალდის ქუდი.

— საწყენად არ მიიღო, ხმამაღლა გამომივიდა, ალბათ სიცხის ბრალია. — დარცხვენით უთხრა ტომმა. — გატყობ, სიმდიდრით ვერც შენ დაიტრაბახებ. ალბათ მალე შენც ჩვენ დღეში აღმოჩნდები, მაგრამ ტრაქტორები კი არა, ის ყვითე-ლი ბენზინგასამართი სადგურები გაგაძევებენ აქედან. ხალხი მოძრაობს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის, ალბათ შენც მოგიწევს.

მსუქანი კაცის ხელი, რომლითაც ბენზინს ქაჩავდა, გაჩერდა. ტომს დარდიანი თვალებით შეხედა.

— საიდან იცი? შენ საიდან იცი, რო უკვე დავიწყეთ მაგაზე ფიქრი, რო ერთ დღესაც ბარგს ჩავალაგებთ და დასავლეთისკენ წავალთ?

— ყველას მოუწევს, — უპასუხა კეისიმ. — მთელი ცხოვრება ეშმაკთან ბრძოლაში გავატარე, იმიტო რო ყველაზე დიდი მტერი ის მეგონა, მაგრამ ეხლა ვხედავ, რო რაღაცა უფრო ძლიერი დაეპატრონა ქვეყანას და ვიცი, რო არ დაგვეხსნება, სანამ ნაწილ-ნაწილ არ ავკუწავთ. არიზონული შხამკბილა მსხვერპლს რო ჩაავლებს გინახავს? შუაზე გააპობ და არ უშვებს, თავს მოაჭრი და მაინც არ უშვებს. სანამ ძალაყინით თავს არ გადაუხსნი, მსხვერპლს ვერ გააგდებინებ. და სანამ... — კეისი შეჩერდა და ტომს გვერდულად გახედა.

მსუქანმა ხელი ნელ-ნელა აამოძრავა. უსასოო თვალებით სადღაც შორს იცქირებოდა.

— საით მივექანებით, აზრზე არა ვარ. — ჩაიბუტბუტა კაცმა.

წყლის მილთან კონი და შარონის ვარდი განმარტოებულიყვნენ. კონიმ ჭიქა გარეცხა, წყალი თითით გასინჯა და ჭიქა შეავსო. შარონის ვარდი გზატკეცილზე მანქანების მოძრაობას ადევნებდა თვალს.

— ცივი არ არის, მაგრამ წყალია და პირს გაისველებ.

შარონის ვარდმა შეხედა და საიდუმლოებით მოცული ღიმილი შეაგება. მას შემდეგ რაც მიხვდა, რომ ორსულად იყო, საიდუმლოებათა ბურუსში გახვია თავისი ცხოვრება. ყველაფერს, რასაც აკეთებდა და ამბობდა, ან არ ამბობდა, საიდუმლო მნიშვნელობა ჰქონდა. თავისი თავით კმაყოფილი იყო და ისეთ რაღაცებზე წუწუნებდა, თავადაც არაფრად რომ უღირდა. კონისგან ათასგვარ სულელურ, ყოვლად უაზრო

სამსახურს ითხოვდა, თუმცა ორივე ხვდებოდა, რომ ეს ყველაფერი სასაცილო იყო. კონიც კმაყოფილი ჩანდა, შარონის ვარდის ორსულობით ჯერ კიდევ გაოცებულს, მოსწონდა იმაზე ფიქრი, რომ შარონის ვარდის საიდუმლოებათა ნაწილი იყო, ცოლის ეშმაკურ ღიმილს ეშმაკური ღიმილითვე პასუხობდა და შემდეგ საიდუმლო ჩურჩულზე გადადიოდნენ. მათ გარშემო სამყარო შევიწროვდა და თვითონ ამ სამყაროს ცენტრში მოექცნენ. უფრო სწორად, ცენტრში შარონის ვარდი იყო, კონი კი მის გარშემო, ორბიტაზე მოძრაობდა. ყოველი წინადადება, რომელსაც ერთმანეთს ეუბნებოდნენ, საიდუმლოებას შეიცავდა.

შარონის ვარდმა გზატკეცილს თვალი მოაშორა.

— ძალიან არ მწყურია, — ნაზად თქვა მან, — მაგრამ ალბათ უნდა დავლიო.

და კონიმ თავი დაუქნია, რადგან იცოდა, რაც ამ სიტყვებში იგულისხმებოდა. შარონის ვარდმა კონის ჭიქა ჩამოართვა, წყალი პირში გამოივლო, გადმოაფურთხა და შემდეგ მთელი ჭიქა ნელთბილი წყალი დალია.

— კიდე გინდა? — ჰკითხა კონიმ.

— ნახევარი ჭიქა. — კონიმ წყალი ჩამოუსხა და მიაწოდა.

გზატკეცილზე დაბალი ვერცხლისფერი „ლინკოლნ ზეფირი“ გასრიალდა. შარონის ვარდი შეტრიალდა, დარწმუნდა, რომ ოჯახის წევრები მოშორებით, სატვირთოსთან იდგნენ და კონის უთხრა:

— რა მაგარი იქნებოდა. ეხლა მე და შენ იმ მანქანაში რო ვისხდეთ.

კონიმ ამოიოხრა.

— იქნებ მერე... — და ორივემ იცოდა, კონი რასაც გულისხმობდა, — თუ კალიფორნიაში მართლა ბევრი სამუშაოა,

ჩვენთვის მანქანას ვიყიდი, მაგრამ ეგეთი მანქანები, — ხელი „ზეფირის“ მიმართულებით, გზატკეცილისკენ გაიშვირა, — დიდ სახლზე ძვირია და მაგდენი ფული თუ მექნება, სახლი მირჩევნია.

— სახლიც მინდა და ეგეთი მანქანაც. მაგრამ, რასაკვირველია, პირველ რიგში სახლი, რადგან...

და ორივემ იცოდა შარონის ვარდი რასაც გულისხმობდა. ორსულობა ჯერ კიდევ უცნაურობად ეჩვენებოდათ.

— ხო კარგად ხარ? — ჰკითხა კონიმ.

— დავიღალე. მზეში მგზავრობა ძნელია.

— მეტი გზა არა გვაქვს, სხვანაირად ვერ ჩავალთ კალიფორნიამდე.

— ვიცი.

ძაღლი მიწას ყნოსავდა, სატვირთოს ჩაუარა, ისევ შლანგთან მიძუნძულდა და ტალახიან გუბურაში წყლის სვლეპა დაიწყო, მერე კუდამოძუებული და ყურებჩამოყრილი იქაურობას გაეცალა, თან გზის გასწვრივ მტვერწაყრილ ბალახს ყნოსავდა, სანამ, ბოლოს და ბოლოს, გზატკეცილზე აღმოჩნდებოდა. მერე თავი ასწია, მომოიხედა და ყნოსვა განაგრძო. უეცრად შარონის ვარდის გულგამგმირავი კივილი გაისმა. საიდანღაც საბურავების ჭრიალით დიდი მანქანა გამოვარდა, უმწეო ძაღლი უკან გადახტა და ისე, რომ დაწკმუტუნებაც ვერ მოასწრო, ბორბლებქვეშ აღმოჩნდა. მანქანამ თავიდან სვლა შეანელა, მგზავრებმა ფანჯრიდან გადმოიხედეს, მერე მძღოლმა სიჩქარეს მოუმატა და წამში გაუჩინარდა. გზაზე, სისხლის გუბეში, გაჭყლეტილი, ნაწლავებგადმოყრილი ძაღლის სხეული ეგდო. ფეხს საცოდავად იქნევდა. შარონის ვარდს თვალები გაფართოებოდა.

— რამე დამიშავდება? რას ფიქრობ. დამიშავდება რამე? — მის ხმაში ვედრება ისმოდა.

კონიმ ხელი მოხვია.

— წამოდი, დაჯექი, ნუ გეშინია, არაფერი დაგიშავდება.

— მაგრამ ტკივილი ვიგრძენი, თითქოს რაღაც ჩამწყდა

— წამოდი, დაჯექი, არაფერი დაგიშავდება. — კონიმ შარონის ვარდი სატვირთოსკენ წაიყვანა, რომ მომაკვდავი ძაღლი არ დაენახა და სატვირთოს საფეხურზე ჩამოსვა.

ტომი და ძია ჯონი ახლოს მივიდნენ. ძაღლი უკანასკნელად გაფართხალდა. ტომმა ხელი ფეხებში მოჰკიდა და გზიდან გვერდით გადაიყვანა, ძია ჯონი ისეთი დაბნეული ჩანდა, თითქოს თავად იყო დამნაშავე:

— უნდა დამება. — თქვა მან.

მამამ ძაღლს დახედა და უცებ შეტრიალდა. — წავიდეთ აქედან. — არც კი ვიცი, რა ჯობია, მაინც ვერ ვაჭმევდით.

სატვირთოს უკანა მხრიდან მსუქანი კაცი გამოვიდა, — სამწუხაროა, — ძაღლები გზის პირას დიდხანს ვერ ცოცხლობენ. სამი ძაღლი ერთ წელიწადში დამეღუპა, იმის მერე ძაღლებს აღარ ვიჩერებ, — თქვა მან, — ნუ იდარდებთ, მე მივხედავ. წავიყვან და ყანაში დავმარხავ.

შარონის ვარდი სატვირთოს საფეხურზე იჯდა და ჯერ ისევ კანკალებდა. დედა მიუახლოვდა.

— როგორ ხარ? — ჰკითხა დედამ, — ცუდად ხო არ ხარ?

— ყველაფერი დავინახე, ძალიან შემეშინდა.

— შენი კივილი გავიგონე. — ეხლა თავი მოთოკე. დროა.

— რას ფიქრობ, რამე დამიშავდებოდა?

— არა, — უპასუხა დედამ, — მაგრამ საკუთარი თავის ფერებას და შეცოდებას სანამ არ მორჩები, მართლა ცუდად იქნება საქმე. ადექი ეხლა და მომეხმარე, რო ბებო მოხერხებულად

დავსვა. ცოტა ხნით ეგ ბავშვი დაივიწყე, თავის თავს თითონ მიხედავს.

— ბებო სად არი? — იკითხა შარონის ვარდმა.

— არ ვიცი. სადღაც აქ, იქნებ საპირფარეშოშია, ნახე.

შარონის ვარდი საპირფარეშოსკენ წავიდა და ცოტა ხანში ბებოსთან ერთად გამოვიდა.

— იჯდა და ეძინა, — თქვა შარონის ვარდმა.

ბებომ ჩაიცინა.

— უნიტაზი აქვთ, წყალი ჩამოდის და ირეცხება. — კმაყოფილი ჩანდა, — კარგად გამოვიძინებდი, რო არ გავეღვიძებინე.

— საპირფარეშოში დაძინება როგორ შეიძლება რო კარგი იყოს, — უთხრა შარონის ვარდმა და ბებოს ასვლაში დაეხმარა.

ბებო კარგად მოკალათდა.

— შენისთანა ლამაზებისთვის თუ არ არი კარგი, ჩემთვის კარგია, — უპასუხა ბებომ.

— წავედით, წინ დიდი გზაა, — თქვა ტომმა.

მამამ დაუსტვინა, — ბავშვები სად არიან? — თითები პირში ჩაიდო და ისევ დაუსტვინა. რამდენიმე წამში ბავშვები სიმინდის ყანიდან გამოცვივდნენ. რუთი წინ მირბოდა, უინფილდი უკან მისდევდა.

— შეხედეთ — ყვიროდა რუთი, — შეხედეთ — ჭუჭყიან ხელისგულზე რამდენიმე მონაცრისფრო თეთრი, რბილი კვერცხი ეწყო. ხელი რომ გაიწოდა, გზისპირას მკვდარ ძაღლს მოჰკრა თვალი

— ვაი, — წამოიძახა და უინფილდთან ერთად ძაღლისკენ წავიდა. იდგნენ და უცქერდნენ.

— წამოდით, თუ არ გინდათ, რო აქ დარჩეთ, — დაუძახა მამამ

ბავშვები მორჩილად შებრუნდნენ და სატვირთოსკენ გაემართნენ. რუთმა კიდევ ერთხელ დახედა ქვეწარმავლის კვერცხებს და გადაყარა. ორივენი ძარაზე აძვრნენ.

— თვალები ღია ჰქონდა, — ჩაიჩურჩულა რუთმა. უინფილდი ეცადა სიმამაცე გამოემჟღავნებინა და რიხიანად თქვა: — მთელი ნაწლავები გადმოყრილი ჰქონდა, — გაჩუმდა და ისევ გაიმეორა, — გადმოყრილი. — მერე უცებ ფიცრებზე გაწვა და გული აერია. რომ წამოჯდა ცხვირიდან წვინტლი სდიოდა, თვალებიდან ცრემლი. — ეს ღორის დაკვლასავით არ არი, — დააყოლა განმარტება.

ელს მანქანის კაპოტი აეხადა და ზეთის დონეს ამოწმებდა. კაბინიდან ერთი გალონის ტევადობის ყუთი გამოიტანა, მილში იაფფასიანი შავი ზეთი ჩაასხა და დონე ისევ შეამოწმა. ტომი მიუახლოვდა.

— არ გინდა, ეხლა მე რო დავჯდე საჭესთან?

— არ დავღლილვარ, — უპასუხა ელმა.

— მთელი ღამე არ გძინებია, მე ამ დილას წავუძინე ცოტა. ადი ზევით, მე წავიყვან.

— კარგი, — უხალისოდ დაეთანხმა ელი, — მაგრამ ზეთსაზომი ხშირად შეამოწმე ხოლმე. ნელა ატარე, მოკლე ჩართვა არ მოხდეს. ისარს უყურე, თუ ნულზეა, ესე იგი, სადღაც მოკლე ჩართვაა. ნელა ატარე, ტომ, ხო იცი, გადატვირთულია.

— მივხედავ, — ტომს გაეცინა, — მშვიდად დაიძინე.

ოჯახი ისევ ავიდა სატვირთოზე. დედა ბებოს გვერდით მოთავსდა. ტომმა თავისი ადგილი დაიკავა და მანქანა დაქოქა. — ჰოო, — სიჩქრეში ჩააგდო და გზატკეცილზე გავიდა.

ძრავა გაბმით გუგუნებდა. მზემ დასავლეთისკენ გადაიწია. ბებოს ეძინა. დედას თავი ჩაექინდრა და თვლემდა. ტომმა დამაბრმავებელ მზეს ვერ გაუძლო და კეპი ჩამოიფხატა.

პადენიდან მიკერამდე ოცდაათი მილია, მიკერიდან ჰარამდე თოთხმეტი, და მერე ოკლაჰომა-სითი. ტომმა პირდაპირ ქალაქის ცენტრში გაიარა. დედას გაეღვიძა და ქუჩებს გადახედა. ძარადან მთელი ოჯახი გაშტერებული უცქერდა მაღაზიებს, დიდ სახლებს, დაწესებულებებს. შემდეგ მაღალი შენობები დაბალმა შენობებმა და პატარა მაღაზიებმა ჩაანაცვლა, მალე ჯართით სავსე ეზოები, სასოსისეები, საგარეუბნო საცეკვაო მოედნები გამოჩნდა.

რუთი და უინფილდი შეშინებულები იცქირებოდნენ. დიდ უცნაურ შენობებს, ლამაზად ჩაცმულ ხალხს ბავშვები დაეფრთხო. ერთმანეთს ხმას არ სცემდნენ, ახლა ლაპარაკი არ შეეძლოთ. აი, ქალაქში და ქალაქის განაპირას აღმართული ნავთობის კოშკურები, შავი ნავთობის კოშკურები, ჰაერში დატრიალებული ნავთობისა და გაზის სუნი. მაგრამ კრინტიც ვერ დაძრეს. იმხელები იყო, ისეთი უცნაური, რომ ბავშვები შეაშინა.

შარონის ვარდმა ქუჩაში ღია ფერის პიჯაკ-შარვალში გამოწყობილი კაცი დაინახა. კაცს თეთრი ფეხსაცმელი ეცვა და ფართოფარფლებიანი ჩალის ქუდი ეხურა. შარონის ვარდი კონის შეეხო და თვალებით კაცზე მიანიშნა. ორივე ჩუმად ახითხითდა, მერე სიცილის იშტა გაეხსნათ, თავს ვეღარ იკავებდნენ და ხმამაღლა იცინოდნენ, თან პირზე ხელს იფარებდნენ. ისე გაერთნენ, რომ ახლა თვალების ცეცებით ეძებდნენ ვინმეს, ვისაც დასცინებდნენ და სიცილით გულს იჯერებდნენ. რუთმა და უინფილდმა მათი აყოლა სცადეს, მაგრამ არ გამოუვიდათ, არ ეცინებოდათ, კონის და შარონის ვარდს კი სიცილით სუნთქვა ეკვროდათ. წამით ჩერდებოდნენ, მერე ერთმანეთს შეხედავდნენ და ჩაბჟირებამდე იცინოდნენ.

წინ ქალაქის შემოგარენი გადაშლილიყო. ტომი ფრთხილად მართავდა, ნელა მიჰყვებოდა ჩამწკრივებული მანქანების რიგს და როგორც იქნა, 66 — დასავლეთისკენ მიმავალი დიდი გზა, რომელზეც მზე ნელ-ნელა ეშვებოდა. საქარე მინაზე მტვერი ბრჭყვიალებდა. ტომმა კეპი ისე ჩამოიფხატა თვალებზე, რომ ვეღარაფერს ხედავდა და თავს უკან სწევდა. ბებოს ეძინა. დახუჭულ ქუთუთოებზე მზე დასცქეროდა. საფეთქლებთან ლურჯი ძარღვები მოუჩანდა, სახეზე გაბნეული პატარა კაშკაშა ძარღვები ღვინისფრად უელავდა, სიბერის ყავისფერი ლაქები გამუქებოდა.

— ბოლომდე ამ გზით უნდა ვიაროთ, — თქვა ტომმა.

დედა ერთხანს ხმას არ იღებდა. ბოლოს ტომს უთხრა:

— იქნებ სადმე ადგილი ვნახოთ და განთიადამდე გავჩერდეთ. ღორის ხორცს მოვხარშავ და პურსაც გამოვაცხობ. დიდ დროს წაიღებს.

— კარგი, — დაეთანხმა ტომი, — ვინ გვაჩქარებს, თანაც ცოტა ფეხს გავმართავთ.

ოკლაჰომა სიტიდან ბეთენამდე თოთხმეტი მილია.

— მზის ჩასვლამდე უნდა გავჩერდეთ, ელმა ის რაღაც უნდა გამართოს ზევით, ხალხი მზეზე დაიხრუკება.

დედამ ისევ ჩათვლიმა კისერი წინ გადაუვარდა

— ვახშამი უნდა მოვამზადო. ტომ, მამაშენმა შტატის საზღვრის გადაკვეთაზე მითხრა..

ტომი დიდხანს არ პასუხობდა.

— ჰო, მერე რა, დე?

— მეშინია. გამოდის, რო გაიქეცი. რო დაგიჭირონ?

ჩამავალი მზე აჭერდა. ტომმა თვალები ხელით მოიჩრდილა.

— ნუ დარდობ. — უთხრა დედას, — მაგაზე მეც ვიფიქრე. ძაან ბევრი გამოუშვეს პირობით და ეხლაც ყოველდღე უშვებენ. თუ დასავლეთში რამეს დავაშავებ, მაშინ ჩემ ფოტოს და ანაბეჭდებს ვაშინგტონში გააგზავნიან და უკან დამაბრუნებენ. მაგრამ თუ არაფერს დავაშავებ, არავის გავახსენდები.

— ჰო, მაგრამ მეშინია. ზოგჯერ რაღაცას აშავებ და არც იცი, რო დანაშაულია. იქნებ კალიფორნიაში ისეთ რამეებს თვლიან დანაშაულად, ჩვენ რო ვერც წარმოგვიდგენია. იქნებ რაღაცას აკეთებ, ჩვეულებრივ რაღაცას, და კალიფორნიაში კიდე დანაშაულად მიაჩნიათ.

— სულ ერთია პირობითი მაქ თუ არა, მაგ შემთხვევაში მაინც დამიჭერენ, ეგ არი, რო უფრო დიდ სასჯელს მომცემენ, ვიდრე სხვას. მორჩი მაგაზე ფიქრს, სადარდებელი გვაკლია თუ რა.

— როგორ მოვრჩე, საზღვარს გადახვალ თუ არა, დამნაშავე ხდები.

— სალისოში შიმშილით სიკვდილს ეგ ჯობია. მოდი, სადმე ადგილი ვნახოთ და გავჩერდეთ.

ბეთენი გაიარეს და მეორე ბოლოში გავიდნენ. თხრილთან, სადაც მიწის ქვეშ წყალგამტარი მილი გადიოდა, მსუბუქი ავტომობილი იდგა. იქვე პატარა კარავი გაეშალათ, საკვამურიდან კვამლი ამოდიოდა. ტომმა ხელი გაიშვირა:

— ვიღაცებს კარავი გაუშლიათ, მგონი კარგი ადგილია.

სვლა შეანელა, გზიდან გადავიდა და გააჩერა. შუა ხნის კაცს ძველი მანქანისთვის კაპოტი აეხადა და ძრავას დასცქეროდა. თავზე იაფფასიანი სომბრერო ეხურა, ლურჯი პერანგი, შავი ლაქიანი ჟილეტი და ჭუჭყით გაპოხილი ჯინსი ეცვა. ხმელი პირისახე ჰქონდა. ღრმა ნაოჭები მაღალ ღაწვის ძვლებსა და წინ წამოწეულ ნიკაპს კიდევ უფრო შესამჩნევს ხდიდა. ჯო-

უდების სატვირთოს გაოცებული, ბრაზიანი თვალებით შეხედა.

ტომი ფანჯრიდან გადაიწია:

— რამე კანონი ხო არ გვიკრძალავს აქ ღამის გათევას?

აქამდე კაცი მხოლოდ სატვირთოს ხედავდა, ტომი მხოლოდ ახლა შენიშნა.

— არ ვიცი, — თქვა მან. — ჩვენ იმიტო გავჩერდით, რო მანქანა გაგვიფუჭდა.

— წყალი არი?

წინ მომსახურების ცენტრი მოჩანდა. კაცმა ხელი გაიშვირა

— წყალი იქ არი, სათლის ავსებას არ გიშლიან.

ტომი ყოყმანობდა.

— ჩვენც აქ რო გავჩერდეთ, ხო არ შეგაწუხებთ?

კაცი გაოცებული ჩანდა.

— აქაურობა ჩვენ კი არ გვეკუთვნის, აქ იმიტო ვართ, რო ეს ჯაბახანა გაჩერდა და აღარ იქოქება.

— მაინც, თქვენ უკვე აქ ხართ და ჩვენ ეხლა მოვედით. თქვენი უფლებაა, რო გადაწყვიტოთ, გინდათ თუ არა მეზობლები.

სტუმართმოყვარეობის შეხსენებას მყისიერი შედეგი მოჰყვა და პირხმელი კაცი გაიბადრა.

— რასაკვირველია, მანქანა აქეთ გადმოაყენეთ, მოხარული ვარ, მობრძანდით. სეირი, ხალხი მოვიდა, აქ უნდათ ღამის გათევა, გამოდი, მიესალმე. — და დაამატა, — სეირი ვერ არი კარგად.

კარვის კალთა გადაიხსნა და გამხდარი ქალი გამოჩნდა. დამჭკნარ ფოთოლივით დანაოჭებულ სახეზე შიშით სავსე შავი თვალები უელავდა, სუსტი სხეული უცახცახებდა. ფეხზე ძლივს იდგა, გაძვალტყავებული ხელით კარვის კალთას ეჭი-

დებოდა. საამოდ დაბალი, უჩვეულოდ რბილი, ნარნარი ხმა ჰქონდა.

— გადაეცი, რო მობრძანდნენ. გადაეცი, რო მოხარულები ვართ, — გასძახა კაცს.

ტომმა სატვირთო გზიდან მინდორში გადაიყვანა და მსუბუქ მანქანასთან დააყენა. სატვირთო გაჩერდა თუ არა, ზევიდან მგზავრები ერთიმეორის მიყოლებით ჩამოლაგდნენ. რუთმა და უინფილდმა მანქანიდან სწრაფად ისკუპეს, მიწაზე დახტნენ თუ არა, კიდურებში ისეთი ტკივილი იგრძნეს, გეგონებოდათ ნემსები გაუყარეს, წამით დაბარბაცდნენ და მერე წივილ-კივილით გაიქცნენ. დედა მაშინვე საქმეს შეუდგა. სატვირთოს უკანა კედელზე მიბმული მომცრო სათლი ჩამოხსნა და ბავშვებს გასძახა:

— წყალი მოიტანეთ, აი, იქ არი. ზრდილობიანად მოითხოვეთ, — შეიძლება ერთი სათლი წყალი ავიღოთ? — ესე კითხეთ და მადლობა არ დაგავიწყდეთ. ორივემ მოკიდეთ ხელი და ისე წამოიღეთ, არ დაღვაროთ.

ბავშვები მომსახურების ცენტრისკენ ფეხების თრევით წავიდნენ.

კარავთან მცირე უხერხულობა შეიქმნა, რადგან საუბრის დაწყება ოდნავ შეფერხდა. ბოლოს მამამ თქვა:

— ოკლაჰომიდან არ უნდა იყოთ, არა?

ელმა სანომრე ფირფიტას შეხედა:

— კანზასიდან არიან.

პირხმელმა კაცმა თქვა:

— გალენას მიდამოებიდან ვართ, უილსონი, აივი უილსონი.

— ჩვენ ჯოუდები ვართ, სალისოსთან ახლოს ვცხოვრობდით.

— მოხარულები ვართ, რომ შეგხვდით, — თქვა აივი უილსონმა, — სეირი, ესენი ჯოუდები არიან.

— ეგრევე მივხვდი, რო ოკლაჰომიდან არ იქნებოდით, უცნაურად ლაპარაკობთ, რაღაც სხვანაირად, საწყენად კი არ ვამბობ...

— ხალხი სხვადასხვანაირად ლაპარაკობს. არკანზასში, ოკლაჰომაში, ყველგან თავისებურად ლაპარაკობენ, ამას წინათ ერთ ქალს შევხვდი, მასაჩუსეტსიდან იყო, ისე ლაპარაკობდა, რო ძლივს გავიგე, რას ამბობდა.

ნოამ, ძია ჯონმა და მქადაგებელმა ბარგის ჩამოლაგება დაიწყეს. პაპას ხელი შეაშველეს, ჩამოიყვანეს და მიწაზე დასვეს. პაპა თავს ძლივს იმაგრებდა, სადღაც შორს, ერთ წერტილს მისჩერებოდა.

— პაპა, ცუდად ხო არ ხარ? — ჰკითხა ნოამ.

— ცუდად რომელია, არაფრის თავი არა მაქ. — ძლივს ამოილუღლუღა პაპამ.

სეირი უილსონი ფრთხილი ნაბიჯებით მიუახლოვდა.

— იქნებ ჩვენს კარავში წამობრძანდეთ, წამოწვებით და დაისვენებთ.

პაპამ მისი თბილი ხმის გაგონებაზე თავი ასწია.

— წამობრძანდით, — უთხრა სეირიმ პაპას, — მოგეხმარებით, ცოტას დაისვენებთ.

პაპას ცრემლი წასკდა. ნიკაპი აუცახცახდა, ბებერი ტუჩები მოკუმა და მწარედ ატირდა. დედამ მასთან მიირბინა, მკლავები მოხვია, ფეხზე წამოაყენა, მერე ფართო ბეჭები დაძაბა და ნახევრად ხელში აყვანილი პაპა კარვისკენ წაიყვანა.

— ეტყობა, მართლა ცუდად არი, მის თვალზე ცრემლი არასდროს მინახავს. — თქვა ძია ჯონმა. სატვირთოზე ახტა და ლეიბი ჩამოათრია.

დედა კარვიდან გამოვიდა და კეისის მიუახლოვდა.

— შენ ბევრი ავადმყოფი გინახავს. პაპა ცუდად არი, არ დახედავ?

კეისი სწრაფი ნაბიჯით გაემართა კარვისკენ, კალთა გადასწია და შიგ შევიდა. მიწაზე ორადგილიანი ლეიბი იდო, ზედ სუფთა ქვეშსაგებელი გადაეფარებინათ, რკინის ფეხებზე შემდგარ პატარა თუნუქის ღუმელში ცეცხლი ბჟუტავდა. იქვე წყლით სავსე სათლი, ნივთებით სავსე ყუთი და კიდევ ერთი ყუთი იდგა, რომელიც მაგიდის მაგივრობას სწევდა. ჩამავალი მზე კარვის კალთებში ატანდა და იქაურობას ვარდისფერ შუქს ჰფენდა. სეირი უილსონი ლეიბის გვერდით მუხლებზე იდგა. პაპა თვალგახელილი იწვა, ზევით იცქირებოდა, სახეზე ალმური მოსდებოდა, მძიმედ სუნთქავდა.

კეისიმ გამხდარ მაჯაზე ხელი მოჰკიდა.

— დაიღალე, პაპა? — ჰკითხა მან. პაპას გახელილმა თვალებმა თუმცა ხმისკენ გადაინაცვლეს, მაინც ვერავინ დაინახეს. ტუჩები ამოძრავდნენ, მაგრამ სიტყვა ვერ თქვეს. კეისიმ გულისცემა გაუსინჯა. მერე მაჯას ხელი გაუშვა და შუბლზე დაადო, მოხუცის სხეულმა სიკვდილთან შეწინააღმდეგება სცადა, ბორგავდა, ხელ-ფეხს უაზროდ იქნევდა, ხმა ამოსდიოდა, მაგრამ სიტყვების ნაცვლად გაურკვეველ ბგერებს გამოსცემდა, თეთრი ჯაგარივით წვერის ქვეშ სახე წითლად აუფორაჯდა. სეირი უილსონმა კეისის წასჩურჩულა:

— იცით, რა ემართება?

კეისიმ მოხუცის დაღარულ სახესა და აელვარებულ თვალებს დახედა.

— თქვენ?

— მგონი, კი.

— რა? — ჰკითხა კეისიმ.

— იქნებ ვცდები, თქმა მეშინია.

კეისიმ მზერა მოხუცის დაკრუნჩხულ ალმურმოდებულ სახეზე გადაიტანა.

— სისხლი ჩაექცა?

— მგონი. უკვე სამჯერ მაქვს ნანახი.

გარეთ კაცები კარავს მართავდნენ. შეშის ჩეხვის ხმა და ტაფების რახარუხი ისმოდა. დედამ კარავში შეიხედა.

— ბებიას უნდა შემოსვლა, ხო შეიძლება?

— გაგიჟდება, თუ არ შემოვუშვებთ, — უპასუხა მქადაგებელმა.

— როგორ არი, არა უშავს? — იკითხა დედამ.

კეისიმ თავი ნელა გააქნია. დედამ სწრაფად დახედა მოხუცს — ბებერ სახეზე სისხლი მოსწოლოდა. ერთიანად ცახცახებდა. დედა გარეთ გავიდა და ბებოს გასძახა:

— კარგად არი, უბრალოდ დასვენება უნდა.

— უნდა ვნახო, — გაბრაზებული ხმით უპასუხა ბებომ, — ისეთი მატყუარაა, მისგან სიმართლეს ვერ გაიგებ. — კარავში ელვის სისწრაფით შეიჭრა, ლეიბთან მივიდა და პაპას დახედა.

— რა მოგივიდა? — მკაცრი ხმით ჰკითხა პაპას.

და ისევ, პაპას თვალებმა ხმისკენ გაიხედეს, დაბრეცილმა ტუჩებმა თქმა დააპირეს, — გაბრაზებულია, — თქვა ბებომ. — ხო გითხარით, მატყუარაა-მეთქი, ამ დილას გაპარვას აპირებდა, რო არ წამოსულიყო, მერე თეძოს ტკივილი მოიგონა, — ამრეზით თქვა ბებომ, — გაბრაზებულია, სუ ესე აკეთებს, ბოღმით ლამის გასკდეს ხოლმე და ხმას არავის სცემს.

— გაბრაზებული არ არი, — ხმადაბლა უთხრა კეისიმ, — ავადაა.

— ავად? — მოხუცს კიდევ ერთხელ დახედა, — ძაან ცუდად არი?

— ჰო, ძაან.

ბებო ცოტა ხანს ჭოჭმანობდა, არ იცოდა რა ეთქვა. მერე სიტყვები ერთმანეთს წააყარა.

— მერე შენ რას აკეთებ? რატო არ ლოცულობ? მქადაგებელი არა ხარ?

კეისის ძლიერი თითები პაპას ხელს მისწვდა და მაჯაზე შემოეხვია

— უკვე გითხარით, რო მქადაგებელი აღარ ვარ, ბებო, აღარ ვარ.

— ხარ თუ არა, ილოცე, ყველაფერი ზეპირად იცი.

— არ შემიძლია, — თქვა კეისიმ, — არ ვიცი, რისთვის ვილოცო ან რატო ვილოცო.

ბებომ მიმოიხედა და მზერა სეირიზე შეაჩერა.

— არ უნდა, რო ილოცოს. ჯერ არ მითქვამს, ჩვენი რუთი როგორ ლოცულობდა, პატარა რო იყო? ძილის დრო რო მოვიდოდა, დაიწყებდა, — თვალებს ვხუჭავ და ვიძინებ, თან ღმერთის სახელს ვიფიცებ, კარადის კარი ღიაა, მაგრამ შიგ არაფერია, ძაღლი ზის გაწბილებული — საჩემოც არაფერია, ამინ! — აი, ესე ლოცულობდა ხოლმე.

გარეთ, მზესა და კარავს შორის, ვიღაც მიდი-მოდიოდა, ჩრდილი კარვის კალთებს ეცემოდა. პაპას სხეული ბორგავდა, ყოველი კუნთი უთრთოდა. და უეცრად, ისე დაიღრიჯა, თითქოს ვიღაცამ ხელი მოუქნია და მაგრად თხლიშა. მერე დამშვიდდა, უკვე აღარ სუნთქავდა. კეისიმ მოხუცს სახეზე დახედა. წითელ სახეზე სიშავე შეჰპარვოდა. სეირი კეისის ბეჭზე შეეხო და ხმადაბლა უთხრა:

— ენა, ენა არ დაგავიწყდეთ.

კეისიმ თავი დაუქნია.

— ბებო მოარიდეთ, — კრიჭა გაუხსნა, თითებით ენას დასწვდა და ზევით ამოქაჩა. მოხუცმა ხრიალით ამოისუნთქა და ჰაერი ჩაისუნთქა. კეისიმ მიწიდან ჯოხი აიღო, ენა დაუმაგრა, წყვეტილ ხრიალს ყური მიუგდო.

ბებია ქათამივით აკაკანდა: — ილოცე. ილოცე-მეთქი, მე შენ გეუბნები, ილოცე!

სეირი ცდილობდა, რომ ბებია გვერდზე გაეყვანა.

— ილოცე-მეთქი, ღმერთმა დაგწყევლოს! — კიოდა ბებია.

წყვეტილი, დახშული სუნთქვა კიდევ უფრო გაიშვიათდა. კეისიმ ბებოს შეხედა.

— მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავ სახელი შენი, — დიდება უფალს! — დაიყვირა ბებომ.

— მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, ამინ!

ხანგრძლივ სუნთქვას მოხუცმა სული ამოაყოლა.

— პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, — სუნთქვა შეწყდა. კეისიმ პაპას დახედა, მოხუცს თვალებში გულშიჩამწვდომი სინათლე, უდრტვინველი მორჩილება და სიმშვიდე ჩასახლებოდა.

— ალელუია — თქვა ბებომ, — განაგრძე.

— ამინ! — თქვა კეისიმ.

ბებო გაჩუმდა. კარვის გარეთ ფუსფუსი შეწყდა. გზატკეცილზე მანქანამ ჩაისრიალა. კეისი მოხუცის გვერდით იატაკზე დაჩოქილიყო. გარეთ გატრუნულები იდგნენ და სიკვდილის მაუწყებელ ბგერებს ყურს უგდებდნენ. სეირიმ ბებოს მკლავში ხელი მოჰკიდა და გარეთ გაიყვანა, ბებო ამაყად თავაწეული მიაბიჯებდა. ახლა თავდახრის დრო არ იყო, ოჯახი უყურებდა. სეირიმ მიწაზე დაგებულ ლეიბთან მიიყვანა. ბებო

დაჯდა. თავი ასწია და ოჯახს ღირსებით სავსე მზერა მიაპყრო. სიჩუმემ დაისადგურა. ბოლოს კარვის კალთა გადაიხსნა და კეისი გამოვიდა.

მამამ ხმადაბლა ჰკითხა:

— რა იყო, რა დაემართა?

— ტვინში სისხლი ჩაექცა, ძაან სწრაფად მოხდა.

ცხოვრებამ თავის ქნა, ოჯახი ისევ ამოძრავდა. მზე ჰორიზონტს შეეხო და ზედ გადაიშალა. გზატკეცილზე უზარმაზარი წითელგვერდებიანი ტვირთმზიდი მანქანების ჯაჭვი გამოჩნდა. მათი გრუხუნი მიწას აზანზარებდა, გამოსაბოლქვი მილებიდან დიზელის საწვავის ლურჯი კვამლი იფრქვეოდა. საჭესთან მძღოლები ისხდნენ, მათ შემცვლელებს პირდაპირ სახურავის ქვეშ კედელზე დამაგრებულ საწოლებზე ეძინათ. სატვირთოების უწყვეტი, მწყობრი ნაკადი დღისით და ღამით, შეუჩერებლად მოძრაობდა, იქაურობას გუგუნი გაუდიოდა.

ოჯახის ყველა წევრი ერთად იდგა. მამა ჩაცუცქდა, მის გვერდით ძია ჯონმა ჩაიმუხლა, ახლა მამა იყო ოჯახის უფროსი. დედა მის უკან იდგა. ნოა, ტომი და ელი ჩაცუცქდნენ, მქადაგებელი იქვე მიწაზე წამოწვა და იდაყვებს დაეყრდნო. კონი და შარონის ვარდი მოშორებით იდგნენ. რუთი და უინფილდი წყლით სავსე სათლს მოათრევდნენ. გულმა ცუდი უგრძნოთ, სათლი დადგეს, დედასთან ხმის ამოუღებლად მივიდნენ და გვერდში ამოუდგნენ.

სანამ ოჯახი იკრიბებოდა, ბებო ამაყი, ცივი თვალებით იცქირებოდა. როგორც კი დარწმუნდა, რომ მას აღარავინ უყურებდა, დაწვა და სახეზე ხელები აიფარა. წითელი მზე ნელ-ნელა აიკრიფა და მიწა ბინდბუნდს გადაულოცა. აცახცახებული მზის სხივები ხალხს სახეზე დასთამაშებდა, მათ თვალებში ცის ანარეკლი კრთოდა. საღამო ძალას იკრებდა.

— მისტერ უილსონის კარავში მოხდა, — თქვა მამამ.

— ჰო, კარავი დაგვითმო, — თავი დააქნია ძია ჯონმა.

— კეთილი ხალხი ჩანს, — ხმადაბლა თქვა მამამ.

უილსონი თავის დანჯღრეულ მანქანას მიყრდნობოდა. სეირი ბებოს გვერდით იჯდა, ცდილობდა, რომ არ შეხებოდა.

— მისტერ უილსონ! — დაიძახა მამამ. კაცი ფეხების თრევით მიუახლოვდა და ისიც ჩაცუცქდა. სეირი მაშინვე უკან ამოუდგა.

— თქვენი მადლობლები ვართ.

— გვეამაყება, თუ დახმარება შევძელით, — უპასუხა უილსონმა.

— დავალებულები ვართ, — თქვა მამამ.

— არა, არ ხართ. სიკვდილმა მაგდენი არ იცის, მაგაზე აღარც იფიქროთ.

— სიკვდილმა მაგდენი არ იცის, მაგაზე აღარც იფიქროთ, აიტაცა სეირიმ.

— თქვენ მანქანას მე შევაკეთებ, მე და ტომი, — ელი კმაყოფილი ჩანდა, რადგან შესაძლებლობა მიეცა, რომ ოჯახის ვალი გადაეხადა.

— დახმარებაზე უარს არ გეტყვით, — დათანხმდა უილსონი.

— რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, — თქვა მამამ, — კანონის მიხედვით სიკვდილის შესახებ უნდა განაცხადო, მერე ან ორმოც დოლარს გადაგახდევინებენ ან როგორც მათხოვარს, ისე დამარხავენ.

— ჩვენ მათხოვრები არასდროს გვყოლია. — ჩაერია ძია ჯონი.

— ადრე არც მიწიდან ავუყრივართ, — თქვა ტომმა.

— არაფერი დაგვიშავებია, ცილს ვერავინ დაგვწამებს. — თქვა მამამ. — ისეთი არაფერი აგვიღია, რო ვერ გადაგვეხა-

და, არც მოწყალებით გვიცხოვრია. ტომი რო შარში გაება, თავაწეულები დავდიოდით, იმიტო რო ვიცოდით, ყველა, ვისაც კაცი ერქვა, იმავეს გააკეთებდა.

— ეხლა რა ვქნათ? — ჰკითხა ძია ჯონმა.

— თუ კანონს მივყვებით, მოვლენ და იმ ასორმოცდაათი დოლარიდან ორმოცი დოლარის გადახდა მოგვიწევს. ესე იგი, კალიფორნიაში ვეღარ ჩავალთ. თუ არ გადავიხდით კიდე, როგორც მათხოვარს, ისე დამარხავენ. — კაცები აწრიალდნენ. თვალები დახარეს და მიწას ჩააცქერდნენ.

— პაპამ მამამისი ღირსეულად დაასაფლავა, თავისი ხელით გაუთხარა სამარე. იმ დროს მამას შვილის, შვილს კი მამის დამარხვის უფლება ჰქონდა.

— ეხლა სხვა კანონებია, — თქვა ძია ჯონმა.

— ზოგჯერ კანონს არ უნდა დაემორჩილო, — თქვა მამამ, — თუ გინდა, რო პატიოსნად იცხოვრო, ესეა. ზოგჯერ კი არა, ხშირად არი ესე. ფლოიდი რო გაგიჟდა და სისულელეებს აკეთებდა, კანონი გვავალებდა, რო გაგვეცა, მაგრამ არავინ გასცა. კაცმა ხანდახან კანონს გვერდი უნდა აუაროს. ეხლა მე ვამბობ, რო მაქ საკუთარი მამის დამარხვის უფლება. თუ სათქმელი გაქვთ რამე, თქვით.

მქადაგებელმა იდაყვებზე წამოიწია:

— კანონები იცვლება, საჭიროებები იგივე რჩება. შენ უფლება გაქ, როგორც გინდა, ისე მოიქცე.

— ჯონ, შენ რას იტყვი, საწინააღმდეგო ხო არ გაქ რამე?

— არაფერი, მაგრამ ისე გამოდის, თითქოს ვმალავთ. პაპა პირდაპირი კაცი იყო, არასდროს იმალებოდა.

— ჰო, მაგრამ ეხლა პაპასავით ვერ მოვიქცევით, როგორმე კალიფორნიაში უნდა ჩავიდეთ, ფული არ გვეყოფა, — თქვა მამამ.

ტომი ჩაერია:

— გათხრითი სამუშაოების დროს, ზოგჯერ მუშები გვამს წააწყდებიან ხოლმე. მერე მთელი ამბავი ტყდება. ჩვენ მთავრობას, ხო იცით, მკვდრები უფრო აინტერესებს ვიდრე ცოცხლები, უნდა გამოიძიონ ვინ არი, ვინ მოკლა, რატო მოკლა. მე გთავაზობთ, რო პატარა ფურცელზე დავწეროთ ვინ იყო და როგორ მოკვდა, ბოთლში ჩავდოთ და პაპას გვერდით დავფლათ.

მამამ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

— კარგი აზრია. ლამაზად დაწერე. პაპაც ისე მარტო აღარ იქნება, სახელი თუ მასთან დარჩება. აბა, რა უბედურებაა, ჩამარხე მოხუცი მარტო, უსახელოდ და წადი. ვინმეს რამის თქმა ხო არ გინდათ?

ყველა გაჩუმდა. მამამ დედას შეხედა.

— დე, შენ მოაწესრიგებ?

— მოვაწესრიგებ, მაგრამ ვახშამს ვინ მოამზადებს?

— მე მოვამზადებ, — თქვა სეირი უილსონმა, — საქმეს შეუდექით, თქვენი უფროსი გოგო დამეხმარება.

— როგორი მადლობელი ვარ, — უთხრა დედამ სეირის, — ნოა, კასრიდან ღორის ხორცის დიდი ნაჭერი ამოიღე, ჯერ მარილი ბოლომდე არ გაუჯდებოდა, მაგრამ მაინც გემრიელი იქნება.

— ჩვენ ნახევარი ტომარა კარტოფილი გვაქ. — თქვა სეირიმ.

— ორი ორმოცდაათცენტიანი მომეცი, — უთხრა დედამ მამას. მამამ ჯიბეები მოიჩხრიკა და ვერცხლი გაუწოდა. დედამ თასი იპოვა. წყლით გაავსო და კარავში შეიტანა. უკვე ბნელოდა. სეირი კარავში შევიდა, სანთელი აანთო, ყუთზე დაამაგრა და გავიდა. დედამ მიცვალებულს დახედა. მერე დამ-

წუხრებულმა წინსაფარს ბოლო შემოიხია და მოხუცს ყბა აუკრა, ფეხები გაუსწორა, ხელები მკერდზე გადაუჯვარედინა, თვალები დაუხუჭა, ზედ მონეტები დააწყო, პერანგი შეუკრა და სახე დაბანა.

სეირიმ კარავში შეიხედა.

— ხომ არ დაგეხმაროთ?

დედამ ნელა აიხედა ზევით.

— შემოდით, ცოტა ვილაპარაკოთ.

— რა კარგი გოგოა თქვენი უფროსი ქალიშვილი, უკვე გათალა კარტოფილი. რით დაგეხმაროთ?

— მინდოდა, რო პაპა მთლიანად დამებანა, მაგრამ სხვა ტანსაცმელი არა აქ. გადასაფარებელსაც გავაფუჭებთ, სიკვდილის სუნს ვეღარ გავაცლით. მახსოვს, ორი წლის მერეც კი იღრინებოდა ძაღლი, იმ ლეიბთან თუ მოხვდებოდა, რომელზეც დედაჩემი მოკვდა. თქვენ გადასაფარებელში შევახვევ და მერე ჩვენსას მოგცემთ.

— ესე ნუ ლაპარაკობთ, ჩვენ გვიხარია, რო გეხმარებით, პირიქით, დიდი ხანია სულის სიმშვიდე აღარ მიგრძნია და ეხლა ვიგრძენი. ადამიანებს დახმარება სჭირდებათ და რითიც შეგიძლია, უნდა დაეხმარო.

— ჰო, სჭირდებათ. — დაეთანხმა დედა. თავი დახარა და დიდხანს უცქერდა მოხუცის ჯაგარა წვერსა და სანთლის შუქზე ალაპლაპებულ მონეტებს. — თავისთავს აღარ ჰგავს. მთლიანად უნდა შევახვიოთ.

— ბებია ყოჩაღად იქცეოდა.

— ისეთი ბებერია, კარგად ალბათ ვერც ხვდება, რა მოხდა. გარდა მაგისა, სიამაყე გვაიძულებს, რო თავი შევიკავოთ. მამაჩემი ამბობდა ხოლმე, სულით დაცემა ადვილია, კაცი თუ ხარ, უნდა გაუძლოო. სულ ვცდილობთ, რო თავი შევიკავოთ.

გადასაფარებელი პაპას ფეხებზე და ბეჭებზე შემოახვია. მერე გადასაფარებლის კუთხე გამოქაჩა, თავზე გადმოკეცა და სახე დაუფარა. სეირიმ რამდენიმე ინგლისური ქინძისთავი მიაწოდა. დედამ გადასაფარებელი ყველა მხრიდან მჭიდროდ დაამაგრა, ბოლოს წამოდგა, — ცუდი დაკრძალვა არ იქნება, — თქვა დედამ, — მქადაგებელი გვახლავს, სამარეში ლოცვით გააცილებს და მთელი ოჯახი მასთან ვართ, — უეცრად დედა წაბარბაცდა, სეირიმ ხელი შეაშველა, რომ არ დაცემულიყო, — არ მძინებია, — თავი იმართლა დედამ, — კარგად ვარ, უბრალოდ, წამოსვლისას ბევრი საქმე მქონდა და ცოტა დავიღალე.

— ჰაერზე გავიდეთ, — უთხრა სეირიმ.

— გავიდეთ, უკვე კარგად ვარ.

სეირიმ სანთელი ჩააქრო და გარეთ გავიდნენ.

პატარა თხრილის ფსკერზე ცეცხლი გიზგიზებდა. ტომს ჯოხებითა და მავთულით საკიდები გაეკეთებინა, ქვაბებში წყალი თუხთუხებდა, თავსახურავებიდან ორთქლი იფრქვეოდა, შარონის ვარდი მწველი ცეცხლიდან მოშორებით მიწაზე დაჩოქილიყო, ხელში დიდი კოვზი ეჭირა. დედა რომ დაინახა, წამოდგა და მისკენ წავიდა.

— დე, რაღაც მინდა, რო გკითხო.

— რა იყო, კიდე შეგეშინდა? ცხრა თვე სუ უდარდელად როგორ გაივლის?

— ბავშვს რამე ხო არ დაუშავდება?

— ნუ გეშინია, ამბობენ, მწუხარების დროს გაჩენილი ბავშვი ბედნიერი იქნებაო. ხო ესეა, მისის უილსონ?

— მეც გამიგონია რაღაც ეგეთი და კიდე — სიხარულში დაბადებულს მწუხარება ელოდებაო.

— შიშისგან სუ ვხტოდი. — თქვა შარონის ვარდმა.

— არც ჩვენ დავხტივართ სიხარულისგან, — უთხრა დედამ, — წადი, ქვაბებს მიხედე.

კოცონის წრეზე კაცები შეგროვილიყვნენ. ხელში ნიჩაბი და წერაქვი ეჭირათ. მამამ მიწა მოზომა — რვა ფუტი სიგრძეში და სამი სიგანეში. რიგრიგობით მუშაობდნენ, მამა მიწას წერაქვით ამტვრევდა, ძია ჯონი ნიჩბით იღებდა და გვერდზე ყრიდა. მერე წერაქვი ელის ხელში გადადიოდა, ტომი მიწას ყრიდა, ნოას მეწყვილე კონი იყო, ნოა ამტვრევდა, კონი ყრიდა. საფლავი მალე ღრმავდებოდა, რადგან სამუშაო უწყვეტად მიმდინარეობდა. სწორკუთხა ორმოს კედელი ტომს უკვე ბეჭებამდე სწვდებოდა.

— მა, კიდე რამდენზე გავთხაროთ? — ჰკითხა მამას.

— ღრმა უნდა იყოს. კიდე ერთი— ორი ფუტი. შენ ეხლა მაქედან ამოდი, ქაღალდი იპოვე სადმე და რაც უნდა დაგეწერა, დაწერე.

ტომი ორმოდან ამოვიდა, მისი ადგილი ნოამ დაიკავა. დედა ცეცხლთან იჯდა. ტომი მიუახლოვდა.

— დე, ქაღალდი და კალმისტარი გვაქ?

დედამ თავი გააქნია.

— არა, არც გვიფიქრია წამოღება. — დედამ სეირის გახედა და უცებ, ეს პატარა ქალი წამოხტა, თავის კარავში შევიდა და ბიბლია და ფანქრის ნატეხი გამოიტანა, — წინ თავისუფალი გვერდია, აქ დაწერე და მერე ამოვხიოთ, — ტომს ბიბლია და ფანქარი მიაწოდა.

ტომი ისე დაჯდა, რომ ცეცხლის შუქი დასცემოდა. თვალები მოწკურა, ყურადღება დაძაბა და ნელ-ნელა დიდი მონდომებით დაწერა: ეს უილიამ ჯეიმს ჯოუდია, მოკვდა სისხლის ჩაქცევით. მოხუცი არავის მოუკლავს. ოჯახმა აქ დამარხა იმიტო, რო პანაშვიდების ფული არ ქონდათ, მოკვდა თავისი სიკ-

ვდილით, სისხლი ჩაექცა და უცებ გათავდა. — ტომი შეჩერდა და დედას უთხრა:

— დე, მოუსმინე ერთი, რა დავწერე — და ტექსტი დედას ხმადაბლა წაუკითხა.

— ჰო, სწორია, — თქვა დედამ, — მაგრამ რაღაც რო საღვთო წერილიდან მივამატოთ, კარგი იქნება. ბიბლია გადაშალე და რამე ფრაზა იპოვე.

— ბევრი ადგილი არა მაქ. მოკლე უნდა იყოს.

— უფალო, შეიწყალე სული მისი, ივარგებს?

— არა, ისე ისმის, გეგონება ჩამოახრჩვესო. მე ვნახავ რამეს. — გვერდებს ფურცლავდა და ბუტბუტით კითხულობდა. — აი, ეს მოკლეცაა და კარგიც, — „და ლოტმა უთხრა — ოჰ, არა, უფალო“.

— მაგას რა აზრი აქ, — უთხრა დედამ, — თუ დაწერ, რამე აზრიანი უნდა დაწერო.

— ფსალმუნებზე გადაშალე. ფსალმუნიდან ყოველთვის შეძლება რამის ამოღება, — უთხრა სეირიმ.

ტომმა ფურცვლა განაგრძო, ფსალმუნებს ათვალიერებდა.

— აი, ეს კარგია და თან სავსეა ღვთისნიერობით: „ნეტარ არიან, ვისაც ეპატია დანაშაული, ვისი ცოდვებიც დაიფარა“.

— მართლა კარგია. ეგ დაწერე. — დედამ ხილის ქილას გამოავლო და გაამშრალა, ტომმა მაგრად მოუჭრა თავი.

— იქნებ მქადაგებელს უნდა დაეწერა, — თქვა ტომმა.

— არა, მქადაგებელი ოჯახის წევრი არ არი. — ქილა აიღო და ბნელ კარავში შევიდა. გადასაფარებელს რამდენიმე ქინძისთავი ახსნა, პაპას ცივი ხელების ქვეშ ხილის ქილა შეაცურა და ისევ ქინძისთავებით დაამაგრა. მერე ისევ ცეცხლთან დაბრუნდა.

კაცები საფლავიდან დაბრუნდნენ, ოფლი წურწურით სდიოდათ.

— მზად არი, — თქვა მამამ. მამა, ჯონი, ნოა და ელი კარავში შევიდნენ, მალე გრძელი, ქინძისთავებით შეკრული ფუთა საფლავთან მიიტანეს. მამა შიგ ჩახტა, ფუთა ჩააწოდეს, მამამ მკლავები მოჰხვია და ფრთხილად ჩააწვინა საფლავში. ძია ჯონმა ხელი გაუწოდა და ამოსვლაში დაეხმარა.

— ბებო სად არი? — იკითხა მამამ.

— ვნახავ, უპასუხა დედამ, ლეიბთან მივიდა და მოხუცს დახედა. ერთხანს აკვირდებოდა, მერე საფლავთან დაბრუნდა.

— სძინავს, — თქვა მან. — ალბათ ეწყინება, მაგრამ არ გავაღვიძებ, დაღლილია.

— მქადაგებელი სად არის? — იკითხა მამამ. — ვინმემ ლოცვა ხო უნდა წაიკითხოს.

— დავინახე, რო ქვევით მიდიოდა. ლოცვებს აღარ კითხულობს.

— ლოცვებს აღარ კითხულობს?

— ჰო, ამბობს, მქადაგებელი აღარ ვარო. რა უფლება მაქ ხალხი მოვატყუო და ისე მოვიქცე, თითქოს ისევ მქადაგებელი ვიყოო. ალბათ იმიტო წავიდა, რო აღარ გვეთხოვა.

კეისი უხმოდ მიუახლოვდა და ტომის სიტყვები გაიგონა.

— აქ ვარ, არსად წავსულვარ, — თქვა მან. — როგორც შემეძლება დაგეხმარებით, მაგრამ თქვენ გასულელებას არ ვაპირებ.

— როგორ, რამდენიმე სიტყვასაც არ იტყვი? ლოცვის გარეშე ჯერ არავინ დაგვიმარხავს.

— ვიტყვი, — დაეთანხმა მქადაგებელი.

კონი შარონის ვარდს საფლავისკენ გაუძღვა. შარონის ვარდი ნაძალადევად მიჰყვებოდა.

— აუცილებელია. — ეუბნებოდა კონი. — ეგრე არ შეიძლება, ნუ გეშინია, დიდხანს არ გაგრძელდება.

საფლავის გარშემო შეკრებილებს ცეცხლის ალი სახესა და თვალებს უნათებდა, მერე მათ მუქ ტანსაცმელზე გადადიოდა და ბოლოს ფერს კარგავდა. კაცებმა ქუდები მოიხადეს. ცეცხლის ენები გარს ცეკვა-ცეკვით უვლიდნენ.

— მოკლედ ვიტყვი, — თქვა კეისიმ და თავი დახარა, სხვებიც ასევე მოიქცნენ. კეისიმ ღვთისნიერი ხმით დაიწყო: — აი, მოხუცი, რომელმაც იცხოვრა და ცხოვრება დაასრულა. არ ვიცი, კარგი კაცი იყო თუ ცუდი, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რო ცოცხალი იყო. ეხლა მკვდარია და არც მაგას აქვს მნიშვნელობა. ერთხელ ერთი კაცის ლექსს მოვუსმინე. ყველაფერი რაც ცოცხალია, წმინდააო, ამბობდა. დავფიქრდი ამაზე და მივხვდი, რო ამ ფრაზაში უფრო მეტი აზრია, ვიდრე სიტყვები გადმოსცემენ. არ ვილოცებ მიცვალებული მოხუცისთვის. ის მკვდარია და კარგად არი. ის თავის საქმეს გააკეთებს და ფიქრი აღარ მოუწევს. მისთვის მხოლოდ ერთი გზაა. ჩვენ წინ, ცოცხლების წინ კი, ათასობით გზა იშლება და არ ვიცით, საით გავუხვიოთ. და თუ უნდა ვილოცო, იმ ხალხისთვის ვილოცებდი, რომლებმაც არ იციან, საით წავიდნენ. პაპას მხოლოდ ერთი გზა აქვს, ახლა მიწა მიაყარეთ და თავის თავთან დატოვეთ. — კეისიმ თავი ასწია.

— ამინ, — თქვა მამამ.

— ამინ, — ჩაიჩურჩულეს სხვებმაც.

მამამ ნიჩაბი აიღო, მიწით ნახევრად შეავსო და შავ ორმოში ფრთხილად ჩაყარა. ნიჩაბი ძია ჯონს გადასცა. ჯონმა ორმოში სავსე ნიჩაბი ჩაცალა. ნიჩაბი ხელიდან ხელში გადადიდა. კაცებმა თავისი მოვალეობა შეასრულეს. ბოლოს მამამ სწრაფად შეუტია მიწის გროვას და საფლავის ამოვსება დაიწ-

ყო. ქალები ცეცხლთან დაბრუნდნენ, რომ ვახშმისთვის მიეხედათ. რუთი და უინფილდი ყველაფერს გაფართოებული თვალებით აკვირდებოდნენ.

— პაპა მიწის ქვეშ წევს, — იდუმალი ხმით თქვა რუთმა.

უინფილდმა დაზაფრული თვალებით შეხედა, მერე გაიქცა, ცეცხლთან დაჯდა და აქვითინდა.

მამამ საფლავი ნახევრამდე შეავსო და შეჩერდა, რომ სული მოეთქვა, ძია ჯონმა ნიჩაბი ჩამოართვა და საქმე დაასრულა. შემდეგ მიწის დაყრა განაგრძო, რომ საფლავი შემაღლებულიყო, მაგრამ ტომმა შეაწყვეტინა.

— მისმინეთ, — თქვა ტომმა, — ეგრე რო დავტოვოთ, შეამჩნევენ და საფლავს მაშინვე გათხრიან. ისე უნდა ვქნათ, რო ვერ დაინახონ. მიწა მოასწორე და ზედ ხმელი ბალახი დავაყაროთ. ესე ვერ დავტოვებთ.

— მაგაზე არ მიფიქრია, — თქვა მამამ, — შემაღლების გარეშე როგორ დავტოვოთ?

— მოგვიწევს, — უპასუხა ტომმა, — მაშინვე გათხრიან და გამოვა, რო კანონი დავარღვიეთ, ხო იცი, რაც მომივა კანონს თუ დავარღვევ.

— ჰოო, დამავიწყდა, — თქვა მამამ, ჯონს ნიჩაბი ჩამოართვა და მიწა მოასწორა. — ზამთარში ისედაც დაიწევდა.

— ზამთარში უკვე შორს ვიქნებით. კარგად დატკეპნე და მერე რამე დავაყაროთ.

ღორის ხორცი და კარტოფილი უკვე მზად იყო. ოჯახი მიწაზე, კოცონის გარშემო მოეწყო და ვახშმობას შეუდგა. უხმოდ ჭამდნენ, ცეცხლს თვალს არ აშორებდნენ. უილსონმა კბილები ხორცის დიდ ნაჭერს ჩაასო და სიამოვნებით ამოიოხრა:

— უჰ, რა კარგი ხორცია.

— ჰო, ორი ბურვაკი გვყავდა, — ახსნა— განმარტება მოაყოლა მამამ, — ვერ გავყიდეთ და მერე ვიფიქრე, მოდი დავკლათ და თან წავიღოთ— მეთქი. აი, ცოტას შევეჩვევით მგზავრობას და დედა პურს გამოაცხობს. მართლა კაი იქნება. რა ჯობია, თან ქვეყანას ათვალიერებ და იცი, რო სატვირთოში ორი ხორცით სავსე კასრი გაქ. რამდენი ხანია რაც გზაში ხართ?

უილსონმა ლუკმა გადაყლაპა, კბილებზე ენა გადაისვა და უპასუხა:

— არ გაგვიმართლა, უკვე სამი კვირაა, რაც სახლიდან წამოვედით.

— უჰ, რას ამბობთ, ჩვენ ათ დღეში კალიფორნიაში ჩასვლას ვაპირებთ.

— ვერ ჩავალთ, მა. ამ ტვირთით ვერ ჩავალთ, განსაკუთრებით, თუ მთებში მოგვიწევს სიარული, — ჩაერია ელი.

გაჩუმდნენ. თავები დახარეს. ცეცხლის შუქზე მხოლოდ თმა და შუბლები მოუჩანდათ. ცეცხლის ალის რკალს ვარსკვლავები გაუბედავად დასცქეროდნენ. დღის მცხუნვარებამ ფარ-ხმალი დაყარა. მოშორებით ლეიბზე წამოწოლილი ბებო ლეკვივით ხმადაბლა აწკმუტუნდა. ყველამ მისკენ გაიხედა.

— შარონ, წადი, ბებოს მიუწექი, თუ კაი გოგო ხარ. ეხლა მიხვდა, რაც მოხდა, მარტო დატოვება არ შეიძლება.

შარონის ვარდი წამოდგა, ბებოსთან მივიდა და გვერდით წამოუწვა. მალე ნიავმა მათი ხმადაბალი ჩურჩულის ხმა კოცონთან მიიტანა.

— მიკვირს, პაპა მოკვდა და თითქოს არაფერი. დარდი არ მომმატებია. — თქვა დედამ

— ეგ იმიტო რო, ყველაფერი უკვე იდარდე. პაპა, სახლი და მიწა ერთი მთელი იყო, — უთხრა კეისიმ.

— რა საცოდაობაა. გახსოვთ რეებს ამბობდა, იქ რო ჩავალთ, თავზე ყურძენს დავიჭყლეტ, რო წვენი წვერზე ჩამომეწუროსო.

— სუ ხუმრობდა, მაგრამ მგონი იცოდა, რაც მოხდებოდა. პაპა ამაღამ არ მომკვდარა, მაშინ მოკვდა, იქიდან რო წამოვიყვანეთ.

— ნამდვილად იცი? — წამოიყვირა მამამ.

— ოჰ, სხვანაირად გაიგე. სუნთქვით სუნთქავდა, მაგრამ სიცოცხლემ მიატოვა, მკვდარი დადიოდა, ის იქაურობის ნაწილი იყო და ეს თითონაც კარგად ესმოდა. — უპასუხა კეისიმ.

შეშფოთებული ძია ჯონი კეისის თვალს არ აშორებდა.

— იცოდი და არ გვითხარი?

— რა აზრი ჰქონდა?

— იქნებ რამე გაგვეკეთებინა.

— რა?

— არ ვიცი, მაგრამ...

— არა, — თქვა კეისიმ. — ვერაფერს იზამდით. თქვენი გზა გარკვეული იყო და პაპას ადგილი თქვენ გვერდით არ ჩანდა. კარგია, რო არ იწვალა, ამ დილას ერთი დარტყმა და გათავდა. ის ამ მიწას ვერ დატოვებდა. მისი ადგილი აქაა.

ძია ჯონმა ღრმად ამოიოხრა,

— ჩვენ ჩემი ძმის დატოვება მოგვიხდა. — თქვა უილსონმა და ყველა მისკენ შეტრიალდა. — მე და ჩემს ძმას მიწები გვერდიგვერდ გვქონდა. ის ჩემზე უფროსია. მანქანების არცერთს არაფერი გაგვეგებოდა. ორივემ ყველაფერი გავყიდეთ, უილმა მანქანა იყიდა და იმათ ერთი პატარა ბიჭი მიუჩინეს, რო ცოტა ტარება ესწავლებინა. ჰოდა, ერთ დღესაც, როცა უკვე წამოსვლა გადაწყვეტილი გვქონდა, მან და დეიდა მინიმ იფიქრეს, ტარებაში გავივარჯიშებთო, ცოტა გაიარეს და მო-

სახვევთან მივიდნენ თუ არა, ხრამი დაინახეს, ტფუი, შე ნა-ბიჭვარო, დაიყვირა უილიმ, უკანა სვლით წავიდა და ღობეში შევარდა. მერე სუ გაგიჟდა, გაზს დააჭირა და პირდაპირ ხრამში ჩავარდა. ესე დარჩა უარაფროდ. აღარც გასაყიდი აქ რამე და აღარც მანქანა. მაგრამ თავის თავის გარდა ვერავის დააბრალებს. ისე გამწარდა, რო ჩვენთან ერთად წამოსვლა-ზეც უარი თქვა, ლანძღვა-გინებით იკლებდა იქაურობას, ჩვენ რო მოვდიოდით.

— რა უნდა ქნას?

— რა ვიცი, ისეთი გაგიჟებულია, რო ვერაფერზე ფიქრობს. ჩვენ ვეღარ დავიცდიდით, ოთხმოცდახუთი დოლარი გვქონ-და და რო დავრჩენილიყავით, სუ შემოგვეჭმებოდა. მაგრამ რად გინდა, მაინც ეგრე გამოვიდა, ასი მილიც არ გვქონდა გამოვლილი, უკანა ხიდის კბილი გატყდა და შეკეთება ოც-დაათი დოლარი დაგვიჯდა, მერე საბურავის ყიდვამ მოგვი-წია, ცოტა ხანში ანთების სანთელი გასკდა და ბოლოს სეირი გახდა ავად. ათი დღეა გაჩერებულები ვართ და ფული მი-დის... ეს მანქანა რო შემაკეთებინა, კიდე ჰო, მაგრამ არაფე-რი გამეგება. არც კი ვიცი, ჩავალთ საერთოდ კალიფორნიამ-დე, თუ არა.

— მანქანას რა დაემართა? — საქმიანად ჰკითხა ელმა.

— არ მიდის და მორჩა. დაიქოქება, დაიფრუტუნებს და ჩერ-დება, ისევ დაიქოქება, ერთი წუთით გაირბენს და ითიშება.

— ერთი წუთი დადის და მერე კვდება?

— დიახ, სერ. და ადგილიდან ვეღარ ვძრავ, რამდენი გაზიც არ უნდა მივცე. ყოველდღე უარესი ემართება, ეხლა საერ-თოდ აღარ იძვრის.

ელმა თავმომწონედ. საქმის მცოდნე კაცის იერით უთხრა:

— ბენზინის მილი იქნება გაჭედილი. დავუბერავ და გაგისუფთავებთ.

მამამ სიამაყით დაამატა:

— ოქროს ხელები აქ.

— მადლობა, დიდი მადლობა. თორე თავს პატარა ბავშვივით უსუსურად ვგრძნობ, იმდენად არაფერი გამეგება. აი, ჩავალთ კალიფორნიაში და უკეთეს მანქანას ვიყიდი, იქნებ ესე უცებ აღარ გაფუჭდეს.

— ჰო, იქ ჩასვლაა საქმე. — თქვა მამამ.

— მაგრამ წვალებად ნამდვილად ღირს, — თქვა უილსონმა. — ჩემი თვალით წავიკითხე ფურცლებზე, ხილის საკრეფად ხალხი სჭირდებათ და კარგადაც იხდიან. აბა, წარმოიდგინეთ, ჩრდილში ხილს კრეფ და ხანდახან კბილსაც გაკრავ. ვინ გეტყვის რამეს. იმდენი ხილია, რომ რამდენიც გინდა ჭამე, ამასთან ერთად კარგი ხელფასი, ზედმეტსაც იმუშავებ და იქნებ რამდენიმე წელიწადში პატარა მიწის ნაკვეთის მეპატრონეც გახდე.

— ეგ ფურცლები ჩვენც ვნახეთ, — თქვა მამამ, — აი, ერთი აქაც წამოვიღე. საფულედან დაკეცილი ფურცელი ამოიღო. ზედ შავით თეთრზე ეწერა: „კალიფორნიაში მუხუდოს მკრეფავები გვესაჭიროება. მაღალი ხელფასი მთელი სეზონის განმავლობაში გარანტირებულია. გვესაჭიროება რვაასი კაცი“.

გაოცებულმა უილსონმა ფურცელს დახედა.

— უჰ, მეც ზუსტად ეგეთი ფურცელი ვნახე, ზუსტად ეგეთი. მაგრამ იქნებ ეგ რვაასი კაცი უკვე აიყვანეს?

— ეს ხო მთელ კალიფორნიას არ ეხება, სიდიდით მეორე შტატია. შეიძლება იქ აიყვანეს ხალხი, მაგრამ სხვაგან ხო სჭირდებათ, იმდენი მიწებია... მე სადაც გინდათ, იქ წავალ ხი-

ლის საკრეფად. როგორც თქვენ ამბობთ, რა ჯობია ჩრდილში ხილის კრეფას, ბავშვებსაც კი არ დაეზარებათ.

უცებ ელი წამოდგა. უილსონის მანქანასთან მივიდა, ძრავას დახედა. უკან გამობრუნდა და ისევ დაჯდა.

— უკვე ბნელა, ეხლა ვერ იმუშავებ, — უთხრა უილსონმა.

— ვიცი, დილას მივხედავ.

ტომი უმცროს ძმას აკვირდებოდა.

— მეც რაღაც ეგეთს ვფიქრობდი, — უთხრა ელმა ტომს.

— რაზე ლაპარაკობთ? — ჰკითხა ძმებს ნოამ.

ტომი და ელი გაჩუმდნენ. ბოლოს ელმა თქვა:

— მიდი, შენ უთხარი.

— იქნებ სისულელეა და ელი სხვანაირად ფიქრობს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა. ვიცით, რო ზედმეტი ტვირთი გვაქვს, ისიც ვიცით, რო უილსონებს ბევრი ტვირთი არა აქვთ, ჰოდა, რა იქნება, რო ზოგი ჩვენგანი მათთან ჩავსხდეთ და მათი შედარებით მსუბუქი ნივთები ჩვენ სატვირთოში გადავიტანოთ. არც რესორი დაჯდება და მთებში სიარულსაც შევძლებთ. მე და ელს, ორივეს, შეგვიძლია ტარება, ერთი უილსონების მანქანას წავიყვანთ, მეორე სატვირთოს და მგონი, ყველასთვის კარგი იქნება.

ეს რომ გაიგო, უილსონი ფეხზე წამოხტა:

— რასაკვირველია, რასაკვირველია, ჩვენ ძალიან გაგვიხარდება. გესმის, სეირი?

— რა კარგია, — თქვა სეირიმ, — მაგრამ ხო არ შეგაწუხებთ?

— ოჰ, რას ამბობთ, პირიქით, დაგვეხმარებით.

მაგრამ უცებ უილსონს ხასიათი წაუხდა.

— არაა, არ შემიძლია.

— რა მოხდა? უარზე ხართ?

— მე... მე მხოლოდ ოცდაათი დოლარი დამრჩა და ტვირთად ვერ დაგაწვებით.

— არა, ტვირთად როგორ დაგვაწვებით... ესე ერთმანეთის დახმარებით თუ ჩავაღწევთ კალიფორნიამდე. სეირი პაპას გაპატიოსნებაში დამეხმარა, — თქვა დედამ და გაჩუმდა. მისი დამოკიდებულება მარტივი და გასაგები იყო.

— ექვსნი ადვილად ჩავეტევით. მე საჭესთან დავჯდები, შარონის ვარდი, კონი და ბებო ჩვენთან დასხდებიან. დიდ და შედარებით მსუბუქ ბარგს სატვირთოში გადავიტანთ, გზაზე ადგილებს შევიცვლით ხოლმე, — ხმამაღლა ლაპარაკობდა. დიდი ტვირთი მოეხსნა და ეტყობოდა, რომ შვება იგრძნო. სხვებს თვალები დაეხარათ და მორიდებით იღიმოდნენ. მამამ მტვრიანი მიწა თითით მოჩხრიკა და თქვა:

— დედა ფორთოხლის ბაღში ჩადგმულ პატარა თეთრ სახლზე ოცნებობს. კალენდარში უნახავს სურათი.

— ისევ თუ ავად გავხდები, თქვენ გზა უნდა განაგრძოთ, არ მინდა, რო ტვირთად გექცეთ.

დედამ სეირი გულდასმით შეათვალიერა და თითქოს ტანჯვა სეირის თვალებში მხოლოდ ახლა შენიშნა, თითქოს მისი ტკივილით დაკრუნჩხული სახე მხოლოდ ახლა დაინახა.

— აი, ნახავთ, მოერევით, ჩვენ დაგეხმარებით. ხო ამბობდით, როცა გეხმარებიან, ხელი არ უნდა კრაო.

სეირიმ ცეცხლის შუქით განათებულ თავის დანაოჭებულ ხელებს დახედა, — ამაღამ უნდა გამოვიძინოთ. — თქვა და წამოდგა.

— პაპა — თითქოს უკვე ერთი წელი გავიდა, — თქვა დედამ.

მთქნარებით წამოიზლაზნენ და ყველა თავ-თავის საძილე ადგილისკენ გაემართა. დედამ თუნუქის თეფშებს წყალი გაავლო და ცხიმი ფქვილის ტოპრაკით გააცალა, ცეცხლი ჩაქ-

რა. ვარსკვლავები თითქოს ქვევით ჩამოვიდნენ. გზატკეცილ-ზე ერთი-ორი მსუბუქი მანქანა თუ ჩაივლიდა, სატვირთოები კი განრიგის მიხედვით მოძრაობდნენ, მათი გრუხუნი მიწას აზანზარებდა. გზისპირას გაჩერებული ორი მანქანა ვარ-სკვლავების შუქზე თითქმის არ ჩანდა. ქვევით, მომსახურების ცენტრთან, დაბმული ძაღლი ყმუოდა. ყველას მშვიდად ეძინა, გათამამებული თაგვები ლეიბებთან დასუნსულებდნენ, ძილი მხოლოდ სეირი უილსონს არ ეკარებოდა. ვარსკვლავებს შესცქეროდა და ცდილობდა, ტკივილს გამკლავებოდა.

14.

დაწყებული ცვლილებებით აღელვებული დასავლეთი. ქუხილით დამფრთხალი ცხენებივით აფორიაქებული დასავლეთის შტატები. მწყობრიდან გამოსული დიდი ქონების მეპატრონენი, ცვლილებებს გუმანით რომ გრძნობენ, თუმცა არსს ვერ სწვდებიან. უტევენ იმას, რასაც ხედავენ, რაც მათ თვალსაწიერში ეტევა — მთავრობის გაფართოებული შემადგენლობა, მუშათა კლასის მოძრაობის გაძლიერება, ახალი გადასახადები, ახალი გეგმები, უტევენ, მაგრამ არ ესმით, რომ ეს ყველაფერი შედეგია და არა მიზეზი, შედეგია და არა მიზეზი, შედეგია და არა მიზეზი. მიზეზი ღრმა და მარტივია — შიმშილი — მილიონებზე გამრავლებული, სულის შიმშილი, სიხარულისა და უსაფრთხოების შეგრძნების წყურვილი — მილიონებზე გამრავლებული, სწრაფვა ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ზრდისკენ, შემოქმედებისკენ, მუშაობისკენ — მილიონებზე გამრავლებული, ადამიანის არსებობის ნათლად განსაზღვრული ფუნქცია — იშრომოს და შექმნას არა მხოლოდ საკუთარი საჭიროებისთვის, ანუ ის, რაც კაცს ადამიანად ხდის — ააშენოს კედელი, სახლი, კაშხალი, შიგ თავისი ნაწილი ჩადოს; ცოტა რამ აშენებული კედლიდან, სახლიდან, კაშხლიდან მიიღოს: შრომით კუნთები გაიმაგროს, წარმოსახვას სული შთაბეროს, ფორმა მისცეს, ხაზები სწორად გაავლოს, რადგან ადამიანი მთელ ორგანულ თუ არაორგანულ სამყაროში ერთადერთი არსებაა, რომელიც თავისივე ნაღვაწის საზღვრებს ლახავს, საკუთარი წარმოსახვის კიბეს ზევით

მიჰყვება, მიღწეულს არ სჯერდება, წინ მიდის. ეს არის ის, რაც ადამიანზე უნდა ითქვას — როცა თეორიები იცვლება ან მარცხს განიცდის, როცა სკოლები, ათასგვარი ფილოსოფია, გონების ვიწრო ბნელ ხვეულებში დაგეგმილი ეროვნული რელიგიური, ეკონომიკური მოძრაობები აღმავალ გზაზეა ან ნაწილ-ნაწილ იმსხვრევა, ადამიანი ბორძიკს იწყებს, ტკივილისგან იტანჯება, ზოგჯერ შეცდომას უშვებს, მაგრამ მაინც წინ იწევს. ნაბიჯს დგამს და იქნებ უკანაც დაიხიოს, მაგრამ მხოლოდ ნახევარი ნაბიჯით. ეს უნდა ითქვას ადამიანზე. ეს უნდა იცოდეთ, ეს უნდა გესმოდეთ, ეს უნდა გახსოვდეთ მაშინ, როცა შავი თვითმფრინავებიდან პირდაპირ ხალხმრავალ ბაზრებში ყუმბარები ცვივა, როცა პატიმრებს ღორებივით ერთ სადგომში ყრიან, როცა მტვრიან მიწაში ამოგანგლული მათი დასახიჩრებული სხეულები სისხლისგან იწრიტება. ან იქნებ ასე გესმით ეს ყველაფერი — ნაბიჯის გადადგმა რომ ვერ გაებედათ, წაბორძიკებისას ტკივილი ასე მწველი რომ არ ყოფილიყო, ყუმბარები არ ჩამოცვივდებოდა, არც ყელგამოჭრილები ეყრებოდნენ მიწაზე. გეშინოდეთ დროის, როცა ყუმბარები აღარ ჩამოცვივდება, ყუმბარის მტყორცნელი კი ცოცხალი ივლის, რადგან ყოველი ჩამოვარდნილი ყუმბარა დასტურია იმისა, რომ სულისკვეთება არ მომკვდარა. გეშინოდეთ დროის, როცა გაფიცვები შეწყდება, დიდი ქონების მეპატრონენი კი ცოცხლები დარჩებიან, რადგან ყოველი დარბეული გაფიცვა, დასტურია იმისა, რომ ადამიანმა ნაბიჯი გადადგა. ესეც იცოდეთ — გეშინოდეთ დროს, როცა ადამიანი იდეისთვის აღარ დაიტანჯება, როცა იდეისთვის სიკვდილზე იტყვის უარს, რადგან ეს არის ადამიანის არსებობის საფუძველი, ეს თვისება ქმნის ადამიანს — მთელს სამყაროში გამორჩეულ არსებას.

ცვლილებების დაწყებით აღელვებული დასავლეთის შტატები. ტეხასი და ოკლაჰომა, კანზასი და არკანზასი, ნიუ-მექსიკო, არიზონა, კალიფორნია, მიწიდან განდევნილი ოჯახი. მამამ ფული ბანკიდან გამოიტანა, ახლა ბანკს მისი მიწა მიაქვს. მიწის დამამუშავებელ კომპანიას — ანუ ბანკს. მიწის ახალ მფლობელს — ტრაქტორები სჭირდება, მის მიწაზე ოჯახებს აღარაფერი ესაქმებათ. რა, ტრაქტორი ცუდია? იქნებ გრძელი კვლების გაყვანაა ურიგო? კარგი იქნებოდა, ეს ტრაქტორები ჩვენი რომ იყოს, ჩვენი და არა ჩემი. გრძელ კვლებს გაიყვანდა ჩვენს მიწაზე — ჩვენს მიწაზე და არა ჩემს მიწაზე. ეს ტრაქტორიც ისევე გვეყვარებოდა, როგორც მიწა გვიყვარდა, როცა ჩვენ გვეკუთვნოდა, მაგრამ ნახეთ, ტრაქტორი რას აკეთებს — მიწას აბრუნებს და მიწიდან გვყრის. ამ ტრაქტორებსა და ტანკებს შორის მხოლოდ მცირე განსხვავებაა. მიადგებიან და შიშით დაზაფრულ უბედურ ხალხს თავისი კარ-მიდამოდან ყრიან. ღირს ამაზე დაფიქრება.

მიწიდან აყრილი ერთი კაცი, ერთი ოჯახი; გზატკეცილზე დასავლეთისკენ ჩხაკუნით მიმავალი ჟანგიანი მანქანა. მიწა დავკარგე. ერთმა ტრაქტორმა გამომაგდო ჩემი მიწიდან. მარტო ვარ, დაბნეული და არ ვიცი, რა ვქნა. ღამდება, ერთი ოჯახი გზასთან ახლოს ბანაკდება, მალე მეორე უერთდება და კარვები იშლება. ორი კაცი ცუცქდება, ქალები და ბავშვები უსმენენ. შეხედეთ ამ კავშირს, თქვენ, ვისაც გძაგთ ცვლილებები, ვისაც რევოლუციის გეშინიათ, დააშორეთ ერთმანეთს, შეაძულეთ ერთმანეთი, შეაშინეთ, დააეჭვეთ, რადგან ეს არის ახალი ცხოვრების დასაწყისი, ჩანასახი, თქვენ რომ გაშინებთ, აქ მთავრდება „მე ჩემი მიწა დავკარგე“, უჯრედი იხლიჩება და ის წარმოიქმნება, რაც ასე გძულთ — „ჩვენ ჩვენი მიწები დავკარგეთ. აი, სად იმალება საშიშროება, ორი კაცი ერ-

თად თავს მარტო აღარ გრძნობს. დაბნეული აღარ არის. ეს პირველი „ჩვენ“ კიდევ უფრო დიდ საფრთხეს ქმნის: „ცოტა საჭმელი მაქვს“ და კიდევ, „საჭმელი არ მაქვს“. თუ ამ ამოცანის ჯამი არის „ჩვენ ცოტა საჭმელი გვაქვს“, ესე იგი, საქმე დაიძრა, მოძრაობამ მიმართულება შეიძინა. მხოლოდ ერთი მოქმედება დარჩა — გამრავლება და ეს მიწა და ტრაქტორი ჩვენი იქნება. ორი კაცი პატარა კოცონთან ჩაცუცქული, ქვაბში მოსახარშად ჩაყრილი ხორცის ნაჭრები, ხმაგაკმენდილი ქალები გაქვავებული სახეებით, მათ უკან ბავშვები, რომლებიც ყურს უგდებენ, მაგრამ არ ესმით. ღამდება. პატარას სიცხე აქვს, გაცივდა. აი, ეს საბანი მოახვიე, შალისაა, დედაჩემის იყო. აიღე, ბავშვს არ შესცივდეს. აი, სად უნდა ჩამოყაროთ ყუმბარები, აი, აქ იწყება „მე“—დან „ჩვენ“—ზე გადასვლა.

ეს რომ გესმოდეთ თქვენ, ვინც იმ ქონებას ფლობთ, ხალხს რომ უნდა ეკუთვნოდეს, არ ჩაიძირებოდით მიზეზისა და შედეგის ერთმანეთისგან განსხვავებას, იმის ცოდნას, რომ პეინი, მარქსი, ჯეფერსონი, ლენინი შედეგი იყო და არა მიზეზი, თქვენი გადარჩენა შეეძლებოდა. მაგრამ არ გესმით, რადგან დაპატრონების დაუოკებელმა ჟინმა სამუდამოდ მიგაჯაჭვათ „მე“—ს, თქვენთვის „ჩვენ“ არ არსებობს.

ცვლილებების დაწყებით აღელვებული დასავლეთის შტატები. საჭიროება ბადებს იდეას, იდეა ითხოვს ქმედებას. ნახევარი მილიონი კაცი გზაზეა გამოსული, ერთი მილიონი უკმაყოფილო ადამიანი ნებისმიერ დროს დაირაზმება, ათ მილიონზე მეტი ახლა იწყებს შფოთვას.

ცარიელ მიწებზე ტრაქტორებს ღრმა კვლები გაჰყავთ.

15.

66-ის გასწვრივ სასადილოები — ელისა და სუზის ბარი — კარლის სასაუზმე — ჯო და მენი უილის სამზარეულო. ფიცრებისგან შეკოწიწებული ქოხები. წინ ორი ბენზინგასამართი სვეტი, ბადეაკრული კარი, ბარის გრძელი დახლი თავის ფეხების შემოსაწყობით, უზურგო სკამები. კართან ახლოს სამი სათამაშო აპარატი შუშის ქვეშ ხუთცენტიანების გროვით, ოდესმე რომ შეიძლება მოიგო. მათ გვერდით ფირსაკრავი და ღვეზელებივით ერთმანეთზე შეწყობილი ფირფიტები, სულ ხუთი ცენტია საკმარისი, რომ ფირსაკრავზე შეხტნენ, დატრიალდნენ და საცეკვაო მუსიკა დაუკრან: „თი-ფი-თი-ფი-თინ“, „გმადლობ ხსოვნისთვის“, ბინგ ქროსბი, ბენი გუდმანი. დახლის ერთ მხარეს მინის თავდახურული ყუთი, ხველის საწინააღმდეგო კანფეტები, კოფეინის შემცველი აბები დასახელებით „Sleepless“ — არ იწვევს ძილიანობას, კანფეტები, სიგარეტები, საპარსი ფირფიტები, ასპირინი, „ბრომო". „ალკა“ — შუშხუნა ტკივილგამაყუჩებლები. კედლებზე გაკრული პლაკატები ზედ გამოსახული ქერა, ზედმეტად შეღებილი, ტანწვრილი და მკერდმაღალი მოცურავე გოგონებით, რომლებსაც საცურაო კოსტიუმები აცვიათ, ხელში კოკა-კოლას ბოთლები უჭირავთ და გამომწვევად იღიმიან — აი, ეს მოჰყვება კოკა-კოლას! გრძელი დახლი და მარილი, წიწაკა, მდოგვი, ქაღალდის ხელსაწმენდები. დახლის უკან ჩამოსასხმელი ლუდის ონკანები, ორთქლში გახვეული ყავის პრიალა აპარატი ზედ დამაგრებული მინის მოწყობილობით, რომელიც ყავის

დონეს აჩვენებს. მავთულის თავსახურის ქვეშ მოქცეული ღვეზელები, ფორთოხლის პირამიდები, „Post Toasties“-ის ნაწარმი, ერთმანეთზე კოხტად შეწყობილი სიმინდის ბურბუშელის ყუთები.

სარეკლამო განცხადებები ქარსით გაბზინებული ასოებით: „დედას ღვეზელი“. „ნისია მტრებს შეგმატებთ, მოდი, ვიმეგობროთ“, „ჩვენთან ქალები ეწევიან, მაგრამ ნუ დაყრით ნამწვავებს“, „ჩვენთან ისადილეთ, ნუ შეაწუხებთ ცოლებს, მხოლოდ მოეფერეთ“. „რგკმ“? — რომ გთხოვო, კიდევ მიყიდი?

დახლის მეორე ბოლოს — ჩაშუშული ხორცით სავსე ქვაბები, ტაფები, კარტოფილი, შემწვარი ხბოს ხორცი, დასაჭრელად გამზადებული შემწვარი ღორის ხორცი.

მინი, სუზი ან მეი — დახლის უკან შუახნის ქალი, დახვეული თმით, საცხით აღაჟღაჟებული ოფლიანი ლოყებით. შეკვეთებს დაბალი, რბილი ხმით იღებს, მზარეულებს დავალებას რომ გადასცემს, ფარშევანგივით კივის. დახლს ხელის წრიული მოძრაობით ასუფთავებს, ყავის აპარატს აპრიალებს. მზარეულს სახელად ჯო, კარლი ან ელი ჰქვია. თეთრ ფორმაში სცხელა, წინსაფარი აწუხებს, მზარეულის ქუდის ქვეშ, თეთრ შუბლზე ოფლის წვეთები მძივებივით აყრია. პირქუშია, იშვიათად საუბრობს. წამით ახალშემოსულებს გახედავს ხოლმე, ბრტყელ ტაფას ამშრალებს, ზედ დამრგვალებულ ფარშს ატყეპებს. თავისთვის მეის ახალ შეკვეთას იმეორებს, ტაფას ფხეკს, უხეში ტილოთი წმენდს. პირქუშია და ჩუმი,

მომხმარებელთან მოღიმარი მეი საუბრობს, შიგნიდან საშინლადაა გაღიზიანებული, ლამის იფეთქოს. იღიმის, მაგრამ ნაძალადევად — რასაკვირველია, თუ სატვირთოს მძღოლი არ ხართ. საქმის ხერხემალი სატვირთოებია. სადაც სატვირ-

თო ჩერდება, იქ მომხმარებელი არ ილევა. მძღოლებს ვერ მოატყუებ, აზრზე მოსული ხალხია. აბა, სცადე და ნადგამი ყავა მიართვი, მაშინვე ხვდებიან და მეორეჯერ ფეხსაც აღარ შემოადგამენ. კარგად მოემსახურები და ისევ შენთან ბრუნდებიან. მეი სატვირთოს მძღოლებს წრფელად უღიმის, ბეჭებს მართავს, თმას ისე იყრის უკან, რომ მკლავის აწევისას მკერდსაც წინ სწევს, დრო გაჰყავს, კარგ ამბებს იხსენებს, ხუმრობს. ელს სად შეუძლია ამდენი, ჩუმადაა. ზოგჯერ, ხუმრობის გაგონებისას, იღიმის, მაგრამ არასდროს იცინის, ხანდახან მეის გამოცოცხლებულ ხმას რომ გაიგონებს, მისკენ იხედება და მერე ბრტყელი კოვზით ტაფის ფხეკას იწყებს, ანაფხეკ ცხიმს იქვე, თუნუქის თასში ყრის. აშიშხინებულ კოტლეტს ბრტყელი კოვზით აბრუნებს. ფუნთუშებს შუაზე ჭრის და ათბობს. თეფშიდან ხახვის რგოლებს იღებს, ხორცზე აწყობს, შემდეგ ბრტყელი კოვზით ტკეპნის, ფუნთუშის ერთ ნახევარს ხორცზე დებს, მეორეს გამდნარი კარაქით და ცხარე საწებლით ჟღინთავს, რომ ფუნთუშის ნახევარი არ გადმოვარდეს, ხორცის ქვეშ ბრტყელ კოვზს აცურებს, აბრუნებს, თავზე ფუნთუშის კარაქიან ნახევარს აფარებს და პატარა თეფშზე გადააქვს. სენდვიჩი მზადაა, გვერდით მჟავე კიტრსა და რამდენიმე შავ ზეთისხილს უწყობს. ელი თეფშს ლითონის რგოლივით ისვრის დახლისკენ. შემდეგ ისევ იღებს ბრტყელ კოვზს და ტაფას ფხეკს, თან ჩაშუშული ხორცით სავსე ქვაბს უბღვერს.

66-ზე მანქანები მოსრიალებენ. მასაჩუსეტში, ტენესში, როდ-აილენდში, ნიუ-იორკში, ვერმონტში, ოჰაიოში გაცემული სანომრე ნიშნები. დასავლეთისკენ მიმავალი ჩინებული მანქანები, რომლებიც საათში სამოც მილს გადიან.

შეხედე, „კორდი“. ბორბლებზე შემდგარ კუბოს არ ჰგავს?

სამაგიეროდ როგორ დადის!

იმ „ლა-სალს“ ხედავ? მაგრად მომწონს. არ გავღორდები, მე „ლა-სალიც" მეყოფა.

„კადილაკმა“ რა დაგიშავა? უფრო დიდია და უფრო სწრაფი.

მე „ზეფირს" ვიყიდდი. გატყავდები, ისეთი ძვირია, სამაგიეროდ კლასს აჩვენებს, თან ძალიან სწრაფია.

გაგეცინება, მაგრამ მე „ბიუიკ-პიუიკი“ მომწონს, გადასარევი მანქანაა.

კარგი რა! „ზეფირის“ ფასი აქვს და სინამდვილეში ძალიან უბრალოა.

არ დავეძებ, ჰენრი ფორდს ისე ვერ ვიტან, მისი არაფერი მინდა. ჩემი ძმა მუშაობდა ფორდის ქარხანაში, უნდა მოგესმინა, რეებს ყვებოდა.

ჰო, მაგრამ „ზეფირი“ მაგარია.

დიდი მანქანები გზატკეცილზე.

ზანტი, სიცხით გათანგული ქალები — პატარა ბირთვები, რომელთა გარშემო ურიცხვი რაოდენობის პირადი აღჭურვილობა ტრიალებს: კრემები, მალამოები — რომ არ გამოშრნენ; შავი, ალისფერი, თეთრი, მწვანე, ვერცხლისფერი საღებავით სავსე შუშები — თმის, თვალების, ტუჩების, ფრჩხილების, წამწამების, ქუთუთოების ფერი რომ შეიცვალონ; ზეთები, თესლები, აბები — კუჭის მოქმედება რომ მოიწესრიგონ; ბოთლებით. შპრიცებით, აბებით, პუდრით, სითხეებით, ჟელეებით სავსე ჩანთები — რომ ჰიგიენური და არაპროდუქტიული სექსუალური ურთიერთობები შეძლონ. და ეს ყველაფერი, ტანსაცმლის გარდა რა მომაბეზრებელია!

დაქანცულობა ნაოჭებს მატებს თვალების გარშემო, უკმაყოფილება პირის კუთხეებს ქვევით ეწევა. ძუძუები ჰამაკებით აუკრავთ, მუცლები და თეძოები რეზინის სარტყლებში გაუჭე-

დავთ, სულს ძლივს ითქვამენ, თვალები ჩასცვენიათ, ვერ იტანენ მზეს, ქარს, მიწას; მადა დაკარგვიათ, საკუთარი უღონობა აწუხებთ და სძულთ დრო, რომელიც ხანდახან ვიღაცას ამშვენებს. მაგრამ საბოლოოდ. ყოველთვის ყველას აბერებს.

მათ გვერდით ღია ფერის შარვალ-პიჯაკში გამოწყობილი ღიპიანი კაცები პანამური ქუდებით. გაპიწკინებული, ვარდისფრად აღაჟღაჟებული კაცები, დაბნეული, შეწუხებული, მოუსვენარი თვალებით, რადგან ფორმულა არ მუშაობს, რადგან გრძნობენ, რომ უსაფრთხოებამ ეს ქვეყანა მიატოვა. ლაცკანებზე დამაგრებული კლუბებისა და დასასვენებელი სახლების სამკერდე ნიშნები, კლუბებისა, რომლებიც სავსეა მათსავით პატარა კაცუნებით, სადაც თავის თავს არწმუნებენ, რომ კომერცია კეთილშობილური საქმეა და არაფერი აქვს საერთო ქურდობასთან, როგორც ამას ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ კომერსანტები გონიერი ხალხია, მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი უამრავი დადასტურებული სისულელისა, რომ ქველმოქმედებასაც კი ეწევიან, თუმცა ჯანსაღი კომერციის პრინციპები ამას არ ითვალისწინებს, რომ მათი ცხოვრება მრავალფეროვანია და არა დამქანცველი ყოველდღიურობა და რომ მალე დადგება დრო, როდესაც არაფრის შეეშინდებათ.

ეს წყვილიც კალიფორნიაში მიდის. ჩავლენ, „ბევერლიუილტშირის“ ვესტიბულში დასხდებიან და ხალხს შურით სავსე თვალებს გააყოლებენ. მთებს ნახავენ, მთებს, წარმოგიდგენიათ? და მაღალ ხეებს კაცი თავის აფორიაქებულ თვალებს მიაპყრობს, ქალი კი იფიქრებს, ნეტა მზე კანს ხომ არ გამომიშრობსო. წყნარ ოკეანეს ნახავენ. და ათას დოლარს ჩამოვდივარ, რომ კაცი იტყვის, არც ისე დიდია, როგორიც

წარმომედგინაო. ქალი კი, ოკეანის სანაპიროზე ახალგაზრდა მკერდსავსე გოგოებს შურით სავსე თვალებით შეჭამს, კალიფორნიიდან ისევ სახლში დაბრუნდებიან და ქალი მოყვება: — „ტროკადეროში“ ჩვენ გვერდით მაგიდასთან იჯდა, უნდა გენახათ, რას ჰგავდა, მაგრამ კარგად კი ეცვა, — კაცი კი იტყვის: იქ რამდენიმე სერიოზულ ბიზნესმენს ვესაუბრე. არაფერი გამოვა, სანამ იმ ტიპს თეთრ სახლში რომ მოკალათებულა, თავიდან არ მოიშორებთო და სხვა ამბებზე გადავლენ: — კაცისგან ვიცი, ნამდვილად ათაშანგი აქვს. უორნერები იღებდნენ, ამბობენ, ოღონდ როლი მიეღო და ყველასთან წვებოდაო. — მაგრამ კაცის თვალებში ისევ დარდია ჩაბუდებული. ქალის მოპრუწული ტუჩები ისევ უკმაყოფილებას გამოხატავს. დიდი მანქანა გზატკეცილზე მიქრის.

რამე ცივს დავლევდი.

წინ რაღაც მოჩანს, გავაჩერო?

სისუფთავე იქნება?

ამ ღვთისგან მივიწყებულ მხარეში რამდენადაც შეიძლება.

ერთი ბოთლი სოდა ავიღოთ, მგონი გვეყოფა.

დიდი მანქანის მუხრუჭები ჭრიალებს და ცოტა ხანში მანქანა ჩერდება. მსუქანი და დარდიანი ცოლს მანქანიდან გადმოსვლაში ეხმარება, მეი ჯერ მათ უყურებს, მერე მათ მიღმა იცქირება. ელი ტაფიდან წამით ზევით სწევს თვალებს და უმალ ტაფას უბრუნდება. მეიმ იცის, რომ ხუთცენტიან სოდას აიღებენ და აუცილებლად იტყვიან ცივი არ არისო. ქალი ექვს ხელსაწმენდს გამოიყენებს და ექვსივეს იატაკზე დაყრის. კაცს წყალი გადასცდება და მეის დააბრალებს. ქალი ცხვირს ისე აბზეკს, თითქოს აქაურობა აყროლებული ხორცით იყოს სავსე. მერე წავლენ და ქვეყანას მოსდებენ, რომ დასავლეთ-

ში უცხვირპირო ხალხია. ბოლოს მეი და ელი მარტონი დარ-ჩებიან და მეი წასულებს შეამკობს — დამპლები.

სულ სხვაა სატვირთოს მძღოლები, ნამდვილი კაცები არიან.

აი, რაღაც დიდი სატვირთო მოდის, იქნებ გააჩეროს და ის დამპლები დაავიწყოს.

იცი, ელ. იმ სასტუმროში რომ ვმუშაობდი „ალბუკერკეში“, უნდა გენახა, რეებს იპარავდნენ. კაცს რაც უფრო დიდი მანქა-ნა ჰყავდა, მით მეტს იპარავდა, პირსახოცებს. ვერცხლეულს, სასაპნეებს, სად მიჰქონდათ იმდენი რამე, არ ვიცი.

და ელი პირქუშად:

შენ როგორ გგონია, საიდან ჰყავთ ამხელა მანქანები? მან-ქანებით დაიბადნენ? შენნაირები ვერასდროს მდიდრდებიან.

სატვირთო მანქანა, მძღოლი თავის შემცვლელით.

რას იტყვი, გავჩერდეთ? იავურ ყავას დავლევდით. ვიცი ეს ადგილი.

განრიგი როგორი გვაქვს? ვასწრებთ?

კი, დრო ბევრი გვაქვს.

მაშინ გააჩერე. ერთი ბებერი ცხენი მუშაობს, მაგრა უბე-რავს, თან კარგ იავურ ყავას დავლევთ.

სატვირთო ჩერდება. ორი კაცი, ხაკისფერი შარვლით, მა-ღალყელიანი ფეხსაცმლითა და სამხედრო კეპებით. ბადეაკ-რული კარი იღება.

მეის გაუმარჯოს.

დიდი ბილი! მართლა შენ ხარ? როდის გადმოგიყვანეს ამ მარშრუტზე?

ერთი კვირის წინ.

მეორე კაცი ფირსაკრავში ხუთცენტიანს აგდებს, ფირფიტა ტრიალს იწყებს — ბინგ ქროსბი, ოქროს ხმა აქვს — „ჩემი თა-

ვის ტკივილი ხარ, მაგრამ უშენოდ ძნელია...“ მძღოლი მეის ყურში ჩასჩურჩულებს: — მაგრამ უშენოდ ძნელია... — მეი იცინის.

— შენი მეგობარი ვინ არის? პირველად არის ამ მარშრუტზე?

მეორე სათამაშო აპარატში ხუთცენტიანს აგდებს, ოთხ ჟეტონს იგებს, მაგრამ უკან ყრის. დახლთან მიდის.

— რა მოგართვათ?

— ერთი ჭიქა ყავა. როგორი ნამცხვრები გაქვთ?

— ბანანის, ანანასის, შოკოლადის. ვაშლის.

— ვაშლის იყოს. მოიცა. ეს ფუმფულა ნამცხვარი რისია?

მეი ნამცხვარს ყნოსავს. ბანანისაა.

— ერთი დიდი ნაჭერი მომიტანე.

მეორე მძღოლი ამბობს:

— ორი ნაჭერი,

— არის, ბილ, ორი. ახალი ანეკდოტი ხო არ იცი?

— კი, ვიცი.

— ფრთხილად, ქალი როა, არ დაგავიწყდეს.

— არა, ისეთი არაფერია. ბავშვი სკოლაში აგვიანებს. მასწავლებელი ეკითხება, რატომ დააგვიანე? ბავშვი პასუხობს: ფური ხართან წავიყვანეო. კი მაგრამ ამას მამაშენი ვერ გააკეთებდაო. და როგორ ვერ გააკეთებდა, მაგრამ ფურს ხარი ურჩევნიაო.

მეი ხარხარებს, სიცილით ლამის გაიგუდოს. ელი დაფაზე ხახვს ჭრის. თვალებს ზევით სწევს, იღიმის და ისევ ხრის.

სატვირთოს მძღოლები ნამდვილი კაცები არიან. ოცდახუთ-ოცდახუთ ცენტს ტოვებენ. თხუთმეტი ნამცხვარში და ათიც მეის, თან არც შეურაცხყოფას აყენებენ.

ერთმანეთის გვერდით უზურგო სკამებზე სხედან. ყავის ჭიქებიდან კოვზის ტარები ამოჩრილა. დრო შეუმჩნევლად გადის. ელი ისევ ტაფას ხეხავს, მათ საუბარს უსმენს, მაგრამ არ ერევა. ქროსბის ხმა წყდება. ფირფიტა ჩერდება და თავის ადგილს უბრუნდება. წითელი შუქი ქრება. ხუთცენტიანი, რომელმაც მექანიზმი აამუშავა, ქროსბის სიმღერა და ორკესტრს კი დაკვრა დააწყებინა, ყუთში ვარდება, იქ სადაც მოგება გროვდება. ამ ხუთცენტიანმა, სხვა ფულისგან განსხვავებით, მართლა საქმე გააკეთა, ფიზიკური რეაქცია გამოიწვია და მანქანა აამუშავა.

ყავის აპარატის სარქვლიდან ორთქლი იფრქვევა. მაცივარი ხმადაბლა გუგუნებს და მალე ჩერდება. ვენტილიატორი თავს აქეთ-იქით იქნევს და ოთახში გრილ ჰაერს უბერავს. 66-ზე მანქანები ზუზუნით მიქრიან.

—ცოტა ხნის წინ ჩვენთან მასაჩუსეტის მანქანა გაჩერდა, — თქვა მეიმ.

დიდმა ბილმა ყავის ჭიქას ხელი ისე ჩაავლო, რომ კოვზი ცერა და საჩვენებელ თითებს შორის ამოეჩარა. ყავას სული შეუბერა და მოხვრიპა.

— უნდა ნახოთ, 66-ზე რა ხდება. მთელი ქვეყანა დაძრულია და დასავლეთისკენ მიდის. ამდენი მანქანა არასდროს მინახავს. აქა-იქ კარგი მანქანაც გამოერევა ხოლმე.

ამ დილას ისეთ ავარიას შევესწარით... — თქვა მძღოლის შემცვლელმა, — დიდი „კადილაკი“ იყო, ალბათ შეკვეთით დამზადებული, ულამაზესი, დაბალი, რძისფერი; სატვირთოს დაარტყა. რადიატორმა მძღოლი ადგილზე მიაჭყლიტა, ალბათ ოთხმოცდაათით მიდიოდა. საჭემ ბიჭი შუაზე გახლიჩა, ბაყაყი რო კაუჭზე ჩამოკიდო, ისე იყო. აუჰ, რა მანქანა დაიმ-

ტვრა! ეხლა გროშია იმის ფასი. მარტო მართავდა, დამხმარე არ ჰყავდა.

ელმა სამუშაოდან თავი ასწია: — სატვირთო დაიმტვრა?

— ოჰ, სატვირთოსაც ვერ დაარქმევ, გადაჭრილი მანქანა იყო, ქურებით, ტაფებით, ლეიბებით, ბავშვებით და ქათმებით გატენილი. დასავლეთისკენ მიდიოდნენ. „კადილაკმა" ორ ბორბალზე ოთხმოცდაათით ჩაგვიქროლა, ამ დროს მანქანამ გამოიარა, იმას ააცილა და უცებ ეს სატვირთო... ისე ატარებდა, ალბათ მაგარი მთვრალი იყო. ღმერთო, ტანსაცმელი, თეთრეული, ბავშვები და ქათმები ჰაერში ტრიალებდა. ერთი ბავშვი მოკვდა, ესეთი რამე არასდროს მინახავს. გავაჩერეთ და მივედით. კაცი, სატვირთოს მძღოლი, იდგა, მკვდარ ბავშვს უყურებდა და ხმას არ იღებდა, ალბათ დამუნჯდა. ღმერთო, გზები სავსეა, ოჯახები დასავლეთისკენ მიდიან. ამდენი არასდროს მინახავს, თან მატულობს და მატულობს. ნეტა საიდან მოდიან?

— საიდან მოდიან ან სად მიდიან, აზრზე არა ვარ, — თქვა მეიმ, — ხანდახან აქაც ჩერდებიან, მაგრამ საწვავის მეტს არაფერს ყიდულობენ. ხალხი ამბობს, ქურდები არიანო და გარეთ არაფერს ვტოვებთ. ჩვენთვის არაფერი მოუპარავთ.

ნამცხვრით პირგამოტენილმა ბილმა ბადეაკრული ფანჯრიდან გზას გახედა.

— დროა შენი ავლა-დიდება თოკით დააბა, იმიტო რო სტუმრები გყავს.

1925 წლის „ნეში"გზატკეცილიდან გადმოიზლაზნა. უკანა საჯდომი სავსე იყო ტომრებით, ქვაბებით, ტაფებით. ზედ ორი ბიჭი იჯდა, თავები ლამის სახურავისთვის მიებჯინათ. მანქანის თავზე ლეიბი და დაკეცილი კარავი იდო; კარვის საყრდენები თოკით მანქანის საფეხურზე დაემაგრებინათ. მანქანა

ბენზინგასამართ სვეტთან გაჩერდა და კაცი გადმოვიდა, მუქი თმა და მოგრძო პირისახე ჰქონდა. ბიჭები ბარგიდან გადმოძვრნენ და მიწაზე დახტნენ.

მეი დახლიდან გამოვიდა და ღია კარში დადგა. კაცს ნაცრისფერი შალის შარვალი და ლურჯი პერანგი ეცვა. პერანგი იღლიების ქვეშ და ზურგზე ოფლისგან დასველებოდა, ბიჭებს მხოლოდ სამუშაო შარვლები ეცვათ, მეტი არაფერი. ქერა თმის ღერები ზღარბის ეკლებივით ედგათ თავებზე. სახეები მტვრით შებათქაშებოდათ. პირდაპირ წყლის მილთან მივიდნენ და ფეხის თითები ტალახიან გუბურაში ჩაყვეს.

კაცმა იკითხა:

— მემ, შეიძლება წყალი ჩავასხათ?

მეის სახეზე უკმაყოფილებამ გადაურბინა.

— რასაკვირველია, ჩაასხით. — უპასუხა მეიმ და თავისთვის ჩაიბურტყუნა: — შლანგს თვალს არ მოვაშორებ. — იდგა და უცქერდა. კაცმა რადიატორს თავსახური ფრთხილად მოხსნა და შლანგს შიგ თავი ჩააყოფინა.

მანქანიდან ქერა ქალმა გადმოსძახა: — ჰკითხე, იქნებ აქვთ.

კაცმა რადიატორიდან შლანგი ამოიღო და თავსახური დაახრახნა. პატარა ბიჭებმა მამას შლანგი ჩამოართვეს და წყალს დაეწაფნენ. კაცმა ლაქიანი ქუდი მოიხადა და რაღაც უცნაურად დარცხვენილი ბადეაკრული კარის წინ დადგა.

— იქნებ თქვენთან პურის ყიდვა შეიძლება, მემ?

— ეს საბაყლო არ არის, პურს ჩვენც ვყიდულობთ და სენდვიჩებს ვამზადებთ, — უპასუხა მეიმ.

— ვიცი, მემ, — მის სიმორცხვეში შეუპოვრობა ისმოდა, — მაგრამ პური გვჭირდება და მაღაზიამდე ძალიან შორია.

— გავყიდით და არაფერი დაგვრჩება, — მეი მერყეობდა.

— მშივრები ვართ, — თქვა კაცმა.

— სენდვიჩები იყიდეთ, კარგი სენდვიჩები გვაქვს.

— სიამოვნებით, მაგრამ არ შეგვიძლია, ათი ცენტი უნდა ვიმყოფინოთ, — და დაბნეულმა დაამატა, — ძალიან ცოტა ფული გვაქვს.

— ათ ცენტად პურს ვერ იყიდით, ჩვენ მხოლოდ თხუთმეტ-ცენტიანი პური გვაქვს.

— ღმერთო, მეი, რას აკეთებ. მიეცი ხალხს პური, — წაიბურტყუნა ელმა.

— არ გვეყოფა, ვინ იცის, პურის მანქანა როდის მოვა.

— არ გეყოფა? ჯანდაბას შენი თავი! — თქვა ელმა და გაბრაზებულმა კარტოფილის სალათის მორევა დაიწყო.

მეიმ ფუმფულა ბეჭები ისე ასწია, თითქოს მძღოლებს ეუბნებოდა, ნახეთ, რა დღეში ვარო, მაგრამ კარი მაინც გააღო.

კაცი შევიდა და თან ოფლის სუნი შეიტანა. ბიჭებმა მაშინვე კანფეტების ყუთთან მიირბინეს, დააშტერდნენ — მათ თვალებში ვერც სიხარბეს ამოიკითხავდით, ვერც სურვილს და ვერც იმის იმედს, რომ იქნებ გაესინჯათ: უბრალოდ გაოგნებულები უცქერდნენ — მართლა არსებობს ასეთი რაღაცები? ერთმანეთს ძალიან ჰგავდნენ, ორივე ერთი სიმაღლის იყო. ერთი ფეხის თითებით მეორე ფეხის კოჭს იქავებდა. მეორემ რაღაც წასჩურჩულა და ორივემ მკლავები ძირს დაუშვა, ხელები შარვლის ჯიბეში ჩაიყვეს; თხელი ლურჯი ნაჭრიდან კარგად ჩანდა. როგორ შეკრეს მუშტები.

მეიმ უჯრა გამოსწია და ცვილის ქაღალდში გახვეული ოთხკუთხა ფორმის პური ამოიღო.

— აი, თხუთმეტცენტიანი პური.

კაცმა ქუდი უკან გადაიწია და ისევ მორცხვად ჰკითხა:

— არ შეგიძლიათ... იქნებ... ათი ცენტისას ხომ ვერ ჩამომიჭრიდით?

— ღმერთო, რას აკეთებ, პური მიეცი! — დაიღრინა ელმა.

— არა, მისტერ, ჩვენ უბრალოდ ათი ცენტის პური გვინდა. ყველაფერს ვითვლით, ისე კალიფორნიამდე ვერ ჩავაღწევთ.

— აიღეთ ათ ცენტად. მორჩილად თქვა მეიმ.

— ოჰ, მემ, თქვენი დაზარალება არ მინდა.

— აიღეთ, აიღეთ, რადგან ელი ამბობს... — თქვა მეიმ და ცვილის ქაღალდში გახვეული პური დახლიდან გადააწოდა.

კაცმა უკანა ჯიბიდან ტყავის ქისა ამოიღო, ზონარი შეხსნა და გადაშალა. ქისა ვერცხლის ხურდით იყო სავსე. შიგ რამდენიმე გაზეთილი ქაღალდის ფულიც ეგდო.

— ასეთი ხელმომჭირნეობა სასაცილოც კია, — მოიბოდიშა მან, — მაგრამ ათასობით მილი გვაქვს გასავლელი, არც კი ვიცი, შევძლებთ თუ არა. — საჩვენებელი თითით ქისა მოჩხრიკა, ათცენტიანი იპოვა და ამოიღო. დახლზე რომ დადო, დაინახა, რომ ათცენტიანს ერთი ცენტი ამოჰყოლოდა. ის იყო ქისაში უნდა დაებრუნებინა, რომ უცებ კანფეტების ყუთის წინ გაშეშებულ ბიჭებს მოჰკრა თვალი. ბიჭებს ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა და თითი პიტნის გრძელი ზოლიანი ყინულკარამელისკენ გაიშვირა:

— ერთცენტიანი კანფეტები თუ გაქვთ, მემ?

მეიმ ყუთში ჩაიხედა და ჰკითხა:

— რომელი?

— აი, ზოლიანი, მემ.

ბიჭებმა თვალები დაჭყიტეს, სუნთქვა შეწყვიტეს და პირები დააღეს; ისე იდგნენ. ქვისგან გამოთლილები გეგონებოდათ.

— ა, ესენი? ორ ცალში ერთი ცენტი.

— კარგი, მემ, ორი ცალი მომეცით. — თქვა კაცმა და ერთცენტიანი ფრთხილად დადო დახლზე.

ბიჭებმა ამოისუნთქეს.

მეიმ ყუთიდან ორი გრძელი ჯოხი ამოიღო.

— აიღეთ, — უთხრა კაცმა ბავშვებს.

მორცხვად ჩამოართვეს და ხელები ისე დაუშვეს ქვევით, კანფეტებისთვის არც კი დაუხედავთ. სამაგიეროდ, ერთმანეთს შეხედეს და პირის კუთხეები დაბნეულობისგან ოდნავ შეუტოკდათ.

— მადლობა, მემ. — თქვა კაცმა, პური აიღო და გავიდა. დაძაბულობისგან გაშეშებული ბიჭები მწყობრი ნაბიჯით გაჰყვნენ. მკლავებდაშვებულები მიდიოდნენ, წითელზოლებიანი კანფეტები ხელში ჩაებღუჯათ. მერე ციყვებივით ისკუპეს. ბარგის თავზე მოექცნენ და თვალს ფაცაფუცით მოეფარნენ.

კაცი საჭეს მიუჯდა და მანქანა დაქოქა. წარღვნისდროინდელი „ნეში“ აგრუხუნდა, ლურჯი, ზეთგარეული კვამლი გამოაფრქვია, გზატკეცილზე გავიდა და გეზი დასავლეთისკენ აიღო.

რესტორნიდან სატვირთოს მძღოლები, მეი და ელი იცქირებოდნენ. დიდი ბილი მკვეთრად შეტრიალდა მეისკენ:

— ეგეთი კანფეტები ცენტი არ ღირს.

— შენ რა გადარდებს? — გაწიწმატდა მეი. — თითო ხუთი ცენტი მაინც ღირს.

— წავედით, — თქვა მეორე კაცმა, — დროს ვკარგავთ.

ბილმა ჯიბეზე ხელი გაიკრა და დახლზე მონეტა დადო. ეს რომ მეორემ დაინახა, ჯიბეები მოიჩხრიკა და მონეტა მანაც დადო. მერე შეტრიალდნენ და კარისკენ გაემართნენ.

— აბა, კარგად, — თქვა ბილმა.

— ერთი წუთით, ხურდა გეკუთვნით. — დაუძახა მეიმ.

— მიდი რა! — გასძახა ბილმა და ბადეაკრული კარი გაიჯახუნა.

მეიმ თვალი გააყოლა. კაცები დიდ სატვირთოში ჩასხდნენ. მანქანა მძიმედ დაიძრა, შემდეგ ერთი დაიგრუხუნა, სიჩქარე აკრიფა და გზა განაგრძო.

— ელ, — თქვა მეიმ ხმადაბლა. ელმა კოტლეტიდან, რომელსაც ცვილიან ქაღალდზე ატყეპებდა, თვალები ასწია.

— რა გინდა?

— ნახე, — თითი იქვე, ჭიქებთან მიყრილი მონეტებისკენ გაიშვირა — ორი ნახევარდოლარიანი. — ელი ახლოს მივიდა, ფულს დახედა და სამუშაოს დაუბრუნდა.

— სატვირთოს მძღოლები, — შთაგონებული ხმით თქვა მეიმ, — იმ დამპლებს კი არ ჰგვანან.

ბუზები ბადეს მიაწყდნენ და შემდეგ ბზუილით გაიფანტნენ. კომპრესორმა დაიხვნეშა და ისევ გაჩუმდა. 66-ზე, მეის ბარის წინ, გნიასით, დამცინავი ზუზუნით მიქროდნენ სატვირთოები, აეროდინამიკური ფორმის მანქანები, ჯაბახანები. მეიმ თეფშებიდან ღვეზელის ნარჩენები ჩამოფხიკა და სათლში ჩაუძახა. ტილო აიღო და დახლი წრიული მოძრაობით მოასუფთავა. თვალი 66-სკენ გაურბოდა, იქით, საითაც ცხოვრება მიედინებოდა.

ელმა ხელი წინსაფარზე შეიწმინდა და კედელზე, ქურის თავზე გაკრულ ქაღალდს ახედა. ქაღალდზე სამ სვეტად ჩამოყოლებული ნიშნები იყო გამოსახული. ელმა ყველაზე მაღალ სვეტზე რაღაც გამოთვალა, დახლის გასწვრივ, სალარო აპარატთან მივიდა და „()— ()“ ღილაკს დააჭირა მერე სალაროს უჯრიდან ერთი მუჭა ხურდა ფული ამოიღო.

— რას აკეთებ? — ჰკითხა მეიმ.

— ნომერი სამი მზად არის გადასახდელად. — უპასუხა ელმა. მესამე სათამაშო აპარატთან მივიდა და შიგ ერთმანეთის მიყოლებით ხუთცენტიანები ჩაყარა. მეხუთეჯერ რომ დატრიალდა, სამი ნული გამოჩნდა, ზევით ამოიწია და თასში ჯეკპოტი ჩაიყარა. ელმა თასიდან ბღუჯა ხურდა ამოიღო, სალარო აპარატთან მივიდა, ხურდა უჯრაში ჩაყარა, თავახდილი აპარატი ბრახუნით დახურა და ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა. მერე კედელზე გაკრულ ქაღალდზე წერტილები გადახაზა.

— მესამე აპარატთან უფრო მეტი ხალხი მიდის, იქნებ ადგილი შევუცვალო? — ტაფას თავსახური ახადა და ჩაშუშულს მოურია.

— ნეტა კალიფორნიაში რა უნდა გააკეთონ? — იკითხა მეიმ.

— ვინ? — აი, ცოტა ხნის წინ აქ რო იყვნენ, იმათ.

— ღმერთმა იცის.

— სამუშაოს იშოვნიან?

— მე საიდან უნდა ვიცოდე?

მეიმ გზატკეცილს გახედა. — აი, მისაბმელიანი სატვირთო მოდის, იქნებ გააჩეროს, — უზარმაზარმა სატვირთომ სვლა შეანელა, გზატკეცილიდან გადმოვიდა და გაჩერდა. მეი ტილოს დასწვდა, დახლი გადაწმინდა, ერთი-ორჯერ პრიალა ყავის აპარატსაც გადაუსვა და გაზს აუწია. ელმა რამდენიმე ცალი თალგამი გამოიტანა და გათლა დაიწყო. კარი გაიღო და სატვირთოს უნიფორმიანი ორი მძღოლი გამოჩნდა. მეის სახე გაებადრა.

— გამარჯობა, ჩემო დაო!

— მე რო არცერთი კაცის დობა არ მინდა! — შეჰღიმა მეიმ. კაცებმა გულიანად გაიცინეს.

— აბა, რა მოგართვათ?

— თითო ჭიქა იავური. რისი ნამცხვრები გაქვთ?

— ანანასის, ბანანის, შოკოლადის, ვაშლის.

— ვაშლის იყოს. არა, მოიცა, ის ფუმფულა ნამცხვარი რი-სია?

მეიმ ნამცხვარი აიღო და დაყნოსა.

— ანანასისაა, — თქვა მან.

— კარგი, დიდი ნაჭერი ჩამომიჭერი.

ნნ-ზე მანქანები ავისმომასწავებლად სისინებდნენ.

16.

ჯოუდები და უილსონები ერთად ბობღვით მიიწევდნენ დასავლეთისკენ: ელ რენო და ბრიჯპორტი, კლინტონი, ელკ სიტი, სეირი და ტექსოლა. აი, საზღვარიც და ოკლაჰომა უკან ჩამოიტოვეს. იმ დღეს მანქანებმა ნელ-ნელა, ზლაზვნით გაიარეს ტეხასი, შემროკი და ალანრიდი, გრუმი და იარნელი, საღამოს ამარილიოში შევიდნენ, კარგა ხანს იარეს და რომ შებინდდა, დასასვენებლად შეჩერდნენ. დაღლილები და მტვრიანები იყვნენ, სცხელოდათ, ბებოს ლამის გული შეწუხებოდა. მანქანიდან რომ გადმოვიდა, თავს ძალიან სუსტად გრძნობდა.

როგორც კი ჩამობნელდა, ელმა ვიღაცის ღობეს სარები ამოაძრო, სატვირთოს ძარაზე ორი მხრიდან დაამაგრა და ბრეზენტის გადასაჭიმად გაამზადა. იმ ღამეს ვახშმად საუზმიდან მორჩენილი, ცივი, გამხმარი კვერები ჰქონდათ. ლეიბებზე ტანსაცმლიანად დაეყარნენ და დაიძინეს. უილსონებს კარავიც კი არ გაუშლიათ.

ჯოუდებსა და უილსონებს ახლა ტეხასი უნდა გაევლოთ, რუხი მიწა, რომელსაც გარდასული წყალდიდობების იარები ჯერ კიდევ ეტყობოდა. ოკლაჰომადან ტეხასში — სადაც მტვერში კუები დაბობღავდნენ, სადაც მიწას მზე დაუნდობლად ამათრახებდა და როცა საღამოობით ცა გრილდებოდა, გავარვარებულ მიწას სიცხის ოხშივარი ასდიოდა.

ორი დღის განმავლობაში გზას არ ეპუებოდნენ. შეუჩერებლივ გარბოდნენ, მაგრამ მესამე დღეს გზამ იმარჯვა და და-

იმორჩილა, ახლებური ცხოვრების მარწუხებში მოაქცია. გზატკეცილი მათი სახლი გახდა, მოძრაობა კი, გამოხატვის საშუალება. ახალ ცხოვრებას ნელ-ნელა ყოველი მათგანი შეეგუა. ჯერ რუთი და უინფილდი, მერე ელი, კონი და შარონის ვარდი, ბოლოს უფროსები.

გზა ოკეანის უზარმაზარი გაქვავებული ტალღასავით გორავს. უილდორადო და ვეგა და ბოისი და გლენრიო. აქ ტეხასი მთავრდება. ნიუ მექსიკო და მთები. მაღლა, ცისკენ აწვდილი მთები. ორივე მანქანის ბორბლები ჭრიალებდა. გადახურებული ძრავები თუხთუხებდა, რადიატორებიდან ორთქლი იფრქვეოდა. მდინარე პეკოსი სანტა როზასთან გადაკვეთეს და კიდევ ოცი მილი გაიარეს.

ელ ჯოუდი მსუბუქ მანქანას მართავდა. მის გვერდით დედა და შარონის ვარდი ისხდნენ. მანქანა ნელა მიიწევდა წინ, მიწას დატალღული ცხელი ჰაერი დასტრიალებდა, შორს მთები ცახცახებდნენ. ელი მოშვებული იჯდა. საზურგეს მიყრდნობოდა, ხელი საჭეზე ჩამოედო; ნაცრისფერი სასაცილოდ აწოწოლავებული ქუდი გვერდზე მოეგდო და ცალ თვალზე ჩამოეფხატა. დროდადრო თავს ატრიალებდა და ფანჯრიდან იფურთხებოდა. დედას ხელები კალთაში ჩაეწყო და ცდილობდა. დაღლილობას გამკლავებოდა. იჯდა და მანქანის მოძრაობის რიტმს აყოლილი ირწეოდა. მოჭუტული თვალებით მთებს გასცქეროდა. შარონის ვარდი თავის დაჭერას ცდილობდა. ფეხები გარდიგარდმო დაეწყო, მარჯვენა იდაყვით კარის სახელურს დაყრდნობოდა. მრგვალ სახეზე დაძაბულობა ეტყობოდა. ყოველ მოძრაობაზე კისრის ძარღვები ეჭიმებოდა და თავი უქანქარებდა. დროდადრო წინ იხრებოდა, ცდილობდა დარტყმები აერიდებინა, რომ ნაყოფს ისე დაცულად ეგრძნო თავი, როგორც უძრავ ჭურჭელში. შარონმა დედას შეხედა.

— დე, — დაუძახა დედას. დედას თვალები გამოუცოცხლდა და მზერა შარონის მრგვალ, დაღლილ, დაძაბულ სახეზე გადაიტანა. — დე, იქ რო ჩავალთ, ხილის კრეფას და სოფელში ცხოვრებას აპირებთ, არა?

დედამ ოდნავ დამცინავად გაიღიმა.

— ჯერ არ ჩავსულვართ და რა გითხრა, აბა. ვნახოთ, წინასწარ არაფრის თქმა შეიძლება.

— დე, მე და კონის სოფელში ცხოვრება აღარ გვინდა, — თქვა შარონმა. — ყველაფერი უკვე დაგეგმილი გვაქ.

დედას აღელვება დაეტყო.

— ჩვენთან დარჩენა აღარ გინდათ? ოჯახიდან მიდიხართ?

— მე და კონიმ ბევრი ვილაპარაკეთ. დე, ქალაქში ცხოვრება გვინდა. — აღტაცებით საუბრობდა, — კონი სამუშაოს იშოვის, სადმე სახელოსნოში ან ქარხანაში, თან სწავლას აპირებს, რამე კურსს აიღებს, რადიოს ან რამეს და სახლში იმეცადინებს, რო ისწავლის, იქნებ თავის სახელოსნო გახსნას. ხანდახან კინოში ვივლით. კონი ამბობს, ბავშვი ექიმმა უნდა გაგაჩენინოსო, ვნახოთ, საქმე როგორ წავა და იქნებ საავადმყოფოში დაგაწვინოთო, პატარა მანქანასაც ვიყიდით და სწავლას რო დაამთავრებს... „Western Love Stories“—დან ბლანკიანი გვერდი ამოხია, კურსზე განაცხადი უნდა გააგზავნოს, გაგზავნა უფასოა, ეგრე წერია, მე თითონ ვნახე. ამ კურსს ვინც გაივლის, ასაქმებენ კიდეც: სუფთა სამუშაოა. მომავლისთვის კარგია. ქალაქში ვიცხოვრებთ და როცა მოგვინდება, მაშინ წავალთ კინოში... ელექტრო უთო მექნება, ბავშვს ყველაფერს ახალს ვუყიდით. კონი ამბობს, ყველაფერი ახალი უნდა ქონდესო, თეთრი... კატალოგში ხო გინახავს, რეები აქვთ ბავშვებისთვის. შეიძლება თავიდან, სანამ კონი სწავლას დაამთავრებს, ადვილი არ იყოს, მაგრამ ბავშვი რო

გაჩნდება, იქნებ უკვე დამთავრებული ჰქონდეს სწავლა და ჩვენთვის პატარა კუთხეც მოვძებნოთ. სუ პატარა, განსაკუთრებული რამე კი არ გვინდა, უბრალოდ, ბავშვმა რო კარგად იგრძნოს თავი, — აღტაცებისგან სახე უბრწყინავდა, — და ვიფიქრე... ჩემთვის ვიფიქრე, იქნებ ყველა ქალაქში წავიდეთ და კონი რო სახელოსნოს გახსნის, ელმა იქ იმუშაოს.

დედა შარონის აღაჟღაჟებულ სახეს თვალს არ აშორებდა. მისი გამომეტყველების ცვლილებებს აკვირდებოდა.

— ჩვენ არ გვინდა, რო წახვიდე, ოჯახის დაშლა კარგი არ არი.

ელმა დამცინავად ჩაიფრუტუნა:

— და მე კონისთვის ვიმუშაო ხო? თითონ რო იმუშაოს ჩემთვის არ უნდა? რას ფიქრობს, მარტო მაგ ნაბიჭვარს შეუძლია ღამით მეცადინეობა თუ რა!

უცებ დედა მიხვდა, რომ შარონი ოცნებობდა. თავი ისევ წინ მიატრიალა, მაგრამ დაძაბულობა მოეხსნა და თვალებში ღიმილი აუკიაფდა.

— ნეტა ბებო როგორ არი დღეს, — თქვა მან.

ელმა ხელები საჭეს მაგრად ჩასჭიდა. ძრავაში რაღაც ათახთახდა. სიჩქარეს მოუმატა და ხმაურმაც იმატა. მუხრუჭს დააჭირა, ისევ სიჩქარეს მოუმატა; ახლა ლითონის ჩხაკუნი გაისმა. ელმა საყვირს დააჭირა, მანქანა გვერდზე გადაიყვანა. წინ მიმავალმა სატვირთომ სვლა შეანელა. გვერდზე გადავიდა და უკან დაიხია. სამი მანქანა დასავლეთისკენ მიქროდა, სამივემ ერთად ააკივლა საყვირი. ერთმა მძღოლმა ფანჯრიდან თავი გადმოჰყო და დაიძახა: — სად ჯანდაბაში აჩერებ. წინ ვერ იყურები?

ტომმა ახლოს მიიყვანა სატვირთო, გადმოვიდა და მსუბუქ მანქანას მიუახლოვდა. გაჩერებული სატვირთოს ძარადან

თავებმა გადმოიხედეს. ელმა მანქანა დაქოქა და ადგილზე უქმად აბრახუნებულ ძრავას ყური მიუგდო.

— რა მოხდა, ელ? — ჰკითხა ტომმა.

ელმა სიჩქარეს მოუმატა.

— ერთი მოუსმინე, რა. — ლითონის ბრახუნი უფრო ხმამაღლა ისმოდა. ტომმა ყური მიუგდო.

— უქმ სვლაში ჩააგდე, — უთხრა ელს. — კაპოტი ახადა და თავი შიგ შეჰყო.

— ეხლა გაზი მიეცი, — ცოტა ხანს უსმენდა, მერე კაპოტი დახურა.

— მგონი მართალი ხარ, ელ. — უთხრა ელს.

— ბარბაცას ქვედა თავის სადებია, არა?

— ეგრე ჩანს.

— იმდენი ზეთი ჩავასხი, — დაიწუწუნა ელმა.

— იქამდე არ მიდიოდა. სუ გამომხმარა ეგ ოხერი. რას იზამ. უნდა გამოვცვალოთ. მისმინე. წინ წავალ და სადმე ვაკე ადგილს ვნახავ, რო გავჩერდეთ. შენ ფრთხილად დაძარი, სუ არ ჩაიშალოს.

— ცუდად არი საქმე? — იკითხა უილსონმა.

— არი, რა. — თქვა ტომმა, სატვირთოსთან დაბრუნდა, დაქოქა და წინ წავიდა.

— რა მოუვიდა, არ ვიცი, ზეთი არ დამნანებია, — ელმა იცოდა, რომ ბრალი მას ედებოდა. ხვდებოდა, რომ საქმეს თავი ვერ გაართვა.

— რა შენი ბრალია, შენ ყველაფერი სწორად გააკეთე, — უთხრა დედამ და თან მორიდებით ჰკითხა:

ძალიან ცუდად არი საქმე?

— რა ვიცი, აბა, სანამ იმას გამოვცვლით... ან ბაბიტი უნდა ჩავასხათ, — ღრმად ამოიოხრა, — რა კარგია, ტომი რო აქ

არი. საკისარი არასდროს შემიკეთებია, იქნებ ტომმა შეძ-ლოს.

წინ, გზის ნაპირას, უზარმაზარი წითელი სარეკლამო დაფა იდგა და იქაურობას წაგრძელებულ ჩრდილს ჰფენდა. ტომმა გზიდან გადაუხვია, პატარა გზისპირა არხი გადაკვეთა, მანქა-ნა ჩრდილში გააჩერა და ელს დაელოდა.

—ნელა იარე. — დაუძახა ელს. — ნელა, თორე რესორსაც გატეხავ.

ელს სიბრაზისგან სახე აუჭარხლდა. ძრავა გამორთო.

— ეგ რას ნიშნავს? მე დავწვი შუასადები თუ რა! რესორიც არ გავტეხო არა? რა ჯანდაბას ამბობ?

ტომმა ჩაიცინა.

— კაი, დაწყნარდი, არ გსაყვედურობ, — უთხრა ელს, — უბ-რალოდ, თხრილზე ფრთხილად გადაატარე.

ელმა მანქანა მეორე მხარეს გადაიყვანა, თან ბურტყუნებ-და: — კიდე ვიღაცას ჩააგონებს რო ჩემი ბრალია. — ძრავა ხმამაღლა ბრახუნობდა. ელმა ჩრდილში გააჩერა და ძრავა ჩააქრო. ტომმა კაპოტი ახადა.

— სანამ გაგრილდება, ხელის ხლება არ შეიძლება, — თქვა მან. — ოჯახის წევრები ერთიმეორის მიყოლებით ჩამოლაგ-დნენ და თავი მსუბუქ მანქანასთან მოიყარეს.

— რა ამბავია? — იკითხა მამამ, — და იქვე ჩაცუცქდა. ტომი ელისკენ შეტრიალდა:

— როდესმე შეგიკეთებია?

— არა, — უპასუხა ელმა, — არასდროს. კარტერი კი მომიხ-სნია.

— კარტერი უნდა მოიხსნას, ბარბაცაა ამოსაღები. ახალი ნაწილის შოვნა დაგვჭირდება. მერე გავხვრიტავთ, ჩავდგამთ და მოვჭიმავთ. ერთი დღის საქმეა. სანტა როზაში დაბრუნება

მოგვიწევს, ნაწილი იქ უნდა ვიყიდოთ. ალბუკერკემდე სამოცდათხუთმეტი მილია — უჰ, ტფუი ხვალ კვირაა ვერაფერს გავაკეთებთ, — ყველა ჩუმად იყო. რუთი ახდილი კაპოტის ქვეშ იყურებოდა, უნდოდა, რომ გატეხილი ნაწილი დაენახა. ტომმა დაბალი ხმით განაგრძო: — ხვალ კვირაა, ორშაბათს იმ ნაწილს ვიშოვით და ალბათ სამშაბათისთვის უკვე მზად გვექნება. ხელსაწყოები არა გვაქ, რო ადვილად შევაკეთოთ. წვალება მოგვიწევს.

მიწას კაკაჩას ჩრდილმა გადაუარა. ყველამ ზევით აიხედა და მაღლა ცაში მოლივლივე შავ ფრინველს თვალი გააყოლა.

— ყველაზე ძაან იმის მეშინია, რო ფული გაგვითავდება და იქამდე ვერ ჩავალთ. ამდენი ხალხი ვჭამთ, ზეთს და ბენზინს ვყიდულობთ, რა უნდა ვქნათ, არ ვიცი, ფული რო გაგვითავდეს, — თქვა მამამ.

— ყველაფერი ჩემი ბრალია, ეს ჯართი შარის მეტი არაფერია, — თქვა უილსონმა, — თქვენ იმხელა სიკეთე გამოიჩინეთ, ეხლა დროა, რო ბარგი გადააწყოთ და წახვიდეთ. მე და სეირი აქ დავრჩებით და რამეს მოვიფიქრებთ. ჩვენ არ შეგაფერხებთ.

— ჩვენ მაგას არ ვიზამთ, უკვე ნათესავებივით ვართ. პაპა თქვენ კარავში მოკვდა.

— მარტო ტვირთი ვართ თქვენთვის, მეტი არაფერი, — თქვა სეირიმ.

ტომმა თუთუნი შეახვია, დახედა, შეამოწმა და მოუკიდა. გაქუცული კეპი მოიხადა და შუბლი მოიწმინდა.

— ერთი აზრი მომივიდა, იქნებ არავის მოგეწონოთ, მაგრამ აი, რა ვიფიქრე: რაც მალე ჩავალთ კალიფორნიაში, ფული მით მალე გვექნება. ეს მანქანა ორჯერ უფრო სწრაფად

დადის, ვიდრე სატვირთო, ჰოდა, გადააწყეთ ბარგის ნაწილი და ყველა წადით. მე და მქადაგებელი დავრჩებით, მანქანას შევაკეთებთ და წამოვალთ, დღე და ღამე ვივლით და დაგეწევით. თუ გზაზე ვერ შეგხვდით, ესე იგი, გვეცოდინება, რო სამუშაო დაიწყეთ. თუ რამე მოხდა, გზის პირას გაჩერდით და დაგვიცადეთ, თუ არადა, ჩახვალთ და სამუშაოს დაიწყებთ. სუ ეგ არი. კეისი დამეხმარება, მალე წამოვალთ.

ოჯახი დაფიქრდა. ძია ჯონი მამას გვერდით ჩაცუცქდა,

— ჩემი დახმარება არ დაგჭირდება? — ჰკითხა ელმა.

— შენ არ თქვი, არასდროს შემიკეთებიაო?

— ჰო, ეგრეა, — დაეთანხმა ელი. — აქ მაგარი ხელია საჭირო, მეტი არაფერი. იქნებ მქადაგებელს არ უნდა დარჩენა?

— რა ვიცი, ვინმე, ჩემთვის სულერთია, — თქვა ტომმა.

მამამ გამომხმარი მიწა თითით მოჩიჩქნა.

— მე მგონი, ტომი მართალია. რას გავაკეთებთ, ყველა აქ რო დავრჩეთ? დაღამებამდე ორმოცდაათი-ასი მილის გავლას მოვასწრებთ.

— რო ვერ გვიპოვო? — თქვა შეწუხებულმა დედამ.

— ერთ გზაზე მივდივართ, — უთხრა ტომმა, — 66-ზე პირდაპირ ივლით, ბეიკერსფილდში ჩახვალთ და ჩვენც იქ მოვალთ. ხო ნახე რუკაზე. გზა პირდაპირ იქ მიდის.

— ხო, მაგრამ კალიფორნიაში რო ჩავალთ და გვერდზე რო გადავუხვიოთ?..

— არ იდარდო. — დაამშვიდა ტომმა. — გიპოვით. კალიფორნია მთელი მსოფლიო ხო არაა.

— რა ვიცი, რუკაზე იმხელაა, რო შეგეშინდება, — თქვა დედამ.

— ჯონ, შენ რას ფიქრობ, გავრისკოთ?

— გავრისკოთ, — უპასუხა ჯონმა.

— მისტერ უილსონ, ეს მანქანა თქვენია. რამე საწინააღ-მდეგო ხო არ გექნებათ, ჩემმა ბიჭმა რო შეაკეთოს და მერე დაგვეწიოს?

— საწინააღმდეგო როგორ მექნება რამე. ჩვენთვის იმდენი გააკეთეთ.

— ჩვენ თუ ვერ დაგეწიეთ, თქვენ მაინც იმუშავებთ და ცოტა ფულსაც დააგროვებთ, — თქვა ტომმა, — ვთქვათ, ყველამ აქ დარჩენა გადავწყვიტეთ, რა იქნება? წყალი აქ არ არი და ამ მანქანას ადგილიდან ვერ დავძრავთ. მაგრამ წარმოიდგი-ნეთ, რო წახვედით და იქ მუშაობა დაიწყეთ. ფული გაგიჩნდე-ბათ, იქნებ პატარა სახლიც იყიდოთ. რას იტყვი, კეისი, დამეხ-მარები?

— თქვენი ოჯახისთვის ყველაფერს გავაკეთებ. შემიფარეთ, წამომიყვანეთ... რასაც მეტყვით, იმას გავაკეთებ.

— კარგი, იცოდე, აქ თუ დარჩები, ზურგზე იწვები და ცხვირ-პირი ზეთით დაგეთხუპნება, — უთხრა ტომმა.

— ეგრე იყოს.

— თუ გადავწყვიტეთ, ჯობია უკვე დავიძრათ. სანამ გავჩერ-დებით, ასი მილი მაინც გვაქ გასავლელი.

დედამ ნაბიჯი გადადგა და მამას წინ დადგა. — მე არ მოვ-დივარ.

— რას ნიშნავს, არ მოვდივარ? უნდა წამოხვიდე, ოჯახს უნ-და მიხედო, — მამა ამბოხმა გააღიზიანა.

დედა მანქანასთან მივიდა. იატაკზე ხელი მოაფათურა, დომკრატი გამოათრია, გაიმართა, თან დომკრატი ხელიდან ხელში გადაჰქონდა.

— არ მოვდივარ, — თქვა დედამ.

— მოდიხარ, უკვე გადაწყვეტილია.

დედას სახე გაუმეხდა და ხმადაბლა თქვა:

— ერთადერთი თუ მცემ და ისე წამიყვან, ჩემით არ წამოვალ, — დომკრატი წინ გამოსწია. — და შეგარცხვენ იცოდე. ტირილს და ხვეწნა— მუდარას არ ვაპირებ. სამაგიეროს დაგიბრუნებ. საქმე თუ მორევაზე მიდგა, ღმერთს ვფიცავ, მოვითმენ, დაგელოდები და რო გატრიალდები და დაჯდები, უკნიდან მოგეპარები და სათლს ჩამოგამხობ. ვფიცავ, არ შეგარჩენ.

მამამ უმწეოდ მიმოიხედა.

— რას ბაქიბუქობს! — თქვა მამამ, — ესეთი არასდროს მინახავს.

რუთი გულიანად ხითხითებდა.

დედას ხელში დომკრატი აშკარად იმუქრებოდა. — უკვე ხო გადაწყვიტე ყველაფერი, მოდი, დამარტყი, ერთი სცადე, სცადე-მეთქი! მე არ მოვდივარ! მაგრამ ძალით თუ წამიყვან, იცოდე, ძილი რა არის დაგავიწყდება. იმდენხანს დავიცდი, სანამ ძილი არ წაგიღებს, მერე თავს დაგაცხრები და შეშას ჩაგათხლიშავ.

— რამ გააგიჟა, რას ბაქიბუქობს, ახალგაზრდაც აღარ არი... — ბუტბუტებდა მამა.

ამ ამბოხს ოჯახი გატრუნული აკვირდებოდა. მამა საცაა უნდა აფეთქებულიყო. ხელებზე დასცქეროდნენ, რომლებიც წესით მუშტად უნდა შეეკრა, მაგრამ მამას ბრაზი არ ემატებოდა, ხელებჩამოშვებული იჯდა და იმ წუთში ყველა მიხვდა, რომ დედამ გაიმარჯვა. ეს დედამაც შესანიშნავად იცოდა.

— დე, რამ გიკბინა? რაში გჭირდება ამხელა ამბის ატეხვა? რა მოგივიდა? რატო გვიბრაზდები?

დედას სახე მოულბა. თვალები კი ისევ მრისხანედ უელავდა.

— ბევრი იფიქრეთ რო ესე გადაგეწყვიტათ, არა? ამ ცხოვრებაში სხვა რა დაგვრჩენია? ერთმანეთი და ოჯახი. წამოვედით თუ არა, პაპამ ფეხები გაჭიმა, ეხლა რა გინდათ, კიდე რო დაშალოთ ოჯახი?

— დე, მალე დაგეწევით, არ დავიგვიანებთ, არა! — წამოიყვირა ტომმა.

დედამ დომკრატი აათამაშა.

— დავუშვათ, სადმე გავჩერდით, ვერ დაგვინახეთ და ჩაგვიარეთ, დავუშვათ, ჩავედით, სად წავიდეთ, სიტყვა სად დაგიტოვოთ ან თქვენ როგორ მოგვძებნით? — განაგრძო დედამ. — ძნელი გზა გვაქ გასავლელი, ბებო ზევით წევს და სიკვდილს ნატრობს, ისეა დასუსტებული, ალბათ პაპას მიჰყვება. წინ მარტო სირთულეები გველოდება.

ძია ჯონმა თქვა:

— ცოტა ფულს ვიშოვიდით, იქნებ გადადებაც მოგვეხერხებინა და მერე ისინიც ჩამოვიდოდნენ.

ყველამ დედას შეხედა. ძალაუფლება მის ხელთ იყო, იქაურობას ის განაგებდა.

— ეგეთი ფული სიკეთეს არ მოგვიტანს, — თქვა მან, — ჩვენი სიმდიდრე ოჯახის ერთად ყოფნაა. მგელი რო თავს ესხმის, ძროხებიც კი ერთად დგებიან. სანამ ყველა აქ ვართ, არ მეშინია, ყველა, ვინც ცოცხალია; ოჯახის დაშლას არავის დავანებებ. ჩვენთან ერთად უილსონები და კეისი არიან. ისინი თუ წავლენ, ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ჩემს ოჯახს თუ ვინმე დანგრევას უპირებს, იცოდეთ, ჩემს თავზე პასუხს არ ვაგებ, — დედამ დომკრატი შემართა. ბოლო სიტყვა ცივი ხმით თქვა და ყველამ იცოდა, მის სიტყვას წყალი არ გაუვიდოდა.

ტომმა შემრიგებლური ტონი შეარჩია:

— დე, აქ ვერ გავჩერდებით, არც წყალია და არც ჩრდილი, ბებოს ჩრდილში დასვენება სჭირდება.

— კარგი. წავიდეთ და იქ გავაჩეროთ, სადაც წყალი და ჩრდილი იქნება. მერე სატვირთო უკან დაბრუნდება, ქალაქში წაგიყვანს. იყიდი რაც გჭირდება და ჩამოხვალ. ამ სიცხეში ფეხით ხო არ ივლი; მარტო სად გაგიშვებ, იქნებ დასაჭერადაც მოგადგნენ და ოჯახი იქ არ იქნება, რო დაგეხმაროს.

ტომმა ტუჩებით კბილები დამალა და პირი გააწკლაპუნა. ხელები უმწეოდ ჩამოყარა.

— მა, — თქვა მან, — შენ რო ცალი მხრიდან ეცე, მე კიდე მეორედან, სხვები რო ზედ დაგვაწვნენ და მათ ზევით კიდე ბებო რო შეხტეს, იქნებ დე შევაჩეროთ და მარტო ერთ-ორი კაცი მოკლას იმ დომკრატით, მაგრამ ალბათ არ გინდა, რო თავი გაგისკდეს. იცოდე, რო ხელში ფლეში უჭირავს. ღმერთო, აი, ერთი ჭკვიანი ადამიანის აზრი რას ნიშნავს, მთელი ოჯახი თავის ჭკუაზე გადაიყვანა! შენ მოიგე, დე! დადე ეხლა ეგ დომკრატი, სანამ ვინმეს რამე დაუშავე.

დედამ გაოცებული თვალებით დახედა რკინის ნაჭერს, კანკალებდა; იარაღს ხელი გაუშვა და მიწაზე დააგდო. ტომი ფრთხილად დასწვდა დომკრატს, ისევ მანქანაში ჩადო და თქვა:

— მა, ნუ ხარ გაოცებული, ეხლა მაგის დრო არ არი. ელ, ოჯახი წაიყვანე, სადმე გასაჩერებელი ადგილი მოძებნე, დატოვე და უკან დაბრუნდი. მე და მქადაგებელი კარტერს მოვხსნით. მერე სანტა როზაში წავალთ და ვნახოთ, როგორ წავა საქმე. შაბათი საღამოა, მაგრამ იქნებ მაინც ვიშოვოთ, რაც გვჭირდება. იჩქარე, რო მალე წავიდეთ. გასაშლელი ქანჩის გასაღები და ბრტყელტუჩა ჩამომიღე სატვირთოდან. — მანქანის ქვეშ შეძვრა და ხელით ზეთიან კარტერს მისწვდა: — ჰო,

ის ძველი სათლი მომიტანე, რო ზეთი გამოვუშვა. უნდა შევინახო.

ელმა სათლი მიაწოდა. ტომმა მანქანის ქვეშ შეათრია, ბრტყელტუჩით თავსახური მოუშვა და სანამ თითებით ბოლომდე მოხსნიდა. ზეთი მკლავზე ჩამოეწუწა, მერე ზეთმა გზა იპოვა და სათლში შავი სითხე ჩაიღვარა; ვიდრე შეივსებოდა. ელმა ოჯახი სატვირთოში ჩასვა. ტომმა ბორბლებს შორის თავი გამოყო, სახე უკვე ზეთით ჰქონდა მოთხუპნული. და ეს გასძახა: — მალე დაბრუნდი! — ტომი კარტერს ჭანჭიკებს ხსნიდა, სატვირთო რომ დაიძრა; თხრილი ფრთხილად გადაკვეთა და გზას გაუდგა. ტომი თითო ჭანჭიკს თითოჯერ ატრიალებდა, ნელ-ნელა უშვებდა, რომ შუასადები არ დაეზიანებინა. კეისიმ ბორბლებთან ჩაიმუხლა: — რით დაგეხმარო?

— ეხლა არაფრით, მალე ზეთი ჩამოიცლება და მერე მომეხმარე, რო კარტერი ამოვიღოთ, — მანქანის ქვეშ შეიმალა. ბრტყელტუჩით ჭანჭიკებს ატრიალებდა, თითებით უშვებდა. ახლა ყველა ჭანჭიკი მოშვებული იყო და მხოლოდ ბოლო კუთხვილზე ეკიდა, რომ კარტერი არ ჩამოვარდნილიყო.

— მიწა ისევ ცხელია, — თქვა ტომმა და ცოტა ხანში დაამატა: — კეისი, ბოლო რამდენიმე დღეა შენი ხმა არ გამიგია, რა მოხდა? პირველად რო გნახე, ნახევარსაათიანი სიტყვით გამოდიოდი, აქ ათ სიტყვას არ ამბობ ზედიზედ. რა დაგემართა, რამ აგამჟავა?

კეისი მუცელზე გაწოლილიყო და მანქანის ქვეშ იყურებოდა. მეჩხერი წვერით დაფარული ნიკაპი ხელის ზურგზე ჩამოედო. ქუდი უკან, კისერზე გადაეგდო.

— მქადაგებელი რო ვიყავი, იმდენი ვილაპარაკე, მთელი ცხოვრება მეყოფა, — უპასუხა კეისიმ.

— ჰო, მაგრამ მერეც ბევრს ლაპარაკობდი.

— აფორიაქებული ვარ, ვერ ვმშვიდდები, — თქვა კეისიმ, — ვქადაგებდი და თან ატეხილი კატასავით დავრბოდი. ეხლა აღარ ვქადაგებ და ცოლი მინდა რო ვითხოვო. ტომი, ხორცს ვერ ვჯობნი, სურვილი მაწვალებს.

— მეც ეგრე ვარ, — უპასუხა ტომმა, — მაკალესტერიდან რო გამოვედი, სიგარეტს ვეწეოდი, გზაზე ერთ გოგოს გადავეყარე. ბოზი იყო, საქმეს კურდღელივით სწრაფად აკეთებდა. ვერ გეტყვი, რა მოხდა, მარტო შენ კი არა, არავის ვეტყვი.

კეისის გაეცინა.

— ვხვდები, რაც მოხდებოდა. ერთხელ ხალხს გავერიდე და სამარხულოდ ველად გავიჭერი, იქიდან რო დავბრუნდი, მეც იგივე დამემართა,

— ცოტა ფული მქონდა შენახული, მაგრამ არ დამიხარჯია. რო დავიჭირე, აღარ ვუშვებდი. ცოტა გიჟი ვეგონე. უნდა გადამეხადა, მარტო ხუთი დოლარი მქონდა, მაგრამ ესე თქვა, რა ფული, რის ფულიო. მოდი, ეხლა აქ შემოძვერი, მე ჭანჭიკს მოვუშვებ, შენ ხელით დაატრიალე. მე ამ ჭანჭიკს დავატრიალებ და ადვილად ჩამოვაძრობთ. შუასადებთან ფრთხილად, ერთიანად მინდა რო ჩამოვიდეს. ამ ძველ „დოჯებს“ სულ ოთხი ცილინდრი აქვთ, ადრეც შემიკეთებია. ნესვის ტოლი საკისრები აქვთ. აბა, ჩამოსწიე. ხელი არ გაუშვა. ეხლა სადაც გაჭედილია, იქ ჩამოქაჩე შუასადები. ფრთხილად, ფრთხილად. ჰოო, მორჩა, ეგ არი. — კარტერი მათ შორის იდო, აქა-იქ ღრმულებში ზეთი ისევ შერჩენოდა. ტომმა ბაბიტის სადების დამტვრეული ნაწილები ამოაცალა, — ესეც ესეე, — თქვა მან და ბაბიტის სადები ხელში შეატრიალა. — მუხლი ზევითაა აწეული. დასაქოქი სახელური მოიტანე, იქაა, უკან, და ფრთხილად დაატრიალე, სანამ გაგაჩერებ. — კეისი ფეხზე წამოდგა, სახელური იპოვა და მოარგო. — დავიწყო? — ჰო, ნე-

ლა, ცოტა კიდე. ნელა, ნელა, გაჩერდი. — კეისი ისევ დაიხარა და მანქანის ქვეშ შეიხედა. ტომი ბარბაცას სადებს მუხლა ლილვს უკაკუნებდა.

— აი, რაში ყოფილა საქმე. — თქვა ტომმა.

— რატო მოხდა ესე? — ჰკითხა კეისიმ.

— რა ვიცი, აბა. ეს ჯაბახანა ოცდაათი წელია ჯახირობს. ვითომ სამოცი ათასი მილი აქ სპიდომეტრის მიხედვით გავლილი. ათასზე მაინც უნდა გაამრავლო. ვინ იცის, რამდენჯერ ჩამოყარეს ციფრები. გადახურებულია. ვიღაცამ ალბათ ცოტა ზეთით ამუშავა და დადნა. გასაშლელი ჭილიბი ამოიღო, ქანჩის გასაღები ჭანჭიკს მოარგო და მკვეთრად მოატრიალა, მაგრამ ქანჩის გასაღები დასრიალდა და ხელის ზურგი ღრმად გაუკაწრა. ტომმა ხელზე დაიხედა — ზეთშერეულმა სისხლმა კარტერში წვეთა დაიწყო.

— უჰ, რა ცუდია — წამოიძახა კეისიმ, — მოდი, მე გავაკეთებ და შენ ხელი შეიხვიე.

— არა, მანქანა ჯერ არ შემიკეთებია, რო ხელი არ გამეჭრა, გაიჭრა და ეგ არი, სუ არ მადარდებს. — ისევ ქანჩის გასაღები აიღო — ნეტა მილის გასაღები მქონდეს. — თქვა მან, თან ხელით ქანჩის გასაღების სახელურს აწვებოდა. ბოლოს ყველა ჭანჭიკი მოუშვა. მერე მოხსნა და კარტერში ჩააწყო, იქ, სადაც კარტერის ჭანჭიკები და გასაშლელი ჭილიბი ეწყო. საკისარი მოუშვა, დგუში ამოიღო და ბარბაცასთან ერთად იქვე დადო.

— მადლობა ღმერთს, მორჩა, — მანქანის ქვეშიდან გამოძვრა და კარტერი გამოათრია, ტომრის ნაგლეჯზე ხელები გაიწმინდა და ჭრილობას დახედა. — არ წყდება ეს ნაბიჭვარი. ეხლავე შევაჩერებ, — თქვა ტომმა. მიწაზე მოშარდა, შარდით ატალახებული მიწა აიღო და ჭრილობაზე დაიკრა. სისხლის დენა მაშინვე შემცირდა და სულ მალე შეწყდა.

— ამაზე კარგად სისხლის დენას არაფერი აჩერებს, — თქვა მან.

— ჰო, და კიდე ობობას ქსელი, — თქვა კეისიმ.

— ვიცი, მაგრამ ობობას ქსელი ყოველთვის არ არი და მოფსმით, როცა გინდა, მაშინ მოფსამ.

ტომი მანქანის საფეხურზე ჩამოჯდა და გამდნარ შუასადებს დააკვირდა,

— ეხლა რო სადმე 25 წლის „დოჯი გვანახა, ამოვაცლიდით რაც გვჭირდება და გავაკეთებდით. ელი სად ჯანდაბაშია აქამდე?

სარეკლამო დაფის ჩრდილი ახლა სამოცი ფუტის სიგრძეზე გაჭიმულიყო, დრო მიდიოდა. კეისი საფეხურზე ჩამოჯდა და დასავლეთისკენ გაიხედა.

— მალე მაღალი მთები იწყება, — და გაჩუმდა. ცოტა ხანში:

— ტომ!

— რა არი?

— გზაზე მანქანებს ვაკვირდებოდი, ზოგს ჩვენ ჩავუარეთ და ზოგმა ჩვენ ჩაგვიარა და სულ ერთი და იგივე.

— რა ერთი და იგივე?

— ტომ, ათასობით ოჯახი მიდის დასავლეთში, ჩვენსავით. დავაკვირდი, ჩრდილოეთით არავინ მიდის, შეამჩნიე?

— კი, შევამჩნიე.

— თითქოს მტრის ჯარს გამოექცნენ, თითქოს მთელი ქვეყანაა დაძრული.

— ჰო, მთელი ქვეყანა დაძრულია, ჩვენსავით.

— ამდენმა ხალხმა და რა ვიცი, ყველამ, სამუშაო რო ვერ იშოვოს, რა მოხდება?

— კარგი, რა! — წამოიყვირა ტომმა, — მე რა ვიცი? მარტო ის ვიცი, რო ჯერ მარჯვენა ფეხი გადავდგა და მერე მარცხენა.

მაკალესტერში ოთხი წელი ვიარე მწყობრი სვლით საკანში თუ საკანს გარეთ. ვფიქრობდი, საქმე სხვანაირად იქნებოდა, რო გამოვიდოდი! იქ ვცდილობდი, არაფერზე მეფიქრა, ეხლა აქ ვცდილობ, რო არაფერზე ვიფიქრო, — კეისისკენ მიბრუნდა, — აი, შუასადები ჩაიშალა, სუ არ ვიცოდით და არც გვადარდებდა, ეხლა ვიცით და შევაკეთებთ კიდეც: ესეა, რაც იქნება, იქნება. წინასწარ ვიდარდო? არა, ძმაო, არ ვაპირებ. ხო ხედავ იმ რკინის პატარა ნაჭერს და ბაბიტს? ხედავ? ხოდა, ეგ არი ეხლა რაზეც ვფიქრობ, მეტზე არაფერზე. ნეტა ელი სად ჯანდაბაშია აქამდე?

— მისმინე. ტომი, ოჰ, რა ძნელია... სიტყვებს ვერ ვპოულობ...

ტომმა ხელზე მიმხმარი ტალახის კოშტი მოიძრო და მიწაზე დააგდო. ჭრილობის კიდეებს ტალახი არშიასავით შემოვლებოდა. მქადაგებელს გადახედა.

— ვატყობ, სიტყვის სათქმელად ემზადები, მიდი, დაიწყე. მიყვარს მოსმენა. ჩვენი ციხის ზედამხედველი ენად იყო გაკრეფილი, ჰოდა ვიჯექით და ვუსმენდით, არაფერს არ გვიშავებდა და თითონ კიდე, სუ კმაყოფილი იყო. დაიწყე, აბა, რა დაგიგროვდა სათქმელი.

კეისი გრძელ კოჟრიან თითებს იფშვნეტდა.

— ისეთი რაღაცები ხდება, ყველას ეხება. ხალხი ერთ ფეხს მეორე ფეხის წინ დგამს და მიდის, შენ რო თქვი ზუსტად ისე, მიდიან, მაგრამ საით, არ იციან. არავინ ფიქრობს, უბრალოდ მიდიან, ყველა ერთი მიმართულებით, ერთნაირად, და თუ ყურს მიუგდებ, მოძრაობის ხმას გაიგონებ. ჩუმ სისინს, შრიალს, შარიშურს და კიდე, მღელვარების ხმას. რაღაც ხდება და ხალხმა ჯერ არ იცის. ჯერჯერობით არ იცის. ეს ისე არ ჩაივლის. ხალხმა სახლები, მიწები მიატოვა და დასავლეთისკენ

დაიძრა. ისე არ ჩაივლის, ისეთი რამე მოხდება, რო მთელი ქვეყანა შეიცვლება.

— მე ჯერ ისევ მწყობრი სვლით დავდივარ, — თქვა ტომმა.

— გავიგე. მაგრამ წინ თუ ღობე შეგხვდა, იმ ღობეზე უნდა გადაძვრე.

— სადაც შემხვდება, იქ გადავძვრები, — უპასუხა ტომმა.

კეისიმ ამოიოხრა

— გეთანხმები, ეგ საუკეთესო გზაა. მაგრამ სხვადასხვანაირი ღობეებიც რო არსებობს? ჩემისთანები ისეთ ღობეებზეც ძვრებიან, ჯერ რო არ აღუმართავთ. ვერ ითმენენ.

— ვინ მოდის? ხო ელია? — ჰკითხა ტომმა.

— ჰო, მგონი, ელია.

ტომი წამოდგა, ბარბაცა და საკისრის ორივე ნაწილი ჯვალოს ნაგლეჯში გაახვია.

— ერთმანეთს უნდა დაემთხვეს, ისე არაფერი გამოვა. — თქვა ტომმა.

სატვირთო გზის პირას გაჩერდა, ელმა ფანჯრიდან გადმოიხედა.

— ძაან დაგაგვიანდა, შორს მოგიწია წასვლამ?

ელმა ამოიხვნეშა.

— ამოიღე ბარბაცა?

— ჰო, — ტომმა შეკვრა აიღო, — ბაბიტის ბრალი იყო.

— ესე იგი მე არაფერ შუაში ვარ, არა? — ჰკითხა ელმა.

— არა. ოჯახი სად დატოვე?

— უჰ, ისეთი ამბავი იყო! ბებომ ტირილი დაიწყო. ბებოს შემხედვარე შარონის ვარდიც ატირდა, ლეიბში თავი ჩაყო და აღარ გაჩერდა. მაგრამ ბებო წევს და ისე ყმუის, ღამე რო ძაღლი შეყმუის მთვარეს. მგონი, აზრზე აღარ არის. პატარა ბავშვივით იქცევა, ეკითხებიან და არ პასუხობს, ჩუმად არი, ვე-

ღარავის ცნობს, მერე ლაპარაკს იწყებს და გონია, რო პაპას ელაპარაკება.

— სად დატოვე? — არ შეეშვა ტომი.

— კარავი გავშალეთ, მილში წყალი მოდის და ჩრდილია, დღეში ნახევარი დოლარი ღირს იქ გაჩერება, მაგრამ ყველა ისეთი დაღლილი იყო, რო დარჩნენ. დედა ამბობს, რა ვქნათ, დაიტანჯა ბებო, ხო უნდა მოვასვენოთო. უილსონმა კარავი გაშალა, ჩვენი ბრეზენტიც გამოადგათ. ბებო ნამდვილად ჭკუაზე აღარ არი.

ტომმა ჩამავალ მზეს შეხედა.

— კეისი, — თქვა მან, — ამ მანქანის დატოვება არ შეიძლება, გაძარცვავენ, დარჩები?

— აბა, რას ვიზამ.

ელმა მანქანის სავარძლიდან ქაღალდის პარკი აიღო. — ცოტა პური და ხორცია, დედამ გამოგიგზავნათ, ერთი დოქი წყალიც წამოგიღეთ.

— არავინ ავიწყდება, — თქვა კეისიმ.

ტომი სატვირთოში ელის გვერდით დაჯდა.

— რაც შეიძლება, მალე დავბრუნდებით, მაგრამ ზუსტად ვერ გეტყვი, როდის.

— აქ ვიქნები,

— კარგი, აბა შენ იცი, შენ თავთან ნუ გამოხვალ სიტყვით. წავედით, ელ.

სატვირთო რომ დაიძრა, უკვე საღამოვდებოდა.

— კაი ბიჭია, — სუ რაღაცაზე ფიქრობს, — თქვა ტომმა.

— მქადაგებელი თუ ხარ, უნდა იფიქრო, აბა რა. მამა გაგიჟებულია, ხის ქვეშ გაჩერება ორმოცდაათი ცენტი ღირსო. მალე იმდენს იზამენ, ჰაერსაც გაყიდიანო. სუ დედას იგინება.

დედა ამბობს, ბებოს წყალი და ჩრდილი სჭირდება, ცოტა რო სული მოითქვასო.

სატვირთო გზატკეცილზე მირახრახებდა. მას მერე რაც მძიმე ტვირთი ჩამოიღეს, ყოველი ნაწილი ცალ-ცალკე ჩხაკუნობდა. რახრახით, მაგრამ სწრაფად მიდიოდა. ოცდათვრამეტი მილი საათში არც ისე ცოტა იყო. ძრავას ბრახაბრუხი გაჰქონდა. იატაკის ხვრელებიდან დამწვარი ზეთის ლურჯი კვამლი გამოდიოდა.

— ცოტა სიჩქარეს დაუწიე, თვლის მორგვებამდე დაიწვება. ბებოს რა დაემართა?

— რა ვიცი. გახსოვს, რამდენიმე დღის წინ გაბუტულივით იყო, არავისთან უნდოდა ლაპარაკი. ეხლა პირიქით, ყვირის და ლაპარაკობს, არ ჩერდება, პაპას უყვირის. რო ვუყურებ, ცოტა მეშინია. ლამის მეც დავინახო, პაპა რო ზის და როგორც იცოდა, თითს უქნევს და დასცინის. მგონი, მართლა ხედავს. მართლა, მამამ ოცი დოლარი გამომატანა, არ იცოდა, რამდენი გჭირდებოდა. სხვა დროს გინახავს, დედას რო ესეთი ამბოხი აეტეხა?

— არა, არასდროს. რა დროს გამოვედი ციხიდან! ვფიქრობდი, სახლში ვიქნები, როცა მინდა, მაშინ შევჭამ და როცა მინდა, მაშინ ავდგები— მეთქი. მე მეგონა, საცეკვაოდ ვივლიდი, ქალებსაც არ მოვიკლებდი, მაგრამ მაგის დრო სად არი.

— არ დამავიწყდეს, დედამ შენთან იმდენი რამე დამაბარა! არ დალიოო, არავის ეკამათო და არავის ეჩხუბოო. ეშინია, რო უკან არ დაგაბრუნონ.

— ისედაც იმდენი თავსატეხი აქ, ჩემსას აღარ დავუმატებ, — თქვა ტომმა.

— თითო ჭიქა ლუდი ხო არ დაგველია? ძალიან მინდა.

— არაა, მამა გაიგებს ფული ლუდში რო დავხარჯეთ და გაგიჟდება.

— მისმინე, ტომ, ექვსი დოლარი მაქ. ქალებს გავუაროთ. თითო ჭიქა დავლიოთ და წავიდეთ. არავინ იცის, ეს ფული მაქ თუ არა. ცოტა გავერთოთ.

— ფული შეინახე. ელ, ჩავალთ სანაპიროზე და ისეთ ამბავს ავტეხავთ, ჯერ რო არავის უნახავს. მუშაობას დავიწყებთ და მერე. — ელისკენ შებრუნდა, — არ ვიცოდი, თუ ქალებს ფულს უხდიდი, მე მეგონა, ისე ითანხმებდი.

— აქ ვის ვიცნობ, რო? თუ ესე გზებზე წოწიალი მოგვიწევს, მაშინ ცოლი უნდა ვითხოვო. ერთი კალიფორნიაში ჩავიდეთ, მერე ნახე დროსტარება.

— ღმერთმა ქნას!

— უკვე აღარაფრის გჯერა, ხო?

— ჰო, აღარაფრის მჯერა.

— კაცი რო მოკალი, მერე გესიზმრებოდა ან რამე ეგეთი? გაწუხებდა?

— არა.

— არ გახსენდებოდა ხოლმე?

— როგორ არა, მეცოდებოდა.

— თავს იდანაშაულებდი? ნანობდი?

— არა, ციხეში ვიჯექი და ჩემი მოსახდელი მოვიხადე.

— ძაან გიჭირდა იქ?

— მისმინე, ელ, სასჯელი მოვიხადე და დამთავრდა, უკან გახედვა აღარ მინდა. აი, იმ მდინარეს რო გადავალთ, ქალაქია. ვიყიდოთ რაც გვინდა და დანარჩენი ჭირსაც წაუღია.

— დედა შენზე დარდმა მოკლა, რაც წასული იყავი, სუ გლოვობდა. თავისთვის, თითქოს შიგნიდან ტიროდა. ცრემ-

ლები ყელში ეჩხირებოდა, მაგრამ ჩვენ მაინც ვხვდებოდით, როგორ უჭირდა.

ელმა ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა,

— ელ, მოდი სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

— უბრალოდ მოგიყევი, დედა როგორ იყო.

— ვიცი, ვიცი, მაგრამ არ გინდა. არა, ესე ჯობია — ერთი ფეხი მეორე ფეხის წინ და იარეეე...

ელს წყენა დაეტყო.

— უბრალოდ ვცდილობდი, მეთქვა რო... — თქვა ცოტა ხანში.

ტომმა ელისკენ გაიხედა. ელი წინ იყურებოდა. შემსუბუქებული სატვირთო ხტუნვა-ხტუნვით მიდიოდა. ტომის ტუჩებმა კბილებიდან აიწიეს და ღიმილს გზა დაუთმეს.

— ვიცი, ელ. ვიცი, მაგრამ ჯერ არ შემიძლია. როდესმე ყველაფერს გეტყვი, ვიცი, რო გაინტერესებს, მაგრამ ეხლა მინდა, რო ცოტა ხნით დავივიწყო. დრო გავა და ყველაფერი სხვანაირად იქნება. ეხლა ფიქრს რო ვიწყებ, ლამის ნაწლავები ამომიტრიალდეს. მომხედე, ელ, რაღაცას გეტყვი. ციხე ნელ-ნელა აგიჟებს, ხო გესმის? და შენ იქა ხარ და ხედავ, გესმის, როგორ გიჟდებიან, იცი, რო მალე შენც იგივე დაგემართება. ზოგჯერ ღამით კივიან და გგონია, რო შენ კივიხარ და ხანდახან ესეც არი.

— კარგი, ხმას აღარ ამოვიღებ, ტომ, — თქვა ელმა.

— ოცდაათი დღე რო გადის, არა უშავს. — თქვა ტომმა, — ნახევარი წელიც ისე გადის, რო ასატანია, მაგრამ წელს რო გადასცდება — არც ვიცი, რას შევადარო, რაღაცა სიგიჟეა, უცნაურიც, ადამიანების ესე გამოკეტვა... ჯანდაბას არ მინდა ლაპარაკი. შეხედე, მზე როგორ თამაშობს ფანჯრებზე.

სატვირთო ერთიმეორის მიყოლებით ჩამწკრივებულ ბენზინგასამართ სადგურებს მიუახლოვდა. მარჯვენა მხარეს, დაახლოებით ერთ აკრ ძველი ავტომობილებით სავსე ეზოს ეკლიანი მავთულის მაღალი ღობე ერტყა. გოფრირებული რკინით შეკრული ფარდულის წინ დახვავებული მეორადი საბურავებითვის ფასები დაეწებებინათ. ფარდულის უკან ფიცრის ნაჭრებისგან და თუნუქის ფურცლებისგან შეკოწიწებული ქოხი იდგა. ფანჯრების ნაცვლად საქარე მინები ჩაედგათ. ბალახზე ჯართი ეყარა — გვერდზე გადაქცეული, გადაბრეცილი, ცხვირებშეჭყლეტილი, უბორბლებო მანქანები. ფარდულის წინ, მიწაზე, ძრავები იჟანგებოდა. ჯართის დიდი გროვა — ფრთები, სატვირთოების ძარები, ბორბლები, ღერძები, ყველაფერი ჩაშლილი, ობმოდებული, ჟანგიანი, დაღრეცილი; დახვრეტილი რკინა, ნახევრად გამოშიგნული ძრავები და უამრავი უვარგისი რამ.

ელმა მანქანა ზეთით გაპოხილ მიწაზე გაატარა და ფარდულის წინ გააჩერა. ტომი ჩამოვიდა და ბნელ ფარდულში შეიხედა.

— ვერავის ვხედავ. არის აქ ვინმე?

— ღმერთო, რა მოხდება 25 წლის „დოჯი“ ჰქონდეთ.

ფარდულის უკან კარი გაბრახუნდა, სიბნელიდან კაცი აჩრდილივით გამოვიდა. გამხდარ დაძარღვულ კუნთებზე ჭუჭყიანი, ზეთით დასვრილი კანი გადაკვროდა, ცალი თვალი არ ჰქონდა, ხოლო როცა მეორეს ამოძრავებდა, ამოღებული თვალის ბუდის კუნთები უთრთოდა. ზეთით დათითხნილ ჯინსებსა და პერანგს ლაპლაპი გაუდიოდა. ნაიარევ ხელებზე კანი დახეთქვოდა, ქვევით ჩამოგდებული გასიებული ქვედა ტუჩი ჯუჯღუნა კაცის იერს აძლევდა.

— უფროსი თქვენ ხართ? — ჰკითხა ტომმა.

მკითხველთა ლიგა

ცალი თვალი აელვარდა.

— უფროსისთვის ვმუშაობ. რა გნებავთ? — წაიჯუჯღუნა კაცმა.

— 25 წლის „დოჯი“ ხო არ გაქვთ? ბარბაცა გვჭირდება.

— არ ვიცი, უფროსი რო აქ იყოს, გიპასუხებდათ, მაგრამ სახლში წავიდა.

— შეიძლება ჩვენ თითონ რო მოვძებნოთ?

კაცმა ცხვირი ხელით მოიხოცა და წვინტლი შარვალზე გაისვა.

— აქაურები ხართ?

— ჩრდილოეთიდან დასავლეთში მივდივართ.

— მოძებნეთ. თუ გინდათ გადაწვით აქაურობა, არ მადარდებს.

— ალბათ მაინცდამაინც არც უფროსი გადარდებს.

კაცი ტომს მიუახლოვდა. ცალი თვალი უელავდა.

— მეზიზღება, — ხმადაბლა თქვა მან, — მეზიზღება ეგ ნაბიჭვარი! სახლში წავიდა, სახლში, — დაიწყო და აღარ გაჩერდა, — ჩვევად ექცა ჩემი დაცინვა. ცხრამეტი წლის ლამაზი ქალიშვილი ჰყავს. მოდის და მეკითხება, ჩემს შვილზე დაქორწინდი, არ გინდაო? ამ საღამოს, მითხრა, ცეკვები იმართება და ხო არ წამოხვალო. მე მეუბნება, გესმით, მე! — ცრემლი მოაწვა და თვალის წითელი ბუდის კუთხიდან წვეთა დაიწყო. — ერთ დღესაც კაცი არ ვიყო, თუ ვტყუოდე, მილის გასაღებს ჩავიდებ ჯიბეში. ლაპარაკს რო იწყებს, პირდაპირ ამოთხრილ თვალში მიყურებს. იმ მილის გასაღებს კისერზე რო მოვუჭერ, ნელ-ნელა დავატრიალებ და კისერს ისე მოვუგრეხ, ნელ-ნელა, ნელ-ნელა, — სიბრაზისგან სუნთქვა ეკვროდა.

მზე მთების უკან ჩაიმალა. ელი დამტვრეული მაქანებით სავსე ეზოს ათვალიერებდა

— ტომ, შეხედე. ეს 25-26 წლების „დოჯს“ ჰგავს.

ტომი ცალთვალა კაცისკენ შებრუნდა.

— ხო შეიძლება, რო ვნახოთ?

— ნახეთ, რაც გინდათ აიღეთ.

მკვდარ ავტომობილებს შორის გზა გაიკვლიეს და ჟანგიან სედანს მიადგნენ, საბურავები დაშვებული ჰქონდა.

— ეგრეა, 25 წლის „დოჯია“, — წამოიძახა ელმა, — მისტერ, შეიძლება კარტერი მოვხსნათ?

ტომი მუხლებზე დაეშვა და მანქანის ქვეშ შეიხედა

— უკვე მოუხსნიათ, ერთი ბარბაცაც არ ჩანს, — მანქანის ქვეშ შეძვრა. — ელ, სახელური აიღე და გადაატრიალე. — ბარ-ბაცა შეარყია, — ზეთი ჩამხმარა. — ელმა სახელური ნელა და-ატრიალა. — ფრთხილად. — გასძახა ტომმა, — მიწიდან ხის ნა-ჭერი აიღო და შუასადებს გამხმარი ზეთი ჩამოფხიკა.

— მყარია? — ჰკითხა ელმა.

— არა უშავს, გამოდგება.

— ძაან გაცვეთილია?

— სარჩული კარგია, მთელია, ივარგებს. ერთი კიდე დაატ-რიალე. ნელა. ნელა. ჰო ეგრე. ეხლა წადი და მანქანიდან ხელსაწყოები მოიტანე.

— მე მოგცემთ ხელსაწყოებს, — უთხრა ცალთვალამ. ჟან-გიან მანქანებს შორის გაიარა და ცოტა ხანში ხელსაწყოების ყუთით დაბრუნდა. ტომმა ყუთიდან ტორსული ქანჩის გასაღე-ბი ამოიღო და ელს მიაწოდა.

— მოხსენი, სარჩულთან ფრთხილად. ჭანჭიკები ბოლომდე არ მოუშვა. ნუღარ იცდი, უკვე ბნელდება.

ელი მანქანის ქვეშ შეძვრა.

— ტორსული ქანჩის გასაღებები უნდა ვიშოვოთ, მარტო ფრანგულით ყველგან ვერ მიუდგები, — თქვა ელმა.

— გამომძახე, დახმარება თუ დაგჭირდება, — უთხრა ტომმა.

ცალთვალა კაცი იქვე იდგა, სახეზე უსუსურობა აღბეჭდვოდა.

— დაგეხმარებით, თუ გინდათ, — თქვა მან, — იცი, ერთხელ რა მითხრა იმ ნაბიჭვარმა? მოვიდა, თეთრი შარვალი აცვია. წამოდი ჩემ იახტაზე წავიდეთ, არ გინდაო? მეკითხება. ვფიცავ, ერთ დღეს დავახრჩობ მაგ ბოზის შვილს. — ძლივს სუნთქავდა — თვალი რაც დავკარგე, ქალთან არ ვყოფილვარ, ის კიდე ესეთ რაღაცებს მეუბნება. — და ცრემლებმა ცხვირთან მიმხმარ ჭუჭყში გზა გაჭრეს.

ტომმა მოუთმენლობა ვერ დამალა.

— რატო არ დაახვევ აქედან? გუშაგები გაკავებენ თუ რა?

— ადვილი სათქმელია. სამუშაო სად ვიშოვო ამ ცალთვალა კაცმა.

ტომი მისკენ შეტრიალდა.

— ერთი მომისმინე, რა, მაგ თვალით კარგად შეხედე შენს თავს. ისეთ ბინძური ხარ, რო ყარხარ. რა გინდა? შენ თითონ მოგწონს ალბათ, შენი თავი რო გეცოდება. რომელი ქალი გაგეკარება მაგ ამოთხრილ თვალს რო დაინახავს. აიკარი, დაიბანე და ნურავის მოხრჩობით ნუ იმუქრები.

— ცალთვალა კაცისთვის ყველაფერი ძნელია, — თქვა კაცმა, — ისე კი არ ხედავ, როგორც სხვები, განსაკუთრებით შორს, ყველაფერი ბრტყელი გეჩვენება.

— სისულელეს ნუ ამბობ. ერთ ბოზს ვიცნობდი, ცალი ფეხი ჰქონდა. ხო არ გგონია, რო სადმე ორღობეში მიაწვენდი და იაფს გადაიხდიდი? პირიქით, ნახევარი დოლარით მეტს იღებდა. რას ამბობდა იცი? რამდენი ცალფეხა ქალი გყოლიათ, განსაკუთრებული შემთხვევაა და ნახევარი დოლარით

მეტი ღირსო. თან ამბობდა, კარგი იღბალი მომაქო და ვფიცავ, კაცები რო გამოდიოდნენ, ამბობდნენ, მაგრა გაგვიმართლაო. ერთი კუზიანი კაცი იყო, ჩემთან მაკ... მოკლედ ერთ ადგილას და იცი, რითი ირჩენდა თავს? იღბლის შეცვლა თუ გინდათ, მოდით და კუზზე ხელი მომკიდეთო, ჰოდა მიდიოდნენ, კუზზე ხელს უსვამდნენ და ფულს იხდიდნენ. და შენ რა გჭირს? ცალი თვალი არა გაქ და სუ ეგ არი.

კაცმა ბორძიკით ამოღერღა:

— გვერდზე არავინ გიდგება, ყველა გერიდება და ბოლოს ესეთი ხდები.

— აიკარი ეგ ამოთხრილი თვალი! რას გამოგიმზეურებია, ძროხა რო უკანალს იშვერს ისე. მოგწონს ხალხს რო ეცოდები, მეტი არაფერი გჭირს, თეთრი შარვალი იყიდე. ალბათ თვრები და მერე საწოლში შენს თავს დასტირი. ელ დახმარება ხო არ გინდა?

— არა, — უპასუხა ელმა, — საკისარი უკვე მოვუშვი, ეხლა დგუშის ჩამოხსნას ვცდილობ.

— არაფერი იტკინო. — უთხრა ტომმა.

ცალთვალამ ტომს ხმადაბლა ჰკითხა:

— შენ ფიქრობ, რო მეც შეიძლება ვინმეს მოვეწონო?

— აბა, რა! ხმა გაავრცელე, რო სხვა რამე გაგეზარდა, რაც თვალი დაკარგე.

— საით მიდიხართ?

— კალიფორნიაში. მთელი ოჯახი, სამსახური გვინდა რო ვიშოვოთ.

— შენ გგონია, თვალს თუ ავიხვევ, მეც შევძლებ სამსახურის შოვნას?

— რატომაც არა? ხეიბარი ხო არა ხარ.

— ბიჭებო, თქვენთან ერთად წამოსვლა არ შეიძლება?

— ღმერთო, იმდენი ვართ, რო ძლივს მივბობღავთ. რამე სხვა გზა ნახე. რომელიმე დამტვრეული მანქანა შეაკეთე და შენ თითონ წადი.

— ალბათ ეგრე მოვიქცევი, — თქვა ცალთვალამ.

ლითონის ჩხაკუნის ხმა გაისმა.

— ჩამოვხსენი, — დაიძახა ელმა.

— გამოიტანე და ვნახოთ, რა არი.

ელმა დგუში, ბარბაცა და საკისრის ქვედა ნაწილი მიაწოდა. ტომმა ბაბიტის ზედაპირი გაწმინდა და გვერდები დაათვალიერა.

— მგონი ივარგებს, — თქვა მან, — ფარანი რო გვქონდეს, ამაღამვე გავაკეთებდით.

— ტომ, რკინის დამჭერები არა გვაქ. რგოლების დამაგრება გაგვიჭირდება, განსაკუთრებით ქვევით.

— ერთხელ ერთმა კაცმა მირჩია, რგოლები წითელი სპილენძის წერილი მავთულით დაამაგრეო.

— ჰო, მაგრამ მავთულს როგორ მოხსნი?

— მოხსნა აღარ უნდა, დნება და თან არაფერს აფუჭებს.

— სპილენძის მავთული უკეთესი იქნება.

— საკმარისად გამძლე არ არი, — უპასუხა ტომმა და ცალთვალასკენ შეტრიალდა.

— წითელი სპილენძის წვრილი მავთული ხო არ არი აქ?

— არ ვიცი, მგონი კოჭა სადღაც აგდია. სად უნდა ვიშოვო თვალის ასაკრავი, ცალთვალებს რო უკეთიათ ისეთი?

— არ ვიცი. მოდი, იქნებ მავთული ვიპოვოთ.

რკინის ფარდულში უამრავი ყუთი გადაქექეს, სანამ მავთულს მიაგნებდნენ. ტომმა ბარბაცა გირაგში მოათავსა და დგუშის რგოლებს მავთული ფრთხილად შემოუჭირა, მაგრად მოჭიმა, სადაც საჭირო იყო ჩაქუჩიც გამოიყენა, მერე რგო-

ლები დგუშის არხებში ჩაამაგრა და თითებით ისე ჩაასწორა, რომ ზედაპირი ერთ დონეზე ყოფილიყო, ფარდულში უკვე ბნელოდა. ცალთვალამ ელექტროფარანი გამოიტანა და დგუშს დაანათა.

— ოჰ, აი ფარანიც. მითხარი, რას ითხოვ მაგ ფარანში?

— არც ისე კარგია, ახალ ბატარეებში თხუთმეტი ცენტი მივეცი, ოცდათხუთმეტად წაიღე.

— კარგი, და ამ დგუშში და ბარბაცაში რას გვართმევ?

ცალთვალამ შუბლზე კოჟრიანი თითები გადაისვა და ზედ აფცქვნილი ჭუჭყის ფენა აჰყვა.

— რა გითხრა, არ ვიცი. უფროსი აქ რო იყოს, ფასების წიგნში ჩაიხედავდა და ახლის ფასს ნახავდა, სანამ თქვენ აქ იმუშავებდით, დაგაკვირდებოდათ და მიხვდებოდა, რამდენის გადამხდელები ხართ; თუ ფასების წიგნში რვა დოლარი წერია, ხუთს გეტყოდათ, დაიწუწუნებდით და დაუკლებდა, სამად მოგცემდათ. შენ მეუბნები, რო ყველაფერი ჩემი ბრალია, მაგრამ სინამდვილეში, ვიცი, რა ძაღლიც არი; დაინახავდა, რო ძაან გჭირდებათ და ერთ რგოლში მთელი მანქანის ფასს წაგართმევდათ.

— ჰო, მაგრამ შენ რამდენი გინდა?

— ერთი დოლარი მეყოფა.

— კარგი, ოცდახუთ ცენტსაც ამ ქანჩის გასაღებში მოგცემ, საქმეს გაგვიიოლებს. — ფული გაუწოდა, — მადლობა. დამიჯერე და აიკარი ეგ ამოთხრილი თვალი.

ტომი და ელი სატვირთოში ჩასხდნენ. უკვე ბნელოდა. ელმა მანქანა დაქოქა და ფარები ჩართო.

— აბა, კარგად, იქნებ კალიფორნიაში შევხვდეთ, — გასძახა ტომმა.

გზატკეცილზე მანქანა მოატრიალეს და გზას გაუდგნენ. ცალთვალამ ერთხანს უცქირა, მერე რკინის ფარდულის უკან, ქოხში შევიდა. ბნელოდა, მაგრამ იატაკზე დაგდებულ ლეიბს ადვილად მიაგნო, დაწვა და ატირდა. გზატკეცილზე მანქანები შხუილით მიქროდნენ; ხმა ცალთვალას მარტოობის კედლებში აღწევდა და სიმტკიცეს მატებდა.

— რო გეთქვა, ერთ საღამოში მოვასწრებთო, გიჟი მეგონებოდი, — თქვა ტომმა.

— ამაღამ უნდა მოვრჩეთ, მაგრამ შენ უნდა გააკეთო. მე მეშინია, ძაან მოუჭერ და დადნება, არ მოუჭერ და ბრახუნობს.

— მე ჩავსვამ. ამოვარდება და, რა ვქნა, ამოვარდეს, ვცდი, რას ვკარგავ.

ელი სიბნელეში იცქირებოდა. ფარების სინათლე სიბნელეს ვერ ერეოდა, მაგრამ წინ, გზაზე, სხივმა მონადირე კატის თვალებს მიაგნო და მწვანედ ააელვარა.

— აუ, იმ ტიპს რა უქენი, — თქვა ელმა, — კაცს ჭკუა ასწავლე. მეტი რა უნდა.

— უჰ, სულელია ვიღაცა, თავის თავი ეცოდება იმის გამო, რო თვალი არა აქ. ყველაფერს თვალს აბრალებს. სინამდვილეში ზარმაცი, აქოთებული ნაბიჭვარია. იქნებ ცოტა აზრზე მოვიდეს და მიხვდეს, როგორ მოიქცეს.

— ტომ, ჩემი ბრალი არ არის საკისარი რო ჩაიწვა.

ტომი ერთხანს ჩუმად იყო.

— ელ, უნდა გისაყვედურო. რა თავდაყირა გესმის ყველაფერი, გეშინია, რო ვინმე რამეს დაგაბრალებს. ახალგაზრდა ხარ, ძალა გერჩის, გინდა, რო სუ მაგარი ბიჭი იყო, მაგრამ, ელ, მუშტებზე ნუ იყურები, როცა არავინ გერჩის და ყველაფერი კარგად იქნება.

ელმა არ უპასუხა. პირდაპირ იყურებოდა. გზატკეცილზე სატვირთო ხტუნვითა და ბრახუნით მიგორავდა. უცებ საიდან-ღაც კატა გადმოხტა. ელმა მკვეთრად გადაუხვია და მანქანა ზედ მიაგდო, მაგრამ კატა ბორბლებში გაძვრა და ბალახში გადახტა.

— ცოტა ავცდი, — თქვა ელმა, — ტომ. გაიგე კონი რო ღამ-ღამობით სწავლას აპირებს? ვიფიქრე, იქნებ მეც ვისწავლო-მეთქი. ხო იცი, რადიო, ტელევიზია ან დიზელის ძრავა, დასაწ-ყისისთვის ცუდი არ არი.

— არა, ცუდი არ არი. ოღონდ ჯერ უნდა გაიგო, რამდენს აგახევენ მაგ გაკვეთილებში, მერე ის უნდა იცოდე, შეძლებ თუ არა სწავლას. მაკალესტერში რამდენიმე კაცს ფოსტით უგზავნიდნენ გაკვეთილებს, ბოლომდე ვერცერთმა მიიყვანა, ბეზრდებოდათ და თავს ანებებდნენ.

— უჰ, ღმერთო, საჭმლის ყიდვა დაგვავიწყდა.

— არა უშავს, დედამ იმდენი გამოგზავნა, რო დარჩებოდა, კეისი სუ არ შეჭამდა. ნეტა კიდე რამდენი უნდა ვიაროთ კა-ლიფორნიამდე.

— არ ვიცი, როგორმე მივბობღდებით.

გაჩუმდნენ. ბნელი ღამე იყო, ვარსკვლავები თეთრად ქათ-ქათებდნენ.

სატვირთო გზის პირას გაჩერდა. კეისი „დოჯის“ უკანა სა-ვარძლიდან წამოდგა და მანქანისკენ გაემართა.

— ესე მალე არ გელოდით, — თქვა მან.

ტომმა იატაკზე გაშლილი ნაწილები ჯვალოს ნაგლეჯში გა-დაახვია.

— გაგვიმართლა, — თქვა მან, — ელექტროფარანიც დავით-რიეთ, ამაღამვე შევაკეთებთ.

— საჭმლის წაღება დაგავიწყდათ, — უთხრა კეისიმ.

— დავამთავრებ და მერე შევჭამ. ელ, მანქანა გადმოაყენე და მოდი, ფარანი მომინათე.

„დოჯისკენ" წავიდა, მიწაზე გაწვა და მანქანის ქვეშ შეძვრა. ელიც მიჰყვა. ტომისკენ გაცოცდა და ფარანი მიუნათა.

— თვალებში ნუ მანათებ. ზევით ასწიე.

ტომმა დგუში ცილინდრში ჩასვა და დაატრიალა. მავთული ცილინდრის კედელს წამოედო, მაგრამ ტომმა სწრაფად წაკრა ხელი და დგუშმა ზევით აიწია.

— ადვილად მიდის, მგონი, კარგად იმუშავებს.

— მთავარია რგოლები მავთულმა არ გაჭედოს, — თქვა ელმა.

— იმიტომაც გავაბრტყელე ჩაქუჩით. არ ჩამოძვრება, დადნება და კედლებს სპილენძით დაფარავს.

— არ დაკაწრავს?

ტომმა გაიცინა.

— აიტანს ელ, აიტანს. ისე ჭამს ზეთს, რო ერთი ნაკაწრით მეტი ექნება თუ ნაკლები, რა მნიშვნელობა აქ. — ბარბაცა ლილვზე ჩამოაცვა და ქვედა ნაწილი შეამოწმა. — ცოტა სარჩული კიდე უნდა.

— კეისი!

— ჰო.

— ერთი სახელური აიღე და როცა გეტყვი, გადაატრიალე. — ჭანჭიკებს მოუჭირა, — აბა, ნელა გადაატრიალე! — კუთხოვანი ლილვი დატრიალდა. — სარჩული ზედმეტი მომივიდა. — გაჩერდი, კეისი. — ჭანჭიკები მოუშვა, რამდენიმე თხელი სარჩული გამოაცალა და ჭანჭიკები ისევ მოუჭირა. — ერთხელ კიდე, კეისი! ბარბაცა ისევ შეამოწმა. — ცოტა მაინც მოშვებულია. იქნებ, ერთი სარჩული რო კიდე ამოვაცალო, გამყარ-

დეს. ვცდი, — კიდევ ერთხელ მოუშვა ჭანჭიკები, ორი თხელი ფირფიტა ამოაცალა, — აბა, ეხლა ცადე, კეისი!

— მგონი, კარგია, — თქვა ელმა.

— კეისი, დატრიალება უფრო ხო არ გიჭირს?

— არა, არა.

— მგონი გამოვიდა, იმედი მაქ, რო გამოვიდა. ბაბიტის გაფხეკა ხელსაწყოების გარეშე ძნელია, ამ ტორსული ქანჩის გასაღებით კიდე შეიძლება.

— როგორ გაგიჟდება იმ კაცის უფროსი, რო მივა და არ დახვდება!

— ეგ რა ჩვენი საქმეა, ხო არ მოგვიპარავს, — თქვა ტომმა. გასაშლელი ჭილიბი ჩასვა და ბოლოები გადაუკეცა. — კარგია. კეისი, მოდი, მოგვანათე, სანამ მე და ელი კარტერს დავამაგრებთ.

კეისი დაიხარა და ელექტროფარანი აიღო. შუქი ხელებისკენ მიმართა, რომლებიც თავის ადგილას ფრთხილად ათავსებდნენ ჭანჭიკებსა და შუასადებს. კარტერი რომ ასწიეს, კუნთები დაეჭიმათ. ტომმა ჭანჭიკები ერთიმეორის მიყოლებით ჩახრახნა.

— მგონი, დავამთავრეთ, — თქვა ტომმა. — ზეთის საცობს მოუჭირა. კარტერი ყურადღებით დაათვალიერა. კეისის ფარანი გამოართვა და ყველა კუნჭულს მიანათა. — მზად არი. ეხლა ზეთი ჩავასხათ. — მანქანის ქვეშიდან გამოძვრნენ და ზეთი ჩაასხეს. ტომმა ყურადღებით დაათვალიერა; არ წვეთავდა.

— კარგი, ელ, დაჯექი, ვცადოთ.

ელი საჭეს მიუჯდა და მანქანა დაქოქა. ძრავა აგრუხუნდა. გამოსაბოლქვი მილიდან ლურჯი კვამლი გადმოიფრქვა.

— გაზს დაუკელი! — დაუძახა ტომმა. — სანამ მავთული დადნება, გაზს დაწვავს. — ძრავის ბრუნვას ყურადღებით უსმენდა, — ჩართული დატოვე. უქმი სვლის რეჟიმში ჩააგდე. — კვლავ ყური მიუგდო. — გამორთე, მზად არი. კეისი, ხორცი სადაა?

— მართლა მაგარი მექანიკოსი ყოფილხარ, — უთხრა ელმა.

— რატომაც არა? ერთი წელი სახელოსნოში ვიმუშავე. თავიდან, ერთი ასი-ორასი მილი ნელი სვლით უნდა ვატაროთ, მერე ამუშავდება.

ჭუჭყიანი ხელები ჯერ ბალახს შეაწმინდეს და მერე შარვალზე გაისვეს, მოხარშულ ღორის ხორცს მგლებივით ეცნენ, წყალი ბოთლით მოიყუდეს.

— კინაღამ შიმშილით მოვკვდი. — თქვა ელმა, — რა ვქნათ, ამაღამ წავიდეთ ბანაკში?

— არ ვიცი, ალბათ კიდე ნახევარ დოლარს გამოგვართმევენ. წავიდეთ, ჩვენები ვნახოთ. ვუთხრათ, რო მანქანა შევაკეთეთ და თუ ფულს მოგვთხოვენ, ამაღამვე განვაგრძოთ გზა. კიდე კაი, დედამ გაგვაჩერა და არ დავიფანტეთ. ელ, ფარანი მიანათე და ნახე, რამე ხო არ გვრჩება. ეგ ტორსული გასაღები ჩადე, კიდე დაგვჭირდება.

ელმა მიწას ფარნით დაუარა და კარგად დაათვალიერა. — არაფერი გვრჩება.

— კარგი. მე წამოვიყვან, შენ სატვირთოზე დაჯექი. ტომმა მანქანა დაქოქა. კეისი გვერდით მიუჯდა. სატვირთო უკან მიჰყვებოდა. ტომმა მანქანა თხრილზე დაბალი სიჩქარით გადააატარა. — ამ „დოჯებს“ მთელი სახლის გადატანა შეუძლიათ თუ დაბალი სიჩქარით ატარებ. ეხლა ცოტა მძიმედ მიდის, მაგრამ გვაწყობს, თანდათან ამუშავდება.

„დოჯი“ ნელა მიდიოდა. თორმეტ ვოლტიანი ფარები ბეტონზე მოყვითალო შუქის ანარეკლს ტოვებდა. კეისი ტომისკენ შეტრიალდა:

— მიკვირს, ისე სწრაფად შეაკეთეთ მანქანა. თვალის დახამხამებაში მზად იყო. ხო გიყურეთ, როგორ აკეთებდით, მაინც ვერასდროს მოვკიდებ ხელს.

— მანქანას ბავშვობიდან უნდა შეეჩვიო, მარტო ცოდნაც არაფერს ნიშნავს. ეხლა პატარა ბიჭები თვალდახუჭულები შლიან და აწყობენ მანქანებს.

ფარების შუქმა კურდღელი გამოიჭირა და ხტუნვა-ხტუნვითა და ყურების პარტყუნით წინ გაიგდო. რამდენჯერმე ეცადა, სინათლისთვის თავი დაეღწია, მაგრამ სიბნელემ უკან, სინათლისკენ შეაბრუნა. შორს მანქანების ფარები კაშკაშა სხივებს ისროდნენ და „დოჯსაც“ სწვდებოდნენ. დაბნეულმა კურდღელმა ისკუპა, „დოჯის“ მიმქრალი შუქისკენ გადახტა და ბორბლებში მოექცა, მომავალმა მანქანამ გვერდით ჩაიქროლა.

— გავიტანეთ, — თქვა კეისიმ.

— ზოგი განგებ მისდევს, რო გაჭყლიტოს, სიამოვნებთ. მე სუ მაკანკალებს ხოლმე. მანქანას არა უშავს, ალბათ მავთული უკვე დადნა, იმდენ კვამლს აღარ უშვებს.

— მაგარი საქმე გააკეთეთ, — თქვა კეისიმ.

ბანაკის შუაგულში პატარა ხის სახლი იდგა. პარმაღს გაზის ფარანი სისინით დაჰყურებდა. იქაურობა თეთრად მოკაშკაშე სინათლის რკალში მოქცეულიყო, სახლის გარშემო რამდენიმე ბანაკი გაეშალათ. კარვების გვერდით მანქანები იდგა. ვახშმის სამზადისი დამთავრებულიყო, მაგრამ კარვებთან ახლოს გაჩაღებული კოცონის ნაკვერჩხალი ჯერ კიდევ ელავდა. პარმაღთან რამდენიმე კაცი შეგროვილიყო. გამეხე-

ბულ სახეებს მკვეთრი სინათლე უნათებდათ, შუბლი და თვალები ქუდების ჩრდილში ჩაემალათ, ნიკაპები კი, თითქოს სინათლეს წინ გამოეჩარა. კიბეზე ჩამომსხდარიყვნენ. მეპატრონე, პირქუში გამხდარი კაცი, პარმაღზე, სკამზე იჯდა. ზურგით კედელს მიყრდნობდა და მუხლებზე თითებს ათამაშებდა. სახლში ნავთის ლამპა ენთო; მის მქრალ სინათლეს სისინა გაზის ფარნის კაშკაში შთანთქავდა. კაცები მეპატრონეს გარს შემოხვეოდნენ. ტომმა „დოჯი" გზის პირას გააჩერა. ელმა სატვირთო ჭიშკრისკენ წაიყვანა.

— არ შეიყვანო. — უთხრა ტომმა. მანქანიდან გადმოვიდა და თეთრი ნათებისკენ წავიდა.

მესაკუთრემ სკამი წინა ფეხებზე შეაყენა და გადმოიხარა.

— აქ გინდათ გაჩერება?

— არა, აქ ოჯახი გვყავს. მა, როგორ ხარ?

მამა ბოლო საფეხურზე იჯდა.

— მე მეგონა, მთელი კვირა ვერ მოხვიდოდით. გააკეთეთ?

— მაგრა გაგვიმართლა, საღამომდე ყველაფერი უკვე ნაყიდი გვქონდა. როგორც კი ინათებს, გავალთ.

— უჰ, რა კარგია, — თქვა მამამ, — დედაშენი წუხდა. ბებომ აურია.

— ჰო, ელმა მითხრა. ეხლა უკეთ არ არი?

— ისე რა, ძინავს მაინც.

— აქ თუ გინდათ გაჩერება, ორმოცდაათი ცენტი დაგიჯდებათ. კარვისთვის ადგილი, წყალი და შეშა გექნებათ და არავინ შეგაწუხებთ.

— რატო, კაცო, გზის პირას, თხრილში დავიძინებთ და ცენტი არ დაგვიჯდება.

მეპატრონემ მუხლზე თითები აათამაშა.

— ღამღამობით შერიფის თანაშემწე მოდის. დაგინახავთ და აგყრით. ღია ცის ქვეშ ძილი მთელ შტატში იკრძალება, მაწანწალობაზე კანონი მიიღეს.

— ნახევარ დოლარს თუ გადაგიხდი, მაწანწალა არ ვიქნები, არა?

— ასეა.

ტომის თვალებში რისხვამ გაიელვა.

— და შერიფის წარმომადგენელი, შემთხვევით, თქვენი სიძე ხო არ არი?

მეპატრონე წინ გადმოიხარა.

— არა, არ არი. ის დროც მოვა, როცა ადგილობრივებს თქვენისთანა მათხოვრები არ დაგვიწყებენ ჭკუის სწავლებას.

— ფულის გამორთმევაში არავის დარიგება არ გჭირდებათ. მაგრამ ერთი მითხარით, მათხოვრები როდიდან გავხდით? ჩვენ გთხოვთ რამეს? გამოდის, რო ჩვენ ვართ მათხოვრები და ჩვენ გთხოვთ ფულს, და რაში? იმაში რო კაცი დაწვეს და დაისვენოს?

პარმაღთან კაცები გახევებულები, ხმაგაკმენდილები იდგნენ. უტყვი სახეებით, ქუდების ქვეშ შემალული თვალებით მეპატრონეს შეჰყურებდნენ.

მამამ ჩაიბურტყუნა:

— შეეშვი, ტომ.

— შევეშვები, აბა რას ვიზამ,

კიბეზე ჩამომსხდარი კაცები ჩუმად იყვნენ. სინათლეზე თვალები უელავდათ. მკვეთრ შუქზე სახეებიც მკვეთრად გამოჰკვეთოდათ. უტყვი მზერა ერთი მოსაუბრიდან მეორეზე გადაჰქონდათ, ფარვანები ფარანს ეხეთქებოდნენ, ფრთებს იმსხვრევდნენ და სიბნელეში ცვიოდნენ. რომელიღაც კარავში ბავშვი ატირდა, დაბალი ხმა მის დამშვიდებას ცდილობდა,

მერე სიმღერა გაისმა: „დაიძინე, გენაცვალე, ჩემო პატარაო, ღმერთს უყვარხარ, ღმერთი გიცავს, ჩემო პატარაო“.

ფარანი სისინებდა, მეპატრონემ გაღეღილი პერანგიდან თეთრი ბანჯგვლით დაფარული მკერდი მოიქავა. დაძაბული იყო. კაცებს გადახედა. ეტყობოდა, რომ თანაგრძნობის გამოხატვას უცდიდა. მაგრამ კაცები გაშეშებულები ისხდნენ.

ტომი ერთხანს ჩუმად იყო. მუქი თვალებით ნელა ახედა მეპატრონეს.

— მე აყალმაყალის ატეხვას არ ვაპირებ, — თქვა მან, — ძნელი მოსათმენია, როცა ვიღაც მათხოვარს გეძახის. არ იფიქრო, რო მეშინია, ფეხქვეშ გაგიგდებდი შენც და იმ შენს თანაშემწესაც, მაგრამ აზრი არა აქ.

კაცები შეიშმუშნენ, ადგილი მოინაცვლეს, მოელვარე თვალები ნელა აატრიალეს მეპატრონის პირისკენ, მისი ტუჩების მოძრაობას უცქერდნენ. მეპატრონე გრძნობდა, რომ გაიმარჯვა, მაგრამ სითამამე არ ჰყოფნიდა, რომ ტომისთვის შეეტია.

— რა იყო, ორმოცდაათი ცენტი არ გაქვს?

— მაქ, მაგრამ მჭირდება. დაძინებაში ფულის გადახდას არ ვაპირებ.

— ყველა პურის ფულისთვის ვიბრძვით.

— ჰო, მაგრამ ისე უნდა იშოვო, რო პურის ფული სხვას არ წაართვა.

კაცები ისევ შეიშმუშნენ,

— დილას უთენია გავდივართ. მისმინეთ, მისტერ, ჩვენ გადავიხადეთ. ეს კაცი ჩვენი ოჯახის წევრია, არ შეიძლება რო დარჩეს? გადახდილი გვაქ, — ჰკითხა მამამ.

— მანქანა ორმოცდაათი ცენტი, — თქვა მეპატრონემ.

— მანქანა არ ჰყავს. მანქანა გზაზეა. გარეთ.

— მანქანით მოვიდა. მასე ყველას შეუძლია მანქანა გარეთ დატოვოს. მერე აქ შემოვიდეს და მუქთათ გამოიყენოს ჩემი მიწა.

— კარგი, ჩვენ წავალთ და დილით შეგხვდებით. ნელა ვივლით. ელი აქ დარჩება, ძია ჯონი ჩვენთან ერთად წამოვა, — მესაკუთრეს შეხედა. — ესე ხო შეიძლება?

მეპატრონემ დათმო და სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება.

— თუ იგივე რაოდენობა დარჩება, რაზეც გადახდილია, შეიძლება.

ტომმა ძონძის ნაგლეჯად ქცეული თუთუნის ტომარა ამოიღო. ძირში სულ ცოტა თუთუნის ნაფხვენი ეყარა. თუთუნი წვრილად დაახვია და ტომარა მოისროლა.

— მალე დავიძრებით, — თქვა მან.

მამამ ლაპარაკი წამოიწყო, იქ შეკრებილებს ყველას ერთად მიმართა:

— ძნელია ესე ერთბაშად აყრა და სახლის მიტოვება. ყველაფერი ჩვენი გვქონდა, სახლიც და მიწაც. ერთ დღესაც მოვიდნენ და ტრაქტორებით აგვყარეს.

გამხდარმა ახალგაზრდამ, რომელსაც მზისგან გახუნებული ყვითელი წარბები ჰქონდა. მამასკენ თავი ნელა შეატრიალა.

— მოიჯარეები იყავით?

— მოიჯარეები ვიყავით, ადრე მიწა ჩვენი იყო.

კაცმა ისევ შეატრიალა თავი:

— ჩვენც ზუსტად ეგრე დაგვემართა,

— ღვთის მადლით დიდხანს არ გაგრძელდება, — თქვა მამამ, — დასავლეთში მივდივართ, ვიმუშავებთ და ისეთ მიწას ვიყიდით, სადაც წყალია.

პარმაღის კიდესთან ერთი ძონძებში გამოხვეული კაცი იდგა. შავ პიჯაკზე გამოძენძილი ზონრები ეკიდა, სამუშაო შარვალი მუხლებთან გამოგლეჯოდა. მტვრისგან გაშავებულ სახეზე ოფლს თეთრი არხები გაეჭრა. თავი მამისკენ შეატრიალა:

— თან ალბათ ფულით სავსე ქოთანი მიგაქვთ.

— არა, ფული არ გვაქ. — თქვა მამამ, — მაგრამ ბევრნი ვართ, ძალა გვერჩის, ვიმუშავებთ და ფულს მოვაგროვებთ, მაღალი ხელფასებიაო, ამბობენ, მოვერევით.

ძონძებში გამოხვეული კაცი მამას მიშტერებოდა. მერე სიცილი დაიწყო, ბოლოს ახარხარდა. წრეში ჩამდგარმა სახეებმა მისკენ მიიხედეს. კაცი ხარხარებდა, ბოლოს ხველა აუტყდა. გაწითლებული თვალებიდან ცრემლი გადმოყარა და ბოლოს, როგორც იქნა, თავი მოთოკა.

— იქ მიდიხართ, — ღმერთო! — ისევ ახითხითდა. — იქ მიდიხართ, — კარგი ხელფასები! — ოჰ, ღმერთო! — გაჩერდა და ეშმაკურად ჰკითხა: — შემთხვევით ფორთოხლის კრეფას ხო არ აპირებთ? ან ატმისას?

მამამ ღირსებით სავსე ხმით უპასუხა:

— რა სამუშაოც ექნებათ, იმას ავიღებთ. სამუშაოს მეტი რა აქვთ.

ძონძებში გამოხვეულმა კიდევ ჩაიხითხითა. ტომი მისმა ხითხითმა გააღიზიანა.

— რა ჯანდაბა გაცინებს?

ძონძებში გამოხვეულმა მოკეტა და პარმაღისკენ კუშტი სახით გაიხედა:

— როგორც ვხვდები, კალიფორნიაში მიდიხართ.

— რას ხვდები, მე გითხარი, — უპასუხა მამამ.

ძონძებში გამოხვეულმა ნელა თქვა:

— მე... მე იქიდან მოვდივარ.

სახეებმა სწრაფად გაიხედეს მისკენ. კაცები გაშეშებულები იცდიდნენ. ფარანმა სისინს ხვნეშა ამოაყოლა და დადუმდა. მეპატრონემ სკამის წინა ფეხები იატაკზე დაუშვა, წამოდგა. ფარანს საწვავი დაუმატა. ფარანი მთელი ძალით ასისინდა. მეპატრონე სკამთან დაბრუნდა, დაჯდა, მაგრამ სკამი უკან აღარ გადაუწევია. ძონძებში გამოხვეულებისკენ შებრუნდა.

— დავბრუნდი, რო ვიშიმშილო. იქ ყოფნას, აქ შიმშილი მირჩევნია.

— რას ამბობ? — უპასუხა მამამ, — ჩემი თვალით წავიკითხე, მაღალი ხელფასებიაო, ცოტა ხნის წინ გაზეთშიც ეწერა ხილის საკრეფად ხალხი სჭირდებათო.

— დასაბრუნებელი ადგილი გაქვს? — ჰკითხა ჩამოძონძილმა.

— არა, — უპასუხა მამამ. — აგვყარეს. ტრაქტორმა ზედ სახლზე გაიარა.

— ესე იგი, ვერ დაბრუნდებით.

— ვერა.

— მაშინ აღარ გაგაწბილებთ, — უთხრა ჩამოძონძილმა.

— ვერ გამაწბილებ, ფურცელზე ეწერა, რო ხალხი სჭირდებათ, რაში სჭირდებოდათ, რატო დაწერდნენ, იმ ფურცლების დაბეჭდვაც ხო ფული ღირს, რატო დახარჯავდნენ თუ ხალხი არ სჭირდებათ.

— არ მინდა თქვენი გაწბილება.

— რა სისულელეს როშავ! — გაბრაზდა მამა, — თან არც ჩერდები. დაწერილი ვნახე, რო ხალხი სჭირდებათ. შენ კიდევ იცინი და არ სჭირდებათო მეუბნები, რომელს დაგიჯეროთ?

ჩამოძონძილი ძალიან სევდიანი ჩანდა. მამას გაბრაზებულ თვალებში ჩახედა.

— ფურცელს დაუჯერე, ხალხი სჭირდებათ.

— აბა, რატო ამბობ სისულელეს და რატო იცინი?

— იმიტო რო არ იცით, როგორი ხალხი სჭირდებათ.

— რას ამბობ?

— მისმინე. — ჩამოძონძილმა გამოსავალი მოძებნა, — რა ეწერა იმ ფურცელზე. რამდენი კაცი სჭირდებათო?

— რვაასი და ეს მხოლოდ ერთ პატარა ადგილას.

— ფორთოხლისფერი ფურცელი იყო?

— ჰო, რატო მეკითხები?

— ზედ კაცის სახელიც ეწერა. დამსაქმებლის აგენტის.

მამამ ჯიბიდან დაკეცილი ფურცელი ამოიღო.

— ჰო, ეგრეა, საიდან იცი?

— მისმინე. ეს ყველაფერი სისულელეა. კაცს რვაასი მუშა სჭირდება, ხუთიათას ესეთ ფურცელს ბეჭდავს, ოციათასი კითხულობს და ალბათ სამიათასი, გაჭირვებისგან გაგიჟებული, იქით მიდის.

— აზრი რა არი? — დაიყვირა მამამ.

— აზრს მანამდე ვერ გაიგებ, სანამ იმ კაცს არ ნახავ, ფურცელზე ვისი სახელიც წერია ან იმას, ვინც მასზე მუშაობს. მერე თხრილთან კარავს გაშლი, შენთან ერთად კიდე ერთი ორმოცდაათი ოჯახი იქნება. კაცი ყველას კარავში შემოიხედავს. ნახავს საჭმელი გაქვთ თუ არა. თუ არაფერი გაქვთ. გეუბნებათ: სამუშაო გინდა? შენ პასუხობ, დიახ მისტერ, მადლობა, რო შანსს მაძლევთ, — მერე გეტყვის, — კარგი, მოგცემ სამუშაოს. შენ ეკითხები: — როდის დავიწყო? — და ის მისამართს გაძლევს, აქა და აქ. ამა და ამ დროს მიდიო. ორასი მუშა სჭირდება და ხუთასს ესე ეუბნება, ისინი კიდე სხვებს ეუბნებიან და იქ რო მიხვალ, ათასი კაცი დაგხვდება. მერე ის კაცი ამბობს, საათში ოც ცენტს ვიხდიო და ნახევარი მიდის.

ნახევარი, ძაღლივით მშიერი ვინც არი, რჩება და ორცხობილაზე მუშაობას თანხმდება. და ხელშეკრულებას უდებს, რო ატამი დაკრიფონ ან ბამბა მოჭრან. ეხლა გაიგე აზრი? რაც მეტ მშიერ ხალხს შეკრებს, მით ნაკლებს გადაიხდის. თუ გამოუვიდა, ბავშვიან ოჯახებს ირჩევს... არ გაგაწბილებ-მეთქი გითხარი და რა გამოვიდა.

გაშეშებული სახეები ცივად უცქერდნენ, თვალებით სიტყვებს ზომავდნენ. ჩამოძონძილი შეცბუნებული ჩანდა.

— არ გაგაწბილებთ-მეთქი და სინამდვილეში გაგაწბილეთ. გზა უნდა განაგრძოთ, უკან ვერ დაბრუნდებით.

სიჩუმემ დაისადგურა. ფარანი სისინებდა, ფარვანები სინათლეს ეხეთქებოდნენ.

ჩამოძონძილი აღელვებული ლაპარაკობდა:

— მინდა, რო იცოდეთ, როგორ მოიქცეთ, ის კაცი როცა გეტყვით, სამუშაოს მოგცემთო. ჰკითხეთ, რამდენის გადახდას აპირებს და დააწერინეთ. მოსთხოვეთ, რო დაწეროს. გეუბნებით, რო გაგასულელებენ, თუ არ დააწერინებთ.

მეპატრონემ წინ გადმოიწია, რომ ჩამოძონძილი ტურტლიანი კაცი უკეთ დაენახა. მერე გაღეღილი ბანჯგვლიანი მკერდი მოიფხანა და ცივი ხმით თქვა:

— განგებ ხო არ აღიზიანებ ამ ხალხს? უსაქმური ხარ ვიღაცა, ალბათ ვიღაცამ დაგავალა!

— არა ღმერთს ვფიცავ, არა! — იყვირა ჩამოძონძილმა.

— სავსეა ეგეთებით ქვეყანა, დადიან და ხალხს აგიჟებენ, ყველგან ეჩრებიან. დრო მოვა და ეგეთებს აქედან გავყრით, მარტო აქედან კი არა, მთელი ქვეყნიდან. კაცს მუშაობა უნდა, ჰოდა, ძალიან კარგი, არ უნდა და ჯანდაბამდე გზა ჰქონია. აქ არევის უფლებას არავის მივცემთ.

ჩამოძონძილი გაიმართა.

— ვეცადე, ის ამეხსნა, — თქვა მან, — რის გაგებასაც წელიწადი შევწირე. რამაც ჩემი ორი ბავშვის და ცოლის სიცოცხლე წაიღო, მაგრამ ვერ გარწმუნებთ. ნეტა მეც თავიდანვე მცოდნოდა, მაგრამ ვერც მე ამიხსნეს. როგორ მოგიყვეთ მუცელგაბერილ, ძვლებზე ტყავგადაკრულ პატარებზე, კარავში რო იწვნენ და ლეკვებივით წკმუტუნებდნენ? როგორ აგიხსნათ, რო ყველანაირ სამუშაოს დავთანხმდებოდი ერთი ჭიქა ფქვილისა და ერთი კოვზი ცხიმის სანაცვლოდ? და მერე კორონერმა თავის დავთარში მათი სიკვდილის მიზეზად გულის დამბლა ჩაწერა. კანკალებდნენ, მუცლები ბუშტებივით ჰქონდათ გაბერილი...

წრეში ჩამდგრები ჩუმად იყვნენ. პირდაღებულები მძიმედ სუნთქავდნენ და უცქერდნენ. ჩამოძონძილმა კაცებს გახედა და სწრაფად შეაბიჯა სიბნელეში. ღამემ უცებ ჩაყლაპა, მაგრამ მისი ნაბიჯების ხმა კიდევ კარგა ხანს ისმოდა. გზაზე მანქანამ ჩაიარა და ფარების სინათლეზე გამოჩნდა — თავჩაქინდრული, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ფეხებს მიათრევდა.

კაცები აფორიაქდნენ.

— გვიანია, ძილის დროა, — თქვა ერთმა.

— ალბათ უსაქმურია და იტყუება. ჩვენ დროში ბევრია ეგეთი, — თქვა მეპატრონემ და გაჩუმდა. სკამი უკანა ფეხებზე შეაყენა, კედელს მიეყრდნო და კისერი მოიქექა.

— ერთი დედას ვნახავ და მერე წავალთ, — თქვა ტომმა.

ჯოუდები გავიდნენ.

— ვაითუ ის კაცი მართალს ამბობდა, ა? — იკითხა მამამ.

— მართალს ამბობდა, — უპასუხა მქადაგებელმა, — იმას ყვებოდა, რაც მისთვის იყო სიმართლე. არაფერს იგონებდა.

— მისი სიმართლე ჩვენთვისაც სიმართლეა? — არ შეეშვა ტომი.

— არ ვიცი, — თქვა კეისიმ.

— არც მე ვიცი, — თქვა მამამ.

კარვისკენ წავიდნენ. შიგნით ბნელოდა, სიმშვიდე იყო. ახლოს რომ მივიდნენ, შესასვლელთან რუხი ფიგურა წამოიმართა. დედა შეეგებათ.

— ყველას სძინავს. როგორც იქნა, ბებოსაც ჩაეძინა, — მერე შენიშნა, რომ ტომიც იქ იყო. — ტომ, მოხვედი? ხო მშვიდობაა? — ჰკითხა აღელვებულმა.

— შევაკეთეთ, — უპასუხა ტომმა. — ცოტას დავისვენებთ და წავალთ.

— მადლობა ღმერთს! უკვე მაბოდებს, ისე მინდა, რო მალე ჩავიდეთ იქ, სადაც სიმდიდრე და სიმწვანეა.

მამამ ჩაახველა, ყელი ჩაისუფთავა.

— ეხლა ერთი კაცი ყვებოდა...

ტომმა მკლავზე ხელი სტაცა და ჩამოქაჩა.

— საინტერესოდ ლაპარაკობდა, იმდენი ხალხი მიდის, ვერ დაითვლიო, ამბობდა.

დედა სიბნელეში მათკენ იცქირებოდა. კარვიდან რუთის ხველისა და სრუტუნის ხმა გაისმა.

— ვაბანავე, — თქვა დედამ, — რაც წამოვედით, პირველად გვქონდა საკმარისი წყალი. სათლები სავსეა, თქვენთვისაც შევინახე, რო გადაივლოთ. გზაზე ძნელია სისუფთავის დაცვა.

— ყველა აქ არი? — იკითხა მამამ.

— კონის და შარონის ვარდის გარდა. ღია ცის ქვეშ დავიძინებთ, აქ ცხელაო.

— რა გახდა ეს შარონის ვარდი, სულ რაღაც არ მოსწონს, სუ ინაზება, — აბუზღუნდა მამა.

— პირველი შვილია, — უპასუხა დედამ, — მთელი ამბავია მათთვის, შენც ესე არ იყავი?

— წავედით, — თქვა ტომმა, — შორს არ წავალთ, მაგრამ ყურადღებით იყავით, რო არ ავცდეთ ერთმანეთს. მარჯვენა მხარეს ვიქნებით.

— ელი რჩება?

— ჰო, მე ძია ჯონი გამომყვება. კარგად, დე.

მძინარე ბანაკი გაიარეს. ერთი კარვის წინ ცეცხლი ენთო. ქალი ქვაბს თავს ედგა, ადრიანი დილისთვის საუზმეს ამზადებდა. გარშემო მოხარშული ლობიოს მკვეთრი სუნი იდგა.

— სიამოვნებით შევჭამდი ერთ თეფშს, — თავაზიანად გაეხუმრა ტომი ქალს.

ქალმა გაიღიმა:

— გაგიმასპინძლდებოდით, მაგრამ მზად არ არი.

— დიდი მადლობა, მემ.

ტომმა, კეისიმ და ძია ჯონმა პარმაღს ჩაუარეს. მეპატრონე ისევ სკამზე იჯდა. ფარანი სისინებდა და კაშკაშა შუქს აფრქვევდა.

— გაზი გითავდება, — უთხრა ტომმა.

— მაინც დახურვის დროა.

— რაო, გზაზე მეტი ორმოცდაათცენტიანი აღარ მოგორავს?

სკამის ფეხები იატაკზე დაეშვა.

— არ მორჩები ჩემს გაღიზიანებას? ვიცი, ვინცა ხარ, დაგიმახსოვრე, ვიცი, რა შარისთავიც ხარ.

— მართალი ხარ, ბოლშევიკი ვარ.

— შენნაირები ძაან მომრავლდნენ.

ტომმა გაიცინა. ჭიშკარში გავიდნენ და მანქანაში ჩასხდნენ. ტომმა მიწის კოშტი აიღო და ფარანს გაუქანა. კოშტი კედელს მოხვდა. მეპატრონე ფეხზე წამოხტა და სიბნელისკენ გაიხედა. ტომმა მანქანა დაქოქა და გზაზე გადავიდა. ძრავის

ყოველ გაბრახუნებას ყურადღებით უსმენდა. მანქანის ფარე-ბის მქრალ შუქზე გზა ნელ-ნელა იკეცებოდა.

17.

დევნილთა მანქანები გვერდითა გზებიდან ქვეყნის მთავარ გზატკეცილზე ჩადიოდნენ და დასავლეთისკენ მიემართებოდნენ. დღისით ხოჭოებივით ფაციფუცით გარბოდნენ, ღამით ხოჭოებივით ერთად გროვდებოდნენ იქ, სადაც თავშესაფარი და წყალი ეგულებოდათ, და რადგან თავს მარტო გრძნობდნენ, რადგან საგონებელს მისცემოდნენ, რადგან იქიდან მოდიოდნენ, სადაც დარდი, სევდა, დამარცხება იგემეს და რადგან ახალ, საიდუმლოებით მოცულ ადგილას მიდიოდნენ — იკრიბებოდნენ, საუბრობდნენ, ერთმანეთს განცდილ გასაჭირს, პურს, აზრებს, ახალ ადგილას ცხოვრების იმედს უზიარებდნენ. თუ ერთი ოჯახი წყაროსთან დაბანაკდებოდა, მეორეც იქ ჩერდებოდა, რადგან წყალიც იყო და მეზობელიც. მესამე ვარაუდობდა, ალბათ კარგი ადგილია, რადგან ხალხი ჩერდება და თვითონაც იქ ბანაკდებოდა. მზის ჩასვლისას ოც ოჯახსა და მანქანას ნახავდით ერთად თავმოყრილს. საღამოობით უცნაური რამ შეიმჩნეოდა: ოცი ოჯახი ერთ ოჯახად ერთიანდებოდა, ბავშვები ყველას შვილები ხდებოდნენ. კერიის დაკარგვა საერთო დანაკარგი იყო, დასავლეთში ბედნიერი ცხოვრება კი, საერთო ოცნება. ბავშვის ავად გახდომას ასი კაცი, ოცი ოჯახი დარდობდა, რომელიღაც კარავში ქალის მშობიარობას ოცივე ოჯახი მთელი ღამე შიშისგან გალურსული უცდიდა და დილით ყოველი მათგანი დაბადების სიხარულს იზიარებდა. ოჯახი, რომელსაც წინა ღამეს შიშისა და დაბნეულობის გადატანა მოუხდა, დილით

ახალშობილისთვის საჩუქრებს იღებდა. საღამოობით, კოცონების გარშემო ოცი ერთ მთელად ერთიანდებოდა. და ეს ერთი მთელი იყო ბანაკების საღამოებისა და ღამეების მამოძრავებელი. საგულდაგულოდ შეხვეული გიტარა იხსნებოდა, იწყობოდა და ღამით ხალხზე შექმნილი სიმღერები გუგუნებდა კაცები სიტყვებით მღეროდნენ. ქალები მელოდიას ჰყვებოდნენ.

ყოველ ღამე ახალი სამყარო იქმნებოდა, სადაც მეგობრობაც იყო და მტრობაც: სამყარო, რომელიც სავსე იყო ბაქიებით, მშიშრებით, წყნარი, თავმდაბალი, კეთილი ადამიანებით. ყოველ ღამე ადამიანთა ურთიერთობები ახალ სამყაროს ქმნიდა, რომელიც დილას ცირკის კონსტრუქციის მსგავსად იშლებოდა.

თავიდან ოჯახები მორჩილად ცხოვრობდნენ იმ სამყაროში, რომელსაც თავად ქმნიდნენ და თვალსა და ხელს შუა ეშლებოდათ, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი შენების ტექნიკას დაეუფლნენ. შემდეგ ლიდერები გამოჩნდნენ, კანონები შეიქმნა, კოდექსები ამუშავდა, მერე და მერე დასავლეთისკენ მიმავალი ბედისმაძიებლებისთვის გარემო უკეთ მოეწყო, რადგან მათ შემქმნელებს შენების გამოცდილება დაუგროვდათ.

ოჯახებმა აღმოაჩინეს, რომ მათაც რაღაც უფლებები ჰქონდათ — კარავში პირადი ცხოვრების დაცვის უფლება, შავი წარსულის გულში შენახვის უფლება; ლაპარაკისა და მოსმენის უფლება; დახმარებაზე უარის თქმისა ან მიღების უფლება; დახმარების შეთავაზების უფლება; აღმოაჩინეს, რომ მათ ვაჟებს აქვთ გოგონების თაყვანისცემის უფლება, მათ ქალიშვილებს კი იმის უფლება, რომ ვიღაცამ თაყვანი სცეს; რომ მში-

ერს უფლება აქვს მაძღარი იყოს, რომ ორსულებსა და ავადმყოფებს ყველა სხვა დანარჩენზე მეტი უფლება ენიჭებათ.

ოჯახებმა ისიც იცოდნენ, თუმცა არავის უსწავლებია, რომ ზოგი უფლება აღმაშფოთებელი, ძირფესვიანად აღმოსაფხვრელი იყო: პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლება, მძინარე ბანაკში ხმაურის უფლება, შეცდენისა და გაუპატიურების უფლება, მრუშობის, ქურდობის, მკვლელობის უფლება. ეს უფლებები უნდა აღგვილიყო, სხვანაირად ერთი ღამითაც კი ვერ იარსებებდნენ. და რადგან დასავლეთისკენ დაძრულ ხალხს საერთო მიზანი ამოძრავებდა, დადგენილი წესები კანონებად იქცა. კარავთან ახლოს მოსაქმება, სასმელი წყლის დაბინძურება, მშიერის გვერდით საჭმლის ჭამა, თუ მას ლუკმას არ უწილადებდნენ, სასტიკად აიკრძალა.

სადაც კანონია, იქ სასჯელიც არსებობს. სასჯელი კი ორგვარი გახლდათ: სასტიკი ჩხუბი და ოსტრაკიზმი. ამ ორიდან ოსტრაკიზმი უარესი იყო, რადგან კანონის დარღვევის შემთხვევაში, კაცთან ერთად მისი სახელიც იღუპებოდა და ახლოს აღარავინ იკარებდა.

მათ სამყაროში სოციალური ქცევის მკაცრად დადგენილი ნორმებიც ამუშავდა. კაცს, შეხვედრისას, „გამარჯობა“ უნდა ეთქვა. კაცს შეეძლო სასურველ ქალთან ეცხოვრა, თუ მის შვილებს მამობას გაუწევდა და დაიცავდა, მაგრამ უფლება არ ჰქონდა, ხან ერთ ქალთან გაეტარებინა ღამე და ხან მეორესთან, რადგან ეს საერთო ყოფას საფრთხეს უქმნიდა.

ოჯახები დასავლეთისკენ მიიწევდნენ; დროთა განმავლობაში შენების ტექნიკა მეტ სრულყოფილებას იძენდა, ასე რომ, ადამიანები თავიანთ გარემოში თავს უსაფრთხოდ გრძნობდნენ; თანაცხოვრების ფორმა იმდენად მკაფიო იყო,

რომ ოჯახებმა იცოდნენ, წესების დაცვა მათ უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა.

ამგვარ დასახლებებში მმართველი ორგანოებიც გაჩნდა, ლიდერები, უხუცესები. გონიერი კაცი ხვდებოდა, რომ მისი ჭკუა ყოველ ბანაკში საჭირო იყო, სულელი კი ყველგან სულელად რჩებოდა. ყველაფერთან ერთად ერთგვარი დაზღვევის წესებიც ამუშავდა. მაძღარი ვალდებული იყო, მშიერი გამოეკვება, ამით ის თავად იზღვევდა თავს შიმშილისგან. როცა ბავშვი კვდებოდა. კარვის კალთასთან ვერცხლის ფული გროვდებოდა, რადგან ბავშვი ღირსეულად უნდა დაეკრძალათ, ამ წუთისოფლიდან მას ხომ მეტი არაფერი მიჰქონდა; მოხუცის დაკრძალვა ღარიბთა სასაფლაოზეც შეიძლებოდა, მაგრამ ბავშვისა, არამც და არამც.

საცხოვრისის ასაშენებლად გარკვეული ფიზიკური მოცემულობაა საჭირო: წყალი — მდინარე, წყარო არხი ან სულაც უყურადღებოდ მიგდებული ონკანი. ვაკე ადგილი, კარვები რომ დაიდგას, ახლომახლო ბუჩქები ან ტყე, ცეცხლი რომ დაინთოს; თუ ნაგავსაყრელი ძალიან შორს არ არის, უკეთესია, რადგან იქ საოჯახო ნივთების მოძიება შეიძლება — ღუმლის თავსახურების, მანქანის დაბრეცილი ფრთების, რომ ცეცხლს მოაფარონ, კონსერვის ქილების, რაშიც საჭმელს მოამზადებენ და საიდანაც დანაყრდებიან კიდეც.

ასეთი საცხოვრისები საღამოობით იქმნებოდა. მათ გზატკეცილიდან გადმოსული ხალხი თავიანთი კარვებით, გულითა და გონებით ქმნიდა. დილაობით კარვები იშლებოდა, ბრეზენტი იკეცებოდა, კარვის ძელები სატვირთოების ძარებზე მაგრდებოდა; ლოგინს თავისი ადგილი ჰქონდა მანქანაზე მიჩენილი, ჭურჭელს — თავისი. დასავლეთისკენ სვლას მოწყობის ხერხის დახვეწა მოჰყვა. ახლა საღამოობით ადვილად

ბინავდებოდნენ, დილით კი კარვებს ოსტატურად შლიდნენ. დაკეცილ კარვებს ადგილი ცალკე ჰქონდა მიჩენილი, ქვაბები და ტაფები ყუთებში იწყობოდა. მანქანები დასავლეთისკენ მოძრაობდნენ. ოჯახის ყოველმა წევრმა იცოდა, რა ევალებოდა. ყოველ მათგანს, მოხუცსა თუ ახალგაზრდას, მანქანაში თავისი ადგილი ჰქონდა. როდესაც დამქანცველ ცხელ საღამოს მანქანებს დასაბანაკებლად აჩერებდნენ, თითოეული მათგანი უთქმელად ასრულებდა თავის მოვალეობას. ბავშვები ფიჩხს აგროვებდნენ, წყალს ეზიდებოდნენ კაცები კარვებს დგამდნენ და მანქანებიდან ლოგინი ჩაჰქონდათ, ქალები ვახშამს ამზადებდნენ და ყურადღებას აქცევდნენ, რომ მშიერი არავინ დარჩენილიყო. ეს ყველაფერი უთქმელად, მითითების გარეშე ხდებოდა. ოჯახებს, რომლებიც ჩვეული ყოფის ფარგლებში ცხოვრობდნენ — სახლი ღამით, სახნავ-სათესი მიწა დღისით — ახლა ყოველივეს შეცვლა მოუხდათ. დაუსრულებელი ცხელი დღეების განმავლობაში ჩუმად ისხდნენ დასავლეთისკენ მიმავალ მანქანებში, საღამოს კი, ცდილობდნენ, შეთვისებოდნენ ყველას, ვისთანაც დაბანაკება მოუწევდათ.

მათ ცხოვრების ყაიდა შეიცვალეს. ასეთი ცვლილების განხორციელება მთელს სამყაროში მხოლოდ კაცს შეუძლია. ახლა ისინი ფერმერები აღარ იყვნენ, ისინი მომთაბარეები გახდნენ. მათი ფიქრი, გეგმა, სიჩუმეში თვალგაშტერებული ცქერა, ახლა შორს, გზისკენ, დასავლეთისკენ მიმართულიყო. კაცები, რომელთა გონება აკრით ზომვას იყო მიჩვეული, ახლა ბეტონის გზაზე მილებს ითვლიდნენ. მათი ფიქრიდან წვიმა, ქარი, მტვერი, მოსავლის წახდენა განიდევნა. თვალები საბურავებს უცქერდა. ყურები ძრავის ჩხაკუნს უსმენდა, გონება ზეთთან, გაზთან, ჰაერსა და ბეტონს შორის მოძრავ თხელ

რეზინთან გამკლავებას ცდილობდა. სიჩქარის გადამრთველის გატეხვა ტრაგედია იყო, საღამოს წყალი და კოცონის გარშემო ვახშამი — წადილის ასრულება. გზის გაგრძელებას ჯანმრთელობა, ძალა და შემართება სჭირდებოდა. დასავლეთისკენ სწრაფვაში მათი ნება მათვე უსწრებდა წინ. შიშს, რომელსაც ოდესღაც წყალდიდობა ან გვალვა იწვევდა, ახლა ნებისმიერი დაბრკოლება ბადებდა, რასაც კი დასავლეთისკენ ნელ სელაში შეეძლო ხელი შეეშალა.

ბანაკის გაშლა ყოფის ნაწილად იქცა — ერთ ბანაკს მეორისგან მხოლოდ ის განასხვავებდა, რომ მათ შორის მანძილი ერთი დღის სავალი იყო.

ზოგი ოჯახი ფორიაქს აეტანა და დღე და ღამე შეუჩერებლივ მიდიოდა. გაჩერებულ მანქანებში ეძინათ, დასავლეთისკენ მიქროდნენ, გზადაგზა ცხოვრებას გაურბოდნენ. მძაფრი წადილი რომ როგორმე მალე დაბინავებულიყვნენ, მოსვენებას უკარგავდათ. გზას თვალს არ წყვეტდნენ, გრუხუნა ძრავებს ძალას ატანდნენ.

მაგრამ ოჯახების უმეტესობამ მალე აუწყო ფეხი ახალ ცხოვრებას. მზე ჩავიდოდა და:

დრო იყო, გასაჩერებელი ადგილი მოეძებნათ.

აი, იქ რამდენიმე კარავია გაშლილი.

მანქანა გზიდან გადადიოდა და ჩერდებოდა.

და რადგან სხვებს მათზე ადრე გაეშალათ კარვები, თავაზიანობას იცავდნენ. ოჯახის წინამძღოლი მანქანიდან გადმოიხრებოდა:

შეიძლება, რომ ჩვენც აქ გავჩერდეთ?

რასაკვირველია. ძალიან გაგვახარებთ, რომელი შტატიდან ხართ?

არკანზასიდან.

ნაპირიდან მეოთხე კარავში არიან არკანზასიდან.

რას ამბობთ? მართლა?

და მთავარი შეკითხვა:

წყალი როგორ მოდის?

გემრიელი არაა, მაგრამ ბლომად მოდის.

დიდი მადლობა.

არაფერს.

თავაზიანობას ყველა აფასებდა. მანქანა ბოლო კარავთან მიდიოდა და ჩერდებოდა. შემდეგ დაღლილი ხალხი მანქანიდან გადმოდიოდა და მუხლს მართავდნენ. მალე ახალი კარავი იშლებოდა. ბავშვები წყალზე მიდიოდნენ. უფროსი ბიჭები ფიჩხს აგროვებდნენ ან შეშას ჩეხდნენ. კოცონი ჩაღდებოდა. ცეცხლზე ქვაბი ან ტაფა იდგმებოდა. დამხვდურები უახლოვდებოდნენ, ახალმოსულებს სადაურობას გამოკითხავდნენ და ზოგჯერ საერთო ნაცნობებს ან ნათესავებს პოულობდნენ.

ოკლაჰომიდან, არა? რომელი ოლქიდან?

ჩეროკი.

ოჰ, იქ ნათესავები მყავს. ალენსებს ხო არ იცნობთ?

ჩეროკი სავსეა ალენსებით.

უილსებს იცნობთ?

ვიცნობ, აბა რა!

და ახალი ბირთვი იკვრებოდა. დაღამებდამდე ახალმოსულები დამხვდურთა გაცნობას ასწრებდნენ. ორი სიტყვის გაცვლას ყველასთან ახერხებდნენ — ნაცნობები იყვნენ, სანდო ხალხი.

ალენსებს მთელი ცხოვრებაა ვიცნობ. მამა საიმონს პირველ ცოლთან არ გაუმართლა, ქალს ინდიელის სისხლი ჰქონდა, შავი კვიცივით ლამაზი იყო.

უმცროსმა საიმონმა რუდოლფის გოგო არ ითხოვა? მე ესე მახსოვს.

ჰო, და ენიდში გადავიდნენ საცხოვრებლად კარგად მოეწყვნენ.

ალენსებში ყველაზე კარგად ეგ ცხოვრობდა. მანქანის ფარდულიც კი ჰქონდა.

როცა წყალსა და შეშას მოიტანდნენ, ბავშვები მორცხვად გაივლიდნენ ხოლმე კარვებს შორის. თანატოლებს გასაცნობად თავისებური ხერხით იწვევდნენ. ბიჭი მეორე ბიჭთან ახლოს ჩერდებოდა და ქვას ყურადღებით აკვირდებოდა, ზედ აფურთხებდა, წმენდდა და ისევ აკვირდებოდა. მეორე კი ინტერესს ვერ ერეოდა და ეკითხებოდა:

რას უყურებ?

არაფერს, უბრალო ქვაა.

და რატო უყურებ?

მომეჩვენა, რო შიგ ოქრო აქ.

და როგორ მიხვდი? ოქრო ქვებში შავად ჩანს, ოქროსფრად კი არა.

ეგ ხო ყველამ იცის.

ვიღაცამ ალბათ მოგატყუა და შენც დაიჯერე.

არა, ეგრე არ არი. მამაჩემს ბევრჯერ უპოვია ოქრო და იმან მასწავლა, როგორ უნდა მოვძებნო.

აუ, ერთი დიდი ნატეხი რო გვაპოვნინა, რა მაგარი იქნებოდა.

აბა, რა! ყველაზე დიდ კანფეტს ვიყიდდი, რა მაგარი იქნებოდა ის ნაბიჭვარი!

გინებას არ მიშვებენ, მაგრამ მაინც ვიგინები.

მეც. წამო, წყაროსთან ჩავიდეთ.

პატარა გოგოები ერთმანეთს პოულობდნენ და საკუთარი ცხოვრებისა და გეგმების შესახებ მორცხვად ყვებოდნენ.

ქალები ცეცხლთან იდგნენ: ჩქარობდნენ, რომ მშიერი ოჯახის წევრებისთვის მუცლები ამოევსოთ — როცა ყიდვა შეეძლოთ — ღორის ხორცს, კარტოფილსა და ხახვს ცხიმში ა�შიშხინებდნენ, ბარაქიანად გამომცხვარ კვერებს საწებელს გადაასხამდნენ, კოტლეტითა და თუნუქის ქილაში ჩამოსხმული მაგარი ჩაით ანაყრებდნენ; და თუ მომჭირნედ იყვნენ, ცხიმგადასხმულ, დაბრაწულ, ხრაშუნა კვერებსაც მადიანად შეექცეოდნენ.

მდიდარი ოჯახებიც იყვნენ, ფულის უყაირათოდ მხარჯველები, რომლებიც დაკონსერვებულ ლობიოს და ატამს, ნაყიდ პურსა და ნამცხვრებს მალულად, თავის კარვებში მიირთმევდნენ — სხვების თანდასწრებით ასეთი ნუგბარის ჭამა კარგ საქციელად არ მიიჩნეოდა. ბავშვები, რომლებიც დაბრაწულ კვერებს ჭამდნენ, მაინც გრძნობდნენ შემთბარი ლობიოს სუნს და ცუდ გუნებაზე დგებოდნენ.

ვახშმის შემდეგ, როცა ჭურჭელი დაირეცხებოდა, გამშრალდებოდა და მილაგდებოდა, ჩამობნელდებოდა კიდეც: კაცები ცუცქდებოდნენ და სალაპარაკოდ ემზადებოდნენ.

მიტოვებულ სახლ-კარზე წუხდნენ.

არ ვიცი, რა იქნება, — იტყოდა ერთი, — სუ წახდა ეს ქვეყანა.

ალბათ დაბრუნდება ის ცხოვრება, მაგრამ ჩვენ იქ აღარ ვიქნებით.

იქნებ, ფიქრობდნენ კაცები, იქნებ რამე შევცოდეთ და ვერ ვხვდებით.

ერთმა მითხრა, მთავრობაში მუშაობს, თქვენ იმან დაგღუპათ, კონტურს იქით რო არ ხნავდითო, გამოირეცხა მიწებიო,

არ გამოირეცხებოდა იქით რო მოგეხნათო. რა ვიცი აბა, ვინ შეამოწმა რო? მაგრამ ის ტრაქტორებიც რო იქ ხნავენ? ოთხი მილის სიგრძის კვლებს ავლებენ და ერთხელ არ გადაუხვევენ, სადამდე მივლენ, ღმერთმა იცის.

ხმადაბლა ყვებოდნენ თავიანთ სახლებზე:

ქარის წისქვილის ქვეშ სარდაფი მქონდა. რძეს იქ ვინახავდით, ნაღებს ვხდიდით, იქვე ნესვები გვეწყო. შუადღისას მზე რო ძაან დააჭერდა, ჩავდიოდი და სიგრილეში სულს ვითქვამდი. ნესვს გავჭრიდი და კბილს მოგჭრიდა ისეთი ცივი იყო. იქვე ცისტერნიდან წყალი მოდიოდა.

ერთმანეთს გადატანილი უბედურების შესახებ უამბობდნენ:

ძმა მყავდა, ჩარლი ერქვა. რო გაიზარდა მაშინაც სიმინდის ფუჩეჩივით ყვითელი თმა ჰქონდა, აკორდიონზე უკრავდა ძაან კარგად. ერთ დღესაც ყანის მოსაფარცხად გავიდა და საქმეში რო გაერთო, უცებ ჩხრიალა გველმა დაისისინა, ცხენები დაფრთხნენ და ჩარლი ზედ ფარცხზე დაეცა. კბილები პირდაპირ მუცელში შეესო, მთელი ნაწლავები დაეფლითა, სახე სუ დაეგლიჯა. ღმერთო, ეს რა იყო!

მერე მომავალზე გადადიოდნენ:

ნეტა იქ როგორია ცხოვრება?

სუ თბილა, სურათში ისეთი ლამაზია, თვალი ვერ მოვწყვიტე რო ვნახე — კაკლის ხეები და კენკრის ბუჩქები და იქვე, ერთი ხელის გაწვდენაზე მთები, თოვლიანი მთები.

სამუშაოს თუ მოგვცემენ, მაგარი იქნება. ზამთარში არ შეგვცივდება. ბავშვებს სკოლას აღარ გავაცდენინებ. მე კი შემიძლია კითხვა, მაგრამ არ მინდა, მიჩვეული არა ვარ.

ისეც ხდებოდა, რომ ერთი მათგანი გიტარას აიღებდა და თავისი კარვის წინ, ყუთზე ჯდებოდა. დანარჩენები ნელ-ნელა

გროვდებოდნენ მის გარშემო, გიტარაზე აკორდებს ბევრი იღებს, მაგრამ ამ კაცს აკორდების მელოდიად გარდაქმნა შეეძლო — აკორდები მძიმედ მიჰყვებოდა ერთიმეორეს და სულ მალე მელოდია სხარტი ნაბიჯებით იწყებდა სირბილს. მოუქნელი თითები მწყობრად მოძრაობდნენ სიმებზე. კაცი უკრავდა და მის გარშემო წრე თანდათან ვიწროვდებოდა. ხანდახან წაიმღერებდა კიდეც: „ხორცი ორმოცი ცენტია. ათი ცენტია ბამბა...“, და წრეში ჩამდგარი მსმენელები დაბალი ხმით აჰყვებოდნენ. კაცი წამოიწყებდა „გოგოებო, თმას ნუ იჭრით...“ და მსმენელებიც აღიღინდებოდნენ, ბოლოს მოთქმით წაიმღერებდა „მივდივარ, გტოვებ ძველო ტეხასო...“ — სევდიან სიმღერას, რომელსაც ჯერ კიდევ ესპანელების შემოსვლამდე მღეროდნენ, ოღონდ მაშინ სიტყვები ინდიური იყო.

და სიმღერა ხალხს აერთიანებდა: თვალებით წარსულისკენ იცქირებოდნენ, ფიქრით გარდასულს დასტრიალებდა. სიმღერით მოგვრილი სევდა ძილისკენ ეწეოდათ. კაცი „მაკალესტერის ბლიუზს“ და ხანშესულთა გულის მოსაგებად, „იესო თავისკენ მიხმობს“ მღეროდა. ძილმორეული ბავშვები კარვებისკენ მიდიოდნენ და სიმღერას ძილში აგრძელებდნენ. ცოტა ხანში კაცი დგებოდა და მთქნარებით ამბობდა:

ძილი ნებისა და ხალხი ხმადაბლა პასუხობდა: — ძილი ნებისა.

ნეტა მეც შემეძლოს გიტარაზე დაკვრა, რა საამო რამ არის, ფიქრობდნენ ისინი. მერე სასთუმალზე თავს მიდებდნენ და ბანაკში სიჩუმე ისადგურებდა.

იქაურობას თავს ბუები დასტრიალებდნენ. შორს კოიოტი ყმუოდა, საჭმლის ნარჩენებს ბაჯბაჯა, თავხედი, უშიშარი მყრალა მუსრს ავლებდა.

ღამეს დღე ენაცვლებოდა. ქალები ცისკრის პირველ სხივებთან ერთად იღვიძებდნენ, ცეცხლს ანთებდნენ და ყავას ადუღებდნენ. მალე კაცებიც გამოდიოდნენ და განთიადის ბინდში ხმადაბლა საუბრობდნენ:

მდინარე კოლორადოს რო გადავალთ, უდაბნო იწყება. ფრთხილად უნდა ვიყოთ. უდაბნოსთან ხუმრობა არ ივარგებს. იქ არ ჩავრჩეთ, ბლომად წყალი წავიღოთ, რა ვიცი, მაინც სიფრთხილეა საჭირო.

მე ღამე ვაპირებ გადასვლას.

მეც. რა დამღლელი იქნება, არაქათს გაგვაცლის.

სწრაფად საუზმობდნენ. ჭურჭელს რეცხავდნენ, ამშრალებდნენ, კარვებს იღებდნენ და მზის ამოსვლისას ადგილი თავისუფალი იყო, მხოლოდ აქა-იქ მიყრილი ნაგავი თუ დარჩებოდათ. ღამე დადგებოდა და აქ ახალი სამყარო შეიქმნებოდა.

გზატკეცილზე მომთაბარეთა მანქანები ხოჭოებივით მიბობღავდნენ. წინ ათასობით მილზე ბეტონის ზოლი გადაჭიმულიყო.

18.

ნიუ მექსიკოს მთებს, კლდოვან მწვერვალებსა და მთაგორიან ხეობებს შორის ჯოუდების ოჯახი ნელა მიიწევდა დასავლეთისკენ. მაღალმთიან არიზონაზე რომ გადადიოდნენ, ქვევით ჭრელი უდაბნო გამოჩნდა.

მესაზღვრე მიუახლოვდათ:

— საით მიემგზავრებით?

— კალიფორნიაში, — უპასუხა ტომმა.

— რამდენ ხანს გეგმავთ არიზონაში გაჩერებას?

— რამდენი ხანიც მის გადაკვეთას დასჭირდება.

— ნერგები ხომ არ გადაგაქვთ?

— არა.

— თქვენი ტვირთი უნდა შევამოწმო.

— გეუბნებით, არანაირი ნერგი არ გვაქ-მეთქი.

მესაზღვრემ საქარე მინას პატარა წებოვანი ფურცელი დააკრა.

— კარგი, წადით, მაგრამ არ გაჩერდეთ.

— არც ვაპირებთ.

დაბალ, დაბრეცილი ხეებით დაფარულ ფერდობებზე მიბობღავდნენ ჰოლბრუკი, ჯოზეფ-სითი, უინსლოუ. მაღალი ხეები გამოჩნდა. მანქანები ხვნეშა-ხვნეშით ადიოდნენ ზევით. აი, ფლაგსტაფი, უმაღლესი წერტილი. ფლაგსტაფის ქვევით უზარმაზარი ზეგანი; შორს გზა ფერდობებს შორის უჩინარდებოდა. წყალი საკმარისი არ იყო, აქ წყალი უნდა ეყიდათ — გალონი ხუთი ცენტი, ხან ათი ან თხუთმეტი, მზით დახრუკული

კლდოვანი მხარე და შორს უსწორმაწოროდ აღმართული მწვერვალები — არიზონას დასავლეთის კედელი. ახლა მზესა და გვალვას გაურბოდნენ. მთელი დღე მიდიოდნენ, ღამით მთებს მიადგნენ და ოღროჩოღრო ფერდობს აუყვნენ. მანქანის ფარების მკრთალი შუქი გზის აქეთ-იქით ქვით ამოყვანილ რუხ კედლებზე კრთოდა. მწვერვალი ღამით გადაიარეს. ლუმენის ქვა-ღორღიან გზაზე გავიდნენ. შემოაღამდათ, დილის პირველმა სხივებმა რომ გამოანათა, ქვევით მდინარე კოლორადო გამოჩნდა. ტოპოკამდე მივიდნენ. ხიდთან შეჩერდნენ. მესაზღვრემ საქარე მინაზე დაკრული ფურცელი ააძრო, ხიდზე გადავიდნენ და კლდოვან, ქვა-ღორღიან უდაბურ ადგილას აღმოჩნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ქანცგაწყვეტილები იყვნენ და დილის მზე უკვე კარგად იკბინებოდა, შეჩერდნენ.

— ჩამოვედით, ჩამოვედით, კალიფორნიაში ვართ! — დაიძახა მამამ.

ჩამოშლილ კლდეებს, ქვაღორღსა და არიზონას მიწაყრილს უაზროდ უცქერდნენ.

— წინ უდაბნოა, — თქვა ტომმა. — წყალი და დასვენება გვჭირდება.

გზა მდინარეს გასწვრივ მიდიოდა. უკვე კარგად იყო გათენებული, გადახურებული ძრავებით ნიდლს რომ მიუახლოვდნენ.

ლერწმიანში მდინარე ჩუხჩუხებდა. ჯოუდებმა და უილსონებმა მანქანები მდინარის პირას ჩაიყვანეს. გარინდებულნი ფანჯრებიდან უცქერდნენ წყლის დინებას აყოლილი ლერწმის რხევას. მდინარის პირას თერთმეტამდე კარავი გაეშალათ. მიწას ცვრიანი ბალახი მოსდებოდა. ტომი სატვირთოს ფანჯრიდან გადმოიხარა:

— არ შეგიშლით, აქ რო გავჩერდეთ?

ჩასუქებულმა ქალმა სათლში სარეცხს რომ რეცხავდა, ტომისკენ გაიხედა.

— ჩვენ არ ვართ აქაურობის პატრონები, მისტერ, გაჩერდით თუ გნებავთ. მოგვიანებით პოლიციელი შემოივლის, — უპასუხა ტომს და თაკარა მზეში რეცხვა განაგრძო.

ორივე მანქანამ გზიდან ბალახზე გადაუხვია. უილსონებმა კარავი გაშალეს, ჯოუდებმა ბრეზენტი გადაჭიმეს. უინფილდმა და რუთმა ტირიფებს ჩაუარეს და ლერწმიანისკენ გაისეირნეს. აღტაცებულმა რუთმა ხმადაბლა თქვა: — კალიფორნია! უკვე კალიფორნიაში ვართ! — უინფილდმა ლერწმის ტოტი გადატეხა, თეთრი რბილობი პირში ჩაიდო და ჩაღეჭა. მდინარეში შევიდნენ, წყალი წვივებამდე რომ მისწვდათ, შეჩერდნენ.

— მაგრამ წინ უდაბნოა, — თქვა რუთმა.

— უდაბნო როგორია?

— არ ვიცი, ერთხელ სურათი ვნახე. იქაურობა ძვლებით იყო სავსე.

— ადამიანის ძვლებით?

— ადამიანისაც, მაგრამ უფრო მეტი ძროხის იყო.

— და ჩვენც ვნახავთ?

— ალბათ. არ ვიცი, ტომი ამბობს ღამით გადავალთო, დღისით რო გადავიდეთ, ცოცხლები ვერ გადაურჩებითო.

— რა კარგია, გრილა, — თქვა უინფილდმა და ქვიშაში ფეხის თითები აათამაშა.

შორიდან დედას ხმა მოესმათ:

— რუთ, უინფილდ, დაბრუნდით!

ბავშვები შეტრიალდნენ, ტირიფებსა და ლერწმებს ჩაუარეს და კარვისკენ წავიდნენ.

მკითხველთა ლიგა

ბანაკში სიჩუმე იყო. მანქანების ხმა რომ გაიგონეს, ვიღაცებმა კარვების კალთები გადასწიეს და თავები გამოჰყვეს, მალე კალთები ისევ ჩამოაფარეს. კარვები მზად იყო. კაცები სასაუბროდ შეიკრიბნენ.

— პირველ რიგში ვიბანავებ და მერე დავიძინებ, — თქვა ტომმა. — ბებო კარავშია არა? როგორ არი?

— არ ვიცი. ეძინა, — მამამ კარავს მიაყურადა. ბრეზენტს მიღმა ბუტბუტისა და სლუკუნის ხმა გაისმა. დედა სწრაფი ნაბიჯით გაეშურა ბებოსკენ.

— გაიღვიძა, — თქვა ნოამ, — სატვირთოზე მთელი ღამე ბოდავდა, სუ დაკარგა გონება.

— დაღლილია, თუ კარგად არ დავასვენებთ, დიდი დღე აღარ უწერია. გამოიფიტა. ჩემთან ერთად ვინ წამოვა? ვიბანავებ და მინდა, რო ჩრდილში წამოვწვე და მთელი დღე ვიძინო.

ტომს სხვებიც გაჰყვნენ. ტირიფებს ამოეფარნენ, ტანსაცმელი გაიხადეს, წყალში შევიდნენ და ისე ჩასხდნენ, რომ მხოლოდ თავები უჩანდათ. წყალი რომ არ მორეოდათ, ქუსლებს ქვიშას მაგრად აჭერდნენ.

— უჰ, რა კარგია, — თქვა ელმა, — ფსკერიდან ერთი მუჭა ქვიშა აიღო და ტანის ხეხვა დაიწყო.

წყალში ნებივრობდნენ და თან ნემსებივით წვეტიან მწვერვალებსა და არიზონას კლდოვან მთებს გასცქეროდნენ.

— და ეს ყველაფერი გამოვიარეთ, — გაოცებული სახით თქვა მამამ.

ძია ჯონმა წყალში თავი ჩაჰყო.

— როგორც იქნა მოვედით. ესეც კალიფორნია! მაგრამ დიდად ყვავის აქაურობა-მეთქი, ვერ ვიტყვი.

— ჯერ უდაბნო გვაქ გადასავლელი. ისეთი საზიზღარია, მეშინია, დედა არ გვიტიროს, — თქვა ტომმა.

— ამაღამ გადავალთ? — ჰკითხა ნოამ.

— შენ რას ფიქრობ, მა?

— არ ვიცი, დასვენება გვჭირდება, ბებოს განსაკუთრებით, მაგრამ თან ერთ სული მაქ, რო გადავიდეთ და ბოლოს და ბოლოს, სამუშაო დავიწყოთ. მარტო ორმოცი დოლარიღა გვაქ. უნდა ვიმუშაოთ, რო ცოტა ფული შემოვიდეს.

წყალში ჩამსხდარ კაცებს მდინარის ნაკადი უტევდა. წყალი მქადაგებლის გაშლილ მკლავებს ზედაპირზე ატივტივებდა. კისრამდე და მაჯებამდე თეთრი სხეულები ჰქონდათ; მზით დამწვარი სახე, ხელები და მკერდზე საყელოს სამკუთხა ამონაჭრის ადგილი კი, მუქი ყავისფერი. ტანს ქვიშით იხეხავდნენ.

— აქედან არსად წავიდოდი, წყალში ჩავწვებოდი და ვიქნებოდი ჩემთვის, არც მომშივდებოდა და არც მომწყინდებოდა. დედაღორი ტალახში რო წევს, ისე ვიწვებოდი წყალში და ვინებივრებდი, — ზანტად ჩაილაპარაკა ნოამ.

ტომმა მდინარის გაღმა აღმართულ დაკბილულ მწვერვალებს გახედა და თქვა:

— ესეთი მთები ჯერ არ მინახავს. ჯოჯოხეთივით არი, ძვლებით მოფენილი, აღარც კი ვიცი, ოდესმე მივაღწევთ თუ არა ისეთ ადგილს, სადაც ქვა-ღორღთან და კლდეებთან ბრძოლა არ მოგვიწევს. სურათებში ვაკე ადგილებია გადაღებული, მწვანეში ჩაფლული თეთრი სახლები, როგორც დე ამბობს. სიზმარშიც იმ თეთრ სახლებს ხედავს. ეხლა უკვე ვფიქრობ, რო ეგეთი ქვეყანა მარტო სურათებზე არსებობს.

— დაიცადე სანამ კალიფორნიაში ჩავალთ და შენი თვალით ნახავ, რა ლამაზია, — უპასუხა მამამ.

— ღმერთო, მა, უკვე კალიფორნიაში ვართ.

ტირიფებიდან ორი კაცი გამოვიდა. ჯინსები და ლურჯი ოფლიანი პერანგები ეცვათ. შიშველ კაცებს შეხედეს და ჰკითხეს:

— როგორი წყალია? ცურვა შეიძლება?

— არ ვიცი, არ გვიცდია, მაგრამ აქ ჯდომა კი კარგია.

— შეიძლება ჩვენც რომ ჩავჯდეთ?

— ჩვენი ხო არ არი ეს მდინარე. კარგი, პატარა ადგილს მოგაქირავებთ, — გაიხუმრა ტომმა.

კაცებმა შარვლები და პერანგები გაიხადეს და წყალში შევიდნენ. ფეხები მუხლებამდე მტვერში ამოგანგვლოდათ, ოფლს ფეხის ტერფები გაეფერმკრთალებინა და დაერბილებინა. წყალში ნელა ჩასხდნენ და ფერდების ხეხვა დაიწყეს. მამა-შვილი იყვნენ, მზეს დაუნდობლად დაეწვა. წყლის დგაფუნს ფრუტუნითა და ოხვრით პასუხობდნენ.

მამამ თავაზიანად იკითხა:

— დასავლეთისკენ მიდიხართ?

— არა, იქიდან მოვდივართ. შინ ვბრუნდებით, იქ ვერაფერი ვიშოვეთ.

— შინ სად?

— კამპასთან ახლოს, ტეხასში.

— იქ რამეს შოულობდით?

— არა, მაგრამ შიმშილით თუ უნდა დავიხოცოთ, ახლობლებთან მაინც ვიქნებით. თან იშიმშილო და თან ისეთ ხალხთან იყო, რომელსაც ეზიზღები, მეტისმეტია.

— რატო ეზიზღებოდით? თქვენ მეორე კაცი ხართ, ვინც ესე ლაპარაკობს.

— არ ვიცი.

კაცმა ხელებით წყალი მოხაპა, სახეზე შეისხა და ფრუტუნ-ფრუტუნით ხეხვას შეუდგა. ჭუჭყიანი წყალი თმიდან კისერზე ჩამოეწუწა.

— ცოტა მეტი რო მითხრათ, შეგიძლიათ? — სთხოვა მამამ.

— ჰო, მეც მაინტერესებს დასავლეთში რატო ეზიზღებოდით? — ჰკითხა ტომმა,

კაცმა ჯიქურ შეხედა:

— დასავლეთში მიდიხართ?

— დიახ.

— ყოფილხართ ოდესმე?

— არა.

— მაშინ მე ნუღარ მეკითხებით, ჩახვალთ და ნახავთ.

— ჰო, მაგრამ მაინც ჯობია კაცმა იცოდეს, რაში ყოფს თავს.

— თუ სიმართლე გაინტერესებთ, მაშინ მოგიყვებით. სხვებსაც ვკითხე და მე თითონაც ბევრი ვიფიქრე. კარგი მხარეა, მაგრამ უკვე დიდი ხანია, რაც მოიპარეს. უდაბნოს რო გადახვალთ, ბეიკერფილდში ჩახვალთ. იქაურობა ისეთი ლამაზია, რო შეიძლება გაგიჟდეთ — ხეხილის ბაღები, ვენახები... სუ ვაკე ადგილებია და ოცდაათი ფუტის ქვევით ყველგან წყალია. ესეთი დაუმუშავებელი მიწები მთელ ქვეყანაზეა გადაჭიმული, მაგრამ აბა, ცადე და ერთი პატარა ნაკვეთი დაამუშავე. ყველაფერს პატრონი ჰყავს — მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის კომპანია. უნდა გამუშავებს და უნდა — არა. ერთ პატარა კუთხეში რო დათესო სიმინდი, ციხე არ აგცდება.

— კარგი მიწები აქვთ და არ ამუშავებენ?

— დიახ, სერ, არ ამუშავებენ. ეგეთი არაფერი მინახავს, ლამის გავგიჟდი. ეს კიდე არაფერი, გიყურებენ და სახეზე აწერიათ — შენი დანახვაც არ მინდა, შე ნაბიჭვარო. შერიფის თანაშემწეები ყველგან არიან მოდებული, სადაც მიხვალ,

იქიდან გყრიან. გზის პირას დაბანაკდები და იქიდანაც გაგდებენ. ისე ვეზიზღებით, რო ვერ მალავენ, მაგრამ ყველაფერს მივხვდი, იცით, რატო ვძულვართ? იმიტო რო ეშინიათ, იციან, რო მშიერი კაცი პურისთვის ყველაფერზე მიდის და შეიძლება მოიპაროს, იციან, რო მიწის დაუმუშავებლად დატოვება ცოდვაა. ისიც იციან, რო ერთ დღეს ვიღაცამ შეიძლება წაართვათ. კიდე რა გითხრათ? ოკი თუ დაუძახია ვინმეს თქვენთვის?

— ოკი? ეგ რა არი? — ჰკითხა ტომმა.

— ადრე ოკლაჰომელს ნიშნავდა, ეხლა ტურტლიან ნაბიჭვარს ნიშნავს. ესე გვეძახიან და მორჩა. მეტს ვერაფერს გეტყვით, მაინც უნდა ჩახვიდეთ. ამბობენ, სამი ათასი ჩვენნაირი ცხოვრობს ღორებივითო. იმიტო რო კალიფორნიაში ყველაფერს პატრონი ჰყავს, აღარაფერი დარჩა და მეპატრონეები მზად არიან, რო ხალხი გაწყვიტონ, ოღონდ ქონება შეინარჩუნონ. ჰოდა, ეშინიათ, ცოფიანებივით არიან. ესეთი ლამაზი მხარეა და ხალხს ესე სძულხარ. საქმე იქამდე მივიდა, მარტო ჩვენ კი არა, ერთმანეთიც სძულთ.

ტომმა წყალს დახედა და ქუსლები ქვიშაში ჩაფლო.

— დავუშვათ, კაცმა სამსახური იშოვა და ფული მოაგროვა, შეუძლია რო პატარა ნაკვეთი იყიდოს?

ხნიერმა კაცმა გაიცინა და შვილს გადახედა. ბიჭმა გამარჯვებულივით ამაყად გაიღიმა.

— მუდმივ სამსახურს ვერ იშოვი. დღიურად უნდა იმუშაო, რო საჭმელი ჭამო. თან ისეთ ხალხთან, ზევიდან რო გიყურებენ. თუ ბამბაზე დაიწყებ მუშაობას, მოგეჩვენება, რო სასწორი სწორად არ აჩვენებს. სინამდვილეში ზოგი ზუსტია და ზოგი არა, მაგრამ შენ ყველა არასწორი გგონია.

— ესე იგი, ესე იგი... კარგი არაფერია? — ხმადაბლა ჰკითხა მამამ.

— როგორ არა, საყურებლად კარგია, ოღონდ შენ ვერაფერს იხეირებ. ფორთოხლის ბაღებში თოფიანი კაცები მორიგეობენ. ერთი ფორთოხალიც რო მოწყვიტო, უფლება აქვთ რო გესროლონ. ერთი კაცია, გაზეთების გამომცემელი, სანა-პიროსთან ერთი მილიონი აკრი მიწა აქ...

— მილიონი აკრი? — ჰკითხა კეისიმ, — რა ჯანდაბად უნდა მილიონი აკრი მიწა?

— ვინ იცის. მეპატრონეა, საქონელი ჰყავს. ყველგან ხალხი დგას, რო არავინ შევიდეს. ტყვიაგაუმტარი მანქანით დადის, სურათები მაქ ნანახი. ერთი მსუქანი ფომფლო ტიპია, ბოროტი თვალები და ქათმის ტრაკივით პირი აქ: ჰგონია, რო მოკლავენ, სიკვდილის ეშინია. კაცს მილიონი აკრი მიწა აქ და სიკვდილის ეშინია.

— რა უნდა უქნას მილიონ აკრს? რისთვის უნდა? — არ შეეშვა კეისი.

კაცმა წყლიდან გათეთრებული დანაოჭებული ხელები ამოყო, გაშალა, ქვედა ტუჩი გამოწია, თავი ბეჭისკენ გადახარა და თქვა:

— არ ვიცი. ალბათ გიჟია. სურათშიც გიჟის სახე აქ. გიჟის და ბოროტის.

— და სიკვდილის ეშინია? — ჰკითხა კეისიმ.

— ჰო, ეგრე ამბობენ.

— ეშინია რო ღმერთი დაინახავს?

— რა ვიცი, უბრალოდ ეშინია.

— რა მნიშვნელობა აქ რისი ეშინია? ცხოვრებას გემოს ვერ ატანს.

— პაპასავით კი არ არი, — თქვა ტომმა. — ყველაზე მხიარული მაშინ იყო, როცა სიკვდილი ემუქრებოდა. ერთხელ პაპა

და კიდე ერთი კაცი ინდიელებს მიუვარდნენ ღამით, ძლივს გადარჩნენ. მაგრამ მაგრა გაერთნენ.

— ესეა ალბათ. მხიარული როა კაცი, იმას ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია, მაგრამ ისეთებს — ცოფიანებს და დაბოღმილებს — სიკვდილის ეშინიათ.

— რამ დაბოღმა? მილიონი აკრი მიწა ქონია, — თქვა მამამ.

მქადაგებელმა გაიღიმა. შეფიქრიანებული ჩანდა. წყლის ხოჭოს ხელი მოუქნია და იქით მოისროლა.

— თუ ეგ მილიონი აკრი იმისთვის სჭირდება, რო თავი მდიდრად იგრძნოს, ესე იგი, მაგ მიწის გარეშე ღარიბია, შიგნიდან არი ღარიბი. რამდენი აკრიც უნდა ჰქონდეს, მაინც ღარიბი იქნება. იმიტომაც არი დაბოღმილი, რო რაც უნდა ქნას, მაინც ღარიბი რჩება, ვერ ეღირსა სიმდიდრის მოპოვებას — ისეთის, აი, მისის უილსონს რო ჰქონდა, როცა პაპა კვდებოდა და კარავი დაუთმო. არ იფიქროთ, რო ქადაგებას გიკითხავთ, მაგრამ ყველა, ვინც თრიასავით ყველაფერს სოროში ეზიდება, ბოლოს და ბოლოს, ხვდება, რო სისულელეს აკეთებს და იბოღმება. — მქადაგებელმა ჩაიცინა, — მაინც ქადაგებასავით გამომივიდა, არა?

მზე სასტიკად იკბინებოდა.

— ჯობია წყალში ჩავიმალო, თორე ცოცხლად დავიწვები, — უკან გადაწვა. წყალი კისერზე შემოევლო.

— თუ კაცი ყველაფერზე მზად არი, ოღონდ იმუშაოს, მაშინ რა ხდება? — ჰკითხა მამამ ხნიერ კაცს.

კაცი წამოჯდა და სახეში შეხედა.

— მისმინეთ, მისტერ, ყველაფერი კი არ ვიცი. იქნებ ჩახვიდეთ, მუდმივი სამუშაო იშოვოთ და გამოვიდეს, რო ტყუილს გეუბნებით. იქნებ საერთოდ ვერ იშოვოთ სამუშაო და გამოვა, რო არ გაგაფრთხილეთ. მე ვამბობ, რო უმეტესობა ძალიან

უბედურია. — თქვა და წყალში გადაწვა, — ხო არ შეიძლება, რო კაცმა ყველაფერი იცოდეს.

მამა ძია ჯონისკენ შებრუნდა.

— ბევრს არასდროს ლაპარაკობდი, მაგრამ რაც სახლიდან წამოვედით, ორი სიტყვაც არ გითქვამს. რას ფიქრობ ამ ყველაფერზე?

ძია ჯონმა დაუბღვირა.

— არაფერსაც არ ვფიქრობ. მივდივართ, ხო ესეა? აქ რაც არ უნდა ითქვას, მაინც წავალთ, ჩავალთ და ეგ იქნება. ვიშოვით სამუშაოს, ხო კარგი, ვერა და ქამრებს უფრო მაგრად შემოვიჭერთ. რათ უნდა ამას ბევრი ლაპარაკი.

ტომი გადაწვა და პირში წყალი ჩაიგუბა, მერე სიცილით გადააპურჭყა.

— ძია ჯონი ცოტას ლაპარაკობს, მაგრამ ჭკვიანურად, მა. ამაღამ მივდივართ?

აბა, რა ვქნათ, ერთი მალე გადავიდეთ...

— წავედი, ეხლა ბუჩქებში წამოვწვები და დავიძინებ. — ტომი წამოდგა და ქვიშიან ნაპირზე გადავიდა. ტანსაცმელი მზეზე ისე გახურებულიყო, რომ ტომს სიცხისგან გააკანკალა.

სხვებიც წამოიშალნენ. მდინარეში დარჩენილებმა თვალი გააყოლეს. ბიჭმა თქვა:

— ერთი ექვს თვეში მანახა ესენი, ღმერთო!

კაცმა საჩვენებელი თითით თვალის კუთხე ამოიწმინდა.

— არ უნდა მეთქვა, მაგრამ ხო იცი, კაცებს ჭკუის სწავლება გვიყვარს.

— თითონ გთხოვეს, მა, — უპასუხა შვილმა.

— ჰო, მაგრამ, იმ კაცის არ იყოს, მაინც მიდიან. მე ვეტყოდი თუ არა, არაფერი შეიცვლებოდა, იმის გარდა, რო წინასწარ დადგნენ ცუდ ხასიათზე.

ტომი ტირიფებისკენ წავიდა, ჩრდილიანი ადგილი შეარჩია და წამოწვა. ნოა უკან მიჰყვებოდა.

— ტომ!

რა იყო?

— ტომ, მე არ მოვდივარ.

ტომი წამოჯდა.

— რას ამბობ?

— აქედან არსად წავალ. ამ მდინარესთან დავრჩები. ქვევით ჩავუყვები.

— გაგიჟდი ხო?

— ანკესს გავაკეთებ. თევზს დავიჭერ. ესეთ მდინარესთან კაცი შიმშილით არ მოკვდება.

— მერე ოჯახი? დედას რას ეუბნები?

— ამ ადგილს ვერ დავტოვებ, ტომ, — ნოას დაშორიშორებული თვალები ნახევრად დახუჭული ჰქონდა. — ხო გესმის, კარგად მექცევიან, მაგრამ სინამდვილეში დიდად არ ვადარდებ.

— მგონი სუ გაგიჟდი.

— არა, არ გავგიჟებულვარ. ვიცი, როგორიც ვარ. ისიც ვიცი, რო ეწყინებათ, მაგრამ, მოკლედ, დედას შენ უთხარი.

— ნოა, მისმინე, — წამოიწყო ტომმა.

— არ გინდა, აზრი არა აქ. მას მერე, რაც ამ წყალში ჩავედი... ვერ დავტოვებ, არ შემიძლია... ეხლა ქვევით დავუყვები. თევზს დავიჭერ... ვერ წამოვალ, არ შემიძლია. — ტირიფის ჩრდილიდან გამოვიდა, — დედას უთხარი, ტომ. — თქვა და წავიდა.

ტომი მდინარის ნაპირამდე გაჰყვა.

— მისმინე, შე სულელო...

— აზრი არა აქ, — უთხრა ნოამ, — მეც მიჭირს, მაგრამ არ შემიძლია, უნდა წავიდე. — მკვეთრად შეტრიალდა და ნაპირს ქვევით დაუყვა.

ტომი უკან გაჰყვა, მაგრამ შემდეგ შეჩერდა. იდგა და უცქერდა. ნოა ნაპირს მიჰყვებოდა, ხან ბუჩქებს ეფარებოდა და ხან ისევ ჩნდებოდა; თანდათან დაპატარავდა და ბოლოს ტირიფებში ჩაიკარგა. ტომმა ქუდი მოიხადა, კეფა მოიფხანა, ტირიფის ჩრდილში დაბრუნდა და დასაძინებლად მოეწყო.

ლეიბზე, გადაჭიმული ბრეზენტის ქვეშ, ბებო იწვა. დედა გვერდით მიჯდომოდა. სულის შეხუთვამდე ცხელოდა. ბუზები გაბმით ბზუოდნენ. დედას ბებოს შიშველ სხეულზე მსუბუქი ვარდისფერი ფარდა გადაეფარებინა. მოხუცი თავს აქეთ-იქით იქნევდა, რაღაცას ბუტბუტებდა, ძლივს სუნთქავდა. დედა მის გვერდით მიწაზე იჯდა, მუყაოს ნაჭრით დანაოჭებული სახიდან ბუზებს უქშევდა. ცხელი ჰაერის ნაკადს ანიავებდა. შარონის ვარდი მეორე მხარეს იჯდა და დედას თვალს არ აშორებდა. ბებომ თვალები გაახილა და მბრძანებლური ხმით წამოიძახა:

— უილ, უილ, აქ მოდი, უილ, — ბრაზიანი თვალებით მიმოიხედა, — უთხარით, რო ეხლავე აქ მოვიდეს, მაინც დავიჭერ და თმას დავაწიწკნი. — თვალები დახუჭა, თავი გააქნია და ბუტბუტი დაიწყო. დედა ისევ უნიავებდა. შარონის ვარდი დაბნეული უცქერდა მოხუცს.

— ძალიან ცუდად არი, — თქვა მან ხმადაბლა.

დედამ თვალები ასწია და შვილს შეხედა. თვალებში მოთმინება ჩასახლებოდა, მაგრამ მის დაძაბულობას შუბლზე მოგროვილი ნაოჭები გასცემდა. დედა მუყაოს ნაჭრით შეუჩერებლივ აქშევდა ბუზებს.

— როცა ახალგაზრდა ხარ, შარონის ვარდო, გგონია, რო ყველაფერი რაც ხდება, თითქოს სხვაგან, შენგან შორს ხდება. ვიცი, ყველაფერი მახსოვს, შარონის ვარდო, — დედას ტუჩები ყოველთვის სიყვარულით წარმოთქვამდა შვილის სახელს, — მალე ბავშვი გეყოლება და იფიქრებ, რო მარტო ხარ. გეტკინება და ტკივილი მარტომ უნდა გადაიტანო. ეს კარავიც ესეა, ცალკეა მთელი სამყაროსგან, — მუყაო მოიქნია, დიდმა პრიალა ბუზმა კარავს ორჯერ შემოუფრინა და დღის ჩახჩახა სინათლისკენ ბზუილით გაფრინდა. დედამ განაგრძო: — მაგრამ დრო მიდის და ერთხელაც ხვდები, რო სიკვდილი ცალკე არ არის, არც დაბადებაა ცალკე, სინამდვილეში, სიკვდილი და დაბადება ერთი მთელის სხვადასხვა ნაწილებია. ხვდები, რო რაც ხდება, ცალკე კი არ ხდება, მთლიანობაში ხდება და ტკივილიც აღარ არი იმდენად ძნელი გადასატანი, იმიტო რო იცი, მარტო შენ არ გტკივა; ესეა, შარონის ვარდო, კარგი იქნებოდა, რო ადრე ამეხსნა შენთვის, მაგრამ არ მეხერხება ლაპარაკი, — და ხმა ჰქონდა ისეთი თბილი, იმხელა სიყვარულით სავსე, რომ შარონის ვარდს თვალები ცრემლით აევსო.

— გამომართვი ეს მუყაო და ბებოს დაუნიავე, — უთხრა დედამ და მუყაოს ნაჭერი მიაწოდა. — ადრე უნდა მელაპარაკა შენთან, ეხლა ყველაფერი გეცოდინებოდა.

თვალდახუჭულმა ბებომ წარბები შეჭმუხნა და წამოიყვირა: უილ, კიდე ჭუჭყიანი ხარ, რა არის, როდის უნდა დაიბანო! — პატარა დანაოჭებული ხელების მოკაუჭებული ფრჩხილებით ლოყა და კისერი მოიფხანა. ფარდის ნაჭრიდან კისრის ნაკეცებში წითელი ჭიანჭველა შეაცოცდა. დედა სასწრაფოდ დასწვდა ჭიანჭველას, ცერა და საჩვენებელ თითებს შორის მოიქცია, გაჭყლიტა და ხელი კაბის კალთაზე გაისვა.

შარონის ვარდი ბებოს უნიავებდა. დედას შეხედა, — ბებო... — და ბებომ ისე იყვირა, რომ სიტყვები პირზე შეაშრა. — ფეხები გაიწმინდე, უილ, შე ბინძურო ღორო!

— არ ვიცი, იქნებ სიგრილეში რო იყოს, მაგრამ არ ვიცი, რა გითხრა. ნუ წუხარ, ჰაერზე გადი და სული მოითქვი, სუფთა ჰაერი ჩაისუნთქე.

კარავში მაღალმა მსუქანმა ქალმა შეიხედა. შავი დაგლეჯილი კაბა ეცვა. მღვრიე, არაფრისმთქმელი თვალები ჰქონდა. მოდუნებული კანი ყბებზე ნაკეცებად ეკიდა. მოფლაშული პირის ზედა ტუჩი კბილებზე ფარდასავით გადმოფარებოდა, ქვედა ტუჩი სიმძიმისგან ისე ჩამოწეოდა, რომ ღრძილები უჩანდა.

— გამარჯობა, მემ, ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, — თქვა ქალმა.

დედამ ირგვლივ მიმოიხედა.

— გამარჯობა, — თქვა მან.

ქალი დაიხარა და კარავში შევიდა.

— გვითხრეს, რო აქ სული მზად არის ქრისტესთან შესაერთებლად, დიდება უფალს!

დედას სახე გაუმკაცრდა, თვალები ბრაზით აევსო.

— დაღლილია. გზამ და სიცხემ გადაღალა. დაისვენებს და გამოკეთდება.

ქალი ბებოსკენ დაიხარა და ისე მიუახლოვდა, გეგონებოდათ. ყნოსავდა. მერე დედასკენ შებრუნდა, თავი სწრაფად დააქნია და ტუჩების თახთახითა და ყბების ცახცახით თქვა:

— მისი სული ღმერთისკენ მიდის.

დედამ წამოიყვირა:

— არა, არა!

ამჯერად ქალმა თავი ნელა დააქნია და შეშუპებული ხელი ბებოს შუბლზე დაადო. დედამ გადაიწია, უნდოდა, რომ მისი ხელი მოეშორებინა, მაგრამ თავი შეიკავა.

— დიახ, ესეა, ჩემო დაო, — თქვა მან, — კარავში ექვსნი ვართ, ყველაზე ღვთის მადლია გადმოსული. წავალ და მოვიყვან, ლოცვას გავმართავთ, იეღოველები ვართ, ჩემი ჩათვლით ექვსნი, ეხლავე დავუძახებ.

— არა, არა. — დედას ხმა გაუმკაცრდა. — დაღლილია, ლოცვის თავი არა აქ.

— რისი თავი არა აქ, მადლი რო მიიღოს, იესოს ტკბილი სუნთქვა რო იგრძნოს? რას ამბობ, დაო?

— არა, აქ არ გვინდა ლოცვა, დაღლილია.

— მორწმუნეები არ ხართ? — გამკიცხავი თვალით შეხედა ქალმა.

— მორწმუნეები ვართ, — უთხრა დედამ, — მაგრამ ბებო დაღლილია, მთელი ღამე გზაში ვიყავით, არ შეგაწუხებთ.

— რა შეწუხებაა, და გინდაც იყოს, ღვთის კრავისკენ მიმავალ სულს გვინდა რო დავეხმაროთ.

დედა ფეხზე წამოდგა.

— მადლობას გიხდით, — ცივად თქვა მან, — მაგრამ აქ ლოცვას ვერ გავმართავთ.

ქალი კარგა ხანს უცქერდა.

— ლოცვის გარეშე მაინც არ გავუშვებთ, ჩვენს კარავში გავმართავთ, მემ, და თქვენც მიგიტევებთ გულქვაობას.

დედა ისევ დაჯდა და მკაცრი, დაძაბული სახით ბებოსკენ შებრუნდა.

— დაღლილია, დაღლილი და მეტი არაფერი, — თქვა მან. ბებო თავს აქეთ-იქით იქნევდა და ბუტბუტებდა.

ქალმა ქედმაღლურად შეხედა და კარვიდან გავიდა. დედა ისევ ბებოს უცქერდა.

შარონის ვარდი ცხელ ჰაერს მუყაოს ნაჭრით ანიავებდა.

— დე!

— რა იყო?

— რატო არ გაამართინე ლოცვა?

— არ ვიცი, იეღოველები კარგი ხალხია. ღვთის სადიდებლად ბევრს ტირიან და ხტიან. არ ვიცი, რაღაც დამემართა, მაგრამ მე ვერ ავიტანდი, ძალა არ მეყოფოდა.

შორიახლოს სევდიანი გალობა დაიწყო. სიტყვების გარჩევა შეუძლებელი იყო. ხმა ხან ქვევით იწევდა, ხან ზევით და ყოველი ახალი წამღერება უფრო ხმამაღლა ისმოდა. ახლა საპასუხო ხმები ჩაერთო და შეგონება კიდევ უფრო საზეიმოდ, ძლევამოსილად გაისმა. ისევ პაუზა და ისევ ხმამაღალი მისამღერი. ქადაგების ფრაზები უფრო მოკლე გახდა, ბრძანებებივით გაისმა, მისამღერში ჩივილის ნოტები გაერია, რიტმი აჩქარდა. კაცისა და ქალის ხმები ერთ ტონალობაში ჟღერდა, მაგრამ საპასუხო მისამღერის დროს ერთი ქალის ხმამ აიწია, მოთქმით აწივლდა და აკივლდა, დაჭრილი მხეცივით აღრიალდა; მას ქალის მკივანა ხმა აჰყვა, გვერდით მყეფარა ძაღლის ხმა გაისმა და ბოლოს, კაცის მგლის ყმუილივით ხმამ, რომელიც ზევით-ზევით იწევდა, ყველას ხმა გადაფარა. სიტყვები აღარ ისმოდა. კარვიდან მხოლოდ მოთქმა-გოდებისა და მიწაზე ფეხების ბრაგუნის ხმა გამოდიოდა. დედას გააკანკალა. შარონის ვარდს სუნთქვა უჭირდა, ქოშინებდა, იმდენ ხანს გაგრძელდა გუნდური გოდება, რომ ლამის ფილტვები დახეთქოდა.

— ვერ ვუსმენ, არ შემიძლია, არ ვიცი, რა დამემართა.

მაღალი ხმა აფთრის გამყინავი ხარხარივით ისმოდა, ბრაგუნი გაძლიერდა. ხმები ერთიმეორის მიყოლებით იბზარებოდა. ბოლოს მთელი გუნდი სლუკუნით ტირილზე გადავიდა; სხეულზე დარტყმისა და ფეხების ბრაგუნის ხმა გახშირდა. ტირილი ჯერ ღნავილად იქცა, ბოლოს კი, საჭმლის ჯამებთან მიმჯდარი ლეკვების წკმუტუნად.

შარონის ვარდი ხმადაბლა ტიროდა. ბებომ რუხი დაკოჟრილი ჯოხებივით ფეხებიდან ფარდის ნაჭერი გადაიძრო, საწყალობლად სლუკუნებდა. დედამ კარვის კალთა ჩამოაფარა. ბებომ ღრმად ამოიოხრა და თავისუფლად სუნთქვა დაიწყო. ქუთუთოები აღარ უთრთოდა, ღრმად ჩაეძინა, პირი ნახევრად ღია ჰქონდა, ხვრინავდა. შორიდან ტირილის ხმამ იკლო და ბოლოს შეწყდა.

შარონის ვარდმა დედას შეხედა. თვალები ცრემლიანი ჰქონდა.

— მოუხდა, ბებოს დაეძინა.

დედას თავი ჩაქინდრა, რცხვენოდა.

— რას ვერჩოდი იმ ხალხს, დაეძინა.

— იქნებ ჩვენ მქადაგებელს ჰკითხო, ცოდვა ჩაიდინე თუ არა. — ჰკითხა შარონმა.

— ვკითხავ. მაგრამ უცნაური კაცია. მგონი მაგის ბრალია, ის ხალხი რო არ შემოვუშვი. სუ ფიქრობს და ამბობს, ადამიანს უფლება აქ, რაც უნდა, ის გააკეთოსო. — დედამ ხელებზე დაიხედა და თქვა: — შარონ, ამაღამ თუ გავდივართ, ეხლა უნდა დავიძინოთ. — ლეიბის გვერდით, მიწაზე წამოწვა.

— ბებოს აღარ დავუნიავო? — ჰკითხა შარონმა.

— ეხლა ძინავს, დაწექი და დაისვენე.

— ნეტა კონი სად არი? დიდი ხანია აღარ დამინახავს, წაიწუწუნა შარონმა.

— გაჩუმდი და დაისვენე.

— დე, კონი ღამღამობით სწავლას აპირებს, ხალხში უნდა გავერიოო, ამბობს.

— ჰო, უკვე მითხარი. ეხლა დაიძინე.

შარონი ბებოს ლეიბის კუთხეში წამოწვა.

— კონის ახალი გეგმა აქ. სუ რაღაცაზე ფიქრობს. ელექ-ტროობას ისწავლის და თავის მაღაზიას გახსნის. მერე, აბა, თუ გამოიცნობ, რას იყიდის?

— რას?

— საყინულეს. ყინული სუ გვექნება და აღარაფერი გაგვი-ფუჭდება.

— ჰო, კონი სუ რაღაცაზე ფიქრობს, მაგრამ ეხლა დაიძინე.

შარონის ვარდმა თვალები დახუჭა. დედა ზურგზე დაწვა და ხელები თავქვეშ ამოიწყო. ბებოს და შარონის სუნთქვას ყური მიუგდო, შუბლზე ბუზი დააჯდა და მოიგერია, თაკარა მზის ქვეშ, კარავში, სიჩუმე ჩამოწვა. გახურებული ბალახის შრიალი, ჭრიჭინების ჭრიჭინი და ბუზების ბზუილი სიჩუმეს ერწყმოდა. დედამ ღრმად ამოიოხრა, დაამთქნარა და თვა-ლები დახუჭა. უკვე ძილი ერეოდა, რომ ნაბიჯების ხმა მოესმა. კაცის ხმამ გამოაფხიზლა.

— აქ ვინ არი?

დედა სწრაფად წამოჯდა. მზეზე გარუჯული კაცი დაიხარა და კარავში შეიხედა. სამხედრო შარვალი, მაღალყელიანი ფეხსაცმელი და სამხრეებიანი პერანგი ეცვა. ოფიცრის ტყა-ვის ქამარზე რევოლვერის ბუდე ეკიდა. პერანგის მარცხენა მხარეს დიდი ვერცხლისფერი ვარსკვლავი ჰქონდა დამაგრე-ბული, უნიფორმის ქუდი კეფაზე მოეგდო. კარვის კედელს ხე-ლი დაჰკრა და გადაჭიმული ბრეზენტი დოლივით აბრახუნდა,

— აქ ვინ არი? — დაიძახა მან.

— რა გნებავთ, მისტერ?

— რა უნდა მინდოდეს? მინდა, ვიცოდე, აქ ვინ არის.

— სამნი ვართ, ბებო, გოგონა და მე.

— კაცები სად არიან?

— საბანაოდ წავიდნენ. მთელი ღამე გზაში ვიყავით.

— საიდან ხართ?

— ოკლაჰომიდან, სალისოდან.

— აქ ვერ დარჩებით.

— ამაღამ გასვლას ვაპირებთ, უდაბნო უნდა გადავკვეთოთ.

— კარგს იზამთ. ხვალ ამ დროს კიდე აქ თუ იქნებით, ციხეში გიკრავთ თავს. თქვენნაირებს აქ გაჩერების უფლებას არ ვაძლევთ.

დედას სიბრაზისგან სახე გაულურჯდა. ფეხზე ნელა წამოიმართა, ჭურჭლის ყუთთან მივიდა და თუჯის ტაფა აიღო.

— მისტერ, ფორმა გაცვია და იარაღი გაქ, საიდანაც მე ვარ, იქ შენნაირები ხმამაღლა ლაპარაკს ვერ ბედავენ, — თუჯის ტაფა შემართა და მისკენ გაიწია. კაცმა ხელი ბუდისკენ წაიღო. — მიდი, მესროლე. ქალებს აშინებ? კიდე კარგი ჩემი კაცები აქ არ არიან, თორე შუაზე გაგლეჯდნენ. ჩემ მხარეში შენისთანები ენას კბილს აჭერენ.

კაცმა ორი ნაბიჯით უკან დაიხია.

— შენ მხარეში არ ხარ, კალიფორნიაში ხარ და შენნაირ ოკის აქ გაჩერების უფლებას არ ვაძლევთ.

დედა შეჩერდა. დაბნეული იცქირებოდა.

— ოკის? — ჩაილაპარაკა ხმადაბლა, — ოკის?

— ჰო. ოკის. ხვალ ისევ აქ იქნებით და ციხეში გიშვებთ. იცოდე! — კაცი გატრიალდა. შემდეგ კარავთან მივიდა, კარვის კედელს ხელი დაჰკრა და იკითხა: — აქ ვინ არის?

დედამ კარავის კალთა ჩამოაფარა, თუჯის ტაფა ყუთში ჩადო და მიწაზე ნელა დაეშვა. შარონის ვარდი ჩუმად უცქერდა. დაინახა, რომ დედა ბრაზით ალეწილი სახით იჯდა, თავი მოიმძინარა და თვალები დახუჭა.

მზე ჩადიოდა, მაგრამ ისევ ისე ცხელოდა. ტირიფის ჩრდილქვეშ წამოწოლილ ტომს გაეღვიძა, პირი გამომშრალი ჰქონდა, სხეული ოფლიანი, თავი დამძიმებული. ფეხზე ბარბაცით წამოდგა და მდინარესთან ჩავიდა. ტანზე გაიხადა. წყალში ჩავიდა. როგორც კი მის სხეულს წყალი გარს შემოევლო, წყურვილის შეგრძნება გაუქრა. უკან გადაწვა და ტანი ნებაზე მიუშვა. იდაყვებს ეყრდნობოდა და წყლის ზედაპირზე ამოჩრილ ფეხის თითებს უცქერდა.

ლერწმებიდან გამხდარი, ფერმკრთალი პატარა ბიჭი ცხოველივით შეიპარა. ტანზე გაიძრო, მდინარეში წყლის ვირთხასავით შეძვრა და მასავით გაცურა, ზედაპირზე მხოლოდ მისი ცხვირი და თვალები მოჩანდა. შემდეგ ტომი დაინახა, თამაში შეწყვიტა და დაჯდა.

— გაუმარჯოს, — უთხრა ტომმა.

— გაუმარჯოს.

— წყლის ვირთხას გამოაჯავრე?

— დიახ. — ბიჭი წამოდგა და ნაპირისკენ წავიდა. მერე ისკუპა, ტანსაცმელი იღლიის ქვეშ ამოიჩარა და ლერწმებში გაუჩინარდა.

ტომმა ჩაიცინა. უცებ გაიგონა, რომ ვიღაც გამკივანი ხმით ეძახდა. წყალში წამოჯდა, ძლიერად დაუსტვინა და ზედ სუსტი სტვენა მიაყოლა. ტირიფები შეირხა და რუთი გამოჩნდა.

— დე გეძახის. ეხლავე წამოვიდესო.

— კარგი, — წამოდგა და ნაპირისკენ წავიდა. რუთი გაოცებული ათვალიერებდა მის შიშველ სხეულს. ტომმა რუთის

მზერის მიმართულება შენიშნა და დაუცაცხანა, — აბა, გაიქეცი ეხლა! — რუთი გაიქცა და ტომმა გაიგონა, აფორიაქებული როგორ ეძახდა უინფილდს. გაგრილებულ სველ ტანზე მზეზე გახურებული ტანსაცმელი გადაიცვა და ტირიფების გავლით ნელა წავიდა კარვისკენ.

დედას ტირიფის ხმელი ტოტებით ცეცხლი გაეჩაღებინა და ზედ ქვაბით წყალი შემოედგა. ტომი რომ დაინახა, შვებით ამოისუნთქა.

— რა ამბავია, დე? — ჰკითხა ტომმა.

— შემეშინდა. — თქვა დედამ. — პოლიციელი იყო მოსული და ვიფიქრე, ტომს არ დაელაპარაკოს-მეთქი, შემეშინდა რო გეცემა...

— რატო უნდა მეცემა პოლიციელი?

— ისე ლაპარაკობდა. კინაღამ მე ვცემე.

ტომმა დედას მკლავში ხელი მოჰკიდა, ოდნავ შეანჯღრია და სიცილი წასკდა, მიწაზე დაჯდა და გულიანად ახარხარდა.

— ღმერთო, დე, რა მშვიდი ქალი იყავი, რა დაგემართა?

დედამ სერიოზული ხმით უპასუხა.

— არ ვიცი ტომ.

— ჯერ იყო და დომკრატით გვემუქრებოდი, ეხლა პოლიციელი კინაღამ სცემე. — ტომმა ხმადაბლა ჩაიცინა და დედას შიშველ ფეხის ტერფზე ალერსიანად დაჰკრა ხელი. — საშიში ქალი ხარ, — გაეხუმრა ტომი.

— ტომ.

— ჰო.

დედა ერთხანს ყოყმანობდა.

— ტომ, იმ პოლიციელმა ოკი დაგვიძახა. არ გვინდა და შენნაირ ოკის აქ არ გავაჩერებთო, მითხრა.

ტომი დედას აკვირდებოდა. ხელით ისევ ტერფზე ეფერებოდა.

— ჰო, ვიცი, ერთმა კაცმა უკვე მოგვიყვა, — ტომი შეფიქრიანებული ჩანდა, — დე, რას იტყვი, ისეთი ვარ, რო ციხეში ჯდომას ვიმსახურებდი?

— არა, არა, მიგიყვანეს დანაშაულამდე, რატო მეკითხები?

— იმიტო რო, ის პოლიციელი რო მენახა, თავს გავუხეთქავდი.

დედას გაეღიმა.

— შენ კი არა, კინაღამ მეც გავუხეთქე თავი თუჯის ტაფით.

— დე, რაო, რა თქვა, რატო არ შეგვიძლია აქ დარჩენა?

— ოკის აქ ვერ გავაჩერებთო, მეტი არაფერი. თუ არ წახვალთ, ციხეში გაგიშვებთო.

— არ უთხარი, რო პოლიციელების ჭკუაზე სიარულს მიჩვეულები არა ვართ?

— ვუთხარი, მაგრამ ეხლა სახლში არა ხართ, ეხლა კალიფორნიაში ხართ და ჩვენ როგორც გვინდა, ისე მოვიქცევითო.

— დე, რაღაც მინდა რო გითხრა, — უხერხულად შეიშმუშნა ტომი, — ნოა მდინარეს ქვევით დაუყვა, ჩვენთან ერთად აღარ მოდის.

დედას რამდენიმე წამი დასჭირდა, რომ ტომის ნათქვამი გაეაზრებინა.

— რატო? — ხმადაბლა ჰკითხა ტომს.

— არ ვიცი. უნდა დავრჩეო, ამბობს, ვერ წამოვალო, დედას შენ უთხარიო.

— თავს როგორ ირჩენს? რას შეჭამს?

— არ ვიცი, თევზს დავიჭერ, შიმშილით არ მოვკვდებიო.

დედა გაჩუმდა და კარგა ხანს ხმა არ ამოუღია.

— იშლება ჩვენი ოჯახი, აღარ ვიცი, რა ვიფიქრო, არაქათი აღარ მაქ. — თქვა ბოლოს.

— კარგად იქნება, დე, ხო იცი, თავისებურია, გაუძლებს.

დედა მდინარეს გაოგნებული თვალებით მიშტერებოდა.

— ვეღარაფერზე ვფიქრობ, აღარ ვიცი, რა ვქნა.

ტომმა ჩამწკრივებულ კარვებს გახედა. რუთი და უინფილდი კარვის წინ იდგნენ და ვიღაცას თავაზიანად ესაუბრებოდნენ. რუთი ხელში ქვედაკაბის კუთხეს ატრიალებდა. უინფილდი ფეხის თითით მიწაში ხვრელს თხრიდა. ტომმა გასძახა: — რუთ! — რუთი სწრაფი ნაბიჯებით წავიდა ძმისკენ. უინფილდი უკან გაჰყვა.

— ჩვენებს ტირიფების ჩრდილში სძინავთ, დაუძახე. უინფილდ, უილსონებს უთხარი, რო ამაღამ გავდივართ.

ბავშვები შეტრიალდნენ და გაიქცნენ.

— დე, ბებო ეხლა როგორ არი?

— დღეს ეძინა, შეიძლება უკეთ გახდა, ჯერ კიდე სძინავს.

— კარგია. ღორის ხორცი რამდენი დაგვრჩა?

— ბევრი აღარ არი, მეოთხედი ღორი იქნება.

— მეორე კასრში წყალი უნდა ჩავასხათ, უწყლოდ ვერ წავალთ.

ტირიფებიდან რუთის და უინფილდის ხმა ისმოდა, კაცებს ეძახდნენ.

დედამ კოცონს ტირიფის ტოტები დააყარა. ცეცხლი ქვაბს მისწვდა.

— ღმერთს ვევედრები, რო დაგვასვენოს, იესოს შევთხოვ, რო სადმე კარგი ადგილი გვაპოვნინოს.

მზე დასავლეთით, გადახრუკული მთების უსწორმასწორო ხაზის იქით ჩავიდა. ცეცხლზე წყალი გამწარებული თუხთუ-

ხებდა. დედა კარავში შევიდა, წინსაფრით კარტოფილი გამოიტანა და ქვაბში ჩაყარა.

— ღმერთი ინებებს და მალე დავრეცხავ ტანსაცმელს. ესე ბინძურად არასდროს გვიცხოვრია. კარტოფილი რო კარტოფილია, იმასაც აღარ ვრეცხავ, მაინც იხარშება-მეთქი, და რატო არც ვიცი, ისე ვარ, თითქოს გული ამომაცალეს.

ტირიფებიდან კაცები მოაბიჯებდნენ. ძილისთვის თავი ბოლომდე ვერ დაეღწიათ, შეშუპებული თვალები და სახეები ასწითლებოდათ.

— რა ამბავია? — იკითხა მამამ.

— გავდივართ, პოლიციელი მოსულა და წადითო. რაც მალე წავალთ, უკეთესია, კიდე სამასი მილი გვაქ გასავლელი.

— მე მეგონა, დღეს ვისვენებდით.

— არ გამოდის დასვენება, მა! უნდა წავიდეთ. ნოა არ მოდის, მდინარეს ქვევით დავუყვებიო, თქვა.

— არ მოდის? რა დაემართა? ჩემი ბრალია, ამ ბიჭის ცოდვა კისერზე მადევს. — საწყალობლად ჩაილაპარაკა მამამ.

— არა.

— აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი. არ შემიძლია, ჩემი ბრალია, ჩემი.

— უნდა წავიდეთ, — თქვა ტომმა.

უილსონმა ბოლო სიტყვა თქვა:

— ჩვენ ვერ მოვდივართ, სეირი ცუდად არი. უნდა დაისვენოს. უდაბნოზე ცოცხალი ვერ გადავა.

ყველა გაჩუმდა. ბოლოს ტომმა თქვა:

— პოლიციელი ამბობს, ციხეში ჩაგყრით, ხვალ კიდე აქ თუ იქნებითო.

უილსონმა თავი გააქნია. მწუხარებისგან თვალები უელავდა, მუქი კანი გაფერმკრთალებოდა.

— რაც იქნება, იქნება, სეირი ვერ წამოვა. დაგვაპატიმრებენ და დაგვაპატიმრონ. სეირის დასვენება სჭირდება, რო ცოტა მოძლიერდეს.

— დაგიცდით და ერთად წავიდეთ, — თქვა მამამ.

— არა, — უპასუხა უილსონმა, — ისედაც ბევრი სიკეთე გაგვიკეთეთ. აქ თქვენი დარჩენა არ შეიძლება. სამუშაო უნდა იშოვოთ. აქ არ დაგტოვებთ.

— როგორ დარჩებით, არაფერი გაქვთ, — აღელვებულმა ჩაილაპარაკა მამამ.

უილსონმა გაიღიმა:

— არც მაშინ გვქონდა, როცა თქვენ შეგხვდით. ეს თქვენ აღარ გეხებათ. ნუღარ მეკამათებით, თორე გავბრაზდები.

დედამ მამას კარვიდან ხელი დაუქნია და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

უილსონი კეისისკენ შებრუნდა.

— კეისი, სეირი გთხოვს, იქნებ მნახოსო.

— ეხლავე ვნახავ. — უთხრა კეისიმ.

კეისი უილსონების პატარა ნაცრისფერი კარვისკენ წავიდა, კალთა გადასწია და შიგ შევიდა. საშინელი სიცხე და სიბნელე ჩამოწოლილიყო. მიწაზე ლეიბი ეგდო, დილით ამოლაგებული ნივთები აქეთ-იქით ეყარა. სეირი ლეიბზე იწვა, ფართოდ გახელილი თვალები უელავდა. კეისი ლეიბთან მივიდა, თავი დახარა და სეირის დახედა. დაძარღვულ კისერზე კუნთები დაეჭიმა. ქუდი მოიხადა.

— ჩემმა ქმარმა გითხრათ, რომ ვერ მოვდივართ?

— გვითხრა.

— ძალიან მინდოდა წამოსვლა, — საამოდ მჟღერი ხმით განაგრძო სეირიმ, — ვიცი, რო დიდი დღე არ მიწერია, სამაგი-

ეროდ, ის გადაკვეთდა უდაბნოს. მაგრამ რა უნდა, არ იცის. ფიქრობს, რო დავისვენებ და გამოვკეთდები, არ იცის.

— ამბობს, არ წამოვალთო, — უთხრა კეისიმ.

— ვიცი. ჯიუტია. მე გთხოვე მოსვლა, მინდა, რო ლოცვა წამიკითხო.

— მე მქადაგებელი არ ვარ, — ხმადაბლა თქვა კეისიმ, — ჩემ ლოცვას მადლი არა აქ.

სეირიმ პირი გაისველა.

— მოხუცი რო მოკვდა, იქ ვიყავი, მაშინ ხო ილოცე.

— ის ლოცვა არ იყო.

— ლოცვა იყო.

— მქადაგებლის ლოცვა არ იყო.

— კარგი იყო. მინდა, რო ჩემთვისაც ილოცო.

— არ ვიცი, რა ვთქვა.

სეირიმ წამით თვალები დახუჭა. მერე ისევ კეისის შეხედა.

— მაშინ უსიტყვოდ ილოცე. სიტყვები არ არის საჭირო.

— ჩემში ღმერთი არ არის.

— არის. როგორ გამოიყურება არ იცი, მაგრამ მაგას არა აქ მნიშვნელობა.

მქადაგებელმა თავი დახარა. სეირი შიშით ადევნებდა თვალს. და როცა კეისიმ თავი ასწია, შვებით ამოისუნთქა.

— კარგია, სწორედ ეს მჭირდებოდა, მინდოდა, რო ვინმე ყოფილიყო ახლოს და ჩემთვის ელოცა.

კეისიმ თავი გააქნია, თითქოს ძილიდან გამოფხიზლებას ცდილობდა.

— არ მესმის.

— მაგრამ იცი, არა?

— ვიცი, მაგრამ არ მესმის. იქნებ რამდენიმე დღე დაისვენო და მერე წამოხვიდეთ.

სეირიმ თავი ნელა გააქნია.

— არა, ჩემგან ძვლები და ტკივილი დარჩა. ვიცი, რაც არი, მაგრამ არ ვეუბნები, ძალიან იდარდებს. მაინც ვერაფერს იზამს. იქნებ ღამით, როცა მას ეძინება.. რო გაიღვიძებს უფრო ადვილად გადაიტანს.

— გინდა, რო შენთან დავრჩე და არ წავიდე?

— არა, — თქვა მან, — პატარა რო ვიყავი, ვმღეროდი. იქ, ჩემთან, ხალხი ამბობდა, ჯენი ლინდასავით მღერისო. ჩემს მოსასმენად მოდიოდნენ ხოლმე, მე ვმღეროდი, ისინი ჩემ გარშემო იდგნენ და იმ დროს ისეთ ერთსულოვნებას ვგრძნობდით, რო ვერც კი წარმოიდგენ. ბედნიერი და მადლიერი ვიყავი, იმიტო რო იშვიათია, როცა ხალხი გულით და სულით გრძნობს სიახლოვეს. თეატრში სიმღერაზე ვოცნებობდი, მაგრამ არ ეწერა ამ ოცნებას ასრულება და ძალიანაც კარგი, რო ესე მოხდა, რადგან მე იმ ხალხისთვის ვმღეროდი და ჩვენ შორის არაფერი იდგა. ამიტომ გთხოვე, რო გელოცა, კიდე ერთხელ მინდოდა იმ სიახლოვის განცდა. სიმღერა და ლოცვა რამ გაყო. ნეტა მოგესმინა, როგორ ვმღეროდი.

კეისი მისკენ დაიხარა და თვალებში შეხედა.

— მშვიდობით.

სეირიმ თავი დაუქნია და პირი მაგრად მოკუმა. მქადაგებელი ბნელი კარვიდან დამაბრმავებელ სინათლეზე გამოვიდა.

კაცები მანქანას ტვირთავდნენ, ძია ჯონი მაღლა ასულიყო, სხვები ქვევიდან ნივთებს აწოდებდნენ. ფრთხილად აწყობდა, ცდილობდა, რომ ზედაპირი სწორი ყოფილიყო. დედამ კასრი დაცალა და ღორის ხორცი ტაფაზე გადაიტანა. ტომმა და ელმა კასრები მდინარეზე ჩაიტანეს და გარეცხეს, მერე სატვირთოს საფეხურზე მიაბეს, სათლით წყალი მოზიდეს და კასრები შეავსეს. ბოლოს კასრებს თავზე აფრის ტილო გადაუჭირეს,

რომ ჯაყჯაყის დროს წყალი არ გადმოღვრილიყო. თითქმის ყველაფერი ჩალაგებული იყო. მხოლოდ ბებოს ლეიბი და ბრეზენტი რჩებოდა.

— ამხელა ტვირთით ეს ჯაბახანა მალე გადახურდება. რაც შეიძლება მეტი წყალი უნდა წავიღოთ.

დედამ მოხარშული კარტოფილი ჩამოარიგა. კარვიდან ნახევარი ტომარა კარტოფილი გამოიტანა და ღორის ხორცით სავსე ტაფის გვერდით დადო. ყველა ფეხზე მდგომი ჭამდა. ფეხს ხშირად ინაცვლებდნენ, ცხელი კარტოფილი გასაგრილებლად ხელიდან ხელში გადაჰქონდათ.

დედა უილსონების კარავში შევიდა და ათ წუთში ფეხაკრეფით გამოვიდა.

— წასვლის დროა, — თქვა მან.

კაცებმა ბრეზენტის კარვის კალთა გადასწიეს. ბებოს ჯერ კიდევ ეძინა, პირი ღია დარჩენოდა. კაცებმა ლეიბიანად ფრთხილად ასწიეს და სატვირთოს თავზე დააწვინეს. ბებომ გამხდარი ფეხები ასწია და შეიჭმუხნა, მაგრამ არ გაუღვიძია. ძია ჯონმა და მამამ ბრეზენტი ტვირთის თავზე გადაატარეს, დირეზე გადაჭიმეს და გვერდითა ფიცრებზე დაამაგრეს, ამით სამზადისი დასრულდა. მამამ საფულედან ორი დაჭმუჭნული კუპიურა ამოიღო და უილსონს გაუწოდა.

— გვინდა, რო ეს გამოგვართვა, — ხელი ღორის ხორცისა და კარტოფილისკენ გაიშვირა, — და ეს.

უილსონმა თავი ჩაქინდრა და მაგრად გააქნია.

— მე მაგას არ ვიზამ, თქვენც ცოტა გაქვთ.

— იქამდე გვეყოფა, სუ კი არ გიტოვებთ. ჩავალთ თუ არა, მუშაობას დავიწყებთ.

— არა, არ გამოგართმევთ, ნუ მაძალებთ, თორე გავბრაზდები.

დედამ მამას ფული გამოართვა, დაკეცა და ტაფის გვერდით მიწაზე დადო.

— აი, აქ იქნება, თუ არ აიღებთ, ვინმე სხვა იხეირებს.

თავჩაქინდრული უილსონი კარავში შევიდა და კალთები ჩამოაფარა. ოჯახი ერთ ხანს იცდიდა. შემდეგ ტომმა თქვა:

— უნდა წავიდეთ, საცაა ოთხი გახდება.

სატვირთოზე ავიდნენ. დედა ბებოს გვერდით დაჯდა; ტომი, ელი და მამა კაბინაში, უინფილდი მამას კალთაში ჩაუჯდა. კონიმ და შარონმა ბუდე წინა კედელთან მოიწყეს. მქადაგებელი, ძია ჯონი და რუთი უწესრიგოდ მიყრილ ნივთებს შორის ჩასხდნენ. მამამ დაიძახა:

— ნახვამდის, მისტერ და მისის უილსონ. — კარვიდან არავინ გამოეხმაურა.

ტომმა მანქანა დაქოქა, ნელა დაძრა და ნიდლისკენ ოღროჩოღრო გზას დაადგა. დედამ უკან მიიხედა. კარვის წინ უილსონი იდგა და გზას გასცქეროდა, ხელში ქუდი ეჭირა. სახეს მზე უნათებდა. დედამ ხელი დაუქნია; უილსონი არ განძრეულა.

რესორი რომ დაეზოგა, ტომს მანქანა მეორე სიჩქარით მიჰყავდა. ნიდლსში ბენზინგასამართ სადგურთან გააჩერა. შეამოწმა, აპარებდა თუ არა გაცვეთილი საბურავები ჰაერს, კარგად იყო თუ არა სათადარიგო საბურავები დამაგრებული, ბენზინის ავზი შეავსო, ორი კანისტრა ბენზინი, თითო ხუთი გალონის ტევადობის, და ერთი ორგალონიანი კანისტრა ზეთი იყიდა. რადიატორი წყლით შეავსო, ბიჭებს რუკა სთხოვა და ეცადა მიმართულება გაერკვია.

თეთრ უნიფორმიანი ახალგაზრდა, რომელიც ტომს ემსახურებოდა, ღელავდა და მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა ტომმა გამოწერილი ანგარიში გადაიხადა.

— ალბათ გამბედავი ხალხი ხართ, — უთხრა ბიჭმა ტომს.

ტომმა რუკიდან თავი ასწია.

— რას გულისხმობ?

— უდაბნოს ამ ჯაბახანით გადაკვეთას. — შენ გადასულხარ იქით?

— ბევრჯერ, მაგრამ ასეთი ჯართით არა.

— რო გავიჭედოთ, ვინმე დაგვეხმარება?

— შეიძლება, მაგრამ ხალხს ღამით გაჩერების ეშინია. მე არ გავაჩერებდი, ეგეთი გაბედული არ ვარ.

ტომმა გაიცინა.

— დიდი გაბედულება არ სჭირდება იმის გაკეთებას, რასაც იმიტო აკეთებ, რო მეტი გზა არ გაქ. კარგი, მადლობა, წავედით, — სატვირთოში ავიდა და დაძრა.

უნიფორმიანი ბიჭი რკინის ფარდულში შევიდა, სადაც მისი დამხმარე ქვითრებს ჩაჰკირკიტებდა.

— ღმერთო, რა საშინელი სანახავები არიან.

— ყველა ოკი ეგეთია.

— ეგეთი ჯაბახანით მე ვერ გავბედავდი.

— ჩვენ ჭკუა მოგვეკითხება, ოკიმ რა იცის, არც ჭკუა აქვს და არც გრძნობა. თითქოს ადამიანები არც არიან. ადამიანი ეგრე ნამდვილად ვერ იცხოვრებს. მაგათ მეტი ვინ შეეგუება ეგეთ სიბინძურეს და სიღატაკეს. გორილებზე მეტი რითი არიან, ვერ გავიგე.

— კიდე კაი, მე არ მიწევს უდაბნოზე იმ ჯაბახანით გადასვლა, რომ ვუყურებ, მეშინია, სალეწ მანქანას ჰგავს.

მეორე ბიჭმა საბუღალტრო დავთარს ჩახედა. ხელიდან ოფლის მსხვილი წვეთი ჩამოუგორდა და ვარდისფერ ფურცელს დაეცა.

— მიდიან და ვითომ არაფერი, ისეთი ჩლუნგები არიან, ვერც კი ხვდებიან, რამდენად საშიშია. მე მგონი, მოსწონთ კიდეც, რასაც აკეთებენ და შენ რა გადარდებს?

— არაფერი, უბრალოდ ვფიქრობ, მეც მომეწონებოდა, იმათ ადგილას რომ ვიყო?

— რატომ მოგეწონებოდა, რა და როგორ ყველაფერი გესმის, ხომ ხედავ, ისინი აზრზე არ არიან, — თქვა და სახელოთი ფურცელზე დაწვეთებული ოფლი აწმინდა.

სატვირთო გზაზე გავიდა და ჩამოშლილი კლდის უზარმაზარ ლოდებს შორის წინ წავიდა. ძრავა ძალიან მალე გახურდა. ტომმა სვლა შეანელა. მიხვეულ-მოხვეული, დაკლაკნილი ფერდობის თავზე მკვდარი მიწა რუხ-თეთრად ბრიალებდა. სიცოცხლის ნიშანწყალი არსად ჩანდა. ტომმა მანქანა ცოტა ხნით შეაჩერა, ძრავას გაგრილება აცადა და ისევ წინ წავიდა. უღელტეხილზე რომ გადავიდნენ, მზე ისევ მცხუნვარედ ანათებდა. უდაბნოს გადახედეს — შორს ნახანძრალი შავი მთები და რუხ უდაბნოზე ყვითელი მზის ანარეკლი, გაქუცული ბუჩქნარი და ბალახბულახი ქვიშასა და კლდის ნამტვრევებზე მკვეთრ ჩრდილს ისროდა. მზეს ვარვარი გაჰქონდა. გზა რომ უკეთ დაენახა, ტომმა ხელით თვალები მოიჩრდილა. მთის თხემი გადაიარეს, ქვევით გამორთული ძრავით, მუხრუჭების იმედად დაეშვნენ. ვენტილატორი ტრიალებდა, რომ რადიატორში წყალი არ ადუღებულიყო. ტომმა მანქანა გააჩერა. მძღოლის კაბინიდან ტომმა, ელმა, მამამ და მამის მუხლებზე მოკალათებულმა უინფილდმა ჩამავალ მზეს გახედეს. დასიცხულ სახეებზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ, დაბინდული თვალები უაზროდ უელავდათ. გადახრუკული მიწა და შავი ნახანძრალი მთები უდაბნოს ზედაპირის მთლიანობას არ-

ღვევდა და ჩამავალი მზის წითელ შუქზე კიდევ უფრო შემზარავად გამოიყურებოდა.

— ღმერთო, რა ადგილია, როგორ უნდა გადავიდეთ? — თქვა ელმა.

— ხალხი გადადის, — უპასუხა ტომმა, — იმათ თუ შეძლეს, ჩვენც შევძლებთ.

— ალბათ რამდენი სიცოცხლე შეიწირა.

— ისე არ გამოდის, ხო ხედავ, აქამდე ჩვენც ვერ მოვედით დანაკარგის გარეშე.

ელი გაჩუმდა. წითელი უდაბნო მათ გასწვრივ მიედინებოდა.

— ნეტა უილსონებს თუ ვნახავთ ოდესმე?

ტომმა ზეთსაზომს დახედა.

— ისეთი წინათგრძნობა მაქ, მისის უილსონს ვეღარავინ ნახავს, რა ვქნა, ესე მგონია და..

— მა, გადასვლა მინდა, — თქვა უინფილდმა.

ტომმა ბავშვს გადახედა,

— ყველა ხო არ გადავიდეთ, წინ დიდი გზა გვაქ, — სვლა შეანელა და მანქანა გააჩერა. უინფილდი სატვირთოდან გადმოძვრა და გზის პირას მოშარდა.

— კიდე ჩამოდის ვინმე? — დაიძახა ტომმა.

— არა, სითხე არ გვემეტება, — უპასუხა ძია ჯონმა.

— უინფილდ, ზევით აძვერი, — უთხრა მამამ, — ფეხები მეტკინა.

ბიჭმა შარვალი შეიკრა, ზევით მორჩილად აძვრა, ცოცვით ბებოს ლეიბს ჩაუარა და რუთისკენ წავიდა.

საღამომ ძალა მოიკრიბა, მზის კიდე ჰორიზონტის უსწორმასწორო ხაზს შეერწყა და უდაბნო წითლად გააფერადა.

— რატო იქ არ დარჩი?

— არ მინდოდა. აქ ჯობია, იქ ვერ ვწვებოდი.

— ეხლა არ დაიწყო ჭიჭყინი და ყბედობა, უნდა დავიძინო. ტომი ამბობს, რო გაიღვიძებ უკვე იქ ვიქნებითო, ძაან ლამაზი ყოფილა.

მზე ჩავიდა და ცაზე დიდი მანათობელი წრე დატოვა. ბრეზენტის ქვეშ ისე ბნელოდა, როგორც გვირაბში, სადაც სინათლე მხოლოდ ორივე ბოლოში ამოჭრილი სამკუთხედიდან აღწევს.

კონი და შარონის ვარდი კაბინის კედელს მიყრდნობოდნენ. ჩარდახში შეჭრილი ცხელი ქარი კეფაზე თმას უწეწავდათ, მათ თავზე გადაჭიმულ ბრეზენტს ბრაგაბრუგი გაჰქონდა. კონი შარონისკენ გადაიხარა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა; შარონმაც ჩურჩულითვე უპასუხა,

— რა დაუმთავრებელი გზაა, გეგონება მთელი ცხოვრება უნდა ვიაროთ, ისე დავიღალე.

კონი მისკენ გადაიხარა და უთხრა:

— ალბათ დილას... არ გინდა ეხლა მარტო რო ვიყოთ? — სიბნელეში ხელი ბარძაყზე შეავლო.

— გაჩერდი, ნუ გამაგიჟებ, — უთხრა შარონმა და პასუხი რომ გაეგონა, თავი მისკენ გადახარა.

— იქნებ ყველა რო დაიძინებს...

— შეიძლება, მაგრამ ეხლა ხელი აიღე, ნუ მაგიჟებ, იქნებ სულაც არ დაიძინონ.

— თავს ძლივს ვიკავებ, — უთხრა კონიმ.

— ვიცი, მეც ეგრე ვარ, მაგრამ ეხლა მოდი, იმაზე ვილაპარაკოთ, იქ რას გავაკეთებთ, და ცოტა გაიწიე, ნუ მაგიჟებ.

კონიმ ოდნავ ჩაიწია,

— როგორც კი ჩავალთ, ეგრევე სწავლას დავიწყებ, — თქვა მან. შარონის ვარდმა ღრმად ამოიოხრა. — იმ ჟურნალს ვიშოვი, სადაც ბლანკებია დაბეჭდილი და ამოვჭრი.

— რამდენი ხანი დასჭირდება?

— რას?

— რას და ბევრი ფულის შოვნას, რო საყინულე ვიყიდოთ.

— არ ვიცი, ეხლა ზუსტად ვერ გეტყვი, — თავმომწონედ თქვა კონიმ, — საშობაოდ ალბათ უკვე ბევრი მეცოდინება.

— როგორც კი სწავლას დაამთავრებ, საყინულეს და რაღაცებს ვიყიდით.

კონიმ ჩაახველა.

— როგორ ცხელა, — თქვა მან, — ერთი მითხარი, საშობაოდ საყინულე რაში გჭირდება?

შარონმა ჩაიხითხითა.

— არ ვიცი, მაგრამ მაინც მინდა. ეხლა გაიწიე და ნუღარ მაღიზიანებს

ბინდმა გზა ღამეს დაუთმო და უდაბნოს ხავერდივით ცაზე მკვეთრი, კაშკაშა სხივებით შემოჯარული ვარსკვლავები დასხდნენ. სიცხეც სხვაგვარი გახდა. დღისით, როცა ცაზე მზე ბრიალებდა, ხვატი დედამიწას ზევიდან აწვებოდა, ახლა კი მხუთავი, ყრუ სიცხე მიწიდან ამოდიოდა, სატვირთოს ფარების მქრალი სინათლე ოდნავ ანათებდა გზატკეცილსა და გზის ორივე მხარეს გადაჭიმული უდაბნოს ვიწრო ზოლს. ხანდახან შორს თვალები გაიელვებდა ხოლმე, მაგრამ მხეცი არ დაუნახავთ, ბრეზენტის ქვეშ უკუნეთი იდგა, ძია ჯონი და მქადაგებელი სატვირთოს შუაში მოკუნტულიყვნენ და იდაყვებზე დაყრდნობილები უკანა სამკუთხედიდან იცქირებოდნენ. სივრცეს ბებოს და დედას ბორცვივით ამოზრდილი ფიგურები

უღობავდათ. დროდადრო დედა სიბნელეში ბებოსკენ სწევდა მკლავს.

ძია ჯონი კეისის ესაუბრებოდა.

— კეისი, შენ წესით უნდა იცოდე, ხალხი როგორ მოიქცეს.

— რას ნიშნავს როგორ მოიქცეს?

— რა ვიცი, აბა.

— თუ არ იცი, მაშინ რას მეუბნები,

— შენ მქადაგებელი იყავი და..

— მისმინე, ჯონ, თქვენ მქადაგებელი ვინ გგონიათ? მქადაგებელი ჩვეულებრივი ადამიანია, მეტი არაფერი.

— ადამიანი კია, მაგრამ განსაკუთრებული ადამიანია, სხვანაირად მქადაგებელი ხო არ იქნებოდა. შენ როგორ გგონია, შეიძლება რო კაცმა სხვებს უბედურება მოუტანოს?

— არ ვიცი, საიდან უნდა ვიცოდე? — კითხვა დაუბრუნა კეისიმ.

— აი, მაგალითად, მე — ცოლი მყავდა, ლამაზი, კარგი გოგო. ერთ დღესაც მუცელი ასტკივდა და ექიმი მოიყვანეო, მთხოვა. მე ვუპასუხე, ალბათ ბევრი ჭამე და იმიტო გტკივამეთქი, — ძია ჯონმა კეისის მუხლზე ხელი დაადო და სიბნელეში თვალებში შეხედა, — მიყურებდა და მთელი ღამე კვნესოდა. რო გათენდა, უკვე მკვდარი იყო, — მქადაგებელმა რაღაც წაიბუტბუტა. — მე მოვკალი, — განაგრძო მან, — იმის მერე სულ ვცდილობ, რო ცოდვა გამოვისყიდო, სიკეთე გავაკეთო, ბავშვებს კარგად მოვექცე, წესიერად ვიცხოვრო, მაგრამ არ გამომდის, ერთ დღესაც ვთვრები და ისევ ვგიჟდები, ყველაფერი მავიწყდება.

— ხანდახან ყველა გიჟდება, მეც მათ შორის.

— ჰო, მაგრამ შენ კისერზე ცოდვა არ გადევს.

კეისიმ მშვიდი ხმით უპასუხა:

— როგორ არა, მეც მაქ ცოდვები. ყველას აქ. ცოდვა ის ჰგონია კაცს, რაშიც დარწმუნებული არ არის, ზოგი ყველაფერში დარწმუნებულია და ფიქრობს, რო უცოდველია; ვერ ვიტან ეგეთ ნაბიჭვრებს; სუ კინწისკვრით გამოვყრიდი ზეციდან, ჩემი გადასაწყვეტი რო იყოს.

— რა ვიცი, ხანდახან ვფიქრობ, რო საკუთარი ოჯახისთვის უბედურება მომაქ, იქნებ გავეცალო-მეთქი ამ ხალხს და ცხოვრება ვაცალო.

— ერთი რამე ვიცი — კაცმა თავისი გასაკეთებელი თითონ უნდა გააკეთოს. ამ ქვეყანაზე მარტო ამაში ვარ დარწმუნებული. სხვის ცხოვრებაში ხელების ფათურის უფლება არავის აქ. კაცი თავის ჭკუით უნდა მოქმედებდეს, დახმარება თუ სჭირდება, კი ბატონო, დაეხმარე, მაგრამ ნუ ეტყვი, როგორ მოიქცეს. — სწრაფად უპასუხა კეისიმ.

— ესე იგი, შენ არ იცი, — თქვა იმედგაცრუებულმა ძია ჯონმა.

— არ ვიცი.

— შენ რას ფიქრობ, ცოდვა იყო ჩემი ცოლი რო არ გადავარჩინე?

— სხვებს მიაჩნიათ, რო ეს შეცდომა იყო, მაგრამ თუ შენ ესე გგონია, ესე იგი ცოდვაა. ადამიანი თითონ ძერწავს თავის ცოდვებს.

— კიდე უნდა ვიფიქრო, — თქვა ძია ჯონმა; ზურგზე გადაწვა და მუხლები გაშალა.

სატვირთო ცხელ მიწაზე სვლას განაგრძობდა. დრო გადიოდა. რუთმა და უინფილდმა დაიძინეს. კონიმ ბარგიდან საბანი გამოაძრო და შარონის ვარდთან ერთად საბნის ქვეშ შეძვრა, ერთმანეთს ეკვროდნენ, სუნთქვას იკავებდნენ. ცოტა

ხანში კონიმ საბანი იქით მოისროლა და ცხელი ჰაერი სველ სხეულებზე გრილი მალამოსავით მოედოთ.

დედა ბებოს გვერდით იწვა. ვერ ხედავდა, მაგრამ მისი წყვეტილი სუნთქვა ესმოდა, მისი სხეულის ბორგვასა და გულის ცემას გრძნობდა. დედა განუწყვეტლივ იმეორებდა — კარგად იქნები, ყველაფერი კარგად იქნება. — ბოლოს ჩახლეჩილი ხმით ჩასჩურჩულა; — ხო იცი, რო ოჯახმა უდაბნო უნდა გადაკვეთოს, ხო იცი.

— როგორა ხართ? — გასძახა ძია ჯონმა.

სანამ უპასუხებდა, რამდენიმე წამმა გაირბინა.

— არა, არაფერი, ძილში წამოვიძახე.

და ცოტა ხანში ბებო გაჩუმდა, დედა მის გვერდით გაშეშებული იწვა.

ღამის საათები მიიზლაზნებოდა. წინ სიბნელე იყო. დასავლეთისკენ მიმავალმა მანქანებმა ჩაუქროლეს. რამდენიმე დასავლეთიდან აღმოსავლეთში გრუხუნით მიმავალი დიდი სატვირთოც გამოჩნდა. ვარსკვლავების კასკადი დასავლეთით მიედინებოდა. შუაღამე იყო, როდესაც დაგეტს მიუახლოვდნენ. მანქანების შესამოწმებელ პუნქტთან გზას პროჟექტორი ანათებდა. იქვე წარწერა გაეკრათ; — მარჯვნივ გადადით და გაჩერდით. ოფიცრები უსაქმურად ისხდნენ შენობაში. ტომმა მანქანა მიაყენა. ყველა გარეთ გამოვიდა, ერთმა ოფიცერმა ნომერი ჩაიწერა და მანქანას კაპოტი ახადა.

— რა ხდება? — იკითხა ტომმა.

— სასოფლო-სამეურნეო ინსპექცია, თქვენი ბარგი უნდა შევამოწმოთ. მცენარეები ან თესლი ხომ არ გადაგაქვთ?

— არა, — უპასუხა ტომმა.

— უნდა შევამოწმოთ, ჩამოალაგეთ.

დედა ძლივს ჩამოძვრა სატვირთოდან. შეშუპებული სახე გამკაცრებოდა.

— მისმინეთ, მისტერ, ავადმყოფი მოხუცი გვყავს, ექიმთან მიგვყავს, ვერ მოვიცდით, — ტირილისგან თავს ძლივს იკავებდა, — ნუ გაგვაჩერებთ.

— მართლა? უნდა შევამოწმოთ.

— ვფიცავ, არაფერი გვაქ! ვფიცავ! — დაიყვირა დედამ, — ბებო ძალიან მძიმედ არი.

— თქვენც არ გამოიყურებით ჯანმრთელად, — უთხრა ოფიცერმა.

დედამ ტანი ძლივს აიტანა სატვირთოზე.

— შეხედეთ, — უთხრა ოფიცერს.

ოფიცერმა ელექტროფარანი მოხუცის დანაოჭებული სახისკენ მიმართა.

— ღმერთო, მართალი ყოფილხართ, — თქვა მან, — იფიცებთ, რომ თესლი, ხილი, ბოსტნეული, ფორთოხალი სიმინდი არ გადაგაქვთ, არა?

— ღმერთს ვფიცავ!

— მაშინ შეგიძლიათ წახვიდეთ. ექიმი ბარსტოუშია, აქედან იქამდე რვა მილია, მეტი არა. წადით.

ტომი საჭესთან დაჯდა და სატვირთო დაძრა.

ოფიცერი თავის თანამშრომელს მიუბრუნდა.

— ვერ გავაჩერებდი.

— იქნებ იტყუებოდნენ? — ჰკითხა მან.

— ოჰ, არა, იმ მოხუცის სახე უნდა გენახა. არა, არ იტყუებოდნენ.

ტომმა ბარსტოუმდე სწრაფად იარა. ბარსტოუში გააჩერა, გადმოვიდა და სატვირთოს გარშემო შემოუარა. დედამ თავი გადაჰყო:

— არაფერია, იმიტო ვთქვი, რო არ შევეჩერებინეთ. მეშინოდა, რო ვეღარ გადავიდოდით.

— ჰო, მაგრამ ბებო როგორაა?

— არა უშავს. წავიდეთ, დროზე უნდა გადავიდეთ.

ტომმა თავი გააქნია და კაბინაში ავიდა,

— ელ, — თქვა მან, — საწვავს ჩავასხამ და მერე შენ წაიყვანე. — სადღეღამისო მომსახურების ცენტრთან გააჩერა, ავზი და რადიატორი შეავსო, კარტერში ზეთი ჩაამატა. ელი საჭესთან გადავიდა, ტომი მამამისის გვერდით. მალე ბარსტოუ უკან ჩამოიტოვეს.

— არ ვიცი დედას რა ბზიკმა უკბინა. დაეთვალიერებინათ ბარგი, რა მოხდებოდა? რა დიდი დრო იმას უნდოდა. რო კითხო, ბებო მძიმედ არისო, ეხლა ამბობს, არა უშავსო. ვერ გავიგე, რა მოუვიდა? იქნებ გზამ ჭკუიდან შეშალა?

— ისევ ისეთია, როგორიც ახალგაზრდობაში, — თქვა მამამ, — აფთარივით იყო, არაფრის ეშინოდა. ვფიქრობდი, ამდენი ბავშვები და საქმე მოარჯულებს-მეთქი, მაგრამ ვცდებოდი. ღმერთო, დომკრატი რო აიღო, ხო ნახე, რა დღეში იყო, აბა ვინმეს წართმევა გაებედა.

— არ ვიცი, რა ვიფიქრო. იქნებ უბრალოდ დაიღალა?

— უჰ, ერთი ეს გზა დამთავრდებოდეს და აღარაფერზე ვიდარდებ. ამ წყეული მანქანის ყიდვა ჩემ კისერზეა.

— ძაან კაი არჩევანი გააკეთე. ერთხელაც არ გაუჭედავს.

მხუთავ სიცხეში ძლივს მიიკვლევდნენ გზას. კურდღლები სინათლის ხაფანგში ებმებოდნენ და მერე სწრაფად, გრძელი ნახტომით უჩინარდებოდნენ. როცა მოჰავეს ციმციმა სინათლეს მიუახლოვდნენ, უკნიდან განთიადი წამოეპარათ და დასავლეთით მაღალი მთები გამოჩნდა. მოჰავეში წყალი და ზე-

თი მოიმარაგეს და მთებისკენ გაბობღდნენ. განთიადი მომ-ძლავრდა.

— ღმერთო! მა, ელ, უდაბნო გადავკვეთეთ, ღმერთო, უდაბ-ნო გადავკვეთეთ! — წამოიძახა ტომმა.

— ისეთი დაღლილი ვარ, რო უკვე ფეხებზე მკიდია, — თქვა ელმა.

— გინდა შეგცვალო?

— ეხლა არა, ცოტა ხანში.

ტეჰეჩეპი დილის სინათლეზე გაიარეს. მათ უკან მზე ამო-დიოდა. უეცრად ქვევით დიდი ველი გამოჩნდა. ელმა მკვეთ-რად დაამუხრუჭა და მანქანა შუა გზაში გააჩერა.

— ღმერთო, შეხედეთ, — წამოიძახა ელმა.

ვენახები, ბაღები, დიდი მწვანე ველი, მწკრივად დარგული ხეები და პატარა სახლები.

— ღმერთო, ძლიერო! — თქვა მამამ.

შორს დიდი ქალაქები, პატარა დასახლებები, ხეხილის ბა-ღები და დიდ ველზე ოქროდ მოფენილი დილის მზე

უკნიდან მანქანა მიადგათ. ელმა სატვირთო გზიდან გადა-იყვანა და გააჩერა

— მინდა, რო სუ ვუყურო.

ოქროსფრად მოლივლივე ყანები, ტირიფის ხეივნები, ევ-კალიპტის მწკრივები.

მამამ ამოიოხრა.

— არც კი ვიცოდი, ესეთი რამე თუ არსებობდა.

ატმის ბაღები, თხილის კორომები, ხასხასა მწვანე ფორ-თოხლის ხეები, ხეებს შორის წითელი სახურავები და ბეღლე-ბი — სავსე ბეღლები.

ელი მანქანიდან გადმოვიდა, ფეხები გამართა.

— დე, ჩამოვედით გამოიხედე!

მკითხველთა ლიგა

რუთი და უინფილდი მანქანიდან ჩამოძვრნენ. დაბნეულები, ხმაგაკმენდილები, განცვიფრებულები იდგნენ და დიდ მწვანე ველს მოწიწებით შესცქეროდნენ. ჰორიზინტისკენ ჩამოწოლილი ბინდი იფანტებოდა. მიწა თანდათან დარბილდა და დამყოლი გახდა. მზეზე, სადღაც შორს, ქარის წისქვილის მბრუნავი ფრთები ჰელიოგრაფიული ფოტოებივით ელავდა. მონუსხული რუთი და უინფილდი ჩურჩულებდნენ:

— აი, კალიფორნია. — უინფილდი უხმოდ აყოლებდა ტუჩებს. — შეხედე, ხილი, — თქვა ხმამაღლა.

მანქანიდან კეისი, ძია ჯონი, კონი და შარონის ვარდი ჩამოვიდნენ. ჩუმად იდგნენ და უცქერდნენ. შარონმა თმის გადავარცხნა დააპირა, მაგრამ დიდი ველის დანახვაზე ხელი ჩამოუვარდა.

— დედა სად არი? მინდა, რო დედამ შეხედოს, დე! მოდი აქ!

დედა ნელა, წვალებით გადმოძვრა უკანა კედლიდან. ტომმა შეხედა

— დე, რა მოგივიდა? ცუდად ხარ?

სახე ისე გაშეშებოდა, თითქოს საგოზავი წაესვათ, თვალები ღრმად ჩასცვენოდა, ფოსოები დაღლილობისგან გაწითლებოდა. ფეხი მიწაზე ჩადგა თუ არა, დაბარბაცდა და სატვირთოს ჩაეჭიდა.

— გადავიარეთ? — მისი ხმა ჩხავილივით გაისმა. ტომმა ხელი დიდი ველისკენ გაიშვირა.

— შეხედე!

დედამ გაიხედა და პირი ოდნავ გააღო. ხელი ყელისკენ წაიღო, თითებით კანს თავი მოუყარა და იჩქმიტა.

— მადლობა ღმერთს! — თქვა მან, — ოჯახი აქ არის — მუხლმა უმტყუნა და საფეხურზე ჩამოჯდა.

— დე, ავად ხარ?

— არა, დავიღალე.

— გეძინა?

— არა.

— ბებო ცუდად იყო?

დედამ კალთაზე დაიხედა, ხელები დაღლილი საყვარლებივით შემოხვეოდნენ ერთმანეთს.

— ნეტა შემეძლოს, რო დავიცადო და ეხლა არ გითხრათ.

— ესე იგი, ბებო ცუდად არი, — თქვა მამამ.

დედამ თვალები ასწია, დიდი ველისკენ გაიხედა და თქვა:

— ბებო აღარ არი.

ყველამ დედას შეხედა.

— როდის? — ჰკითხა მამამ.

— წუხელ, ვიდრე გაგვაჩერებდნენ.

— იმიტო არ გინდოდა, რო ბარგი დაეთვალიერებინათ?

— მეშინოდა, რო გავიჭედებოდით, — თქვა დედამ, — ბებოს სიკვდილის წინ ვუთხარი, რო ვეღარაფრით დავეხმარებოდით და ოჯახს უდაბნო აუცილებლად უნდა გადაეკვეთა, რო ბავშვები გვყავს, რო შარონი ფეხმძიმედაა, ვუთხარი, ყველაფერი იცოდა. — დედამ ერთი წამით სახეზე ხელები აიფარა, — ლამაზ, მწვანე ადგილას დავმარხოთ, სადაც გარშემო ხეებია. იგრძნოს, რო კალიფორნიაში ვართ.

დედას სიძლიერემ ოჯახი გააოგნა.

— ღმერთო! მთელი ღამე იმასთან ერთად იწექი?

— ოჯახი უნდა გადასულიყო, — საწყალობლად თქვა დედამ.

ტომი მიუახლოვდა, რომ მხარზე ხელი მოხვია.

— არ შემეხო, თავს შევიკავებ, თუ არ შემეხები.

— უნდა წავიდეთ, ქვევით უნდა დავეშვათ, — თქვა მამამ.

— შეიძლება წინ დავჯდე? იქ ვეღარ ავალ, ვეღარ გავუძლებ, ძალიან, ძალიან დაღლილი ვარ.

ტვირთზე აძვრნენ და ცდილობდნენ გრძელი, გაშეშებული, გადასაფარებლით შეფუთული სხეულისგან რაც შეიძლება შორს მოთავსებულიყვნენ. ეს ამობურცული ადგილი ალბათ ცხვირია, ეს წვეტი, ნიკაპი. ცდილობდნენ თვალი აერიდებინათ, მაგრამ არ გამოსდიოდათ. რუთი და უინფილდი შორს კუთხეში მიყუჟულიყვნენ და შეფუთულ სხეულს უცქერდნენ. რუთმა წაიჩურჩულა:

— ბებო მკვდარია.

უინფილდმა თავი დაუკრა:

— აღარ სუნთქავს, ძაან მკვდარია.

შარონის ვარდმა კონის ხმადაბლა უთხრა:

— მაშინ კვდებოდა, ჩვენ რო...

— საიდან იცი? — მის გადარწმუნებას ეცადა კონი.

ელი ტვირთზე აძვრა, რომ დედასთვის კაბინაში ადგილი დაეთმო. დამწუხრებული ჩანდა. კეისისა და ძია ჯონის გვერდით ჩაჯდა და მწუხარება რომ დაემალა, თავდაჯერებული ხმით წამოიწყო:

— მოხუცი იყო და დრომ მოუკაკუნა, ყველა სიკვდილის შვილები ვართ. — კეისიმ და ძია ჯონმა ელს არაფრისმთქმელი თვალებით ისე გადახედეს, გეგონებოდათ ბუჩქი იყო და უეცრად ენა აიდგა. — ესე არ არის? — არ ჩერდებოდა ელი. თვალებმა სადღაც გაიხედეს და ელი თავის მწუხარებასთან მარტო დატოვეს.

გაოცებულმა კეისიმ თქვა:

— მთელი ღამე და სულ მარტო, ჯონ. ეს ქალი იმხელა სიყვარულით არი სავსე, რომ მაშინებს. თავი ნაძირალა მგონია.

— ცოდვა ჩაიდინა? არი ისეთი რამე, რასაც შენ ცოდვად მიიჩნევდი?

გაოცებული კეისი მისკენ შეტრიალდა.

— ცოდვად? არა, რას ამბობ, არაფერი.

— რა ვიცი, მე რასაც ვაკეთებ, ყველაფერი ცოდვაა, თქვა ჯონმა და შეფუთულ სხეულს გახედა.

ტომი, დედა და მამა წინ დასხდნენ. ტომმა მუხრუჭს აუშვა და მანქანა დააგორა. სატვირთო ფერდობზე ფრუტუნით, ძაგძაგითა და ხტუნვა-ხტუნვით დაეშვა. უკან მზე ამოიწვერა, წინ ოქროსფრად შეფერადებული მწვანე ველი გადაიშალა. — რა ლამაზია, — თქვა დედამ, — ნეტა მათ თვალებსაც დაენახა.

— ნეტა — თქვა მამამ.

ტომმა საჭეს ხელი გადაუსვა.

— მათი თვალები დაბერდნენ, აქ ვერაფერს დაინახავდნენ, — თქვა ტომმა, — პაპა ინდიელებს და პრერიებს გაიხსენებდა, ბებო თავის პირველ სახლს ძალიან მოხუცდნენ. ის, ვინც მართლა რაღაცას დაინახავს, რუთი და უინფილდია.

— ჩვენი ტომი დიდი კაცივით ლაპარაკობს, მქადაგებელი გეგონება, — თქვა მამამ.

დედამ სევდიანად გაიღიმა.

— ჰო, გაიზარდა ჩვენი ტომი, დიდი კაცია, იმდენად დიდი, რო ზოგჯერ ვეღარც ვუგებ.

თავქვე ხტუნვა-ხტუნვითა და ტრიალ-ტრიალით ეშვებოდნენ. ხანდახან დიდი ველი თვალს ეფარებოდა, მალე ისევ მათ წინ იშლებოდა და სალბისა და მინდვრის ყვავილების სურნელით შეზავებული ცხელი სუნთქვა მათაც სწვდებოდათ, გზის გასწვრივ ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ. ჩხრიალა გველმა გზაზე გადაცოცება მოინდომა, ტომმა მანქანა ზედ შეაგდო,

გადაუარა და დაკლაკნილმა უხსენებელმა იქვე დატოვა სიცოცხლე.

— კორონერი უნდა ვნახოთ და წესიერად დავმარხოთ. მა, ფული რამდენი გვაქ?

— ორმოც დოლარამდე, — უპასუხა მამამ.

— შიშველი ხელებით ვიწყებთ. — გაიცინა ტომმა, მაგრამ სახე სწრაფად გაასწორა, წინაფრა თვალებზე ჩამოიფხატა და მანქანა დიდი ველისკენ დააგორა.

19.

ოდესღაც კალიფორნია მექსიკას ეკუთვნოდა, მისი მიწები კი მექსიკელებს. მერე ჩამოძონძილი, გააფთრებული ამერიკელების ურდო შეიჭრა. მიწის დაპატრონების სურვილით შეპყრობილებმა უამრავი მიწა მიიტაცეს — სატერა, გარერო თავისად მიიჩნიეს, დაანაწევრეს, თითო გოჯისთვის თავ-ყბას ალეწავდნენ ერთმანეთს, მიტაცებულ მიწებს თოფით იცავდნენ; სახლები, ბეღლები გააშენეს, მიწა გადააბრუნეს და ხვნა-თესვა გააჩაღეს. და მალე ყველაფერი მათი საკუთრება გახდა

მექსიკელები სუსტები აღმოჩნდნენ და გაიქცნენ, ვერ გაუძლეს, რადგან ისე არ შიოდათ, როგორც ამერიკელებს, ისეთი გააფთრებით არ იბრძოდნენ, როგორც ამერიკელები. დრო გამოხდა და ჩასახლებულები მეპატრონეებად იქცნენ, ბავშვები გაიზარდნენ, ისინიც დაოჯახდნენ, თანდათან მიწის, წყლის, ცისფერი ცის, მსუყე მწვანე ბალახის, დაბერილი ფესვების მხეცური, შიგანის მღრღნელი, გულის გამაწვრილებელი შიმშილი დაიოკეს, რადგან ყველაფერი იმდენად უხვად ჰქონდათ, რომ ვეღარც კი ამჩნევდნენ, მუცლის გვრემა აღარ ეწყებოდათ, როცა სახნისის ალესილ პირს, თესლს, ქარის წისქვილის ჰაერში მბრუნავ ფრთებს ხედავდნენ, სისხამ დილას აფრთხიალებული ჩიტების ჟღურტულს და დილის ნიავის შარიშურს ყურს აღარ უგდებდნენ აღარ უცდიდნენ დილის სხივებს, რომ მათთვის საწადელ ველ-მინდვრებში გასულიყვნენ. ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ახლა მოსავალი დო-

ლარებში ითვლებოდა, მიწა კაპიტალითა და პროცენტებით იზომებოდა. ჯერ დათესილი არ ჰქონდათ, რომ უკვე ჰყიდდნენ და თუ მოსავალს გვალვა ან წყალდიდობა გაანადგურებდა, სიცოცხლეს კი არა, უბრალოდ ფულს კარგავდნენ. მიწის სიყვარული ფულმა გააცამტვერა, მათი სიშმაგე წვეთწვეთად ჩაიცალა პროცენტებში და ფერმერების ნაცვლად მოსავლით მოვაჭრენი, მაღაზიის მეპატრონენი, წვრილი მეწარმენი გახდნენ, რომლებიც სანამ მოიყვანდნენ, მოსავალს მანამდე ყიდდნენ. მერე უგერგილო გამყიდველებმა მიწები დაკარგეს. სამაგიეროდ, მაღაზიების გაქნილი მეპატრონეები გამდიდრდნენ, რადგან მიწისა და მასზე მოწეულის სიყვარული, თუნდაც ძლიერი, აზრს კარგავდა, თუ კაცი უხეირო გამყიდველი იყო. დრო გადიოდა და მსხვილი საქმოსნები მიწებს იერთებდნენ. ნაკვეთები ფართოვდებოდა, მათი რაოდენობა კი მცირდებოდა.

მიწათმოქმედება მრეწველობად იქცა. მიწათმფლობელები ისე, რომ თავად ვერც კი ხვდებოდნენ, რომის იმპერიის გამოცდილებას იზიარებდნენ. მონები ჩამოჰყავდათ, თუმცა მონებს არ ეძახდნენ: ჩინელები, იაპონელები, მექსიკელები, ფილიპინები — ბრინჯზე და ლობიოზე ცხოვრობენ, მეტი არც უნდათ, მაღალი ხელფასიც რომ მისცე, ვერც მიხვდებიან, რა გააკეთონ. შეხედეთ როგორ ცხოვრობენ, შეხედეთ, რას ჭამენ, — ამბობდნენ საქმოსნები — თაღლითობას თუ გაბედავენ, მაშინვე გაასახლეთ.

მიწის ნაკვეთები ფართოვდებოდა, მფლობელთა რაოდენობა მცირდებოდა. დამფრთხალი არაქათგაცლილი მონები შიმშილობდნენ. იქამდე მიიყვანეს, რომ ზოგი თავის ქვეყანაში დაბრუნდა, ზოგი კი ვინც ბრჭყალი გამოაჩინა დახოცეს ან ქვეყნიდან გააძევეს. მოსავალმაც სახე იცვალა. ყანების ად-

გილას ხეხილი გააშენეს, დაბლობებზე იმდენი ბოსტნეული დათესეს, მთელ მსოფლიოს რომ გამოკვებავდა. სალათა, ყვავილოვანი კომბოსტო, არტიშოკი კარტოფილი — დაბალი მცენარეები, რომელთა მოვლას დიდი ჯაფა სჭირდებოდა. კაცი ფეხზე დგას, როცა ცელით, სახნისით, ფოცხით მუშაობს, მაგრამ აქ, სალათის კვლებს შორის, ხოჭოსავით უნდა ებობღა, დიდი ტომარა წელში მოხრილს უნდა ეთრია, ბამბის რიგებში ყვავილოვანი კომბოსტოს წინ მომნანიებელი ცოდვილივით მუხლებზე უნდა დაცემულიყო.

ახლა მფლობელები თავიანთ ფერმებში აღარ მუშაობდნენ, მეურნეობას ქაღალდებზე აწარმოებდნენ, მიწა დაავიწყდათ, მის სურნელს ვეღარ შეიგრძნობდნენ. მხოლოდ ის ახსოვდათ, რომ მეპატრონენი იყვნენ და ისიც, რამდენი მოიგეს ან წააგეს. ზოგი ნაკვეთი იმდენად გამსხვილდა, რომ მის მართვას ერთი კაცი ვეღარ აუდიოდა და აუცილებლობამ მოიტანა, რომ დაექირავებინათ — ბუღალტრები, რათა ანგარიში ეწარმოებინათ, პროცენტები და მოგება-ზარალი დაეთვალათ, ქიმიკოსები, რომ ნიადაგი გამოეკვლიათ, მინერალები დაემატებინათ, ზედამხედველები რომ თვალყური ედევნებინათ, რამდენად სხარტად ირჯებოდნენ კვლებში წახრილი კაცები, ბოლომდე ხარჯავდნენ ენერგიას თუ არა. ასეთი ფერმერი ნამდვილი ვაჭარი ხდებოდა და მაღაზიას ხსნიდა, დაქირავებულ ხალხს გასამრჯელოს უხდიდა, პროდუქტს მათზე ყიდდა და თავისას იბრუნებდა. ცოტა ხანში ფულს აღარავის უხდიდა და ბუღალტერიის წარმოებაზეც ზოგავდა. მერე პროდუქტის ნისიად გაცემას იწყებდა. კაცი მუშაობდა და იკვებებოდა, დაასრულებდა სამუშაოს და აღმოაჩენდა, რომ კომპანიის ვალი ჰქონდა.

მესაკუთრენი თავის მიწაზე არ მუშაობდნენ, უფრო მეტიც, ხშირად თვალითაც არ ჰქონდათ ნანახი, როგორი იყო მათი მიწები.

და არაფრისმქონენი დასავლეთისკენ დაიძრენ — კანზასიდან, ოკლაჰომიდან, ტეხასიდან, ნიუ მექსიკოდან, ნევადიდან, არკანზასიდან — ოცი ათასი, ორმოცდაათი ათასი, ასი ათასი, ორასი ათასი უსახლკარო, მშიერი, მტვერს გამოქცეული, ტრაქტორებით აყრილი ოჯახები, რომლებიც პირამდე გაძეძგილი, ქარავნებივით ჩამწკრივებული მანქანებით მთებსა და ტყე-ღრეში უწყვეტ ნაკადად მიედინებოდნენ, მშივრები და ჭიანჭველასავით მოუსვენრები ჩქარობდნენ, რომ სამუშაო ეშოვათ, მზად იყვნენ, აეწიათ, მისწოლოდნენ, გაეზიდათ, აეკრიფათ, დაეკრიფათ, ოღონდ საჭმელი ეშოვათ, ოღონდ ხელში მიწა ჩაეგდოთ.

უცხო ტომისანი არ გეგონოთ, მეშვიდე თაობის ამერიკელები ვართ, მანამდე ირლანდიელები, შოტლანდიელები, ინგლისელები, გერმანელები ვიყავით. ჩვენი ოჯახის წევრები რევოლუციონერები იყვნენ, ბევრი სამოქალაქო ომშიც იბრძოდა — ორივე მხარეს ჩვენ ამერიკელები ვართ.

მშივრები და გაბოროტებულები იყვნენ. დასავლეთში თავშესაფარს ეძებდნენ, მაგრამ სიძულვილი იპოვეს. ოკი ყველას სძულდა, სძულდათ მეპატრონეებს, რადგან იცოდნენ, თვითონ სუსტები იყვნენ, ისინი — ძლიერები, თვითონ მაძღრები იყვნენ, ისინი — მშივრები; წინაპრებისგან სმენოდათ, რა ადვილია მიწა მოსტაცო განებივრებულ კაცს, თუ მშიერი ხარ, ბრაზი გახრჩობს და ხელში იარაღი გიჭირავს. სძულდათ ქალაქელ ვაჭრებს, რადგან ოკის დასახარჯი ფული არ ჰქონდა, სიძულვილის მთავარი მიზეზიც ეს იყო, რადგან ვაჭრის კეთილგანწყობის მოპოვება მყიდველის ჯიბეში ფულის რა-

ოდენობაზე გადის. სძულდათ ქალაქელ ბანკირებს იმიტომ, რომ მისგან ხეირი არ იყო, არაფერი ებადა. და სძულდათ მიწის მუშებსაც, რადგან იცოდნენ, რომ ოკი მშიერი იყო და უნდა ემუშავა, და თუ ოკი იმუშავებდა, დამქირავებელი მას მაშინვე ხელფასს შეუმცირებდა და მეტის შოვნის იმედიც აღარ უნდა ჰქონოდა.

და ორასორმოცდაათი ათასი, სამასი ათასი არაფრისმქონე მომთაბარე კალიფორნიისკენ მიედინებოდა. ტრაქტორები სხვების მიწებს მიადგნენ, ხალხი აყარეს და გზებზე ქონებადაკარგულებისა და უსახლკაროების ახალი ნაკადი გამოჩნდა — დაბოღმილების, მიზანდასახული და საშიში ხალხის ახალი ნაკადი.

კალიფორნიელები ცხოვრებისგან უამრავს ითხოვდნენ — კაპიტალის დაგროვებას, სოციალურ წარმატებას, გართობას, ფუფუნებას, ბანკებში ფულის უსაფრთხოდ განთავსებას, მომხვდურ ბარბაროსებს კი, მხოლოდ ორი რამ ენატრებოდათ — მიწა და საჭმელი. ეს ორი რამ მათთვის ერთ მთელს ნიშნავდა. ის, რაც კალიფორნიელებს სურდათ, ბუნდოვანი და გაურკვეველი ჩანდა, ოკის წადილი კი, ცხადი იყო, აშკარა, იქვე, გზაზე გამოდებული ისე, რომ თვალი მოეჭრა, ისე, სხვებში შური რომ აღეძრა — ნაყოფიერი მიწა, წყალი — ყველგან, სადაც მას ამოთხრი, მწვანედ აბიბინებული მინდვრები, ნიადაგი, რომელსაც ხელით დაფშვნი და შეამოწმებ, ბალახის სურნელი, შვრიის ყელყელა ღეროები — გაღეჭავ და ყელში მკვეთრ სიტკბოს იგრძნობ. კაცი დაუმუშავებელ მიწას უცქერდა და გონების თვალით ხედავდა — წელში წახრილი, შრომითა და მოუსვენარი დაძაგრული ხელებით, აქ კომბოსტოს გაახარებდა, ოქროსფერ სიმინდს, თალგამსა და სტაფილოს მოიყვანდა.

უპოვარი კაცი მანქანით მიდიოდა — ცოლი გვერდზე ეჯდა, უკანა სავარძელზე მშიერი შვილები ისხდნენ — უცქერდა დაუმუშავებელ მიწას, რომელსაც სარჩოს მოტანა შეეძლო და ფიქრობდა — დაუმუშავებელი მიწა ცოდვაა ღმერთის წინაშე, მოუხვნელი მიწა უპატიებელი დანაშაულია. აი, ასეთი კაცი მიდიოდა და ყოველ ჯერზე, როცა ველ-მინდვრებს დაინახავდა, მიწების ხელში ჩაგდების ცდუნება, ძლიერი წადილი იპყრობდა, რადგან იცოდა, რომ თუ ამას შეძლებდა, მისი შვილები დანაყრდებოდნენ, მისი ცოლი თავს უკეთ იგრძნობდა, საცდუნებელი კი მის თვალწინ გადაფენილიყო — მინდვრები, ბაღები, სასმელი წყლის არხები...

სამხრეთში კი მსხმოიარე ფორთოხლის ხეები ნახა, მწვანე ფოთლებში ჩამალული ოქროსფერი ნაყოფი; კიდევ თოფიანი მცველები, რომლებიც ფორთოხლის ხეების რიგებს შორის მორიგეობდნენ, რომ კაცს გაძვალტყავებული შვილისთვის ფორთოხალი არ მოეწყვიტა. მერე რა, რომ თუ ჭარბ მოსავალს მიიღებდნენ და ფასი დაეცემოდა, გადასაყრელი გახდებოდა.

თავისი ძველი მანქანით ქალაქში ჩავიდა. სამუშაოს ძებნაში ყველა ფერმა დაიარა.

სად დავიძინოთ ამაღამ?

ჰუვერვილში, მდინარის პირას. ყველა ოკი იქ ათევს ღამეს.

ძველი მანქანა ჰუვერვილში გააჩერა. მსგავსი კითხვა აღარასოდეს დაუსვამს, რადგან ჰუვერვილი ყოველი ქალაქის განაპირას იყო.

ნაგლეჯებისგან შეკოწიწებული ჰუვერვილები, როგორც წესი, წყალთან ახლოს შენდებოდა. სახლების ნაცვლად კარვები და პატარა, ჩალით გადახურული მუყაოს კოლოფები იდ-

გა. კაცი ოჯახთან ერთად სახლდებოდა და ჰუვერვილის მოქალაქე ხდებოდა. ცდილობდა, კარავი წყალთან რაც შეიძლება ახლოს გაეშალა, კარავი თუ არ ჰქონდა, ქალაქში მიდიოდა, ნაგავსაყრელიდან მუყაო მიჰქონდა და სახლს მუყაოსგან იშენებდა. წვიმის დროს ასეთი თავშესაფარი წყლით იჟღინთებოდა და ნაწილ-ნაწილ იშლებოდა. კაცი ჰუვერვილში ცხოვრობდა, სამუშაოს საძებნელად სოფელ-სოფელ დადიოდა და დარჩენილ ცენტებს საწვავში ხარჯავდა.

საღამოობით ჰუვერვილის მობინადრენი იკრიბებოდნენ, ცუცქდებოდნენ და იმ მიწებზე ლაპარაკობდნენ, იმ დღეს რომ ნახეს.

ოცდაათი ათასი აკრი იყო აქედან დასავლეთით. ღმერთო, მიწა არი და არავინ ამუშავებს. ოხ, რას ვიზამდი ჩემი რო იყოს! ხუთი აკრიც რო მქონდეს, აღარ ვიშიმშილებდით.

შენც შეამჩნიე, ფერმებში ბოსტნეული, ქათმები, ღორები რო არ არი? მარტო ერთი რამე მოჰყავთ, მაგალითად, ბამბა, ატამი ან სალათა. სხვაგან მარტო ქათმები ჰყავთ, დანარჩენს ყველაფერს ყიდულობენ, არადა, ხო შეუძლიათ, თავის ეზოში მოიწიონ ყველაფერი.

ღმერთო, ერთი-ორი ღორი რო მომცა!

ვინ მოგცემს თორე, კი.

რა ვქნათ? ბავშვებს რა ვაჭამოთ?

ხანდახან ბანაკს ახალი ამბავი მოედებოდა: — გაიგეთ? შაფტერში სამუშაო გამოჩნდა. — ღამით მანქანები იტვირთებოდა და სამუშაოს ძებნის ციებ-ცხელებით შეპყრობილნი ჯგროებად გადიოდნენ გზატკეცილზე. შაფტერში ხუთჯერ მეტი ადამიანი იყრიდა თავს, ვიდრე სამუშაოს შესრულებისთვის იყო საჭირო. ეს ოქროს ციებ-ცხელებას ჰგავდა, ოღონდ ოქროს ნაცვლად სამუშაოს ეძებდნენ. ერთმანეთს ემალებოდ-

ნენ და შუაღამისას გადიოდნენ, ოღონდ მიესწროთ, ოღონდ სამუშაო ეშოვათ. გზის გასწვრივ მუდმივი ცდუნება — ნაყოფიერი მინდვრები გადაშლილიყო.

ამ მიწებს პატრონი ყავს, შენი ხო არ გგონია.

იქნებ ცოტა მაინც დაგვითმონ. აი, ის ნაკვეთი, ქვევით — ეხლა სარეველაა მოდებული, კარტოფილს მოვიყვანდი, მთელ ოჯახს გამოვკვებავდი.

შენი არ არი, იქ სარეველა უნდა ხარობდეს.

ხანდახან ვიღაცები ბედავდნენ, ნაკვეთებში იპარებოდნენ., იქაურობას ასუფთავებდნენ და მიწისთვის ცოტა სიმდიდრის წართმევას ცდილობდნენ, საიდუმლო ბაღები სარეველებს მიღმა იმალებოდა. სტაფილოსა და თალგამის თესლს, კარტოფილის კანს ყრიდნენ. საღამოობით ფეხაკრეფით იპარებოდნენ და თოხნიდნენ.

კიდეებში სარეველა დატოვე. არავინ დაგვინახოს. შუაში მაღალი ბალახი დატოვე.

საღამოობით ბოსტანში საიდუმლოდ მუშაობა. თუნუქის ყუთებით მიზიდული წყალი.

და ერთ დღესაც — შერიფის თანაშემწე:

— რას აკეთებ? როგორ ბედავ?

— არავის არაფერს ვუშავებ.

— დიდი ხანია თვალს არ გაშორებ, ხო იცი, შენი რო არ არი ეს მიწა. უკანონოდ ხარ შეჭრილი.

— მოუხვნელი იყო, რას ვაშავებ.

— საიდანღაც ჯანდაბიდან ჩამოხვედით და აქ ჩასახლდით. მალე იმასაც იტყვით, ეს მიწები ჩვენიაო. ერთი ამას დამიხედეთ, უკვე მეპატრონე გონია თავი! დაიკარგე აქედან!

და სტაფილოს და თალგამის პატარა მწვანე ფოთლები ფეხებით იჯეგებოდა. სულ მალე იქაურობას ისევ სარეველა მო-

ედებოდა. მაგრამ პოლიციელი მართალი იყო. მოსავალი უკვე საკუთრებაა.

გათოხნილი მიწა და მოწეული სტაფილო — კაცს მიწა აჭმევს და მიწისთვის იბრძოლებს კიდეც.

სასწრაფოდ გაყარეთ აქედან! თავი მეპატრონეები ჰგონიათ. შეგაკვდებიან და არ დათმობენ იმ სარეველაში ჩაკარგულ პატარა ნაკვეთს.

ხო ნახე, რა სახე ჰქონდა თალგამი რო გადავთელეთ? კაცს ისე მოკლავს, თვალს არ დაახამხამებს. უნდა შევაჩეროთ, თორე მთელ ქვეყანას ხელში ჩაიგდებენ.

გადამთიელები ჩამოთრეულები.

ჰო, ჩვენს ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ჩვენნაირები არ არიან, შეხედე, როგორ ცხოვრობენ,

ვინმე ჩვენიანი იცი ეგრე რო ცხოვრობდეს?

არა, რას ამბობ!

საღამოობით ჩაცუცქული კაცების აღელვებული ხმით საუბარი:

ოცი კაცი შევიკრიბოთ და ნაკვეთი დავიკავოთ. რას გვიზამენ? იარაღი გვაქ. დავიკავოთ ნაკვეთი და ვუთხრათ: აბა, გაბედეთ და გაგვყარეთ. — რა გახდა, რატო არ ვაკეთებთ?

ვირთხებივით ამოგვჟლეტენ.

და რა ჯობია, სიკვდილი თუ აქ გდება? მიწის ქვეშ თუ ჯვალოსგან შეკოწიწებულ ქოხში? რა მნიშვნელობა აქ ბავშვები ეხლა დაგვეხოცება თუ ორ წელიწადში, როგორც ექიმები ამბობენ არასაკმარისი კვების მიზეზით? იცი, ამ ერთ კვირაში რა ვჭამეთ? ჭინჭრის წვნიანი და შემწვარი ცომი. ფქვილი საიდან ვიშოვეთ? სავაჭრო ვაგონის იატაკიდან გადმოვფერთხეთ.

საუბრები ბანაკებში და შერიფის თანაშემწეები — გავასქელი კაცები ჩასუქებულ თეძოებზე ჩამოკიდებული იარაღით დაიბღინძებიან: გასაქანი არ უნდა მივცეთ, თორე კაცმა არ იცის, რას იზამენ. სამხრეთში ზანგები და ესენი აქ, ერთნაირად საშიშია. თუ გაერთიანდნენ, ვეღარაფერი შეაჩერებთ.

ამონარიდი გაზეთიდან: „ლოურენსვილში უკანონოდ ჩასახლებულმა შერიფის თანაშემწეს, რომელმაც მას ადგილის დატოვება უბრძანა, წინააღმდეგობა გაუწია. თანაშემწე იძულებული გახდა ძალა გამოეყენებინა, სხვის საკუთრებაში უკანონოდ შეჭრილის თერთმეტი წლის ვაჟმა შერიფის თანაშემწეს ოცდაორკალიბრიანი პისტოლეტით ესროლა. შერიფის თანაშემწე ადგილზე გარდაიცვალა“.

გველები! მაგათ ხმაც არ უნდა ამოაღებინო! შეგეკამათებიან და პირველმა ესროლე! თერთმეტი წლის ბავშვი თუ კაცს კლავს, დიდები რაღას იზამენ? არა, სხვანაირად არ გამოვა, მკაცრად უნდა მოვექცეთ, უნდა შევაშინოთ.

და რო არ შეეშინდეთ? უკან რო არ დაიხიონ და გვესროლონ? ეგენი ბავშვობიდან შეიარაღებულები არიან, გეგონება იარაღით დაიბადნენ. რა ვქნათ? იქნებ მშიშრები არ არიან? რა მოხდება, თუ გაერთიანდებიან და ომით დაიპყრობენ მიწებს, ისე როგორც ლანგობარდებმა გააკეთეს იტალიაში, გერმანელებმა — გალიაში და თურქებმა — ბიზანტიაში? ისინიც ცუდად იყვნენ შეიარაღებული, მაგრამ ლეგიონებმა ვერ დაამარცხეს. ხოცვა-ჟლეტამ და შიშმა ვერ შეაჩერა. როგორ გინდა, რო შეაშინო მშიერი კაცი, რომელიც შიმშილისგან გაუბედურებულ შვილებს უყურებს? რიღასი უნდა ეშინოდეს? უფრო საშიში რა არი?

კაცების საუბარი ჰუვერვილში:

პაპაჩემმა თავის მიწა ინდიელებს წაართვა.

ეხლა ეგრე აღარ არის. ჩვენ რაზეც ვლაპარაკობთ, ეგ ქურდობაა. მე ქურდი არ ვარ.

არა? გუშინწინ პარმაღიდან შენ არ ააცალე ვიღაცას ერთი ბოთლი რძე? სპილენძის მავთული რო მოიპარე და ერთ ნაჭერ ხორცში გაცვალე, აღარ გახსოვს?

ჰო, მაგრამ ბავშვები მშივრები იყვნენ.

გინდა ასე თქვი და გინდა ისე. ქურდობა ქურდობაა.

იცით, ფეარფილდმა თავისი რანჩო როგორ დაითრია? მოგიყვებით. მაშინ მიწები მთავრობას ეკუთვნოდა და უფრო ადვილი იყო. ფეარფილდმა სან ფრანცისკოში ბარები დაიარა, სამასამდე ლოთი შეკრიბა და იმ მიწაზე გადაიყვანა. აჭმევდა და ასმევდა, სპირტიანს არ აკლებდა. მთავრობამ მიწა რო დაუმტკიცა, ყველა იქიდან გაყარა და თავის სახელზე გააფორმა. ამბობდა ხოლმე, თითო აკრი ნახევარი ლიტრი არყის ფასი დამიჯდაო. რას იტყვი, ესეც ქურდობაა?

მართალი არ იყო, მაგრამ ციხეში არ ჩაუსვამთ.

ჰო, ციხეში არ ჩაუსვამთ.

ერთმა ტიპმა ოთხთვალაზე ნავი შემოდო და რო მიაკითხეს, მთელი მიწა წყლით იყო დაფარული, ხო ხედავთ, აქამდე ნავით მოვედიო. არც ის დაუჭერიათ და არც ის, ვინც კონგრესმენები და კანონმდებლები მოქრთამა.

ასეთ საუბრებს მთელ შტატში, ყველა ჰუვერვილში გაიგონებდით.

და თავდასხმები — შერიფის შეიარაღებული თანაშემწეები ბანაკებში. — გაეთრიეთ ჯანმრთელობის დეპარტამენტის ბრძანებაა. ეს ბანაკი საფრთხეს უქმნის ხალხის ჯანმრთელობას.

სად წავიდეთ?

ეგ ჩვენი საქმე არ არის. ჩვენ ბრძანება მივიღეთ, აქედან უნდა გაგყაროთ. ნახევარ საათს გაძლევთ, მერე ცეცხლს წავუკიდებთ აქაურობას. ტიფის შემთხვევებია. გინდათ, რომ მთელ ქვეყანას მოსდოთ, არა? აბა, ჩქარა აიკრიფეთ, ნახევარი საათი გაქვთ.

და ნახევარ საათში ცეცხლწაკიდებული მუყაოს თავშესაფრები, ჩალით გადახურული ქოხები. და სხვა ჰუვერვილის საძებრად მანქანებით გზაზე გასული ხალხი.

და კანზასში, ოკლაჰომაში, ტეხასში, ნიუ მექსიკოში მიწიდან ტრაქტორებით გამოძევებული არენდატორები.

კალიფორნიამდე უკვე სამასი ათასზე მეტი ჩავიდა. კალიფორნიის გზები გაშმაგებული ხალხით გადაიჭედა, რომლებიც მზად იყვნენ აეწიათ, მიწოლოდნენ, გაეზიდათ, აეკრიფათ, დაეკრიფათ, ოღონდ სამუშაო ეშოვათ. ერთი კაცის გადასაზიდი ტვირთისკენ ხუთი წყვილი ხელი იწევდა. ერთი კაცის მუცლის ამოსავსებად საკმარისი საჭმლისთვის ხუთი პირი იღებოდა, და მსხვილი მესაკუთრეები, რომლებსაც სოციალური არეულობის დროს მიწების დაკარგვა ემუქრებოდათ, მსხვილი მესაკუთრეები, რომელთა უკან ისტორია იდგა, რომელთა თვალებს ისტორიის შესწავლა და უტყუარი ფაქტის ამოკითხვა შეეძლოთ: რამდენიმე კაცის ხელში თავმოყრილ ქონებას მეპატრონეებს ადვილად ართმევენ. და თანმდევი ფაქტი: როცა უმრავლესობას შია და სცივა, ძალით მიაქვთ ის, რაც სჭირდებათ. და კიდევ ერთი სიმართლე, რომელიც ისტორიის ყველა გვერდიდან კივის: ჩაგვრა ჩაგრულებს მხოლოდ აძლიერებს. ისტორიის კივილს მეპატრონეებმა ყური არ მიუგდეს — ქონება რამდენიმე კაცის ხელში აღმოჩნდა, უქონელთა რიცხვი გაიზარდა, მსხვილი მესაკუთრეები ჩაგრულებს კიდევ უფრო მეტი სისასტიკით უსწორდებოდნენ.

უამრავ ფულს ხარჯავდნენ, უზარმაზარი ქონების დასაცავად იარაღსა და მომწამვლელ გაზს იძენდნენ, ჯაშუშებს აგზავნიდნენ, რომ ჩაგრულებისთვის მიეყურადებინათ და ამბოხი ძირშივე ჩაეხშოთ. ეკონომიკურ ცვლილებებს არად დაგიდევდნენ, ცვლილებების შესაბამისი გეგმის შედგენა არავის უფიქრია და ერთადერთი, რისკენაც გონებასა და ძალას მიმართავდნენ, ამბოხებულთა განადგურება იყო. ამბოხის გამომწვევი მიზეზები კი უცვლელი რჩებოდა.

ტრაქტორები, რომლის გამოც ხალხი სამუშაოს კარგავდა, ტვირთმზიდი კონვეიერები, მანქანა-დანადგარები ახლა კიდევ უფრო დიდი რაოდენობით იწარმოებოდა და გზებზე გამოყრილი ხალხი დიდი ქონებიდან ჩამომტვრეული ნამცეცების ძებნაში ატარებდა ცხოვრებას. მაგრამ ცდუნება გზების გასწვრივ გადაშლილიყო, წადილი არ განელებოდათ. თავის დასაცავად მეპატრონეებმა ასოციაციები შექმნეს, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ და ამბოხებულთა დაშინების, დახოცვის, გაზით მოწამვლის გზებს განიხილავდნენ. შიში არ ასვენებდათ — სამასი ათასი კაცი — მეთაური რომ გამოჩნდეს, წინამძღოლობა რომ გაუწიოს — ჩვენი დასასრული დადგება. სამასი ათასი მშიერი და უბედური; საკუთარი თავის რომ დაეჯერებინათ, მიწა მათ ხელში გადავიდოდა და ამქვეყნად ვერანაირი იარაღი, ვერანაირი მომწამვლელი გაზი ვერ შეაჩერებდათ. მსხვილი მესაკუთრეები, რომლებსაც თავიანთი ქონების გამო, ასე თუ ისე, მეტი მოეკითხებოდათ, ვიდრე რიგით ადამიანებს, ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ საკუთარი თავი დაეზიანებინათ, ყველა ხერხს მიმართავდნენ, რომ საბოლოოდ განადგურებულიყვნენ. ყოველი ნაბიჯი, ყოველგვარი ძალადობა, ჰუვერვილებზე თავდასხმა, შერიფების გაბღენძილი თანაშემწეების უბადრუკ კარვებს შორის სიარული და მა-

თი დაშინება, მესაკუთრეთა განადგურების დღის დადგომას ოდნავ აფერხებდა, მაგრამ იმავე დროს, გარდაუვალს ხდიდა.

ჩაცუცქებული კაცები, მკვეთრი სახის ნაკვთებით, გამხდარი, შიმშილის მოთმენით გამეხებული სახეებით, ჩაცვენილი თვალებითა და წინ გამოჩრილი ყბებით, მათ ირგვლივ კი, ნაყოფიერი მიწები.

გაიგე, აქედან მეოთხე კარავში ბავშვს რა მოუვიდა?

არა, ეხლა მოვედი.

თურმე ძილში ტიროდა, წრიალებდა და მშობლებს ეგონათ, რო ჭიები ჰყავდა, ჭიის წამალი მიუციათ და მოკვდა საწყალი. სინამდვილეში რა ყოფილა, იცი? როგორც ამბობენ, „შავი ენა“. თურმე სასარგებლო რამეებს ვინც არ ჭამს, იმას უჩნდება.

საწყალი ბავშვი.

მაგრამ ვერ მარხავენ, ღატაკების სასაფლაოზე მოუწევთ.

უჰ, რას ამბობ!

ხელები ჯიბეებისკენ მიდის და მალე კარვის წინ ვერცხლის ფულის პატარა გროვა ჩნდება.

ჩვენები კარგები არიან, კეთილი ხალხია, ვილოცოთ, რო კეთილი ხალხი ერთ დღესაც ღარიბი აღარ იყოს, ვილოცოთ, რო ერთ დღესაც ჩვენ ბავშვებსაც ჰქონდეთ საჭმელი.

და მესაკუთრეთა ასოციაციაში იცოდნენ, რომ ერთ დღეს ლოცვა შეწყდებოდა.

და მაშინ დასასრული დადგებოდა

20.

ბეიკერსფილდში ცხელოდა. სატვირთო კორონერის ოფისის წინ იდგა. ძარაზე ბავშვები, კონი, შარონის ვარდი და მქადაგებელი სარგადაყლაპულებივით ისხდნენ. მამა, დედა და ძია ჯონი ოფისში შესულიყვნენ. მალე კორონერებმა დიდი კალათი გამოიტანეს და სატვირთოდან გრძელი ფუთა ჩამოიღეს. შემდეგ, სანამ ოჯახი მზეზე იცდიდა, გამოძიება ჩაატარეს, სიკვდილის მიზეზი მალე დაადასტურეს და მოწმობასაც ხელი მოაწერეს.

ელი და ტომი ქუჩაში სეირნობდნენ, მაღაზიების ვიტრინებსა და გამვლელებს ათვალიერებდნენ.

როგორც იქნა, მამა, დედა და ძია ჯონი გამოვიდნენ. ჩუმად იყვნენ, ეტყობოდათ, რომ თავს იკავებდნენ. ძია ჯონი ძარაზე აძვრა, დედა და მამა კაბინაში ჩასხდნენ. ელი და ტომი დაბრუნდნენ. ტომი საჭეს მიუჯდა. მამისგან უხმოდ ელოდა მითითებას. მამას შავი ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა და წინ იყურებოდა. დედამ პირის კუთხეები ხელით ჩამოიწმინდა. დაღლილობისგან თვალებში სხივი ჩაქრობოდა. მამამ ღრმად ამოიხვნეშა:

— მეტს ვერაფერს ვიზამდით, — თქვა მან.

— ვიცი, — თქვა დედამ, — მაგრამ მახსენდება, როგორ გვეტყოდა ხოლმე, კარგად დამკრძალეთო.

ტომმა გვერდულად გახედა.

— ოლქის ხარჯზე?

— ჰო, — მამამ სწრაფად დაუქნია თავი, თითქოს გამოფხიზლდა, — ფული არ გვეყო, — დედას მიუბრუნდა, — ნუ დარდობ, რამდენიც არ უნდა გვეცადა, არაფერი გამოვიდოდა, არა გვაქ ფული და მეტი არაფერი შეგვეძლო. ბალზამირება, კუბო, მქადაგებელი, საფლავის ადგილი ათჯერ იმაზე მეტი დაჯდებოდა, რაც გვაქ.

— ვიცი, — თქვა დედამ, — უბრალოდ, სუ ამბობდა კარგი დაკრძალვა მინდაო, რას ვიზამთ... — ღრმად ამოიოხრა და თითებით პირის კუთხეები ჩამოიწმინდა, — ის კარგი ბიჭი იყო, ცოტა კი იბღინძებოდა, მაგრამ ეტყობოდა, რო კარგი ბიჭი იყო.

— ჰო, როგორც იყო, ისე აგვიხსნა ყველაფერი.

დედამ ხელით თმა გადაივარცხნა, კბილი კბილს დააჭირა.

— უნდა წავიდეთ, — თქვა მან, — ადგილი უნდა ვიპოვოთ და გავჩერდეთ. დავლაგდეთ, სამუშაო დავიწყოთ, ბავშვებს ვაჭამოთ. მშივრები რატო უნდა იყვნენ, ბებოს არ გაუხარდებოდა. თითონ დაკრძალვების მერე ყოველთვის კარგად ჭამდა ხოლმე,

— საით წავიდე? — იკითხა ტომმა.

მამამ ქუდი მოიხადა, თავი მოიფხანა და თქვა:

— ბანაკში. სანამ სამუშაოს ვიშოვით, ვეღარ დავხარჯავთ, ქალაქგარეთ გადი.

ტომმა მანქანა დაქოქა. ქუჩები გაიარეს და ქალაქიდან გავიდნენ. ხიდთან კარვები და ქოხმახები გამოჩნდა.

— იქნებ აქ გავჩერდეთ. გავიგოთ რა ხდება, სამუშაო სად უნდა ვეძებოთ, — თქვა ტომმა. მანქანა ტალახიან დაღმართზე ჩაიყვანა და ბანაკის განაპირას გააჩერა

პატარა რუხი კარვები, ქოხები, მანქანები უწესრიგოდ, ქაოტურად იყო განლაგებული. პირველი სახლის სიტყვებით

აღწერა თითქმის შეუძლებელი იყო, სამხრეთის კედლის მაგივრობას ჟანგიანი რკინის სამი ნაჭერი სწევდა, აღმოსავლეთით — ორ ფიცარს შორის აკრული ოთხკუთხედი ხალიჩის ნაგლეჯი, ჩრდილოეთით — ტოლისა და დახვრეტილი ბრეზენტის ნახევი და დასავლეთით — გაუსხიპავი ტირიფის ტოტების სახურავზე ჯვალოს ექვსი ნაჭერი გადაეწყოთ, ზედ ბლომად ბალახი დაეყარათ. შესასვლელი, ჯვალოს ნაჭრებს შორის, ხარახურით იყო სავსე. ნავთის ხუთგალონიანი ბიდონი, რომელიც ღუმლის მაგივრობას სწევდა, გვერდზე დაეწვინათ და ცალ მხარეს ჟანგიანი მილი დაემაგრებინათ. ერთ-ერთ კედელთან სარეცხის გამოსახარში ქვაბი იდგა და უამრავი მიყრილ-მოყრილი ყუთი. ზოგზე სხდებოდნენ, ზოგზე ჭამდნენ. ქოხთან ახლოს „ფორდის“ „I" მოდელი და ორთვალა მისაბმელი იდგა. გარშემო სიბინძურე და სასოწარკვეთა სუფევდა.

იქვე პატარა გახუნებული კარავი გაეშალათ, ძველი, მაგრამ კარგად მოვლილი. კედელთან ყუთები ჩაემწკრივებინათ, კალთიდან ღუმლის მილი გამოჩრილიყო, კარვის წინ მიწა დაეგავათ და მოერწყათ, ყუთზე შემოდგმულ წყლით სავსე სათლში სარეცხი ჩაელბოთ, ყველაფრისთვის თავისი ადგილი მიეჩინათ და სუფთად დაელაგებინათ. კარვის უკან „როდსტერის“ „A“ მოდელი და ხელნაკეთი საძილე მისაბმელი იდგა.

შემდეგი უზარმაზარი დაგლეჯილი კარავი იყო, ნაფლეთები ერთმანეთთან მავთულით მიემაგრებინათ. კარვის კალთები აეკეცათ, მიწაზე ოთხი დიდი ლეიბი დაეგოთ, სარეცხის თოკზე ვარდისფერი ბამბის ქსოვილის კაბები და რამდენიმე წყვილი სამუშაო შარვალი შრებოდა. ბანაკში სულ ორმოცი კარავი და ქოხი იდგა. ყოველ მათგანთან რომელიღაც მარკის ავტომობილი. რამდენიმე ბავშვი ახალმისულ სატვირ-

თოს შორიდან უცქერდა, მერე ყველა ერთად მიუახლოვდა. ფეხშიშველა პატარა ბიჭებს მხოლოდ შარვლები ეცვათ. თმა მტვრისგან განაცრისფრებოდათ. ტომმა მანქანა გააჩერა და მამას შეხედა:

— კარგიაო ვერ იტყვი, სხვაგან ხო არ წავიდეთ?

— ვერსად ვერ წავალთ, სანამ არ გავიგებთ, სად ვართ. სამუშაოზე უნდა გავარკვიოთ რამე.

ტომმა კარი გააღო და მანქანიდან ჩამოვიდა. დანარჩენებიც ჩამოძვრნენ. გაოცებულები ათვალიერებდნენ იქაურობას. რუთმა და უინფილდმა ჩვევას არ უღალატეს, სათლი აიღეს და წყლის მოსატანად ტირიფებისკენ წავიდნენ, იქ მდინარე ეგულებოდათ. ბავშვების გუნდი გაიყო, რუთი და უინფილდი გაატარეს და შემდეგ ისევ შეჯგუფდნენ. პირველი კარვის კალთა გადაიწია და ქალმა გამოიხედა. ჭაღარა თმა დაეწნა, განიერი, ყვავილებით მოჩითული ჭუჭყიანი კაბა ეცვა, უტყვ, დანაოჭებულ სახეზე, ჩლუნგი თვალების ქვეშ, რუხი ტომრები ეკიდა, მოფლაშულ პირს კუთხეები ქვევით ექაჩებოდა.

— შეიძლება აქ გავჩერდეთ? — ჰკითხა მამამ.

თავი კარავში შეიმალა. ერთ ხანს სიჩუმე ჩამოწვა, მერე კალთა გადაიხსნა და წვერიანი კაცი გამოჩნდა. კაცს გამოსვლისას პერანგი მოეცვა, ქალი უკან ედგა, თუმცა კარვიდან არ გასულა.

— გამარჯობა, ხალხო, — თქვა და მოუსვენარი თვალებით ხან ერთს უყურებდა, ხან მეორეს, მერე სატვირთო და მთელი ბარგი-ბარხანა შეათვალიერა.

— უბრალოდ ქალს ვკითხე, ხო არ შეგაწუხებთ, აქ რო გავჩერდეთ-მეთქი.

წვერიანი ისეთი ყურადღებით უცქერდა მამას, გეგონებოდათ, დიდი სიბრძნე თქვა და დაფიქრება იყო საჭირო, რომ აზრი გამოეტანა.

— აქ რო გაჩერდეთ? — იკითხა მან.

— დიახ. ამ ადგილს პატრონი ხო არ ყავს, რო სანამ კარავს გავშლით, დაველაპარაკოთ?

წვერიანმა ცალი თვალი მოჭუტა და მამას დააკვირდა.

— აქ გინდათ კარვის გაშლა?

მამას გაღიზიანება დაეტყო. ჯვალოს კარვიდან რუხმა ქალმა გამოიხედა.

— სხვას რას გეკითხებით?

— თუ გინდათ გაჩერდით და გაშალეთ, მე არ შეგიშლით.

ტომმა გაიცინა.

— მიხვდა, როგორც იქნა.

მამამ მოთმინებას მოუხმო.

— პატრონი თუ ყავს აქაურობას და გადახდა თუ არი საჭირო?

წვერიანმა ნიკაპი წინ გაიშვირა.

— პატრონი?

მამა შეტრიალდა.

— გიჟია, ოხერი, — თქვა მან. ქალის თავი კარავში შეიმალა, წვერიანმა ნაბიჯი წინ გადადგა და მუქარის ხმით თქვა:

— პატრონი? ვინ გაბედავს, რო აქედან გაგვყაროს? აბა გაბედონ!

ტომი მამას წინ გადაუდგა.

— წადი და ერთი კარგად გამოიძინე, — უთხრა კაცს. წვერიანმა პირი გააღო და ჭუჭყიანი თითით ქვედა ღრძილი გაიზილა. ერთ ხანს ტომს ისევ ისეთი დაფიქრებული სახით უცქერდა. მერე ქუსლზე დატრიალდა და თავი კარავში დურთა.

ტომი მამას მიუბრუნდა.

— რა ჯანდაბა იყო?

მამამ მხრები აიჩეჩა. იდგა და ბანაკს ათვალიერებდა. ერთ-ერთი კარვის წინ ძველი თავახდილი „ბიუიკი“ იდგა. ახალგაზრდა კაცი სარქველს ხეხავდა და თან ჯოუდების სატვირთოზე შეყრილ ბარგს უყურებდა. მუშაობდა და თავისთვის იღიმოდა. როგორც კი წვერიანი ქოხში შეიმალა, ტომისკენ ნელი ნაბიჯით გაემართა.

— გაუმარჯოს, — თქვა მან. თვალები მხიარულად უციმციმებდა, — როგორც ვხედავ, ჩვენი მერი უკვე გაიცანით.

— რა ჯანდაბა დაემართა? — ჰკითხა ტომმა.

ახალგაზრდა კაცმა ჩაიხითხითა.

— ისეთი არაფერი, აფრენს, ჩვენსავით, შეიძლება ცოტა მეტად.

— უბრალოდ ვკითხე, აქ გაჩერება თუ შეიძლება-მეთქი.

ახალგაზრდამ ზეთიანი ხელები შარვალზე გაისვა.

— რატომაც არა, შეიძლება. ახალი ჩამოსულები ხართ?

— დიახ, ამ დილას ჩამოვედით,

— ჰუვერვილში არასდროს ყოფილხართ?

— სად არი?

— ეს არი.

— ოჰ, არ ვიცოდი.

რუთი და უინფილდი დაბრუნდნენ. წყლით სავსე სათლისთვის ხელი აქეთ-იქით ჩაეჭიდათ და ისე მიათრევდნენ.

მოდი, კარავი გავშალოთ, — თქვა დედამ, — ფეხზე ვეღარ ვდგები. ყველამ უნდა დავისვენოთ.

მამა და ძია ჯონი სატვირთოზე ავიდნენ, რომ ბრეზენტი და ლეიბები ჩამოეღოთ. ტომი ნელი ნაბიჯით გაჰყვა ახალგაზრდას და თავახდილ მანქანასთან მივიდნენ. ხელსაწყოები

ბლოკზე შემოეწყო, სარქვლის სახეხი ნაერთით სავსე პატარა ყვითელი თუნუქის კოლოფი ვაკუუმურ კონტეინერზე დაედგა.

— იმ წვერიან კაცს რა ჭირდა?

ახალგაზრდამ დამჭერი აიღო და მუშაობას შეუდგა. სარქველს წინ და უკან ატრიალებდა, რომ გახეხილიყო და მერე ბუდეში ჩაესვა.

— მერს? ვინ იცის, მგონი, შეშინებულია.

— შეშინებული?

— პოლიციელებმა იმდენჯერ მიიმწყვდიეს კუთხეში, რო დღემდე აზრზე ვერ მოდის.

— რატო უნდა მიემწყვდიათ კაცი კუთხეში?

ახალგაზრდამ მუშაობა შეწყვიტა და ტომს თვალებში შეხედა.

— ღმერთმა იცის, — თქვა მან, — ახალი მოსული ხარ და იქნებ შენ თითონ მიხვდე. ზოგი ამას ამბობს, ზოგი იმას, მაგრამ აი, კარავს რო გაშლი, ნახავ, ეგრევე შერიფის თანაშემწე მოვა და გაგაგდებს. — სარქველი აიღო და სახეხი ნარევი ბუდეს ამოუსვა.

— რატო უნდა გამაგდოს?

— ხო გითხარი, არ ვიცი, ხან ამბობენ, რო არჩევნებში არ უნდათ მონაწილეობა მივიღოთ და გვაიძულებენ, რო სუ გზაში ვიყოთ, ზოგი ამბობს, შემწეობა რო არ მივიღოთ, იმიტო გვყრიანო, და ზოგი იმასაც ამბობს, ერთ ადგილას რო დავსახლდეთ, ორგანიზებულები გავხდებით და მაგის ეშინიათო. რა ვიცი, რატო, მარტო ის ვიცი, რო სუ გზაში ვართ. ცოტა დაიცადე და შენ თითონ ნახავ.

— მაწანწალები კი არ ვართ, სამუშაოს ვეძებთ, ყველანაირ სამუშაოს ავიღებთ, — არ ჩერდებოდა ტომი.

ახალგაზრდამ სარქვლის ჩასმას თავი დაანება და ტომს გაოცებული თვალებით შეხედა.

— სამუშაოს ეძებთ? — თქვა მან, — ესე იგი სამუშაოს ეძებთ, არა? და შენ რა გგონია, სხვები რას ეძებენ? ბრილიანტებს? მანქანაში ჯდომით უკანალი რატო გავიხეხე? რას ვეძებ? — და დამჭერი წინ და უკან დაატრიალა.

ტომმა თვალი გადაავლო ჭუჭყიან კარვებს, კარვების წინ დახვავებულ ხარახურას, ძველ მანქანებს, მზეზე გასაშრობად გატანილ კოშტებიან ლეიბებს, საჭმლის მოსამზადებლად ამოთხრილი ცეცხლით ამომწვარი ხვრელების თავზე შემოდგმულ გამურულ თუნუქის ქილებს.

— სამუშაო არ არი? — ხმადაბლა ჰკითხა ტომმა.

— ჯერჯერობით არა. ეხლა აქ მოსავლის აღების დრო არ არი. ყურძენი იქნება მოგვიანებით დასაკრეფი, ბამბაც მოგვიანებით. აი, ამ სარქველს შევაკეთებ და აქედან წავალთ, მე, ჩემი ცოლი და შვილები. ჩრდილოეთით მივდივართ, ამბობენ, სამუშაოს შოვნა შეიძლებაო, სელინასისკენ წავალთ.

ტომი იდგა და უცქერდა როგორ ამაგრებდნენ ბრეზენტს ძია ჯონი, მამა და მქადაგებელი კარის ძელებზე, დედა მუხლებზე იდგა და მიწაზე დაგებული ლეიბებიდან მტვერს ფერთხავდა. კარვის გარშემო შეკრებილი ფეხშიშველი, პირდაუბანელი ბავშვები თვალს ადევნებდნენ, როგორ ეწყობოდნენ ახალი მეზობლები.

— იქ, სადაც ვცხოვრობდით, კაცებმა ფურცლები დაგვირიგეს, ნარინჯისფერი ფურცლები, ზედ ეწერა ბევრი ხალხი გვჭირდება მოსავლის ასაღებადო.

ახალგაზრდას გაეცინა.

— ამბობენ, რომ აქ სამასი ათასი ჩვენნაირია, და დაგენიძლავები, ეგეთი ფურცელი ყველამ წაიკითხა.

— ჰო, მაგრამ ხალხი თუ არ სჭირდებათ, თავს რაღას იწუ-ხებენ და რატო ბეჭდავენ?

— დაფიქრდი, აბა.

— ვფიქრობ, მაგრამ ვერ ვხვდები, და მინდა, რო ვიცოდე.

— მისმინე. დავუშვათ, შენ სთავაზობ სამუშაოს და მარტო ერთ კაცს უნდა ეგ სამუშაო, შენ აგყავს ის კაცი და რამდენსაც მოგთხოვს, იმდენს უხდი. ეხლა წარმოიდგინე, რო ეგეთი კა-ცი ერთი კი არა, ასია, — ხელსაწყო დადო, ხმა გაუმკაცრდა, — ას კაცს უნდა ეგ სამუშაო, იქნებ ბავშვები ჰყავთ და შიათ; ათი ცენტიც რო ქონდეთ, ბავშვს სიმინდის ფაფას უყიდიან, იქნებ ხუთ ცენტადაც უყიდონ რამე. ასი კაცია და ხუთი ცენტი შესთა-ვაზე, ნახე რა მოხდება, ხუთი ცენტისთვის ყელს გამოჭრიან ერთმანეთს. იცი, რამდენს მიხდიდნენ ბოლოს რო მქონდა სა-მუშაო? საათში თხუთმეტ ცენტს. ათ საათში დოლარ ნახევარს და ერთ ადგილას არ გაჩერებენ, კიდე საწვავს ხარჯავ სადმე რო წახვიდე. — სიბრაზისგან ქოშინებდა, სიძულვილისგან თვალები უელავდა, — აი, რატო დაბეჭდეს ფურცლები: რამ-დენსაც გინდა, იმდენს დაბეჭდავ და მერე მინდვრის სამუშაო-ში საათში თხუთმეტ ცენტს გადაიხდი.

— საქმეს ცუდი სუნი უდის, — თქვა ტომმა.

ახალგაზრდამ არასასიამოვნო ხმით გადაიხარხარა.

— ცოტა ხანი დარჩი და თუ სადმე ვარდის სუნი იგრძნო, მეც დამიძახე. დავყნოსავ.

— მაგრამ სამუშაო უნდა იყოს, ჩემი თვალით ვნახე ბაღები, ვენახები, ბოსტნები. წესით ხალხი უნდა სჭირდებოდეთ, — თა-ვისას არ იშლიდა ტომი.

მანქანის გვერდით, კარავში, ბავშვი ატირდა, ახალგაზ-რდა კარავში შევიდა და დაუყვავა. ტომმა დამჭერი აიღო, ჭრილს მოარგო და სარქვლის ხეხვა დაიწყო. ბავშვის ტირი-

ლის ხმა შეწყდა. ახალგაზრდა გარეთ გამოვიდა, დაინახა, ტომი მის საქმეს რომ აკეთებდა და უთხრა:

— კარგია, კაცმა რამის კეთება რო იცის, გამოგადგება.

— მე რაც ვთქვი, იმაზე რას ფიქრობ? ჩემი თვალით ვნახე ბაღ-ვენახები.

ახალგაზრდა იქვე ჩაცუცქდა.

— მისმინე, — თქვა ხმადაბლა, — ერთ ნაბიჭვარს ძაან დიდი ატმის ბაღი აქ, მეც იმასთან ვმუშაობდი. მთელი წელი ცხრა კაცს ასაქმებს, — შეჩერდა და ეტყობოდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი უნდა ეთქვა, — მაგრამ ატამი რო მწიფდება, ორი კვირის განმავლობაში სამი ათასი კაცი სჭირდება, თუ არა და, ატამი დაულპება. იცი რას აკეთებს? ეგეთ ფურცლებს მთელ დუნიაზე აგზავნის და სამის ნაცვლად ექვსი ათასი ეხვეწება სამუშაოს. იმდენს იხდის, რამდენიც თითონ უნდა, არ მოგწონს და თუ გინდა ჯანდაბაში წადი, შენ ადგილს კიდე ათასი კაცი ელოდება. ჰოდა, კრეფ და კრეფ და ერთ დღესაც მთავრდება, აღარ არი. ყველა ერთად მწიფდება და იკრიფება. იმ დაწყევლილ მხარეში მეტი საქმე არ არი, მეპატრონეს აღარ სჭირდები. შენნაირი კიდე სამი ათასია, სამუშაო უკვე შესრულებულია და რაღაში სჭირდები. ვინ იცის, ვინა ხარ, იქნებ მოიპარო ან დათვრე და აყალმაყალი მოაწყო? გარდა მაგისა, კარგადაც არ გამოიყურები, სადღაც ძველ კარავს აფარებ თავს. ეს ლამაზი მხარეა, ძმაო, შენისთანები აქოთებენ აქაურობას, არ უნდიხარ და მორჩა! გაგდებენ და კისერიც გიტეხია. ესეა, მეტი რაღა ვთქვა.

ტომი ბანაკისკენ იცქირებოდა. ჯოუდების კარავთან დედა დაინახა. დაღლილობისგან დამძიმებულიყო, ძლივს მოძრაობდა. ცეცხლი დაენთო და ზედ ქვაბები შემოედგა. მის გარშემო ბავშვების წრე კიდევ უფრო მჭიდროდ შეკრულიყო, მშვი-

დი, ფართოდ გახელილი თვალებით დედას ხელების ყოველ მოძრაობს აკვირდებოდნენ. ღრმად მოხუცი, წელში მოკაკული კაცი კარვიდან მაჩვივით გამოძვრა, ბავშვებთან შორიახლოს დადგა და დაბერილი ნესტოებით ჰაერი შეისუნთქა. რუთი და უინფილდი დედასთან იდგნენ და უცხო ბავშვებს საომარი მზადყოფნით უცქერდნენ.

— ატამი მაშინვე უნდა დაიკრიფოს არა, როგორც კი დამწიფდება?

— მაშინვე.

— და რა იქნება, რო ხალხი გაერთიანდეს და ყველამ ერთად თქვას — დალპეს — და არ დაკრიფონ. მეპატრონე ეგრეევე მეტის გადახდას დათანხმდება.

ახალგაზრდამ სარქველიდან თავი ასწია და ტომს დამცინავად შეხედა.

— ოჰ, მოგიფიქრებია. მაგას შენ თითონ მიხვდი?

— დაღლილი ვარ, — უთხრა ტომმა, — მთელი ღამე საჭესთან ვიჯექი. ეხლა ჩემი გაბრაზება ადვილია. ჭკუის სწავლებას თავი დაანებე. გეკითხები და მიპასუხე.

— ისე გითხარი, — გაიცინა ახალგაზრდამ, — ეხლა ჩამოხვედი და ჯერ არ იცი. ხალხი დიდი ხანია აქ არი, უკვე იფიქრეს მაგაზე, მაგრამ ატმის ბაღების პატრონებმაც იფიქრეს. მისმინე, ხალხი რო გაერთიანდეს, წინამძღოლი სჭირდება, კაცი, ვინც სათქმელს იტყვის. როგორც კი ეს კაცი პირს გააღებს, ხელს სტაცებენ და ციხეში უკრავენ თავს, თუ მეორე წინამძღოლი გამოჩნდება, იმასაც იმავე გზას გაუყენებენ.

— ციხეში კაცი ჭამს მაინც

— კაცი ჭამს, მაგრამ მისი შვილები არა. როგორია, შენ ციხეში იჯდე და შენი შვილები შიმშილით იხოცებოდნენ?

— უუჰ, — ნელა თქვა ტომმა.

— კიდე არის რაღაც შავ სიებზე. გაგიგია რამე?

— ეგ რაღაა?

— სიტყვაც რო წამოგცდეს ხალხის გაერთიანებაზე, ნახავ, რაც მოხდება. სურათს გადაგიღებენ და ყველგან გააგზავნიან. ვიღა მოგცემს სამსახურს. შვილები თუ გყავს...

ტომმა კეპი მოიხადა და ხელში მოჭმუჭნა.

— ესე იგი, რაც იქნება, უხმოდ ვიღებთ, არადა ვშიმშილობთ. მაგრამ ხმას თუ ამოვიღებთ, მაინც ვშიმშილობთ.

ახალგაზრდამ ხელი გაშალა და დაფლეთილ კარვებსა და ჟანგიან მანქანებს მოატარა.

ტომმა ისევ დედას გახედა. დედა კარტოფილს თლიდა. ბავშვები კიდევ უფრო ახლოს მისულიყვნენ.

— არა, არა, ეგრე არ იქნება, ცხვრები ხო არა ვართ. ვიღაცას ყელს გამოვჭრი...

— ვინ ვიღაცას? პოლიციელს?

— ვინც იქნება.

— ხო არ გაგიჟდი? ეგრეევე აგიყვანენ. დიდი ნაცნობობა გაქ თუ საკუთრება? ერთ დღესაც ცხვირ-პირზე შემხმარი სისხლით თხრილში ჩაგდებულს გიპოვნიან, მერე გაზეთში ერთ ხაზს დაწერენ — აღმოჩენილია მაწანწალას გვამი.

— იმ მაწანწალას გვერდით სხვის გვამსაც იპოვნიან

— ნამდვილად გაგიჟდი. მაგით ვის რას დაუმტკიცებ?

— შენ რას აპირებ? — ტომმა საპოხით მოთხუპნულ სახეში შეხედა. ახალგაზრდა კაცს თვალებზე ბინდი ჩამოეფარა.

— არაფერს. საიდან ხართ?

— ჩვენ? ოკლაჰომიდან, სალისოსთან ახლოს ვცხოვრობდით.

— ეხლა ჩამოხვედით?

— ამ დილას.

— დიდხანს აპირებ აქ დარჩენას?

— არ ვიცი. სადაც სამუშაოს ვიპოვით, იქ დავრჩებით. რატო მეკითხები?

— არა, არაფერი, ისე. — და ბინდი ისევ ჩამოაწვა თვალებზე.

— უნდა გამოვიძინო, ხვალ დილიდან გავალთ სამუშაოს საძებნელად.

— ჰო. უნდა სცადო.

ტომი შეტრიალდა, ჯოუდების კარვისკენ წავიდა.

ახალგაზრდა კაცმა სახეხი ნარევის ქილაში თითი ჩაყო. — ეი! — გასძახა ტომს.

— რა გინდა?

— რაღაცას გეტყვი, — ლაპარაკს ის თითი ააყოლა, რომელზეც ნარევის ბურთულა ეჯდა, — შარს ნუ ეძებ, ხო გახსოვს, ის კაცი როგორ გამოიყურებოდა, პოლიციამ რო დააშინა?

— იმ კარვიდან რო გამოვიდა?

— ჰო, ის ყეყეჩი, ვითომ აზრზე რო არ იყო.

— და რა არი, რო?

— რა და, პოლიციელები როცა მოდიან, და ისინი სუ მოდიან, აი, ზუსტად ეგეთ ყეყეჩად უნდა მოაჩვენო თავი, არაფერი იცი და არაფერი გესმის, პოლიციელებს მარტო ეგეთები მოვწონვართ. იმათთან ჩხუბი არ ღირს, ეგ იგივეა, თავი რო მოიკლა. უბრალოდ, დაანახე, რო ძაან შეშინებული ხარ.

— პოლიციელებმა გადამიარონ და მე გავჩუმდე?

— მოიხედე აქეთ, ამაღამ მოგაკითხავ. იქნებ ვცდები, მაგრამ მაინც... აქაურობა დამსმენებით არი სავსე, თან შვილი მყავს. მაგრამ მოვალ, ოღონდ პოლიციელი თუ დაინახე, ვითომ ერთი გამოტვინებული ოკი ხარ, კარგი?

— ეგრე იყოს, საქმე გაკეთდეს და, — უპასუხა ტომმა.

— ნუ გეშინია, საქმის გარეშე არ დავრჩებით, მაგრამ თავი ყულფში ჩვენ თითონ არ უნდა გავყოთ. ხო იცი, ბავშვები ბევრს ვერ უძლებენ, ერთი-ორი დღე აშიმშილებ და... — სამუშაოს დაუბრუნდა, ნარევი სარქვლის ბუდეს ამოუსვა და დამჭერით სწრაფად დაატრიალა. თვალებზე ისევ ბინდი ჩამოაწვა, ჩლუნგი არაფრისმთქმელი სახე მიიღო.

ტომი ნელი ნაბიჯით წავიდა კარვისკენ, — დაშინებული... — თავისთვის ჩაილაპარაკა.

მამას და ძია ჯონს ტირიფის ხმელი ტოტები ცეცხლთან დაეყარათ და იქვე ჩაცუცქულიყვნენ.

— ახლოს რაც იყო, სუ ავკრიფეთ, მერე შორსაც წავედით, — თქვა მამამ და წრეში ჩამდგარ ბავშვებს შეხედა. — ღმერთო, საიდან მოგროვდით ამდენი? — ბავშვები შეცბნენ და ფეხებზე დაიხედეს.

— საჭმლის სუნი იკრეს, — თქვა დედამ, — უინფილდ. ფეხებში ნუ მედები, — ხელით იქით ჩასწია, — მინდა, რო ჩაშუშული გავაკეთო, რაც წამოვედით, ცხელი კერძი არ მომიმზადებია. მა, შენ წადი და კისრის ხორცი მოიტანე. გემრიელი ჩაშუშული უნდა მოგიმზადოთ.

მამა წამოდგა და ნელი ნაბიჯით გავიდა.

ელს მანქანისთვის აეხადა და ზეთიან ძრავას დასცქეროდა, ტომი რომ მიუახლოვდა, ზევით აიხედა.

— ვა, რა მხიარული ხარ, — უთხრა ელმა.

— ჰო, გომბეშო როა გაზაფხულის წვიმაში — ისეთი.

— ძრავას შეხედე, — ხელი გაიშვირა ელმა, — კარგი გამოდგა, არა?

ტომმა ძრავა შეათვალიერა.

— არა უშავს.

მკითხველთა ლიგა

— არა უშავს კი არა, მაგარია. ნახე, ზეთს არ აპარებს. — ანთების სანთელი მოხსნა და ხვრელში თითი ჩაყო. — ცოტა კი აქვს მიმხმარი, მაგრამ ეგ არაფერი, ისე სუ მშრალია.

— კარგი ქენი ეგ რო აარჩიე. ამის გაგონება გინდოდა?

— მთელი გზა მეშინოდა, ან ეხლა გაჭედავს, ან ცოტა ხანში-მეთქი, ვფიქრობდი. მერე ყველაფერი მე დამბრალდებოდა

— მართლა კარგი არჩევანია. ეხლა ყურადღებით შეამოწმე, ხვალ სამუშაოს საძებნელად გავდივართ.

— ნუ გეშინია, ირბენს, — ჯიბის დანა ამოიღო და ანთების სანთლის წმენდა დაიწყო.

ტომმა კარავს გვერდიდან შემოუარა და მიწაზე მოკალათებული კეისი დაინახა, იჯდა და საკუთარ შიშველ ფეხს ბრძნული სახით ათვალიერებდა. ტომი მის გვერდით მძიმედ დაეშვა.

— რაო, ვიმუშავებთო? — ჰკითხა ტომმა.

— ვინ?

— ვინ და შენმა ფეხის თითებმა.

— ოჰ, ეს ისე. ვიჯექი და ვფიქრობდი.

— ჰო, როცა ფიქრობ, ყოველთვის მოხერხებულად ჯდები ხოლმე. — თქვა ტომმა.

კეისიმ ფეხის ცერა თითი ზევით ასწია, მეორე თითი ქვევით დასწია და მშვიდად გაიღიმა.

— კარგად თუ არ მოეწყვე, ისე ფიქრი ძნელია.

— მთელი დღე სიტყვა არ დაგცდენია, სუ ფიქრობდი?

— ჰო, სუ ვფიქრობდი.

ტომმა ნაჭრის კეპი მოიხადა — უკვე ჭუჭყიანი და გაცვეთილი — წინაფრა ჩიტის ნისკარტს მიუგავდა. ოფლით გაჟღენთილი სარტყელი მოაცილა და დაკეცილი გაზეთი ჩააფინა.

— იმდენი ოფლი მასხამს, რო შედგა, — კეისის ათამაშებულ ფეხის თითებს დახედა და უთხრა:

— ფიქრი რო შეწყვიტო და ერთი წუთით მომისმინო, არ გინდა?

კეისიმ ღეროსავით კისერი შეაბრუნა და უპასუხა:

— გისმენთ და იმიტომაც ვფიქრობ. ხალხს ვუსმენ, ვფიქრობ და ვხვდები, თავს როგორ გრძნობენ. მესმის და ვგრძნობ, რო სხვენში შეფრენილი გზააბნეული ჩიტებივით ფრთებს აფართხუნებენ. მტვრიან ფანჯრებს ეხეთქებიან, რო როგორმე იქაურობას თავი დააღწიონ.

ტომმა გაფართოებული თვალებით შეხედა, მერე თავი იქვე ახლოს გაშლილი რუხი კარვისკენ შეაბრუნა. ბაგირზე გარეცხილი ჯინსები, პერანგები და კაბა შრებოდა,

— მაგის თქმას ვაპირებდი, შენ უთქმელად მიხვდი.

— ჰო, მივხვდი, — დაეთანხმა კეისი, — ჩვენისთანების მთელი არმიაა, რომლისთვისაც ჯერ ლაგამი არავის ამოუდია, — თავი დახარა, ხელი შუბლისკენ წაიღო და თმა გადაივარცხნა — ყველგან, სადაც გავჩერდით, ეს დავინახე. ხალხს შია, ხორცი ენატრება, თუ იშოვეს და ჭამეს, მაძღრობას ვერ გრძნობენ და როცა შიმშილი აუტანელი ხდება, მთხოვენ, რო მათთვის ვილოცო, ვლოცულობდი კიდეც. — ხელები მუხლებზე შემოიხვია და ფეხები მკერდისკენ მისწია. — ადრე ვფიქრობდი, რო ლოცვა მართლა შველოდათ, წავიკითხავდი ლოცვას და ბუზები რო თავის დასაჭერ ქაღალდს ეკვრიან, ისე აწეპებდნენ ლოცვას ზედ ყველა გასაჭირს. ლოცვა მიფრინავდა და გაჭირვებაც თან მიჰქონდა. მაგრამ ეხლა ეგრე აღარ არი.

— ლოცვას ხორცი რო მოქონდეს... მაგისთვის ღორია საჭირო.

— ზუსტად. ყოვლისშემძლე ღმერთი ვერც ხელფასს მოგიმატებს. ხალხს რა უნდა? ადამიანური ცხოვრება და ჯანმრთელი შვილების გაზრდა, სიბერეში კარის წინ ჯდომა და ჩამავალი მზის ყურება, ახალგაზრდობაში ცეკვა-თამაში, სიმღერა, ერთმანეთთან წოლა, სმა-ჭამა და მუშაობა, სულ ეს არის — მაგისთვის ამუშავებენ კუნთებს და იღლებიან. ღმერთო რას ვროშავ?

— არ ვიცი, მაგრამ კარგი მოსასმენი კია. როდის შეეშვები ფიქრს? სამუშაო უნდა ვიშოვოთ, ფული გვითავდება. მამამ ხუთი დოლარი მისცა, რო ბებოს საფლავზე შეღებილი ფიცარი ჩაერჭოთ. ცოტა დაგვრჩა.

საიდანღაც გამხდარი უჯიშო ყავისფერი ძაღლი გამოჩნდა. სანამ კაცებს დაინახავდა, მიწას სირბილ-სირბილით ყნოსავდა. უცებ ტომს და კეისის მოკრა თვალი, გვერდზე გახტა, ყურები უკან გადაწია, კუდი ამოიძუა და გაიქცა. კეისიმ თვალი გააყოლა, ამოიოხრა და თქვა:

— სიკეთე ვერავისთვის მომაქვს; ვერც ჩემთვის და ვერც სხვისთვის. იქნებ მარტომ განვაგრძო გზა? თქვენ პურს ვჭამ და თქვენ ადგილს ვიკავებ. სამაგიეროდ ვერაფერს გთავაზობთ. იქნებ მუდმივი სამუშაო ვიშოვო და თქვენგან მიღებული სიკეთის უკან დაბრუნება შევძლო.

ტომმა პირი გააღო, ქვედა ყბა წინ წამოსწია და კბილებზე მდოგვის გამხმარი ღერო დაიკაკუნა. რუხ კარვებს, სარეველათი გადახურულ, მუყაოთი და თუნუქის ნაგლეჯებით შეკოწიწებულ ქოხებს უცქერდა.

— ნეტა ერთი თუთუნი მომცა და... — თქვა მან, — რამდენი ხანია აღარ მომიწევია. მაკალესტერში სუ მქონდა. ლამის უკან დაბრუნება ვინატრო. — კბილებზე ისევ დაიკაკუნა და მქადაგებელს მიუბრუნდა:

— ციხეში თუ მჯდარხარ?

— არა, არასდროს.

— ეხლა ნუ წახვალ, მოიცადე.

— რაც მალე დავიწყებ სამუშაოს ძებნას, მით მალე ვიშოვი.

ტომმა თვალები მოჭუტა, ერთხანს კეისის აკვირდებოდა. მერე ქუდი დაიხურა და უთხრა:

— მისმინე, მქადაგებლებს უყვართ ხოლმე თქმა, რო ამ მხარეში მიწას რძე და თაფლი სდის. სინამდვილეში ეგრე არ არი, აქ ბევრი ბოროტება ხდება. აქაურებს ჩვენი ეშინიათ და პოლიციელებს ქირაობენ, რო აქეთ შეგვაშინონ.

— ვიცი, — თქვა კეისიმ, — ციხეზე რატო მკითხე?

— ციხეში რო ხარ, — ნელა დაიწყო ტომმა, — რაღაცნაირი მგრძნობიარე ხდები. ბიჭებს შეკრება და ლაპარაკი ეკრძალებათ. ორი კაცი კიდე ჰო, მეტი თუ დაინახეს ერთად, ეგრევე ყრიან. ჰოდა, ამის გამო შეგრძნებები ისე გიმახვილდება, რო თუ ვინმე გადაირია და ზედამხედველს ცოცხის ტარით გაუხეთქა თავი, სანამ მოხდება, მანამდე იცი. გაქცევას ან არეულობის მოწყობას თუ აპირებენ, არავინ გაფრთხილებს, შენ თითონ ხვდები, გრძნობ.

— მერე?

— დარჩი, — უთხრა ტომმა, — ხვალამდე მაინც. რაღაც მზადდება. ერთ ტიპს ველაპარაკე, გზის ზევით. კოიოტივით ეშმაკი და ჭკვიანია, კუდს აქიცინებს, ვითომ არაფერი იცის, არაფერში ერევა, იფიქრებ, ამან რა უნდა დამიშავოსო. მგონი, ქათამი ტყუილად არ კაკანებს.

კეისი ყურადღებით უსმენდა. კითხვის დასმა დააპირა, მაგრამ შეჩერდა და პირი მაგრად მოკუმა. მერე ფეხის თითები აამოძრავა, მუხლები გაშალა, ცალი ფეხი წინ წასწია ისე, რომ დაენახა.

— კარგი, — თქვა მან, — ჯერ არ წავალ.

— როცა ხალხი მშვიდად არი და არაფერი იცის, რაღაცას უნდა ელოდო. — თქვა ტომმა.

— დავრჩები, — თქვა კეისიმ.

— და ხვალ სატვირთოში ჩავსხდებით და სამუშაოს მოვძებნით.

— ჰო, — თქვა კეისიმ, ფეხის თითები აათამაშა და ყურადღებით დააცქერდა.

ტომი იდაყვებს დაეყრდნო და თვალები დახუჭა, კარვიდან შარონის ვარდისა და კონის საუბრის ხმა გამოდიოდა. ბრეზენტი მძიმე ჩრდილს ქმნიდა. ყოველი მხრიდან შეჭრილი კონუსის ფორმის სინათლე თვალს ჭრიდა. შარონის ვარდი ლეიბზე იწვა; კონი იქვე ჩაცუცქულიყო.

— დედას უნდა მივეხმარო, — თქვა შარონის ვარდმა, — მაგრამ რამდენჯერაც ვცადე, იმდენჯერ გული ამერია.

— ნეტა მცოდნოდა, ესე რო იქნებოდა, სუ არ წამოვიდოდი. ღამ-ღამობით ტრაქტორს ვისწავლიდი და დღეში სამ დოლარს ვიშოვიდი. კაცი კარგად იცხოვრებს დღეში სამ დოლარად, კინოშიც ვივლიდი ყოველ ღამე, — მოღუშული სახით თქვა კონიმ.

შარონის ვარდმა შეშფოთებით შეხედა.

— რადიოს სწავლას ხო აპირებ ღამღამობით, არა?

კონიმ მაშინვე არ უპასუხა.

— არა? კონი, — არ შეეშვა შარონი.

— ვისწავლი, აბა, რა, მალე ფეხზე დავდგები. ცოტა ფულს მოვაგროვებ.

შარონმა წამოიწია და იდაყვს დაეყრდნო.

— ხო არ გადაგიფიქრებია?

— არა, არა, უბრალოდ არ ვიცოდი, ესეთ ადგილებში თუ მოგვიწევდა ცხოვრება.

შარონს სახე გაუმკაცრდა.

— ეხლა ხო იცი.

— ვიცი, მალე ფეხზე დავდგები. ცოტა ფულს ვიშოვი. მაგრამ ვიფიქრე, უკეთესი ხო არ იქნებოდა, ტრაქტორი მესწავლა. სამი დოლარი დღეში და კიდე მეტი...

კონიმ თვალებში შეხედა და მიხვდა, შარონის ვარდის თვალები ითვლიდა, ზომავდა, ფიქრობდა, ცდიდა.

— როგორც კი ფეხზე დავდგები, სწავლას დავიწყებ, — თქვა მან.

— სანამ ბავშვი გაჩნდება, სახლი უნდა გვქონდეს. ბავშვს კარავში ვერ გავზრდით, — გაბრაზდა შარონი.

— ჰო, როგორც კი ფეხზე დავდგები, — თქვა კონიმ, გარეთ გავიდა და დედას დახედა, რომელიც ცეცხლზე შემოდგმულ ქვაბზე გადახრილიყო.

შარონი ზურგზე გადაწვა და კარვის ჭერს მიაცქერდა. მერე ცერა თითს კბილები დააჭირა და ჩუმად აქვითინდა.

დედა კოცონთან ჩამუხლულიყო, ტოტებს ამტვრევდა და ცეცხლს უკეთებდა. ალი იწევდა და ისევ ნელდებოდა. ქვაბი თუხთუხებდა. დაახლოებით თხუთმეტი ბავშვი ჩუმად იდგა და უცქერდა. ჩაშუშულის სუნი ჰაერში ავარდა და ბავშვებს ცხვირები შეუტოკდათ. მტვრით დაბურულ თმაზე მზე დასთამაშებდათ. თავს უხერხულად გრძნობდნენ, ხვდებოდნენ, რომ იქ არ უნდა მდგარიყვნენ, მაგრამ ვერ მიდიოდნენ. დედა ერთ გოგონას გამოელაპარაკა, რომელიც ამ დაქიმითებულ ბავშვებს შორის ყველაზე უფროსი ჩანდა. გოგონა ცალ ფეხზე იდგა და მეორე შიშველ ფეხისგულს წვივზე ისვამდა. ხელები

ზურგსუკან წაეღო. დედას პატარა შეუპოვარი ნაცრისფერი თვალებით უცქერდა. ბოლოს დედას უთხრა:

— ტოტებს მე დაგიმტვრევთ, მემ.

დედამ ქვაბიდან თვალები ასწია.

— გინდა, რო გაგიმასპინძლდე?

— დიახ, მემ, — მტკიცედ უპასუხა ბავშვმა.

დედამ ქვაბის ქვეშ ტოტი შეაგდო და ტკაცუნის ხმა გაისმა.

— არ გისაუზმია?

— არა, მემ. აქ სამუშაო არ არის. მამაჩემი რაღაცების გაყიდვას ცდილობს, რო ბენზინი იყიდოს და აქედან წავიდეთ.

— ამ ბავშვებსაც არ უსაუზმიათ?

ბავშვების წრე აწრიალდა, ქვაბს თვალი მოაშორეს. ერთმა პატარა ბიჭმა კვეხნით თქვა:

— მე და ჩემმა ძმამ ვისაუზმეთ, იმ ორმაც, მე თითონ დავინახე. კარგად ვისაუზმეთ. ამაღამ სამხრეთში მივდივართ.

— ესე იგი, შენ არ გშია. აქ ყველასთვის საკმარისი არაა, — ღიმილით უთხრა დედამ.

ბიჭმა ტუჩი აიბზუა, — კარგად გამოვძეხით, — თქვა მან, შებრუნდა, გაიქცა და თავი კარავს შეაფარა. დედამ თვალი გააყოლა და სანამ უფროსი გოგონა თავს შეახსენებდა, უცქერდა.

— ცეცხლი განელდა, მემ, თუ გინდათ შევუკეთებ.

რუთი და უინფილდი წრეში იდგნენ და თავი ღირსეულად ეჭირათ, მაგრამ მათი გულგრილობა მესაკუთრულ განცდებს ვერ ჯობნიდა. რუთმა გოგონას ცივი, გამკიცხველი თვალებით შეხედა, ჩაიცუცქა და ფიჩხის დამტვრევა დაიწყო. დედამ ქვაბს თავი ახადა და ჩაშუშულს ჯოხით მოურია.

— კარგია, თუ ყველას არ გშიათ, ალბათ იმ პატარა ბიჭს ნამდვილად არ შია.

გოგონამ დამცინავად ჩაიცინა.

— ვის, იმ ბიჭს? ტრაბახაა, როცა არაფერი აქვთ საჭმელი, რას აკეთებს, იცით? კარვიდან გამოდის და გვეუბნება, ქათმის ხორცი ვჭამეო, გუშინაც ეგრე ქნა, მაგრამ დავინახე, რო ჭამდნენ და შემწვარი ცომის მეტი არაფერი ჰქონდათ.

— უჰ, — თქვა დედამ და ბიჭის კარვისკენ გაიხედა. მერე ისევ გოგონას მიუბრუნდა, — რამდენი ხანია, რაც კალიფორნიაში ხართ? — ჰკითხა მან.

— ექვსი თვე იქნება. ცოტა ხნით მთავრობის ბანაკში ვცხოვრობდით. მერე ჩრდილოეთში წავედით და რო დავბრუნდით, ადგილი აღარ იყო, ისეთი კაი ადგილია, რო...

— სად არი? — ჰკითხა დედამ, რუთს ფიჩხი გამოართვა და ცეცხლს შეუკეთა. რუთმა გოგონას სიძულვილით სავსე თვალები დაუბრიალა.

— უიდპეჩთან ახლოს, ისეთი კაი ტუალეტები და აბაზანები აქვთ. სარეცხის გასარეცხი ტაშტებიც არი, წყალი რამდენიც გინდა, კარგი სასმელი წყალი, საღამოს მუსიკას უკრავენ და შაბათობით ცეკვები იმართება. ეგეთი არაფერი მინახია, ბავშვებისთვის სათამაშო ადგილი ცალკეა, ტუალეტებში ქაღალდიც არი, წყალს ჩამოუშვებ და ირეცხება, პოლიციელს ვერც დაინახავთ, ისე კი არ არი, აქ რო კარავში გივარდება, როცა უნდა. ბანაკის მმართველი ისეთი თავაზიანია, სტუმრად მოდის და გესაუბრება, კი არ იბღინძება. ეჰ, ნეტა ისევ იქ ვცხოვრობდეთ.

— პირველად მესმის. სარეცხის ტაშტი კარგი იქნებოდა, — თქვა დედამ,

გოგონამ მგზნებარედ განაგრძო:

— მილებში ცხელი წყალი მოდის, დგები შხაპის ქვეშ და თბილი წყალი გესხმება. ეგეთი ადგილი სხვა არ არი.

— ეხლა სავსეა? — ჰკითხა დედამ.

— ბოლოს რო ვიკითხეთ, სავსე იყო.

— ალბათ ძვირია.

— ძვირია, მაგრამ თუ ფული არ გაქ, გამუშავებენ — კვირაში რამდენიმე საათს, დასუფთავება, ნაგვის გატანა და ეგეთ რამეებზე. ღამე მუსიკა ისმის, ხალხი იკრიბება და ლაპარაკობს, მილებიდან ცხელი წყალი მოდის, ძაან მაგარია.

— ნეტა შეიძლებოდეს იქ წასვლა, — თქვა დედამ.

აქამდე რუთი თავს იკავებდა. მერე უცებ გააფთრებულმა წამოიძახა:

— ბებია ზედ სატვირთოზე მოგვიკვდა.

გოგონა რუთის წამოძახილმა გააოცა.

— ჰო, კორონერი მოვიდა და წაიყვანა, — ტუჩები მაგრად მოკუმა და ფიჩხის პატარა კონა გადაამტვრია. დის გამბედაობით მოხიბლულმა უინფილდმა თვალები დაახამხამა.

— ზედ სატვირთოზე მოკვდა, კორონერი მოვიდა და დიდ კალათში ჩააწვინა, — მხარი აუბა რუთს უინფილდმა.

— აბა, ეხლა ორივე გაჩუმდით, თორე გაგყრით აქედან, — დაუცაცხანა დედამ და ცეცხლს შეუკეთა.

ბანაკის მეორე ბოლოს ელი სარქვლის შეკეთებას უცქერდა.

— უკვე დაგიმთავრებია.

— კიდე ორი მაქ.

— ამ ბანაკში გოგოები არ არიან?

— მე ცოლიანი ვარ, გოგოებისთვის სად მცალია.

— არაფრისთვის რო არ მეცალოს, მაგისთვის სულ მცალია

— ალბათ არ მოგშივებია, მოგშივდება და სხვანაირად დაიწყებ ფიქრს.

— შეიძლება, მაგრამ ჯერ ისევ ამ ჭკუაზე ვარ.

— ცოტა ხნის წინ კაცს რო ველაპარაკე, შენთან ერთადაა, არა?

— ჰო, ჩემი ძმაა, ტომი. უფრთხილდი იცოდე. კაცი ჰყავს მოკლული,

— მართლა? რატო?

— ჩხუბში. ტიპმა დანა გაუყარა და ტომმა თავი ნიჩბით გაუხეთქა.

— გაუხეთქა? და მერე, სასამართლო იყო?

— გამოუშვეს, ჩხუბი იყო და...

— მოჩხუბარს არ ჰგავს.

— არც არი, მაგრამ თავს არავის დააჩაგვრინებს, — სიამაყით ამბობდა ელი, — ტომი მშვიდი კაცია, მაგრამ მაინც სიფრთხილეა საჭირო.

— მე ველაპარაკე, სისასტიკის არაფერი ეტყობოდა.

— რა სისასტიკე, თბილი და ტკბილია, ოღონდ არ უნდა გააგიჟო.

ახალგაზრდამ სარქვლის ხეხვა განაგრძო, ეს ბოლო სარქველი იყო.

— არ გინდა? მოგეხმარები, სარქველებს ჩავსვამ.

— რატომაც არა, სხვა საქმე თუ არა გაქ.

— უნდა დამეძინა, მაგრამ გაფუჭებულ მანქანას რო დავინახავ, ხელებს ვეღარ ვაჩერებ, თავისკენ მეწევა.

— მადლიერი დაგრჩები, — თქვა ახალგაზრდა კაცმა, — მე ფლოიდ ნოულსი ვარ.

— მე ელ ჯოუდი.

— მოხარული ვარ.

— მეც.

ელმა ჯიბის დანა ამოიღო და ძრავის ბლოკი გადაფხიკა.

— ღმერთო, ისე არაფერი მიყვარს, როგორც მანქანის შიგანი.

— გოგოები?

— ჰო, და გოგოები. რას არ მივცემდი, „როლს როისი“ რო დამაშლევინა და მერე ისევ ამაწყობინა, ერთხელ „კადილაკ 16“-ის კაპოტის ქვეშ მაინც ჩავიხედე. უკეთესს კაცის თვალი ვერაფერს ნახავს. სალისოში ჩემთვის მივდიოდი და ვხედავ რო რესტორნის წინ 16 დგას, მივედი და კაპოტი ავხადე, უცბად კაცი მოდის და მეკითხება: რა ჯანდაბას აკეთებ? — უბრალოდ ვუყურებ, ნახე, რა მაგარია! — დგას და არ მიდის, მგონი, შიგ არასდროს ჩაუხედავს. მდიდარი კაცი იყო, ჩალის ფარფლებიანი ქუდი ეხურა, ზოლიანი პერანგი ეცვა და სათვალე ეკეთა. ვიდექით და ვუყურებდით, და უცებ მეკითხება: — გინდა, საჭესთან დაჯდე?

— არაააა! — თქვა ფლოიდმა.

— ზუსტად ეგრე იყო. საჭესთან დაჯდომა გინდაო? მე კიდე ჭუჭყიანი ჯინსი მაცვია. არა, სერ, გავაჭუჭყიანებ-მეთქი და მიდი, დაჯექი და კვარტალი შემოიარეო. დავჯექი და ერთი რვაჯერ მაინც შემოვიარე კვარტალი. აუჰ, რა მაგარი იყო!

— მოგეწონა?

— ოჰ, ღმერთო, ერთი ის დამაშლევინა და რას არ მივცემდი.

ფლოიდმა მუშაობა შეანელა. ბოლო სარქველი ბუდეში ჩასვა და შეხედა.

— ჯობია ამ ჯაბახანებს შეეჩვიო, 16-ის მართვას ხო არ აპირებ?

დამჭერი საფეხურზე დადო და საჭრეთელი აიღო, რომ ბლოკისთვის მიმხმარი ზეთი შემოეფხიკა.

ორ ჩასუქებულ ქალს მღვრიე, რძისფერი წყლით სავსე სათლისთვის ხელი აქეთ-იქით ჩაეჭიდათ, ბორძიკით მიათრევდნენ და მიწას თვალს არ აშორებდნენ. მზე დასავლეთისკენ იხრებოდა.

— გატყობ, რო მაინცდამაინც არაფერი მოგწონს, — თქვა ელმა.

ფლოიდმა კიდევ უფრო სწრაფად დაიწყო ფხეკა.

— ექვსი თვეა აქ ვარ, მთელი შტატი შემოვიარე, რო მემუშავა და იმდენი მეშოვა, რო ჩემი ცოლ-შვილისთვის კარტოფილი და ხორცი მეყიდა. კურდღელივით დავრბოდი, მაგრამ რად გინდა! ტყავში რო გავძვრე, მაინც არ მყოფნის. დავიღალე, ისე დავიღალე, რო ძილშიც ვერ ვისვენებ, აღარ ვიცი, რა გავაკეთო.

— მუდმივი სამუშაო არ არი? — ჰკითხა ელმა.

— არა, არ არის — საჭრეთლით მიმხმარი ზეთი მოაფხიკა და ჟანგიან ლითონს ზეთიანი ნაჭრის ნაგლეჯი გაუსვა.

ბანაკში ჟანგიანი მსუბუქი მანქანა შემოვიდა. შიგ ოთხი კაცი იჯდა, ოთხივეს მზისგან დამწვარი გამეხებული სახე ჰქონდა. მანქანამ ნელა გაიარა.

— როგორ არი საქმე. გაგიმართლათ? — გასძახა ფლოიდმა.

მანქანა გაჩერდა.

— სად არ ვიყავით, ხელით სამუშაო აღარსად არი ამ ქვეყანაში. უნდა წავიდეთ.

— სად? — ჰკითხა ელმა.

— ღმერთმა იცის, აქ ყველაფერი ვცადეთ, — მუხრუჭს ფეხი აუშვა და მანქანა ნელა დაიძრა.

ელმა თვალი გააყოლა,

— მარტო სიარული არ ჯობია? იქნებ ერთი კაცის სამუშაოა სადმე.

ფლოიდმა საჭრეთელი დადო და მწარედ ჩაიცინა.

— ჯერ გამოუცდელი ხარ. რო იმოძრაო, საწვავი გჭირდება. ერთი გალონი საწვავი თხუთმეტი ცენტი ღირს. ოთხი კაცი ოთხი მანქანით ხო არ წავა. თითო ათ ცენტს დებს და საწვავს ერთად ყიდულობენ. ისწავლი ცოტა ხანში.

— ელ!

ელი შეტრიალდა. უინფილდი თავმომწონედ იდგა და უცქერდა.

— ელ, ჩაშუშული მზად არი, დე გეძახის.

ელმა ხელები შარვალზე შეიწმინდა.

— დილიდან მშიერი ვარ, — უთხრა ფლოიდს, — შევჭამ და ისევ დაგეხმარები.

— კარგი, თუ გინდა მოდი.

— მოვალ აბა, რა.

და უინფილდს ჯოუდების კარვისკენ გაჰყვა.

დედასთან ბავშვების მთელი ჯარი შეგროვილიყო. ჩაშუშულით სავსე ქვაბთან ისე ახლოს მისულიყვნენ, რომ დედას მუშაობის გასაქანი აღარ ჰქონდა. ძია ჯონი და ტომი იქვე იდგნენ.

— არ ვიცი, რა ვქნა, ოჯახს უნდა ვაჭამო, მაგრამ ამ ბავშვებს რა ვუყო? — იკითხა სასოწარკვეთილმა დედამ.

ბავშვები გაშეშებულები უცქერდნენ. უტყვი, შეუვალი თვალები მექანიკურად დარბოდნენ ქვაბიდან თუნუქის თეფშამდე და პირიქით. კოვზის მოძრაობას თვალებით დაჰყვებოდნენ და როცა დედამ ქაფქაფა ჩაშუშული თეფშზე გადმოიღო და ძია ჯონს მიაწოდა, თვალები კოვზს ზევით აჰყვნენ. ძია ჯონმა ჩაშუშულში კოვზი ჩაჰყო და კარტოფილი პირისკენ წაიღო.

ყველას თვალი ერთად უცდიდა სახეზე კმაყოფილება როდის დაეწერებოდა. გემრიელია? მოეწონა? და მერე, თითქოს ძია ჯონმა პირველად დაინახა ბავშვები.

— გამომართვი, მე არ მშია, — უთხრა ტომს.

— დღეს არ გიჭამია.

— ჰო, მაგრამ მუცელი მტკივა და ჭამა არ მინდა.

— თეფში კარავში შეიტანე და იქ ჭამე.

— არ მინდა. რო შევიდე, კარავშიც დავინახავ.

ტომი ბავშვებს მიუბრუნდა.

— წადით, დაიკარგეთ აქედან, — გაოცებულმა თვალებმა ჩაშუშულიდან მის სახეზე გადაინაცვლეს, — არ იქცევით კარგად, ხო იცით, რო ყველას მაინც არ ეყოფა.

დედამ თუნუქის თეფშებზე ცოტ-ცოტა ჩაშუშული გადაიღო და თეფშები მიწაზე დააწყო.

— ვერ გავყრი, რაც დარჩება ვაჭმევ; თქვენ-თქვენი თეფშები აიღეთ და შიგნით შედით. შარონის ვარდს წაუღეთ, არ დაგავიწყდეთ.

ბავშვებს გაუღიმა. — მისმინეთ, — თქვა დედამ, — პატარებო, წადით, ბრტყელი ჯოხები იპოვეთ და რაც დარჩა გაჭმევთ, ოღონდ, იცოდეთ, ჩხუბი არ იყოს. სწრაფად და უხმოდ სხვადასხვა მხარეს მიმოიფანტნენ. ზოგმა ჯოხი იპოვა, ზოგმა კარვიდან კოვზი გამოიტანა. სანამ დედა ჩაშუშულს თეფშებზე გაანაწილებდა, უკან დაბრუნდნენ, მგლებივით მშიერები იყვნენ. დედამ თავი გააქნია, — რა ვქნა, ოჯახს რაღა ვაჭამო, — რუთ უინფილდ, ელ, — დაიძახა გამწარებულმა, — თქვენი თეფშები აიღეთ და ჩქარა შედით კარავში. ბავშვებს დამნაშავის სახით გახედა და დაბნეულმა უთხრა — სულ ცოტაა. ქვაბს გარეთ დავდგამ და ცოტ-ცოტა ჭამეთ. ვერ გაგაძღობთ, მაგრამ რაც არი, აი, აქ არი და გაიყავით. — ქვაბი ცეცხლიდან

გადმოდგა და მიწაზე დადგა, — დაიცადეთ, ცხელია, — თქვა და რომ არ დაენახა, კარავში სწრაფი ნაბიჯებით შევიდა.

თავ-თავისი თეფშით ხელში ოჯახის ყველა წევრი მიწაზე იჯდა. გარედან ჯოხებით, კოვზებითა და ჟანგიანი თუნუქის ნაჭრით ქვაბის ფხეკის ხმა შედიოდა. იმდენი იყვნენ ქვაბი საერთოდ არ ჩანდა. ლაპარაკისთვის, ჩხუბისთვის ან კამათისთვის არ ეცალათ, ყოველი მათგანის მოძრაობაში შეუვალობა და ფარული მძვინვარება იგრძნობოდა. დედა ზურგით იჯდა, რომ არ დაენახა. — სხვა დროს ესე ვეღარ მოვიქცევით, მარტო უნდა ვჭამოთ. — ქვაბი ბოლომდე ამოიფხიკა და ბავშვების ჯგრო გაიფანტა. ბოლომდე ამოფხეკილი ქვაბი მიწაზე ეგდო. დედამ ცარიელ თეფშებს დახედა, — ალბათ არ გეყოთ.

მამა წამოდგა და გარეთ უხმოდ გავიდა. მქადაგებელმა გაიღიმა, მიწაზე გაწვა და ხელები თავქვეშ ამოიწყო.

— ბიჭს უნდა დავეხმარო მანქანის შეკეთებაში, — თქვა ელმა და გავიდა.

დედამ თეფშები აკრიფა და გასარეცხად გარეთ გაიტანა.

— რუთ, უინფილდ, სათლით წყალი მომიტანეთ, — და სათლი მიაწოდა. ბავშვები ფეხების თრევით წავიდნენ მდინარისკენ.

კარვისკენ მიმავალი ჯანიანი დედაკაცი გამოჩნდა. კაბაზე მტვრის ზოლები და მანქანის ზეთის ლაქები აჩნდა. ნიკაპი ამაყად აეწია. შორიახლოს დადგა და დედა საბრძოლო შემართებით დაათვალიერა. — გამარჯობა, — ცივად თქვა მან. — გამარჯობა, — მიუგო დედამ, გაიმართა და ყუთი წინ წასწია.

— დაბრძანდით.

— არა, არ დავჯდები, — უპასუხა ქალმა.

დედა გაოცებული უცქერდა.

— რით დაგეხმაროთ?

ქალმა ხელები თეძოებზე შემოიწყო.

— იმით დამეხმარებით, რო თქვენ ბავშვებს მიხედეთ და ჩემსას თავი დაანებეთ.

დედას თვალები გაუფართოვდა.

— არაფერი გამიკეთებია, — წამოიწყო დედამ.

ქალმა დედას დაუბღვირა.

— ჩემს პატარა ბიჭს ჩაშუშული ხორცის სუნი ასდის, თქვენ გიჭმევიათ, თითონ მითხრა. რას დადიხართ და ტრაბახობთ ამ ჩაშუშული ხორცით, რა არი სატრაბახო? ჩემი გასაჭირი არ მეყოფა, კიდე რო მიმატებთ? ბიჭი ვეღარ გავაჩერე. სუ მეკითხება, ჩვენ რატო არა გვაქ ჩაშუშული ხორციო, — სიბრაზისგან ხმა უკანკალებდა.

დედა ქალს მიუახლოვდა.

— დაბრძანდით და მშვიდად დავილაპარაკოთ.

— არა, აქ დაჯდომას არ ვაპირებ. წელებზე ფეხს ვიდგამ, რო ოჯახს რამე ვაჭამო და აქ თქვენი ჩაშუშულით გვიშლით ნერვებს.

— დაბრძანდით, — უთხრა დედამ, — ეს ბოლო ჩაშუშული იყო, სანამ სამუშაოს ვიშოვით. თქვენ რო მოგემზადებინათ და ბავშვები მოგდგომოდნენ, რას იზამდით? ხო არ გგონიათ, რო ბევრი გვქონდა? მაგრამ ისეთი თვალებით გვიყურებდნენ. რა უნდა გვექნა?

ქალს თეძოებიდან ხელები ჩამოუცვივდა. ერთ ხანს დედას გამომცდელად უცქერდა, მერე შეტრიალდა და სწრაფად წავიდა. კარავში შევიდა და კალთები ჩამოაფარა. დედამ თვალი გააყოლა. მერე ისევ აკოკოლავებულ თეფშებთან ჩაიმუხლა.

ელი კარვისკენ მიიჩქაროდა.

— ტომ, — დაიძახა ელმა, — დე, ტომი კარავშია?

ტომმა თავი გამოყო.

— რა გინდა?

— წამო, ტომ, — აღელვებით უთხრა ელმა.

— რა მოგივიდა?

— გაიგებ, ცოტა მოიცადე. — ტომს დაშლილი მანქანისკენ გუძღვა. — ეს ფლოიდ ნოულსია.

— ვიცი, უკვე გავიცანი. როგორ ხარ?

— აი, მანქანას ვაკეთებ, — თქვა ფლოიდმა.

ტომმა ბლოკს ხელი გადაუსვა.

— რა ბზიკმა გიკბინა, ელ?

— ფლოიდმა ეხლა მითხრა. ტომსაც უთხარი, ფლოიდ.

— იქნებ არც უნდა გეუბნებოდეთ, მაგრამ გეტყვით, კაცი იყო მოსული და მითხრა, ჩრდილოეთში სამუშაოაო.

— ჩრდილოეთში?

— ჰო, ადგილს სანტა კლარა ჰქვია. სადღაც ჯანდაბაშია.

— რა სამუშაოაო?

— შავქლიავის და მსხლის კრეფა, დაკონსერვება. მალე დამწიფდებაო, ამბობს.

— აქედან რა მანძილზეა?

— ვინ იცის, ალბათ ორასი მილი.

— უჰ რა შორია. და რა ვიცით, რო ჩავალთ და სამუშაოს ვიშოვით?

— არ ვიცით, მაგრამ აქ რო არ არი, ხო ვიცით. კაცი ამბობს, ძმამ წერილი მომწერა და უკვე მივდივარო. არავის უთხრაო, მთხოვა, თორე ძაან ბევრი ხალხი მიაწყდებაო. ამაღამ უნდა გავიდეთ, რო მივასწროთ.

ტომი ყურადღებით აკვირდებოდა.

— და რატო უნდა გავიპაროთ?

— ყველა თუ იქ ჩავა, არავის არაფერი შეგვხვდება.

— ძაან შორია, — თქვა ტომმა.

ფლოიდს აშკარად ეწყინა.

— მე უბრალოდ რჩევას გაძლევ. არ გინდა და შენი ნებაა. შენი ძმა დამეხმარა და მეც მეგობრულად ვურჩიე.

— აქ ნამდვილად არ არი სამუშაო?

— მისმინე, სამი კვირაა ენაგადმოგდებული დავრბივარ და პატარა სამუშაოც კი ვერ ვნახე ვერსად. თუ გინდა, რო საწვავი ტყუილად დაწვა, მიდი და იარე. კი არ გეხვეწები. რაც ნაკლები წავა, მით მეტი შანსი მექნება.

— ვიცი და მჯერა შენი, მაგრამ ეს ოხერი შორი გზა... ისეთი იმედი გვქონდა, რო სამუშაოს ვიშოვიდით და პატარა სახლს ვიქირავებდით...

— ჰო, ეხლა ჩამოხვედით და ჯერ ვერ გარკვეულხართ. თუ დამიჯერებთ, უფრო ადვილი იქნება, თუ არადა, გაგიჭირდებათ. აქ ვერ დასახლდებით, სამუშაო არ არი და მშიერი მუცელი არ გაგაჩერებს. ეგრეა, ეხლა ყველაფერი იცით.

— მაინც ჯერ აქ მოვძებნი, — უხერხულად ჩაილაპარაკა ტომმა.

ბანაკში მსუბუქი ავტომობილი შევიდა და გვერდით კარავთან გააჩერა. მანქანიდან კაცი გადმოვიდა. სამუშაო შარვალი და ლურჯი პერანგი ეცვა.

— გაგიმართლათ? — გასძახა ფლოიდმა.

— მთელ მხარეში არანაირი სამუშაო არ არი. სანამ ბამბის კრეფა დაიწყება, არც იქნება, — უპასუხა კაცმა და დაფლეთილ კარავში შევიდა.

— ხო გაიგე? — ჰკითხა ფლოიდმა.

— გავიგე, მაგრამ ორასი მილი...

— ჯერ არ მოწყობილხართ, იქნებ მოიფიქრო.

— ჯობია, რო წავიდეთ, — თქვა ელმა. — აქ როდის იქნება სამუშაო?

— ერთ თვეში ბამბის კრეფა დაიწყება. ფული თუ გაქვთ, დარჩით და დაელოდეთ.

— დედას რა ვუყო, ისეთი დაღლილია, წამოსვლაზე უარს იტყვის.

ფლოიდმა მხრები აიჩეჩა:

— კი არ გაძალებთ, როგორც გინდა, ისე მოიქეცით. მე რაც მითხრეს, ის გითხარით, — საფეხურიდან ზეთიანი შუასადები აიღო და ბლოკზე ფრთხილად დაამაგრა. — ელ, არ მომეხმარები?

ბლოკის თავის თავსახური ფრთხილად დაუშვეს ჭანჭიკებზე.

— უნდა მოვიფიქროთ, — თქვა ტომმა.

— თქვენ გარდა არავინ უნდა იცოდეს. თქვენც არ გეტყოდით, მაგრამ შენი ძმა მომეხმარა და იმიტო ვუთხარი.

— ჰო, ვიცი და მადლობელი ვარ. უნდა დავფიქრდეთ. შეიძლება, წამოვიდეთ.

— უარს თუ იტყვიან, მე მაინც წავალ. როგორმე ჩავაღწევ.

— ოჯახს დატოვებ? — ჰკითხა ტომმა.

— რატომაც არა? დავტოვებ და მერე ფულით სავსე ჯიბეებით დავბრუნდები.

— დედას ეგ არ მოეწონება, არც მამას.

ფლოიდმა ჭანჭიკები ჩასვა და დაუჭირა.

— მე და ჩემი ცოლი ოჯახთან ერთად გამოვედით. რას წარმოვიდგენდით, თუ გავიყოფოდით. ისე მოხდა, რო ჩვენ აქეთ წამოვედით და იმათ გზა განაგრძეს. იმის მერე ყველგან ვეძებ, ყველას ვეკითხები, მაგრამ კაცმა არ იცის, სად არიან, —

ქანჩის გასაღები აიღო და ჭანჭიკები ერთიმეორის მიყოლებით ჩასვა.

ტომი იქვე ჩაცუცქდა და მოჭუტული თვალებით ჩამწკრივებულ კარვებს გადახედა, კარვებს შორის დატოვებულ ადგილებში ბალახი ფეხით გაექელათ.

— არა, ძმაო, დედა არ გაგიშვებს.

— მე მგონი, რო ერთ კაცს უფრო მეტი შანსი აქ.

— შეიძლება, მაგრამ დედა მაგას არ იზამს.

მანქანა შემოვიდა, შიგ ოთხი კაცი იჯდა. ოთხივეს სასოწარკვეთილი იერი ჰქონდა. ფლოიდმა თვალები ასწია, მაგრამ არ უკითხავს, გაუმართლათ თუ არა. კაცებს მტვრიან სახეზე სევდა, მაგრამ, ამასთანავე, შეუპოვრობა ეწერათ. მზე ჩადიოდა. ჰუვერვილსა და ტირიფების რიგს ყვითელი შუქი მოეფინა. ბავშვები კარვებიდან გამოვიდნენ და ბანაკში ხეტიალი დაიწყეს. ქალები ცეცხლის გაჩაღებას შეუდგნენ, კაცები დაჯგუფდნენ, ჩაცუცქდნენ და სალაპარაკოდ მოემზადნენ.

გზატკეცილიდან ახალთახალმა „შევროლემ“ გადაუხვია და ბანაკისკენ გაემართა. მძღოლმა ცენტრში გააჩერა.

— ეს ვინაა? აქაურს არ ჰგავს. — იკითხა ტომმა.

— არ ვიცი, ალბათ პოლიციელები.

მანქანის კარი გაიღო, კაცი გადმოვიდა და იქვე დადგა. მისი თანამგზავრი მანქანაში დარჩა. ჩაცუცქულებმა საუბარი შეწყვიტეს და ახალმოსულებს მიაშტერდნენ. ქალები ცეცხლს უკეთებდნენ და თვალებს მბზინავი მანქანისკენ აპარებდნენ. ბავშვებმა შორიდან მოუარეს და წრეს ნელ-ნელა კრავდნენ.

ფლოიდმა ქანჩი დადო, ტომი წამოდგა, ელმა ხელები შარვალზე შეიწმინდა და სამივე „შევროლესკენ“ გაემართა. კაცს, რომელიც გარეთ იდგა, ხაკისფერი შარვალი და ფანელის პერანგი ეცვა, თავზე სწორფარფლიანი სტეტსონის ქუდი ეხურა,

პერანგის ჯიბიდან ქაღალდის შეკვრა, მუდმივი კალამი და ყვითელი ფანქრები მოუჩანდა. შარვლის გვერდითა ჯიბიდან ლითონის ყდაში ჩასმული წიგნაკი ამოჩროდა. კაცი ჩაცუცქულებისკენ წავიდა, ჩაცუცქულებმა მშვიდი, მაგრამ ეჭვით სავსე თვალებით შეხედეს. უცქერდნენ, მაგრამ არც კი ტოკავდნენ. მათ გუგებს ქვეშ თვალის ბროლმა თეთრად გაიელვა, რადგან არ წამომდგარან, თვალები აატრიალეს და ქვევიდან ახედეს. ტომი, ელი და ფლოიდი უდარდელად. ვითომ სხვათაშორის მიუახლოვდნენ.

— სამუშაო გინდათ? — იკითხა კაცმა, — ყველამ ეჭვის თვალით შეხედა, მაგრამ ხალხი კარვის ყველა კუთხე-კუნჭულიდან დაიძრა. როგორც იქნა, ერთმა ჩაცუცქულმა ხმა ამოიღო:

— რასაკვირველია, გვინდა სად არის სამუშაო?

— ტულარეს ოლქში. ხილის კრეფის სეზონი იწყება, ბევრი ხალხია საჭირო.

— დაქირავებას თქვენ აფორმებთ?

— დიახ, ხელშეკრულებებს მე ვაფორმებ.

კაცები ახალმოსულის გარშემო მჭიდროდ შეკრულ წრეში იდგნენ. ერთმა, რომელსაც სამუშაო შარვალი ეცვა, ქუდი მოიხადა და თითებით გრძელი შავი თმა გადაივარცხნა.

— რამდენს იხდით? — ჰკითხა მან.

— ახლა ზუსტად ვერ გეტყვით, დაახლოებით ოცდაათ ცენტს.

— რატო ვერ გვეტყვით? ხელშეკრულებებს ხო თქვენ აფორმებთ.

— მართალია, მაგრამ ხილის ფასზეა დამოკიდებული, შეიძლება ცოტა მეტი ან ცოტა ნაკლები იყოს.

ფლოიდმა ნაბიჯი წინ გადადგა და მშვიდად თქვა:

— მე მინდა, მისტერ. თქვენ ხო ხელშეკრულებებს აფორმებთ, მენარდეს მოწმობა უნდა გქონდეთ, გვაჩვენეთ თქვენი მოწმობა და მერე გვითხარით სად, როდის, როგორ, რამდენს გადაგვიხდით, ხელშეკრულებას ორივე მხარე ხელს მოვაწერთ და ყველა წამოვალთ.

ხაკისფერშარვლიანი მიუბრუნდა და შეუღრინა:

— თქვენ მასწავლით, როგორ გავაკეთო ჩემი საქმე?

— ჩვენ უნდა ვიმუშაოთ, სერ, ჩვენი საქმეცაა, — უპასუხა ფლოიდმა.

— თქვენ ვერ მასწავლით, რა გავაკეთო, გითხარით, რომ ხალხი მჭირდება.

— არ გვეუბნებით რამდენი კაცი გჭირდებათ, არ გვეუბნებით რამდენს იხდით, — შეუტია ფლოიდმა.

— ჯანდაბა, ჯერ არ ვიცი-მეთქი.

— თუ არ იცით, ხალხის დაქირავების უფლება არ გაქვთ.

— მე უფლება მაქვს, ისე ვმართო ჩემი საქმე, როგორც მოვისურვებ. თუ აქ ჯდომით უკანალის გასქელება გინდათ, ვინ გიშლით. მე ტულარეს ოლქისთვის ხალხი მჭირდება, ბევრი ხალხი.

ფლოიდი ხალხისკენ შეტრიალდა, იდგნენ და ერთი მოსაუბრიდან თვალები მეორეზე გადაჰქონდათ.

— ესე ცხვირი უკვე ორჯერ წავიმტვრიე, — მიმართა ხალხს. — თუ ათასი კაცი სჭირდება, ხუთიათასს ეუბნება და მერე საათში ოცდაათს კი არა თხუთმეტ ცენტს იხდის. თქვენც ესე ბრიყვულად ეთანხმებით, იმიტო რო მშიერი მუცელი ამოივსოთ. ხალხი სჭირდება და ხელშეკრულებაში დაწეროს რამდენს იხდის, უთხარით, რო მოწმობა გაჩვენოთ, ისე ხალხის დაქირავების უფლება არა აქ.

მენარდე „შევროლესკენ“ შებრუნდა და დაიძახა:

— ჯო! — მისმა თანამგზავრმა ფანჯრიდან გამოიხედა, მერე კარი გააღო და გადმოაბიჯა. საცხენოსნო შარვალი და მაღალყელიანი, ზონრებიანი ფეხსაცმელი ეცვა. ქამარზე პისტოლეტის ბუდე ეკიდა. ყავისფერ პერანგზე შერიფის თანაშემწის ნიშანი დაემაგრებინა. ხაკისფერშარვლიანისკენ მძიმე ნაბიჯებით გაემართა, ოდნავ შესამჩნევი ღიმილით თქვა:

— რა გინდა? — თეძოზე მიკრული პისტოლეტის ბუდე წინ და უკან მოძრაობდა.

— ეს კაცი როდესმე გინახავს, ჯო?

— რომელი?

— აი, ეს. — და მენარდემ თითი ფლოიდისკენ გაიშვირა.

— რა დააშავა? — თანაშემწემ ფლოიდს გაუღიმა.

— ნამდვილად წითელია, აგიტაციას ეწევა.

თანაშემწე ფლოიდს მიუახლოვდა და შეათვალიერა. ფლოიდს ლოყები შეეფაკლა.

— ხედავთ? მოწმობა რო ჰქონდეს, პოლიციელს მოიყვანდა?

— სხვა დროს გინახავს? — არ იშლიდა მენარდე.

— ჰმ, თითქოს მინახავს, გასულ კვირას ნახმარი მანქანების ბაზრობა რო გაქურდეს, იქ დაყიალობდა. ჰო, თავს დავდებ, რო ის არი. — სახეზე ღიმილი გაუქრა.

— ჩაჯექი მანქანაში! — და პისტოლეტის ბუდის საკეტი გახსნა.

— რისი გულისთვის აგყავთ? რა გაქვთ მის წინააღმდეგ?

თანაშემწე მკვეთრი მოძრაობით შებრუნდა ტომისკენ.

— შენ თუ გინდა, გაბედე და კიდე ერთხელ გახსენი პირი. მანქანების ბაზრობაზე ორი კაცი დაყიალობდა.

— გასულ კვირას შტატშიც კი არ ვიყავი შემოსული, — უპასუხა ტომმა.

— იქნებ სხვა შტატში გეძებენ? არ მოკეტავ?

მენარდე ხალხს მიუბრუნდა.

— თქვენ ამ წყეულ წითლებს ნუ უსმენთ. ვერ ატყობთ, რომ შარში გხვევენ? თქვენ ყველას აგიყვანთ სამუშაოზე. ტულარეს ოლქში.

კაცებს ხმა არ ამოუღიათ. თანაშემწე ჩაერია.

— წასვლას გირჩევთ, — თქვა მან და სახეზე ღიმილი დაუბრუნდა, — ჯანმრთელობის დეპარტამენტმა ბრძანება გასცა, ეს ბანაკი უნდა დაიცალოს. ისიც თუ გასკდა, რომ წითლები გყავთ ბანაკში, ვიღაცები დაზარალდებიან. მგონი, კარგი აზრია ტულარეში წასვლა, აქ არაფერი საქმე არ არი. მეგობრულად გირჩევთ, თუ არადა, მალე ბიჭები ამოვლენ და იცოდეთ, ცარიელი ხელებით არ იქნებიან.

— გითხარით, რომ ხალხი მჭირდება, თუ მუშაობა არ გინდათ, ეგ სხვა საქმეა, — უთხრა ხალხს მენარდემ.

— მუშაობა თუ არ უნდათ, მაშინ ამ ოლქში მათი ადგილი არ არი, წამში გავყრით აქედან.

ფლოიდი თანაშემწის გვერდით გაშეშებული იდგა, ცერა თითები ქამარზე ჩამოედო. ტომმა ჩუმად გახედა და მერე მიწას ჩააცქერდა.

— სულ ეს არის, — თქვა მენარდემ, — ტულარეში ბევრი სამუშაოა და ხალხია საჭირო.

ტომმა ფლოიდის ხელებს ახედა. მაჯებზე ძარღვები დასკდომაზე ჰქონდა. ტომის ხელებმაც ზევით აიწია და ცერები ქამარზე შეჩერდა.

— მორჩა, ხვალ აქ არ დაგინახოთ, — დაამატა თანაშემწემ. მენარდე „შევროლეში“ მოკალათდა.

— შენ მანქანაში ჩაჯექი — თანაშემწემ დიდი ხელი ფლოიდს მკლავზე წაავლო.

ფლოიდი თვალის დახამხამებაში გადაიხარა, მოღერებული მუშტი პირდაპირ ხორციან სახეში თხლიშა და კარვებისკენ გაიქცა. თანაშემწე დაბარბაცდა. ამასობაში ტომმა დრო იხელთა, ფეხი დაუდო. თანაშემწემ მთელი სიმძიმით მოადინა მიწაზე ზღართანი და გვერდზე გადაგორდა, პისტოლეტის ამოღება მოახერხა. ფლოიდი კარვებს შორის გარბოდა, ხან გამოჩნდებოდა და ხან თვალს ეფარებოდა. მიწაზე გართხმულმა თანაშემწემ გაისროლა. მოპირდაპირე კარვიდან ქალის კივილი გაისმა. ქალმა საკუთარ ხელს დახედა — სახსრები აღარ ჰქონდა, თითები თითქოს ძაფით დაეკიდათ ხელის გულზე, სისხლისგან დაცლილი დაგლეჯილი ხორცი გათეთრებოდა. შორს ტირიფებში ფლოიდი გამოჩნდა. წესრიგის დამცველი მიწაზე წამოჯდა, იარაღი ისევ შემართა. და უეცრად, ხალხის ჯგრო შუაზე გაიპო, წინ კაცმა გადმოაბიჯა — ღირსი მამა კეისი სწრაფად მოძრაობდა, თანაშემწეს წიხლი პირდაპირ კისერში ჩასცხო, მერე უკან გადგა და გონდაკარგულ ზორბა სხეულს დააცქერდა.

„შევროლეს“ ძრავამ დაიღმუვლა, ჰაერში მტვერი აიჭრა. მანქანა გზატკეცილზე გადავიდა და მალე გაუჩინარდა. კარვის წინ ქალი ისევ თავის დაფლეთილ ხელს დასცქეროდა. ჭრილობიდან სისხლის წვეთები სცვიოდა და მისი შემზარავი, ხორხიდან ამოხეთქილი, ტირილნარევი სიცილი ყოველ ამოსუნთქვაზე ძლიერდებოდა.

პირდაფჩენილი თანაშემწე მტვერში გვერდულად ეგდო, ტომი დაიხარა, პისტოლეტი აიღო, მჭიდი ამოაცალა და ბუჩქებისკენ მოისროლა. მერე ტყვია ამოაცალა, — ესეთ კაცს იარაღის ტარების უფლება არ უნდა ქონდეს. — თქვა და პისტოლეტი იქვე დააგდო.

ხელმოწყვეტილი ქალის გარშემო ხალხი შეგროვდა. ისტერიკულმა სიცილ-კივილმა იმატა. კეისი ტომს მიუახლოვდა.

— აქედან წადი, — უთხრა მან. — ტირიფებში დაიმალე და დაიცადე. მე რო დავარტყი, არ დაუნახავს, მაგრამ შენ რო ფეხი დაუდე, დაინახა.

— არა, არ წავალ, — უპასუხა ტომმა.

კეისიმ თავი მისკენ გადახარა,

— შენი თითების ანაბეჭდი აქვთ, პირობა დაარღვიე, უკან დაგაბრუნებენ.

— უჰ, დამავიწყდა, — ამოიოხრა ტომმა.

— იჩქარე, აზრზე მოდის, — უთხრა კეისიმ.

— იარაღს ავიღებ.

— არა, დატოვე. ყველაფერი რო ჩაწყნარდება, ოთხჯერ მაგრა დავუსტვენ და დაბრუნდი.

ტომი აუჩქარებლად გაერიდა იქაურობას. როგორც კი ხალხის თვალს მოეფარა, ნაბიჯს აუჩქარა და მდინარის გასწვრივ, ტირიფნარში გაუჩინარდა.

ელმა თანაშემწეს დახედა.

— აუ, რა მოადე?! — თქვა აღტაცებულმა, — კაცი ერთი დარტყმით მოცელე!

ხალხი ისევ მიწაზე გაგორებულს დაშტერებოდა. შორს სირენა აკივლდა და ისევ გაჩუმდა, მერე ისევ, ამჯერად უფრო ახლოს. ხალხი აწრიალდა. ფეხი მოინაცვლეს და მალე იქაურობას გაეცალნენ. ყველამ თავის კარავს მიაშურა, მხოლოდ ელი და მქადაგებელი დარჩნენ. კეისი ელს მიუბრუნდა.

— წადი, ჩქარა, წადი აქედან, კარავში შედი. შენ არაფერი იცი.

— შენ რას იზამ?

— ვიღაცამ ხო უნდა იკისროს, — გაიღიმა კეისიმ, — მე შვილები არ მყავს, ჩამსვამენ და ჩავჯდები, მაინც არაფერს გიკეთებთ.

— რა მიზეზით...

— წადი მეთქი, მოშორდი აქაურობას, — მკაცრად უთხრა კეისიმ.

— შენ ვერ მიბრძანებ.

— ნუ გარევ ამაში მთელ ოჯახს, ყველა შარში გაეხვევით. შენი დარდი არა მაქ, მაგრამ დედა და მამა გაგიჟდებიან, რომ მაკალესტერში დააბრუნებენ, — ტონი შეარბილა კეისიმ.

ელი დაფიქრდა და მიუგო:

— კარგი, მაგრამ ნამდვილი გიჟი ხარ.

— ვარ, მერე რა მოხდა?

სირენა შეუჩერებლივ კიოდა. კეისი დაიხარა და მიწაზე გართხმული თანაშემწე გადმოაბრუნა. კაცმა დაიკვნესა, თვალები დაახამხამა და ეცადა, რამე დაენახა. კეისიმ პირიდან მტვერი ჩამოსწმინდა. ოჯახები კარვებში შეიყუჟნენ და კარვის კალთები ჩამოუშვეს. ჩამავალი მზე რუხ კარვებს ბრინჯაოსფრად ღებავდა.

გზატკეცილიდან საბურავების ღრჭიალის ხმა გაისმა და ბანაკისკენ ღია მანქანა გაემართა. მანქანიდან ოთხი შეიარაღებული კაცი გადმოხტა. კეისი წამოდგა და მიუახლოვდა.

— აქ რა ჯანდაბა ხდება?

— თქვენ კაცს დავარტყი, — უპასუხა კეისიმ.

ერთი შეიარაღებული წაქცეულთან მივიდა. ახლა გონზე იყო, ცდილობდა წამომჯდარიყო.

— აბა, რა მოხდა?

— ჩხუბი დაიწყო და დავარტყი, მერე ქალს ესროლა და კიდე დავარტყი, — უთხრა კეისიმ.

— ვინ დაიწყო?

— მე სიტყვა დავუბრუნე.

— ჩაჯექი მანქანაში.

— ჩავჯდები, — თქვა კეისიმ, მანქანაში ავიდა და უკან დაჯდა. ორმა კაცმა თანაშემწე წამოაყენა. მან ხელი ფრთხილად მოისვა კისერზე.

— მაგისი ნასროლი ქალს მოხვდა, დაჭრილია, სისხლისგან იცლება.

— მივხედავთ. ჯო, ამ კაცმა დაგარტყა?

თანაშემწე ჯერ კარგად ვერ გამოფხიზლებულიყო, გამოშტერებული თვალებით იცქირებოდა.

— რაღაც ვერ ვცნობ.

— მე ვიყავი. შენ აგერია და სხვას შეუტიე.

ჯომ თავი ნელა გააქნია.

— არა, მგონი ეს არ არი. უჰ, გული მერევა!

— მე არსად გავიქცევი. ჯობია ქალი ნახოთ, ცუდად არი.

— სად არის?

— აი იმ კარავში.

თანაშემწეების შეიარაღებული უფროსი ქალის კარვისკენ წავიდა, იქ თავშეყრილი ხალხი გამოკითხა და კარავში შევიდა. წუთიც არ იყო გასული, რომ გამოვიდა და უკან დაბრუნდა.

— რა ამბავი დაუტრიალებია ამ ორმოცდახუთ კალიბრიანს, — მის ხმაში სიამაყე გაისმა, — არტაშანი დაუდიათ, ექიმს გამოვგზავნით.

კეისის აქეთ-იქით წესრიგის დამცველები მიუსხდნენ. სირენამ დაიკივლა. ბანაკში ჩამიჩუმი არ ისმოდა. კარვის კალთები ჩამოეშვათ.

ძრავა დაიქოქა, მანქანამ ბანაკს შემოუარა და თვალს მიეფარა.

კეისი მცველებს შორის ამაყად იჯდა. თავი მაღლა ეჭირა, კისრის ძარღვები დაბერვოდა, ტუჩები ოდნავ შესამჩნევად უღიმოდა და სახეზე გამარჯვებულის იერი დაჰკრავდა.

როგორც კი პოლიციელები წავიდნენ, ხალხი კარვებიდან გამოვიდა. მზე ჩასულიყო. ბანაკს საღამოს ნაზი სილურჯე მოჰფენოდა. აღმოსავლეთით მთებს ჯერ ისევ ეხვეოდა მზის სხივები. ქალები ჩანავლებული ცეცხლის ანთებას შეუდგნენ, კაცები ჩაცუცქდნენ და ხმადაბლა საუბარი წამოიწყეს.

ელი ბრეზენტის ჩარდახიდან გამოძვრა, ტირიფებისკენ წავიდა და ტომს დაუსტვინა. დედაც გარეთ გამოვიდა და ფიჩხით პატარა კოცონი დაანთო.

— მა, — უთხრა მამას, — დღეს გვიან ვისადილეთ, ეხლა ცოტას გაჭმევთ.

მამა და ძია ჯონი კარავთან ახლოს ისხდნენ. დედა დათლილ, თხლად დაჭრილ კარტოფილს დამდნარ ცხიმში ყრიდა.

— რა გააკეთა მქადაგებელმა, ა? — წამოიწყო მამამ.

რუთი და უინფილდი ახლოს მიჩოჩდნენ, რომ მათთვის ყური დაეგდოთ. ძია ჯონი გრძელი ჟანგიანი ლურსმნით მიწაზე ხაზებს ავლებდა.

— ცოდვის შესახებ ბევრი იცის, მე ველაპარაკე, ოღონდ არ ვიცი, მართალია, თუ არა. ამბობს, რო თუ კაცმა რაც ჩაიდინა თითონ გონია ცოდვა, ესე იგი, ცოდვააო, — ძია ჯონს სევდიანი, დაღლილი თვალები ჰქონდა, — რაც თავი მახსოვს, სუ რაღაცას ვმალავ, ისეთი ცოდვები მაქ აკიდებული, რო ვერავის ვუმხელ.

დედამ საქმეს თავი დაანება და მისკენ შეტრიალდა.

— ნურც გაუმხელ, ჯონ, — უთხრა დედამ, — ღმერთს გაუმხილე, სხვებს შენი ცოდვებით ნუ დაამძიმებ, არ იქნება კარგი.

— ლამის შემჭამონ, — თქვა ჯონმა.

— ნუ იტყვი, მდინარესთან ჩადი, წყალში თავი ჩაყავი და დინებას გაატანე.

მამამ თავი დააქნია.

— მართალია. კაცი შვებას გრძნობს, როცა ყვება, მაგრამ ცუდი ის არი, რო ცოდვას ამრავლებს.

ძია ჯონმა მზით მოვარაყებულ მთებს გახედა და მთების ანარეკლი მის თვალებში გაბრწყინდა.

— მინდა, რო გადმოვალაგო, მაგრამ არ შემიძლია, ნაწლავებში მიტრიალებს.

შარონის ვარდი ჩარდახიდან გამობარბაცდა.

— კონი სად არი? — გაღიზიანებული ჩანდა, — დიდი ხანია აღარ დამინახავს. სად იქნება?

— არ ვიცი, — უპასუხა დედამ, — თუ ვნახე, ვეტყვი, რო ეძებ.

— ცუდად ვარ, მარტო არ უნდა დავეტოვებინე.

დედამ შვილს შეხედა. შარონს სახე შეშუპებოდა.

— ტიროდი?

შარონის ვარდს ცრემლები მოაწვა.

— თავი შეიკავე. — მკაცრად უთხრა დედამ, — თავი შეიკავე. მარტო არა ხარ, ყველანი აქ ვართ. მოდი, ცოტა კარტოფილი გათალე. შენი თავი გეცოდება, მეტი არაფერი.

შარონის ვარდი კარავში დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ დედის მკაცრმა გამოხედვამ გადააფიქრებინა და კოცონისკენ წავიდა.

— არ უნდა დავეტოვებინე. — თქვა მან, თუმცა ცრემლები აღარ სდიოდა.

— საქმე გააკეთე, — უთხრა დედამ, — რას გარგებს კარავში ჯდომა და ცრემლის ღვრა. დრო არ მქონდა, რო შენთვის მომეხედა, მაგრამ ეხლა მოგხედავ. დანა აიღე და კარტოფილი გათალე.

შარონი მორჩილად ჩაიმუხლა და გამწარებულმა ჩაილაპარაკა:

— დამაცადოს, მე იმას ვაჩვენებ...

დედამ გაიღიმა.

— შეიძლება გაგილაწუნოს კიდეც. ამდენი ღნავილით და საყვედურებით გული გაუწვრილე. მადლობასაც ვეტყვი, ერთს თუ შემოგკრავს.

შარონის ვარდს წყენისგან თვალები აუგიზგიზდა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

ძია ჯონმა ჟანგიანი ლურსმანი მიწაში ღრმად ჩაარჭო.

— უნდა ვთქვა, ვეღარ ვითმენ.

— თქვი, ჯანდაბას შენი თავი. რა იყო, კაცი მოკალი?

ჯონმა საათის ჯიბეში თითები ჩაიყო და დაჭმუჭნილი ქაღალდის ფული ამოაძვრინა, გაშალა და ხელით გაასწორა:

— ხუთი დოლარი.

— მოიპარე? — ჰკითხა მამამ.

— არა, ჩემია. ვინახავდი.

— შენია, ხო?

— ხო, მაგრამ შენახვის უფლება არ მქონდა.

— თუ შენია, ცოდვა რაშია? — ჰკითხა დედამ.

— უბრალოდ კი არ ვინახავდი, ვმალავდი, იმიტო რო დასათრობად მქონოდა. ვიცოდი, რო ერთ დღესაც მაგრა უნდა დავმთვრალიყავი. როცა ტკივილი შიგნიდან მჭამს, ვეღარ ვიტან და ვთვრები. ვფიქრობდი, რო ჯერ ის დღე არ დამდგარა

და უცბად — მქადაგებელი ჩაბარდა, რო ჩვენი ტომი გადაერ-ჩინა.

მამა თავს აკანტურებდა და ყურებს ძაბავდა, რომ კარგად გაეგო. რუთი და უინფილდი ლეკვებივით ახლოს მიჩოჩდნენ. შარონის ვარდმა კარტოფილს ჭიანაჭამი ადგილი დანის წვე-რით ამოაცალა. საღამოს ბინდმა იმძლავრა და იქაურობას ლურჯად ჩამოაწვა.

— ვერ გავიგე, მქადაგებელმა ტომი გადაარჩინა და შენ რა-ტო უნდა დათვრე? — მშრალი საქმიანი ხმით ჰკითხა დედამ.

— არ ვიცი, ვერც გიხსნით, თავს საშინლად ვგრძნობ. ისე, უბრალოდ ადგა და მე ვარ დამნაშავეო, თქვა. ხელი სტაცეს და აიყვანეს. არა, უნდა დავთვრე. — სევდიანად თქვა ძია ჯონ-მა.

მამა ჯერ ისევ თავს აკანტურებდა.

— მაგას ამდენი ლაპარაკი რათ უნდა, შენ ადგილას რო ვი-ყო, არავის შევეკითხებოდი, წავიდოდი და დავთვრებოდი.

— დრო იყო რო ცოდვა გამომესყიდა და შემთხვევა ხელი-დან გავუშვი, ვერ დავიჭირე. გამისხლტა. მისმინე, ფული ხო გაქ? ორი დოლარი მომეცი.

მამამ უხალისოდ წაიღო ხელი ჯიბისკენ და ტყავის ქისა ამოიღო.

— შვიდი დოლარის რა უნდა დალიო? თუ შამპანური თავზე უნდა დაისხა?

ძია ჯონმა თავის ხუთდოლარიანი გაუწოდა.

— აი, ეს გამომართვი და ორი დოლარი მომეცი. ორ დო-ლარად კარგად გამოვთვრები. ეხლა კიდე ფლანგვის ცოდვა არ ავიკიდო. რაც მაქ, იმას დავხარჯავ, როგორც ყოველთვის.

მამამ დაჭმუჭნილი ფული გამოართვა და ორი ვერცხლის ფული მისცა.

— აჰა, გამომართვი. კაცი როგორც თითონ უნდა, ისე უნდა მოიქცეს. ვის აქვს უფლება, რო გიკარნახოს.

ძია ჯონმა მონეტები გამოართვა.

— არ გამიბრაზდე, ხო იცი, რო ისე არ შემიძლია. ამაღამ ვერ გავატან, თუ არ დავლიე, — თქვა და დედას მიუბრუნდა.

— დე, არ გეწყინოს.

— არა, — ხმადაბლა უთხრა დედამ, — წადი.

ძია ჯონი წამოდგა, ცოდვებით დამძიმებული საღამოს ბინდს შეერია და ბეტონის გზატკეცილი საბაყლო ფარდულის წინ გადაკვეთა. ბადეაკრულ კართან ქუდი მოიხადა, მიწაზე დააგდო და თვითგანადგურების ჟინით შეპყრობილმა ქუსლით გათელა. მერე მაღაზიაში პირდაპირ იმ თაროსთან მივიდა, რომელზეც მავთულის ბადის უკან, ვისკის ბოთლები ჩაემწკრივებინათ.

მამა, დედა და ბავშვები ძია ჯონს მანამდე უცქერდნენ, სანამ თვალს მიეფარებოდა. შარონის ვარდს ნაწყენი თვალები კარტოფილისთვის არ მოუშორებია.

— საწყალი ჯონი, — თქვა დედამ, — იქნებ მართლა ეშველა, რო... არა, ალბათ არა. ჯერ ესეთი განადგურებული კაცი არ მინახავს.

რუთი მტვერში გვერდზე გადაკოტრიალდა, უინფილდს თავზე თავი მიადო და ყურში ჩასჩურჩულა: — ეხლა დავთვრები. უინფილდმა ჩაიფრუტუნა და პირზე სასწრაფოდ ხელი აიფარა. სუნთქვაშეკრულები გაცოცდნენ, კარავს როგორც კი გასცდნენ, ფეხზე წამოხტნენ, ტირიფებისკენ გაიქცნენ და გულიანად ახარხარდნენ. რუთმა თვალები დაიელმა, ფეხები და ხელები მოადუნა, ენა გადმოაგდო და ბარბაცი დაიწყო — მთვრალი ვარ, გამატარეთ.

— მიყურე, ეგრე კი არ უნდა, აი, ესე, ძია ჯონი ვარ, — უინ-ფილდი ხელებს იქნევდა, ლოყებგაბერილი ქოშინებდა, იმ-დენ ხანს იტრიალა, რომ ბოლოს თავბრუ დაეხვა.

— არა, არა, აი, ესე. ძია ჯონი ვარ, აუ, მაგრა დავთვერი...

ელი და ტომი ტირიფებიდან სეირნობით გამოვიდნენ. უეცრად ბავშვები შენიშნეს. ბავშვები ბარბაცებდნენ და გიჟებივით ტრიალებდნენ. უკვე ბნელოდა, ტომი შეჩერდა.

— რუთი და უინფილდი არ არიან? რა ჯანდაბა დაემართათ? — ბავშვებს მიუახლოვდნენ. — რამ გაგაგიჟათ?

ბავშვები შეცბნენ.

— უბრალოდ ვთამაშობდით, — უპასუხა რუთმა.

— რაღაც სულელური თამაშია, — უთხრა ელმა.

— სხვა რამეებზე სულელური არ არი, — სხარტად უპასუხა რუთმა.

ელმა გზა განაგრძო და ტომს გადაულაპარაკა, — გატყეპა არ აწყენდა, უკვე კარგა ხანია.

რუთი ელის ზურგს უკან დაიჯღანა, საჩვენებელი თითებით ტუჩები გაიწელა, ენა გამოყო და რაც იცოდა, ყველაფრით სცადა ელის გაჯავრება, მაგრამ ელს უკან აღარ მიუხედავს, მერე ისევ უინფილდს გადახედა, მაგრამ თამაშის განახლება აღარ გამოვიდა.

— მოდი, მდინარეზე ჩავიდეთ და ჩავყვინთოთ, — შესთავაზა უინფილდმა. ელზე გაჯავრებულები ტირიფებისკენ გაემართნენ

საღამოს ბინდში ელი და ტომი ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ ბანაკისკენ.

— კეისი ესე არ უნდა მოქცეულიყო, მაგრამ მოსალოდნელი იყო, რო რაღაცას გააკეთებდა. მეუბნებოდა, თქვენთვის

ვერაფერს ვაკეთებო, ძაან განიცდიდა. უცნაური კაცია, სუ ფიქრობს.

— მქადაგებელია და აბა რა უნდა ქნას, მაგათ თავში ყველაფერი არეული აქვთ.

— ხო არ იცი, კონი სად წავიდა?

— მგონი ბუჩქებში გადავიდა.

— ამდენ ხანს რას შვება, კაცო.

კარვებს შორის, კედელ-კედელ მიდიოდნენ. ფლოიდის კარავთან ხმადაბალი შეძახილი მოესმათ. ახლოს მივიდნენ და ჩაცუცქდნენ. ფლოიდმა კალთა ოდნავ გადასწია.

— მოდიხართ თუ არა?

— არ ვიცი, — თქვა ტომმა, — წასვლა ჯობია?

ფლოიდმა მწარედ ჩაიცინა.

— ხო გაიგონე, თანაშემწემ რა დაიბარა? არ წახვალთ და კინწისკვრით გაგაგდებენ. შენ გგონია, რო ის ტიპი შეგვარჩენს? ამ საღამოსვე დაგვადგებიან თავს პოლიციის განყოფილებიდან.

— ჰო, მგონი უნდა წავიდეთ. შენ სად მიდიხარ?

— ჩრდილოეთში, ხო გითხარი.

— მისმინე, ერთმა ტიპმა მითხრა, სამთავრობო ბანაკი არის სადღაც ახლოსო. სად არი?

— ოჰ, გადავსებულია.

— სად არი?

— 99-ით სამხრეთით უნდა წახვიდეთ, აქედან თორმეტი-თოთხმეტი მილი იქნება. უიდპეჩთან აღმოსავლეთით შეუხვევთ და იქ არი. მაგრამ მე მგონი, სავსეა.

— იმ კაცმა მითხრა, ძალიან კარგიაო, — თქვა ელმა.

— ჰო, კარგია ადამიანურად გექცევიან, არც პოლიცია ტრიალებს გარშემო, მაგრამ სავსეა.

— მაინც არ მესმის ის პოლიციელი ესე რამ გაამწარა? თითქოს განგებ უჩიჩხინებდა კაცს, რო გამოეწვია.

— აქ არ ვიცი, მაგრამ ჩრდილოეთში ერთ თანაშემწეს ვიცნობდი, კარგი კაცი იყო. ერთხელ მითხრა, გვინდა თუ არა, ხალხი აუცილებლად უნდა დავიჭიროთო. თურმე შერიფი თითო პატიმარში სამოცდათხუთმეტ ცენტს იღებს. მათი რჩენა დღეში ოცდახუთი ცენტი უჯდება, მეტი არა. ხალხს თუ არ დააპატიმრებს, საიდან ექნება შემოსავალი... ჰოდა, კაცმა მითხრა, ერთი კვირაა არავინ ამიყვანია და შერიფმა გამაფრთხილა, ან ვიღაცებს დააპატიმრებ ან ეგ სამკერდე ნიშანი ჩამაბარეო, და დღესაც როგორ ცდილობდა თანაშემწე, ხო ნახე, ხალხი რო აეყვანა.

— უნდა წავიდეთ. — თქვა ტომმა, — ნახვამდის, ფლოიდ.

— ნახვამდის, იმედი მაქ, რო კიდე გნახავთ.

— აბა, კარგად, — თქვა ელმა.

ჩაბნელებული რუხი ბანაკი ჯოუდების კარვისკენ გადაჭრეს. ცეცხლზე შემოდგმულ ტაფაზე კარტოფილი შიშხინებდა. დედა მსხვილ ნაჭრებს კოვზით აბრუნებდა. მამა იქვე იჯდა, მუხლებზე ხელები შემოეხვია. შარონის ვარდი ბრეზენტის ქვეშ იჯდა.

— ტომია, — წამოიძახა დედამ, — მადლობა ღმერთს.

— აქედან უნდა წავიდეთ, — თქვა ტომმა.

— რა მოხდა?

— ფლოიდი ამბობს, ამაღამ აქაურობას გადაწვავენო.

— რატო? რა ეტაკათ? — ჰკითხა მამამ, — რა დავაშავეთ?

— არაფერი, პოლიციელის ცემის გარდა.

— ჩვენ ხო არ გვიცემია.

— თითონ თქვა პოლიციელმა, აქედან გაგაძევებთო.

— კონი არ გინახავთ? — იკითხა შარონის ვარდმა.

— ვნახეთ, მდინარის გასწვრივ სამხრეთით მიდიოდა.

— აქედან წავიდა?

— არ ვიცი.

დედა შარონს მიუბრუნდა.

— რაღაც სხვანაირად იქცევი და ლაპარაკობ. რა გითხრა კონიმ?

— მითხრა, რო კარგი იქნებოდა, სახლში დარჩენილიყო და ტრაქტორი ესწავლა, — მოღუშული სახით თქვა შარონმა.

სიჩუმე ჩამოწვა. შარონის ვარდი ცეცხლს უცქერდა, კოცონის შუქზე თვალები უბზინავდა. ტაფაში კარტოფილი შიშხინებდა. შარონმა ცხვირი და თვალები ხელის ზურგით მოიწმინდა.

— ეგ რა კაცია. დიდი ხნის წინ ვიცოდი, რაც იყო, ლაჩარი, მარტო ლაპარაკობს, მეტი არაფერი.

შარონი წამოდგა და კარავში შევიდა, ლეიბზე დაწვა, მუცელზე გადაბრუნდა და თავი ხელებში ჩარგო.

— არც ღირს, რო დავეწიოთ და გავაჩეროთ.

— ეგეთი უვარგისი, რაში გვჭირდება, — თქვა მამამ.

დედამ კარავში შეიხედა.

— ჩუ, ნუ ლანძღავთ, — თქვა დედამ.

— უვარგისია, — არ გაჩერდა მამა, — მარტო იმაზე ლაპარაკობს, რის გაკეთებას აპირებს, მაგის გაკეთებული ჯერ არაფერი მინახავს. სანამ აქ იყო, არაფერს ვამბობდი. ეხლა გაიქცა და...

— ჩუ! — დაბალი ხმით თქვა დედამ.

— რატო ჩუ, ვერ გავიგე! გაიქცა, ხო ხედავ!

დედამ კოვზით კარტოფილი გადააბრუნა და აშიშხინებული ცხიმი აქეთ-იქით გაიფრქვა, მერე ცეცხლს ფიჩხი შეუკეთა, ალი ავარდა და იქაურობა გაანათა.

— შარონს ბავშვი ეყოლება, და ის ბავშვი კონისიც არის. არ არი კარგი, თუ ბავშვი იმ ხალხთან გაიზრდება, მამამისს უვარგისს რო ეძახის.

— ხოო, ტყუილი ჯობია, — თქვა მამამ.

— არა, ისე მოიქეცით, ვითომ მოკვდა.

— რეებს ლაპარაკობთ? ჯერ ისიც არ ვიცით, გაიქცა თუ არა, — ჩაერია ტომი, — ლაპარაკის დრო არ გვაქ, ეხლა ცოტა ვჭამოთ და უნდა წავიდეთ.

— წავიდეთ? ეხლა არ ჩამოვედით? — ცეცხლის ალით განათებული სიბნელიდან გახედა ტომს დედამ.

ტომი ეცადა ფრთხილად აეხსნა.

— დე, ამაღამ ამ ბანაკის გადაწვას აპირებენ და ხო იცი, რო ვერ მოვითმენ, ჩემ თვალწინ ჩემი რამეები რო გაანადგურონ, ვერც მამა და ძია ჯონი მოითმენენ. ჩხუბი აიწევა და ისევ იქ მიკრავენ თავს. დღეს უბრალოდ გადავრჩი. მქადაგებელი რო არა, დღესვე ამიყვანდნენ.

დედა შემწვარ კარტოფილს აბრუნებდა. გადაწყვეტილება უცებ მიიღო:

— მოდით! — დაიძახა დედამ, — ჩქარა ჭამეთ, უნდა წავიდეთ.

თუნუქის თეფშები ჩაამწკრივა.

— ჯონს რა ვუყოთ? — იკითხა მამამ.

— სად არი?

დედა და მამა ერთხანს ჩუმად იყვნენ. მერე მამამ თქვა:

— დასალევად წავიდა.

— უჰ, რაღა მაინცდამაინც ეხლა? სად წავიდოდა?

— არ ვიცი.

ტომი წამოდგა.

— მისმინეთ, ჭამეთ და ყველაფერი მანქანაში ჩააწყვეთ. მე წავალ, ძია ჯონს მოვძებნი, ალბათ გზის გადაღმა მაღაზიაში წავიდა.

ტომმა სწრაფად გადაჭრა ბანაკი, კარვების წინ გაჩაღებული კოცონის ალი ძონძებში გამოხვეული უფროსებისა და ცეცხლთან მიმსხდარი ბავშვების სახეებს ანათებდა, აქა-იქ ნავთის ლამპა დაენთოთ, ბრეზენტის კედლებზე ხალხის წაგრძელებული ჩრდილები მოძრაობდნენ. ტომი მტვრიან გზაზე გავიდა და ბეტონის გზატკეცილი პატარა მაღაზიასთან გადაჭრა ბადეაკრულ კართან გაჩერდა და მაღაზიაში შეიხედა. მეპატრონე, დაბალი ჭაღარა კაცი, აბურძგნული წვერ-ულვაშითა და წყლიანი თვალებით დახლზე დაყრდნობილი გაზეთს კითხულობდა. პერანგის სახელოები დაეკაპიწებინა, თეთრი წინსაფარი ეკეთა. მის უკან დაკონსერვებული პროდუქტის გორები და პირამიდები აღმართულიყო. ტომი რომ შევიდა, გაზეთიდან თვალები ასწია, მოჭუტა და ტომს ისე შეხედა, გეგონებოდათ, იარაღს უმიზნებდა.

— საღამო მშვიდობისა, რით დაგეხმაროთ?

— ბიძა მაპოვნინეთ, — უთხრა ტომმა, — ვეღარ მივაგენით.

ჭაღარა კაცი გაკვირვებული და თან შეწუხებული ჩანდა. ცხვირის წვერზე ხელი მოისვა და ქავილი რომ შეეჩერებინა აქეთ-იქით გაამოძრავა.

— თქვენი ხალხი სულ ვიღაცას ეძებს. დღე ერთია და ათი კაცი მაინც მოდის და მეუბნება — ესა და ეს კაცი თუ გამოჩნდა, რომელიც ასე და ისე გამოიყურება, უთხარით, რომ ჩრდილოეთით წავედითო — ან რაღაც ამის მსგავსს.

ტომს გაეცინა.

— კარგი, ერთი ცხვირაწეული კაცი თუ გამოჩნდა, სახელად კონი, ცოტა კოიოტს ჰგავს, უთხარი, რო ჯანდაბამდე გზა

ჰქონია. ჩვენ სამხრეთით წავედით. მაგრამ ეხლა იმას არ ვეძებ. დაახლოებით სამოცი წლის ჭაღარა კაცი, შავი შარვლით ხო არ შემოსულა ვისკის საყიდლად?

ჭაღარა კაცს თვალები გაუნათდა.

— დარწმუნებული ვარ, ის იყო, ეგეთი არაფერი მინახავს. კარის წინ დადგა, ქუდი მოიხადა და ფეხით გათელა. აი, შევინახე კიდეც, — დახლის ქვეშიდან მტვრიანი, დაჭმუჭნილი ქუდი გამოიღო.

ტომმა ქუდი გამოართვა.

— ჰო, ის არი,

— სერ, ორი პინტი ვისკი იყიდა, ხმა არ ამოუღია, საცობი მოხსნა და პირდაპირ პირში ჩაიყირავა. ჩვენთან დალევა არ შეიძლება, ვყიდი და გარეთ გააქვთ. ვეუბნები, აქ ვერ დალევთ. გარეთ უნდა გახვიდეთ-მეთქი. კარისკენ ნაბიჯი გადადგა და გინდ დაიჯერე, გინდ არა, ოთხ მოსმაზე ბოთლი ცარიელი იყო. კარს მიეყრდნო და ბოთლი მოისროლა. მერე უაზრო თვალებით შემომხედა და მითხრა, „მადლობა, სერ“ და წავიდა. ჩემ ცხოვრებაში ეგეთი დალევა არ მინახავს.

— საით წავიდა? უნდა ვიპოვო.

— იმდენად გამაკვირვა, რო თვალი გავაყოლე და დავინახე, რო ჩრდილოეთით წავიდა. მერე მანქანამ გამოიარა და ფარები მიანათა, სანაპიროსკენ მიდიოდა, ფეხებს ძლივს მიათრევდა. მეორე ბოთლი გახსნილი ეჭირა ხელში. შორს ვერ წავიდოდა.

— დიდი მადლობა, აუცილებლად უნდა მოვძებნო.

— ქუდს არ წაიღებთ?

— კი, კი, დასჭირდება, მადლობა.— რა დაემართა, ეტყობოდა, რო სიამოვნებით არ სვამდა.

— ისე... ცუდ ხასიათზე იყო. აბა, ღამე მშვიდობისა და იმ წვინტლიან კონის თუ ნახავთ, უთხარით, რო სამხრეთისკენ წავედით.

— იმდენი ხალხი მეუბნება ეგეთ რამეებს, რო დამახსოვრება მიჭირს.

— ძალიანაც ნუ ეცდები, — უთხრა ტომმა, ბადეაკრული კარი გააღო, ხელში ძია ჯონის მტვრიანი შავი ქუდი ეჭირა, ბეტონის გზატკეცილი გადაკვეთა და გზა მის გასწვრივ განაგრძო. ქვევით ჰუვერვილის ხევი გადაშლილიყო; აქა-იქ პატარა კოცონები და ლამფები ბჟუტავდა. საიდანღაც გიტარის ხმა ისმოდა — აკორდები მელოდიის გარეშე, სავარჯიშოდ ჩამოკრული. ტომი შეჩერდა, სმენა დაძაბა, ისევ გზა განაგრძო, ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ჩერდებოდა, ყურს უგდებდა. მილის მეოთხედი რომ გაიარა, მაშინ გაიგონა ის, რის გაგონებასაც ცდილობდა. მიწაყრილის ქვევით ვიღაც ჩახლეჩილი, უსიამოვნოდ არამელოდიური ხმით მღეროდა. ტომმა ყურები დაცქვიტა, რომ უკეთ გაეგო.

„გული იესოს მივეცი, იესო ჩემი მხსნელია,
სული იესოს მივეცი, იესო ჩემი სახლია“...

სიმღერა თანდათან ჩურჩულში გადავიდა და ბოლოს გაჩერდა. ტომი მიწაყრილიდან სიმღერისკენ სწრაფად დაეშვა. ცოტა ხანში შეჩერდა და ისევ მოუსმინა. ხმა ახლა უფრო ახლოს ისმოდა, ისევ ისეთი, ყრუ არამელოდიური ღიღინი.

„იმ ღამეს მეგი კვდებოდა, ყურში მესმოდა ჩურჩული,
ჩემგან შენ ჩემი საცვალი, ძველია, მაგრამ ფანელის,
წითელი იყო საცვალი, მუხლებთან ჩამოჩაჩული“.

ტომმა ფრთხილად წაიწია წინ. შავი ფიგურა მიწაზე იჯდა. ტომი მიეპარა და გვერდით მიუჯდა. ძია ჯონმა ბოთლი მოიყუდა და სითხე ყელში ბუყბუყით გადაუშვა.

ტომმა ხმადაბლა უთხრა:

— ეი, მოიცადე! მე?

— ვინ შენ?

— უკვე დაგავიწყდი? რა არი, შენ ოთხი დალიე და მე ერთი.

— არა, ტომ, ნუ მასულელებ, შენ აქ არ იყავი.

— ეხლა ხო აქ ვარ? ერთს არ გადამახუხინებ?

ძია ჯონმა ბოთლი ასწია და ერთხელაც გადაკრა. ბოთლი შეანჯღრია. ცარიელი იყო.

— აღარ არი, — თქვა მან, — სიკვდილი მინდა, ნელ-ნელა სიკვდილი, ისე თითქოს იძინებ, დავიღალე, დავიღალე, აღარ მინდა, რო გავიღვიძო. — ისევ წაიღიღინა: „გვირგვინს დავიდგამ — ოქროს გვირგვინს“.

— მისმინე, ძია ჯონ, მივდივართ, ადექი, წამოდი და მანქანაში, ბარგზე გამოიძინებ.

ჯონმა თავი გააქნია.

— წადით, მე არ მოვდივარ, აქ ვრჩები. რატო წამოვიდე? რას გიკეთებთ? ჩემ ცოდვებს ჭუჭყიანი საცვალივით დავათრევ და კარგ ხალხს ვაწუხებ.

— წამოდი, უშენოდ არ წავალთ.

— წადი, არ წამოვალ, არაფრის მაქნისი ვარ, ჩემი ცოდვებით სხვებსაც ვაბინძურებ.

— უფრო მეტად ცოდვილი არ ხარ, ვიდრე სხვები.

ჯონმა თავი ტომისკენ გადასწია და თვალი მრავლისმთქმელად ჩაუპაჭუნა. ვარსკვლავების შუქზე ტომი მის სახეს ბუნდოვნად ხედავდა.

— ჩემი ცოდვები მარტო იესომ იცის, სხვამ არავინ.

ტომი მუხლებზე დაეშვა. ძია ჯონს გახურებულ შუბლზე ხელი დაადო. ჯონმა ხელი უხეშად მოიშორა.

— გეყოფა, ძია ჯონ, წამოდი, — შეევედრა ტომი.

— არა, არ წამოვალ, დავიღალე. აი, აქ ვრჩები.

ტომი ძალიან ახლოს მიუჩოჩდა, მუშტი ძია ჯონს ნიკაპის წვერზე მიადო, ორჯერ მოსინჯა, მანძილი მოზომა, მერე ბეჭი განზე გასწია და ნიკაპში ზომიერი, მაგრამ ზუსტი დარტყმა უთავაზა. ჯონმა თავი გადააგდო, უკან გადაქანდა, დაეცა, მაგრამ წამოდგომა სცადა. ტომი თავს ადგა, როგორც კი ცალ იდაყვს დაეყრდნო და წამოდგომა დააპირა, მეორეჯერ დაარტყა. ძია ჯონი მიწაზე გაიშხლართა, ტომი წამოდგა, მისკენ დაიხარა, მოშვებული სხეული ზურგზე მოიკიდა და გზას ბარბაცით გაუდგა. მიწაყრილს გზატკეცილისკენ ქოშინით აუყვა, ჯონის ჩამოყრილი ხელები ზურგზე ეხეთქებოდა. გზაზე მანქანამ გაირა, სვლა შეანელა, ფარები მიანათა, ზურგზე მოკიდებული კაცი დაინახა და ბღუილით გავარდა. ჰუვერვილში რომ დაბრუნდა, ტომი სულს ძლივს ითქვამდა. ჯონი აზრზე მოდიოდა, შეწინააღმდეგება სცადა. ტომმა ჯოუდების სატვირთოსთან მიიყვანა და მიწაზე ფრთხილად დაუშვა.

ბანაკი აეშალათ. ელი ფუთებს სატვირთოზე ყრიდა, ბრეზენტი ტვირთზე გადასაფარებლად უკვე მზად იყო.

— მალე გათიშულა, — თქვა ელმა.

— არ მოდიოდა და დავარტყი საწყალს, მეტი გზა არ მქონდა, — მოიბოდიშა ტომმა.

— რამე ხო არ ატკინე? — ჰკითხა დედამ.

— არა მგონია, უკვე აზრზე მოდის.

ძია ჯონს გულისრევის შეტევები დაეწყო და ბოლოს აღებინა.

— შენი წილი კარტოფილი თეფშზეა, ტომ, — უთხრა დედამ.

ტომმა ჩაახველა.

— ეხლა ჭამის თავი არა მაქ.

— ელ, ბრეზენტი გადაჭიმე, — დაუძახა მამამ.

მანქანა დაიტვირთა. ყველაფერი მზად იყო. ძია ჯონს უკვე ეძინა. სანამ ელი და ტომი აწევდნენ და ტვირთის თავზე დააწ-ვენდნენ, უინფილდი ძია ჯონს აჯავრებდა და ვითომ აღებინებ-და, რუთს პირზე ხელი აეფარებინა და სიცილს იკავებდა.

— მზად არი, — თქვა მამამ.

— შარონის ვარდი სად არი? — იკითხა ტომმა.

— იქით, — მოდი, შარონ, მივდივართ.

შარონის ვარდი ჩუმად იჯდა. ნიკაპი მკერდზე მიებჯინა. ტომი მიუახლოვდა.

— წამოდი, — უთხრა ტომმა.

— არ წამოვალ, — თავი არ აუწევია.

— უნდა წამოხვიდე.

— კონისთან ერთად მინდა, სანამ არ მოვა, არ წამოვალ.

ბანაკიდან ხალხითა და კარვებით დატვირთული სამი ძვე-ლი მანქანა გზატკეცილზე რახრახით ავიდა და გზას გაუდგა. მათი ფარების შუქი გზას მკრთალად ანათებდა.

— კონი მოგვძებნის, მაღაზიაში სიტყვა დავუტოვე. გვიპო-ვის.

დედა ტომს გვერდით ამოუდგა.

— წამოდი, შარონ, წამოდი საყვარელო, — ალერსიანად უთხრა დედამ.

— უნდა დავუცადო.

— ვერ დავიცდით, — დედა დაიხარა, მკლავზე ხელი მოჰკი-და და ფეხზე წამოაყენა.

— გვიპოვის, — უთხრა ტომმა, — ნუ გეშინია, აუცილებლად გვიპოვის.

აქეთ-იქით ამოუდგნენ და სატვირთოსკენ წავიდნენ.

— იქნებ წიგნების საყიდლად წავიდა, რო ისწავლოს, იქნებ გაგვეხუმრა და იმიტო იგვიანებს.

— შეიძლება ეგრეც იყოს, — უთხრა დედამ.

სატვირთოზე ასვლაში დაეხმარნენ, მერე შარონი ტვირთზე გადაძვრა და ბრეზენტის გამოქვაბულში გაუჩინარდა.

წვერიანი კაცი, ბალახით გადახურული ქოხიდან, მორცხვად მიუახლოვდათ. ხელები უკან წაეღო და იცდიდა. ბოლოს იკითხა:

— რამეს ხო არ ტოვებთ, ისეთს, კაცმა რო გამოიყენოს?

— არა, არაფერი გვაქვს ისეთი, რო დავტოვოთ, — უპასუხა მამამ.

— თქვენ არ მიდიხართ? — ჰკითხა ტომმა.

წვერიანი გაჩუმდა და ტომს მიაშტერდა.

— არა, — თქვა კარგა ხნის შემდეგ.

— ყველაფერს გადაწვავენ.

— ვიცი, სხვა დროსაც გაუკეთებიათ, — მოუსვენარი თვალებით მიწას დააცქერდა.

— თუ იცი, რატო არ მიდიხართ?

დაბნეულმა თვალებმა, რომელიც მიმქრალი ცეცხლის ალს წითლად ირეკლავდა, ტომს ახედეს, მერე ისევ მიწას დაცქერდნენ.

— არ ვიცი, იმდენი ხანი უნდა ბარგის ჩალაგებას.

— თუ დაგიწვეს, ხო აღარაფერი გექნება.

— ვიცი. არაფერს ტოვებთ, კაცმა რომ გამოიყენოს?

— არა, ყველაფერი მიგვაქ, — უთხრა მამამ.

წვერიანი თავისი ქოხისკენ წაფლატუნდა

— რა მოუვიდა? — იკითხა მამამ.

— პოლიციელებს დაუშინებიათ. თურმე თავში იმდენი ურტყეს, რო გამოშტერდა.

მანქანების პატარა ქარავანმა გვერდით ჩაუარათ და გზატკეცილზე გავიდა.

— წავედი, მა. მისმინე, შენ, მე და ელი კაბინაში ვსხდებით. დე, შენ ზევით ადი, არა, არა, შუაში ჩაგვიჯექი, ელ, — ტომი გადაიხარა და სავარძლის ქვეშიდან ქანჩის გასაღები ამოიღო, — ელ, შენ უკან აძვერი, ეს თან გქონდეს, ვინმე თუ ამოსვლას დააპირებს, შენებურად გაუმასპინძლდი, — ელი უკან აძვრა, ქანჩის გასაღები მოიმარჯვა და ფეხებგადაჯვარედინებული დაჯდა. ტომმა სავარძლის ქვეშ ისევ შეყო ხელი, რკინის დომკრატი გამოათრია და იქვე, მუხრუჭის სატერფულის გვერდით დადო, — დე, შუაში ჩაჯექი.

— მე ცარიელი ხელებით ვიჯდე? — ჰკითხა მამამ.

— დომკრატს აიღებ. იმედი მაქ, რო არ დაგჭირდება, მაგრამ თუ დაგჭირდა, აქ არი და მიწვდები, — სტარტერს დააჭირა და მქნევარა თვალი ჩხაკუნით დატრიალდა, გაჩერდა... კიდევ დატრიალდა, გაჩერდა და ისევ დატრიალდა. ტომმა ფარები ჩართო და ბანაკიდან დაბალი სიჩქარით გავიდა. ფარების მკრთალი შუქი გზას გაუბედავად მოეფინა. ტომი გზატკეცილზე გავიდა და გეზი სამხრეთისკენ აიღო, — ზოგჯერ ხდება ხოლმე, გინდა არ გინდა, გიჟდები კაცი. — დედამ შეაწყვეტინა:

— ტომ, ხო მითხარი, რო ეგრე აღარ იქნებოდა, ხო დამპირდი.

— ვიცი, დე. სულ ვცდილობ, მაგრამ ის თანაშემწეები... გინახავს ისეთი თანაშემწე, ტრაკი რო არ ჰქონდეს გასქელებული? ხოდა, გაბღენძილები იმ სქელი ტრაკის ქნევით იარაღს ცხვირწინ გიტრიალებენ. კანონი რო იყოს და კანონს იცავდნენ, კიდე ჰო ვერც შევეწინააღმდეგებოდით, მაგრამ ეგეთი კანონი არ არი. ჩვენი სულიერად გატეხვა უნდათ, უნდათ, რო დაგვიმონონ, ფეხები ვულოკოთ და მათ წინ ნაცემი ბოზებივით ვიფორთხოთ. ღმერთია მოწმე, დე, იქამდე მიდის ზოგჯერ

საქმე, რო თუ პოლიციელი ფეხქვეშ არ გაიგდე, შენ კაცობას ვერ დაიცავ, გესმის, დე? ჩვენი კაცობის გათელვა უნდათ.

— შენ დამპირდი, ტომ, ხო გახსოვს იმ საწყალ ფლოიდს რა უქნეს, დედამისს მეც ვიცნობდი, გახსოვს, რა დღეში ჩააგდეს?

— ვცდილობ, დე, მართლა ვცდილობ. შენც არ მოგეწონება, მიწაზე მუცლით ფორთხვა რო დავიწყო ნაცემი ბოზივით. რას იტყვი, მოგეწონება?

— ღმერთს ვევედრები, ტომ, რო არაფერი დაგიშავდეს. ხო ხედავ, ოჯახი გვეშლება. თავს გაუფრთხილდი, ტომ.

— ვცდილობ, დე, რაც შემიძლია, ვცდილობ, მაგრამ ის სქელტრაკა თანაშემწე რო წინ მეღობება, ძალიან ძნელია. კანონი რო იყოს, სხვანაირად იქნებოდა საქმე, მაგრამ ბანაკის გადაწვა რომელ კანონში წერია?

სატვირთო ჯაყჯაყით მიდიოდა. წინ, გზატკეცილის გასწვრივ, ერთმანეთზე მიწყობილი წითელი ფარების შუქი ციმციმებდა.

— შემოვლაა, — თქვა ტომმა, სვლა შეანელა და მანქანა გაჩერა. იმავე წამს სატვირთოს ხალხის ბრბო შემოეხვია. ზოგს წერაქვი ეჭირა ხელში, ზოგს საფანტის თოფი თავზე მესანგრის ჩაფხუტები და ამერიკული ლეგიონის ქუდები ეხურათ. ერთი კაცი სატვირთოს ფანჯრისკენ გადაიხარა და პირი რომ გააღო, სუნთქვას ვისკის სუნი ამოაყოლა.

— სად მიდიხართ? — ფანჯარაში თავი შეყო და წითელი სახე ტომს ლამის სახეზე მიადო. ტომი გაშეშდა, ხელი დომკრატისკენ ჩასწია. დედა მკლავში მთელი ძალით ჩაეჭიდა.

— ჩვენ... — და უეცრად მის ხმაში მაამებლური ბგერები გაისმა, — ჩვენ აქაურები არ ვართ, მისტერ. გავიგეთ, რო ტულარეში სამუშაოა და იქით მივდივართ.

— ხოდა, გზა აგრევიათ, აქეთ არ არი; ჩვენ აქ ოკი არ გვჭირდება, აქ ოკი ვერ გაივლის.

ტომი გაქვავებული იჯდა, სხეული შიგნიდან უცახცახებდა. დედა მკლავზე ებღაუჭებოდა, სატვირთოს წინ შეიარაღებული კაცები იდგნენ. სამხედროებს რომ დამსგავსებოდნენ, წელში გამოყვანილი ქურთუკები ეცვათ და ზედ სემ ბრაუნის ტყავის ქამრები შემოერტყათ.

— საით წავიდეთ, მისტერ? — საწყალობლად წაიბლუყუნა ტომმა.

— მარჯვნივ გაუხვიეთ და ჩრდილოეთით იარეთ, ბამბის აღების სეზონამდე აქ აღარ დაგინახოთ.

— დიახ, სერ, — ტომს ერთიანად აძაგძაგებდა. მანქანა უკან დახია, მერე დაატრიალა და ისევ იმ გზაზე დაბრუნდა, რომლითაც იქამდე მივიდა. დედამ ხელი გაუშვა და მკლავზე ნაზად მიუალერსა. ტომმა ყელში ბურთივით მიწოლილი ქვითინი ძლივს შეიკავა.

— არა უშავს, არა უშავს, — უთხრა დედამ.

ტომმა ფანჯარაში გადააცინგლა და თვალები სახელოთი მოიწმინდა, — ნაბიჭვრები...

— კარგად მოიქეცი, — ალერსიანად უთხრა დედამ, — ესე იყო საჭირო.

ტომმა სოფლის გზაზე გადაუხვია, ასი იარდი გაიარა, მანქანა გააჩერა, ხელში დომკრატი აიღო და სატვირთოდან გადავიდა.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა დედამ.

— უნდა ვნახო, სადა ვართ, ჩრდილოეთში არ მივდივართ.

წითელი ფარნები გზატკეცილს ზევით მიჰყვებოდნენ. სოფლის გზას ასცდნენ და წინ წავიდნენ, რამდენიმე წუთში ტომის ყურს წივილ-კივილის ხმა მისწვდა. ჰუვერვილიდან ცეცხლი

ავარდა. ცეცხლი მალე მოედო იქაურობას. შორიდან ტკაცუნის ხმა გაისმა. ტომი კაბინაში ავიდა, სოფლის გზიდან გზატკეცილამდე ჩამქრალი ფარებით იარა და გზატკეცილზე რომ გადავიდა, ფარები ჩართო.

— სად მივდივართ, ტომ? — გაუბედავად ჰკითა დედამ.

— სამხრეთში, — უპასუხა ტომმა, — მაგ ნაბიჭვრების ნებაზე ვერ ვივლი. ქალაქს შემოვუვლი და ისე წავალთ.

— და სად მივალთ? — მამას იმ წუთამდე ხმა არ ამოუღია.

— მთავრობის ბანაკი უნდა მოვძებნოთ. კაცმა მითხრა, შერიფის თანაშემწეები იქ არ დადიანო. როგორმე თავი უნდა დავაღწიო, დე, მეშინია, რო ვინმე არ შემომაკვდეს.

— დამშვიდდი, ტომ, — დაუყვავა დედამ, — ერთხელ შეძელი თავის შეკავება და კიდე შეძლებ.

— ხო, და ცოტა ხანში ჩემგან კაცი აღარ დარჩება.

— მშვიდად. — უთხრა დედამ, — მოითმინე: ხალხი ვართ, ვცხოვრობთ და იმათი ხსენებაც რო აღარ იქნება, ჩვენ ცხოვრებას გავაგრძელებთ. ჩვენ ცოცხლები ვართ, ვერ გაგვანადგურებენ, ვიქნებით და ვიცხოვრებთ.

— როცა უნდათ, მაშინ გვირტყამენ თავში.

— ვიცი, ალბათ იმიტომაც ვართ ძლიერები. ხო უყურებ მდიდრებს, იბადებიან და კვდებიან, მეტი არაფერი. შვილებიც უვარგისები ჰყავთ, სუსტები, ჩვენსავით ქვა და რკინა კი არა. ჩვენ მოვდივართ, ტომ, ვერ შეგვაჩერებენ. ნურაფრის გეშინია, სხვა დრო მოდის.

— შენ საიდან იცი?

— საიდან? არ ვიცი, მაგრამ ვიცი.

ქალაქში შევიდნენ. ტომმა ცენტრს თავი აარიდა და გვერდითა ქუჩაზე შეუხვია. ქუჩის სინათლეზე დედას გადახედა. დედას სახე დამშვიდებოდა, თვალებში უცნაური, ამოუხსნე-

ლი, ქვით გამოქანდაკებული, მარადიულობასავით უსასრულო მზერა ჩადგომოდა. ტომი მარჯვენა ხელით დედას ბეჭზე შეეხო.

— აქამდე ამდენი არასდროს გილაპარაკია.

— აქამდე მიზეზი არ მქონდა, — უპასუხა დედამ.

ტომმა შემოვლითი ქუჩები გაიარა და ქალაქი უკან ჩამოიტოვა, გზაჯვარედინზე მანქანა მოატრიალა, 99-ზე გადავიდა და სამხრეთისკენ გაემართა.

— ხო ვერ გაგვყარეს ჩრდილოეთისკენ, ცოტა მეტი გავიარეთ, მაგრამ სადაც გვინდოდა, მაინც იქ მივდივართ.

ფარების მკრთალი შუქი გზატკეცილზე გადაფენილ წყვდიადს ტეხდა.

21.

სარჩო-საბადებლის საძიებლად გზებზე გამოფენილი დევნილები მომთაბარეებად იქცნენ. ოჯახები, რომლებსაც პატარ-პატარა სავარგულების მეტი არაფერი ებადათ, ორმოც აკრ მიწაზე სახლობდნენ, სიკვდილამდე ეს მიწა კვებავდათ და უმოსავლო წლებში შიმშილსაც ათმენინებდა, ახლა მთელ დასავლეთს მოსდებოდნენ. სამუშაოს შოვნის იმედით წინ შეუსვენებლად მიიწევდნენ. გზისპირა არხებთან ბედისმაძიებლებს სხვებიც უერთდებოდნენ და გზატკეცილებზე ხალხის ნაკადი უწყვეტად მიედინებოდა. სამხრეთ-დასავლეთში უბრალო გლეხები სახლობდნენ. ინდუსტრიალიზაციას მათი ცხოვრების წესი ჯერაც ვერ შეეცვალა, მიწას ისევ ხელით ამუშავებდნენ და ფიქრადაც კი არ მოსდიოდათ, რომ მავანის ხელში მოქცეული მანქანები ვეებერთელა ძალად შეიძლებოდა გარდაქმნილიყო, რაც მათ უდიდეს საფრთხეს უქადდა. ამ ადამიანებისთვის მრეწველობის პარადოქსები უცხო რჩებოდა და ჯერ კიდევ მტკივნეულად აღიქვამდნენ ყოველგვარ უცნაურობას, ინდუსტრიულ ყოფას თან რომ ახლდა.

ერთ დღესაც მანქანები მიადგნენ, კარ-მიდამოდან აყარეს და გზატკეცილისკენ უბიძგეს. მოძრაობამ, გზატკეცილმა, გზისპირა ბანაკებმა, გამუდმებულმა შიმშილმა და შიშმა, დაუპურებელმა ბავშვებმა, უსასრულო გზამ ისინი შეცვალა. შეცვალა დამხვდურთა მტრობამ და გააერთიანა, შეადუღაბა, ხოლო პატარა ქალაქების ბინადარნი კი ფეხზე დააყენა, ხელში იარაღი ააღებინა, რომ მომთაბარეთა ურდოებისგან თავი

დაეცვათ, დამპყრობლებივით გაეყარათ, რომ წერაქვებითა და საფანტის თოფებით შეიარაღებულ მოხელეებსა და მაღაზიის მეპატრონეებს ქვეყანა საკუთარი ხალხისგან ეხსნათ.

გზატკეცილზე მომთაბარეთა მომრავლებამ დასავლეთს თავზარი დასცა. შეძლებულებს ქონების დაკარგვის შიშმა მოსვენება დაუკარგა. მაძღრებმა მშივრებს თვალებში ჩახედეს. მათ, ვინც ძლიერი სურვილი არც კი იცოდნენ რა იყო, დაქიმითებული მომთაბარეების თვალებში ანთებული წადილი დაინახეს. ქალაქების და გარეუბნების მცხოვრებლები თავდასაცავად შეიყარნენ და როგორც ყოველი ბრძოლის წინ ხდება, საკუთარ სიმართლეში თავის დარწმუნებას შეეცადნენ: ჩვენ მართლები ვართ, ისინი შემოგვეჭრნენ, ყველა ოკი ბინძური და რეგვენია, მაგ დეგენერატებსა და აღვირახსნილებს ჩვენ აქ არ შემოვუშვებთ, ქურდები არიან, საკუთრების უფლებაზე წარმოდგენა არა აქვთ — ეს უკანასკნელი ფრაზა კი სიმართლეს ნამდვილად შეესაბამებოდა, რადგან შეუძლებელია, უპოვარმა მესაკუთრის უფლებები იცოდეს. თავდასაცავად შემართულები საკუთარი თავის გამხნევებას განაგრძობდნენ — ინფექციას ავრცელებენ, სიბინძურისგან ყარან, იმათ ჩვენს სკოლებში რა უნდათ? ერთ დღესაც ჩვენს დებთან გასეირნება რომ მოინდომონ, მერე რა ვქნათ?

ადგილობრივი ხალხი სისასტიკის მორევმა ჩაითრია. ხელკეტებით, მომწამლავი გაზით, თოფებით შეიარაღებულებმა რაზმები შექმნეს — ეს ჩვენი მხარეა, ოკის აქ არ გავაჭაჭანებთ. უცნაური ის იყო, რომ ამ იარაღასხმული ადამიანებისთვის, სინამდვილეში, მიწა საკუთრება არ იყო, თუმცა თავი მფლობელებად წარმოედგინათ. კლერკებს, რომლებიც საღამოობით სამხედრო სწავლებაზე დადიოდნენ, არაფერი ებადათ; წვრილ მოვაჭრეებს კი უჯრები მოვალეთა სიებით

ჰქონდათ გამოტენილი, მაგრამ ესეც საქმე იყო, რადგან იმას ნიშნავდა, რომ დასაქმებულები იყვნენ. შეწუხებული კლერკი ფიქრობდა, მე თხუთმეტ დოლარს მიხდიან კვირაში, ვაითუ, იმ წყეულმა ოკიმ თორმეტად იმუშაოს?! პატარა მაღაზიის მეპატრონეებს სავარაუდო კონკურენცია აფრთხობდათ — რა გვეშველება, რომ ვერ გავუმკლავდეთ?

გზატკეცილზე კი მომთაბარეთა უწყვეტი ნაკადები მიედინებოდა, თვალებში შიმშილი და სიღატაკე ჩასახლებოდათ, არავითარი გეგმა ან აზრიანი მსჯელობა, მათი უპირატესობა მხოლოდ რიცხობრივი სიმრავლე იყო. იცოდნენ მხოლოდ ის, რაც უშუალოდ სჭირდებოდათ. ერთი სამუშაო ადგილისთვის ათი კაცი იბრძოდა — მათი საბრძოლო იარაღი კი ფასის დაგდება იყო. ის თუ ოცდაათ ცენტად მუშაობს, მე ოცდახუთზეც თანახმა ვარ, ის თუ ოცდახუთს იღებს, მე იმავეს ოცად გავაკეთებ. არა, მე მშიერი ვარ, თხუთმეტადაც ვიმუშავებ. ფული არ მინდა, საჭმელზე ვიმუშავებ. ჩემი ბავშვები უნდა ნახოთ, გარეთ ვერ გამოდიან, ერთი მუჭა კენკრა რო მისცე, მუცლები ებერებათ. მე, მე ამიყვანეთ, ერთი ნაჭერი ხორცი მომეცით, მეტი არაფერი მინდა.

— მშვენიერია, — უხაროდათ მსხვილ მესაკუთრეებს — ხელფასები ქვევით, ფასები ზევით. კმაყოფილებას ვერ მალავდნენ და კიდევ უფრო მეტ ფურცლებს ბეჭდავდნენ, კიდევ უფრო მეტ ხალხს იწვევდნენ. ხელფასები ქვევით ჩადიოდა, პროდუქტის ფასი მატულობდა და მატულობდა, მესაკუთრეები წინასწარ ზეიმობდნენ — აი, ნახავთ, სულ მალე ისევ მონები გვეყოლება.

მსხვილი კომპანიების პატრონებმა ახალი მეთოდი შეიმუშავეს — საკონსერვო ქარხნებს ყიდულობდნენ, ატამი და მსხალი რომ დამწიფდებოდა, ფასს თვითღირებულებაზე ქვე-

ვით აგდებდნენ და დაბალ ფასად თვითონვე იძენდნენ. ხილს აკონსერვებდნენ, დაკონსერვებულ პროდუქტს ყიდდნენ და გვარიანი მოგება რჩებოდათ. წვრილ-წვრილი ფერმერები, რომლებსაც საკონსერვო ქარხნები არ გააჩნდათ, გაკოტრდნენ და მათი ქონება მსხვილი კომპანიების ხელში გადავიდა. ფერმების რაოდენობა თანდათანობით შემცირდა, უწინდელი მესაკუთრეები ქალაქში გადავიდნენ, ბოლომდე ამოწურეს კრედიტები, ნათესავებისა და მეგობრების მოთმინება და ბოლოს ისინიც გზატკეცილებზე გავიდნენ. გზები მგლებივით დამშეული ხალხით გაივსო, რომლებიც სამუშაოს გულისთვის კაცს ყელს გამოსჭრიდნენ.

კომპანიები და ბანკები საკუთარი ხელით იმზადებდნენ აღსასრულის დღეს ისე, რომ ამის შესახებ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ.

გზებზე დამშეული ხალხი მოძრაობდა, გზების გასწვრივ კი ნაყოფიერი მიწები გადაშლილიყო, ბეღლები ივსებოდა, ღარიბების შვილებს კი რაქიტი უვითარდებოდათ, სხეულზე პელაგრას პუსტულები ებერებოდათ. დიდმა კომპანიებმა არ იცოდნენ, რომ შიმშილსა და მრისხანებას შორის ძალიან ვიწრო ზღვარი გადის და ფული, რომელიც შეიძლებოდა ხელფასებში გაემეტებინათ, გაზის იარაღში, თოფებში, აგენტებისა და ჯაშუშების დაქირავებაში, სამხედრო მომზადებასა და შავი სიების შედგენაში არ ენანებოდათ. ლუკმაპურის მოპოვების იმედით გზატკეცილებზე ჭიანჭველებივით ჩამწკრივებული ხალხი წინ შეუჩერებლად მიიწევდა.

და მრისხანება ძალას იკრებდა

22.

უკვე გვიანი იყო, ტომ ჯოუდმა სოფლის გზაზე რომ გადაუხვია. აქა-იქ რამდენიმე ნათურა ბჟუტავდა, ბეიკერსფილდისკენ გზას მხოლოდ მუქ ცას შერეული განთიადის სხივი უნათებდა. სატვირთო ნელა, ჯაყჯაყით მიიზლაზნებოდა, ფარების შუქით დამფრთხალი ველური კატები გზიდან გადარბოდნენ. გზაჯვარედინთან რამდენიმე ხის სახლი გამოჩნდა.

დედას ეძინა. ფიქრებში ჩაძირული მამა გარინდებული იჯდა.

— არ ვიცი, სად არი, იქნებ დაგვეცადა და დილას ვინმესთვის გვეკითხა, — თქვა ტომმა. სატვირთო საგზაო ნიშანთან გააჩერა. სწორედ ამ დროს მანქანა მიუახლოვდა.

— გამარჯობა, მისტერ, დიდი ბანაკი საით არი, ხო ვერ მეტყვით?

— პირდაპირ იარეთ.

ტომმა გზაჯვარედინი გადაკვეთა, რამდენიმე ასეული იარდი გაიარა და გაჩერდა. წინ მავთულის ღობე და ფართო ჭიშკარი გამოჩნდა. ჭიშკრის მიღმა პატარა სახლის ფანჯრიდან შუქი გამოდიოდა. ტომი ჭიშკრისკენ წავიდა. უცებ მანქანა მაღლა შეხტა და ძირს ზათქით დაეშვა.

— უჰ, მიწა ყოფილა დაყრილი, ვერ დავინახე.

დარაჯი პარმაღზე იჯდა, წამოდგა და მანქანისკენ გაემართა.

— სწრაფად მოგივიდა, არა უშავს, მეორეჯერ გეცოდინება.

— რა არის, რატო ყრია მიწა?

დარაჯმა გაიცინა.

— აქ ბავშვები თამაშობენ ხოლმე. ხალხს სთხოვ, რომ ფრთხილად იარონ, მაგრამ მალე ივიწყებენ. ერთი-ორჯერ მიწას ცხვირს წაარტყამენ და მერე კი დიდხანს ახსოვთ.

— გავიგე. იმედი მაქ, რო მანქანა არ დავამტვრიე... ადგილი ხო არ გაქვთ ჩვენთვის?

— ერთი კარავი თავისუფალია. რამდენი ხართ?

— მე, მა, დე, ელი, შარონი, ძია ჯონი, რუთი და უინფილდი, ბოლო ორი ბავშვია, — თითებზე ჩამოთვალა ტომმა.

— მგონი მოგათავსებთ. კარავი და ლეიბები გაქვთ?

— ბრეზენტი და ლეიბები გვაქ.

დარაჯი სატვირთოს საფეხურზე შედგა.

— იმ ხაზს ბოლომდე ჩაყევი და მერე მარჯვნივ შეუხვიე. მეოთხე სანიტარულ შენობაში მოგათავსებთ.

— ეგ რა არი?

— იქ ტუალეტები, საშხაპეები და სამრეცხაოა.

— ტაშტები და ონკანის წყალი გაქვთ? — იკითხა დედამ.

— გვაქვს, მემ.

— დიდება უფალს! — წამოიძახა დედამ.

ტომმა კარვების ჩაბნელებულ რიგს ჩაუარა. სანიტარულ შენობას მკრთალი შუქი ანათებდა.

— აქ გააჩერე, — უთხრა ტომს დარაჯმა, — კარგი ადგილია. ოჯახი, თქვენამდე აქ რომ ცხოვრობდა, ცოტა ხნის წინ წავიდა.

— აქ გავაჩერო?

— ოჯახს უთხარი, ბარგი ჩამოალაგონ. შენ მე წამომყევი, ჩაგწერ, მერე დაიძინეთ. დილას ბანაკის კომისია მოვა და დაგაკვალიანებთ.

ტომს ხასიათი წაუხდა.

— პოლიცია მოვა?

— არა, — გაიცინა დარაჯმა, — აქ ჩვენი პოლიცია გვყავს, ხალხი თვითონ ირჩევს. წამოდი.

ელი მანქანიდან ჩამოხტა.

— აქ ვრჩებით?

— ჰო, შენ და მამამ გადმოტვირთეთ, მე გასაფორმებლად მივდივარ.

— გთხოვთ, ნუ იხმაურებთ, ხალხს სძინავს.

ტომი დარაჯს გაჰყვა. ოფისის კიბე აიარეს და პატარა ოთახში შევიდნენ, სადაც მხოლოდ ძველი მერხი და სკამი იდგა. დარაჯი მერხს მიუჯდა, შესავსები ფორმა ამოიღო.

— სახელი?

— ტომ ჯოუდი.

— ის კაცი მამაშენია?

— დიახ.

— სახელი?

— ტომ ჯოუდი.

კითხვები ერთიმეორეს მიაყარა: საიდან იყვნენ, შტატში როდის შევიდნენ, სად მუშაობდნენ. დარაჯმა ტომს შეხედა

— ცნობისმოყვარე არ გეგონო, გვევალება.

— მესმის, — უპასუხა ტომმა.

— ფული გაქვთ?

— ცოტა.

— სულ უფულოდ ხართ?

— არა, ცოტა გვაქ. რატო მეკითხები?

— აქ გაჩერება კვირაში ერთი დოლარი ღირს. მაგრამ შეგიძლიათ არ გადაიხადოთ და იმუშაოთ, ნაგვის გატანა, დალაგება და ასეთი რაღაცები.

— ვიმუშავებთ.

— ხვალ კომისია დაგელაპარაკებათ და წესებს აგიხსნით.

— მისმინე, მაინც რა არი ეგ კომისია?

დარაჯი საზურგეს მიეყრდნო.

— კარგად მუშაობს. სულ ხუთი სანიტარული შენობაა. ყოველი მათგანი მთავარ კომისიაში თავის კაცს ირჩევს. წესებს მთავარი კომისია ადგენს. რასაც ისინი იტყვიან, იმას ვაკეთებთ.

— დავუშვათ, ზედმეტი მოუვიდათ, — უთხრა ტომმა.

— მათი გადარჩევა ისევე ადვილია, როგორ არჩევა. კარგად მუშაობენ. გეტყვი, რა გააკეთეს. ეს ხტუნია მქადაგებლები ხო იცი, სადაც ხალხს დაინახავენ, ისინიც იქ ჩნდებიან და ქადაგებაში ფულს იღებენ. აქაც მოვიდნენ, ხანშიშესულებს მართლა უნდოდა მათი მოსმენა, მაგრამ ბევრი წინააღმდეგი იყო. ბოლო სიტყვა მთავარ კომისიას უნდა ეთქვა. შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს: „აქ ქადაგება ნებადართულია, მაგრამ ქადაგებაში ფულის აღება იკრძალება“. მოხუცებს არ გაუმართლათ, მას მერე მქადაგებელი სათოფეზე არ გაკარებია აქაურობას.

ტომმა გაიცინა და ჰკითხა:

— შენ ამბობ, რო ბანაკის პატრონები აქ ცხოვრობენ?

— კი, ასეა და კარგადაც მუშაობენ.

— პოლიციელებზე რას...

— მთავარი კომისია ყველაფერს თვალყურს ადევნებს და წესებს ადგენს, აქ ქალების კომისიაც მუშაობს. ხვალ დედაშენს დაუძახებენ და აუხსნიან. ბავშვების მოვლა, სისუფთავის დაცვა... დედაშენი თუ არ მუშაობს, იმათ ბავშვებს მოუვლის, ვინც მუშაობს და როცა სამუშაოს იშოვის, მერე სხვა გამოჩნდება. აქ ჭრა-კერვასაც ასწავლიან და კიდევ ბევრ სხვა რამეს.

— ესე იგი პოლიციელები არ არიან?

— არა, სერ, თუ დაკავების ორდერი არა აქვს, პოლიციელი აქ ვერ შემოდის.

— თუ კაცი დათვრა და აყალმაყალი ატეხა, მაშინ რა ხდება?

დარაჯმა ფანქარი საშრობში ჩაარჭო.

— კომისია გაფრთხილებას მისცემს, თუ გაიმეორა, მკაცრად გააფრთხილებს, მესამედ აქედან მიაბრძანებს.

— ყურებს არ ვუჯერებ. დღეს თანაშემწეებმა და იმ ტიპებმა, სამხედრო ქუდები რო ახურავთ, მდინარის პირას პატარა ბანაკი გადაწვეს.

— არა, აქ არ შემოდიან, ზოგჯერ, საღამოობით, ღობის იქით მორიგეობენ, განსაკუთრებით, როცა ცეკვები იმართება.

— ცეკვები?

— ამ ოლქში ყველაზე კარგი ცეკვის საღამოები ჩვენთან იმართება.

— ღმერთო, რატო მეტი არ არი ესეთი ადგილები?

— მაგას შენ თვითონ მიხვდები, — დარაჯს სახე მოეღუშა, — წადი, ცოტა დაიძინე.

— ღამე მშვიდობისა, — უთხრა ტომმა, — დედაჩემი სიხარულით გაგიჟდება. რამდენი ხანია, ადამიანურად არავინ მოქცევია.

— ღამე მშვიდობისა. დაიძინე, ბანაკი ადრე იღვიძებს.

ტომმა კარვების რიგში გაიარა, თვალები სიბნელეს შეაჩვია და ახლა ხედავდა, რომ კარვები სწორ რიგებად იყო განლაგებული, მათ ირგვლივ კი, ნაგავი არ ჩანდა, მიწა დაეგავათ, მოერწყათ. კარვებიდან მძინარე ბინადრების ხვრინვისა და ფშვინვის ხმა ისმოდა. ტომი ნელი ნაბიჯით მიდიოდა. მე-

ოთხე სანიტარულ შენობას მიუახლოვდა და გაოცებულმა შეხედა. დაბალი, შეუბათქაშებელი შენობა იყო. სამრეცხაო ჭერქვეშ მოექციათ, თუმცა, გვერდითა კედლები არ ჰქონდა. ტომი ჯოუდების სატვირთოს მიუახლოვდა. ბრეზენტი ძელებზე დამაგრებული დახვდა. სატვირთოს ჩრდილიდან ფიგურა გამოიკვეთა,

— შენ ხარ, ტომ? — ხმადაბლა იკითხა დედამ.

— ჰო.

— ჩუ, ყველას სძინავს. დაღლილები არიან.

— შენ რატო არ გძინავს?

— შენი ნახვა მინდოდა. როგორაა საქმე?

— კარგად, — უთხრა ტომმა, — მაგრამ მე არაფერს გეტყვი. დილას თითონ გეტყვიან. მოგეწონება.

— გავიგე, რო ცხელი წყალი აქვთ, — წაიჩურჩულა დედამ.

— ჰო, ეხლა დაიძინე, აღარც ვიცი, ბოლოს როდის გეძინა.

— ტომ, მითხარი, რას მიმალავ?

— არ გეტყვი, დაიძინე.

უეცრად დედა პატარა გოგოსავით აცმუტდა.

— რა დამაძინებს, სუ იმაზე ვფიქრობ, ნეტა რას მიმალავს-მეთქი. არ მეტყვი?

— არა, — უპასუხა ტომმა, — როგორც კი გათენდება, კაბა გამოიცვალე, მერე შენ თითონ ნახავ.

— არა, ესე ვერ დავიძინებ.

— დაიძინებ, — მხიარულად ჩაიცინა ტომმა, — მეტი გზა არ გაქ.

— ძილი ნებისა, — თქვა დედამ ხმადაბლა და ბრეზენტის ქვეშ გაუჩინარდა.

ტომი ძარაზე აძვრა, ხის იატაკზე გულაღმა გაწვა, მკლავები ზევით ასწია და ყურებზე მიიბჯინა. გრილოდა. ტომი წამოჯ-

და, პიჯაკი შეიკრა და ისევ დაწვა. ცაზე ვარსკვლავები კაშკაშებდნენ.

ჩხაკუნის ხმამ გამოაფხიზლა. ბნელოდა. ტომმა ყური მიუგდო და რკინის რკინაზე ხახუნის ხმა ისევ გაიგონა. ფეხები გამართა. სიცივისგან შეაჟრჟოლა. ბანაკს ჯერ ისევ ეძინა. ტომი წამოდგა და გვერდითა კედლიდან გადაიხედა.

აღმოსავლეთით აღმართულ მუქ ლურჯ მთებს მკრთალი სინათლე შეეპარა, მთის წვერებს შეეთამაშა, ვარდისფრად შეაფერადა, მერე ზევით აიწია, ცივი ნაცრისფერი შეიფერა, ჩამუქდა და დასავლეთის წყვდიადს შეერია. ხეობას მკრთალი იისფერი დილა გადაეფინა.

ჩხაკუნი ისევ გაისმა. ტომმა ნაცრისფერი კარვების რიგს გახედა. ერთ-ერთი კარვის გვერდით, ძველი კედლებდახეთქილი ღუმლიდან ნარინჯისფერი ცეცხლი ნაპერწკლებს ყრიდა. მოკლე საკვამურიდან რუხი კვამლი იზლაზნებოდა. ტომი გვერდითა კედლიდან მიწაზე ჩახტა და ცეცხლისკენ ნელი ნაბიჯით გაემართა. ღუმელთან ახალგაზრდა ქალი ტრიალებდა. ცალ ხელში ბავშვი ეჭირა. ბავშვს თავი დედის ზედატანის ქვეშ შეერგო და ძუძუს წოვდა ქალი ბუხრის გარშემო მიდიმოდიოდა, ცალი ხელით ცეცხლს ჩხრეკდა და ხანაც ღუმელს ჟანგიან თავსახურს ხდიდა, რომ გაწევა გაუმჯობესებულიყო. ძუძუზე მიკრულ ბავშვს მკლავს მარჯვედ უნაცვლებდა. ბავშვი თავის საქმეს განაგრძობდა და დედის მსუბუქ, მოხდენილ მოძრაობებს ხელს არ უშლიდა. ნარინჯისფერი ალი ღუმლის ნახეთქებიდან იჭყიტებოდა და კარვის კალთებს ცახცახა ჩრდილებს ესროდა.

ტომი მიუახლოვდა. შემწვარი პურისა და ხორცის სუნი ეცა. აღმოსავლეთით დღის სინათლე სწრაფად ძლიერდებოდა. ტომი ღუმელთან მივიდა და გაშლილი ხელები ცეცხლს

მიაფიცხა. გოგონამ შეხედა, ნაწნავები უკან გადაიყარა და თავი დაუკრა.

— დილა მშვიდობისა, — თქვა მან და ტაფაში ხორცი გადაბრუნა.

კარვის კალთა გადაიხსნა და ახალგაზრდა კაცი გამოვიდა, უკან ასაკოვანი მოჰყვა. ორივეს ბამბის ოქროსფერღილებიანი ახალთ-ახალი გახამებული სამუშაო შარვლები და ქურთუკები ეცვა. მკვეთრად გამოხატული ნაკვთებით ერთმანეთს ძალიან ჰგავდნენ. ერთს მუქი ჯაგარივით წვერი მოეშვა, მეორეს — ჭაღარა. სველი თმიდან ჩამოგორებული წყლის წვეთები ჯაგარა წვერში იკარგებოდა. ნოტიო სახეები უბრწყინავდათ. ერთად იდგნენ, ერთად ამთქნარებდნენ და აღმოსავლეთით მთების განათებულ მწვერვალებს მშვიდად უცქერდნენ. მერე შებრუნდნენ და ტომი დაინახეს.

— გამარჯობა, — ისე თქვა ხნიერმა, ვერ მიხვდებოდით კეთილგანწყობილი იყო თუ არა.

— გამარჯობა, — მიესალმა ტომი.

— გამარჯობა, — თქვა ახალგაზრდამ.

ნელ-ნელა წყალი შეაშრათ, ხელების გასათბობად ღუმელთან მივიდნენ.

გოგონას თავის საქმე არ შეუწყვეტია, მხოლოდ შეჩერდა, ბავშვი მიწაზე დააწვინა, ნაწნავები კეფაზე კუდივით შეიკრა და საქმე განაგრძო. დიდ ყუთზე ჭიქები, თეფშები, დანა-ჩანგალი დააწყო, ცხიმიდან ღორის მკერდის ნაჭრები ამოიღო და თუნუქის თეფშებზე გაანაწილა. ხორცი დაცხრა, შიშხინი შეწყვიტა, ხრაშუნა კანი გაიკეთა. გოგონამ ღუმლის კარი გამოაღო და ფუმფულა კვერებით სავსე ოთხკუთხა ტაფა გამოიღო.

კაცებს ცხვირში სურნელმა შეუღიტინა. ახალგაზრდამ მოუთმენლად თქვა:

— იფ, იფ, იფ!

— უკვე ისაუზმე? — ჰკითხა ტომს ხნიერმა.

— არა, ჩემი ოჯახი აქვეა, მაგრამ სძინავთ, ჯერ არ გაუღვიძიათ.

— დაგვეწვიე. საჭმელი ბევრი გვაქ. მადლობა ღმერთს.

— მადლობა, — უთხრა ტომმა, — ისეთი სუნი ტრიალებს, უარს ვერ გეტყვთ.

— მართლა რა გემრიელი სუნია, არა? ესეთი სუნი კიდე რამეს თუ აქ? — ყუთისკენ გაემართნენ და მის გარშემო ჩაცუცქდნენ.

— აქ მუშაობ? — ჰკითხა ტომს ახალგაზრდამ.

— გვინდა, რო ვიმუშაოთ, წუხელ ჩამოვედით, ჯერ არც ვიცი, რა ხდება.

— ჩვენ თორმეტი დღის სამუშაო გვქონდა, — თქვა ახალგაზრდამ.

— ახალი ტანსაცმელიც კი მისცეს, — ჩაერია გოგონა. ორივე კაცმა გახამებულ ლურჯ ტანსაცმელზე დაიხედა და მორცხვად გაიღიმა. გოგონამ ყუთზე შემწვარი ხორცი, საწებელი, ფუმფულა დაბრაწული კვერები დააწყო, ყავადანიც შემოდგა და მერე თვითონაც ჩაცუცქდა. დედის ზედატანში თავშერგული ბავშვი ისევ წოვდა.

ხორცი გადაიღეს, კვერებს საწებელი მოასხეს და ყავაში შაქარი ჩაიყარეს. ხნიერმა პირი გამოივსო, სწრაფად დაღეჭა და სულმოუთქმელად გადაყლაპა.

— უჰ, რა კარგია! — თქვა და პირი ისევ გამოიტენა.

— თორმეტი დღეა კარგად ვჭამთ, არცერთს საუზმე და სადილი არ გამოგვიტოვებია, ვმუშაობთ, ფულს გვიხდიან და

ვჭამთ. — საჭმელს მხეცივით ეცა და თეფში ისევ გაივსო. ქაფ-ქაფა ყავა დალიეს, ნალექი მიწაზე დაღვარეს და ჭიქები ისევ შეივსეს.

დილის შუქი წითლად შეიფერა. მამა-შვილმა საუზმობა დაასრულა. გარინდებულები ისხდნენ და აღმოსავლეთისკენ იცქირებოდნენ, სახეებს დილის სხივები უნათებდათ. თვა-ლებში აღმოსავლეთით აღმართული, განთიადით გაბრწყინე-ბული მთების ანარეკლი უციმციმებდათ. მერე ყავის ნალექი მიწაზე დაღვარეს და წამოდგნენ.

— უნდა წავიდეთ, — თქვა ხნიერმა.

ახალგაზრდა ტომს მიუბრუნდა.

— აქეთ მოიხედე, — უთხრა მან, — ჩვენ აქ მილებს ვაწყობთ. თუ გინდა, წამოდი და ნახე, იქნებ შენთვისაც იყოს რამე.

— დიდი მადლობა, საუზმისთვისაც დიდ მადლობას გიხ-დით.

— არაფერს, — თქვა ხნიერმა. — თუ გინდა, წამოდი, ვეცდე-ბით, რო დაგეხმაროთ და სამუშაო გაშოვნინოთ.

— როგორ არ მინდა! — უთხრა ტომმა, — მხოლოდ ერთი წუთი დამიცადეთ. ოჯახს გავაფრთხილებ, რო არ დამელო-დონ. — ჯოუდების სატვირთოსთან სირბილით მივიდა, დაიხა-რა და ბრეზენტის ქვეშ შეიხედა. ყველას ეძინა, მაგრამ მალე ერთი გადასაფარებელი ამოძრავდა. რუთი გაიზმორა და გა-მოძვრა, თმა თვალებზე ჩამოფარებოდა. კაბა ისე დაჭმუჭნო-და, დაღეჭილი გეგონებოდათ. ფრთხილად წამოიწია და წა-მოდგა. ნათელი ნაცრისფერი თვალები ძილს დაემშვიდებინა და სიცელქე სადღაც გამქრალიყო. ტომმა ხელით ანიშნა, გა-მომყევიო და გარეთ გავიდა. რუთი გაჰყვა. ტომი შებრუნდა და სახეზე დააკვირდა.

— ღმერთო, როგორ გაიზარდე, — უთხრა ტომმა.

რუთი დაიბნა და თვალები მოარიდა.

— მისმინე, — უთხრა ტომმა. — არავინ გააღვიძო, მაგრამ რო ადგებიან, უთხარი, რო სამუშაოს შოვნის შანსი გამომიჩნდა და მივდივარ. დედას უთხარი, რო მეზობლებთან ვისაუზმე. გაიგე?

რუთმა თავი დაუქნია და იქით გაიხედა. თვალები ბავშვურად უციმციმებდა.

— არ გააღვიძო, — გააფრთხილა ტომმა და ახალგაცნობილი მეზობლებისკენ სწრაფად გაეშურა.

სანიტარულ შენობას რუთი ფრთხილად მიუახლოვდა და ღია კარში შეიჭყიტა.

ტომს ორი კაცი ელოდა. ახალგაზრდა ქალს კარვიდან ლეიბი გამოეთრია და ბავშვი ზედ დაეწვინა. თვითონ ჭურჭელს რეცხავდა.

— ჩემები მინდოდა გამეფრთხილებინა, ჯერ სძინავთ.

კარვებს შორის ვიწრო ქუჩას სამნი დაუყვნენ. ბანაკი იღვიძებდა. ქალები ცეცხლთან ფუსფუსებდნენ — ხორცს ჭრიდნენ, დილის პურისთვის ცომს ზელდნენ. კაცები კარვებისა და მანქანების სიახლოვეს მიდი-მოდიოდნენ.

ცა ვარდისფრად გაფერადებულიყო. გამხდარი მოხუცებული კაცი ოფისის წინ ფოცხით მიწას ასწორებდა და მონდომებით ავლებდა სწორ, ღრმა ხაზებს.

— ადრე გამოსულხარ, მოხუცო, — ჩავლისას უთხრა ახალგაზრდამ.

— ჰო, უნდა გამოვისყიდო.

— კაი, რა! — შაბათს მაგრა გამოთვრა და თავის კარავში მთელი ღამე მღეროდა. კომისიამ დასაჯა და ეს სამუშაო დააკისრა.

ზეთით გაპოხილი გზის კიდეს მიჰყვებოდნენ. გასწვრივ კაკლის ხეები ჩაემწკრივებინათ.

მთებს უკან მზე ამოიწვერა.

— უცნაური არაა? ერთად ვისაუზმეთ და ერთმანეთისთვის სახელები არ გვითქვამს. მე ტომ ჯოუდი ვარ.

— დიდი ხნის ჩამოსულს არ გავხარ, — ოდნავ შესამჩნევი ღიმილით უთხრა ხნიერმა.

— ეხლახანს ჩამოვედი.

— ეგრეც ვიცოდი. აქ სახელის თქმას აზრი არა აქ, იმდენი ხალხია რო... კარგი, გავიცნოთ ერთმანეთი, მე — ტიმოთი უოლესი ვარ, ეს ჩემი ბიჭია, უილკი.

— სასიამოვნოა. დიდი ხანია აქ ხარ?

— უკვე ათი თვეა, — თქვა უილკიმ, — შარშანდელი წყალდიდობის მერე აქეთ გამოვიქეცით. უჰ, რა გადავიტანეთ, შიმშილით კინაღამ დავიხოცეთ.

ხალხით სავსე სატვირთომ ჩაუარათ. ყოველი მგზავრი საკუთარ საფიქრალში ჩაძირულიყო, მანქანის გვერდებს ჩაჭიდებოდა და მოღუშული სახით გზას გასცქეროდა.

— ესენი გაზის კომპანიაში მუშაობენ, კარგად უხდიან.

— ჩვენი სატვირთოთი რო წავიდეთ? — შესთავაზა ტომმა.

— არაა, — უპასუხა ტიმოთიმ, დაიხარა, მწვანე კაკალი აიღო, ცერა თითით ჩაჭყლიტა და მავთულის ღობეზე დასკუპებულ შაშვს გაუქანა. შაშვი აფრინდა, კაკალი აიცდინა, მერე ისევ დაჯდა და ნისკარტით შავი პრიალა ბუმბულის გასუფთავება დაიწყო.

— მანქანა არ გყავთ? — ჰკითხა ტომმა.

ორივე უოლესი ჩუმად იყო. ტომმა კაცებს შეხედა და მიხვდა, რომ თავს უხერხულად გრძნობდნენ.

— სამუშაომდე ერთი მილია, — თქვა უილკიმ.

— აღარ გვყავს, გავყიდეთ, — მწყრალად ჩაილაპარაკა ტიმოთიმ. — რა უნდა გვექნა, საჭმელი და საერთოდ ყველაფერი გაგვითავდა, სამუშაო ვერ ვიშოვეთ. ხო იცი, ეს გადამყიდველები კვირას არ აგდებენ, რო არ გამოჩნდნენ. თუ ნახეს, რო მშიერი ხარ, გროშებად ყიდულობენ და თუ ნახეს, რო დამშეული ხარ, სუ მუქთად მიაქვთ. ჩვენც ეგრე მოგვივიდა. ათ დოლარად მივეცით, — მიწაზე გადააფურთხა.

— წინა კვირას ბეიკერსფილდში ნახმარი მანქანების ბაზრობაზე ვიყავი და რას ვხედავ! ის ჩვენი მანქანა გასაყიდად არ გაუმზადებიათ? არ დაიჯერებთ, სამოცდათხუთმეტი დოლარი ეწერა. — ხმადაბლა თქვა უილკიმ.

— მეტი გზა არ გვქონდა, ან ნება უნდა მიგვეცა, რო ჩვენ გავეძარცვეთ, ან ჩვენ უნდა გაგვეძარცვა ვიღაცა. ჯერ არაფერი მოგვიპარავს, მაგრამ, ღმერთმა დასწყევლოს, ძაან ახლოს ვიყავით. — თქვა ტიმოთიმ.

— აქეთ რო მოვდიოდით, გვეგონა, რო ბევრი სამუშაო იყო. რაღაც ფურცლები დაგვირიგეს, ზედ ეწერა, ხალხი გვჭირდებაო.

— ჰო, ეგ ფურცლები ჩვენც ვნახეთ. სად არი სამუშაო, რაც არი, იმაშიც ცოტას იხდიან და უფრო და უფრო აიაფებენ. ტვინი დამეღალა ჭამაზე ფიქრით.

— ეხლა ხო გაქ სამუშაო, — უთხრა ტომმა.

— ხო, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდება. ისე კარგ კაცთან მოვხვდით, პატარა ნაკვეთი აქ, თითონაც ჩვენთან ერთად მუშაობს. მაგრამ რამდენ ხანს გაგრძელდება!

— და მე რატო გინდათ რო მომაწყოთ? სამნი უფრო მალე მოვილევთ საქმეს. ყელში დანას რატო ისვამთ?

— რა ვიცი, აბა, რა აზრი აქ რამეს. თითო ქუდის ყიდვა გვინდოდა და არ გამოგვდის. აი, იქ მარჯვნივ, იქაც კარგი სამუშაოა, ოცდაათ ცენტს იხდიან. პატრონი მეგობრული კაცია.

გზატკეცილიდან მოხრეშილ გზაზე გადავიდნენ და პატარა ბაღჩა გაიარეს. ხეების უკან მომცრო თეთრი სახლი იდგა, ეზოში რამდენიმე საჩრდილობელი ხე შრიალებდა, ბეღელიც იქვე იყო. ბეღლის უკან ვენახი და ბამბის პლანტაცია მოჩანდა. სახლს რომ მიუახლოვდნენ, ბადეაკრული კარი გაჯახუნდა და კიბეზე ჩაფსკვნილმა, გარუჯულმა კაცმა ჩამოირბინა. ქაღალდის ქუდი ეხურა. ეზო გადაჭრა და სახელოები დაიკაპიწა. გაბრაზებული ჩანდა. გახუნებული წარბები შეჭმუხნოდა, ლოყები წითლად უღვიოდა.

— დილა მშვიდობისა, მისტერ ტომას, — მიესალმა ტიმოთი.

— დილა მშვიდობისა, — ჩაიბურტყუნა გაღიზიანებულმა.

— ეს ტომ ჯოუდია, იქნებ შეგიძლიათ, რო სამუშაოზე აიყვანოთ?

ტომასმა ტომს შეუბღვირა. მერე გაიცინა, მაგრამ წარბები ისევ შეჭმუხნილი დარჩა.

— ავიყვან, როგორ არ ავიყვან, ყველას ავიყვან, ასი კაცი რომ მოვიდეს, ყველას ავიყვან.

— ვიფიქრე იქნებ... — მობოდიშება სცადა ტიმოთიმ.

— მეც ვიფიქრე, — შეაწყვეტინა ტომასმა. — მკვეთრად შეტრიალდა და პირდაპირ შეხედა. — უნდა დაგელაპარაკოთ. მე საათში ოცდაათ ცენტს გიხდიდით, ასეა?

— ასეა. მისტერ ტომას, მაგრამ...

— თქვენც ხელფასის შესაბამისად ასრულებდით სამუშაოს. — მძიმე მოუქნელი ხელები ერთმანეთს გადააჭდო.

— თავი არ შეგვირცხვენია, მთელი დღე ვმუშაობდით.

— მოკლედ, ამ დილიდან ოცდახუთ ცენტს ვიხდი, გინდა დარჩით და გინდა წადით, — ისედაც წითელი სახე ერთიანად აუჭარხლდა.

— კარგად ვმუშაობთ, თქვენ თითონ ამბობთ, რო კარგად ვმუშაობთ.

— ვიცი, ვიცი, მაგრამ საქმე ისე მოტრიალდა, რომ მე თვითონ ვეღარ ვქირაობ ხალხს, — ნერწყვი ძლივს ჩაყლაპა, — მისმინეთ, მე სამოცდახუთი აკრი მიწა მაქვს. ფერმერთა ასოციაციის შესახებ გსმენიათ ოდესმე?

— დიახ.

— მეც მათი წევრი ვარ. წუხელ შეხვედრა გვქონდა. ფერმერთა ასოციაციას ვინ მართავს იცით? თუ არა, ახლავე გეტყვით — დასავლეთის ბანკი. ეს ხეობა, თითქმის მთლიანად, ბანკს ეკუთვნის და რაც ჯერ არ მიუკუთვნებიათ, იმაზეც თამასუქები აქვს გამზადებული. შეხვედრაზე ბანკის წარმომადგენელმა მკითხა, საათში ოცდაათ ცენტს იხდი, არაო? და დააყოლა, ჯობია ოცდახუთ ცენტამდე შეამციროო. კარგი ხალხი მყავს-მეთქი, ვუთხარი და მაგაში არ არი საქმე, ახლა დადგენილი ფასი ოცდახუთი ცენტია და მეტის გადახდას შეიძლება არეულობა მოჰყვესო. მერე, ვითომ სხვათა შორის, მკითხა, ამ სეზონზეც იმავე ოდენობის კრედიტი გჭირდებაო? — ტომასი შეჩერდა, აღელვებისგან ძლივს სუნთქავდა — გაიგეთ? ოცდახუთი ცენტი, შეეგუეთ.

— კარგად ვმუშაობდით, — საწყალობლად გაიმეორა ტიმოთიმ.

— კიდევ ვერ გაიგეთ, ხომ? დიდი ბატონი ბანკი ორი ათას კაცს ამუშავებს, მე სამი კაცი ძლივს დამიქირავებია. რამე გამოსავალი თუ იცით, მითხარით, ყველაფრისთვის მზად ვარ.

— არც კი ვიცი, რა გითხრათ, — თავი გააქნია ტიმოთიმ.

— აქ დამიცადეთ, — ტომასმა კიბეზე აირბინა, სახლში შევიდა და კარი გაიჯახუნა, ცოტა ხანში უკან დაბრუნდა, ხელში გაზეთი ეჭირა, — ეს ნახეთ? მისმინეთ, წაგიკითხავთ: „წითელი აგიტატორების საქციელით აღშფოთებულმა მოქალაქეებმა მომთაბარეთა ბანაკი გადაწვეს. გასულ ღამეს, აღელვებული მოქალაქეების ჯგუფმა, რომელიც მომთაბარეთა ადგილობრივ ბანაკში წითელი აგიტაციის მოწმე გახდა, ბანაკი გადაწვა და მკაცრად გააფრთხილა მომთაბარენი, რომ ოლქი სასწრაფოდ დაეტოვებინათ“.

— მე იქ... — წამოიწყო ტომმა, მაგრამ მაშინვე დადუმდა.

ტომასმა გაზეთი დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო. ახლა თავის თავს უკეთ ფლობდა.

— ის მოქალაქეები იქ ასოციაციამ გააგზავნა. აი, გავთქვი, ხომ ხედავთ! რომ გაიგონ, გაისად ფერმა აღარ მექნება, — ხმადაბლა თქვა ტომასმა.

— არც კი ვიცი, რა გითხრათ. თუ აგიტაცია იყო, გასაგებია იმათი გაცოფება.

— დიდი ხანია ვაკვირდები ფასების დაწევას რომ გადაწყვეტენ, რატომღაც ყველგან აგიტატორები ჩნდებიან. ყოველთვის ასეა. ჯანდაბა მაგათ თავს, ხაფანგში მოქცეულივით ვარ. რას აპირებთ? ოცდახუთ ცენტზე იმუშავებთ?

ტიმოთიმ მიწას დახედა:

— მე ვიმუშავებ.

— მეც, — თქვა უილკიმ.

— მე ეგრევე სამუშაო ვიშოვე, ვიმუშავებ, აბა რას ვიზამ.

ტომასმა გვერდითა ჯიბიდან ხელსახოცი ამოიღო და სახე მოიწმინდა.

— რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ასე? ან ოჯახებს, როგორ აჭმევთ? არ ვიცი, არ ვიცი...

— ვაჭმევთ, სანამ სამუშაო გვაქ. რო არ გვექნება, მერე რას ვიზამთ, ეგაა საქმე. — თქვა უილკიმ.

ტომასმა საათს დახედა.

— წავედით, თხრილის გათხრა დავიწყოთ, მაგრამ რაღაცას გეტყვით, რა ვქნა აბა! თქვენ სამთავრობო ბანაკში ცხოვრობთ, არა?

ტიმოთი დაფრთხა.

— დიახ, სერ.

— და ყოველ შაბათს ცეკვებს მართავთ, არა?

— დიახ, — გაიღიმა უილკიმ.

— მომავალ შაბათს ფრთხილად იყავით.

ტიმოთი დაიძაბა და მასთან ახლოს მივიდა.

— რა ამბავია? მთავარი კომისიის წევრი ვარ, უნდა ვიცოდე.

ტომასმა გამომცდელად შეხედა.

— არ წამოგცდეს, რომ მე გითხარი.

— რა არ წამომცდეს? — ჰკითხა ტომასმა.

— იცოდეთ, რომ ასოციაციას არ მოსწონს ეს სამთავრობო ბანაკები, შიგ თანაშემწეებს ვერ უშვებენ. ხალხი თავისი დადგენილი წესებით ცხოვრობს, ასეა, არა? მე როგორც ვიცი, თანაშემწეები დაპატიმრების ორდერის გარეშე ვერ შედიან, მაგრამ თუ ჩხუბი ან სროლა ატყდება, შევლენ და იქაურობას გაასუფთავებენ კიდეც.

ტიმოთის გამომეტყველება შეეცვალა, ბეჭები გამართა, თვალები გაუმკაცრდა.

— ეგ როგორ გავიგო?

— სადმე არ წამოგცდეს, რომ გეუბნებით, — ტომასს სახე მოეღუშა. — შაბათს ბანაკში ჩხუბი ატყდება და თანაშემწეები შევლენ.

— რატო, რა დააშავეს? — იკითხა ტომმა.

— რატომ? ახლავე გეტყვით. სამთავრობო ბანაკებში ხალხი ადამიანურ მოპყრობას ეჩვევა; მერე მომთაბარეთა ბანაკებში დაბრუნებულების მართვა შეუძლებელი ხდება, — სახე მოიწმინდა, — აბა, სამუშაოს შევუდგეთ, თორემ იმდენს ვლაპარაკობ, ისე არ გამოვიდეს, რომ ამ ლაპარაკით ფერმის დაკარგვაზე ვაწერდე ხელს. მაგრამ სანდო ხალხი ჩანხართ და...

ტიმოთიმ მისკენ ნაბიჯი გადადგა და გამხდარი, დაკოჟრილი ხელი გაუწოდა. ტომასმა ხელი ჩამოართვა.

— ვერავინ გაიგებს, ვინ გვითხრა. მადლობას გიხდით. ბანაკში შაბათს ჩხუბი არ იქნება.

— დაიწყეთ მუშაობა, — უთხრა ტომასმა, — ოცდახუთი ცენტი საათში.

— ეგრე იყოს, თქვენთვის... — თქვა უილკიმ.

ტომასი სახლისკენ გაემართა.

— ცოტას დავისვენებ, — თქვა მან, — თქვენ მუშაობა დაიწყეთ, — და ბადეაკრული კარი გაჯახუნდა.

კაცებმა თეთრად შეღებილ ფარდულს ჩაუარეს, მინდორში გავიდნენ და მალე ვიწრო თხრილს მიადგნენ. იქვე ბეტონის მილები ეწყო.

— აი, აქ ვმუშაობთ, — თქვა უილკიმ.

ტიმოთიმ ფარდულის კარი გააღო, ორი წერაქვი და სამი ნიჩაბი გამოიტანა, ტომს მიაწოდა და უთხრა:

— აჰა, ესეც შენი საყვარელიიი...

ტომმა წერაქვი ხელში შეათამაშა.

— ოოო, მაგარია.

— თერთმეტ საათამდე მოიცადე და მერე ნახე, როგორი მაგარია, — უთხრა უილკიმ.

თხრილის ბოლომდე ჩავიდნენ. ტომმა პიჯაკი გახადა და იქვე, მიწის გროვაზე დააგდო. კეპი უკან გადაიწია, თხრილში ჩახტა და ხელებზე დაიფურთხა. წერაქვი ჰაერში აიჭრა და ისევ დაეშვა. ტომმა ხმადაბლა დაიხვნეშა. წერაქვი ზევით-ქვევით ადი-ჩადიოდა და ხვნეშა სწორედ მაშინ ისმოდა, როცა წერაქვი მიწას ჩაესობოდა და იქვე ჩაფშვნიდა.

— მა, უყურე ერთი, ისე აქ ხელი გაწაფული, რო უკეთესი მიწისმთხრელი არც მინახავს.

— პირველად კი არ ვაკეთებ (ეეჰ), დიახ, სერ, ბევრჯერ გამიკეთებია (ეეჰ). კარგად მიდის ეს წერაქვი (ეეჰ)! — მიწა მის თვალწინ იფშვნებოდა. მზე ვენახს დანათოდა და ვაზის ფოთლებს ქარვისფრად აფერადებდა. მიწა ექვსი ფუტის სიგრძეზე უკვე გათხრილი იყო. ტომი თხრილიდან ამოვიდა, ადგილი უილკის დაუთმო და ოფლი მოიწმინდა. ნიჩაბი გამალებით მუშაობდა — ქვევიდან ზევით, ქვევიდან ზევით — და ამოყრილი მიწა თხრილის გასწვრივ გროვდებოდა.

— გავიგე მთავარ კომისიაზე რო ლაპარაკობდით, წევრი ყოფილხარ, — თქვა ტომმა.

— დიახ, სერ, — უპასუხა ტიმოთიმ, — დიდი პასუხისმგებლობა გვეკისრება. ძალიან ვცდილობთ, რო ყველაფერი კარგად იყოს, ხალხიც ძაან გვეხმარება. ეს მსხვილი ფერმერები რო არ გვიშლიდნენ ხელს...

ტომი ისევ თხრილში ჩახტა და ახლა უილკი გადგა განზე.

— ჩხუბზე რას ამბობდა (ეეჰ)? ცეკვების საღამოს (ეეჰ)? რაში სჭირდებათ (ეეჰ)?

ტიმოთი უილკის უკან მიჰყვებოდა და ნიჩბით მიწას მილების ჩასაწყობად ამზადებდა.

— ალბათ ჩვენი აქედან გაყრა უნდათ, — თქვა ტიმოთიმ, — ეშინიათ, ორგანიზებულები არიანო, ამბობენ. მართალია, ეს

ბანაკი ორგანიზაციაა. აქ ხალხი თავის თავს თითონ პატრონობს. ისეთი სიმებიანი ორკესტრი გვყავს, მთელ ოლქში უკეთესს ვერ ნახავ. მშივრებისთვის მაღაზიაში პატარა კრედიტია გახსნილი, ხუთ დოლარად რაც გინდა იმას იყიდი და თავდებში ბანაკი დგება. კანონებს არ ვარღვევთ და სწორედ ეგ აშინებთ მსხვილ ფერმერებს, ისე ვიქცევით, რო ციხეებში ვერ გვყრიან. მაგრა ეშინიათ, თავის თავს თუ მართავენ, ეგენი სხვა რამის მართვასაც შეძლებენო, ამბობენ.

ტომი თხრილიდან ამოვიდა და თვალებში ჩაღვრილი ოფლი მოიწმინდა.

— ხო ნახე, გაზეთი რას წერს ბეიკერფილდში აგიტატორებზე?

— კი, ერთხელ დაუწერიათ თუ ორჯერ??

— მე იქ ვიყავი. არავითარი აგიტატორები და თანაც წითლები იქ არ იყვნენ. მაინც ეს წითლები რა ჯანდაბაა? ვინ არიან?

ტიმოთიმ ნიჩბით თხრილის ფსკერზე მიწის პატარა გროვა გაასწორა.

— ყველას ეგ აინტერესებს, — გაიცინა ტიმოთიმ, — ნიჩაბი ფრთხილად გადაუსვა მიწას. — ჰოდა, ერთი მიხვდა კიდეც. კაცია ერთი, ჰაინსი ჰქვია, ოცდაათი ათასი აკრი მიწა, ვენახები, ატმის ბაღები, საკონსერვო ქარხანა, ღვინის ქარხანა, მოკლედ, რა აღარ აქ და სუ წითლებზე ლაპარაკობს, — ეგ წყეულები ქვეყანას გვინგრევენ, ეგ წყეული წითლები აქედან უნდა გავყაროთო. ერთ დღესაც ეს ჰაინსი ლაპარაკობდა და ახალჩამოსული ბიჭი კიდე განზე იდგა და უსმენდა. უსმინა, უსმინა, ბოლოს თავი მოიფხანა და ეკითხება — „მისტერ ჰაინს, ახალი ჩამოსული ვარ და ვერ გავიგე წყეული წითლები ვინ არიანო.“ მისტერ ჰაინსი კიდე პასუხობს — ყველა ნაბიჭვა-

რი, ვინც ოცდახუთ ცენტზე მუშაობას არ თანხმდება და ოცდაათს ითხოვს, წითელიაო. ბიჭმა იფიქრა, იფიქრა, ისევ კეფა მოიფხანა და ეუბნება — მე ნაბიჭვარი არა ვარ, მაგრამ თუ წითლები მაგას ნიშნავს, მეც მინდა საათში ოცდაათი ცენტი, ყველას უნდა და გამოდის, რო აქ ყველა წითლები ვყოფილვართო.

ტიმოთიმ კიდევ ერთი ბორცვი გაასწორა. ნიჩბით მოჭრილი მიწა ბზინავდა.

— მეც წითელი გამოვდივარ, — გაიცინა ტომმა, წერაქვი აიწია და ისევ დაეშვა, მიწა ერთიანად დაიბზარა და დასკდა, ოფლი შუბლიდან ცხვირის ღარებში ეღვრებოდა, კისერი მზეზე ულაპლაპებდა, — კარგი რამეა ეს წერაქვი (ეეჰ), თუ იცი, როგორ გამოიყენო (ეეჰ), კარგად მიდის სამუშაო (ეეჰ).

კაცები ჩამწკრივებულები მუშაობდნენ. თხრილი ნელ-ნელა გრძელდებოდა. დილამ ძალა მოიკრიფა, მზე დაუნდობლად აცხუნებდა.

ტომის წასვლის მერე რუთი კიდევ კარგა ხანს უცქერდა სანიტარულ შენობას. უინფილდის გარეშე გამბედაობა არ ჰყოფნიდა, შიშველი ფეხი ბეტონის იატაკზე დადგა და მაშინვე უკან წაიღო. კარვების რიგის ბოლოს ქალი გამოჩნდა, თუჯის ღუმელთან დაიხარა, ცეცხლის გაჩაღებას შეუდგა, რუთმა მისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ შეჩერდა, მერე ჯოუდების კარავთან დაბრუნდა და შიგ შეიჭყიტა. ერთ მხარეს ძია ჯონი პირდაპირ მიწაზე იწვა, პირდაფჩენილი ხვრინავდა და ნერწყვის შხეფები გადმოსდიოდა, დედას და მამას, სინათლეს რომ დამალვოდნენ, გადასაფარებელი წაეფარებინათ. ელი ძია ჯონის მარცხნივ იწვა, თვალებზე მკლავი გადაედო. კარვის შესასვლელთან შარონის ვარდსა და უინფილდს ეძინათ, უინფილდის გვერდით ადგილი ცარიელი იყო. რუთი ჩა-

ცუცქდა და უინფილდის ქერა თავს დააცქერდა. ბიჭმა მზერა იგრძნო, თვალები გაახილა და უშფოთველად მიაჩერდა. რუთმა ტუჩებზე თითი მიიდო, მეორე ხელით ანიშნა, გამომყევიო. უინფილდმა შარონს გადახედა. გოგონას სახე ვარდისფრად უღვიოდა, პირი ოდნავ გაეღო. უინფილდმა ფრთხილად ასწია გადასაფარებელი, გამოძვრა და კარვიდან ფეხაკრეფით გავიდა.

— როდის გაიღვიძე? — ჩურჩულით ჰკითხა რუთს.

რუთი გაუძღვა. თავი უსაფრთხოდ რომ იგრძნო, უპასუხა:

— არც მძინებია, მთელი ღამე ფეხზე ვიყავი.

— რა მატყუარა ხარ, გეძინა, ნუ მატყუებ, — უთხრა უინფილდმა.

— კაი, თუ მატყუარა ვარ, არაფერსაც არ გეტყვი, არც იმას, კაცი რო მოკლეს დანით და არც იმას, დათვი რო მოვიდა და ბავშვი მოიტაცა.

— დათვი არა ის... — თქვა შემცბარმა უინფილდმა. ხელითთმა გადაივარცხნა და უბესთან შარვალი ჩაიჩაჩა.

— კაი, ხო, დათვი არ ყოფილა, მაგრამ აქ არც ის თეთრი რამეებია, ჭურჭელს რო გავს, კატალოგში რო ეხატა.

უინფილდი გაფაციცებით უცქერდა, თითი სანიტარული შენობისკენ გაიშვირა.

— იქ? — ჰკითხა მან.

— ხო მატყუარა ვარ, რატო უნდა გითხრა?

— წამო, ვნახოთ, — უთხრა უინფილდმა.

— უკვე ვნახე, ზედ დავჯექი და ვქენი კიდეც.

— ქენი არა ის, იტყუები.

სანიტარულ შენობასთან მივიდნენ. რუთს აღარაფრის ეშინოდა და წინ თამამად მიუძღოდა, საპირფარეშოები დიდი ოთახის ერთ მხარეს ჩაემწკრივებინათ, ერთმანეთისგან კედ-

ლები ყოფდა, ყოველ მათგანს თავისი კარი ჰქონდა, ქაშანურის უნიტაზები თეთრად ქათქათებდა. ხელსაბანები მეორე კედლის გაყოლებაზე დაემაგრებინათ, მესამე კედელთან კი, ოთხი საშხაპე მიედგათ.

— აი, ტუალეტები, ესეთები კატალოგში მაქ ნანახი. — ბავშვები ერთ-ერთ უნიტაზთან მივიდნენ გულმოცემული რუთი ისე გათამამდა, რომ ქვედატანი აიწია და დაჯდა, — ხო, გითხარი, აქ ნამყოფი ვარ, — და დასტურის ნიშნად უნიტაზში ჩააჩხრიალა.

დაბნეულმა უინფილდმა ხელი ჩასარეცხს ჩამოჰკრა. წყალი დგაფუნით წამოვიდა და რუთი უნიტაზიდან ელდანაკრავივით წამოხტა. და-ძმა ოთახის შუაში იდგა და უნიტაზს უცქერდა. წყალი ისევ დგაფუნობდა.

— შენ გატეხე, დაგინახე, რო გატეხე.

— არა, არ გამიტეხია, მართლა არ გამიტეხია.

— დაგინახე. კარგ რამეებთან ახლოსაც არ მიიშვები.

უინფილდმა თავი ჩაქინდრა. მერე ცრემლიანი თვალებით რუთს შეხედა. ნიკაპი უცახცახებდა. რუთმა მაშინვე უკან დაიხია.

— ნუ გეშინია, არავის ვეტყვი. ვითომ გატეხილი იყო და, საერთოდ, აქ არც ვყოფილვართ. — წინ გაუძღვა და შენობიდან გავიდნენ.

მთებიდან მზემ გადმოიხედა და ხუთი სანიტარული შენობის რკინის სახურავები, ნაცრისფერი კარვები და სუფთად დაგვილი შუკები გაანათა. ბანაკი იღვიძებდა. აქა-იქ, ნავთის ბიდონებისა და ლითონის ნაჭრებისგან შეკოწიწებულ ღუმელებში ცეცხლი აგიზგიზდა. ჰაერში კვამლის სურნელი დატრიალდა. კარვების კალთები გადაიხსნა და ხალხი ქუჩებში გამოვიდა.

ჯოუდების კარვის წინ დედა იდგა და ქუჩისკენ იყურებოდა. ბავშვები რომ დაინახა, სწრაფად წავიდა მათკენ.

— სად დადიხართ, რო ვიდარდებდი, არ იცოდით?

— აქაურობას ვათვალიერებდით, — უთხრა რუთმა.

— ტომი სად არი?

რუთმა დარბაისელი ქალის იერი მიიღო.

— დიახ, მემ, ტომმა გამაღვიძა და მთხოვა, შენთვის მეთქვა, — შეჩერდა, რომ სათქმელის მნიშვნელობა გაეძლიერებინა.

— რაო? — ჰკითხა დედამ.

— მთხოვა, შენთვის მეთქვა, — კიდევ შეჩერდა, ამჯერად უინფილდის რეაქცია აინტერესებდა.

დედამ ხელი მოუღერა.

— რაო?

— სამუშაო იშოვა, — სწრაფად თქვა რუთმა, — ეხლა სამუშაოზეა. — აწეულ ხელს შიშით შეხედა, მაგრამ ხელი დაეშვა, რუთს მისწვდა, მიიზიდა, გულში ჩაიკრა და სწრაფად გაუშვა.

რუთი დაიბნა, მიწას ჩააშტერდა და თემა შეცვალა.

— იქ თეთრი ტუალეტები აქვთ.

— შიგნით შეხვედით? — ჰკითხა დედამ.

— მე და უინფილდი, — თქვა მან და მუხანათურად დაამატა, — უინფილდმა ერთი უნიტაზი გატეხა.

უინფილდს სახე აელეწა და რუთს გაბრაზებულმა შეხედა.

— მაგან ერთ უნიტაზში ჩააფსა, — თქვა გაბოროტებულმა.

დედა აფორიაქდა.

— აბა, ეხლა მითხარით, რა დააშავეთ? — სანიტარული შენობის კარში ძალით შეყარა, — რა გააკეთეთ? მაჩვენეთ.

რუთმა ხელი გაიშვირა.

— წყალი ჩხრიალებდა, გაჩერებულა.

— მაჩვენე, რა გააკეთე.

უინფილდი უხალისოდ მივიდა ტუალეტთან.

— მაგრა არ დამიჭერია, — თქვა მან, — უბრალოდ ხელი დავადე აი, აქ და... — წყალი ჩქეფით გადმოიღვარა. შეშინებული უინფილდი განზე გახტა.

დედამ თავი უკან გადააგდო და ხმამაღლა გაიცინა.

— ეგრე უნდა იყოს, ეგრე მუშაობს, რო მოისაქმებ, უნდა დააჭირო.

ბავშვებმა უვიცობით გამოწვეული სირცხვილი მძიმედ გადაიტანეს, გარეთ გავიდნენ და ქუჩას ქვევით დაუყვნენ. მალე შეჩერდნენ. გადაწყვიტეს, რომ ერთი დიდი ოჯახის საუზმის სამზადისისთვის ეცქირათ. დედამ თვალებით გააცილა, ხელსაბანთან მივიდა და ქაშანურის ხელსაბანს თითი მოატარა. წყალი მოუშვა, ნაკადს თითი შეუშვირა, მაგრამ წყალი ძალიან გაცხელდა და უცებ უკან წაიღო. ერთხანს ხელსაბანს უცქერდა, მერე ნიჟარა საცობით ჩაკეტა, ცხელი წყლის ონკანი მოუშვა, ნიჟარა შეავსო, ცივი წყლით გაანელა და სახე დაიბანა. სველი ხელით თმას რომ ივარცხნიდა, მის ზურგსუკან ბეტონის იატაკზე ნაბიჯების ხმა გაისმა. დედა სწრაფად შეტრიალდა. მოხუცი კაცი სამართლიანად გაოცებული უცქერდა.

— აქ რას აკეთებთ? — უხეშად ჰკითხა კაცმა.

დედამ ნერწყვი ჩაყლაპა, სველი ნიკაპიდან წყალი კაბაზე წურწურით ჩასდიოდა.

— არ ვიცოდი, მე მეგონა ხალხისთვის იყო, — მოიბოდიშა დედამ.

მოხუცმა შეუბღვირა.

— კაცებისთვის, — მკაცრად თქვა მოხუცმა, კარისკენ წავიდა და ხელი წარწერისკენ გაიშვირა:

— ვერ ხედავთ? გარკვევით წერია — კაცებისთვის.

— არა, არ დამინახავს, — თქვა შერცხვენილმა დედამ. — ქალების სად არის?

— ახალი ჩამოსული ხართ? — მოლბა კაცი.

— შუაღამისას ჩამოვედით.

— კომისიასთან არ გილაპარაკიათ?

— რა კომისიასთან?

— ქალების კომისიასთან.

— არა.

— მალე კომისია შემოგივლით და დაგაკვალიანებთ, ჩვენ ახალჩამოსულებზე ვზრუნავთ, — ამაყად უთხრა მოხუცმა, — ქალების ტუალეტი შენობის მეორე მხარესაა. იქითა მხარე თქვენია.

— თქვენ ამბობთ, რო კომისია ჩემს კარავში მოვა? — აფორიაქდა დედა.

— ძალიან მალე, — თავი დაუქნია მოხუცმა.

— მადლობა, — უთხრა დედამ და ლამის სირბილით გაემართა კარვისკენ.

— მა, — დაიყვირა დედამ, — ჯონ, ადექით! ელ, წადი, დაიბანე! — ელი ძილს თავს ვერ აღწევდა. — ყველანი ადექით! — ყვიროდა დედა, — პირი დაიბანეთ, თმა დაივარცხნეთ!

ფერდაკარგული ძია ჯონი თავს ცუდად გრძნობდა. ნიკაპი დალილავებული ჰქონდა.

— რა ამბავია? — იკითხა მამამ.

— კომისია! — დაიყვირა დედამ, — ქალების კომისია მოდის ჩვენ სანახავად. ადექით, დაიბანეთ! სანამ ჩვენ აქ ვხვრინავდით, ტომს სამუშაო უშოვია. ჩქარა ადექით!

კარვიდან მოთენთილები გავიდნენ. ძია ჯონი ბარბაცებდა, სახეზე ეტყობოდა, რომ ტკივილთან გამკლავებას ცდილობდა.

— აი, იმ სახლში შედით და დაიბანეთ, — ბრძანება გასცა დედამ, — სწრაფად უნდა ვისაუზმოთ, რო კომისიას მზად დავხვდეთ, — დედამ ბანაკის ფარდულიდან დაჩეხილი შეშა მოიტანა, ცეცხლის გაჩაღება წამოიწყო, ჯამ-ჭურჭელი ამოაწყო. — სიმინდის კვერები და საწებელი, — თავისთვის ჩაილაპარაკა დედამ, — მალე მომზადდება, — რუთი და უინფილდი გაოცებულები უცქერდნენ.

ბანაკის თავზე დილის კოცონების კვამლი დატრიალდა, ყველა მხრიდან ხალხის საუბრის ხმა ისმოდა.

კარვიდან თმაგაჩეჩილი, ნახევრად მძინარი შარონი გამოძვრა. დედა სიმინდის ფქვილს მუჭით რწყავდა. თავი ასწია და შარონის დაჭმუჭნილ კაბასა და დაუვარცხნელ თმას შეხედა, — წადი და გასუფთავდი, — სწრაფად შეაგება დედამ. — დაიბანე, სუფთა კაბა ჩაიცვი — გაგირეცხე — თმა დაივარცხნე, თვალებიდან წირპლი მოიშორე. — დედა აღელვებული ჩანდა.

— კარგად არ ვარ, კონი მენატრება, კონის გარეშე არაფერი მინდა, — უგუნებოდ თქვა შარონმა.

დედა შარონისკენ შებრუნდა, ხელები სიმინდის ფქვილში ჰქონდა ამოგანგლული.

— შარონ, — უთხრა მკაცრად, — ცოტა ჭკუაზე მოდი, გეყოფა გლოვა. ქალების კომისია მოდის, ესეთი ჭუჭყიანები ხო არ დავხვდებით.

— გავიგე, მაგრამ ცუდად ვარ.

— წადი, — უთხრა დედამ, — ზოგჯერ ისეც ხდება, როგორ ცუდადაც არ უნდა იყო, არ უნდა გაამხილო.

— ეხლა ვაღებინებ, — წაიკნავლა შარონმა.

— გადი გვერდზე და აღებინე, რა არის გასაკვირი, აღებინე და წადი, თავი მოიწესრიგე, ფეხები დაიბანე და ფეხსაცმელი

ჩაიცვი, — სამუშაოს მიუბრუნდა, — თმა ჩაიწანი, — დაამატა მან.

ცეცხლზე შემოდგმულ ტაფაში ცხიმი რომ აშიშხინდა, დედამ კოვზით ცომი ჩაუშვა. მერე ქვაბში ფქვილი ჩაყარა, ცხიმი შეუზავა, მარილი და წყალი დაამატა და საწებელს მოურია. კონსერვის ქილაში ყავამ ამოიწია, საამო სურნელი დატრიალდა.

მამა სანიტარული შენობიდან რომ დაბრუნდა, დედამ კრიტიკული თვალი შეავლო.

— მაშ ტომმა სამუშაო იშოვა, არა? — ჰკითხა მამამ.

— დიახ, სერ, სანამ ჩვენ გვეძინა. იმ ყუთიდან სუფთა შარვალი და პერანგი ამოიღე და ჩაიცვი. მა, მე ძალიან ბევრი საქმე მაქ და რუთს და უინფილდს შენ მიხედე. ცხელი წყალი მოდის, ყურები გაუწმინდე, კისერი კარგად გაუხეხე, ისე, რო სუ ლაპლაპი დაიწყონ.

— რა მოგივიდა, დე? რამ აგაფორიაქა?

— დროა, რო წესიერად ვიცხოვროთ, რა უნდა გვექნა, სუ დავწანწალებდით. ეხლა ვინ გვიშლის? ჭუჭყიანი შარვალი კარავში დატოვე, მერე გავრეცხავ.

მამა კარავში შევიდა და მალე გახუნებულ სუფთა შარვალსა და პერანგში გამოწყობილი გამოვიდა, დაბნეულ, შეშინებულ ბავშვებს წინ გაუძღვა და სანიტარული შენობისკენ წაიყვანა. დედამ მიაძახა:

— ყურები კარგად გამოუწმინდე.

ძია ჯონი კაცების ტუალეტის კართან მივიდა. ჯერ უკან მიიხედა, მერე შევიდა და ხელებში თავჩარგული დიდხანს იჯდა უნიტაზზე.

დედას ერთი ტაფა კვერები უკვე ამოეწყო და ცხიმში ახლიდან დებდა ცომს. უეცრად მიწას ჩრდილი დაეცა. დედა შეტ-

რიალდა. მის უკან თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი, პალოსავით გამხდარი ჩია კაცი იდგა. კაცს გარუჯული, ნაოჭებით დაღარული სახე და მხიარული თვალები ჰქონდა, სუფთა თეთრი ტანსაცმელი ნაკერებში გამოძენძოდა. დედას გაუღიმა.

— დილა მშვიდობისა.

დედამ თეთრი ტანსაცმელი შეათვალიერა, უნდობლობამ სახე გაუმკაცრა.

— დილა მშვიდობისა.

— თქვენ მისის ჯოუდი ხართ?

— დიახ.

— ბანაკის მმართველი ვარ, ჯიმ როული. უბრალოდ შემოგიარეთ, ხო ყველაფერი კარგად არი? რამე ხო არ გჭირდებათ?

დედა ეჭვის თვალით აკვირდებოდა.

— ყველაფერი გვაქ.

— თქვენ რო ჩამოხვედით, მეძინა. კიდე კაი, ადგილი გვქონდა თქვენთვის — თბილი ხმით საუბრობდა.

— ძალიან კარგია. განსაკუთრებით სამრეცხაო.

— ჯერ სადა ხართ! უნდა ნახოთ ქალები რეცხვას რო დაიწყებენ... ეხლა მალე გამოვლენ, სუ სიმღერ-სიმღერით რეცხავენ ხოლმე. გუშინ რა გააკეთეს იცით? გუნდურად იმღერეს. ჰიმნებს მღეროდნენ და თან სარეცხს ჭიჭყნიდნენ. მართლა კაი მოსასმენი იყო.

დედას სახიდან უნდობლობა გაქრა.

— კარგი იქნებოდა. უფროსი თქვენ ხართ?

— არა, აქ უფროსობა ძნელია. ხალხი თითონ უვლის ბანაკს. სისუფთავეს იცავენ, რა ვიცი, ყველაფერს აკეთებენ.

ესეთი ხალხი არც მინახავს. საერთო ოთახში ტანსაცმელს კერავენ. სათამაშოებს აკეთებენ.

დედამ ჭუჭყიან კაბაზე დაიხედა.

— ჯერ ვერ მოვწესრიგდით, ძნელია მგზავრობის დროს სისუფთავის დაცვა.

— მე არ ვიცი? — ჰაერი შეისუნთქა, — თქვენ ყავას ასდის ესეთი კაი სუნი?

— ჰო, კარგია, გარეთ კიდე უფრო კარგი ეჩვენება კაცს. — ღიმილით თქვა დედამ და სიამაყით დაამატა:

— დიდ პატივს დაგვდებთ, ჩვენთან თუ ისაუზმებთ.

ჩია კაცი ცეცხლთან ჩაცუცქდა. დედა საბოლოოდ მოლბა.

— მოხარული ვიქნები. მართალია, ისეთი არაფერი გვაქ, მაგრამ კეთილი გულით გეპატიჟებით.

ჩიამ დედას გაუღიმა.

— უკვე ვისაუზმე, მაგრამ ყავას ისეთი სუნი აქ, რო უარს ვერ გეტყვით.

— ეხლავე, ეხლავე.

— ნუ ჩქარობთ, — უთხრა ჩიამ.

დედამ კონსერვის ქილიდან ყავა თუნუქის ჭიქაში ჩამოასხა.

— შაქარი ჯერ არ გვიყიდია. იქნებ დღეს ვიყიდოთ. შაქრიანი თუ გიყვართ, არ მოგეწონებათ.

— შაქარს არ ვიყრი, ყავას გემოს უფუჭებს.

— ცოტა არ აწყენდა, მაგრამ... — თქვა დედამ. ჩია კაცს თვალს არ აშორებდა, ყურადღებით აკვირდებოდა. — როგორ მოუშვა ასე ახლოს? ცდილობდა ფარული მიზეზი ამოეცნო, მაგრამ მის სახეში კეთილგანწყობის მეტი ვერაფერი ამოიკითხა. შემდეგ მისი პერანგის გაძენძილ ნაკერებს შეხედა და საბოლოოდ დამშვიდდა.

ჩიამ ყავა მოწრუპა.

— ქალები ალბათ მალე შემოივლიან.

— ცოტა მოწესრიგება რო მოგვესწრო და მერე...

— ძალიან კარგად ესმით ყველაფერი, რო ჩამოვიდნენ თითონაც ესე არ იყვნენ? — თქვა ბანაკის მმართველმა. — იმიტომაც მუშაობენ კარგად, რო ყველაფერი ესმით. — ყავის სმა დაამთავრა და წამოდგა.

— კარგი, უნდა წავიდე. რამე თუ დაგჭირდეთ, ოფისში შემოიარეთ. სუ იქა ვარ. მადლობა, — თავისი ჭიქა ყუთზე სხვა ჭიქებს მიუდგა, დედას ხელი დაუქნია და ქუჩას დაუყვა. მიდიოდა და შემხვდურებს ესალმებოდა, ებაასებოდა.

დედას ტირილი მოუნდა, მაგრამ ცრემლს გზა არ მისცა.

მამა და ბავშვები სანიტარული შენობიდან დაბრუნდნენ. პატარებს თვალები ისევ ცრემლიანი ჰქონდათ. ალაპლაპებული სახეებით მორჩილად მოაბიჯებდნენ. უინფილდს ცხვირის წვერიდან მზისგან აქერცლილი კანი მოშორებოდა

— აჰა, ჭუჭყი და კიდე ორი პირი ტყავი გავაძრე. კინაღამ მაგრა გავტყიპე, არ ჩერდებოდნენ.

დედამ ბავშვები აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— უჰ, რა ლამაზები არიან, — თქვა დედამ, — მოდით, კვერები და საწებელი ჭამეთ. იჩქარეთ, უნდა ავალაგო და კარავი მოვაწესრიგო.

მამამ თავისთვის და ბავშვებისათვის თეფშები დააწყო.

— ხო არ იცი, სად დაიწყო ტომმა მუშაობა?

— არ ვიცი.

— ესე იგი, ჩვენც ვიშოვით რამეს.

აღტაცებული ელი კარავს მიუახლოვდა.

— აუჰ, ეს რა ადგილას მოვედით! — კვერი გადაიღო და ყავა დაისხა, — ერთი კაცი იცით რას აკეთებს? აი, იქ, კარვების

უკან, საცხოვრებელ მისაბმელს აგებს, შიგ ყველაფერი ექნება, საწოლი, ღუმელი... შედი და შეირგე, გინდა, წადი, გინდა, გააჩერე. თავს ადამიანად გრძნობ!

— მე პატარა სახლი მირჩევნია, როგორც კი შევძლებთ, პატარა სახლი მოვძებნოთ, — თქვა დედამ.

— ელ, რო ვისაუზმებთ, მანქანა გამოიყვანე; მე, შენ და ძია ჯონი სამუშაოს საძებნელად გავიდეთ.

— გავიდეთ, — თქვა ელმა, — რა მოხდება, სადმე გარაჟში იყოს ადგილი. უჰ, როგორ მინდა! ჩემთვის ერთ ძველ „ფორდს“ ვიყიდი, ყვითლად შევღებავ და ჰერიიიი! შემოვივლი ქვეყანას! ქვევით ერთი ლამაზი გოგო დავინახე, თვალი ჩავუკარი. აუჰ, რა ლამაზი იყო!

— ჯერ სამუშაო იშოვე და მერე დაუწყე ქალებს კურკური, — მკაცრად უთხრა მამამ.

ძია ჯონი ტუალეტიდან კარვისკენ მიდიოდა. დედამ შეხედა და სახე მოეღუშა.

— არ დაგიბანია — საყვედური წამოიწყო დედამ, მაგრამ ძია ჯონი ძალიან ცუდად გამოიყურებოდა, მოწყენილ სახეზე აშკარად ეტყობოდა, რომ ავად იყო.

— კარავში შედი და დაწექი, ავად ხარ.

— არა, — უპასუხა მან, — ცოდვა ჩავიდინე და უნდა დავისაჯო, — უბედური სახით ჩაცუცქდა და ყავა დაისხა.

დედამ ტაფიდან დარჩენილი კვერები გადმოიღო და სხვა-თაშორის თქვა:

— ბანაკის მმართველმა შემოიარა, ცოტა ხანს დარჩა და ყავა დალია.

მამამ ნელა ასწია თვალები.

— მართლა? რა უნდოდა?

— ისე, უბრალოდ, შემოიარა. ვისაუბრეთ, ყავა დავლიეთ, — თავმომწონედ თქვა დედამ, — ასეთი კარგი ყავა იშვიათად დამილევიაო, ესე მითხრა.

— რა უნდოდა? — კითხვა გაიმეორა მამამ.

— არაფერი, აინტერესებდა, როგორ მოვეწყეთ.

— არ მჯერა, — გაბრაზდა მამა, — ალბათ დასუნსულებს და ყნოსავს აქაურობას.

— არ არი ეგრე! — წამოიყვირა დედამ, — ძალიან კარგად ვხვდები, ვინ რა არი!

მამამ ყავის ნალექი მიწაზე დაღვარა.

— ეგრე ნუღარ ღვრი, — ხო ხედავ, აქ სისუფთავეს იცავენ.

— ისე ნუ იზამ, რო ამ სისუფთავეში კაცს აღარ ეცხოვრებოდეს, — ეჭვიანობა დაეტყო მამას, — ელ, ცოტა ჩქარა, უნდა გავიდეთ.

ელმა პირი ხელით მოიწმინდა.

— მე მზად ვარ.

მამა ძია ჯონს მიუბრუნდა.

— შენ მოდიხარ?

— მოვდივარ.

— რაღაც კარგად ვერ გამოიყურები.

— კარგად არა ვარ, მაგრამ მოვდივარ.

ელი კაბინაში ავიდა

— საწვავი უნდა ვიყიდოთ, — მანქანა დაქოქა. მამა და ძია ჯონი გვერდით მიუსხდნენ და სატვირთო დაიძრა.

დედამ თვალებით გააცილა. მერე სათლი აიღო და სანიტარული შენობიდან ცხელი წყალი გამოიტანა. შარონის ვარდი რომ დაბრუნდა, დედა ჭურჭელს რეცხავდა.

— შენი საუზმე თეფშზეა, — უთხრა დედამ და გოგონა დაკვირვებით შეათვალიერა. სველი, დავარცხნილი თმიდან

წყლის წვეთები სცვიოდა, სახე ვარდისფრად უბრწყინავდა, თეთრი ყვავილებით მოჩითული ცისფერი კაბა და ქორწილისთვის შეძენილი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა. დედას მზერა იგრძნო და სახე შეეფაკლა.

— გიბანავია, — უთხრა დედამ.

— იქ რო ვიყავი, ერთი ქალი შემოვიდა და დავინახე, რას აკეთებდა, მერე მეც ისე გავაკეთე. იცი, როგორ უნდა? იმ ფარდულივით რაღაცაში შედიხარ, ონკანს ატრიალებ და წყალი თავზე გესხმება. გინდა ცივი მოუშვი და გინდა ცხელი.

— მეც ვიბანავებ! — წამოიძახა დედამ, — აი, აქ ავალაგებ და ამიხსენი, როგორ უნდა.

— ყოველდღე ვიბანავებ, — თქვა გოგონამ. — მართლა, იმ ქალმა დაინახა, რო ორსულად ვარ და იცი, რა მითხრა? აქ ყოველ კვირა მომვლელი ქალი დადის, იმასთან მიდი და დაგარიგებს, რა უნდა გააკეთო, რო ბავშვი ჯანმრთელი და ძლიერი დაიბადოსო. აქ ყველა ქალი ეგრე იქცევაო. მეც მინდა იმ ქალის ნახვა. — სიტყვები თავისით მორაკრაკებდნენ. — და იცი, რა? წინა კვირას თურმე ბავშვი დაიბადა და მთელ ბანაკს ზეიმი მოუწყვია, ბავშვისთვის ქვეყნის ტანსაცმელი და რაღაცები უჩუქებიათ, მოწნული საბავშვო ეტლიც კი. ახალი არ იყოო, მაგრამ ვარდისფრად შეუღებიათ და ახალთახალი გეგონებოდა, სახელიც ყველას ერთად აურჩევია, ნამცხვარი გამოუცხვიათ, ღმერთო! — როგორღაც სუნთქვა დაიოკა და გაჩუმდა.

— მადლობა ღმერთს, ჩვენიანებთან მოვედით. ეხლა მეც ვიბანავებ.

— ჰო, აუცილებლად, — უთხრა შარონმა.

დედა თუნუქის თეფშებს ამშრალებდა და ერთმანეთზე აწყობდა, თან შეუჩერებლად ლაპარაკობდა.

— ჩვენ ჯოუდები ვართ, ვერ დაგვაჩოქებენ. პაპაშენის პაპა რევოლუციის დროს იბრძოდა. ფერმერები ვიყავით, სანამ ყელამდე ჩავეფლობოდით ვალებში. მერე იმ ხალხმა რაღაცა დაგვმართა, რამდენჯერაც მოვიდოდნენ, მეგონა, რო მცემდნენ, ყველას გვცემდნენ და ნიდლსში იმ პოლიციელმა... არ ვიცი, ისე გამაბოროტა, რო ჩემი თავის შემრცხვა. ეხლა აღარ მრცხვენია. ჩვენიანებთან ვართ. ის მმართველი რო მოვიდა, ჩვეულებრივად დაჯდა, ყავას სვამდა და თან მეკითხებოდა, მისის ჯოუდ, როგორ იმგზავრეთ? მისის ჯოუდ, როგორ მოეწყეთ? და თავი ისევ ადამიანად ვიგრძენი, — თეფშების წყებას კიდევ ერთი დაამატა, კარავში შევიდა, ტანსაცმლის ყუთიდან სუფთა კაბა და ფეხსაცმელი ამოიღო, ქაღალდში გამოხვეული საყურეებიც იპოვა. შარონს რომ ჩაუარა, სიტყვა დაუგდო: — ქალების კომისია თუ მოვიდა, უთხარი, რო მალე დავბრუნდები. — და სანიტარული შენობის კუთხეს მოეფარა.

შარონის ვარდი ყუთზე მძიმედ დაეშვა და თავის საქორწინო ფეხსაცმელს დააცქერდა. შავი ლაქის ფეხსაცმელებს შავი ნაჭრის ბაფთები ამშვენებდა. ცხვირის წვეტები თითით გადაიწმინდა და მერე ქვედაკაბის უკუღმა მხარეს გაუსვა. წინ წამოზრდილი მუცელი დიდხანს დახრის ნებას არ აძლევდა, გაიმართა, ხელით მუცელი მოისინჯა და გაიღიმა.

გზაზე ჩასუქებული ქალი გამოჩნდა. სამრეცხაოში ჭუჭყიანი ტანსაცმლით სავსე ვაშლის ყუთს მიათრევდა. გარუჯული სახე, შავი თვალები და დაძაბული მზერა ჰქონდა. ბამბის ქსოვილის კაბაზე ჯვალოს ფართო წინსაფარი ეკეთა, ფეხზე კაცის „ოქსფორდები“ ეცვა. დაინახა, რომ შარონმა გაიღიმა და მუცელზე ხელი გადაისვა.

— აბა! — დაიყვირა ქალმა და ზედ კმაყოფილი სიცილი დააყოლა, — რას ფიქრობ, ბიჭია თუ გოგო?

შარონის ვარდი გაწითლდა, თავი დახარა, მერე თვალები ზევით ასწია და ქალის პატარა მბზინავ თვალებს წააწყდა.

— არ ვიცი, — წაიბუტბუტა შარონმა.

ქალმა ყუთი მიწაზე დააგდო.

— მაინც, შენ რომელი გირჩევნია? — ქათამივით აკრიახდა ქალი.

— არ ვიცი, ბიჭი, ალბათ.

— ეხლა ჩამოხვედით, არა?

— წუხელ.

— დარჩენას აპირებთ?

— თუ სამუშაოს ვიშოვით.

ქალს სახეზე ჩრდილმა გადაურბინა. შავი თვალები ბოროტულად აუელვარდა.

— თუ სამუშაოს ვიშოვით — ყველა ამას ვამბობთ.

— ჩემმა ძმამ უკვე იშოვა.

— მართლა? ალბათ იღბლიანები ხართ. ფრთხილად იყავით, იღბლის ნდობა არ შეიძლება, — შარონთან ძალიან ახლოს მივიდა — შენი იღბალი შენი წესიერებაა, წესიერად მოიქეცი, თუ სცოდავ, მერე ნახე, მაგ ბავშვს რა დაემართება, — შარონის წინ ჩაცუცქდა, — აქ სამარცხვინო რამეები ხდება, — პირქუშად თქვა მან, — ყოველ შაბათს ცეკვები იმართება, ხო არ გგონია, რო მარტო კადრილს ცეკვავენ? არა, ერთმანეთს ხელებს ხვევენ და ტანზე იხუტებენ, ჩემი თვალით მაქ ნანახი.

— მე კადრილის ცეკვა მიყვარს, — ფრთხილად დაიწყო შარონმა და სათნო სახით დაამატა — ეგ მეორე არასდროს მიცეკვია.

— სხვები ცეკვავენ, — გარუჯულმა თავი დააქნია და ბოღმიანად ამოანთხია, — ცეკვავენ და არც იფიქრო, რო ღმერთი აპატიებს, არა, არასდროს!

— არ ვფიქრობ, მემ, — ხმადაბლა თქვა გოგონამ.

ქალმა გარუჯული, დანაოჭებული ხელი შარონს მუხლზე დაადო, შარონი შეკრთა, — მე შენ გაფრთხილებ, ღმერთის მადიდებლები ცოტანი დარჩნენ. იმის მაგივრად რო საეკლესიო ჰიმნები იმღერონ, შაბათობით ერთმანეთს ეწეპებიან და ტრიალებენ. შორიდან დავინახე. ახლოს არ ვეკარები და არც ჩემ ოჯახს ვუშვებ, — ცოტა ხანს შეჩერდა, რომ იმისთვის, რასაც იტყოდა, ხაზი გაესვა და შემდეგ ჩახლეჩილი ხმით დაამატა, — უფრო მეტიც, პიესებს დგამენ! — ოდნავ უკან დაიხია და თავი გვერდზე გადააგდო, რომ უკეთ დაენახა, როგორ მიიღებდა შარონის ვარდი მისთვის გამხელილ ამ თავზარდამცემ ამბავს.

— მსახიობები? — გაიოცა შარონმა.

— არა, ეგ დაწყევლილები არა, ჩვენი ხალხი, ჩვენი პატარა გოგო-ბიჭები აიყოლიეს, ჯერ რო არაფერი გაეგებათ და აიძულეს, რო სცენაზე მანჭვა-გრეხა დაეწყოთ, ვითომ მსახიობები იყვნენ. ახლოს არ მივკარებივარ, მაგრამ გავიგონე, რასაც აკეთებდნენ. იმ ღამეს ნამდვილად ეშმაკი დასეირნობდა ჩვენ ბანაკში.

შარონის ვარდი პირდაფჩენილი უსმენდა.

— ერთხელ სკოლაში ჩვილ იესოზე დავდგით საშობაო პიესა.

— ვერ ვიტყვი, ცუდია თუ კარგი. ბევრი პატივსაცემი ხალხი ამბობს, ჩვილ იესოზე შეიძლებაო. მე პირდაპირ ესე ვერ ვიტყვი... მაგრამ რაც აქ დადგეს, ჩვილ იესოზე კი არ იყო... ისეთი ცოდვა და ტყუილი დაატრიალეს, ნამდვილად ეშმაკი კარნახობდა. ხალხს აჯერებდნენ, რო ისინი იყვნენ, ვინც სინამდვილეში არ იყვნენ, იმანჭებოდნენ და იბრიცებოდნენ, ერთმანეთს ეწეპებოდნენ და ვითომ ცეკვავდნენ.

შარონმა ამოიოხრა.

— ერთი და ორი კი არ იყო, — განაგრძო გარუჯულმა ქალმა, — ისე წავიდა საქმე, რო ეხლა თითებზე ჩამოსათვლელი დარჩა ღრმად მორწმუნე ხალხი. არ იფიქრო, რო ურწმუნოებს შერჩებათ, არა! ღმერთი ყველა ცოდვას იმახსოვრებს, იწერს და გვაკვირდება. ორი უკვე ამხილა. მეც ყველას ვაკვირდები.

— ამხილა? — ამოიხვნეშა შარონმა.

გარუჯულმა ხმას აუწია.

— მე შევესწარი, გოგო შენსავით ორსულად იყო. პიესაში თამაშობდა, ბიჭთან ჩახუტებული ცეკვავდა და — ცივი, ავისმომასწავებელი ხმით განაგრძო — გახდა, გაძვალტყავდა და მკვდარი დაბადა.

— ღმერთო, მიშველე! — გოგონა გაფითრდა.

— ჰო, სისხლში მოთხვრილი მკვდარი ბავშვი დაბადა. რასაკვირველია, მისთვის ხმა აღარავის გაუცია და აქედან წასვლა მოუხდა. ესეა, ცოდვას თუ არ აირიდებ, დაისჯები! კიდე ერთი იყო, იმისნაირი, ისიც გახდა და გაძვალტყავდა, და იცი რა მოხდა? ერთ ღამეს სადღაც წავიდა, ორ დღეში დაბრუნდა და სტუმრად ვიყავიო, თქვა. მაგრამ მუცელი აღარ ჰქონდა. იცი, მე რა მგონია? მმართველმა წაიყვანა და ბავშვი სადღაც დააგდეს. მმართველიც ეგეთია, ურწმუნო, ცოდვის არ ეშინია. რას ამბობს, იცი? ცოდვა ის არი, კაცს რო შიაო და სცივაო. სად არი ღმერთი, რაღაც ვერ ვხედავო. ის გოგოებიც იმიტო გახდნენ, რო საჭმელი არ ჰქონდათ და სად ურევია ღმერთის ხელი, ერთი მითხარიო. ავდექი და მაგრა გამოვლანძღე, — ქალი წამოდგა, თვალებიდან ცეცხლს აკვესებდა. საჩვენებელი თითი გაშალა და შარონს ლამის თვალში ატაკა — შორს ჩემგან! — ვუთხარი, — ვიცოდი, რო ამ ბანაკში ეშმაკი ბუდობ-

და და ეხლა ვიცი, რო შენ ხარ ეშმაკი-მეთქი, განვედ, სატანას და დიდება უფალს! უკან დაიხია, შეშინებული ცახცახებდა და მეხვეწებოდა, გთხოვ, თავი დაანებე ხალხს, თავს უბედურად ნუ აგრძნობინებო. უბედურად? იმათ სულებზე, მკვდარ ბავშვებზე ან იმ ცოდვილებზე, სცენაზე რო თამაშობენ, რას იტყვი-მეთქი. შემხედა, უაზროდ გაიღიმა და წავიდა. ძაან კარგად იცის, რო ღმერთის სახელით ვმოქმედებ. კიდევაც ვუთხარი, მე აქ ღმერთს ვეხმარები და ცოდვილებს თვალყურს ვადევნებ-მეთქი, — ჭუჭყიანი ტანსაცმლით სავსე ყუთი აიღო, — მე გაგაფრთხილე. ცოდვისგან თავი შორს დაიჭირე და მაგ საწყალ ბავშვს, მუცელში რო გყავს, ხიფათი აარიდე. — თქვა მან, მედიდურად, სათნოებით სავსე თვალებით გაიღიმა და წავიდა.

შარონის ვარდმა თვალი გააყოლა, შემდეგ თავი ხელებში ჩარგო და აქვითინდა. ამ დროს ხმადაბალი ლაპარაკი შემოესმა, შარონმა მიიხედა და შერცხვა. მის უკან თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი ჩია მმართველი იდგა.

— ნუ წუხართ, — უთხრა მან, — ნუ წუხართ.

შარონს ცრემლი ღაპა-ღუპით სცვიოდა.

— ვცოდე, ვცოდე, ჩახუტებულს მიცეკვია, უბრალოდ, ვერ ვუთხარი, — ტიროდა შარონი, — სალისოში კონისთან ვიცეკვე.

— არა უშავს, ნუ დარდობთ.

— ამბობს, რო ბავშვი მომიკვდება.

— ვიცი, რასაც ამბობს, სუ თვალს ვადევნებ. თითქოს ცუდი ქალი არ არი, მაგრამ ხალხისთვის უბედურება მოაქ.

შარონმა ცხვირი ხმაურით მოიხოცა.

— თურმე ორ გოგოს იცნობდა, რომლებსაც ამ ბანაკში მოუკვდათ ბავშვები.

მმართველი შარონის წინ ჩაცუცქდა.

— მისმინეთ, იმათ მეც ვიცნობდი, იცით რატო დაემართათ ესე? მშივრები იყვნენ, შრომით დაქანცულები და კიდე, სატვირთოთი ოღროჩოღრო გზებზე დადიოდნენ. დაავადდნენ, იმათი ბრალი არ იყო.

— მაგრამ იმან თქვა, რო..

— ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ოღონდ ხალხი გაამწაროს და რას არ ამბობს.

— თქვენზე თქვა ეშმაკიაო.

— ვიცი, იმიტო რო ხელს ვუშლი ხალხის გამწარებაში, — მხარზე ხელი გადაუსვა, — ნუ დარდობთ, იმან არაფერი იცის. — თქვა და სწრაფად გაეცალა იქაურობას.

შარონმა თვალი გააყოლა. ჩია ნაბიჯებს გამხდარი ბეჭების მოძრაობას აყოლებდა. შარონი ჯერ კიდევ ჩიას უცქერდა, დედა რომ დაბრუნდა; სისუფთავისგან ვარდისფრად ანათებდა, თმა დაევარცხნა და უკან შეეკრა. ჭრელი კაბა და დაბრეცილი ფეხსაცმელი ეცვა. ყურებზე პატარა საყურეები ჩამოეკონწიალებინა.

— ვიბანავე. — თქვა მან, — დავდექი და თბილი წყალი ჩქეფით გადმოვიდა. იქ ერთი ქალი იყო და ესე თქვა, თუ გინდა, ყოველდღე იბანავეო. კომისია ჯერ არ მოსულა?

— უუჰ! — თქვა შარონმა.

— იჯექი და კარავი არ მიალაგე. არა? — დედა ლაპარაკობდა და თან თუნუქის თეფშებს ალაგებდა. — უნდა მოვწესრიგდეთ, მოდი, დატრიალდი, ის ტომარა აიღე და მიწას მოუსვი, — თეფშები ყუთში ჩააწყო, ყუთი კარავში შეიტანა. — მიდი, ლოგინები მიალაგე. რა კარგი იყო თბილი წყალი, ესე არაფერი გამხარებია.

შარონი მექანიკურად ასრულებდა დავალებებს.

— დე, შეიძლება რო კონი დღეს დაბრუნდეს?

— ვერ გეტყვი, შეიძლება, რა ვიცი, აბა.

— ხო იცის, სად უნდა მოვიდეს?

— იცის, აბა რა.

— დე, იქნებ მოკლეს, ბანაკი რო გადაწვეს?

— არა, ვერ მოკლავდნენ. კურდღელივით სწრაფია და მელასავით ეშმაკი.

— ნეტა მოვიდეს და...

— თუ მოვა, მოვა.

— დე...

— საქმეს დაუბრუნდი.

— ცეკვა და პიესაში თამაში ისეთი ცოდვაა, რო ბავშვის მკვდრად დაბადება გამოიწვიოს?

დედამ სამუშაო შეწყვიტა და პირზე ხელი აიფარა.

— რას ამბობ? და პიესაში როდის ითამაშე?

— აქ უთამაშიათ და ერთმა გოგომ თურმე მკვდარი, სისხლში მოთხვრილი დაბადა, სასჯელი მიიღოო.

— ვინ გითხრა? — დედა გაოგნებული უცქერდა.

— ქალი იყო მოსული, მაგრამ იმ თეთრებში ჩაცმულმა კაცმა მითხრა, მიზეზი სხვა რამე იყოო.

დედამ წარბები შეკრა.

— შარონ, — თქვა დედამ, — მოეშვი შენი თავის გამწარებას. რატო გინდა რო იტირო? რა მოგდის? ჩვენი ოჯახი ყველა გასაჭირს უცრემლოდ ხვდებოდა. კონის ბრალია, თავი სისულელეებით გამოგიტენა, მარტო ტრაბახი იცოდა, — და მკაცრად დაამატა, — შარონ, შენ ერთი ხარ და გარშემო ათასგვარი ხალხია. მათ შორის შენ ადგილს უნდა მიაგნო. ბევრი ვიცი, რო მარტო საკუთარი ცოდვები ადარდებდათ, სანამ მიხვდებოდნენ, რო ღმერთისთვის ცარიელი ჩენჩოები იყვნენ.

— მაგრამ, დე...

— გაჩუმდი და საქმეს შეუდექი. არც ისეთი დიდი ვინმე ხარ და არც ისეთი დაცემული, რო ღმერთს ადარდებდე. ეხლა, იცოდე, ხელუკუღმა გაგილაწუნებ, თუ საკუთარი თავის წამებას არ შეეშვები. — ფერფლი ხვრელში ჩაყარა და გარშემო ქვები გაასუფთავა. კომისია მათკენ მოემართებოდა.

— საქმეს შეუდექი, ქალები მოდიან. საქმეს შეუდექი, რო სიამაყე მომემატოს. — გზისკენ აღარ გაუხედავს, მაგრამ იცოდა, ქალები უახლოვდებოდნენ. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეს კომისია იყო — სამი საგანგებოდ მოწესრიგებული, გატკიცინებულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი, ერთი გამხდარი, მოკლედ შეჭრილი თმითა და ლითონის ჩარჩოიანი სათვალით, მეორე პუტკუნა, თმახუჭუჭა, პატარა კოხტად მოყვანილი პირით, და მესამე მამონტივით ბუმბერაზი, ჩათქვირული ბარძაყებითა და დუნდულებით, დიდი მკერდით, საფორანე ცხენივით დაკუნთული, ძლიერი და თავის თავში დარწმუნებული. კომისია ჯოუდების კარავს ღირსეული იერით უახლოვდებოდა.

დედა ზურგით იდგა. ქალები შეჩერდნენ, დატრიალდნენ და ხაზზე გამწკრივდნენ. ბუმბერაზმა დაიქუხა:

— დილა მშვიდობისა, მისის ჯოუდ, ხო არ მეშლება?

დედა ისე სწრაფად შეტრიალდა, გეგონებოდათ, რაღაცას აშავებდა და წაასწრეს.

— დიახ, დიახ, ჩემი სახელი საიდან იცით?

— ჩვენ კომისია ვართ, — თქვა ბუმბერაზმა, — მეოთხე სანიტარული შენობის ქალების კომისია. თქვენი სახელი ოფისში გვითხრეს.

დედა აფორიაქდა.

— მოწესრიგება ვერ მოვასწარით. მობრძანდით, დაბრძანდით, ეხლავე ყავას მოვადუღებ, ჩემთვის დიდი პატივია.

კომისიის პუტკუნა წევრმა თქვა: — ჯესი, მისის ჯოუდს ჩვენი სახელები მოახსენე; ჯესი თავმჯდომარეა, — განმარტა მან.

ჯესიმ ოფიციალური ტონით განაცხადა:

— მისის ჯოუდ, გაიცანით, ენი ლიტელფილდი, ელა სამერსი და მე — ჯესი ბულიტი.

— მოხარული ვარ, — უპასუხა დედამ, — არ დაბრძანდებით? ყავას მოვადუღებ.

— ოჰ, არა, — თქვა ენიმ. — ნუ შეწუხდებით. მოვედით, გაგიცანით, გვინდა, რო თავი შინაურად იგრძნოთ.

— ენი, მადლობა, რო შემახსენეთ, მე ვარ თავმჯდომარე.

— რასაკვირველია, მაგრამ შემდეგ კვირას მე ვიქნები.

— მაშინ შემდეგ კვირამდე დაიცადე. ყოველ კვირას ვიცვლებით. — აუხსნა დედას.

— ყავას მართლა არ მიირთმევთ? — დაიბნა დედა.

— არა, გმადლობთ, — სადავე ჯესიმ აიღო, — სანიტარულ შენობას გაჩვენებთ და თუ გნებავთ, ქალების კლუბში ჩაგწერთ. დავალებასაც მოგცემთ. სავალდებულო არ არის, მაგრამ თუ მოისურვებთ...

— უნდა გადავიხადო? ძვირია?

— არაფერი არ უნდა გადაიხადოთ, უნდა იმუშაოთ და ხალხი რო გაგიცნობთ, იქნებ მერე კომისიაშიც შეგიყვანონ, — ჩაერია ენი, — აი, ჯესი მთელი ბანაკის კომისიის წევრია, მთავარი კომისიის წევრი.

ჯესი სიამაყით გაიბადრა.

— ერთსულოვნად ამირჩიეს, — თქვა მან, — ეხლა დროა, რო აგიხსნათ, ბანაკი როგორ მუშაობს.

— ეს ჩემი ქალიშვილია, შარონის ვარდი.

— გამარჯობა, — მიესალმნენ შარონს.

— კარგი იქნება, თუ თქვენც წამოხვალთ.

ჯესის თავი ღირსეულად ეჭირა, საუბრის დროს კეთილგანწყობილებას ამჟღავნებდა. ეტყობოდა, რომ მსგავსი ტექსტით ხშირად უწევდა ლაპარაკი.

— არ იფიქროთ, რო ცხვირს ვყოფთ თქვენს საქმეში, მისის ჯოუდ. ბანაკში ბევრი რამეა ისეთი, რასაც ყველა იყენებს. ჩვენ ჩვენი წესები გვაქვს. ახლა სანიტარულ შენობაში მივდივართ, რომლითაც ყველა სარგებლობს და ყველა უვლის, — სანიტარული შენობის იმ ნაწილთან მივიდნენ, სადაც სარეცხის ტაშტები იდგა, სულ ოცი, აქედან რვაში ქალები რეცხავდნენ, ბეტონის სუფთა იატაკზე სარეცხი დაეხვავებინათ. — შეგიძლიათ, როცა გნებავთ მაშინ ისარგებლოთ. მთავარი ის არი, რო სუფთად დატოვოთ.

ქალებმა ინტერესით შეხედეს.

— ეს მისის ჯოუდია, ეს შარონის ვარდი, ჩვენთან იცხოვრებენ.

ქალები ერთხმად მიესალმნენ, დედამ თავი დაუკრა და თქვა:

— მოხარული ვარ, ჩემთვის დიდი პატივია.

ჯესი კომისიას ტუალეტებისა და საშხაპეებისკენ გაუძღვა.

— აქ უკვე ვიყავი, შხაპი მივიღე, — თქვა დედამ.

— აბა რისთვის არი. აქაც იგივე წესი მოქმედებს, სისუფთავე უნდა დავიცვათ. ყოველ კვირას ახალი კომისია დგება და დღეში ერთხელ ყველაფერი სუფთავდება. ალბათ თქვენც შეხვალთ კომისიაში. თქვენი საპონი უნდა წამოიღოთ.

— ყიდვა მომიწევს, ყველაფერი დაგვიმთავრდა.

ჯესის ხმაში მოკრძალება გაისმა.

— ამ ადგილით უკვე ისარგებლეთ? — ჰკითხა მან და ტუალეტისკენ მიუთითა.

— დიახ, მემ, ამ დილას.

ჯესიმ ამოიხვნეშა.

— კარგია.

— გასულ კვირას...

ჯესიმ მკაცრად შეაწყვეტინა.

— მის სამერს, მე ვეტყვი.

ელამ უკან დაიხია.

— კარგი.

— გასულ კვირას, როგორც თავმჯდომარე, თქვენ ყვებოდით. ეხლა მე დამაცადეთ.

— უთხარით, რა გააკეთა ქალმა, — თქვა ელამ.

— ამ კომისიის საქმე ჭორაობა არ არი, მაგრამ სახელებს არ ვიტყვი. გასულ კვირას, სანამ კომისია დაელაპარაკებოდა, აქ ერთი ახალჩამოსული ქალი შემოვიდა და თავისი ქმრის შარვალი პირდაპირ უნიტაზში ჩააგდო გასარეცხად, თან ამბობდა, რა დაბალია, კაცი წელს გადაიმტვრევს, უფრო მაღალი ვერ გააკეთესო? — კომისიამ მრავალმნიშვნელოვნად გაიცინა.

ელა ისევ ჩაერია.

— ერთად ორ რამეს ვერ ჩადებო, ამბობდა, — თქვა ელამ და ჯესის მკაცრი მზერის ატანა მოუხდა.

— ტუალეტის ქაღალდთან დაკავშირებით სირთულეები გვაქ. გატანა არ შეიძლება. წესი ეგეთია. — ენა გააწკლაპუნა, — ტუალეტის ქაღალდისთვის მთელი ბანაკი აგროვებს ფულს, — შეჩერდა და ცოტა ხანში თქვა: — მეოთხე სანიტარული შენობა ყველაზე მეტ ქაღალდს მოიხმარს. შეკრებაზე პირდაპირ

ითქვა — მეოთხე სანიტარული შენობის ქალების ნაწილში ყველაზე მეტი ტუალეტის ქაღალდი იხარჯება.

დედა სუნთქვაშეკრული უსმენდა.

— იპარავენ? რისთვის?

— იგივე საკითხი ადრეც იდგა, — თქვა ჯესიმ, — მაგრამ მაშინ სამი პატარა გოგო თოჯინებს აკეთებდა და გამოვიჭირეთ. ამჯერად არ ვიცით, რაშია საქმე. რულონი დაკიდებული არ არი, რო გამქრალია. ამ საკითხზე შეხვედრაზეც ვისაუბრეთ. ერთმა ქალმა შემოგვთავაზა, პატარა ზარი დავკიდოთ, ყოველ დატრიალებაზე დარეკავს და გავარკვევთ, ვინ რამდენს ხმარობსო. არ ვიცი, პირდაპირ, მთელი კვირაა ამაზე ვფიქრობ. მეოთხე სანიტარული შენობიდან ვიღაც ტუალეტის ქაღალდს იპარავს.

უკნიდან საწყალობელი ხმა გაისმა.

— მისის ბულიტ, — კომისია კარისკენ შეტრიალდა, — გავიგონე, რასაც ამბობთ, — კარში ერთიანად აჭარხლებული ოფლიანი ქალი იდგა. — შეხვედრაზე ვერ მოვედი, მისის ბულიტ. შემრცხვა, დამცინებდნენ.

— რაზე ლაპარაკობთ? — ჯესიმ მისკენ გაიწია.

— ჩვენი ბრალია, მაგრამ არ ვიპარავთ, მისის ბულიტ.

ჯესი მიუახლოვდა. მომნანიებელს წითელ სახეზე ოფლის მსხვილი წვეთები ჩამოუგორდა.

— თავს ვერ ვიკავებდით, მისის ბულიტ.

— წესიერად თქვით, მეოთხე სანიტარული შენობა შერცხვენილია ტუალეტის ქაღალდის გამო.

— მთელი კვირაა, მისის ბულიტ, თავს ვერ ვიკავებთ. ხო იცით რო ხუთი გოგო მყავს.

— ტუალეტის ქაღალდი რად გინდოდათ? — ჯესის ხმაში მუქარა გაისმა.

— ვხმარობდით, ვფიცავ, უბრალოდ ვხმარობდით.

— ამდენს? ოთხი-ხუთი ფენა საკმარისია, გოგოებს რა დაემართათ?

მომნანიებელმა წაიკნავლა:

— ფაღარათი, ხუთივეს. ფული აღარ გვაქვს და მკვახე ყურძენს ჭამენ. ყოველ ათ წუთში ერთხელ მუცელი უვლით და გამორბიან, მაგრამ არ იპარავენ.

ჯესიმ ამოიოხრა.

— უნდა გეთქვათ, აუცილებლად უნდა გეთქვათ. მეოთხე სანიტარული შენობა შერცხვა იმიტო, რო არ თქვით. ფაღარათი ყველას შეიძლება დაემართოს.

საწყალობელმა ხმამ განაგრძო:

— რა ვქნა, არ ვიცი, მკვახე ყურძენს ჭამენ და სულ უფრო უარესად ხდებიან.

— სამედიცინო დახმარება უნდა მიიღონ, — აღმოხდა ელას.

— ელა სამერს, უკანასკნელად გაფრთხილებთ, თავმჯდომარე მე ვარ.

წითლად ალეწილ ქალს მიუბრუნდა.

— უფულოდ ხართ, მისის ჯოის?

— დიახ, — სირცხვილით თვალები დახარა, — მაგრამ სამუშაო ნებისმიერ დროს შეიძლება ვიშოვოთ.

— თავი მაღლა დაიჭირეთ, ეგ სირცხვილი არ არი, — უთხრა ჯესიმ, სასწრაფოდ უიდპეტჩის მაღაზიაში წადით და პროდუქტი აიღეთ, ბანაკს ოცი დოლარის კრედიტი აქვს, ხუთი დოლარის საჭმელი შეგიძლიათ იყიდოთ. მთავარ კომისიას მაშინ გადაუხდით, როცა სამუშაოს იშოვით. მისის ჯოის, ეს ხო იცოდით, — მკაცრად თქვა მან, — როგორ მიიყვანეთ თქვენი გოგოები შიმშილამდე.

— ქველმოქმედებით არასდროს გვისარგებლია, — თქვა მისის ჯოისმა.

— ეს ქველმოქმედება არ არი, — გაბრაზდა ჯესი. — ხო აგიხსენით, ამ ბანაკში ქველმოქმედებას არ ეწევიან. ეხლა სწრაფად წადით მაღაზიაში და ქვითარი მე ჩამაბარეთ.

— იქნებ ვერც ვიშოვოთ სამუშაო, იმდენი ხანია ვეძებთ, როგორ გადავიხადოთ? — მორცხვად თქვა მისის ჯოისმა.

— თუ შეძლებთ, გადაიხდი, თუ არადა, ჩვენ აღარ გვეხება და არც თქვენ, ერთი კაცი აქედან წავიდა და ფული ორი თვის შემდეგ გამოგზავნა. უფლება არ გაქვთ, რო ამ ბანაკში გოგოები აშიმშილოთ.

— დიახ, მემ, — მისის ჯოისი დამფრთხალი ჩანდა.

— ყველი წამოუღეთ გოგოებს, ფაღარათის დროს კარგია.

— დიახ, მემ, — და მისის ჯოისი გაუჩინარდა.

ჯესი გაბრაზებული მიუბრუნდა კომისიას.

— ამპარტავნობის უფლება არა აქ, რაში სჭირდება? თავისიანებთან ცხოვრობს.

— ახალი ჩამოსულია, იქნებ არ იცოდა, ან იქნებ ქველმოქმედება სხვა დროს უკვე გამოიყენა, და ნუ ეცდებით, რო შემაწყვეტინოთ, ჯესი, ლაპარაკის უფლება მეც მაქ. — დედასკენ შებრუნდა, — ერთხელაც რო მიიღო ქველმოქმედება, სამუდამო იარა გრჩება. აქ, ჩვენთან ქველმოქმედება არ არი, მაგრამ საერთოდ, ერთხელაც თუ ისარგებლებ, არასდროს დაგავიწყდება. ნაძლევს ვდებ, ჯესის არასდროს დასჭირვებია.

— მართალი ხარ, — თქვა ჯესიმ.

— მე დამჭირდა. გასულ ზამთარს შიმშილით კინაღამ დავიხოცეთ მე, მამა და პატარები. გადაუღებლად წვიმდა. ვიღაცამ გვითხრა, ხსნის არმიას მიაკითხეთო. — თვალები მრისხანედ დააბრიალა, — მშივრები ვიყავით და სადილი რომ ეჭმიათ,

ლამის იატაკზე გვახოხეს, ღირსება შეგვილახეს. ოჰ, როგორ მეზიზღებიან! იქნებ მისის ჯოისმაც ისარგებლა იმ ქველმოქმედებით, იქნებ არც იცის, რო აქ ქველმოქმედებას არ ვეწევით. მისის ჯოუდ, აქ იკრძალება ვინმესთვის რამეს მიცემა. თუ სურვილი გექნებათ, ბანაკს უნდა გადასცეთ და კომისია გაანაწილებს. აქ ქველმოქმედებას არ დავუშვებთ, — სიბრაზისგან ხმა უწყდებოდა. — ჩემი ქმარი არასდროს მინახავს დამცირებული და იმათ, ხსნის არმია რო ქვიათ, დაამცირეს.

— ჰო. ვიცი, — ხმადაბლა თქვა ჯესიმ, — მისის ჯოუდს აქაურობა უნდა დავათვალიერებინოთ.

— კარგი იქნებოდა, — თქვა დედამ.

— სამკერვალოში წავიდეთ, — თქვა ენიმ, — ორი საკერავი მანქანა გვაქ. ერთზე საბნებს კერავენ, მეორეზე კაბებს. შეიძლება იქ მუშაობაც მოგინდეთ.

როგორც კი დედას კომისიამ მიაკითხა, რუთი და უინფილდი სადღაც გაუჩინარდნენ.

— რო წავყვეთ და მოვუსმინოთ? — იკითხა უინფილდმა. რუთმა მკლავში ხელი წაავლო.

— არა, — თქვა მან, — მაგ დამპლების გამო გვაბანავეს, არ მინდა მაგათთან.

— ენა ხო მიუტანე დედას, ტუალეტი გატეხაო, ხოდა, ნახე, ეხლა მე რო ვეტყვი იმ ქალებს რა დაუძახე.

რუთს სახეზე შიშმა გადაკრა.

— არ უთხრა, მე იმიტო ვუთხარი, რო სინამდვილეში შენ არ გაგიტეხავს.

— აბა კი!

— მოდი, დავათვალიეროთ აქაურობა, — თქვა რუთმა.

კარვების რიგს ჩაუყვნენ. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ. ყოველ კარავთან ჩერდებოდნენ და შიგ მორცხვად იჭ-

ყიტებოდნენ. შუკის ბოლოს, ბრტყელ ადგილას, კროკეტის მოედანი მოეწყოთ. ექვსი ბავშვი მთელი გატაცებით თამაშობდა. კარვის წინ მოხუცი ქალი იჯდა და ბავშვებს თვალყურს ადევნებდა. რუთმა და უინფილდმა გულისფანცქალით მიირბინეს. — ჩავერთვებით, — დაიყვირა რუთმა, — გვათამაშეთ!

ბავშვებმა შეხედეს. პატარა აპრეხილნაწნავებიანმა გოგომ უპასუხა:

— შემდეგ თამაშში შემოგვიერთდით.

— ეხლა მინდა! — დაიყვირა რუთმა.

— არა, შემდეგ თამაშში.

რუთი მუქარით შეიჭრა მოედანზე.

— ვთამაშობ!

აპრეხილნაწნავებიანი თავის ხის ჩაქუჩს ჩაებღაუჭა. რუთი მივარდა, ხელი ჰკრა და ჩაქუჩი წაართვა. — გითხარი, რო ვთამაშობ-მეთქი, ვერ გაიგე? — გამარჯვებული სახით თქვა რუთმა.

მოხუცი წამოდგა და მოედანზე გავიდა. რუთმა განრისხებული თვალებით შეხედა, ჩაქუჩი ორივე ხელით ეჭირა.

— მიუშვი, ითამაშოს, ხო გახსოვს, რალფი რო მიუშვი, ისე, — თქვა მოხუცმა.

ბავშვებმა ჩაქუჩები მიწაზე დააწყვეს და მოედნიდან ჩუმად გაიკრიფნენ. მოშორებით დადგნენ და არაფრისმთქმელი თვალებით უცქერდნენ.

რუთმა ბურთს დაარტყა და გაეკიდა.

— მოდი, უინფილდ, ჩაქუჩი აიღე. — და გაოცებულმა პირი გააღო, რადგან უინფილდი ბავშვებს შეუერთდა და მათთან ერთად მშვიდად უცქერდა. რუთმა გამომწვევად დაარტყა ბურთს. ჰაერში მტვერი აიჭრა. თავი ისე ეჭირა, თითქოს ძა-

ლიან ერთობოდა. ბავშვები უხმოდ უცქერდნენ. რუთმა ორი ბურთი ერთად დადო და ორივეს ერთად დაარტყა. ბავშვებს ზურგი აქცია, მერე უეცრად ისევ მათკენ მიტრიალდა, ჩაქუჩით ხელში მიუახლოვდა და მბრძანებლურად უთხრა, — მოდით და ითამაშეთ! — ბავშვებმა ოდნავ უკან დაიხიეს. რუთმა ცოტა ხანს მოიცადა, შემდეგ ჩაქუჩი ძირს დააგდო და ატირებულმა სახლისკენ მოუსვა. ბავშვები მოედანზე დაბრუნდნენ. აპრეხილნაწნავებიანმა უინფილდს უთხრა, — შენ შემდეგ თამაშში შემოგვიერთდი. — მოხუცმა ბავშვები გააფრთხილა — თუ დაბრუნდება და წესიერად მოიქცევა, ათამაშეთ. ემი, შენც ესეთი იყავი, აღარ გახსოვს? — თამაში გაგრძელდა. ჯოუდების კარავში რუთი მწარედ ქვითინებდა.

სატვირთო ბაღნარებს შორის გაჭრილ გზაზე მიდიოდა. ატამს ვარდისფერი შეპარვოდა, ვაზი უმწიფარი ყურძნის მძიმე მტევნებით დახუნძლულიყო, კაკლის ხეების ტოტები გზას შუამდე გადაფარებოდა. ელი ყოველ ჭიშკართან სვლას ანელებდა და ერთსა და იმავე წარწერას კითხულობდა: „მუშა ხელი არ გვესაჭიროება. შესვლა აკრძალულია“.

— მა, აქ ხილი რო დამწიფდება, სამუშაო მაშინ იქნება. სანამ კითხავ, მანამდე გეუბნებიან, სამუშაო არ არისო. — მანქანა ნელი სვლით მიჰყავდა.

— იქნებ მაინც შევიდეთ და ვკითხოთ, ხო არ იციან, რო ვინმეს ხალხი სჭირდებოდეს.

გზის გასწვრივ კაცი მიდიოდა, სამუშაო შარვალი და ლურჯი პერანგი ეცვა. ელმა მანქანა მიაყენა.

— მისტერ, ხო არ იცით, სადმე სამუშაო რო იყოს?

კაცი შეჩერდა და გაიცინა. წინა კბილები არ ჰქონდა.

— არა, — თქვა სიცილით, — თქვენ? ერთი კვირაა დავდივარ, ვერაფერი ვნახე.

— მთავრობის ბანაკში ცხოვრობთ?

— დიახ.

— მაშინ ამოდით, ერთად მოვძებნოთ, — კაცი გვერდითა კედლიდან გადაძვრა.

— ისეთი წინათგრძნობა მაქ, ვერ ვიშოვით სამუშაოს. მაგრამ უნდა მოვძებნოთ. სად ვეძებოთ, ეგეც არ ვიცით.

— ბანაკში კაცებს დაველაპარაკოთ, — თქვა ელმა, — ძია ჯონ, როგორ ხარ?

— ყველაფერი მტკივა. უნდა წავიდე, რო ჩემი გულისთვის ჩემი ოჯახი არ დაისაჯოს.

მამამ ძია ჯონს მუხლზე ხელი დაადო.

— მომხედე, ჯონ, — უთხრა მამამ, — არ წახვიდე. ხო ხედავ, რო ხალხს ვკარგავთ — პაპა და ბებო დაიხოცნენ, ნოა და კონი გაიქცნენ, მქადაგებელი ციხეშია.

— გული მიგრძნობს, რო მქადაგებელს ისევ შევხვდებით, — თქვა ჯონმა.

ელმა ხელი გადაცემათა გადართვის ბერკეტს დაადო.

— ცუდად ხარ და რაღაცები გეჩვენება. ჯანდაბა! მოდი, დავბრუნდეთ და დავილაპარაკოთ, გავიგოთ, სად ვეძებოთ სამუშაო. თორე ესე ბნელ ოთახში რო შავი კატა ეძებო, იგივეა.

მანქანა გააჩერა, ფანჯრიდან თავი გაყო და დაიძახა.

— ეი, მეგობარო! ბანაკში ვბრუნდებით, იქ უნდა გავარკვიოთ, სად ვეძებოთ სამუშაო. საწვავს ტყუილად ვხარჯავთ.

კაცი გადაიხარა და ჩასძახა:

— მაწყობს, — თქვა მან, — ფეხები სუ გადამეყვლიფა, თან ერთი ლუკმაც არ მიჭამია.

ელმა მანქანა შუა გზიდან მიატრიალა და ბანაკისკენ აიღო გეზი.

— უჰ, დედას როგორ ეტკინება გული! ტომმა ესე მალე იშოვა და ჩვენ...

— იქნებ არც უშოვია. იქნებ ისიც საძებნელადაა წასული. ერთი გარაჟში მაშოვნინა სამუშაო და ყველაფერს ადვილად ვისწავლიდი, მომწონს ეგ საქმე.

მამამ რაღაც წაიბუტბუტა და გზა კარვისკენ სიჩუმეში განაგრძეს.

კომისია რომ წავიდა, დედა ჯოუდების კარვის წინ ყუთზე ჩამოჯდა და შარონს უმწეო თვალებით შეხედა.

— დიდი ხანია ესე აღელვებული არ ვყოფილვარ. რაო, ქალებმა რა გითხრეს?

— ბავშვებთან ვიმუშავებ. ესე მითხრეს, ყველაფერს დააკვირდები და ბავშვის მოვლას ისწავლიო.

გაოცებულმა დედამ თავი დააქნია.

— რა კარგი იქნება, კაცებმა სამუშაო რო იშოვონ! ცოტა ფული შემოვა, — ჩაფიქრებული უმისამართოდ იყურებოდა, — ისინიც იმუშავებდნენ და ჩვენც. გარშემო კიდე კარგი ხალხია... ცოტას ამოვისუნთქავდით. პირველ რიგში ღუმელს ვიყიდდი, კარგ ღუმელს, ძვირი კი არ ღირს. მერე კარავს, დიდ კარავს და საწოლებისთვის მეორად ზამბარებს, ამ კარვის ქვეშ მარტო საჭმელს შევჭამდით, და შაბათობით ცეკვებზე ვივლიდით. ამბობენ, რო ხალხის დაპატიჟებაც შეიძლება. აქ მეგობრები არ გვყავს, თორე დავპატიჟებდით. იქნებ კაცებმა გაიცნონ ვინმე.

შარონის ვარდმა გზას გახედა.

— ის ქალი ამბობს, რო შეიძლება ბავშვი დავკარგო...

— ეხლავე გაჩუმდი, — მკაცრად გააფრთხილა დედამ.

— დე, ვხედავ, მგონი, აქ მოდის, — ხმადაბლა უთხრა დედას შარონმა, — დე, არ მისცე უფლება, რო...

დედა შეტრიალდა და მათკენ მომავალ ქალს გახედა.

— გამარჯობა, — თქვა ქალმა, — მე მისის სენდრი ვარ, ლიზ-ბეტ სენდრი. ამ დილას თქვენს ქალიშვილს შევხვდი.

— გამარჯობა, — მიესალმა დედა.

— ბედნიერი ხართ რწმენაში?

— ბედნიერი ვარ.

— ლოცულობთ სულის გადარჩენისთვის?

— ვლოცულობ. — დედა უტყვი სახით იცდიდა.

— მოხარული ვარ, — თქვა ლიზბეტმა, — სავსეა აქაურობა ცოდვილებით. საშინელ ადგილას მოხვედით, გარშემო დიდი ცოდვა ტრიალებს. ნამდვილ მორწმუნეებს გასაქანს არ აძ-ლევენ. ყველგან ისინი არიან.

დედას სახე აუჭარხლდა. კბილს კბილზე აჭერდა.

— აქ ძალიან კარგი ხალხია, — მოკლედ თქვა დედამ.

მისის სენდრს თვალები გაუფართოვდა.

— კარგი! — დაიყვირა მან, — თქვენ ფიქრობთ, რო ისინი, ვინც ცეკვავენ და ერთმანეთს ეხუტებიან, კარგები არიან? მე გეუბნებით, რო აქ თქვენ სულს ვერ გადაარჩენთ. წუხელ უიდ-პეჩტში ლოცვაზე ვიყავი და იცით რა გვითხრა მქადაგებელ-მა? მაგ ბანაკში დიდი ცოდვა ტრიალებსო, ღარიბები გამდიდ-რებაზე ოცნებობენ და იმის მაგივრად, რო ტირილით და გლოვით ცოდვები გამოისყიდონ, ცეკვავენ და ერთმანეთს ეხუტებიანო. აი, ზუსტად ესე გვითხრა. ყველა, ვინც ჩვენთან არ არი, დიდი ცოდვილიაო. და მე გეუბნებით, მივხვდით, რო გადავრჩით, საფრთხე აღარ გვემუქრებოდა, რადგან ჩვენ არასდროს გვიცეკვია.

დედა ერთიანად გაწითლდა. ნელა წამოდგა, მისის სენ-დრის პირდაპირ თვალებში შეხედა და უთხრა:

— წადი ეხლავე დაიკარგე აქედან, თორე ცოდვას დავიდებ და გეტყვი, სადაც უნდა წახვიდე. წადი, საკუთარი ცოდვები დაიტირე!

მისის სენდრის ყბა ჩამოუვარდა. ჯერ უკან დაიხია და მერე სიძულვილი ერთბაშად გადმოანთხია.

— მე ქრისტიანები მეგონეთ.

— დიახ. ქრისტიანები ვართ.

— არა, არა ხართ. თქვენ ყველა ჯოჯოხეთში დასაწვავი ცოდვილები ხართ. ლოცვაზეც ვიტყვი, ცხადად ვხედავ, რო-გორ იწვის თქვენი შავი სული. აი, ის უცოდველი ბავშვიც იწ-ვის დედამისის მუცელში!

შარონის ვარდს ყვირილი აღმოხდა. დედა დაიხარა და ჯო-ხი აიღო.

— ეხლავე წადი, შენი ფეხი აქ აღარ ვნახო! შენისთანები ბევრი მინახავს, ადამიანს პატარა სიხარულსაც კი ართმევთ, — დედამ მისის სენდრისკენ გაიწია.

ქალმა უკან დაიხია, უეცრად თავი უკან გადააგდო, თვა-ლები აატრიალა, მხრები და ხელები ააფართხალა, პირის კუთხიდან სქელი დორბლი ჩამოეწელა. მერე ყმუილი დაიწ-ყო, მხეცივით გაბმით, ხანგრძლივად ყმუოდა. კარვებიდან ხალხი გამოიშალა, ჯოუდებთან მოგროვდნენ და ხმაგაკმენ-დილები მიაშტერდნენ. ქალი ნელ-ნელა მუხლებზე დაეშვა, ყმუილი ხორხიდან ამოხეთქილმა წყვეტილმა გმინვამ შეცვა-ლა. მერე ხელ-ფეხი დაებრიცა და გვერდზე გადაგორდა. ღია ქუთუთოებიდან თეთრი სკლერები უჩანდა.

ვიღაც კაცმა ჩაილაპარაკა:

— მადლი გადმოვიდა.

დედა იდგა და დაბრეცილ სხეულს დაჰყურებდა.

ჩია მმართველი აუჩქარებლად მიუახლოვდათ.

— რა მოხდა?

ხალხმა გზა დაუთმო. მმართველმა ქალს დახედა.

— ოჰ, — თქვა მან, — ვინმე არ მოგვეხმარება, რო თავის კარავში დავაბრუნოთ?

ხალხი ჩუმად იდგა და ფეხს ინაცვლებდა. ბოლოს ორი კაცი დაიხარა, ერთმა მკლავებში მოჰკიდა ხელი, მეორემ წვივებში, ქალი ასწიეს და კარვისკენ წაიყვანეს, ხალხი ნელი ნაბიჯით გაჰყვა.

შარონის ვარდი კარავში შევიდა, დაწვა და თავზე გადასაფარებელი წაიფარა.

მმართველმა დაინახა, რომ დედას ხელში ჯოხი ეჭირა და ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა.

— ერთი-ორი ხო არ მოადეთ? — ჰკითხა მან.

დედა ისევ გაშტერებული უცქერდა მიმავალ ხალხს. თავი ნელა გააქნია.

— არა, მაგრამ უნდა მეცემა, დღეს ჩემი შვილი უკვე მეორეჯერ შეაშინა.

— ეცადეთ, რო არ დაარტყათ, არ არის კარგად, ავად არი. — და ხმადაბლა დაამატა, — ნეტა ერთი მალე წავიდეს აქედან, მარტო მაგას უფრო მეტი არეულობის მოწყობა შეუძლია, ვიდრე ყველა დანარჩენს ერთად.

დედამ თავი ხელში აიყვანა.

— კიდე რო მოვიდეს, ნამდვილად ვცემ, თავს ვერ შევიკავებ. ნებას არ მივცემ, რო ჩემი შვილი კიდე შეაშინოს.

— არ იდარდოთ, მისის ჯოუდ, თვალითაც ვეღარ ნახავთ, ახალმოსულებს უტევს ხოლმე, აქ აღარ დაბრუნდება. მაგის აზრით ცოდვილი ხართ.

— ვარ, — თქვა დედამ.

— ყველა ვართ, მაგრამ ისეთი არა, როგორიც იმას ჰგონია. ავადაა, მისის ჯოუდ.

დედამ მადლიერი თვალით შეხედა და შარონს გასძახა:

— გაიგე, შარონ? გიჟი ყოფილა, — მაგრამ გოგონას თავი არ აუწევია, — უნდა გაგაფრთხილოთ, ისევ თუ გამოჩნდა, თავს ვერ დავდებ, რო არ ვცემო, — თქვა დედამ.

ჩია მმართველმა ტუჩები დაბრიცა და ოდნავ გაიღიმა

— ვიცი, რასაც განიცდით, მაგრამ თავი შეიკავეთ, გთხოვთ, ეცადეთ, აუცილებლად ეცადეთ, — და ნელი ნაბიჯით მისის სენდრის კარვისკენ გაემართა.

დედა კარავში შევიდა და შარონს გვერდით მიუჯდა.

— მომხედე, — თქვა მან, — გოგონა გაუნძრევლად იწვა. დედამ სახიდან ფრთხილად გადახადა გადასაფარებელი. — გიჟი ყოფილა, ერთი სიტყვაც კი არ დაიჯერო.

— ჯოჯოხეთში დაწვაზე რო ამბობდა, მართლა ვიგრძენი, რო ვიწვოდი, — ჩურჩულით თქვა თავზარდაცემულმა გოგონამ.

— არა, არა, როგორ შეიძლება, ხო იცი, რო ტყუილია, — უთხრა დედამ.

— ისე დავიღალე ყველაფრით, რაც ხდება, მინდა, რო დავიძინო, მარტო ძილი მინდა, მეტი არაფერი.

— დაიძინე. ნუ გეშინია, კარგ ადგილას მოვედით.

— რო დაბრუნდეს?

— ვერ დაბრუნდება. ეხლა გარეთ დავჯდები და ახლოს არ მოვუშვებ, დაისვენე. საბავშვო ოთახში რო უნდა იმუშაო, ხო არ დაგავიწყდა?

დედამ ტანი ძლივს ასწია, გარეთ გავიდა და კარვის შესასვლელში დაჯდა. იდაყვებით მუხლებს დაებჯინა, თავი ხელებ-

ში ჩარგო და ბანაკში აფუსფუსებულ ხალხს ყური მიუგდო. ბავშვების ხმაური, რკინაზე ჩაქუჩის დარტყმის ხმა ესმოდა, მაგრამ მისი მზერა სადღაც შორს იყო მიმართული.

გზაზე მამა გამოჩნდა. კარვის წინ დედა დაინახა, მივიდა და მის გვერდით ჩაცუცქდა. დედამ თვალები ნელა დახარა.

— სამუშაო იშოვეთ?

— არა, — დაბნეულმა უპასუხა მამამ, — ვეძებეთ, მაგრამ..

— ელი, ჯონი და სატვირთო სად არიან?

— ელი რაღაცას აკეთებს, ხელსაწყოები სთხოვა ვიღაცას. არ გამოატანა, აქ გააკეთეო, იმან უთხრა.

— კარგ ადგილას ვართ, ცოტა ხანი ადამიანური ცხოვრება შეიძლება, — სევდიანად თქვა დედამ.

— ჰო, სამუშაოს თუ ვიშოვით.

— ჰო, სამუშაოს თუ იშოვით.

მამამ მისი სევდა იგრძნო და დედას სახეზე დააკვირდა.

— რატო ხარ ესეთი მოწყენილი, თუ ესე ძალიან მოგწონს აქაურობა, რაზე დარდობ?

დედამ შეხედა და თვალები ნელა დახუჭა.

— მიკვირს, ამდენი ხანია გზაში ვართ, ერთი ადგილიდან მეორეზე გადავდივართ და არასოდეს დავფიქრებულვარ. ეხლა ამ ხალხმა კარგად მიმიღო, და რა მემართება? რაც ყველაზე ნაღვლიანი გადაგვხვდა, ის მახსენდება — ღამე, პაპა რო დავმარხეთ, მაშინ, ოღონდ მალე წამოვსულიყავით და ვეღარაფერზე ვფიქრობდი, მეტი არაფერი მინდოდა, ეხლა დავბინავდით და ძალიან მიჭირს — ბებო, ნოას გაქცევა! ადგა და წავიდა, მდინარეს ქვევით დაუყვა. ყველაფერი ერთად მომაწვა... ბებო მათხოვარივით დავმარხეთ, გული მეწვის, რო მახსენდება. ნოა, სადღაც მდინარის პირას, ალბათ არც იცის, სად არი. არ იცის, არა... ვერასდროს გავიგებთ, ცოცხალია

თუ მკვდარი, ვერასდროს! კონი ესე ჩუმად გაიპარა... ადრე ვცდილობდი, რო არ მეფიქრა, ეხლა ყველაფერი უკან დამიბრუნდა... რა ვიცი, წესით გახარებული უნდა ვიყო, რო კარგ ადგილას აღმოვჩნდით და...

მსმა მისი ტუჩების მოძრაობას თვალს არ აშორებდა. თვალდახუჭულმა დედამ განაგრძო:

— მახსოვს ის მთები, მდინარეს, ნოა რო დარჩა, კბილებდაკრეჭილი რო დაჰყურებდა. მახსოვს, რა ხმელი იყო ბალახი, სადაც პაპა დავმარხეთ, და მახსოვს სახლის უკან ნაჯახით ამომტვრეული, ქათმის სისხლით გაშავებული ხორცის საჩეხი კუნძი, ზედ ქათმის ბუმბული რო ქონდა აწებებული.

მამამ ხმა აუწყო.

— დღეს იხვები დავინახე. — თქვა მან, — სამხრეთისკენ მიფრინავდნენ, ისეთი ლამაზი იყო! შაშვები მავთულებზე ისხდნენ, მტრედები ღობეებზე შემოსკუპებულიყვნენ, — დედამ თვალი გაახილა, მამამ განაგრძო. — შორს პატარა ბზრიალა ქარბორბალა დავინახე, ისე გარბოდა, კაცი გეგონებოდა, იხვები კიდე ქვევით, დასავლეთისკენ მიფრინავდნენ.

დედამ გაიღიმა.

— გახსოვს, რას ვამბობდით, იხვები რო მიფრინავდნენ? წელს ადრე მოვა ზამთარი, ვიტყოდით ხოლმე. დრო როცა იყო, ზამთარი მაშინ მოდიოდა, მაგრამ ჩვენ ყოველ წელს ესე ვამბობდით, ეხლაც არ ვიცი, რატო.

— შაშვები მავთულებზე ისხდნენ, ახლო-ახლოს და მტრედები. ესე მშვიდად არც ერთი ჩიტი არ ჯდება ღობეზე. წყვილი წყვილად, ერთმანეთის გვერდით, პატარა ქარბორბალები, კაცივით ფეხზე წამომდგარი რო ტრიალებდნენ. მიყვარდა მათი ყურება.

— სახლი აღარ უნდა გავიხსენო, ის ჩვენი აღარ არი, მინდა, რო დამავიწყდეს. ნოაც. — თქვა დედამ.

— ის არაფერ შუაშია, ყველაფერი ჩემი ბრალია.

— აღარ გაიმეორო, შენ რო არა, ვერც გადარჩებოდა.

— შეიძლება, მაგრამ მეტი უნდა მცოდნოდა.

— გაჩერდი, ხო იცი, რო ნოა უცნაური იყო. იქნებ კარგადაც არი იქ, მდინარის პირას. რაც მოხდა, იქნებ უკეთესისთვის მოხდა, აღარ უნდა ვიდარდოთ, კარგ ადგილას ვართ და იქ-ნებ სამუშაოც იშოვოთ.

მამამ ცას ახედა.

— შეხედე, იხვები, რამხელა გუნდია... დე, წელს ადრე მოვა ზამთარი.

დედამ ჩაიხითხითა.

— კაცი ხანდახან ამბობს რაღაცას და არც იცის, რატო.

— აი, ჯონიც. მოდი, ჯონ, დაჯექი.

ძია ჯონი დედას წინ ჩაცუცქდა.

— ვერაფერი ვიშოვეთ, ტყუილად ვიარეთ. მა, ელს შენი ნახვა უნდა. საბურავი უნდა იყიდოს, ძველზე ერთი ფენაღა დარჩაო, ამბობს.

მამა წამოდგა.

— იქნებ იაფად იშოვოს. ცოტა დაგვრჩა. ელი სად არის?

— ქვევით. შემდეგ გზაჯვარედინზე მარჯვნივ გაუხვიე. თუ არ გამოვცვლით, გასკდებაო, ამბობს. — მამა გზაზე დაეშვა. მიდიოდა და თვალს ცაზე გამწკრივებულ იხვებს ადევნებდა.

ძია ჯონმა მიწიდან კენჭი აიღო და მოისროლა. ისევ აიღო და ისევ მოისროლა. დედას თვალებში ვერ უყურებდა.

— სამუშაო არ არი. — თქვა მან.

— ყველგან ხო არ მოგიძებნიათ?

— არა, მაგრამ ყველგან წარწერაა გამოკრული.

— ტომმა ალბათ იშოვა. ჯერ არ დაბრუნებულა.

— იქნებ ისიც წავიდა, როგორც კონი და ნოა.

დედამ მკაცრად შეხედა, მაგრამ ცოტა ხანში თვალებში სითბო ჩაეღვარა.

— არი რაღაცები, რაშიც კაცი დარწმუნებულია, რო ზუსტად იცის, — თქვა დედამ, — ტომმა სამუშაო იშოვა და ამ საღამოს მოვა, ეს ესეა, — კმაყოფილმა გაიღიმა, — ნახეთ, რა ყოჩაღია! ნახეთ, რა კარგი ბიჭია!

ბანაკში მსუბუქი მანქანები და სატვირთოები ბრუნდებოდნენ. კაცებს ხელში სუფთა სამუშაო შარვლები ეჭირათ და სანიტარული შენობისკენ მწყობრი სვლით მიაბიჯებდნენ.

დედამ თავი ხელში აიყვანა.

— ჯონ, მამა იპოვე და მაღაზიაში წადით. ცოტა ლობიო, შაქარი, ხორცი და სტაფილო მოიტანეთ. მამას უთხარი რო ვახშმისთვის რამე კარგი იყიდოს, რამე, რაც უნდა. ამაღამ კარგად უნდა ვივახშმოთ.

23.

მომთაბარენი, რომლებმაც მთელი ქვეყანა გადასერეს სამუშაოსა და საცხოვრებლის შოვნის იმედით, არც სიამოვნებას ივიწყებდნენ და სიხარულს მოწყურებულები, გასართობს თავად იგონებდნენ. ხშირად საუბრით ერთობოდნენ, ცხოვრებას ანეკდოტებით იხალისებდნენ. ისე ხდებოდა, რომ გზების გასწვრივ, ვიწრო მდინარეების პირას მოწყობილ ბანაკებში, ყოველთვის მოიძებნებოდა ერთი მთხრობელი, რომლის მოსასმენად მომთაბარენი ჭადრების ქვეშ იკრიბებოდნენ და მინავლებული ცეცხლის შუქზე ათასგვარ ამბავს სულგანაბულები უგდებდნენ ყურს. მათი უტყვი თანამონაწილეობა ამბებს დიდებულებას სძენდა.

ჯერონიმოს წინააღმდეგ ვიბრძოდი...

ხალხი სულგანაბული უსმენდა, მათ მშვიდ თვალებში მიმქრალი ცეცხლი ირეკლებოდა.

— ინდიელები სხარტები იყვნენ, გველივით მოუხელთებელი; როცა სჭირდებოდათ, ისე მოძრაობდნენ, ჩამიჩუმი არ ისმოდა. ხმელ ბალახზე ისე დადიოდნენ, შრიალს ვერ გაიგონებდით. აბა, სცადე და გაიარე. ნახავ, რაც გამოგივა.

ხალხი უსმენდა და თან იხსენებდნენ, როგორ შრიალებდა ხოლმე ხმელი ბალახი მათ ფეხქვეშ.

— შემოდგომა დადგა. ღრუბლები ჩამოწვა. უჟმური ამინდი იყო, როდესმე გაგიგიათ, რო ჯარს რამე სწორედ გაეკეთებინოს? ათი შანსი რო მისცე, მაინც შეცდომებს უშვებენ. სამი პოლკი სჭირდებათ, რო ასი მამაცი ინდიელი მოკლან.

ხალხი მშვიდად უსმენდა, მთხრობელები მათ ყურადღებას სრულად იპყრობდნენ. თხრობის რიტმი იმორჩილებდათ, სიტყვები დიდებულად ჟღერდა, რადგან ამბები, რომლებსაც ისინი ჰყვებოდნენ, დიდებული იყო და ხალხი ამ დიდებულების თანაზიარი ხდებოდა,

— ერთი ინდიელი თაკარა მზეში თხემზე იდგა, იცოდა, რო ყველა მხრიდან ჩანდა, მაგრამ მკლავები გაეშალა და იდგა. პირდაპირ მზის ქვეშ, დილასავით ნათელი. იქნებ გიჟი იყო, არ ვიცი, მაგრამ ჩვენგან ოთხასი იარდის მოშორებით მკლავებგაშლილი, ჯვარცმასავით იდგა. ჯარისკაცებმა დაუმიზნეს, თითებზე დაინერწყვეს, ქარის მიმართულება შეამოწმეს, მიწაზე გაწვნენ, მაგრამ სროლა არც კი უცდიათ. იქნებ იმ ინდიელმა იცოდა კიდეც, რო ვერ ვესროდით... წარმოიდგინეთ, ჩახმახები შეყენებული გვაქ და კონდახი მხრამდე ვერ მიგვაქ, ვწევართ და ვუყურებთ... თავზე შემოხვეული ზონარი და ერთი ბუმბული, ყველაფერს ვხედავთ, მზესავით შიშველია. დიდხანს ვიწექით და ვუცქერდით, ერთხელაც არ შერხეულა. ბოლოს კაპიტანი გაგიჟდა: ესროლეთ, თქვე უტვინო ნაბიჭვრებო, ესროლეთ — ღრიალებს, მაგრამ გაშეშებულები ვართ... — ხუთამდე ვითვლი და გიმიზნებთ! — რა უნდა გვექნა, ნელა შევმართეთ იარაღი. ყველა ელოდა, რო სხვა ისროდა პირველი. ჩემ ცხოვრებაში გული ესე არ ჩამწყვეტია. მუცელში დავუმიზნე — სხვანაირად ინდიელს ვერ დააწვენ... — იქიდან მოწყვეტით ჩამოვარდა და ქვევით ჩაგორდა. მივედით. შორიდან გოლიათივით ჩანდა, არც ისე დიდი ყოფილა, ნაწილ-ნაწილ იყო დაფლეთილი... მამალი ხოხობი გინახავთ როდესმე? ამაყი და მშვენიერი, ყოველი ბუმბული ხელით დახატული გეგონებათ, თვალებიც ისე ლამაზად აქ მოხატული... ბახ! და აღარ არის. სისხლიანი და კისერმოღრეცილი ხელში

აგყავს და ხვდები, რო რაღაცა შენზე უკეთესი დაღუპე, შეჭამ და გემოს ვერ ჩაატან, იმიტო რო იცი, შენშიც მოკალი რაღაც. გაანადგურე და იმის გამოსწორება შეუძლებელია.

მსმენელები თავებს იქნევდნენ, თუ ხანდახან ცეცხლი ძალას მოიკრეფდა და აალდებოდა, მკრთალ შუქზე მათი ჩაფიქრებული, საკუთარ თავში ჩაძირული თვალები ჩანდა.

— მზით გაბრწყინებული, მკლავებგაშლილი.. და დიდებული, როგორც ღმერთი.

თუ მავანი და მავანი საჭმლის ფულს როგორღაც ოც ცენტს გამოგლეჯდა და მერისვილში, ტულარეში, სირისში ან მაუნთინ ვიუში კინოში წავიდოდა, ბანაკში შთაბეჭდილებებით სავსე ბრუნდებოდა და თხრილის პირას შეგროვილ ხალხს ფილმს უყვებოდა.

— ერთი მდიდარი ბიჭი ისე იქცეოდა, ვითომ ღარიბი იყო, და გოგოც, ისიც მდიდარი იყო და თავს ღარიბად ასაღებდა, ხოდა, ერთმანეთს სასადილოში შეხვდნენ.

— რატო?

— შეხვდნენ და რა ვიცი, რატო.

— თავს ღარიბებად რატო ასაღებდნენ?

— სიმდიდრე მობეზრდათ.

— რა სისულელეა!

— მოიცა, კაცო, გინდათ, რო მოგიყვეთ?

— კარგი, მოყევი, მაგრამ მე რო მდიდარი ვიყო, მდიდარი რო ვიყო, იცი, რას ვიზამდი? ღორის შემწვარ ნეკნებს ვიყიდდი, ჩემ გარშემო იმდენს დავახვავებდი, რო გზას ჩავხერგავდი და მერე იქიდან გზას ჭამა-ჭამით გამოვიკვლევდი; კარგი, მიდი, მოყევი.

ერთმანეთს ღარიბებად თვლიდნენ. რაღაცაზე იჭერენ და ციხეში ხვდებიან, იმათ კიდე ციხიდან გამოსვლა არ უნდათ,

ორივეს ეშინია, არ გასკდეს, რო მდიდრები ვართო. ციხის ზედამხედველს ღარიბები გონია და ცუდად ექცევა. მერე უნდა ნახოთ, რა ემართება, როცა გაიგებს, რო მდიდრები არიან, ლამის გული წაუვიდეს.

— ციხეში რატო ხვდებიან?

— რადიკალების მიტინზე არიან და იქ აყავთ, მაგრამ თითონ რადიკალები არ არიან. მთელი აზრი იმაშია, რო ფულის გამო კი არა, სიყვარულით არ უნდათ ოჯახების შექმნა.

— მერე ეგ ნაბიჭვრები ერთმანეთს თავიდან ატყუებენ?

— ფილმში კარგ ადამიანებად არიან გამოყვანილი ხალხს კარგად ექცევიან.

— ერთხელ მეც ვიყავი კინოში, გეგონებოდათ ჩემზე, ჩემს ცხოვრებაზე გადაიღეს, ძაან ძლიერი ფილმი იყო.

— ჩემი გასაჭირიც მეყოფა კინოში იმიტო მივდივარ, რო გავერთო.

— ჰო, მაგრამ იმის ხო უნდა გჯეროდეს, რასაც უყურებ.

— მერე დაქორწინდნენ და ერთმანეთზე ყველაფერი გაიგეს. ვინც ცუდად ექცეოდა, იმათაც გაიგეს, რო მდიდრები იყვნენ. ერთი კუდაბზიკა იყო და ეს ტიპი მდიდრულად ჩაცმული და ცილინდრით რო დაინახა, კინაღამ ადგილზე მოკვდა. ბოლოს კინოჟურნალი აჩვენეს, გერმანელი ჯარისკაცები მწყობრში ფეხებგაფშეკილები დადიოდნენ — საინტერესო იყო.

როგორც კი ცოტა ფულს მოიგდებდა, ზოგი მათგანი სასმელს ეძალებოდა და მკვეთრი ხაზებიც მაშინვე ფერმკრთალდებოდა. გულში სითბო ეღვრებოდა, თავს მარტო აღარ გრძნობდა რადგან გუმანით ადვილად აგნებდა მოყვარეს და თუ საჭირო იყო, მტერსაც საკადრისად უსწორდებოდა. თხრილთან ჩამომჯდარს მიწა მსუბუქი ეჩვენებოდა, მარცხს

არად მიიჩნევდა, მომავლის აღარ ეშინოდა, შიმშილი ავიწ-ყდებოდა და სამყარო უფრო ალერსიანი ხდებოდა — გზაზე ვერავინ გადაეღობებოდა, მიზანს აუცილებლად მიაღწევდა.

ვარსკვლავები ხელის გაწვდენამდე ეშვებოდნენ, ცა უღი-მოდა, სიკვდილი? სიკვდილის ვიღას ეშინოდა, ძილი? — ძილი სიკვდილის ძმაა. და წარსული ბრუნდებოდა — იქ, სახლში გრძელ ფეხება გოგო რა ლამაზად ცეკვავდა! ცხენი — უჰ, რამ-დენი ხნის წინ იყო, ცხენი და ტყავის ამოტვიფრული უნაგირი. იმ გოგოს უნდა დაველაპარაკო, იქნებ დავითანხმო და ღამეც ერთად გავატაროთ, როგორ თბილა, ვარსკვლავები რა ახ-ლოს არიან... — კაეშანი და განცხრომა ერთმანეთში იხლარ-თებოდა — კაცი სულ მთვრალი უნდა იყოს, ვინ თქვა, რომ სიმთვრალე ცუდია? მქადაგებლებმა, მაგრამ ისინი სხვა ბან-გით თვრებიან, გამხდარმა, უშვილძირო ქალებმა, იმ უბედუ-რებმა რა უნდა იცოდნენ? რეფორმატორებმა, მაგრამ ცხოვ-რებას არასდროს შეჭიდებიან. რა ახლოს არიან ვარსკვლავე-ბი, რა მშვენიერია! მე ამ სამყაროს დავუმოყვრდი, აქ ყველა-ფერი წმინდაა, ჩემი ჩათვლით.

ჰარმონიკა სულ თან შეიძლება ატარო. უკანა ჯიბიდან ამოიღე, ხელისგულზე დაირტყი, რომ ჯიბეში აკრული მტვერი და თუთუნის ნარჩენები ჩამოფერთხო და მზად არი, როგორც გინდა, ისე აამღერე. გინდა ერთი ნოტა აიღე, გინდა აკორდი და გინდა მელოდია დაუკარი. მოხრილი თითებით მუსიკას ქმნი, ხან გუდასტვირივით ატირებ, ხან ორღანივით აჟღერებ და ხან ლერწმის დუდუკივით გულისმომკვლელად აკვნესებ. დაუკრავ და ისევ ჯიბეში იდებ, არ იშორებ, სულ თან გაქვს. ახალ-ახალ ხერხს იყენებ, ხელებით შექმნილ ჰანგებს ტუჩე-ბით იჭერ და მელოდიას ქმნი ისე, რომ მითითებებს არავინ გაძლევს. სადაც გინდა, იქ უკრავ — შუადღის მზეს ჩრდილში

შეფარებული, ან ვახშმის შემდეგ კარვის შესასვლელთან, როცა ქალები ჭურჭელს რეცხავენ. ფეხს მიწაზე ათამაშებ. წარბებს რიტმს აყოლებ: თუ დაკარგე ან გაგიტყდა, დიდი ზარალი არ არის, ოცდახუთ ცენტად ახალს იყიდი.

გიტარა სულ სხვაა. უფრო რთულია, დაკვრა უნდა ისწავლო. მარცხენა ხელის თითების წვერებზე კოჟრები უნდა გესხდეს, მარჯვენა ხელის ცერა რქასავით გამაგრებული უნდა გქონდეს.

თითები გაჭიმე, ობობას ფეხებივით გაშალე, რომ კოჟრიანი ბალიშები გიტარის გრიფზე კარგად ამოძრაო.

ეს გიტარა მამაჩემისგან მერგო, ერთი ციცქნა ვიყავი, პირველად „ჩ“ აკორდი რო ამაღებინა. დაკვრა კარგად რო ვისწავლე იმის მერე, თითონ გიტარა ხელშიც აღარ აუღია. კართან დაჯდებოდა ხოლმე, მისმენდა და მუსიკას ფეხს აყოლებდა. ტრემოლოს რო ავიღებდი, წარბებშეჭმუხნილი იცდიდა, მერე თავის ქნევით უკან გადაწვებოდა და მეტყოდა — დაუკარი, მოინდომე. ნახე, რა მაგარი გიტარაა, ნახე, თავი როგორა აქ გაცვეთილი, მილიონი სიმღერა მაინც არი ზედ დამღერებული, გაცვდებოდა ხე, აბა რა მოუვიდოდა. ერთხელაც იქნება, კვერცხის ნაჭუჭივით გასკდება, მაგრამ შეკეთება არ შეიძლება, ხელი არ უნდა ახლო, თორე ხმას დაკარგავს. საღამოს დაუკარი, გვერდითა კარავში ვიღაც ჰარმონიკაზე უკრავს, ერთად კაი მოსასმენი იქნება.

ვიოლინო იშვიათი რამეა, ეგრე ადვილად ვერ ისწავლი, ვიოლინოსაც ლადებზე თითი კი არ დააჭირო, მასწავლებელი გჭირდება. ერთი იმ მოხუცს მოუსმინე და ეცადე, რო მიბაძო. არაფრით გეტყვის ორმაგი ნოტა როგორ აიღო, საიდუმლოაო, ამბობს. მაგრამ დავაკვირდი და მივხვდი კიდეც.

ვიოლინო — ქარივით მკივანა, გულგამგმირავი, სწრაფი და ამაღელვებელი.

ეს მთლად კარგი ვერ არის, ორი დოლარი მაქ გადახდილი. ერთმა მითხრა, ზოგი ვიოლინო ოთხასი წლისააო — დავარგებული, როგორც ვისკი. ეგეთი თურმე ორმოცდაათი-სამოცდაათი ათასი ღირს. მართლა ესეა? რა ვიცი, აბა! რაღაც ტყუილი მგონია. ჩემი ისეთი მკივანაა... ცეკვა გინდა? მოიცადე, ხემს კანიფოლს წავუსვამ, ისეთს აკივლდება, რო მილის იქით გაიგებ.

საღამოს სამივე უკრავს — ჰარმონიკა, ვიოლინო და გიტარა. საცეკვაოს უკრავენ, მელოდიას ფეხს აყოლებენ, გიტარის სიმების ხმა გულის ფეთქვასავით ისმის, ჰარმონიკის მკვეთრი, გამგმირავი აკორდები და ვიოლინოს გაბმით კივილი... ხალხს მუსიკა უხმობს და ნელ-ნელა გროვდებიან. აი, სწრაფი საცეკვაო დაიწყო, ფეხები აბაკუნდა და ხმელ-ხმელი ბიჭი წინ სამ სწრაფ ნაბიჯს დგამს, ხელები თავისუფლად ჩამოუშვია. გარს ეხვევიან და ცეკვა იწყება. გამომშრალ მიწაზე ფეხების ყრუ ბრაგუნი ისმის — ქუსლები, ქუსლები მიაშველეთ! წელზე მოხვიეთ ერთმანეთს ხელები, დატრიალდით, და თმა ეშლებათ, სუნთქვა უჩქარდებათ... — ახლა გვერდზე გადაიხარე.

ერთი ამ ტეხასელს დამიხედეთ! რამსიგრძე ფეხები აქვს, ყოველ ნაბიჯზე ოთხჯერ დაბაკუნებას ახერხებს. ეგეთი არაფერი მინახავს! ნახეთ, როგორ უტრიალებს იმ ინდიელ გოგოს, როგორ აუწითლდა გოგოს ლოყები, ფეხის თითები როგორ აებზიკა, როგორ ქოშინებს, როგორ აუდის და ჩაუდის მკერდი ზევით ქვევით, დაღლილი გგონიათ? სუნთქვას ვერ ითქვამს? სულაც არა. ტეხასელს თმა თვალებზე ჩამოეშალა, პირი ღია აქვს, ჰაერი არ ჰყოფნის, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე ფეხს ოთხჯერ აბაკუნებს და ინდიელ გოგოს გარს უვლის.

ვიოლინო წრიპინებს, გიტარა გუგუნებს, ჰარმონიკის დამკვრელი ერთიანად აწითლებულა, ტეხასელი და ინდიელი ძაღლებივით ქოშინებენ, ფეხებს გამალებით აბაკუნებენ, მოხუცები ტაშს უკრავენ, მუსიკას ჰყვებიან და იღიმიან...

მახსოვს, სკოლაში ცეკვების შემდეგ... დიდი მთვარე დასავლეთით მიგორავდა, მე და ის სასეირნოდ გავედით, ხმას ვერ ვიღებდით, გულები ამოვარდნაზე გვქონდა, მერე თივის ზვინი დავინახეთ, არც გვიფიქრია, პირდაპირ იქით გავექანეთ და და თივაში ჩავწექით. ტეხასელი და ის გოგო სიბნელეში გაიპარნენ, გონიათ, რო ვერავინ ხედავს. ეჰ, მაგ ბიჭს ეხლაც გავყვებოდი! მთვარე მალე ამოვა. გოგოს მამა გაეკიდა, მაგრამ მერე შეჩერდა. იცის, რო შემოდგომის დადგომას ვერ შეაჩერებ, ხეების ძარღვებში წვენს მოძრაობას ვერ აუკრძალავ. საცაა მთვარე ამოვა.

კიდევ დაუკარით, ძველი ბალადები დაუკარით — „როცა ლარედოს ქუჩებში დავდიოდი“. ცეცხლი ქრება, აღარ შეუკეთოთ, საცაა მთვარე ამოვა.

სარწყავ არხთან ახლოს მქადაგებელი ხალხს ატირებდა, ვეფხვივით ბოლთას სცემდა და სიტყვებს მათრახივით იქნევდა. მიწისკენ თავდახრილი მრევლი საწყალობლად სლუკუნებდა. მქადაგებელი ანგარიშობდა, ზომავდა, მათ გრძნობებზე თამაშობდა და როცა ტანჯვისაგან ხალხი მიწაზე ფორთხვას იწყებდა, თითოეულთან იხრებოდა, ხელებით, სწევდა და ღრიალებდა: „მიიღე, იესო!“ და ერთიმეორეს მიყოლებით წყალში ყრიდა.

და როცა წელამდე წყალში ჩამჯდარი მრევლი შეშინებული თვალებით მიაშტერდებოდა მასწავლებელს, მქადაგებელი იჩოქებდა და მათთვის ლოცვას იწყებდა, რომ ყველას, ქალსა თუ კაცს, მიწაზე თავის რტყმითა და ტირილით გამოეგ-

ლოვათ ცოდვები. ხალხი უცქერდა, გალუმპული ტანსაცმელი ტანზე ეკვროდათ; მერე სველი ფეხსაცმელების ჭყაპაჭყუპით ბანაკში ბრუნდებოდნენ, თავ-თავიანთი კარვებისკენ მიემართებოდნენ და თან ერთმანეთს ხმადაბლა, გაოცებულები ესაუბრებოდნენ.

— ჩვენი სულები იხსნა, — ამბობდნენ ისინი, — თოვლივით სპეტაკები ვართ. აღარ შევცოდავთ.

სველი, შეშინებული ბავშვები ჩურჩულებდნენ.

ჩვენი სულები იხსნა, აღარ შევცოდავთ.

ნეტა, რაც ამქვეყნად ცოდვაა, ყველაფერი გამომაცდევინა!

მომთაბარენი თავმდაბლურად ერთობოდნენ ყველაფრით, რასაც გზაზე გადააწყდებოდნენ.

24.

შაბათ დილას სამრეცხაო გადატვირთული იყო. ქალები ზოლიან, უჯრედებიან, ყვავილებით მოჩითულ ბამბაზიის კაბებს რეცხავდნენ, მერე ხელით ჭიმავდნენ, ასწორებდნენ და მზეზე ფენდნენ. შუადღისას მთელი ბანაკი გაფაციცებული მუშაობდა. მღელვარება ბავშვებსაც გადაედოთ და ჩვეულებრივზე მეტად ახმაურდნენ. მალე მათი დაბანის დროც დადგა. მშობლებმა შვილები მოიხელთეს, დაიმორჩილეს და დასაბანად გაამწესეს. სათამაშო მოედანზე ბავშვების ხმაური აღარ ისმოდა, ხუთი საათისთვის გახეხილ-გაპრიალებული ბავშვები მკაცრად გააფრთხილეს, რომ ისევ არ დათხუპნულიყვნენ და გარეთ გაუშვეს. ზრუნვით შეწუხებული და სუფთა ტანსაცმელში სარგადაყლაპულებივით გაჭიმული ბავშვები საცოდავი სახით მოედვნენ იქაურობას.

ღია ცის ქვეშ მოწყობილ დიდ საცეკვაო მოედანზე კომისია მუშაობდა. მავთულის ნაგლეჯები შეაკოწიწეს — მის მოსაგროვებლად რამდენჯერმე მიაკითხეს ქალაქის ნაგავსაყრელს. ხელსაწყოების ყუთებიდან ყველამ თავის წილი საიზოლაციო ლენტი გაიღო და გადაკერებულ-გადაკვანძული მავთული, რომლისთვისაც საიზოლაციო მილის ნაცვლად ბოთლის ყელი ჩამოეცვათ, საცეკვაო მოედნის თავზე გადაჭიმეს. ამ საღამოს საცეკვაო მოედანი პირველად განათდება. ექვსი საათისთვის კაცები სამუშაოდან ან იქიდან, სადაც სამუშაოს ეძებდნენ, დაბრუნდნენ და საშხაპეები ისევ გადაიჭედა, შვიდისთვის სადილი დასრულებული იყო. კაცები კი თა-

ვის საუკეთესო ტანსაცმელში — ახალგარეცხილ სამუშაო შარვლებსა და სუფთა ლურჯ პერანგებში — გამოეწყვნენ; აქაიქ რიგიან შავტანსაცმლიანებსაც დაინახავდით. გოგონებს სუფთა გაპიწკინებული ჭრელი კაბები ჩაეცვათ, თმა დაეწნათ და ბაფთებით შეეკრათ, ქალები ჭურჭელს რეცხავდნენ და თან ოჯახის წევრებს ყურადღებით ადევნებდნენ თვალს. საცეკვაო მოედანზე სიმებიანი ორკესტრი პროგრამას იმეორებდა: ბავშვები გარშემო ორ მწკრივად შემოხვეოდნენ. მთელი ბანაკი დაძაბული და აღელვებული იყო.

ეზრა ჰასტონის — კომისიის თავმჯდომარის — კარავში მთავარი კომისიის ხუთი წევრი სხდომას ატარებდა. ჰასტონი გამხდარი, მაღალი კაცი იყო. გამომშრალ სახეზე სამართებელივით ბასრი სხივი დასთამაშებდა. კომისიის ხუთი სანიტარული შენობის წარმომადგენლებს ესაუბრებოდა.

— გაგვიმართლა, რო გაგვაფრთხილეს, ეხლა ვიცით, რასაც აპირებენ. ცეკვების დროს არეულობის მოწყობას ეცდებიან, — თქვა მან.

მესამე სანიტარული შენობის ჩასუქებულმა წარმომადგენელმა სიტყვა მოითხოვა.

— თავები უნდა გავუჩეჩქვოთ, მაგათ ვანახებთ...

— არა, — თქვა ჰასტონმა, — იმათაც ეგ უნდათ, თუ მოახერხებენ და ჩხუბი აიწევა, მერე პოლიციელები შემოვარდებიან, იტყვიან, რო წესრიგი დავარღვიეთ. ეს პირველი შემთხვევა არ არი. სხვა ადგილებშიც ხშირად უცდიათ.

მეორე შენობის შავგვრემან ნაღვლიან წარმომადგენელს მიუბრუნდა.

— ბიჭები მოაგროვე და უთხარი, ღობეებთან მორიგეობა დააწესონ, ვინმე არ შემოიპაროს.

— უკვე მოვაგროვე. თორმეტი ბიჭი გავაფრთხილე, რო არავინ სცემონ, უბრალოდ აქედან გაყარონ, — თავი დაუქნია ბიჭმა.

— გადი და უილი იტონი მოძებნე. კარგი? ის უძღვება გართობას, არა?

— დიახ.

— უთხარი, რო დალაპარაკება გვინდა.

ბიჭი გავიდა და რამდენიმე წუთში პირხმელ ტეხასელთან ერთად დაბრუნდა. უილი იტონს გრძელი ვიწრო სახე და ფერფლისფერი თმა ჰქონდა გრძელ ხელ-ფეხს თავისუფლად ამოძრავებდა. ნაცრისფერ თვალებში პენ-ჰენდლის მზე უციმციმებდა. კარავში ღიმილით შევიდა. იდგა და მაჯებს მოუსვენრად ატრიალებდა.

— გაიგე? ამ საღამოს რას გეგმავენ?

— გავიგე, — ჩაიცინა უილიმ.

— ზომები მიიღე?

— კი.

— გვითხარი. აბა, რა გეგმა გაქ.

უილიმ გაიცინა.

— გართობის კომისიაში ხუთი კაცი შედის, მე კიდე ოცი მყავს ნარჩევი, მაგარი ბიჭები. ისინიც იცეკვებენ, მაგრამ თვალებად და ყურებად იქცევიან. ერთი ხმამაღალი სიტყვა, ერთი წაკამათება და ეგრევე მოქმედებაზე გადავლენ. ისე გააკეთებენ, რო ვერავინ დაინახავს. წრეში მოაქცევენ, ყველა ერთად დაიძრება, ვითომ გადიან და ის ტიპებიც იმათთან ერთად გავლენ.

— უთხარი, რო ცემა არ შეიძლება.

— უკვე ვუთხარი, — მხიარულად ჩაიცინა უილიმ.

— ისე უთხარი, რო არაფერი შეეშალოთ.

— არ შეეშლებათ. ხუთი კაცი ჭიშკართან იდგება, რო ნახონ, ვინ შემოდის და სანამ რამეს დაიწყებენ, უკვე გვეცოდინება.

ჰასტონი წამოდგა, ფოლადისფერი თვალები გაუმკაცრდა.

— მისმინე, უილი, ცემა არ შეიძლება, გარეთ შერიფის თანაშემწეები იქნებიან. სისხლს დაინახავენ თუ არა, აგიყვანენ.

— ყველაფერი მოფიქრებული გვაქ. უკანა გასასვლელიდან პირდაპირ მინდორზე გავუშვებთ. სანამ თავის გზაზე წავლენ, ჩვენები იქ დარჩებიან.

— კარგად კი ლაპარაკობ, მაგრამ სხვანაირად არ მოხდეს. იცოდე, პასუხისმგებელი ხარ. ჯოხები, დანა, იარაღი ან რამე ეგეთი არ გამოიყენოთ, არავის არაფერი არ უნდა დაუშავდეს, — თქვა შეწუხებულმა ჰასტონმა.

— არა, სერ, ხელს არ ვახლებთ.

— რა ვიცი, აბა, გენდო? თუ მაინცდამაინც ცემაზე მიდგება საქმე, ისე სცემეთ, რო სისხლი არ დაიღვაროს.

— არის, სერ!

— იმ ბიჭებში დარწმუნებული ხარ, შენ რო შეარჩიე?

— დიახ, სერ.

— კარგი, თუ რამეა, იქვე ვიქნებით, მოედნის მარჯვენა მხარეს.

უილიმ ხუმრობით სამხედრო სალამი მისცა და გავიდა.

— რა ვიფიქრო, არ ვიცი, იმედი მაქვს უილის ბიჭები არავის მოკლავენ. რა ჯანდაბა უნდათ იმ თანაშემწეებს? რას ერჩიან ამ ბანაკს? რატო არ გვასვენებენ?

ნაღვლიანმა ბიჭმა მეორე სანიტარული შენობიდან თქვა:

— მე ერთ ბანაკში ვცხოვრობდი, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კომპანიას ეკუთვნოდა. გინდ დაიჯერეთ,

გინდ არა, ათ კაცზე ერთი პოლიციელი მოდიოდა და ორას კაცზე ერთი წყლის ონკანი.

ჩასუქებული საუბარში ჩაერთო.

— შენ მასწავლი? მე თვითონ იქიდან მოვდივარ. ქოხმახებითაა სავსე. ერთ რიგში ოცდათხუთმეტი ქოხი დგას, იმათ უკან კიდე თხუთმეტი და სუ ათი ჩეჩმა აქვთ. ტფუუ! ისე ყარს იქაურობა, რო დაიხრჩობი. ერთმა თანაშემწემ ენა წაიგდო და რასაც ფიქრობდა, ყველაფერი თქვა. ერთხელაც ჩვენთვის ვისხედით, მოვიდა და გვეუბნება: დასწყევლოს ღმერთმა ეს მთავრობის ბანაკები. ხალხს ცხელ წყალს აძლევენ და მერე ყველა ცხელ წყალს ითხოვს, ჩასარეცხი ტუალეტები აქვთ და მერე ყველას ეგეთი ტუალეტები უნდაო. ამ უჯიშო ოკის დაანახე ეგეთი რამეები და მერე თითონაც ითხოვსო. მთავრობის ბანაკებშიო, ამბობს, წითელ მიტინგებს აწყობენ და მარტო იმაზე ფიქრობენ, როგორმე მთავრობას დახმარება გამოსტყუონო.

— მერე ვინმემ ერთი მაგარი არ გაუქანა?

— არა. ერთი პატარა ბიჭი იყო და იმან ჰკითხა, რა დახმარებაზე ლაპარაკობო. რაზე და იმაზე, რო ჩვენ აქ გადასახადებს ვიხდით და ფული კიდე თქვენ მიგაქვთო. და ეს პატარა ბიჭი ეუბნება, გადასახადებს ჩვენც ვიხდით, გაყიდვების გადასახადი იქნება, გაზის თუ თამბაქოსი — ყველაფერს ვიხდითო. მთავრობა რო ოთხ ცენტს იხდის ერთ ფუნტ ბამბაში, ეგ დახმარება არ არიო? ან რკინიგზის და გემთმშენებელი კომპანიები რო სუბსიდიებს იღებენ, ეგ დახმარებაა, აბა, რა არიო. მთავრობა იმას აკეთებს, რაც უნდა გააკეთოსო, ის პატარა ბიჭი კიდე აგრძელებს, თქვენ დაწყევლილ მოსავალს ვინ აიღებდა, ჩვენ რო არ ვიყოთო, — ჩასუქებულმა მიიხედ-მოიხედა.

— თანაშემწემ რა თქვა? — ჰკითხა ჰასტონმა.

— კინაღამ გაგიჟდა. წითლები ხართ და ყველგან არეულობის მოწყობა გინდათო, ადექი და გამომყევიო. წაიყვანა და მაწანწალობის ბრალდებით სამოცი დღე ციხეში აყურყუტა.

— რას იზამდა, ბიჭს სამუშაო რო ქონოდა? — იკითხა ტიმოთი უოლესმა.

ჩასუქებულმა ჩაიცინა.

— ხო ვიცით, როგორც არი, თუ პოლიციელს კაცი არ მოსწონს, ესე იგი, მაწანწალაა, მორჩა და გათავდა. ამიტომ ვერ იტანენ აქაურობას, იციან, რო პოლიციას არ უშვებენ, აქ შეერთებული შტატებია, კალიფორნია კი არა.

ჰასტონმა ამოიხვნეშა.

— კარგი იქნებოდა აქ დარჩენა რო შეგვძლებოდა, მაგრამ მალე წასვლა მოგვიწევს. მომწონს აქაურობა, ხალხი მეგობრულად ცხოვრობს. ღმერთო, რა იქნება, რო თავი დაგვანებონ! ციხეებში რატო უნდა გვყრიდნენ? გეფიცები, იმდენს იზამენ რო ომს აგვატეხინებენ. — ჰასტონმა თავი მოთოკა, — სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ, — შეახსენა თავის თავს. უფლება არა გვაქ, რო მოთმინება დავკარგოთ.

— ვინმე თუ ფიქრობს, რო კომისიაში მუშაობა ადვილია და ჩვენ აქ კანფეტებს გვირიგებენ, ძაან ცდება, — თქვა ჩასუქებულმა მესამე შენობიდან, — დღეს ჩვენთან ქალებმა ისეთი ჩხუბი ატეხეს, რო. ილანძღებოდნენ და რაც ხელში მოხვდებოდათ, ყველაფერს ერთმანეთს ესროდნენ. ქალების კომისია ვერ მოერია და ჩემთან მოვიდნენ. უნდოდათ, რო მთავარი კომისია ჩაგვერთო. მე ვუთხარი, ადექით და თქვენ თითონ მოაგვარეთ, მთავარი კომისია იმისთვის არ არი, რო ნაგვის სროლა გაარჩიოს-მეთქი.

— კარგად გიქნია, — კვერი დაუკრა ჰასტონმა.

ბინდი ჩამოწვა. სიბნელეში სიმებიანი ორკესტრის მუსიკა კიდევ უფრო ხმამაღლა ისმოდა. შუქი აანთეს. ორი კაცი გადაკერებულ მავთულს ამოწმებდა. ბავშვები მუსიკოსების გარშემო შეგროვებულიყვნენ. ბიჭი გიტარაზე დაბალ ხმაზე უკრავდა ბლუზს, მეორე მისამღერზე მელოდიას სამი ჰარმონიკისა და ვიოლინოს ჰანგები უერთდებოდა. კარვებიდან მოედნისკენ ხალხი ნაკადებად მიედინებოდა. კაცები სუფთა ლურჯ ჯინსებში, ქალები კი, ჭრელ ჩითის კაბებში გამოწყობილიყვნენ. მოედანს გარშემო შემოეწყვნენ და ნათურების შუქით გაბრწყინებული მიზანდასახული სახეებით ცეკვების დაწყებას უცდიდნენ.

ბანაკს გარშემო მავთულის ღობე ერტყა. ღობის გასწვრივ, ყოველი ორმოცდაათი ფუტის დაშორებით, ბალახში მცველები ჩამსხდარიყვნენ.

ნელ-ნელა სტუმრების მანქანებიც გამოჩნდნენ. წვრილი ფერმერები თავისი ოჯახებით და შორიახლო მდებარე ბანაკების ბინადარნი ერთიმეორის მიყოლებით შედიოდნენ. ყოველი მათგანი მიმპატიჟებელს ასახელებდა.

სიმებიანი ორკესტრი ქანთრის ხმამაღლა უკრავდა, რადგან რეპეტიცია უკვე დასრულებული იყო. მორწმუნეები დაბოღმილი სახეებითა და ქედმაღლური განმკითხველი მზერით თავიანთი კარვების წინ ისხდნენ და საღამოს მსვლელობას აკვირდებოდნენ, რომ ცოდვა არ გამოჰპარვოდათ.

რუთმა და უინფილდმა ღარიბული ვახშამი სწრაფად შესანსლეს და მოედნისკენ გაიქცნენ, მაგრამ დედამ უკან მიაბრუნა, ხელით ნიკაპები აუწია, ნესტოებში შეხედა, ყურებში ჩახედა და მერე კიდევ ერთხელ ხელების დაბანა უბრძანა. ბავშვები რამდენიმე წუთით სანიტარულ შენობას ამოეფარნენ და შემდეგ თავპირის მტვრევით მიირბინეს საცეკვაო მოედან-

თან, რომ ორკესტრის ირგვლივ შეკრებილ ბავშვებს შორის ჩამდგარიყვნენ.

ელმა ისადილა. მერე მთელი ნახევარი საათი ტომის სამართებლით წვერის პარსვაში გაატარა, შხაპი მიიღო, სწორი თმა უკან გადაივარცხნა, შალის ვიწრო შარვალი და ზოლიანი პერანგი ჩაიცვა. ამასობაში საპირფარეშო წუთით დაცარიელდა. ელმა დრო იხელთა, სარკეში ჩაიხედა და თავის თავს მომხიბვლელად გაუღიმა. მერე შეტრიალდა, ეცადა, რომ სარკეში გაღიმებული პროფილი დაენახა. იისფერი სამკლავურები გაიკეთა, ვიწრო პიჯაკი მოიცვა და ტუალეტის ქაღალდის ნაგლეჯით ფეხსაცმელები გაიპრიალა. სწორედ ამ დროს საპირფარეშოში ვიღაც შევიდა. ელმა სასწრაფოდ დატოვა იქაურობა და დარდიმანდული მიხრა-მოხრით გაეშურა მოედნისკენ. მიდიოდა და თვალებით გოგოები ლამის შეეჭამა. საცეკვაო მოედანთან ახლოს, კარვის წინ, ლამაზი ქერა გოგონა იჯდა. ელმა პიჯაკი გადაიხსნა, რომ ზოლიანი პერანგი გამოეჩინა და გოგონას მიუახლოვდა

— ცეკვაზე მოდიხარ? — ჰკითხა მან.

გოგონამ სახე შეაბრუნა. არაფერი უპასუხა.

— კაცმა სიტყვა ვერ უნდა გითხრას? იქნებ მე და შენ გვეცეკვა? — უდარდელი ხმით ჰკითხა ელმა, — ვალსი კარგად გამომდის.

გოგონამ მორცხვად ასწია თვალები.

— დიდი ამბავი, ვალსი ყველას კარგად გამოსდის.

— ჩემსავით არავის, — მოედნიდან მუსიკის ხმა მოვარდა, ელმა ფეხი აუწყო.

კარვიდან ძალიან მსუქანმა ქალმა გამოიხედა.

— გაიარე, გაიარე, — შეუბღვირა ელს, — გოგო დანიშნულია, მალე საქმრო მოაკითხავს.

ელმა თვალი ჩაუპაჭუნა და გზა ცეკვა-ცეკვით განაგრძო. გოგონამ თვალები ძლივს მოსწყვიტა.

მამამ თეფში დადო და წამოდგა.

— წავედით, ჯონ, — თქვა მამამ და დედას მიუბრუნდა, — დე, კაცებს უნდა დაველაპარაკოთ სამუშაოზე, — მამა და ძია ჯონი მმართველის ოფისისკენ წავიდნენ.

ტომმა ჩაშუშულის წვენში პური ამოუსვა და თეფში დედას მიაწოდა. დედამ თეფში ცხელი წყლით სავსე სათლში გარეცხა და გასამშრალებლად შარონს გადასცა.

— საცეკვაოდ არ მიდიხარ? — ჰკითხა დედამ ტომს.

— როგორ არა, — უპასუხა ტომმა, — კომისიაში შემიყვანეს, ზოგიერთების გართობა მომიწევს.

— უკვე კომისიაში შეგიყვანეს? ალბათ სამუშაო რო გაქ იმიტო.

შარონის ვარდი თეფშის შესანახად შებრუნდა.

— ღმერთო, როგორ მოიმატა, — თქვა ტომმა.

შარონი გაწითლდა. დედას კიდევ ერთი თეფში ჩამოართვა.

— უნდა მოიმატოს, აბა რა!

— და გალამაზდა, — დაამატა ტომმა.

შარონი კიდევ უფრო გაწითლდა და თავი ჩაქინდრა.

— კაი რა, გაჩერდი, — ხმადაბლა უთხრა ძმას.

— ჰო, გალამაზდა, ორსულობის დროს პატარა გოგოები ყოველთვის ლამაზდებიან.

— ეგრე თუ გააგრძელა გასუქება, ურმით მოგვიწევს ტარება. — გაიცინა ტომმა.

— ოოჰ, გაჩერდი, — თქვა შარონმა და კარავში შეიმალა.

— ნუ დასცინი, — ჩაიცინა დედამ.

— მოსწონს, რო ვეხუმრები.

— ვიცი, რო მოსწონს, მაგრამ მაინც ბრაზდება. ეხლა ხო იცი, რო კონიზე გლოვობს.

— უთხარი თავი დაანებოს. ეხლა კონი ალბათ სწავლობს, რო შეერთებული შტატების პრეზიდენტი გამოვიდეს.

— ნუ აწყენინებ, ხო იცი, რო ცუდ დღეშია.

კარავთან უილი იტონი მივიდა და ღიმილით იკითხა:

— ტომ ჯოუდი შენ ხარ?

— მე ვარ.

— მე გართობის კომისიის თავმჯდომარე ვარ. ბიჭებმა მითხრეს შენზე. დაგვჭირდები.

— სიამოვნებით. გაიცანი, ეს დედაა.

— გამარჯობა, — თქვა უილიმ.

— მოხარული ვარ.

— გვინდა, რო ჭიშკართან იდგე. როცა შემოვლენ რო არ გამოგვეპაროს. კიდე ერთი ბიჭი იქნება შენთან ერთად. მერე მოცეკვავეებს შეუერთდები და თან დააკვირდები.

— რაც საჭიროა, გავაკეთებ, — უთხრა ტომმა.

— რა ამბავია? რამე ცუდი ხდება? — იკითხა შეშინებულმა დედამ.

— არა, მემ, არაფერი.

— არაფერი, დე. უილი, ერთად წავიდეთ. დე, ცეკვებზე გნახავ.

ორი ახალგაზრდა კაცი მთავარი ჭიშკრისკენ გაეშურა. დედამ დარეცხილი ჭურჭელი ყუთზე დააწყო.

— გამოდი, — არავინ უპასუხა, — შარონ, გამოდი, — კიდევ დაუძახა დედამ.

გოგონა კარვიდან გამოვიდა და ჭურჭლის დამშრალება განაგრძო.

— ტომი გეხუმრებოდა.

— ვიცი. ეგ არაფერი, უბრალოდ ვერ ვიტან, ხალხი რო მათვალიერებს.

— მაგას ვერაფერს უზამ, ხალხი შეგხედავს, ისე როგორ იქნება. მაგრამ ხო იცი, რო ხალხს ორსულის დანახვა უხარია, რაღაცნაირად კარგ ხასიათზე დგება ყველა. ცეკვებზე მიდიხარ?

— მინდოდა, მაგრამ ეხლა არ ვიცი... კონი რო აქ იყოს... — შარონმა ხმას აუწია, — დე, მინდა, რო აქ იყოს, ვეღარ ვუძლებ.

დედა დაკვირვებით მიაცქერდა.

— ვიცი, — უთხრა დედამ, — მაგრამ, შარონ, იცოდე, ოჯახი არ შეარცხვინო, თავზე ლაფი არ დაგვასხა.

— არც მიფიქრია, დე.

— არ შეგვარცხვინო, ისედაც მძიმე ცხოვრება გვაქ. სირცხვილიღა გვაკლია.

გოგონას ტუჩი აუცახცახდა.

— არ წავალ ცეკვაზე. არ შემიძლია... დე, დამეხმარე! — ჩამოჯდა და სახეზე ხელები აიფარა.

დედამ ხელები ჭურჭლის ტილოზე შეიწმინდა, შვილის წინ ჩაიმუხლა, ორივე ხელი თმაზე გადაუსვა და უთხრა:

— შენ ხო კარგი გოგო ხარ, ყოველთვის კარგი იყავი, ნუ გეშინია, მე აქ ვარ, მე მოგხედავ. — ხმაში იდუმალება გაურია, — იცი, ეხლა რას გავაკეთებთ? ავდგებით და ცეკვებზე წავალთ. დავჯდეთ და ვუყუროთ. ვინმე თუ გამოგიწვევს, ვეტყვი, რო სუსტად ხარ და არ შეგიძლია. იქ იჯდები და მუსიკას მოუსმენ, ცეკვას უყურებ.

— საცეკვაოდ არ გამიშვებ?

— არა.

— და ხელს არავინ მახლებს?

მკითხველთა ლიგა

— არავინ გახლებს.

გოგონამ ამოიოხრა და სასოწარკვეთილი ხმით თქვა:

— არ ვიცი, რა ვქნა, დე. უბრალოდ არ ვიცი.

დედამ ხელი მუხლზე მოუსვა.

— მომხედე, შარონ, — უთხრა მან, — გეტყვი, როგორც არი. ცოტა ხანი ცუდად იქნები, უნდა მოითმინო, ეს ესეა, მეტი გზა არ არი, უნდა მოითმინო. ეხლა წამოდი, დავიბანოთ, გამოვიპრანჭოთ და ცეკვებზე წავიდეთ, მუსიკას მოვუსმინოთ. — და შარონის ვარდს სანიტარული შენობისკენ გაუძღვა.

მამა, ძია ჯონი და რამდენიმე კაცი ოფისის პარმაღზე ისხდნენ.

— დღეს კინაღამ სამუშაოზე მოვეწყეთ, რამდენიმე წუთი დაგვაგვიანდა, — თქვა მამამ, — ვიღაც ორი კაცი აიყვანეს. უცნაური ის იყო, რო ის კაცი, ბრიგადირია თუ ვიღაცა, მეუბნება, ოცდახუთ ცენტად ორი კაცი ავიყვანეთო, წადი შენ ბანაკში და ხალხს უთხარი, რო ოც ცენტად ბევრ ხალხს ავიყვანთო.

ჩაცუცქულები აწრიალდნენ. ერთმა მხარბეჭიანმა კაცმა, რომელსაც შავი ქუდი ისე ჩამოეფხატა, რომ სახე არ უჩანდა, მუხლზე ხელი დაირტყა:

— ვიცი, რასაც ხლართავენ, დასწყევლოს ღმერთმა მაგათი თავი! და აიყვანენ კიდეც, მშიერი კაცის მეტი რა არი! საათში ოც ცენტად ოჯახს ვერ აჭმევ, მაგრამ ყველაფერს თანხმდები, მაგათ ხელში ხარ, სამუშაოს ისე ყიდიან, გეგონება აუქციონი იყოს. მალე ფულს ჩვენ გადაგვახდევინებენ, რო სამუშაო მოგვცენ.

— ავიღებდით იმ სამუშაოს, — თქვა მამამ, — სუ არაფერი გვაქ, მაგრამ იქვე კაცები იყვნენ და ისე გვიყურებდნენ, რო შეგვეშინდა.

შავქუდიანმა თქვა:

— კაცი ფიქრობ და გიჟდები! ერთ ტიპთან ვმუშაობდი, მოსავალს ვერ იღებდა, დაკრეფაში უფრო მეტი უნდა გადავიხადო, ვიდრე ამ მოსავალში ავიღებო, ამბობდა. აღარ იცოდა, რა ექნა.

— ჩემთვის ვფიქრობ ხოლმე, — მამა შეჩერდა. კაცები ჩუმად უცდიდნენ, — ჩემთვის ვფიქრობ ხოლმე, ერთი აკრი მიწა რო გვქონდეს, ჩემი ცოლი ცოტა ბოსტნეულს მოიყვანდა, ერთ-ორ ღორს და ცოტა ქათმებს ვიყოლიებდით. კაცები გარეთ ვიმუშავებდით და საღამოს სახლში დავბრუნდებოდით. ბავშვები სკოლაში ივლიდნენ. ეგეთი სკოლები, აქ როა, ადრე თვალითაც არ მინახავს.

— ჩვენი ბავშვები ამ სკოლებში ვერ არიან კარგად.

— რატო? ძაან კაი სკოლებია.

— დაძონძილი ტანსაცმლით, ფეხშიშველები დადიან, იმათ კიდე წინდები, ახალი შარვლები აცვიათ და გავლა-გამოვლაზე ოკის ეძახიან. ჩემი ბიჭი დადიოდა სკოლაში. დღე არ გავიდოდა რო არ ეჩხუბა. კარგადაც შვებოდა, მაგარი ბიჭია! ყოველდღე დახეული ტანსაცმლით, დასისხლიანებული ცხვირით ბრუნდებოდა და სახლში კიდე დედამისი უმატებდა. ბოლოს მე ჩავერიე და დედამისი გავაჩერე. რაღა ეგ უნდოდა საწყალ ბიჭს, თავისი არ ეყოფოდა? ისე კარგად კი მოსდებდა ხოლმე იმ წინდებიან ნაბიჭვრებს. აღარ ვიცი არაფერი...

— რა ჯანდაბა ვქნა? სუ უფულოდ ვართ. ჩემმა უფროსმა შვილმა კი იშოვა სამუშაო, მაგრამ რამდენიმე დღე იმუშავებს და მორჩა. იმით ოჯახს ვერ აჭმევ. უნდა ავიღო ის ოც ცენტიანი სამუშაო, მეტი გზა არ მაქ.

შავქუდიანმა ბანჯგვლიანი დაძარღვული კისერი ასწია და სინათლეზე ჯაგარა წვერით დაფარული ნიკაპი გამოუჩნდა.

— ოოხ! — სიმწრით ამოიოხრა მან, — აიღებ, აბა რას იზამ. ამ დროს მე ოცდახუთ ცენტს მიხდიან, გამოდის, რო სამუშაო წამართვი. მერე მე მომშივდება და შენ სამუშაოს თხუთმეტ ცენტად ავიღებ. ჰო, აიღე ეგ სამუშაო!

— რა ჯანდაბა გავაკეთო? — იკითხა მამამ, — იმიტო ვიშიმშილო, რო შენ ოცდახუთი ცენტი გიხადონ?

შავქუდიანმა თავი ისევ ჩაქინდრა და ნიკაპი ქუდის ჩრდილში ჩამალა.

— არ ვიცი უბრალოდ არ ვიცი დღეში თორმეტ საათს ვმუშაობ და გაძღომა რა არი, აღარც მახსოვს, ბავშვი ნახევრად მშიერი მყავს; თან სუ უნდა იფიქრო, რა და როგორ გააკეთო. აღარ შემიძლია ამდენი ფიქრი, უკვე ვგიჟდები, დასწყევლოს ღმერთმა! — გარშემო ჩაცუცქულები აწრიალდნენ.

ტომი ჭიშკართან იდგა და საცეკვაოდ მისულ სტუმრებს ყურადღებით აკვირდებოდა. პროჟექტორის შუქი იქაურობას კარგად ანათებდა.

— ყურადღება არ მოადუნო, ეხლა ჯულ ვიტელას გამოვგზავნი. ნახევრად ჩეროკია, ყოჩაღი ბიჭია. ხალხს თვალი არ მოაშოროთ, იქნებ ვინმე შენიშნო.

— კარგი, — უთხრა ტომმა და თავის საქმე განაგრძო. ჭიშკარში ერთიმეორის მიყოლებით შედიოდნენ ფერმერები და მათი ოჯახის წევრები, ნაწნავიანი გოგონები და საგანგებოდ გამოპრანჭული ბიჭები. მალე ჯულ ვიტელა მივიდა და ტომს გვერდით დაუდგა.

— შენთან ვარ, — უთხრა ჯულმა.

ტომმა მის მოკაუჭებულ ცხვირს, მაღალ ღაწვის ძვლებს, ვიწრო ნიკაპს შეხედა.

— მითხრეს, რო ნახევრად ჩეროკი ხარ, მაგრამ წმინდა სისხლის ინდიელს გავხარ.

— მარტო ნახევრად ვარ, — უთხრა ჯულმა, — ნეტა მართლა წმინდა სისხლის ვიყო, რეზერვაციაში ჩემი მიწა მექნებოდა. იმათ რა უჭირთ, თავს ართმევენ.

— კარგი, ხალხს უყურე, — უთხრა ტომმა.

ჭიშკარში უამრავი ხალხი შედიოდა: ფერმერები და მათი ოჯახები ახლომდებარე ფერმებიდან, დევნილები გზისპირა ბანაკებიდან. ბავშვები მშობლებისგან თავის დაღწევას ცდილობდნენ, მშობლები უკან ექაჩებოდნენ.

— ცოტა სასაცილო არ არი? ჩვენ ხალხს არაფერი აქ, მაგრამ სიამაყე ემატებათ ცეკვაზე რო მეგობრების დაპატიჟება შეუძლიათ. ისინიც მოდიან და მადლიერები არიან. ცოტა ხნის წინ ერთ პატარა ფერმაში ვმუშაობდი, მეპატრონე ცეკვებზე დავპატიჟე, მოვიდა და ძაან კმაყოფილი დარჩა. ამ ოლქში ასეთი კარგი ცეკვის საღამო არ მინახავსო, აქ ცოლ-შვილის მოყვანაც კი შეიძლებაო, თქვა. ეი! შეხედე.

სამი ახალგაზრდა კაცი ჭიშკარს უახლოვდებოდა — მუშა კაცები ლურჯი ჯინსებით. ერთად მოძრაობდნენ. შესასვლელში მცველმა კითხვა დაუსვა, უპასუხეს და გაიარეს.

— ფრთხილად იყავი, — უთხრა ტომს ჯულმა. მცველთან მივიდა და ჰკითხა:

— ეს სამნი ვინ დაპატიჟა?

— ჯეკსონმა მეოთხე შენობიდან.

ჯული ტომთან დაბრუნდა.

— მგონი, ეგენი არიან.

— საიდან იცი?

— რა ვიცი, ესეთი წინათგრძნობა მაქ, შეშინებულებს ჰგვანან. გაყევი და უილის უთხარი, რო მეოთხე შენობიდან ჯეკსონი ნახოს და გადაამოწმოს. მე აქ დავრჩები.

ტომი სამ კაცს აედევნა. კაცები საცეკვაო მოედანთან მივიდნენ და სტუმრებს შორის მშვიდად დაიკავეს პოზიციები. უილი ორკესტრთან იდგა. ტომმა ხელი დაუქნია.

— რა არი? — ჰკითხა უილიმ.

— იმ სამ კაცს ხედავ?

— ჰო.

— ამბობენ, რო მეოთხე შენობიდან ჯეკსონმა დაპატიჟა. გაარკვიე.

უილიმ კისერი წაიგრძელა, თვალებით ჰასტონი მოძებნა და დაუძახა.

— აი, ის სამი კაცი, — თქვა მან, — მეოთხე შენობიდან ჯეკსონს უნდა ვკითხოთ, დაპატიჟა თუ არა.

ჰასტონი ქუსლზე დატრიალდა და წავიდა, რამდენიმე წუთში გაძვალტყავებულ კანზასელთან ერთად დაბრუნდა.

— ეს არი ჯეკსონი. — თქვა ჰასტონმა, — ჯეკსონ, იმ სამს ხედავ?

— ვხედავ.

— შენ დაპატიჟე?

— არა.

— გეცნობა ეს ხალხი?

ჯეკსონმა კაცებს კიდევ ერთხელ შეხედა.

— ვიცი, ვინც არიან. გრეგორიოსთან ერთად ვმუშაობდით.

— ესე იგი, შენი სახელი იცოდნენ.

— იცოდნენ, აბა რა! გვერდიგვერდ ვმუშაობდით.

— კარგი, — უთხრა ჰასტონმა, — ახლოს არ გაეკარო. თუ კარგად მოიქცევიან, არ გავყრით. მადლობა, მისტერ ჯეკსონ.

— მაგარი ნამუშევარია, — უთხრა ჰასტონმა ტომს, — ეგენი არიან.

— ჯულმა შეამჩნია.

— არ მიკვირს, ინდიელის სისხლი აქ, მტერს ყნოსვით აგნებს. კარგი, წავედი, ბიჭებს გავაფრთხილებ.

დაახლოებით თექვსმეტი წლის ბიჭმა ხალხის ბრბო გაარღვია და ჰასტონთან ქოშინით მიირბინა.

— მისტერ ჰასტონ, როგორც მითხარით, ისე გავაკეთე. — თქვა მან, — ევკალიპტის ხეებთან მანქანაში ექვსი კაცი ზის, გზის ჩრდილოეთ მხარეს კიდე ერთი მანქანა დგას, შიგ ოთხნი სხედან. ასანთი ვთხოვე და ჩემი თვალით დავინახე, შეიარაღებულები არიან.

ჰასტონი კუშტი ულმობელი მზერით იცქირებოდა.

— უილი, ყველაფერი მზად არი? — ჰკითხა უილის.

— ყველაფერი, — ჩაიცინა უილიმ. — დაწყნარდით, მისტერ ჰასტონ.

— ცემა არ შეიძლება, არ დაგავიწყდეთ. თუ მშვიდობით მოაგვარებთ, კარგი იქნება მაგათთან დალაპარაკება. ჩემს კარავში ვიქნები.

— ვნახოთ, — უპასუხა უილიმ.

ცეკვები ჯერ არ დაწყებულიყო. უილი მოედანზე ავიდა.

— ადგილები დაიკავეთ, — დაიყვირა უილიმ, — კვადრატებში ჩადექით, — მუსიკა გაჩერდა, ბიჭები და გოგოები, ახალგაზრდა კაცები და ქალები დაფაცურდნენ, ერთმანეთი მოძებნეს, დაწყვილდნენ და დიდ მოედანზე დაახლოებით რვა კვადრატი სრულ საცეკვაო მზადყოფნაში მოვიდა. გოგოებს ხელები წინ ეჭირათ, თითებს მოუთმენლად ათამაშებდნენ, ბიჭები ფეხებს აბაკუნებდნენ, მოედნის გარშემო ჩამომსხდარი მოხუცები ოდნავ იღიმოდნენ და ბავშვებს მოედანზე შეჭრის უფლებას არ აძლევდნენ. მოშორებით ქრისტეს მადიდებლები პირქუში, განმკითხველი სახეებით სადარაჯოზე იდგნენ, რომ თვალთახედვიდან ცოდვა არ გამოჰპარვოდათ.

დედა და შარონის ვარდი გრძელ სკამზე ისხდნენ. როდესაც შარონს საცეკვაოდ იწვევდნენ, დედა პასუხობდა:

— არა, შეუძლოდ არი, — შარონის ვარდს ყოველ ჯერზე თვალები უნათდებოდა და სახეზე ალმური ედებოდა.

მოკარნახე მოედანზე გავიდა და ხელები ასწია.

— ყველა მზად არი? მაშინ, წავიდააა!

„სქვეარ დანსის“ მუსიკის ხმა — მკვეთრი და გამგმირავი. ვიოლინო ქარივით აჰყვა, ჰარმონიკამ მოგუდული შეაშველა, გიტარამ ბასები დააგუგუნა. მოკარნახე ფიგურებს ასახელებდა და კვადრატები მოძრაობას იწყებდნენ — წინ და უკან, წინ და უკან, ხელები მოჰხვიე, ქალი აცეკვე — ეშხში შესული მოკარნახე ფეხებს აბაკუნებდა, მიდი-მოდიოდა, კვადრატებში იჭრებოდა და მოცეკვავეებს სვლებს კარნახობდა.

— ქალი დაატრიალე. დო-სი-დო, ერთმანეთს ხელები ჩაჭიდეთ. წავიდაა! — მუსიკის ხმა იმატებდა და იკლებდა, მოედნის იატაკზე ფეხსაცმლის რიტმული ბაკუნი დასარტყამი ინსტრუმენტის გამოძახილივით ისმოდა.

— მარჯვნივ დატრიალდით, ერთი, ორი, სამი, მარცხნივ, დო-სი-დო, — მაღალი მონოტონური ხმით მღეროდა მოკარნახე. გოგონებს საგულდაგულოდ დაწყობილი თმა დაეშალათ, ბიჭებს შუბლები ოფლის წვეთებით დაენამათ, გამოცდილი მოცეკვავეები რთული რიტმული მოძრაობების შესრულებაზე გადავიდნენ. მოედნის გარშემო მოხუცებმა რიტმი აიტაცეს, ტაშს უკრავდნენ, მუსიკას ფეხს აყოლებდნენ, თავშეკავებით იღიმოდნენ და როცა თვალებით სხვის მზერას აწყდებოდნენ, თავს მორიდებით უკრავდნენ.

დედა შარონის ვარდისკენ გადაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა:

— იქნებ არც დამიჯერო, მაგრამ ახალგაზრდობაში მამაშენი ძაან მაგარი მოცეკვავე იყო, სხვა ეგეთი არც მინახავს, — გაიღიმა დედამ. — ამათ რო ვუყურებ, ძველი დრო მახსენდება.

მაყურებლებს წარსულის გახსენება სევდიან ღიმილს ჰგვრიდა.

— ოცი წლის წინათ მესკოუჯისთან ახლოს ბრმა მევიოლინე ცხოვრობდა...

— ბიჭს ვიცნობდი, ერთ შეხტომაზე ოთხჯერ ასწრებდა ქუსლებს დაბაკუნებას...

— ხო იცით, დაკოტაში შვედები რას აკეთებდნენ? იატაკზე წიწაკას ყრიდნენ. ცეკვის დროს გოგოების ქვედა კაბები წიწაკას ზევით იტაცებდა და ისეთი ემართებოდათ, რო სუ ატეხილი კვიცებივით ხტოდნენ. შვედები ხშირად იქცეოდნენ ხოლმე ესე.

მოშორებით იესოს მადიდებლები თავიანთ მოუსვენარ შვილებს დარაჯობდნენ.

— შეხედეთ ამ ცოდვილებს, პირდაპირ ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიწვებიან. რა სირცხვილია, რო მორწმუნეებს ამის ატანა უწევთ, — დაზაფრული ბავშვები უფროსებს უხმოდ უსმენდნენ.

— ერთი რაუნდიც და შესვენება, — წამღერებით ლაპარაკობდა მოკარნახე, — მიდი, მაგრა დააბაკუნე, დაიხარჯე, დაიხარჯე, მალე დავისვენებთ. გახვითქულ, გაწითლებულ გოგონებს პირი ნახევრად გაეღოთ და სერიოზული, მიზანდასახული გამომეტყველებით ცეკვავდნენ. ბიჭები გრძელ თმას უკან იყრიდნენ, მედიდურად გამართულები ფეხის წვერებს ჭიმავდნენ, ქუსლებს აბაკუნებდნენ, ხტოდნენ, ტრიალებდნენ.

მუსიკა ქუხდა და წყვილები მოედნის შუაში იჭრებოდნენ, უკან იხევდნენ, წინ, უკან, კუთხიდან კუთხეში...

შემდეგ უეცრად მუსიკა შეწყდა. მოცეკვავეები გაჩერდნენ. დაღლილობისგან სულს ძლივს ითქვამდნენ. ბავშვებმა თავისუფლება იგრძნეს და მოედანზე შევარდნენ, გიჟებივით დარბოდნენ, იატაკზე სრიალებდნენ, ერთმანეთს ქუდებს სტაცებდნენ, თმას ქაჩავდნენ. მოცეკვავეები დასხდნენ; აქოშინებულები ხელით ინიავებდნენ და სუნთქვის დაოკებას ცდილობდნენ. დამკვრელები წამოდგნენ, ფეხები გამართეს და ისევ დასხდნენ. გიტარისტები სიმებს წყნარად ახმიანებდნენ.

უილიმ წამოიყვირა:

— შემდეგი ცეკვისთვის მოემზადეთ! — დაღლილი მოცეკვავეები ძლივს წამოიმართნენ. ახალმა წყვილებმა ერთმანეთი მოძებნეს და მოედანზე განლაგდნენ.

ტომი სამ ახალგაზრდა კაცს თვალს არ აშორებდა. კაცებმა ხალხში გზა გაიკვალეს, მოედნის სიღრმეში შეიჭრნენ და ახლადშექმნილ კვადრატს მიუახლოვდნენ. ტომმა უილის ნიშანი მისცა. უილიმ მევიოლინეს გადაულაპარაკა, მევიოლინემ ხემი სიმებს მძლავრად გაუსვა და ოცი ახალგაზრდა ნელი სვლით დაიძრა მოედნისკენ. ამასობაში სამი კაცი ერთ-ერთ წყვილს მიუახლოვდა.

— ამ ქალს უნდა ვეცეკვო, — თქვა ერთმა.

ქერა ბიჭმა გაოცებული თვალებით შეხედა:

— ჩემი მეწყვილეა.

— მომხედე აქეთ, შე ლაწირაკო...

სიბნელიდან მჭახე სტვენის ხმა გაისმა. მალე სამი კაცი ალყაში მოიმწყვდიეს, თითოეულ მათგანს ძლიერი ხელი მარწუხებივით ჩაეჭიდა და ცოცხალი კედელი ერთიანად, გაუშლელად გადავიდა მოედნიდან.

უილიმ დაიყვირა:

— ვიწყებთ, მუსიკაა! — და მუსიკამ დაიგრიალა. მოკარნახე წამღერებით ასახელებდა ფიგურებს, კვადრატები აცეკვდნენ, ფეხები აბაკუნდნენ.

ჭიშკართან მსუბუქი მანქანა გაჩერდა. მძღოლმა დაიძახა:

— ჩქარა, კარი გააღეთ! აქ რა არეულობა მოგიწყვიათ?

მცველს ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია.

— არავითარი არეულობა, მუსიკას ვუსმენთ. თქვენ ვინ ხართ?

— შერიფის თანაშემწეები.

— ორდერი გაქვთ?

— ორდერი არ გვჭირდება, როცა არეულობაა.

— არეულობა არ არი, — მშვიდად გაიმეორა მცველმა.

მანქანაში მსხდომებმა მუსიკასა და მოკარნახეს ყური მიუგდეს, შემდეგ მანქანა უკან დახიეს და გზაჯვარედინთან გაჩერდნენ.

მოძრავ კედელს შიგნით ხაფანგში მოქცეული სამი კაცისთვის პირებზე ხელი აეფარებინათ. სიბნელეს რომ შეერივნენ, კედელი გაიშალა.

— სუფთა ნამუშევარია, — თქვა ტომმა, თავისი მსხვერპლი ზურგზე ხელებგადაგრეხილი ეჭირა.

საცეკვაო მოედნიდან უილი მიუახლოვდათ.

— მაგარია! ეხლა ექვსი კაციც გვეყოფა. ჰასტონს ამ ტიპების ნახვა უნდა.

სწორედ ამ დროს ჰასტონი სიბნელიდან გამოვიდა.

— ესენი არიან?

— ჰო, — უპასუხა ჯულმა, — პირდაპირ მოედანზე ააჭრეს, მაგრამ ხელის განძრევაც ვერ მოასწრეს.

— ერთი დამანახეთ, — თავჩაქინდრული ტყვეები შეატრიალეს, რომ ჰასტონს დაეთვალიერებინა. ჰასტონმა მოღუშულ სახეებზე ფარანი მიანათა.

— რატო გინდოდათ არეულობის მოწყობა? — არაფერი უპასუხეს, — ვინ გამოგგზავნათ?

— არავინ, უბრალოდ ცეკვა გვინდოდა.

— ეგრე არ არი, იმ პატარა ბიჭის ცემას აპირებდით.

— მისტერ ჰასტონ, ზუსტად მაშინ, ეს ტიპები რო შემოვიდნენ, ვიღაცამ დაუსტვინა.

— ჰო, ვიცი, პოლიციელები მოვიდნენ ჭიშკართან. — ჰასტონი ტყვეებს მიუბრუნდა, — არაფერს დაგიშავებთ, მაგრამ უნდა გვითხრათ, ცეკვებზე შემოსვლა ვინ დაგავალათ, — პასუხს დაელოდა, — ჩვენიანები ხართ, — სევდიანად თქვა ჰასტონმა, წესით ერთად უნდა ვიყოთ, ეგ როგორ დაგემართათ, რო აქ შემოგვეჭერით? ჩვენ ყველაფერი ვიცით.

— კაცს ჭამა უნდა, დასწყევლის ღმერთი!

— ვინ გამოგგზავნათ? ვინ გადაგიხადათ?

— არავის გადაუხდია.

— არც გადაგიხდიან. თუ ჩხუბი არ არი, არც ფულია. ეგრეა, არა?

— რაც გინდათ, ის ქენით, არაფერსაც არ გეტყვით, — თქვა ერთმა ხელებგადაგრეხილმა.

ჰასტონმა თავი ჩაქინდრა და ხმადაბლა უთხრა:

— კარგი, ნუ იტყვით, მაგრამ მომხედეთ აქეთ, თქვენი ხალხისკენ დანით ნუ იწევთ. ჩვენ აქ ვცდილობთ, რო ერთად ვიყოთ, გავერთოთ, მაგრამ თან წესრიგს ვიცავთ და ნუ ჩაერევით, ხელს ნუ შეგვიშლით, დაიმახსოვრეთ, რასაც გეუბნებით. იმდენს ნუ იზამთ, რო საკუთარი თავი დააზიანოთ. კარგი, ბი-

ჭებო, უკანა ღობიდან გაუშვით, არაფერი დაუშავოთ, აზრზე არ არიან, რას აკეთებენ.

მოძრავი კედელი ბანაკის უკანა მხარისკენ ნელა გადაადგილდა. ჰასტონი იდგა და უცქერდა.

— თითო არ უნდა გვებეთქა? — იკითხა ჯულმა.

— არა, არა-მეთქი! — წამოიძახა უილიმ.

— ერთი პატარა წათაქება არ აწყენდათ, — ხმაში თხოვნა გაურია ჯულმა, — მაშინ ჩვენი ხელით მოვისვრით ღობის იქით.

— არა-მეთქი, — თავისაზე იდგა უილი, — მისმინეთ, — ტყვეებს მიუბრუნდა, — ეხლა გიშვებთ, მაგრამ ვინც გამოგგზავნათ, იმას გადაეცით, რო კიდე თუ ვინმე გაბედავს, ვინც არ უნდა იყოს, იცოდეთ, დედის რძეს არ შევარჩენთ, თავ-პირს დავალეწავთ და ძვალს და რბილს გავუერთიანებთ. ზუსტად ესე უთხარით. ჰასტონი თქვენზე ამბობს, კარგი ბიჭები არიან, უბრალოდ აცდუნესო. იქნებ ეგრეც არი, მაგრამ მე რო გიყურებთ, გული მერევა.

ღობეს მიუახლოვდნენ. ორი მცველი ფეხზე წამოდგა.

— ეს ტიპები სახლში ადრე მიდიან და გაუშვით. — უთხრა უილიმ. სამი კაცი ღობეზე გადაძვრა და სიბნელეში გაუჩინარდა.

რაზმი სწრაფი ნაბიჯით გაემართა საცეკვაო მოედნისკენ. ორკესტრი ჟღრიალითა და წკავწკავით ასრულებდა „დენი ტაკერს“.

ოფისთან ახლოს ჩაცუცქულები სჯა-ბაასს განაგრძობდნენ.

— ცვლილებები იქნება, როგორი, არ ვიცი, ჩვენ იქნებ ვერც მოვესწროთ, მაგრამ იქნება. ყველა ისეთი აფორიაქებულია, რო კაცს ფიქრის თავი აღარა აქ, არ იცის, რა ქნას, — თქვა მამამ.

შავქუდიანმა თავი ასწია. შუქი ჯაგარა წვერზე დაეცა. მიწიდან რამდენიმე პატარა ქვა აეკრიფა და ცერა თითით ისე ისროდა, გეგონებოდათ, კენჭობანას თამაშობსო.

— მართალს ამბობ, რაღაცა გვიახლოვდება. ამას წინათ ერთი მომიყვა, არკონში, ოჰაიოს შტატში თურმე კაუჩუკის კომპანიას, აქაოდა დაბალ ხელფასზე მუშაობენო, მთიელები აუყვანია სამუშაოზე. იმათ კიდე არც აციეს, არც აცხელეს და ეგრევე პროფკავშირში გაწევრიანდნენ. თურმე იქ ამბავი აიწია რო, მაღაზიების პატრონები, ლეგიონერები, მთელი ეს ნაყარ-ნუყარი ხალხი, სამხედრო სწავლებას რო გადიან, ერთად ღრიალებდნენ, წითლები, წითლები არიან, არავითარი პროფკავშირები, ეხლავე გავყაროთ აკრონიდანო. მქადაგებლები მეტზე აღარაფერზე ქადაგებდნენ, გაზეთები აჭრელებულა, კაუჩუკის მწარმოებელს რაზმები შეუქმნია, ხელკეტებით და გაზით შეუიარაღებია. ღმერთო, გეგონება ის საწყალი მთიელი ბიჭები გამოცხადებული ეშმაკები იყვნენ. — შეჩერდა, რამდენიმე კენჭი კიდევ მოძებნა, — ეს მარტში იყო. მერე, ერთ კვირა დღეს, ხუთი ათასი მთიელი შეიკრიბა და მიზანში სროლაში რო შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ქალაქგარეთ გავიდნენ. ხუთი ათასმა შეიარაღებულმა კაცმა ისე გაიარა ქალაქი, რო ხმა არავის გაუცია. ქალაქიდან გავიდნენ, ისროლეს და მწყობრი სვლით ისევ უკან დაბრუნდნენ. ეს იყო და ეს, ყველაფერი თავის ადგილას დადგა, ქალაქელებმა ხელკეტები უკან დააბრუნეს, მაღაზიების მეპატრონეებმა მაღაზიები ისევ გახსნეს, არც კუპრი წაუსვიათ ვინმესთვის და არც ბუმბულში ამოუგანგლავთ, რაც მთავარია, არავინ მოუკლავთ, — ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა. შემდეგ შავქუდიანმა ისევ წამოიწყო. — აქ ძაან თავს გაუვიდათ, ბანაკი გადაწვეს, ხალხს სცემენ. ჰოდა, ჩემთვის ვიფიქრე, იარაღი ყველას გვაქვს, იქ-

ნებ მიზანში მსროლელთა კლუბი გავხსნათ და კვირაობით შევიკრიბოთ-მეთქი.

ყველამ ერთად შეხედა. მერე ისევ მიწას დააშტერდნენ, აფორიაქებულებს სხეულის სიმძიმე ერთი ფეხიდან მეორეზე გადაჰქონდათ.

25.

კალიფორნიაში მშვენიერი გაზაფხული იცის. ხეობებში ხეხილი ვარდისფრად ჰყვავის, საამო სურნელი ტრიალებს, ზღვისპირა მეჩეჩებს თეთრად აქოჩრილი ტალღები ეხლება, ბებერი ვაზის დაკოჟრილ სხეულს პწკალი კასკადებად ეკიდება. მწვანედ შემოსილი ბორცვები ქალის მკერდივით ფაფუკი ხდება, დაბლობებზე გადაჭიმულ ბოსტნეულის კვლებში ღია მწვანე სალათა, ახალგამონასკვული ყვავილოვანი კომბოსტო და უჩვეულო მონაცრისფრო მწვანედ შეფერილი არტიშოკი ხარობს.

მერე ხეები ფოთლებით იმოსება, ხეხილის ყვავილებს ფურცლები სცვივა და მიწას თეთრ-ვარდისფერ ხალიჩად ეფინება. ყვავილების გული იბერება, იზრდება, ფერადდება და სიცოცხლეს ბალი, ვაშლი, ატამი, მსხალი, ლეღვი იწყებს. მთელი კალიფორნია აჩქარებული ტემპით ცხოვრობს. მწიფე ნაყოფს ტოტები ვერ უძლებს, იღუნება. რომ არ გადატყდეს, ბიჯგებით ამაგრებენ.

ამ სიუხვის მიღმა კაცები დგანან — გონიერი, საქმის მცოდნე, გამრჯე კაცები. სათესლე მასალაზე ცდებს ატარებენ, დღენიადაგ იკვლევენ, რომ რაც შეიძლება მეტი გამოსძალონ მცენარეს, რომ ურიცხვ მავნებელს გაუძლოს: თხუნელებს, მწერებს, ჟანგას... ეს ადამიანები მუხლჩაუხრელად მუშაობენ, რომ თესლი გააუმჯობესონ, უფრო ძლიერი ფესვები მიიღონ. არიან სხვებიც, კაცები, რომლებისთვისაც ქიმია უცხო არ არის, რომლებიც ხეებს მინარევებით იცავენ პარაზიტე-

ბისგან, რომლებიც ვაზს შაბიამნით წამლობენ, დაავადებებს, ლპობას, ჭრაქსა და ნაცარს ებრძვიან.

პრევენციული მედიცინის პროფესიონალები, კაცები, რომლებიც საზღვრებზე დროზოფილებსა და იაპონურ ხოჭოებს ეძებენ, დაავადებულ ხეებს კარანტინში აქცევენ, ძირკვავენ, წვავენ — ესენი განსწავლული კაცები არიან. კიდევ ისინი, ვინც ნერგებსა და ვაზებს ამყნობენ — მათი სამუშაო ქირურგისას ჰგავს. ისეთივე ფაქიზი და საფრთხილოა; ასეთებს დასტაქარის ხელები და გული უნდა ჰქონდეთ, რომ ქერქი სიზუსტით გაჭრან, შიგ სანამყენე ჩასვან, ჭრილობა ამოკერონ, გადაახვიონ და ჰაერს მოარიდონ — მართლაც სანაქებო ადამიანები არიან.

კვლების გასწვრივ კულტივატორები მიწიდან გაზაფხულის ბალახს გლეჯენ, აბრუნებენ, ხნავენ; ზედაპირის ტენიანობის შესანარჩუნებლად გუბურებს თხრიან, სარწყავი არხები გაჰყავთ და სარეველებს ფესვიანად ძირკვავენ, რომ ხეებს წყლის სმაში არ შეეზიარონ.

ხეხილის ნაყოფი წვენით ივსება, მსხვილდება. ვაზს ყვავილები გრძელ მტევნებად ეკიდება. დრო მიდის, სითბო მატულობს, ფოთლები მუქ მწვანედ იღებება. შავქლიავი მოგრძო ფორმას იღებს და ჩიტის მწვანე კვერცხს ემსგავსება. კუნწულების სიმძიმით მოდრეკილ ტოტებს ბიჯგები ძლივს იჭერს. პატარა მკვახე ბურთულები ახლა უკვე მსხლებს ემსგავსება. ატმების ლოყებზე ბუსუსები ჩანს. ვაზის ყვავილები პაწაწა ფურცლებს ჰყრის, პატარა მძივები მტევნებს მწვანე ღილებივით ასხდება, და ღილები თანდათან მძიმდება. მინდვრებში მომუშავენი, ხეხილის ბაღების მეპატრონენი თვალყურს ადევნებენ, ითვლიან, ანგარიშობენ. წელს მოსავალს კარგი პირი უჩანს. კაცებს თავი ამაყად უჭირავთ, რადგან მათი

ცოდნა ფიზიკურად დიდ მოსავალში გამოისახა. მათ სამყაროს შეცვლა მოახერხეს. წვრილი, უყუათო ხორბალი ახლა მსხვილი და ყუათიანია, პატარა მჟავე ვაშლები ახლა დიდი და ტკბილია, ველურმა ვაზმა, ხეებს შორის რომ იზრდებოდა და მის პაწაწა ნაყოფს ჩიტები კენკავდნენ, ათასი ნაირსახეობა წარმოშვა — წითელი და შავი, მწვანე და ღია ვარდისფერი, მეწამული და ყვითელი, და ყოველ მათგანს თავისი გემო და სურნელი გამოარჩევს. კაცებმა საცდელ ნაკვეთებში ხილის ახალი ჯიშები გამოიყვანეს — ვაშლატამა, ორმოცი სახეობის ქლიავი, თხელნაჭუჭა კაკალი. კვლევა არ წყდება — სელექცია, მყნობა, ახალი ჯიშები — თავს არ ზოგავენ, რომ მეტს მიაღწიონ, მიწას არ ზოგავენ, რომ მეტი მოსავალი მიიღონ.

პირველად ალუბალი მწიფდება. ერთი ფუნტი ცენტ-ნახევარი. მაგ ფასად დაკრეფაც არ ღირს. წითელი და შავი ალუბალი, მწიფე და ტკბილი. მოსავლის ნახევარს ჩიტები ანადგურებენ, მათ ნაკენკში ბზუილით ძვრებიან კრაზანები. კურკები, ზედ აწეპებული გაშავებული რბილობის ნარჩენებით, მიწაზე ცვივა და ხმება.

იისფერი შავქლიავი, რბილი და ტკბილი. ღმერთო, დავკრიფოთ, გავაშროთ და დავჩიროთ. მაგრამ როგორ? ვერანაირ ხელფასს ვერ გადავიხდით. და იისფერი შავქლიავი მიწას ხალიჩასავით ეფინება. ჯერ კანი ეჭმუჭნება, მერე აურაცხელი ბუზი აცხრება და ნადიმს მართავს. არემარეზე ლპობის მოტკბო სუნი ვრცელდება.

ყვითელი და წვნიანი მსხალი ტონა ხუთი დოლარი. ხუთი დოლარი ორმოც ისეთ ყუთში, თითო ორმოცდაათ ფუნტს რომ იწონის. ხეებს გასხვლა უნდა, შეწამვლა, ბაღებს — მოვლა-პატრონობა. ხილი დაკრიფე, ყუთებში ჩააწყე, მანქანა დატვირთე, საკონსერვო ქარხანაში წაიღე — და ორმოც ყუთ-

ში ხუთი დოლარი. არაა, სად შეგვიძლია. ყვითელი ხილი მიწაზე დაცემისთანავე იხლიჩება, კრაზანები ტკბილ რბილობს ეწაფებიან და ჰაერში დუღილისა და სიდამპლის სუნი ტრიალებს.

და ყურძენი. სანაქებო ღვინოს ვერ დავაყენებთ, ვის აქვს მაგის სამყოფი ფული. დაკრიფეთ ყურძენი, საღი, დამპალი, დანესტრილი. წნეხში ყველაფერი გაივლის — ტოტები, ჭუჭყი, სიდამპლე.

მაგრამ კასრებს ობი და ჟანგი მოსდებია.

გოგირდი და ტანინი დაამატეთ.

მაჭრის საამო სურნელის ნაცვლად სიმძაღისა და ქიმიური ნივთიერებების სუნი დგას.

რაც არ უნდა იყოს, მაინც ალკოჰოლია, დალევენ და დათვრებიან.

წვრილი ფერმერები ხვდებოდნენ, რომ ვალები ზღვის მოქცევასავით ნელ-ნელა ეპარებოდათ. ხეები შეწამლეს და მოსავალი ვერ გაყიდეს, გასხლეს, დაამყნეს და ვერაფერი იხეირეს; მცოდნე კაცებმა იფიქრეს, იშრომეს და ხილი მიწაზე ლპება, ღვინის კასრებიდან ავარდნილი შმორის სუნი ჰაერს წამლავს. და, თავისთავად, ღვინო — ყურძნის არომატის გარდა ყველაფერი — გოგირდი, ტანინი, ალკოჰოლი.

ეს პატარა ხეხილის ბაღი გაისად დიდ ნაკვეთს მიუერთდება, რადგან მეპატრონეს ვალები მოგუდავს. ეს ვენახი ბანკის საკუთრებაში გადავა. მხოლოდ მსხვილი კომპანიების მეპატრონენი გადარჩებიან, რადგან ისინი საკონსერვო ქარხნებსაც ფლობენ და ოთხი ცალი გათლილი, შუაზე გაჭრილი, მოხარშული და დაკონსერვებული მსხალი თხუთმეტი ცენტი ღირს, თანაც არ ფუჭდება, წლობით ინახება.

ხრწნა მთელ შტატს მოედო, ეს მოტკბო სუნი ამ მიწის დიდი უბედურებაა. კაცებმა, რომელთაც ხეების დამყნობა, უფრო უხვმოსავლიანი თესლის მიღება შეძლეს, ვერ მიაგნეს ხერხს, რომ ღარიბ ხალხს მათი ნამოღვაწარით კუჭი ამოევსო. მათ ხილის ახალი ჯიშები გამოიყვანეს, მაგრამ მთელს ქვეყანაზე ვერსად შექმნეს პირობები, ხალხს შრომით მოწეული ჭირნახულით არსებობას რომ შეაძლებინებდა.

და ეს მარცხი ამ ქვეყნაზე გამოკიდებული დიდი უბედურებაა.

ვაზისა და ხეხილის ამოდენა მოსავალი უნდა განადგურდეს, მეტი გზა არ არის, სხვაგვარად ფასების შენარჩუნება შეუძლებელია. და ეს ყველაზე მწარე, გაუსაძლისი რამ არის, ფორთოხლით სავსე მანქანები მიწაზე იცლება, გადაყრილი ფორთოხლის ასაკრებად ადამიანები შორიდან მიიჩქარიან, მაგრამ ნურას უკაცრავად, აკრძალულია. ვინღა იყიდის ოცდახუთ ცენტად, მიწიდან მუქთად აკრეფა რომ შეიძლებოდეს? დაქირავებული კაცები შლანგებს იმარჯვებენ და ფორთოხალს ნავთს ასხამენ. ბრაზი ახრჩობთ, დანაშაულს რომ სჩადიან, საკუთარი თავი სძულთ, ფორთოხლის ასაკრეფად მისული ხალხი სძულთ. მილიონობით მშიერ ადამიანს ჰაერივით სჭირდება ხილი — ფორთოხლის ოქროსფერ გორებს კი ნავთს ასხამენ.

და მთელ ქვეყანაში სიდამპლის სუნი ტრიალებს.

ყავა გემის საცეცხლეში დაწვით. სიმინდის მარცვალი კარგად იწვის, გასათბობად გამოიყენეთ. კარტოფილი მდინარეებში ჩაყარეთ, სანაპიროს გასწვრივ დაცვა დააყენეთ, რომ მშივრებმა წყალში კარტოფილზე თევზაობა ვერ გაბედონ. ღორები დაკალით და დამარხეთ, ნელ-ნელა მიწაში გაიხრწნება.

ეს დანაშაულია, რომელსაც სახელსაც ვერ დაარქმევ. ეს ტრაგედიაა, რომელსაც ცრემლით ვერ გამოიგლოვებ. ეს მარცხია, რომელიც ჩვენს ყველა მიღწევას ნაცარტუტად აქცევს. ნაყოფიერი მიწა, მწკრივებად დარგული აშოლტილი ხეები, მწიფე ხილი. და ბავშვები, რომლებიც პელაგრით იტანჯებიან. უნდა დაიხოცონ იმიტომ, რომ ფორთოხალი მოგებას არ იძლევა, კორონერებმა ცნობები უნდა გასცენ, სადაც გარდაცვალების მიზეზად არასაკმარის კვებას მიუთითებენ იმიტომ, რომ საკვები უნდა დალპეს, აუცილებლად უნდა დალპეს.

ხალხი კარტოფილისთვის მდინარეებისკენ იწევს, მაგრამ დაცვა ახლოსაც კი არ აკარებს; ჯაყჯაყა მანქანებით ფორთოხლის გორებს უახლოვდებიან, მაგრამ ნავთით არის მორწყული. გაშეშებულები დგანან და უცქერენ, როგორ ტივტივებს კარტოფილი წყალში, ესმით, როგორ ჭყვიტინებენ თხრილში დასაკლავად ჩაყრილი ღორები, ხედავენ, როგორ აყრიან მათ სხეულებს მხრჩოლავ კირს, როგორ იძირება ფორთოხლის გორები მყრალ წუმპეში. და მათი თვალებიდან მარცხი იმზირება, დამშეულთა თვალები რისხვას აკვესებენ, მათ სულებში მრისხანების მტევნები მძიმდება, მწიფდება და მოსავლის აღების დროს ელის, რთველი შორს აღარ არის.

26.

ერთ საღამოს, უიდპეტჩის ბანაკში, როცა ღრუბლების ნაფლეთებს შორის ჩამავალი მზის სხივები ბრწყინავდა, ჯოუდების ოჯახმა ვახშამი დაასრულა, თუმცა დაშლა არც უფიქრიათ. დედა ჭურჭლის დარეცხვას არ ჩქარობდა.

— რამე უნდა გავაკეთოთ, — თქვა მან და ხელი უინფილდისაკენ გაიშვირა, — შეხედეთ, — და როცა თავი ყველამ უინფილდისაკენ მიაბრუნა, თქვა, — ძილში ხტის და იკლაკნება, ნახეთ, რა ცუდი ფერი აქ. — ოჯახის წევრებმა სირცხვილისგან თავები ჩაქინდრეს და მიწას ჩააშტერდნენ. — რამდენი ხანია შემწვარი ცომის მეტი არაფერი უჭამია. ერთი თვეა აქ ვართ, ტომმა მარტო ხუთი დღე იმუშავა, დანარჩენები მიდიხართ და მოდიხართ, სამუშაო არ არი. რა, ლაპარაკის გეშინიათ? ფული გვითავდება და ლაპარაკს ერიდებით? ღამე ჭამთ და მერე სადღაც დახეტიალობთ, ვერ გაგიბედიათ, რო ამოთქვათ. რა ვქნათ, მოგიწევთ იმიტო, რო შარონის ვარდი მალე გააჩენს, ისიც როგორი ფერმკრთალია, ხო ხედავთ. აქედან არავინ ადგება, სანამ არ მოვიფიქრებთ, რა გავაკეთოთ. ერთი დღის სამყოფი ცხიმი, ორი დღის სამყოფი ფქვილი და ათი ცალი კარტოფილი, სუ ეგ არი ჩვენი ავლა-დიდება. ტვინი გაარყიეთ, რამე მოიფიქრეთ!

გატრუნულები ისხდნენ, მიწას თვალს არ აშორებდნენ. მამამ რქასავით მაგარი ფრჩხილები ჯიბის დანით გამოიწმინდა, ძია ჯონი ყუთის აქერცლილ ზედაპირს ციცქნიდა, ტომმა ქვედა ტუჩი ხელით გაიწელა, მერე შეეშვა და ხმადაბლა თქვა:

— ყველგან ვეძებეთ, დე, ფეხით დავდიოდით, რო საწვავი არ დაგვეხარჯა. ყველა სახლთან, ყველა ჭიშკართან ვჩერდებოდით, მაშინაც კი, როცა ზუსტად ვიცოდით, რო არაფერი იქნებოდა. ძალიან ძნელია, დადიხარ ეძებ და წინასწარ იცი, რო ვერაფერს იპოვი.

— ვინ მოგცათ უფლება, რო ხელი ჩაიქნიოთ, — გამწარებით წამოიძახა დედამ, — ოჯახი იღუპება, რა უფლება გაქვთ!

მამამ გაფხეკილ ფრჩხილებზე დაიხედა.

— უნდა წავიდეთ, — თქვა მან — არ გვინდოდა. კარგი ადგილია, ხალხიც კარგია. ალბათ ისევ რომელიმე ჰუვერვილში მოგვიწევს ცხოვრება.

— მეტი გზა თუ არ არი, აბა რა ვქნათ? მთავარია საჭმელი გვქონდეს.

ელი ჩაერია

— სატვირთოში ერთი ბაკი საწვავი მაქ. არ ვამბობდი, მაგრამ მაქ.

ტომმა გაიღიმა:

— კი ხარ აცუნდრუკებული, მაგრამ თან ჭკვიანიც რო ხარ?

— რამე მოიფიქრეთ, — თქვა დედამ, — აღარ მინდა მშიერი ოჯახის ყურება, შარონს ჭამა სჭირდება, მალე მშობიარობა უწევს, იფიქრეთ!

— აქ ცხელი წყალი და ტუალეტებია, — წამოიწყო მამამ.

— მერე ტუალეტები ვჭამოთ?

— დღეს ერთი კაცი მოვიდა, მერისვილში ხილის საკრეფად ხალხი მჭირდებაო, — თქვა ტომმა.

— რატო არ მივდივართ? — იკითხა დედამ.

— არ ვიცი, არ ვენდობი. არ ამბობს, რამდენს იხდიან, ზუსტად არ ვიციო.

— მერისვილში მივდივართ, არ მაინტერესებს, რამდენს იხდიან, მივდივართ.

— ძალიან შორია. საწვავი არ გვეყოფა, ფულიც არა გვაქ. იქამდე ვერ ჩავალთ. დე, შენ გვეუბნები, რამე მოიფიქრეთო. მთელი დღე ვფიქრობ, დე, მთელი დღე ვფიქრობ.

— ერთი კაცი ამბობდა, მალე ბამბის კრეფა დაიწყება ჩრდილოეთით, ტულარესთან ახლოსო. ძაან შორი არ ყოფილა. — თქვა ძია ჯონმა

— წავიდეთ, ჩქარა წავიდეთ. კარგია თუ ცუდი, აქ ჯდომას აღარ ვაპირებ, — დედამ სათლი აიღო და ცხელი წყლის მოსატანად სანიტარული შენობისკენ გაემართა.

— ძაან გამწარებულია, — თქვა ტომმა, — ესეთი დე არც მახსოვს, დუღს და გადმოდუღს.

— კარგია, რო ლაპარაკი დაიწყო, — შვებით ამოისუნთქა მამამ, — თორე მთელი ღამე ფიქრით თავს ვიხეთქავდი, როგორ ვუთხრა-მეთქი.

დედა ქაფქაფა წყლით სავსე სათლით დაბრუნდა.

— რა მოიფიქრეთ?

— ვფიქრობთ, — უთხრა ტომმა, — იქნებ მართლა ჩრდილოეთში წავიდეთ ბამბის საკრეფად, აქ ყველაფერი ვნახეთ და ვიცით, რო არ არი სამუშაო. თუ ეხლავე გავალთ, კრეფის დაწყებას მივუსწრებთ. ცუდი არ არი, მომეწონება კიდეც ბამბის კრეფა. ელ, ბაკი მართლა სავსეა?

— თითქმის, სუ ცოტა აკლია. ჩაგვიყვანს იმ ადგილამდე.

დედამ თეფში აიღო და სათლში ჩასადებად შეამზადა.

— აბა, რა გადაწყვიტეთ? — იკითხა მან.

— შენ გაიმარჯვე, დე. მივდივართ. არა, მა?

— მეტი რა გზაა, — უპასუხა მამამ.

დედამ მამას შეხედა:

— როდის?

— მოცდას რა აზრი აქ? დილას გავიდეთ.

— დილით გავალთ. უკვე გითხარით, რაც დაგვრჩა საჭმელი, — თქვა დედამ.

— მისმინე, დე, ისე ნუ იქცევი, თითქოს მე წასვლა არ მინდა. ორი კვირაა წესიერად არ მიჭამია. ხო, კუჭს კი ვივსებ, მაგრამ გემოს ვერ ვატან.

დედამ თეფში სათლში ჩაუშვა.

— ესე იგი, დილით, — თქვა მან.

მამამ ჩაიქირქილა:

— დრო შეიცვალა, — გესლიანად თქვა მან, — ადრე კაცები იღებდნენ გადაწყვეტილებებს, ეხლა ქალები გვკარნახობენ. მგონი, ის დროა, რო ჯოხი მოვიმარჯვო.

დედამ თუნუქის სველი თეფში ყუთზე დადო, ოდნავ გაიღიმა და თქვა:

— ეგრე ქენი, აიღე ჯოხი, იქნებ გამოგადგეს კიდეც, როცა საჭმელი და თავშესაფარი გვექნება. მაგრამ ეხლა რას მიკეთებ? არ მუშაობ, არც კი ფიქრობ, ოჯახი როგორ გადაარჩინო. სხვანაირად რო იყოს, შეგეძლებოდა მაგ ჯოხის მოქნევა, ქალები თაგვებივით დავიმალებოდით და გარეთ ცხვირსაც ვერ გამოვყოფდით, მაგრამ შენ გგონია, რო ეხლაც შეგიძლია ქალებს წკეპლა მოუქნიო. ეგრე აღარ არი, იცოდე. ეხლა ომი მოგიწევს იმიტო, რო მეც მაქ ჯოხი მომარჯვებული.

გაოგნებულმა მამამ პირი დააღო:

— რას ლაპარაკობ? ბავშვები გისმენენ, კარგს რას ისწავლიან.

— შენ ჯერ ამ ბავშვებს ცოტა ხორცი მოუტანე და მერე მითხარი, კარგი და ცუდი რა არი.

მამა წამოდგა და ამრეზილი სახით გაეცალა იქაურობას. ძია ჯონიც მას გაჰყვა. დედას ხელები წყალში ჰქონდა ჩაყოფილი და ისევ ჭურჭელს რეცხავდა, მაგრამ წასულებს თვალი გააყოლა, მერე ტომისკენ შებრუნდა და სიამაყით უთხრა:

— ყოჩაღ თავი შეიკავა, ღირსი არ ვიყავი, რო ეთხლიშა?

— განგებ უჩხიკინებდი, რო გაბრაზებულიყო? — გაიცინა ტომმა.

— აბა რა! — თქვა დედამ. — იცი როგორ არი? კაცი იტანჯება. იმდენს დარდობს, რო დარდი გულ-ღვიძლს უჭამს. მერე ერთ დღესაც მოიხედავ და დარდისგან გულშეჭმული კვდება. მაგრამ თუ შეძლებ, რო ცოტა შეაფუცხუნო, გადარჩება და კარგად იქნება. მამას არაფერი უთქვამს, მაგრამ ძაან გაბრაზდა. აი, ნახავ, კარგად იქნება.

— ელი წამოდგა.

— წავალ, ქვევით ჩავივლი.

— გირჩევნია სატვირთო მოამზადო, — გააფრთხილა ტომმა.

— მზად არი.

— თუ არ არი, იცოდე, დედას მოგიქსევ.

— მზად არი-მეთქი, — თქვა ელმა და უდარდელად დაეშვა კარვებისკენ.

— დავიღალე, დე, იქნებ მეც გამამწარო, რო გამოვცოცხლდე.

— შენ უფრო ჭკვიანი ხარ, ტომ, შენი გამწარება არ მჭირდება. შენ სანდო კაცი ხარ. სხვებს არ გავხარ... თითქოს უცხოები არიან, ყველა, შენ გარდა. შენ არ მიმტყუნებ.

მთელი სიმძიმე ტომზე გადადიოდა.

— არ მომწონს, ესე რო ლაპარაკობ. მეც მინდა, რო გავერთო ელის მსგავსად, მინდა, რო მამასავით გავცოფდე, მინდა, რო ძია ჯონივით დავთვრე.

დედამ თავი გააქნია.

— არა, ტომ, შენ ეგრე ვერ მოიქცევი. ვიცი, ჯერ კიდე მაშინ ვიცოდი, სუ პატარა რო იყავი. ზოგს თავის თავის მეტი არავინ ახსოვს. ელს ქალები დაანახე, მეტი არაფერი აინტერესებს. შენ ეგეთი არასდროს ყოფილხარ.

— ვინ გითხრა, ვყოფილვარ და ეხლაც ეგეთი ვარ.

— არა, არა ხარ. რამეს რო აკეთებ, ყოველთვის შენ თავს ჯობნი. ციხეში რო იჯექი, ეს მაშინაც ვიცოდი, ეგეთი დაიბადე.

— არა, მორჩი დე, სინამდვილეში ეგრე არ არი, შენ ჩაიდე თავში, რო ეგრეა.

თეფშებზე დანა-ჩანგალი დააწყო.

— შეიძლება, შეიძლება. შარონ, დაამშრალე და იქით გადააწყვე.

შარონი ხვნეშით წამოდგა, გაბერილი მუცელი წინ წამოსწია, ყუთთან ზანტად მივიდა და დარეცხილი ჭურჭლის დამშრალებას შეუდგა.

— ისე იბერება, რო მალე თვალები შუბლზე აუვა, — თქვა ტომმა.

— არ გინდა, ნუ ეხუმრები, — უთხრა დედამ. — რა ქნას, კარგი გოგოა, საწყალი. შენ წადი და ხალხს გამოემშვიდობე.

— კაი, წავალ, ერთი გავარკვევ, აქედან იქამდე რა მანძილია.

დედა შარონს მიუბრუნდა.

— ხო იცი, რო ხუმრობს და შენ გასაბრაზებლად არ ამბობს. რუთი და უინფილდი სად არიან?

— მამას გაეკიდნენ.

— კარგი.

შარონის ვარდი ნელა, უხალისოდ ამშრალებდა. დედამ დაკვირვებით შეათვალიერა.

— ხო კარგად ხარ? რაღაც მეჩვენება, რო ლოყები ჩაგიცვივდა.

— რძეს არ ვსვამ. მითხრეს, აუცილებელიაო.

— ვიცი, მაგრამ რა ვქნა, არ გვაქვს.

შარონმა სევდიანად ჩაილაპარაკა:

— კონი რო არ წასულიყო, ეხლა სახლში ვიცხოვრებდით, ისწავლიდა, რძესაც მიყიდიდა და ჯანმრთელი ბავშვი გამიჩნდებოდა. ეხლა რა იქნება, რძეს არ ვსვამ, ალბათ ბავშვი ჯანმრთელი არ იქნება. — წინსაფრის ჯიბიდან რაღაც ამოიღო, პირში ჩაიდო, მოციცქნა.

— დაგინახე, რო რაღაცას ჭამ, რა არი?

— არაფერი.

— მითხარი, რას ციცქნი?

— ცარცია, დიდი ნატეხი ვიპოვე.

— ეგ იგივეა, ტალახი რო ჭამო.

— რა ვიცი, თითქოს მომწონს, რო ვჭამ.

დედა ერთხანს ჩუმად იჯდა და მუხლებზე დაჭმუჭნილ ქვედაკაბას ისწორებდა. ბოლოს თქვა:

— ერთ-ერთი ორსულობის დროს ნახშირის დიდი ნაჭერი შევჭამე, ბებო კინაღამ გაგიჟდა. ბავშვზე ეგეთი რამე მეორეჯერ აღარ თქვა, ფიქრადაც არ გაივლო.

— არც ქმარი, არც რძე...

— კარგად რო იყო, პირდაპირ სახეში გაგილაწუნებდი. — დედა წამოდგა და კარავში შევიდა. რომ გამოვიდა, შარონის პირისპირ დადგა და ხელი გაშალა. — შეხედე, — ხელის გულზე პაწია ოქროს საყურეები ეწყო. — ეს შენია.

გოგონას წამით თვალები გაუნათდა, მაგრამ უცებ გვერდით გაიხედა.

— ყურები გახვრეტილი არ მაქ.

— ეხლავე გაგიხვრიტავ, — დედა სწრაფად შებრუნდა კარავში და მუყაოს ყუთი გამოიტანა, ნემსში ძაფი გაუყარა, ძაფი ორად მოკეცა და რამდენიმე ადგილას გაკვანძა. შემდეგ ძაფი მეორე ნემსში გაუყარა და ისიც დაკვანძა. ყუთიდან საცობის ნატეხი ამოიღო.

— მეტკინება, მეტკინება.

დედამ შარონს ყურის ბიბილოს უკანა მხარეს საცობის ნატეხი ამოსდო და ნემსი ყურიდან პირდაპირ საცობში ჩაასო, გოგონა შეხტა.

— შემერჭო, მეტკინება!

— ამაზე ძაან აღარ გეტკინება.

— მეტკინება!

— კარგი, მაშინ მოდი, ჯერ მეორე ყური ვცადოთ, — საცობი ამოსდო და მეორე ყურიც გაუხვრიტა.

— მეტკინება!

— კაი, გაჩუმდი, მოვრჩი.

შარონის ვარდმა გაოცებული თვალებით შეხედა. დედამ ნემსები მოაშორა და ყურის ბიბილოებში თითო კვანძი გაატარა.

— ყოველ დღე თითო კვანძი გაატარე, ორ კვირაში მოგიშუშდება და მერე საყურეს გაიკეთებ. აი, აიღე, შენია, შეინახე.

შარონი ყურს ფრთხილად შეეხო და თითზე სისხლის პატარა ლაქას დახედა.

— არ მტკენია, მარტო ერთი ჩხვლეტა ვიგრძენი.

— დიდი ხნის წინ უნდა გამეხვრიტა, — თქვა დედამ და გოგონას გამარჯვებული სახით გაუღიმა, — ეხლა ჭურჭელი აა-

ლაგე. ნუ გეშინია, ბავშვი ჯანსაღი დაიბადება. ეს როგორ მომივიდა, საცაა უნდა იმშობიარო და ყურები გახვრეტილი არ გქონდა. მაგრამ არა უშავს, ეხლა აღარ არის საშიში.

— რამე მნიშვნელობა აქ?

— აბა რა, რასაკვირველია, აქ.

ელი საცეკვაო მოედნისკენ მისეირნობდა. პატარა სუფთა კარავს რომ ჩაუარა, ხმადაბლა დაუსტვინა და გზა განაგრძო, ბანაკიდან გავიდა და იქვე ახლოს ბალახში ჩაჯდა.

შეჯგუფული ღრუბლები ჩამუქდა, ვარაყად შემოკრულ წითელ კიდეებს ფერი დაეკარგა. ელმა ფეხები მოიქავა და საღამოს ცას ახედა.

რამდენიმე წუთში ქერა გოგონა მიუახლოვდა ლამაზი იყო, დახვეწილი სახის ნაკვთები ჰქონდა, ელის გვერდით ბალახზე დაჯდა. ხმა არ ამოუღია. ელმა ხელი წელზე მოჰხვია და თითებით მოუალერსა.

— გაჩერდი, მეღიტინება, — უთხრა გოგონამ.

— ხვალ მივდივართ, — თქვა ელმა.

გოგონამ შეშინებული თვალებით შეხედა.

— ხვალ? სად მიდიხართ?

— ჩრდილოეთში.

— ჩვენ ხო დაქორწინებას ვაპირებდით.

— დავქორწინდებით, როდესმე.

— შენ თქვი, მალე დავქორწინდებითო! — გაბრაზდა გოგონა.

— ხო მალე დავქორწინდებით.

— შენ ხო დამპირდი. — ელის თითებმა ზევით აიწია.

— გადი იქით! ხო თქვი, დავქორწინდებითო, — წამოიყვირა გოგონამ.

— აბა რას ვიზამთ, დავქორწინდებით, მაგრამ ეხლა უნდა წავიდეთ. რა დაგემართა? ორსულად ხო არა ხარ? — ჰკითხა.

— არა.

— ესე იგი, დრო ტყუილად დავკარგე, არა? — გაიცინა ელმა.

გოგონამ ნიკაპი წინ წასწია და ფეხზე წამოხტა.

— თავი დამანებე, ელ ჯოუდ, შენი დანახვაც აღარ მინდა!

— კაი რა, რა მოგივიდა?

— შენი თავი დიდი ვინმე გგონია, არა?

— ერთი წუთი გაჩერდი.

— შენ ფიქრობ, შენს იქით გზა არა მაქ? ცდები, ბიჭების მეტი რა არი.

— მოიცა რა, ერთი წუთი.

— არა, სერ, წადი აქედან!

ელმა გაიცინა, უეცრად კოჭში ხელი სტაცა და თავისკენ მოზიდა. გოგონა დაეცა. ელმა გაბრაზებულ პირზე ხელი ისე დაფარა, რომ გოგონამ კბენა ვერ შეძლო, მეორე ხელით ტანზე მიიკრა. რამდენიმე წამში გოგონა გაყუჩდა. კიდევ რამდენიმე წუთი და ხმელ ბალახში წამოკოტრიალებულები გულიანად ხითხითებდნენ.

— მალე დავბრუნდებით, — უთხრა ელმა, — ფულით გაძეძგილი ჯიბეებით ჩამოვალ. ჰოლივუდში წავალთ და კინოში ვივლით ხოლმე.

გოგონა ზურგზე იწვა. ელი მისკენ გადაიხარა. გოგონას თვალებში საღამოს კაშკაშა ვარსკვლავისა და შავი ღრუბლების ანარეკლი ციმციმებდა.

— მატარებლით წავალთ.

— ეგ როდის იქნება?

— ალბათ ერთ თვეში.

საღამოს ბინდი ჩამოწვა. მამა, ძია ჯონი და სხვა ოჯახების უფროსები ოფისის წინ ჩაცუცქულიყვნენ. იმდღევანდელი ამ-ბებისა და მომავლის შესახებ საუბრობდნენ. დაძენძილ სუფ-თა თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილ ჩია მმართველს იდაყვი პარმაღის მოაჯირზე ჩამოედო. ძალიან დაღლილი ჩანდა.

ჰასტონმა ახედა და უთხრა:

— ცოტა უნდა დაიძინოთ, ძაან დაღლილი ხართ.

— ჰო, ცოტა ძილი არ მაწყენდა. წუხელ მესამე სანიტარულ შენობაში ბავშვი გაჩნდა. მალე კარგი ბებიაქალივით ვიქნე-ბი.

— დაოჯახებულმა კაცმა ყველაფერი უნდა იცოდეს.

— ჩვენ ხვალ დილას მივდივართ, — თქვა მამამ.

— მართლა? საით?

— ჩრდილოეთით. იქნებ ბამბის კრეფის დაწყებას მივუს-წროთ. სამუშაო არა გვაქ. ნახევრად მშივრები ვართ.

— იცით, რო იქ არი სამუშაო? — ჰკითხა ჰასტონმა.

— არა, მაგრამ ის ვიცით, რო აქ არ არი.

— მოგვიანებით იქნება, ჩვენ დარჩენა გადავწყვიტეთ.

— წასვლა არც ჩვენ გვინდა. აქ კარგი ხალხია, ტუალეტები და ყველაფერი, მაგრამ ჭამა ხო გვინდა. ერთი ბაკი საწვავი გვაქ, სადამდეც იქნება, მიგვიყვანს. აქ ყოველდღე ვბანაობ. ჩემ დღეში ესე სუფთა არ ვყოფილვარ. მაგრამ უცნაური ის არი, რო ადრე კვირაში ერთხელ ვბანაობდი და სუნი არ ამდი-ოდა. ეხლა რო ყოველ დღე არ დავიბანო, ვყარვარ. ჩემთვის ვიფიქრე, ხშირად ბანაობა ხო არ იწვევს-მეთქი.

— ადრე ალბათ ყურადღებას არ აქცევდი, — უპასუხა მმარ-თველმა.

— შეიძლება. ნეტა იცოდეთ, როგორ არ მინდა წასვლა.

ჩია მმართველმა საფეთქლები მოისრისა.

— მგონი, ამაღამ კიდე ერთი ქალი იმშობიარებს, — თქვა მან.

— ჩვენც ველოდებით, — თქვა მამამ, — როგორ მინდოდა, რო აქ გაჩენილიყო.

ტომი, უილი და ნახევრად ინდიელი ჯული საცეკვაო მოედნის კიდეზე ჩამომსხდარიყვნენ და ფეხებს აქანავებდნენ.

— ცოტა თუთუნი ვიშოვე, — თქვა ჯულმა, — მოწევ?

— აბა რას ვიზამ, იმდენი ხანია არ მომიწევია რო... — რომ არ დაყროდა, თამბაქო დიდი სიფრთხილით შეახვია.

— გული მწყდება, რო მიდიხართ. კარგი ხალხი ხართ.

ტომმა სიგარეტს მოუკიდა.

— მაგაზე იმდენი ვიფიქრე. ღმერთო, ერთი მალე დავსახლდეთ სადმე.

ჯულმა თუთუნი გამოართვა.

— რა ცხოვრებაა, პატარა გოგო მყავს და ვიფიქრე, სკოლაში შევიყვან-მეთქი, მაგრამ რა სკოლა, რის სკოლა, სადღაც ორი დღე ჩერდები და მერე ისევ გზაზე გადიხარ.

— ნეტა ისევ რომელიმე ჰუვერვილში არ მოვხვდეთ და... ძაან მეშინოდა.

— რატო? თანაშემწეები არ გასვენებდნენ?

— მეშინოდა, რო ვინმე არ მომეკლა. იქ ცოტა ხნით გავჩერდით, მაგრამ სულ დაძაბული ვიყავი. თანაშემწეებმა ჩემი მეგობარი მარტო იმიტო აიყვანეს, რო სიტყვა შეუბრუნა, კინაღამ გავგიჟდი.

— გაფიცვაში თუ მიგიღია მონაწილეობა? — ჰკითხა უილიმ.

— არა.

— იმდენს ვფიქრობ ხოლმე. იცი, აქ რატო ვერ შემოდიან, რატო აქაურობასაც არ არბევენ, როგორც სხვა ადგილებს?

ხო არ გგონიათ, რო ის ჩია მმართველი აჩერებს? არა, სერ, ეგრე არ არი.

— აბა როგორ არი? — ჰკითხა ჯულმა.

— ეხლავე გეტყვით, იმიტო, რო ერთად ვართ. თანაშემწეებს ამ ბანაკში თითო-თითო კაცი ვერ აჰყავთ, ამიტომ უნდათ, რო მთელი ბანაკი დაარბიონ, მაგრამ ვერ ბედავენ. ერთი დაძახება საკმარისია და ორასი კაცი ერთად ვდგებით. ერთი ორგანიზატორი გზებზე ხალხს ელაპარაკებოდა, კავშირის შექმნა ყველგან შეიძლებაო, მთავარია, ერთად დადგეთო. თანაშემწეები ორას კაცს ვერ ერევიან, თითო-თითოს იჭერენ.

— კარგი, ვთქვათ, შევქმენით კავშირი, მეთაური ხო გვჭირდება? ხოდა მეთაურებს დაიჭერენ და ეგ შენი კავშირი მაშინვე დაიშლება.

— მოგვიწევს მაგაზე ფიქრი, — თქვა უილიმ, — უკვე ერთი წელია აქ ვარ და ხელფასები სუ დაბლა იწევს. კაცი ეხლა მუშაობით ოჯახს ვეღარ ინახავს. ყველაფერი უარესისკენ მიდის. რა ვქნათ, გულზე ხელებდაკრეფილები ვისხდეთ და ვიშიმშილოთ? ცხენებს პატრონი მაშინაც აჭმევს, როცა არ ამუშავებს, თავში აზრადაც არ მოსდის, რო აშიმშილოს, და კაცი რო მისთვის მუშაობს, შეუძლია, შიმშილით მოკლას. რა გამოდის? ცხენი უფრო ფასობს, ვიდრე კაცი. ეგრე არ არი?

— არ მინდა მაგაზე ფიქრი, მაგრამ მომიწევს. ჩემი პატარა გოგო ისეთი ლამაზია, ერთხელ აქ სილამაზის პრიზიც კი აიღო. რა ეშველება? ისე გახდა, რო ვეღარ ვუყურებ, ლამის გული გამისკდეს. ერთ დღესაც ვიფეთქებ და..

— და რას იზამ? მოიპარავ და ციხეში წახვალ? თუ კაცს მოკლავ, რო ჩამოგახრჩონ?

— არ ვიცი, ჭკუა აღარ მომეკითხება, უკვე გავგიჟდი.

— ეს ცეკვები კი კარგი იყო, მომენატრება, არც მინახავს ესეთი კარგი ცეკვები. ეხლა უნდა წავიდე. ცოტას დავიძინებ. დაგემშვიდობებით, იმედი მაქ, რო სადმე კიდე შეგხვდებით. — ყველას ხელი ჩამოართვა.

— აუცილებლად, — უპასუხა ჯულმა.

— აბა, კარგად. — თქვა ტომმა და სიბნელეს შეერია.

ჯოუდების კარავში ბნელოდა, რუთი და უინფილდი თავთავიანთ ლეიბებზე იწვნენ, დედა მათ გვერდით. რუთმა ჩაიჩურჩულა:

— დე!

— რა იყო? რატო არ გძინავს?

— დე, სადაც მივდივართ, იქ კროკეტს თამაშობენ?

— არ ვიცი, დაიძინე. დილას ადრე გავდივართ.—

აქ თამაშობენ, აქ ჯობია დარჩენა.

— ჩუ!

— დე, უინფილდმა დღეს ერთი ბიჭი სცემა.

— არ უნდა ეცემა.

— ვიცი, ვუთხარი, მაგრამ არ დამიჯერა. იმ ბიჭს ისე გაარტყა, რო ცხვირიდან სისხლი წასკდა.

— კარგი, გეყოფა, ეგრე ნუ ლაპარაკობ.

უინფილდი დედასკენ გადაბრუნდა.

— იმ ბიჭმა ოკი დამიძახა, — გაცხარებით თქვა უინფილდმა, — მე ოკი არა ვარ, იმიტო რო ორეგონიდან ვარო, შენ წყეული ოკი ხარო, და მიიღო კიდეც.

— ჩუ! შენ არ უნდა დაგერტყა. იმან რაც უნდა დაგიძახოს, ხო ვერაფერს დაგიშავებს.

— არა, ვინ არი, არ გავუშვებ... — გაწიწმატდა უინფილდი.

— ჩუ დაიძინე.

— უნდა გენახა სისხლი როგორ ჩამოსდიოდა, მთელი ტანსაცმელი დაესვარა.

დედამ საბნიდან ხელი ამოჰყო და რუთს ლოყაზე მიარტყა. რუთმა ხმა გაკმინდა, მერე ცრემლები წასკდა და ასლუკუნდა.

სანიტარულ შენობაში მამა და ძია ჯონი ერთმანეთის მომიჯნავე საპირფარეშოებში ისხდნენ.

— ბოლოჯერ ვზივარ, — თქვა მამამ, — მართლა კარგი ტუალეტებია. გახსოვს, ბავშვებს როგორ შეეშინდათ, პირველად რო წყალი ჩამოუშვეს?

— პირველად მეც დავიბენი, — უპასუხა ძია ჯონმა, შარვალი ფრთხილად ჩაიწია მუხლებამდე. — ისევ ცუდად ვარ, ვგრძობ რო ცოდვას ჩავიდენ.

— ვეღარ ჩაიდენ, ფული აღარ გაქ. ჭკვიანად იყავი, სუ მცირე ორი დოლარი ღირს შენი ცოდვა და ორი დოლარი ამდენ ხალხს ერთად არა გვაქ.

— ხო, მაგრამ მეფიქრება.

— ისეთ ცოდვაზე იფიქრე, ფული რო არ ღირს.

— ცოდვა ცოდვაა.

— მაინც მუქთა ჯობია.

— ცოდვაზე ხუმრობა შეიძლება?

— არ ვხუმრობ. წადი და სცოდე. სუ მაშინ როგორ გინდება ცოდვის ჩადენა, როცა საქმე თავზე გვაყრია?

— ვიცი, სუ ესე არ ვიყავი? შენთვის რო ყველაფერი მეთქვა, რაც ჩავიდინე...

— ნუ მეტყვი, შენთვის შეინახე.

— ეს ტუალეტები ისეთი კარგია, რო ცოდვისკენ მიბიძგებს.

— მაშინ ბუჩქებში გადადი. გეყოფა ეხლა, შარვალი აიწიე და წამოდი, დავიძინოთ, — მამამ სამუშაო შარვლის სამხრეე-

ბი აიქაჩა და ბალთა შეიკრა, მერე ტუალეტი ჩარეცხა და წყლის დგაფუნს დაფიქრებული ჩააცქერდა.

ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა დედამ ოჯახობა გააღვიძა. სანიტარული შენობის ღია კარიდან ღამის განათების მკრთალი შუქი გამოდიოდა. გზის გასწვრივ ჩამწკრივებული კარვებიდან ხალხის ხვრინვისა და ხროტინის ხმა ისმოდა.

— გაიღვიძეთ, ადექით, დროზე უნდა გავიდეთ, საცაა გათენდება, — ფარანს თავი ახადა და ფითილს აუწია, — ჩქარა, ყველა ადექით, — დედამ ღამის პერანგზე კაბა გადაიცვა, — ყავა აღარ გვაქ, რამდენიმე ორცხობილაა, გზაში შევჭამთ. ადექით ეხლა. არ იხმაუროთ, მეზობლებს ნუ გააღვიძებთ.

რამდენიმე წუთში ყველა ფეხზე იყო. — ბავშვები არსად წახვიდეთ, — გააფრთხილა დედამ. ყველამ ჩაიცვა, ბრეზენტი ჩამოხსნეს, მანქანა დატვირთეს, — კარგად გაასწორეთ, — უკარნახა დედამ. ლეიბები ბარგის თავზე დააწყეს და ბრეზენტი ძელებზე დაამაგრეს.

— მზად არი, დე, — თქვა ტომმა.

დედამ ორცხობილით სავსე თეფში გაუწოდა, — თითო-თითო აიღეთ, მეტი არ არი.

რუთმა და უინფილდმა თავისი წილი ორცხობილა დაიტაცეს, ბარგზე აძვრნენ, საბანი წაიფარეს და ძილი შეიბრუნეს ისე, რომ ორცხობილა ხელიდან არ გაუშვიათ. ტომი კაბინაში ავიდა, საჭეს მიუჯდა და ფეხი სტარტერს დააბჯინა. ძრავამ ერთი ჩაიფრუტუნა და ჩაქრა.

— ჯანდაბა ელ, რა გიქნია, აკუმულატორი დამჯდარია.

ელმა იფეთქა:

— რა უნდა მექნა? საწვავი მქონდა რო დამეტენა, თუ რა.

ტომს გაეცინა.

— რა უნდა გექნა, არ ვიცი, მაგრამ შენი ბრალია. ეხლა ხელით დაქოქვა მოგვიწევს.

— ჩემი ბრალი არ არი.

ტომი მანქანიდან გადმოვიდა და სავარძლის ქვეშიდან სახელური გამოიღო.

— ხო, ჩემი ბრალი ყოფილა.

— მომე, ეგ სახელური, — ელმა სახელურს ხელი სტაცა, ნაგვიანებ ანთებაზე დააყენე, რო ხელი არ მომაგლიჯოს.

— კარგი, დაატრიალე.

ელი სახელურს გამწარებული ატრიალებდა, ძრავა ძაგძაგითა და ღრიალით ჩაირთო. ტომმა ფრთხილად ჩაახშო, ადრეულ ანთებაზე გადაიყვანა და გაზის მიწოდება შეამცირა.

დედა ტომის გვერდით დაჯდა.

— მთელ ბანაკს გავაღვიძებთ.

— არა უშავს, ისევ დაიძინებენ.

ელი სატვირთოზე მეორე მხრიდან ავიდა.

— მამა და ძია ჯონი ზევით არიან, დაძინებას აპირებენ.

ტომმა მანქანა მთავარი გასასვლელისკენ წაიყვანა. ოფისიდან დარაჯი გამოვიდა და სატვირთოს ფარანი მიანათა.

— ერთი წუთით დაიცადეთ.

— რა გინდა?

— სამუდამოდ მიდიხართ?

— მივდივართ.

— სიიდან უნდა ამოგშალოთ.

— ამოგვშალე.

— საით მიდიხართ?

— ჩრდილოეთისკენ, უნდა ვცადოთ.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

— მადლობა, ნახვამდის.

სატვირთომ ნელა შემოუარა მიწაყრილს და გზაზე გავიდა. ისევ იგივე გზა გაიარეს, რომლითაც ბანაკში მივიდნენ — უიდ-პეტჩის გავლით დასავლეთისკენ. მალე 99-ზე გავიდნენ და ფართო გზატკეცილს ბეიკერსფილდისკენ გაჰყვნენ. უკვე თენდებოდა, როცა ქალაქის შემოგარენს მიადგნენ.

— სადაც არ უნდა გაიხედო, ყველგან რესტორანია და ყველგან ყავას ყიდიან. იმას შეხედე, მთელი ღამე ღიაა, ალ-ბათ ათი გალონი ყავა აქვთ და თანაც ცხელი.

— კაი რა, მოკეტე, — უთხრა ელმა.

ტომმა გაიცინა.

— გავიგე, გოგოს დათრევა მოგისწრია ბანაკში

— მერე შენ რა?

— დე, ძაან გაბრაზებულია, დღეს მაგასთან ლაპარაკი არ შეიძლება. — უთხრა ტომმა დედას.

— მე მალე ჩემს გზაზე წავალ, კაცი მარტო უფრო ადვილად მონახავს რამეს, ვიდრე ოჯახთან ერთად.

— ცხრა თვეში შენი ოჯახი გეყოლება, დაგინახე, რო ცუღ-ლუტობდი.

— გაგიჟდი, არა? სადმე გარაჟში ვიშოვი სამუშაოს და რეს-ტორნებში შევჭამ...

— და ცხრა თვეში ცოლ-შვილიც გეყოლება.

— არა-მეთქი!

— რაღაც ძაან დაბრძენდი, ელ. ჭკვიანად იყავი, ვინმემ თავში არ წამოგარტყას.

— ვინ უნდა წამომარტყას?

— ვიღაც ყოველთვის გამოჩნდება ხოლმე.

— შენ ფიქრობ, რო..

— ელ, გეყოფა ეხლა, — ჩაერია დედა.

— მე წამოვიწყე, დე, მინდოდა, რო ცოტა გამებრაზებინა. ელ, არ ვიცოდი, ის გოგო თუ ესე ძაან მოგწონდა.

— ძაან არცერთი გოგო არ მომწონს.

— ეგრე იყოს, მოვრჩეთ მაგაზე ლაპარაკს.

სატვირთო ქალაქს მიუახლოვდა.

— ნახეთ, რამდენი სასადილოა, ცხელ-ცხელი სოსისებით. — თქვა ტომმა.

— ტომ, ერთი დოლარი მაქ გადანახული. თუ ყავა ასე ძაან გინდა, დახარჯე.

— არა, დე. ვხუმრობ.

— თუ ძაან გინდა, მოგცემ.

— არ გამოგართმევ.

— მაშინ მოკეტე რა, სუ ყავაზე ნუ ლაპარაკობ. — უთხრა ელმა.

ტომი ერთხანს ჩუმად იყო.

— თითქოს რაღაცა მექაჩება ამ გზისკენ, — თქვა მან, — ეს ის გზაა, იმ ღამეს რო მივდიოდით.

— იმ ღამის გახსენებაც არ მინდა.

— რა გასახსენებელია.

მზე მარჯვნიდან ამოდიოდა. უშველებელი ჩრდილი სატვირთოს გვერდიდან აედევნა და გზის გასწვრივ ღობეების ძელებზე გადაირბინა. მალე აღდგენილი ჰუვერვილი გამოჩნდა.

— შეხედეთ, — თქვა ტომმა, — კიდე მისულა ხალხი, ისევ ისეთია აქაურობა.

ელის თვალებიდან კუშტი მზერა გაქრა.

— ბიჭებმა მითხრეს, ვიღაცებს თხუთმეტჯერ, ოცჯერ გადაუწვეს ყველაფერიო, თურმე ტირიფებში იმალებიან, მერე გამოდიან და ამ ქოხებს ახლიდან აშენებენ. თრიებივით

არიანო, ისე მიეჩვივნენ, აღარც ბრაზდებიანო. ყველაფერს ისე უყურებენ, როგორც ავდარს და მეტი არაფერიო.

— მართლა ავდარივით იყო ის ღამე.

ფართო გზატკეცილზე მიდიოდნენ. მზე ანათებდა, მაგრამ არ ათბობდა.

— უკვე გრილა დილაობით, — თქვა ტომმა, — ზამთარი მოდის. დაზამთრებამდე ცოტა ფული უნდა ვიშოვოთ, თორე კარავში კარგ დროს ვერ გავატარებთ.

დედამ ამოიოხრა და თავი ასწია.

— ტომ, — უთხრა დედამ, — ზამთარში სახლი უნდა გვქონდეს. აუცილებლად უნდა გვქონდეს. რუთს არა უშავს, მაგრამ უინფილდი სუ დასუსტდა. წვიმები რო დაიწყება, სახლი ხო უნდა გვქონდეს. მითხრეს, რო თავსხმა იცის ამ მხარეშიო.

— გვექნება, დე, ნუ გეშინია, გვექნება.

— ჭერი და იატაკი, რო ბავშვები პირდაპირ მიწაზე არ იწვნენ.

— ვეცდებით, დე.

— ზოგჯერ ისეთი შიში შემიპყრობს ხოლმე, რო ძალა მეცლება.

— როდის იყო, რო რამის გეშინოდა.

— ღამღამობით, ხანდახან.

სატვირთოს წინა ნაწილიდან მკვეთრი სისინი გაისმა. ტომმა საჭეს მაგრად ჩასჭიდა ხელები და მუხრუჭი დაუშვა. სატვირთო გაჩერდა. ტომმა ამოიოხრა.

— ესღა გვაკლდა, — თქვა ტომმა და საზურგეს მიაწვა. ელი მანქანიდან ჩახტა და წინა ბორბალთან მიირბინა.

— დიდი ლურსმანია, — დაიძახა მან.

— რამე გვაქ, რო დავაწებოთ?

— არა, — უპასუხა ელმა, — რეზინი კი მაქ, მაგრამ წებო აღარ არი, სუ ვიხმარე.

ტომმა დედას სევდიანად გაუღიმა.

— არ უნდა გეთქვა იმ ერთ დოლარზე, რამენაირად შევაკეთებდით. — მანქანიდან ჩამოვიდა და დაშვებულ საბურავთან მოვიდა.

— ნახე, რამხელა ლურსმანია, — ელმა ხელი საბურავისკენ გაიშვირა.

— გზაზე ერთი ლურსმანიც რო ეგდოს, ჩვენ უნდა გადავუაროთ.

— ცუდადაა საქმე? — გამოსძახა დედამ.

— არა, დე, მაგრამ შეკეთება მოგვიწევს.

ოჯახის წევრები სატვირთოდან სათითაოდ ჩამოლაგდნენ.

— გასკდა? — იკითხა მამამ, — მერე დაშვებული საბურავი დაინახა და გაჩუმდა.

ტომმა დედას მანქანიდან გადასვლა სთხოვა და სავარძლის ქვეშიდან თუნუქის ყუთი გამოიღო. რეზინის საკერებელი გაშალა, წებოს ტუბს თავი მოხსნა და ფრთხილად დააწვა.

— თითქმის სუ გამხმარა, იქნებ ეყოს. ელ, ბორბლებს რამე შეუდგი, დომკრატით ავწიოთ.

ტომი და ელი შეხმატკბილებულად მუშაობდნენ. ბორბლებს ქვები მიაწყვეს, დომკრატით წინა ღერძი ასწიეს და მარჯვენა ბორბალი მოხსნეს. საბურავზე ნახვრეტი მოძებნეს, ჩვარი საწვავში ჩაასველეს და გახვრეტილი ადგილი გაწმინდეს, შემდეგ ელმა საბურავის კამერა მუხლებზე გადაიჭიმა. ტომმა წებოს ტუბი შუაზე გადაჭრა და დანის წვერით რეზინს წებო გადაუსვა, ხვრელის ნაპირები კარგად დაამუშავა. — სანამ გაშრება, მე საკერებელს გამოვჭრი, — ტომმა ლურჯ რეზინის საკერებელს ნაწილი ჩამოაჭრა და გვერდები გაუთანაბ-

რა. ელმა ისევ გაჭიმა კამერა. ტომმა ფრთხილად დააწება საკერებელი. — ესეც ესე, ეხლა საფეხურზე დავდოთ, ჩაქუჩი უნდა დავკრა. — რამდენჯერმე ფრთხილად დაჰკრა ჩაქუჩი. მერე კამერა გაჭიმა და საკერებლის კიდეები დაათვალიერა, — მზად არის დაიჭერს. სარტყელზე დაამაგრე და გავბეროთ, დე, მე მგონი, შენი ერთი დოლარი გადარჩა.

— სათადარიგო უნდა ვიყიდოთ, რომ, რამე რო იყოს, ღამეც შევძლებთ გამოცვლას.

— მაგის ფული რო გვქონდეს, ცოტა ყავას და ხორცს ვიყიდიდით, — უპასუხა ტომმა.

სისხამ დილით გზატკეცილზე მანქანები თავისუფლად გადაადგილდებოდნენ. მზემ ძალა მოიკრიბა, დათბა. ხანდახან სამხრეთ-დასავლეთიდან სუნთქვას ამოყოლილი ოხვრასავით სუსტი ქარი ქროდა. დიდი ველის ორივე მხარეს აღმართული მთები რძისფერ ნისლში ჩამალულიყვნენ.

ტომი საბურავს ბერავდა. ჩრდილოეთიდან მომავალი მანქანა გზის მეორე მხარეს გაჩერდა. მანქანიდან გარუჯული, ღია ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილი კაცი გადმოვიდა და გზა სატვირთოსკენ გადაჭრა. თავშიშველი იყო. რომ გაიღიმა, მუქ სახეზე კბილები თეთრად აუელვარდა. მარცხენა ხელის უსახელო თითზე ოქროს მსხვილი საქორწინო ბეჭედი ეკეთა, წვრილ ძეწკვზე ჩამოკონწიალებული პატარა ოქროს ბურთი ჟილეტის ღილებამდე სწვდებოდა.

— დილა მშვიდობისა, — საამო ხმით წარმოთქვა.

ტომმა საქმე შეწყვიტა და მიესალმა.

— დილა მშვიდობისა.

კაცმა მოკლე ჭაღარაშერეულ თმაში ხელი შეიცურა.

— ხალხო, სამუშაოს ეძებთ?

— ვეძებთ რომელია, ლამის ყველა ფიცრის ქვეშ შევიხედოთ.

— ატმის კრეფა შეგიძლიათ?

— არასდროს დაგვიკრეფია, — უთხრა მამამ.

— ყველაფრის კეთება შეგვიძლია, — სასწრაფოდ დაამატა ტომმა, — რაც იქნება, იმას გავაკეთებთ.

კაცმა კისერზე ჩამოკონწიალებული ბურთი ხელში შეათამაშა.

— ჩრდილოეთით იარეთ, ორმოცი მილის იქით ბევრი სამუშაოა.

— ძალიან კარგი, თუ აგვიხსნით როგორ მივიდეთ, ეხლავე გავფრინდებით.

— ჩრდილოეთით იარეთ, პიქსლისთან, იქამდე დაახლოებით ოცდათხუთმეტი-ოცდათექვსმეტი მილია, აღმოსავლეთისკენ გადაუხვიეთ, მერე ექვსი მილი კიდევ უნდა გაიაროთ და იქ ჰუპერის ფერმა იკითხეთ, უამრავი სამუშაო აქვთ.

— აუცილებლად წავალთ.

— ხომ არ იცით, კიდევ სად არიან მსურველები?

— ვიცი. ქვევით უიდპეტჩის ბანაკში უამრავი ხალხი ეძებს სამუშაოს.

— იმათთანაც ჩავალ. არ დაგავიწყდეთ, პიქსლისთან აღმოსავლეთისკენ გადაუხვიეთ, პირდაპირ იარეთ და ჰუპერის ფერმასთან მიხვალთ.

— დიახ, — უთხრა ტომმა, — მადლობას გიხდით, მისტერ, ძალიან გვჭირდება სამუშაო.

— კარგი, რაც შეგიძლიათ, სწრაფად იარეთ, — გზაზე გადავიდა, ღია მანქანაში ჩაჯდა და სამხრეთისკენ წავიდა.

ტომმა საბურავის გაბერვა მთელი ძალით განაგრძო.

— თითომ ოცჯერ უნდა დავუბეროთ, — ხმამაღლა თქვა ტომმა, — ერთი, ორი, სამი, ოთხი... — ელმა ტუმბო ჩამოართვა, შემდეგი მამა იყო, ბოლოს ძია ჯონი. საბურავის კამერა დამრგვალდა და გაიბერა — მოდი, ეხლა ვცადოთ, — თქვა ტომმა.

ელმა წინა ღერძი დაუშვა და დომკრატი მოხსნა.

— კარგია, ცოტა ზედმეტიც კია.

ხელსაწყოები მანქანაში ჩაყარეს.

— წავედით, წავედით, — დაიძახა ტომმა. — ბოლოს და ბოლოს სამუშაო გამოჩნდა.

დედა ისევ შუაში ჩაჯდა. ამჯერად საჭესთან ელი იჯდა.

— ფრთხილად ატარე, ელ, არ გადახურდეს.

დილის მზით განათებული მინდვრების გავლით მიდიოდნენ. ნისლი აკრეფილიყო და მოშავო-მოწითალო ლაქებით აჭრელებული მაღალი ყავისფერი მთები ახლა გარკვევით ჩანდა. მანქანის გამოჩენაზე ღობეებიდან ქედნები ფრთხიალით იშლებოდნენ. ელმა სიჩქარეს მოუმატა.

— ნელა, — გააფრთხილა ტომმა, — ვერ გაუძლებს, ძალიან ნუ აწვები. აუცილებლად უნდა ჩავიდეთ. იქნებ დღესვე მოგვცენ სამუშაო.

დედა აღელვებული იყო.

— ოთხივეს თუ აგიყვანენ, იქნებ ნისიადაც კი მომცენ საჭმელი. ისე მინდა, რო პირველ რიგში ყავას ვიყიდი, მერე ფქვილს, საცხობ ფხვნილს და ცოტა ხორცს. ჯერ ხორცს არ შევჭამთ, შაბათისთვის შევინახავთ. ხო, საპონი არ დამავიწყდეს, — ენას არ აჩერებდა დედა, — და რძე, შარონმა რძე უნდა დალიოს, ბებიაქალს უთქვამს.

გამთბარ გზაზე გველი გაიკლაკნა. ელმა მკვეთრად გადაუხვია, მანქანა ზედ შეაგდო, გასრისა და ისევ თავის ხაზს დაუბრუნდა.

— შხამიანი არ იყო, არ უნდა მოგეკლა. — უთხრა ტომმა.

— ყველანაირი მეზიზღება. რო ვხედავ, ლამის გულ-მუცელი ამომიტრიალდეს.

შუადღისას გზატკეცილზე მოძრაობამ მოიმატა — სავაჭრო კომპანიების აგენტების პრიალა მანქანები კარებზე დახატული კომპანიის ემბლემებით; წითელი და თეთრი ბენზინმზიდები, უკან მიმაგრებული ჟღარუნა ჯაჭვებით; სურსათით დატვირთული საბითუმო საბაყლოების ოთხკუთხაკარებიანი ფურგონები. გზის გასწვრივ, ორივე მხარეს, მიწის სიმდიდრე თვალს ჭრიდა — ხეხილის ბაღები, ხასხასა მწვანე ფოთლებით შებურული ხეებით, ვენახები, მწკრივებს შორის ფარდაგივით დაფენილი ალერდით, ნესვის კვლები, მარცვლეულის ყანები... სიმწვანეში ჩაფლული თეთრი სახლების გარშემო აყვავებული ვარდები, მზე — ოქროსფერი და თბილი.

სატვირთოს კაბინაში დედა, ტომი და ელი სიხარულისგან ადგილს ვერ პოულობდნენ.

— რა ბედნიერებაა! რამდენი ხანია ესე არაფერი გამხარებია, — თქვა დედამ, — ბევრი ატამი თუ იქნა დასაკრეფი, იქნებ სახლში ვიცხოვროთ, ქირა გადავიხადოთ, რამდენიმე თვით მაინც.

— მე ფულს მოვაგროვებ, — თქვა ელმა, — მერე ქალაქში წავალ და გარაჟში ვიშოვი სამუშაოს. ოთახს ვიქირავებ, რესტორანში შევჭამ, ყოველ ღამე კინოში ვივლი კოვბოურ ფილმებზე, ბილეთი ძვირი კი არ არი, — ამბობდა ელი და ხელებით საჭეს ეჭიდებოდა.

რადიატორმა ბუყბუყი დაიწყო, თავსახურიდან ორთქლი ამოვარდა.

— ცარიელი ხო არ არი? — ჰკითხა ტომმა.

— არა, ქარი ზურგიდან უბერავს და იმიტო დუღს.

— კარგი დღე გათენდა, — თქვა ტომმა. — მახსოვს, მაკალესტერში რო ვმუშაობდი, თან სუ ვფიქრობდი, ერთი აქედან გამიყვანა და ისე ვიცხოვრებ, რო არცერთნაირ სიამოვნებას არ მოვიკლებ-მეთქი. თითქოს ძალიან დიდი ხნის წინ იყო, მგონია, რო წლები გავიდა. ერთი ზედამხედველი იქ ყოფნას კიდე უფრო მიმძიმებდა. ძლივს ვიკავებდი თავს, რო სადმე არ მიმემწყვდია. ეხლა ვხვდები, რატო ვერ ვიტან პოლიციელებს, მეჩვენება, რო ყველას მისი სახე აქ. ღორს ჰგავდა ის ნაბიჭვარი, რო ლაპარაკობდა, სუ წითლდებოდა ხოლმე. ამბობდნენ, რო სადღაც დასავლეთში ძმა ჰყავდა. პირობით გათავისუფლებულ პატიმრებს თავის ძმასთან უშვებდა და იქ მუქთად ამუშავებდნენ. თუ ვინმე გაბედავდა და უკმაყოფილებას გამოთქვამდა, პირობის დარღვევის მიზეზით, ისევ ციხეში აბრუნებდნენ.

— ნუ ფიქრობ მაგაზე, ნუ ფიქრობ, — შეევედრა დედა, — იმდენ საჭმელს ვიყიდი, ფქვილს, ღორის ქონს...

— არ მინდა, სუ თავს ვარიდებ, მაგრამ მეფიქრება, — თქვა ტომმა, — იქ ერთი დაცენტრილი იყო, თქვენთვის ეს ამბავი ჯერ არ მომიყოლია, გაზეთებში რო ხულიგნის კარიკატურებს ბეჭდავენ, იმას გავდა. უწყინარი კაცი იყო, მაგრამ სუ გაქცევაზე ფიქრობდა. ბიჭები ხუმრობით ხულიგანს ეძახდნენ. — ტომს გაეცინა.

— გეყოფა. ნუ იხსენებ, — სთხოვა დედამ.

— მერე? რა მოუვიდა იმ კაცს? — ჰკითხა ელმა.

— დე, ისეთს არაფერს ვყვები, — უთხრა ტომმა დედას, — ტიპი გაქცევის გარდა ვერაფერზე ფიქრობდა, გეგმა სუ მზად ჰქონდა, მაგრამ საიდუმლოდ ვერ ინახავდა. დააღებდა პირს და ყვებოდა. ზედამხედველის ჩათვლით, ყველამ იცოდა ხოლმე, გაქცევას როდის გეგმავდა. საკნიდან თავს გაყოფდა თუ არა, ხელს ჩაკიდებდნენ და უკან აბრუნებდნენ. ერთხელ გეგმა დახაზა, ჩამოგვიარა და ყველას სათითაოდ გვაჩვენა. ჩვენ გავჩუმდით, ხმა არ ამოგვიღია. ერთ დღესაც ვერსად ვიპოვეთ, მაგრამ არაფერი ვთქვით, თურმე სადღაც თოკი უშოვია, კედელზე გადამძვრალა და იმ თოკით დაშვებულა. ქვევით კიდე ექვსი მცველი იდგა, დიდი ტომარა ჰქონდათ გამზადებული. ხულიგანი თოკს ქვევით ჩაჰყვა, ბოლოს დაცვამ ტომარა გაშალა და შიგ ტომარაში მოადინა ტყაპანი. დაცვამ თავი მოუკრა და საკანში ტომარაში გამოკრული შემოიყვანეს. ბიჭებმა იმდენი იცინეს, კინაღამ სიცილით დაიხოცნენ. მაგრამ ამ ამბავმა საწყალი სულიერად გატეხა. თვალზე ცრემლი აღარ შეშრობია, დადარდიანდა, დაავადდა, თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. ბოლოს რაღაცა რკინის ჩხირით ვენები გადაიხსნა და სისხლისგან დაიცალა. შეურაცხყოფა ვერ გადაიტანა, არადა, უწყინარი კაცი იყო. ეჰ, კაცი იქ იმდენ ჭკუასუსტს ნახავს რო...

— ნუღარ ლაპარაკობ მაგაზე. — კარგად მახსოვს საწყალი ფლოიდი, ცუდი ბიჭი კი არ იყო, კუთხეში მიიმწყვდიეს.

მზემ ზევით აიწია, სატვირთოს ჩრდილი გაუფერულდა და ბორბლებქვეშ მოექცა.

— ზევით პიქსლი უნდა იყოს, — თქვა ელმა, — წარწერა წავიკითხე.

პატარა ქალაქში შევიდნენ და აღმოსავლეთით ვიწრო ქუჩაზე გადავიდნენ. გზის ორივე მხარეს გაშენებული ბაღები წინ დერეფანივით მიიწევდა.

— იმედი მაქ, ადვილად ვიპოვით, — თქვა ტომმა.

— იმ კაცმა გვითხრა, ჰუპერის ფერმა იკითხეთ და ყველა მიგასწავლითო. იქნებ სადმე ახლოს მაღაზიაც იყოს. ოთხნი თუ იმუშავებთ, ნისიადაც გამომატანენ საჭმელს. კარგ ვახშამს მოგიმზადებთ. ნისიად თუ მომცემენ, ბლომად ჩაშუშულს გავაკეთებ.

— ყავა არ დაგავიწყდეს, იქნებ თუთუნის ყიდვაც მოვახერხო, იმდენი ხანია თუთუნი აღარ მიყიდია.

მოშორებით მანქანებს გზა ჩაეხერგათ. გზის გასწვრივ თეთრი მოტოციკლები ჩამწკრივებულიყვნენ.

— ალბათ ავარიაა, — თქვა ტომმა.

ახლოს რომ მივიდნენ, ბოლო მანქანიდან პოლიციელი გადმოვიდა. მაღალყელიანი ფეხსაცმელი ეცვა, წელზე ბრტყელი ტყავის ქამარი შემოერტყა. გეზი სატვირთოსკენ აიღო, მიუახლოვდა და ხელი ასწია. ელმა გააჩერა. პოლიციელი დაიხარა და ხმადაბლა ჰკითხა:

— საით მიდიხართ?

— გვითხრეს, რო აქ ატმის კრეფა იწყება.

— სამუშაოზე მოწყობა გინდათ?

— ძალიან, — უპასუხა ტომმა.

— კარგი, აქ დაიცადეთ, — გზის ნაპირას მივიდა და დაიძახა: კიდე ერთია, სულ ექვსი მანქანაა, ერთად გავატაროთ.

პოლიციელი ისევ დაბრუნდა:

— გზაზე პატარა დაბრკოლებაა, მაგრამ არა უშავს, გაგატარებთ. აი, ამ მანქანების უკან დადექით.

მოტოციკლები გრუხუნით დაიძრნენ. მანქანების რიგი წინ წავიდა. ჯოუდების სატვირთო რიგში ბოლო იყო.

— რა ამბავია? ვერ გავიგე, — აფორიაქდა ტომი.

— იქნებ გზა გაფუჭდა და გადაკეტეს, — ივარაუდა ელმა.

— ოთხი პოლიციელის გაცილება რაში გვჭირდება. რაღაც არ მომწონს ეს ამბავი.

მოტოციკლებმა სიჩქარე აკრიფეს, ძველი მანქანებიც აჩქარდნენ. ელი ცდილობდა, რომ მის წინ მიმავალ მანქანას არ ჩამორჩენოდა.

— ჩვენნაირი ხალხი ჩანს, აშკარად რაღაც ხდება.

უეცრად პოლიციელმა, მანქანებს რომ მიუძღოდა, ფართო მოხრეშილი შესასვლელისკენ გადაუხვია. ძველი მანქანები არ ჩამორჩნენ, მოტოციკლები გრუხუნით აედევნენ. ტომმა გზისპირა არხთან შეგროვებული ხალხი დაინახა. პირები დაეღოთ, ალბათ ყვიროდნენ, შეშლილი სახეებით მუშტებს იქნევდნენ. ჩასუქებული ქალი მანქანებისკენ გავარდა, მაგრამ მოტოციკლი გრუხუნით გადაუდგა. მავთულის მაღალი ჭიშკარი ფართოდ გააღეს. ექვსი ძველი მანქანა გაატარეს და ჭიშკარი ისევ ჩარაზეს. ოთხი მოტოციკლი შებრუნდა და იქით წავიდა, საიდანაც მოვიდა. ახლა, როდესაც გრუხუნი შეწყდა, არხიდან კაცების ყვირილი ადვილად აღწევდა ყურს. ორი შეიარაღებული კაცი მოხრეშილ გზასთან იდგა. ერთმა დაიყვირა:

— წადით! წადით რა ჯანდაბას ელოდებით? — ექვსი მანქანა წინ წავიდა და მოულოდნელად პირდაპირ ატმის მკრეფავების ბანაკში აღმოჩნდნენ.

ორმოცდაათი პატარა ბრტყელსახურავიანი კვადრატული ყუთი, თითო კარითა და ფანჯრით, ისე ჩაელაგებინათ, რომ ოთხკუთხედს ქმნიდა. ბანაკის განაპირას წყლის ცისტერნა

მოჩანდა, გზის გადაღმა კი, სურსათის პატარა მაღაზია. სახლების ყოველი მწკრივის ბოლოს ორი შეიარაღებული კაცი იდგა, რომელთაც პერანგებზე ვერცხლის ვარსკვლავები მიემაგრებინათ.

მანქანები გაჩერდნენ. ორი საქმისმწარმოებელი მანქანიდან მანქანასთან გადადიოდა და ხალხს კითხვებს უსვამდა.

— მუშაობა გინდათ?

— დიახ, მაგრამ აქ რა ხდება? — ჰკითხა ტომმა.

— ეგ თქვენი საქმე არ არის. გინდათ მუშაობა?

— დიახ.

— გვარი?

— ჯოუდი.

— რამდენი კაცი ხართ?

— ოთხი.

— ქალი?

— ორი.

— ბავშვი?

— ორი.

— მუშაობა ყველას შეგიძლიათ?

— შეგვიძლია.

— კარგი, სამოცდასამი ნომერი სახლი მოძებნეთ. ხელფასი — ყუთი ხუთი ცენტი, დაზიანებულ ხილს არ ჩავიბარებთ. კარგი, წადით, ახლავე შეგიძლიათ დაიწყოთ.

მანქანები დაიძრნენ. ყოველი სახლის კარზე ნომერი წითელი საღებავით მიეწერათ.

— სამოცი, — თქვა ტომმა, — ეს სამოცია, ქვევით უნდა იყოს, სამოცდაერთი, სამოცდაორი — აი, ის არი.

ელმა მანქანა პატარა სახლის კართან გააჩერა. ჯოუდები სატვირთოდან ჩამოვიდნენ და იქაურობას დაბნეული თვალი

გადაავლეს. წუთიც არ იყო გასული, რომ თანაშემწეები გამოჩნდნენ, ოჯახის ყველა წევრი დაათვალიერეს.

— გვარი?

— ჯოუდი, — მოუთმენლად უპასუხა ტომმა, — რა ხდება?

ერთ-ერთმა გრძელ სიაში ჩაიხედა.

— სიაში არ არიან. როდესმე გინახავს ესენი აქ? ნომერი შეამოწმე.

— არა, არ მიწერია. ყველაფერი რიგზეა.

— ახლა მომისმინეთ, არეულობა არ გვინდა. თქვენი სამუშაო შეასრულეთ, თქვენ საქმეს მიხედეთ და ყველაფერი კარგად იქნება. — სწრაფად შეტრიალდნენ, იქაურობას გაეცალნენ და ჭუჭყიანი ქუჩის ბოლოს ყუთებზე დასხდნენ, რომ მთელი ქუჩისთვის თვალ-ყური ედევნებინათ.

ტომი კარგა ხანს უცქერდა.

— თავი შინაურულად იგრძენითო, — თქვა და მწარედ ჩაიცინა.

დედამ სახლის კარი გააღო და ოთახში შეაბიჯა, იატაკზე ცხიმი გაგლესილიყო, ერთადერთი ნივთი, ჟანგიანი ღუმელი, ოთხ აგურზე დაედგათ. ჟანგიანი მილი პირდაპირ ჭერში გადიოდა. ოთახში ოფლისა და ცხიმის სუნი იდგა. შარონი დედას მიუახლოვდა.

— აქ უნდა ვიცხოვროთ?

დედა ერთხანს ჩუმად იყო.

— ჰო, — ბოლოს და ბოლოს თქვა მან. — არც ისე ცუდია, იატაკს დავგვით, გავრეცხავთ და უკეთესი გახდება.

— კარავში ცხოვრება ჯობდა, — თქვა გოგონამ.

— ამას იატაკი აქ, არც წყალი ჩამოვა. — დედა კარისკენ შებრუნდა, — რაღას უცდით, გადმოტვირთეთ.

კაცებმა ბარგი უხმოდ ჩამოალაგეს. დაზაფრულები ჩანდნენ. დიდი ოთხკუთხედი დუმდა. ქუჩაში თავჩაქინდრული ქალი გამოჩნდა. ჭუჭყიანი უჯრედებიანი კაბის ბოლო ჩამოძენძვოდა, ისე ჩაიარა, რომ მათთვის ზედაც არ შეუხედავს.

რუთი და უინფილდი ნირწამხდრები იდგნენ, იქაურობის დასაზვერად გაქცევა არც უცდიათ, სატვირთოსთან, ოჯახთან ახლოს, დარჩენა არჩიეს და მტვრიან ქუჩას მოწყენილები უცქერდნენ. უინფილდმა მიწიდან სქელი მავთული აიღო, იმდენჯერ მოღუნა და გაასწორა, რომ ბოლოს გადატეხა, მერე მავთულის ნაჭერი კაუჭივით მოხარა. იდგა და ხელიდან ხელში გადაჰქონდა.

სახლში ლეიბების შეზიდვით გართულ ტომსა და მამას ხაკისფერ შარვალში გამოწყობილი საქმისმწარმოებელი მიუახლოვდა, ლურჯ პერანგზე შავი ჰალსტუხი შეეკვანძა, ვერცხლისფერჩარჩოიანი სათვალის სქელი შუშებიდან გუგებგაფართოებული, ჩაწითლებული თვალებით იცქირებოდა. წინ გადაიხარა და ტომს მიმართა:

— უნდა შეგამოწმოთ. რამდენი კაცი აპირებთ მუშაობას?

— ოთხი კაცი ვართ, მძიმე სამუშაოა?

— ატმის კრეფა, — უპასუხა საქმისმწარმოებელმა, — მშვიდი სამუშაოა, ყუთში ხუთ ცენტს იხდიან.

— შეიძლება ხო, რო ბავშვებმაც იმუშაონ?

— შეიძლება, თუ ფრთხილად იქნებიან.

დედა კარში იდგა.

— როგორც კი დავლაგდებით, მეც მივეხმარები. საჭმელი არაფერი გვაქ, მისტერ, ეხლავე გადაგვიხდიან?

— არა, ახლავე არ გადაგიხდიან, მაგრამ მაღაზიაში ნისიად მოგცემენ, შემოსავლის გათვალისწინებით.

— ჩქარა წავიდეთ, — თქვა ტომმა, — ამაღამ ხორცი და პური უნდა ჩავიყარო. საით წავიდეთ, მისტერ?

— იქით მივდივარ. წამომყევით.

ტომი, მამა, ელი და ძია ჯონი მტვრიან ქუჩას ატმის ბაღებისკენ დაუყვნენ და პირდაპირ ხეებს შორის აღმოჩნდნენ. ვიწრო ფოთლებს ყვითელი შეჰპარვოდათ. ტოტებს ოქროსფერ-წითელი ატმები ბურთებივით ეკიდა. ხეებს შორის უამრავი ცარიელი ყუთი ეწყო. მკრეფავები სწრაფად ავსებდნენ სათლებს. მერე ატამს ყუთებში ალაგებდნენ და მიმღებ პუნქტში მიჰქონდათ, აქ ყუთები სატვირთოებს ელოდნენ, მიმღებები კი მოთმინებით იცდიდნენ, რომ ყოველი მკრეფავის გვარის გასწვრივ ყუთების რაოდენობა აღერიცხათ.

— კიდევ ოთხი კაცია, — თქვა გამცილებელმა.

— კარგი. სხვა დროს დაგიკრეფიათ ატამი?

— არასდროს, — უპასუხა ტომმა.

— ფრთხილად დაკრიფეთ, დაზიანებულ და ძირნაყარ ხილს არ ჩავიბარებთ. აი, სათლები, აიღეთ.

ტომმა სამი გალონის ტევადობის სათლები აიღო.

— შეხედეთ, ძირი ყველას დახვრეტილი აქ, — უთხრა ტომმა.

— იმიტომაც არ იპარავენ. კარგი, ქვევით დაეშვით, საქმეს შეუდექით.

ჯოუდებმა სათლები აიღეს და ბაღისკენ გაეშურნენ.

— დროს არ აცდენენ, — ჩაილაპარაკა ტომმა.

— ღმერთო, — თქვა ელმა, — გარაჟში მუშაობას შეადარე, რა!

მამა ტომს მორჩილად მიჰყვებოდა უკან. ელის სიტყვები რომ გაიგონა, მისკენ სწრაფად შებრუნდა.

— ნუ გააწყალე გული! სუ წუწუნებ, სუ რაღაცა გინდა, სუ იბრიქები. იმუშავე! ხო არ გგონია, ისეთი დიდი ხარ, რო კისერი ვერ მოგიგრიხო?

ელი ერთბაშად გაწითლდა. სიბრაზისგან ცახცახებდა. ტომი მიუახლოვდა.

— წამო, ელ, — უთხრა მშვიდად. — ვიმუშაოთ, პური და ხორცი გვაქ საყიდელი.

დაკრეფილ ხილს სათლებში ყრიდნენ ტომი გამალებით მუშაობდა. ერთი სათლი სავსეა, ორი, ესეც მესამე. ეს ყუთიც გაივსო. — ხუთი ცენტი ვიშოვე, — ყუთი სასწრაფოდ გააქანა პუნქტისკენ.

— ხუთი ცენტისაა, — უთხრა ტომმა მიმღებს.

კაცმა ყუთში ჩაიხედა რამდენიმე ატამი აიღო და შეათვალიერა, — იქით გადადგი, არ მივიღებ, — თქვა მან — ხო გაგაფრთხილეთ, ეს რა არის? ყველა ატამი დაჭყლეტილია. სათლიდან პირდაპირ ჩაყარეთ, არა? ვერ მივიღებ. ან სათითაოდ ჩააწყობთ ყუთში, ან არადა, ტყუილად მუშაობთ.

— რატო, დასწყევლოს ღმერთმა...

— გეყოფა, გეყოფა, სანამ დაიწყებდით, გაგაფრთხილეთ.

ტომს სახე ჩამოეღვენთა.

— კარგი, კარგი, — თქვა და თავისიანებისკენ გაიქცა, — თქვენიც გადასაყრელია, არ ჩაიბარებენ, არ მიუტანოთ.

— ეხლა რა ჯანდაბა ხდება! — წამოიძახა ელმა.

— ფრთხილად უნდა დავკრიფოთ და ყუთში უნდა ჩავაწყოთ, კი არ უნდა ჩავყაროთ.

ახლიდან დაიწყეს. ამჯერად ხილს ფრთხილად კრეფდნენ. ყუთები შედარებით ნელა ივსებოდა.

— რაღაც უნდა შევცვალოთ, რუთი, უინფილდი და შარონი თუ ხილს ყუთებში ჩააწყობენ, სამუშაო ჯაჭვი აეწყობა. — ახალი ყუთი პუნქტისკენ წაიღო.

— ეს არის თუ არა ხუთი ცენტი?

მიმღებმა ატამს დახედა, მერე ხელით რამდენიმე ქვედა ფენა შეამოწმა და თქვა: — ეს უკეთესია, — რვეულში ნიშანი დასვა, — სიფრთხილეა საჭირო, მეტი არაფერი.

ტომმა თავისიანებთან მიირბინა:

— ხუთი ცენტი ვიშოვე, ოღონდ დოლარამდე ოცი ყუთია შესავსები.

შეუსვენებლად მუშაობდნენ. ცოტა ხანში რუთმა და უინფილდმა მიაკითხეს.

— თქვენც უნდა იმუშაოთ, — უთხრა მამამ, — ატამი ფრთხილად ჩააწყვეთ ყუთებში, თითო-თითო აიღეთ.

ბავშვები ჩაცუცქდნენ და სათლიდან ატმის ყუთებში გადაწყობას შეუდგნენ. მალე მათ წინ რამდენიმე სავსე სათლი ჩაამწკრივეს. ყუთები პუნქტში ტომს მიჰქონდა, — შვიდი, რვა, უკვე ორმოცი ცენტი, კაი დიდი ნაჭერი ხორცია.

საღამოვდებოდა, რუთმა თავის დაღწევა სცადა.

— დავიღალეე, — ხმაში ტირილი გაურია რუთმა, — უნდა დავისვენო.

— სადაც ხარ, იქ დარჩები, — უპასუხა მამამ.

ძია ჯონი ვერ გამოდგა სწრაფი მკრეფავი, სანამ ის ერთ ყუთს შეავსებდა, ტომს ორი უკვე ჩაბარებული ჰქონდა. შუადღისას არაქათგაცლილი დედა შეუერთდათ.

— ადრე მოვიდოდი, მაგრამ შარონი ცუდად გახდა, გული წაუვიდა. ბავშვებო, ატამი ჭამეთ? ბევრი არ ჭამოთ, კუჭი აგეშლებათ, იცოდეთ.

დედას ჩაფსკვნილი სხეული სწრაფად ამოქმედდა, სათლი იქით გადადო, დაკრეფილ ატამს წინსაფრის ჯიბეში აგროვებდა. მზის ჩასვლამდე ოცი ყუთი უკვე დაკრეფილი ჰქონდათ.

ტომმა მეოცე ყუთი ჩააბარა.

— ესეც დოლარი, — თქვა მან, — აქ როდემდე მუშაობენ?

— დაბნელებამდე.

— ეხლა ხო შეგვიძლია მაღაზიიდან ნისიად აღება? დედა წავა და რამეს იყიდის.

— რასაკვირველია, ქვითარს გამოგიწერთ, — პატარა ფურცელზე რაღაც წაჯღაბნა და ტომს გაუწოდა.

ტომმა დედას ქვითარი გაუწოდა,

— აიღე, ერთი დოლარის საჭმლის ყიდვა შეგიძლია მაღაზიაში.

დედამ სათლი დადგა და მხრებში გაიმართა.

— პირველად ყველაფერი ძნელია, მერე შევეჩვევით.

— უკვე მივეჩვიეთ. დე, ეხლა ქვევით დაეშვი და მაღაზიაში საჭმელი გამოართვი.

— რა გინდა, რა ვიყიდო?

— რა მინდა და, ხორცი, პური, დიდი ჭიქით შაქრიანი ყავა, კაი დიდი ნაჭერი ხორცი.

— დე, დავიღალეეთ, — წაიღნავლა რუთმა.

— კარგი, წამომყევით.

— დაიღალეთ არა? ეხლა არ დაიწყეთ? თანდათან სუ გაველურდნენ, უვარგისები არიან, ცოტა ხელი თუ არ მოვუჭირეთ, სუ თავს წავლენ.

— რო მოვეწყობით, სკოლაში დაიწყებენ სიარულს, — თქვა დედამ და გზას მძიმე ნაბიჯებით შეუდგა. რუთი და უინფილდი მორჩილად აედევნენ.

— ყოველდღე უნდა ვიმუშაოთ? — ჰკითხა უინფილდმა.

დედა შეჩერდა, უინფილდი მიუახლოვდა, დედამ ხელი ხელში ჩასჭიდა და გზა განაგრძეს.

— მძიმე სამუშაო არ არის, — შენთვისაც კარგია, გვეხმარები. ყველა თუ ვიმუშავებთ, მალე პატარა ლამაზ სახლში ვიცხოვრებთ, ყველა ერთმანეთს უნდა მივეხმაროთ.

— მაგრამ ძაან დავიღალე.

— ვიცი, მარტო შენ კი არა, ყველა დავიღალეთ. სხვა რამეზე იფიქრე, მაგალითად იმაზე, რო სკოლაში წახვალ.

— არ მინდა სკოლაში, არც რუთს უნდა. ვიცით, სკოლაში როგორი ბავშვები დადიან, საზიზღრები და თავხედები, ოკის გვეძახიან, არ გვინდა, არ წავალთ.

დედამ ჩალისფერ თმაზე თანაგრძნობით დახედა.

— ეხლა ნუ ჭინჭყლობ, ჯერ ცოტა ფეხზე დავდგეთ და მერე. ეხლა ნუ დაგვიმატებ, ისედაც მძიმე ცხოვრება გვაქ.

— ექვსი ატამი შევჭამე. — თქვა რუთმა,

— ხოდა კუჭი აგეშლება, ახლოს ტუალეტიც არ არი.

კომპანიას მაღაზია რკინით შეკრულ დიდ ფარდულში გაეხსნა. ვიტრინა არ ჰქონდა, დედამ ბადეაკრული კარი შეაღო და მაღაზიაში შევიდა. დახლის უკან დაბალი კაცი იდგა. მელოტი იყო, თავზე მოცისფრო თეთრი ფერი დაჰკრავდა. ზემოთ აქაჩული ფართო ყავისფერი მორკალული წარბები გაოცებული და შეშინებული კაცის იერს სძენდა, ჩიტის ნისკარტივით მოკაუჭებული გრძელი ცხვირის ნესტოებიდან ჟღალი ბალანი გამოჩროდა, ლურჯი პერანგის სახელოებზე შავი სატინის სამკლავურები ეკეთა. დედა რომ შევიდა, დახლზე იდაყვებდაყრდნობილი იდგა.

— საღამო მშვიდობისა, — მიესალმა დედა.

კაცმა ყურადღებით დაათვალიერა. წარბების რკალი კიდევ უფრო ზევით აექაჩა.

— გამარჯობა.

— ერთი დოლარის ქვითარი მაქ.

— ერთი დოლარის პროდუქტი შეგიძლიათ წაიღოთ, — უსიამოვნო ხმით ჩაიქირქილა კაცმა. — დიახ სერ, ერთ დოლარად რაც გინდა სულო და გულო, — სამკლავურები აიწია და ხელი თაროებისკენ გაიშვირა.

— ხორცის ყიდვა ვიფიქრე.

— ყველანაირი გვაქვს, — თქვა კაცმა, — ფარში გნებავთ? ფუნტი ოცდახუთი ცენტი.

— ძაან ძვირი არ არი? ბოლოს რო ვიყიდე, თხუთმეტი ცენტი ღირდა.

— თან ძვირია და თან არა. ქალაქში რომ წახვიდეთ და ერთი ფუნტი ფარში იყიდოთ, ერთი გალონი საწვავი გჭირდებათ. თუ დაუკვირდებით, ძვირი არ გამოდის, — ხმადაბლა ჩაიცინა კაცმა.

— თქვენც ალბათ ერთი გალონი საწვავი დახარჯეთ, რო ეს ხორცი აქ მოგეტანათ. — მკაცრად უთხრა დედამ.

კაცმა გულიანად გაიცინა.

— სხვანაირად გესმით, ჩვენ კი არ ვყიდულობთ ხორცს, ვყიდით. რომ ვყიდულობდეთ, სხვა საქმეა.

დედამ ორი თითი პირთან მიიტანა, წარბები შეჭმუხნა და ჩაფიქრდა.

— ეს ფარში ცარიელი ხრტილი და ცხიმია.

— თავს ვერ დავდებ, რომ მოიხარშება. ვერც იმას გეტყვი, მე შევჭამდი-მეთქი, მაგრამ მე ბევრ რამეს არ გავაკეთებდი.

დედამ გააფთრებული თვალებით შეხედა როგორღაც ხმა დაიმორჩილა და უთხრა:

— შედარებით იაფიანი ხორცი არ გაქვთ?

— ძვლები, ფუნტი ათი ცენტი, კარგი წვნიანი გამოვა.

— ცარიელი ძვლებია.

— ხო, მაგრამ კარგი წვნიანი გამოდის,

— მოსახარში ხორცი გაქვთ?

— დიან ოცდახუთი ცენტი.

— იქნებ ხორცი არ ვიყიდო. — მაგრამ ხორცი უნდათ.

— ხორცი ყველას უნდა, კაცს ხორცი სჭირდება. თუ დამიჯერებთ, ფარში იყიდეთ, უდანაკარგოა; ცხიმს საწებლისთვის გამოიყენებთ და არც ძვლები გექნებათ გადასაყრელი.

— ბეჭის ნაჭერი რა ღირს?

— ოჰო, უკვე ოცნებაში გადახვედით. ბეჭის ნაჭერს მარტო შობაზე ყიდულობენ, ან მადლიერების დღეს. ფუნტი ოცდათხუთმეტი ღირს, ინდაური რომ მქონდეს, იაფად მოგცემდით, მაგრამ არ მაქვს.

დედამ ამოიოხრა.

— ორი ფუნტი ფარში მომეცით.

— კარგი, მემ. — კაცმა ფერდაკარგული ხორცი ცვილის ქაღალდზე დადო, — კიდევ რა მოგართვათ?

— პური.

— ინებეთ, დიდი ფუმფულა პურია, თხუთმეტი ცენტი.

— ეგ თორმეტცენტიანი პურია.

— დიახ მაგრამ თორმეტ ცენტად რომ იყიდოთ, ქალაქში უნდა წახვიდეთ და ერთი გალონი საწვავი დახარჯოთ. კიდევ?

— კარტოფილი.

— ხუთი ფუნტი ოცდახუთი ცენტი.

გაბრაზებული დედა შეტევაზე გადავიდა.

— გეყოფათ ამდენი ლაპარაკი! ძალიან კარგად ვიცი ქალაქი ფასები.

გამყიდველმა ტუჩი მოიკვნიტა.

— მერე წადით და ქალაქში იყიდეთ.

დედამ თავის მუშტად შეკრულ ხელს დახედა.

— აქ რა ხდება? თქვენია ეს მაღაზია?

— არა, უბრალოდ აქ ვმუშაობ,

— ეს დაცინვა რა არი? ესე უფრო ადვილია მუშაობა? — თავის დაკოჟრილ-დანაოჭებულ ხელს დასცქეროდა. დაბალი კაცი დუმდა.

— ვისია ეს მაღაზია?

— კორპორაციის „ჰუპერის ფერმა“.

— ფასებს ისინი ადგენენ?

— დიახ, მემ.

დედამ თვალები ასწია და გამყიდველს ოდნავ გაუღიმა.

— ვინც შემოდის, ყველა ჩემსავით გიჟდება და ჩხუბობს?

კაცი ერთხანს ჩუმად იყო.

— დიახ, მემ, — თქვა ბოლოს.

— და იმიტო დასცინით ხალხს?

— რას გულისხმობთ?

— რა საზიზღარი საქმეა. გრცხვენიათ, არა? და უნებურად დაცინვაზე გადადიხართ, — წყნარად უთხრა დედამ. გამყიდველი მოჯადოებული უცქერდა, არაფერი უპასუხა, — მოკლედ, ორმოცი ცენტი ხორცი, თხუთმეტი პური, ოცდახუთი კარტოფილი. ოჰ, ყავა?

— ყველაზე იაფი ოცი ცენტი ღირს. მემ.

— და ეგეც დოლარი, შვიდნი ვმუშაობდით და მარტო ერთი ვახშმის ფული ვიშოვეთ, — ისევ თავის ხელს დასცქეროდა. — შემიხვიე, — თქვა სწრაფად.

— დიახ, მემ, გმადლობთ, — კარტოფილი ქაღალდის პარკში ჩაყარა და თავი გადაუკეცა, თვალები დედასკენ გააპარა, მერე სწრაფად განაგრძო თავის საქმე. დედა უცქერდა და ოდნავ იღიმოდა.

— ესეთ სამუშაოს როგორ დათანხმდით?

— კაცმა უნდა ჭამოს, — წამოიწყო გამყიდველმა და შემდეგ მუქარანარევი ხმით დაამატა, — კაცს უფლება აქვს, რომ ჭამოს.

— როგორ კაცს? — ჰკითხა დედამ.

გამყიდველმა ოთხივე პარკი დახლზე დადო.

— ხორცი, კარტოფილი, პური, ყავა. ზუსტად ერთი დოლარია. — დედამ ქვითარი მიაწოდა. კაცმა დავთარში გვარი და თანხა ჩაწერა, — ესეც ესე, გავსწორდით, — თქვა მან.

დედამ პარკი აიღო, — მისმინეთ, — უთხრა კაცს, — შაქარი არ გვაქ. ჩემ ბიჭს, ტომს, შაქრიანი ყავა უნდა. გარეთ ოთხნი მუშაობენ გამატანეთ ცოტა შაქარი და ქვითარს მერე მოგიტანთ.

კაცი, ოღონდ დედას თვალები არ დაენახა, სადღაც შორს იცქირებოდა.

— არ შემიძლია — ხმადაბლა თქვა მან, — მეკრძალება. შარში გავეხვევი, გამაგდებენ.

— მაგრამ ჩემები ეხლაც მუშაობენ, სუ მცირე, ათ ცენტს კიდე იშოვიან. ათი ცენტის შაქარი გამატანეთ. ტომს შაქრიანი ყავა ენატრება, მთხოვა, შაქრიანი ყავა მინდაო.

— არ შემიძლია, წესი ასეთია. ქვითრის გარეშე ვერაფერს გავცემთ. უფროსი სულ მაგაზე გველაპარაკება. არა, არ შემიძლია, ვერ გაგატანთ, დამიჭერენ.

— ათი ცენტის გულისთვის?

— ერთი ცენტისთვისაც. — დედას მავედრებელი თვალებით უცქერდა. მერე უეცრად მისი სახიდან შიში აიკრიფა, ჯიბეში ხელი ჩაიყო, ათ ცენტიანი ამოიღო და სალაროში ჩაუშვა, — აი ესე. — შვებით ამოისუნთქა კაცმა, პატარა პარკს პირი გაუხსნა, შიგ შაქარი ჩაყარა, აწონა და რამდენიმე ნატეხი კიდევ

დაამატა. — აი, ინებეთ, ყველაფერი რიგზეა. ქვითარს მომიტანთ და ჩემ ათ ცენტს დავიბრუნებ.

დედა თვალს არ აშორებდა. ხელმა თავისით გაიწია შაქრის პარკისკენ, — დიდი მადლობა, — თქვა ხმადაბლა და გასასვლელისკენ გაემართა. კართან რომ მივიდა, შეჩერდა. კაცისკენ შებრუნდა, — ერთი რამე მასწავლა ცხოვრებამ — თუ გასაჭირში ხარ, გტკივა ან გშია — ღარიბ კაცს სთხოვე დახმარება, მარტო ის დაგეხმარება, მეტი არავინ. — თქვა და ბადეაკრული კარი გაიჯახუნა. დაბალი კაცი დახლს იდაყვებით დაეყრდნო და დედას გაოცებული მზერა გააყოლა. დახლზე ფუმფულა ჭრელი კატა ახტა, კაცთან ზანტად მივიდა და ფერდებით მკლავებზე გაეხახუნა. კაცმა ლოყაზე მიიხუტა. კატა აკრუტუნდა და კუდი ააქიცინა.

ტომი, ელი, მამა და ძია ჯონი ბაღიდან რომ გამოვიდნენ, უკვე ბნელოდა. დაღლილობისგან ფეხებს ძლივს მიათრევდნენ.

— თითქოს არაფერი, ხელი გაიწოდე და ატამი მოწყვიტე. მაგრამ ზურგი ლამის გადამტყდეს.

— ერთ-ორ დღეში მიეჩვევი და აღარ გეტკინება, — უთხრა ტომმა, — მა, რო შევჭამთ, მინდა რო ვნახო, ჭიშკრის იქით რა ხდება, რატოა ეს ხმაური ატეხილი. ვერ ვისვენებ, მაინტერესებს. წამოხვალ?

— არა, ცოტა ხანი მაინც მინდა, რო ვიმუშაო და არაფერზე ვიფიქრო. ტვინი დამეღალა ამდენი ფიქრით, ცოტას დავისვენებ და მერე დავიძინებ.

— ელ, შენ?

— მე ჯერ აქ გავივლი, ვნახავ რა ხდება.

— ვიცი, რო ძია ჯონი არ წამოვა, მარტო მომიწევს წასვლა. ვერ ვისვენებ, ისე მაინტერესებს.

— ის უფრო მაინტერესებს. ეს პოლიციელები როდის წავლენ აქედან.

— იქნებ ღამით არ არიან, — ივარაუდა ტომმა.

— მაგის გარკვევას არ ვაპირებ. დედას ნუ ეტყვი სად მიდიხარ, თორე დარდისგან გულს გაიხეთქავს.

— ელ, შენ არ გაინტერესებს?

— მირჩევნია, ბანაკი შემოვიარო, — უპასუხა ელმა.

— გოგოები რო მოძებნო?

— ჩემი საქმის მე ვიცი, — გესლიანად უთხრა ელმა.

ბაღიდან წითელ ქოხმახებს შორის გაჭრილ მტვრიან ქუჩაზე გავიდნენ, აქა-იქ ღია კარებიდან ნავთქურის ყვითელი შუქი გამოდიოდა, ნახევრად ჩაბნელებულ ოთახებში შავი ჩრდილები მოძრაობდნენ. გუშაგს თოფი მუხლებზე დაედო და ქუჩის ბოლოს ისევ ისე იჯდა. მას რომ ჩაუარეს, ტომი შეჩერდა.

— მისტერ, კაცმა სად შეიძლება რო დაიბანოს?

გუშაგი ნახევრად სიბნელეში კარგა ხანს აკვირდებოდა. ბოლოს და ბოლოს, უპასუხა:

— იქ ცისტერნას ხედავ?

— დიახ.

— შლანგი იქვეა,

— თბილი წყალი არ არი?

— რა თბილი წყალი? ვინ ჯანდაბა ხარ? შენი თავი ჯონ პირპონტ მორგანი ხო არ გგონია?

— არა, არ მგონია. ნახვამდის, მისტერ.

გუშაგი აგდებულად ბურტყუნებდა:

— თბილი წყალი! ღმერთო, ცოტა ხანში აბაზანებს მოითხოვენ. — ჯოუდებს კუშტი მზერა გააყოლა. განაპირა სახლიდან მეორე გუშაგი გამოვიდა.

— რა ამბავია, მეკ?

— რა და, ის წყეული ოკი მეკითხება, ცხელი წყალი არ გაქვთო?

მეორე გუშაგმა თოფი მიწაზე დაუშვა.

— იმ მთავრობის ბანაკების ბრალია. ვერ დავისვენებთ, სანამ არ დავარბევთ. მალე სუფთა თეთრეულსაც მოგვთხოვენ.

— გარეთ რა ხდება? რამე ხო არ გაგიგია? — ჰკითხა მეკმა.

— მთელი დღე ღრიალებდნენ. ეხლა შტატის პოლიციამ გადაიბარა საქმე. ისინი მოუვლიან, მაგარი ბიჭები არიან. იმათ ერთი ნაბიჭვარი ჰყოლიათ, მაღალი, გამხდარი ტიპი, თურმე ხალხს ის აქეზებს, ცეცხლზე ნავთს ასხამსო, ამბობენ. ამაღამ პოლიცია აიყვანს და დამშვიდდება ყველაფერი.

— ძაან თუ დამშვიდდა, სამუშაო აღარ გვექნება, — თქვა მეკმა.

— გვექნება, ნუ გეშინია. კარგად უნდა ვუთვალთვალოთ, როგორც კი ჩაწყნარდება ყველაფერი, ცოტას ისევ ავურევთ.

— ხელფასებს ისევ რო დაუკლებენ, მაშინ ისევ აჩოჩქოლდებიან.

— აბა რა! ნუ გეშინია, სამუშაო გვექნება, სუ მინიმუმ, სანამ ჰუპერი ახლოსაა.

ჯოუდების სახლში ცეცხლი გიზგიზებდა. ცხიმში კოტლეტები შიშხინებდა, კარტოფილი იხარშებოდა, სახლი კვამლში გახვეულიყო. ყვითელი შუქი კედლებზე დიდ შავ ჩრდილებს ხატავდა. დედა ცეცხლთან იდგა, სწრაფად მუშაობდა. შარონის ვარდი ყუთზე იჯდა და მუხლებზე გაბერილ მუცელს ასვენებდა.

— ეხლა უკეთ ხარ? — ჰკითხა დედამ.

— სუნი მაღიზიანებს, არადა მშია.

— გარეთ გადი, — უთხრა დედამ, — ეგ ყუთი მაინც უნდა დავამტვრიო.

კაცებმა ოთახში ერთად შეაბიჯეს.

— ღმერთო, ხორცი! — წამოიძახა ტომმა, — და ყავა. სუნი მაგიჟებს. უჰ, როგორ მშია! ბევრი ატამი ვჭამე, მაგრამ შიმშილი არ მომიკლა. სად დავიბანოთ, დე?

— ქვევით, ცისტერნასთან ჩადით, იქ დაიბანეთ, რუთი და უინფილდიც იქ არიან. — კაცები ისევ გავიდნენ.

— შარონ, — ბრძანების კილოთი უთხრა დედამ, — ან გარეთ დაჯექი, ან ლეიბზე. ეგ ყუთი უნდა დავამტვრიო.

გოგონამ მუცელი ხელებით აიწია, წამოდგა, ლეიბთან მივიდა და დაჯდა. რუთი და უინფილდი ფეხაკრეფით შევიდნენ, ცდილობდნენ, ჩუმად ყოფილიყვნენ, რომ ყურადღება არ მიექციათ. დედამ ბავშვებს გადახედა.

— მგონი, გიხარიათ, რო ფარანი ბჟუტავს და კარგად არ ჩანხართ, — უთხრა დედამ და უინფილდს თავზე ხელი გადაუსვა — დასველდით, მაგრამ არ დაიბანეთ, არა?

— საპონი არ იყო, — დაიწუწუნა უინფილდმა.

— ხო, დღეს ვერ ვიყიდე, იქნებ ხვალ მოვახერხო, — დედა ღუმელთან დაბრუნდა, თეფშები გამოაწყო და საჭმლის განაწილებას შეუდგა. თითოს ორი კოტლეტი, ერთი დიდი კარტოფილი და სამი თხელი ნაჭერი პური. ტაფიდან ხორცი რომ ამოაწყო, თეფშებზე ყველას ცოტ-ცოტა ცხიმი დაუსხა. კაცები დაბრუნდნენ. სახეებიდან წყალი წურწურით ჩამოსდიოდათ, სველი თმა ულაპლაპებდათ.

— მიმიშვით! — დაიძახა ტომმა.

თეფშები აიღეს. უხმოდ, ხარბად ჭამდნენ, პურის ნაჭერს დარჩენილ ცხიმში აგებდნენ და თეფშებზე ნამცეცებსაც კი არ ტოვებდნენ. ბავშვები კუთხეში მიყუჟულიყვნენ. თეფშები ია-

ტაკზე დაედგათ და პატარა ცხოველებივით მისხდომოდნენ. ტომმა ბოლო ლუკმა ჩაყლაპა.

— დე, აღარ არი?

— არა, სულ ესაა, ერთი დოლარი იშოვეთ და ერთი დოლარის იყო.

— მართლა?

— აქ მეტს გვახდევინებენ. როგორც კი შევძლებთ, ქალაქში უნდა წავიდეთ.

— ვერ გავძეხი, — თქვა ტომმა.

— არა უშავს, ხვალ მთელი დღე იმუშავებთ და საღამოს ბევრი საჭმელი გვექნება.

ელმა პირი სახელოთი მოიწმინდა.

— წავალ გავივლი, — თქვა მან.

— დამიცადე, მეც მოვდივარ. — გარეთ გავიდნენ. ბნელოდა. ტომი ძმასთან ახლოს მივიდა.

— ჩემთან ერთად წამოსვლა არ გინდა, არა?

— არა, ხო გითხარი, აქაურობას შემოვივლი.

— კარგი, — თქვა ტომმა. შებრუნდა და ქუჩას ქვევით დაუყვა. სახლებიდან გამოსული კვამლი მიწასთან ახლოს ტრიალებდა. ფარნის შუქზე ქუჩაში კარებისა და ფანჯრების სურათები იხატებოდა. ვიღაცები ღია კარებთან ჩამომსხდარიყვნენ და სიბნელეში იცქირებოდნენ. ტომმა რომ ჩაიარა, თავები მისკენ მიატრიალეს და თვალი გააყოლეს. ქუჩის ბოლოდან გზა მომკილ ყანაზე გადიოდა. აქა-იქ ვარსკვლავების შუქით განათებული თივის ბულულები მოჩანდა. ნამგალა მთვარე დაბლა დაშვებულიყო, ალესილი პირი დასავლეთისკენ მიემართა, „ირმის ნახტომი“ თავს გრძელი ღრუბელივით შემოვლებოდა. ტომი მტვრიან გზაზე მსუბუქად მიაბიჯებდა. მისი ნაფეხურები ყვითელ ნამკალს შავ ლაქებს ამჩნევდა. ხე-

ლები ჯიბეებში ჩაიწყო და მთავარი შესასვლელისკენ გაემართა. გზას გასწვრივ მიწაყრილი მიჰყვებოდა. სარწყავ არხში წყალი სარეველებს თავს აღწევდა და ჩხრიალით მიედინებოდა. ტომი მიწაყრილზე ავიდა და წყალს გადახედა. ჩაშავებულ დინებას ვარსკვლავების წაგრძელებული ანარეკლი თან მიჰყვებოდა. წინ, ფედერალურ გზატკეცილზე, მანქანები დაქროდნენ. ტომმა გეზი გზატკეცილისკენ აიღო, ფარების ციმციმი შეცდომას არ დააშვებინებდა, სწორ გზაზე იდგა. ვარსკვლავების შუქზე მავთულშემოვლებული მაღალი ჭიშკარი გამოჩნდა. გზის პირას რაღაც ფიგურა ამოძრავდა.

— ვინ არის? — დაიძახა ხმამ.

ტომი გაჩერდა. გაიტრუნა.

— ვინ ხარ? — კაცი ტომისკენ წავიდა, რომ მიუახლოვდა, ტომმა შენიშნა, რომ შეიარაღებული იყო. კაცმა სახეზე ფარანი მიანათა.

— საით მიდიხარ?

— გასეირნება მინდოდა, რა, კანონით იკრძალება?

— სადმე სხვაგან გაისეირნე.

— აქედან ვერ გავალ?

— ამაღამ ვერ გახვალ. უკან გაბრუნდები, თუ დავუსტვინო და დახმარება გამოვიძახო?

— ჯანდაბა, — თქვა ტომმა, — ისე, უბრალოდ მივდიოდი. არ შეიძლება და ნუ შეიძლება, უკან გავბრუნდები.

ფიგურამ შვება იგრძნო, ფარანი ჩაქრა.

— მე შენთვის გეუბნები, შეიძლება იმ ცოფიანმა მოპიკეტეებმა დაგიჭირონ.

— ვინ მოპიკეტეებმა?

— წყეულმა წითლებმა.

— რას ამბობ, არაფერი ვიცოდი.

— აქ რო ჩამოხვედით, მაშინ ხო დაინახე.

— დავინახე, რო ხალხი იყო მოგროვილი, მაგრამ იმდენი პოლიციელები იყვნენ, რო მე ავარია მეგონა.

— ჯობია, უკან დაბრუნდე.

— კარგი, წავედი, მისტერ.

ტომი შეტრიალდა. წყნარად მიდიოდა. დაახლოებით ასი იარდი რომ გაიარა, შეჩერდა, სმენა დაძაბა. სარწყავი არხის ნაპირიდან ენოტის ცახცახა ხმა ისმოდა, სადღაც შორს დაბმული ძაღლი ყმუოდა. ტომი გზის პირას ჩამოჯდა, ხმებს მიაყურადა. ბინდის უფეხურები ერთმანეთს ჟივჟივით უხმობდნენ: ცხოველები ნამკალზე ფრთხილად, უჩუმრად მოძრაობდნენ. ჰორიზონტს გახედა. საფრთხე არსაიდან ჩანდა. წამოდგა და გზიდან მარჯვნივ, პირდაპირ მომკილ ყანაზე გადაუხვია, მოხრილი მიდიოდა, თივის ბულულებზე მაღლა თავს არ სწევდა. დროდადრო ჩერდებოდა და ხმებს ყურს უგდებდა. როგორც იქნა, მავთულის ღობემდე მიაღწია, ღობის გვერდით მიწაზე გაწვა, თავი ბოლო გრეხილის ქვეშ გაჰყო, მავთული ხელებით ზევით ასწია, ფეხებით მიწას რამდენჯერმე დაეყრდნო და ტანი მავთულის ქვეშ გადაიტანა. ის იყო, უნდა წამომდგარიყო, რომ გზატკეცილზე. კაცები გამოჩნდნენ. ტომმა შეიცადა. კაცები უკვე შორს იყვნენ, რომ წამოდგა და უკან აედევნა. გზის გასწვრივ ბანაკები არ ჩანდა. მანქანები კანტიკუნტად მოძრაობდნენ. მინდორს ნაკადული კვეთდა. გზა ბეტონის ხიდზე გადადიოდა. ტომმა ხიდიდან გადაიხედა. ღრმა ხეობის ფსკერზე კარავი გაეშალათ, კარავს ფარანი ანათებდა. ცოტა ხანს უცქერდა. ბრეზენტის კედლებზე ჩრდილები მოძრაობდნენ. ტომი ღობეზე გადავიდა და ქვევით ბუჩქნარისა და ჯუჯა ტირიფების გავლით დაეშვა. ფსკერზე, პატარა ნა-

კადულთან ახლოს, ბილიკი შენიშნა. კარვის წინ. ყუთზე კაცი იჯდა.

— საღამო მშვიდობისა, — მიესალმა ტომი.

— ვინ ხარ?

— მე? უბრალოდ, აქეთ მივდიოდი.

— აქ იცნობ ვინმეს?

— არა, ხო გითხარი, გავლით ვარ.

კარვიდან ვიღაცამ თავი გამოყო.

— რა ამბავია? — იკითხა ხმამ.

— კეისი! — დაიყვირა ტომმა, — ღმერთო, კეისი! აქ რას აკეთებ?

— ღმერთო, ეს ხო ტომ ჯოუდია! ტომი, შემოდი ტომი, შემოდი.

— იცნობ? — ჰკითხა კაცმა.

— ვიცნობ რომელია, დიდი ხანია ვიცნობ. დასავლეთში ტომთან ერთად ჩამოვედი, მოდი, ტომ, — მკლავში ხელი ჩაავლო და კარავში შეიყვანა.

მიწაზე რამდენიმე კაცი იჯდა. შუაში ფარანი ენთო. მათ ტომი ეჭვის თვალით შეათვალიერეს. პირქუშად მომზირალმა გარუჯულმა კაცმა ტომს ხელი გაუწოდა.

— მოხარული ვარ, — თქვა მან, — გავიგონე როგორ შეგეგებათ კეისი. კეისი, ეს ის კაცია, შენ რო გვიყვებოდი?

— ის არი, ის. ღმერთო შენები სად არიან? აქ რას აკეთებ?

— გავიგეთ, რო აქეთ სამუშაო იყო, ჩამოვედით, გზაზე შტატის რამდენიმე პოლიციელი დაგვხვდა და პირდაპირ ფერმაში მიგვიყვანეს. მთელი დღე ატამს ვკრეფდით, რო ჩამოვედით კაცები ყვიროდნენ, მაგრამ რატო, არ ვიცი. ხოდა, წამოვედი, რო გამეგო, რა ხდება. შენ როგორ გაჩნდი აქ, კეისი?

მქადაგებელი წინ გადაიხარა და ფარნის ყვითელი შუქი მაღალ ფერმკრთალ შუბლზე დაეცა.

— ციხე ძაან უცნაური ადგილია, — თქვა მან, — მე ის კაცი ვარ, ქრისტესავით უდაბნოში რო მივდიოდი კითხვებზე პასუხი რო გამეცა. ზოგჯერ მართლა ვპოულობდი პასუხს, მაგრამ ციხე აღმოჩნდა ის ადგილი, სადაც თვალი სრულად ამეხილა, — ცოცხალი, მხიარული თვალებით იცქირებოდა. — უშველებელი საკანი სუ ხალხით სავსე. ერთი მიდიოდა და მეორე მოდიოდა. მე კიდე ყველას ველაპარაკებოდი.

— აბა, რას იზამდი, — უთხრა ტომმა, — ეგ არი შენი საქმე. სახრჩობელაზე რო აეყვანეთ, ალბათ ერთი-ორ სიტყვას ჯალათსაც ეტყოდი. ეგეთი მოლაპარაკე სხვა არც მინახავს.

კარავში შეკრებილებმა გაიცინეს. ჩამომხმარმა პატარა კაცმა მუხლზე ხელი დაირტყა.

— გაუჩერებლად ლაპარაკობს, — თქვა მან, — და ხალხსაც მოსწონს.

— მქადაგებელი იყო. გითხრათ?

— კი, გვითხრა.

კეისიმ გაიღიმა.

— რაღაცების გააზრება დავიწყე, — განაგრძო მან, — იქ ზოგი ლოთი იყო, ზოგი ქურდი, მაგრამ ყველაზე მეტი ქურდობაზე იჯდა. რას იპარავდნენ იცი? იმას, რაც ყველაზე ძალიან სჭირდებოდათ და სხვა გზით ვერანაირად ვერ იღებდნენ, გაიგე?

— ვერა, — უპასუხა ტომმა.

— კარგი ბიჭები იყვნენ. ცუდ ბიჭებად იმან აქცია, რაც სჭირდებოდათ და რასაც სხვანაირად ვერ იღებდნენ და თანდათან მივხვდი, რო ყველაფრის სათავე გაჭირვებაშია ჩამალული, მაგრამ კარგად მაინც ვერ ვიაზრებდი. ერთ დღესაც

ამჟავებული ლობიო ჩამოგვირიგეს. ერთმა კაცმა ყვირილი ატეხა, მაგრამ ყური არავინ შეიბერტყა. ტიპი არ გაჩერდა, უფრო ხმამაღლა აყვირდა. ზედამხედველმა შემოიხედა და წავიდა. მერე მეორე კაცმა დაიწყო ყვირილი, ბოლოს ყველა ავყევით და ერთ ხმაზე ვყვიროდით, ისეთი აურზაური ატყდა, რო იქაურობა ლამის დაინგრა. და ღვთის მადლით, მერე რაღაც მოხდა. ისე დაფაცურდნენ, რო სუ სირბილ-სირბილით დაგვირიგეს ახალი საჭმელი. ეხლა გაიგე?

— ვერა, — უპასუხა ტომმა.

კეისიმ ნიკაპი ხელებს შორის ჩარგო.

— ვერ აგიხსენი. ალბათ შენ თითონ უნდა მიხვიდე იქამდე რო გაიგო. კეპი რა უყავი?

— არ დამიხურავს.

— შენი და როგორ არი?

— ისე გასუქდა, რო ძროხასავით არი. მგონი, ტყუპებს გაა-ჩენს, ლამის ურმით ვატაროთ. მუცელი ხელით უჭირავს.

ჩამომხმარმა კაცმა თქვა:

— გავიფიცეთ. ჩვენ გაფიცულები ვართ.

— ხუთი ცენტი ბევრი არ არი, მაგრამ კაცი საჭმელს შეჭამს.

— რაა? ხუთი ცენტი? — დაიყვირა ჩამომხმარმა, — ხუთ ცენტს გიხდიან?

— ჰო, დღეს დოლარ ნახევარი ვიშოვეთ.

კარავში სიჩუმე ჩამოწვა. კეისი გადაწეული კარვის კალ-თიდან წყვდიადს მიშტერებოდა.

— მომხედე, ტომ, — თქვა ბოლოს, — ჩვენ აქ სამუშაოდ ჩა-მოვედით. გვითხრეს, რო ხუთ ცენტს გადაგვიხდიდნენ. ძაან ბევრნი ვიყავით და რო მივედით, ორ ნახევარზე მეტს ვერ გა-დავიხდითო. მაგ ფულით ერთი კაციც ვერ შეჭამს და ბავშვები თუ მშიერი ჰყავს, ისევ მშიერი ეყოლება. უარი ვუთხარით და

გამოგვყარეს. რაც მსოფლიოში პოლიციელი იყო, ყველა აქ მოგროვდა. თქვენ ეხლა ხუთ ცენტს გიხდიან. როგორ გგონია, ამ გაფიცვას რო ჩაახშობენ, რამდენს გადაგიხდიან?

— არ ვიცი, ეხლა ხუთს გვიხდიან.

— მოიხედე აქეთ, ტომ, — განაგრძო კეისიმ, — ერთად დაბანაკება გვინდოდა, დაგვესიენ და ღორებივით აქეთ-იქით გაგვრეკეს. იმდენი გვირტყეს, რო ფეხზე ძლივს ვდგავართ. მოხვედით და შიგ თქვენც ღორებივით შეგრეკეს. დიდხანს ვერ გავძლებთ. ზოგს ორი დღეა ლუკმა არ ჩაუდია პირში. ამაღამ უკან დაბრუნდები?

— უნდა დავბრუნდე.

— ტომ, ყველას უთხარი, აქ რაც ხდება. უთხარი, ტომ, რო ვშიმშილობთ, უთხარი, რო თავის ხელით ჩაიცემენ ზურგში დანას, იმიტო რო, როგორც კი ჩვენ გაგვისწორდებიან, ეგ თქვენი ხუთი ცენტი ძროხის ფუნასავით ტყაპანით ჩამოვარდება ორნახევრამდე.

— ვეტყვი, — უთხრა ტომმა, — მაგრამ როგორ, არ ვიცი. ამდენი თოფიანი კაცი ჯერ არ მინახავს. ალბათ ლაპარაკიც აკრძალულია. ხალხი გარეთ არ გამოდის, ვინმე თუ დაინახე, თავს იქით სწევს და გამარჯობასაც არ გეუბნება.

— ეცადე, ტომი, ეცადე. ჩვენ რო აქედან წავალთ, იმ წუთიდან, ორნახევრამდე ჩამოგიკლებენ. და ხო იცი, ეგ რას ნიშნავს. დოლარი რო შეაგროვო, ერთი ტონა ატამი უნდა დაკრიფო. — თავი ჩაქინდრა, — არა, ესე როგორ შეიძლება, ორნახევრად საჭმელს ვერ შეჭამ.

— ვეცდები, რო ყველას ვუთხრა.

— დედაშენი როგორაა?

— კარგად, ის მთავრობის ბანაკი მოსწონდა, შხაპი, ცხელი წყალი.

— ხო, გამიგია მაგ ბანაკზე.

— კარგი იყო, მაგრამ სამუშაო ვერ ვიშოვეთ და წამოვედით.

— მეც მინდა, იქ რო მოვხვდე, მაინტერესებს, ამბობენ, პოლიციელები არ არიანო.

— იქ პოლიცია თითონ ხალხია.

კეისი აღტაცებული უცქერდა.

— და ქურდობა, ჩხუბი, ლოთობა არ არი?

— არა, — უპასუხა ტომმა.

— კაცი თუ ცუდად იქცევა, რას აკეთებენ?

— ბანაკიდან აგდებენ.

— ეგრე ხშირად ხდება?

— ერთი თვე ვიყავი და მარტო ერთხელ მოხდა.

კეისის თვალები აუელვარდა. კაცებისკენ შეტრიალდა.

— ხო გესმით? მე რას ვამბობდი? — წამოიძახა მან, — პოლიცია უფრო მეტ არეულობას იწვევს, ვიდრე აჩერებს. ტომ, წადი და ხალხს უთხარი, გამოვიდნენ თავისი კარვებიდან, შემოგვიერთდნენ. ერთი-ორ დღეში ატამი კარგად დამწიფდება, სწორედ მაშინ არი ბრძოლა საჭირო. უთხარი, ტომ, აუხსენი.

— ვეტყვი, მაგრამ არ წამოვლენ. ხუთ ცენტს იღებენ და არაფრის გულისთვის დათმობენ.

— ვეღარ აიღებენ, როგორც კი გაგვყრიან.

— მაგას არ ჭამენ. ხუთს იღებენ და მეტი არაფერი აინტერესებთ.

— მაინც უთხარი, ტომ.

— მამაჩემს მაგას ვერ გააგებინებ, — თქვა ტომმა. — რა ჩემი საქმეაო, იტყვის.

— ჰო, მგონი მართალი ხარ, — უიმედოდ თქვა კეისიმ, — ჯერ თავის ტყავზე უნდა გამოსცადოს, რო მიხვდეს.

— მშივრები ვიყავით, — უთხრა ტომმა, — ამ საღამოს ხორცი ვჭამეთ, ცოტა, მაგრამ მაინც... შენ როგორ გგონია, მა თავის ხორცის ნაჭერს სხვისი გულისთვის დათმობს? შარონმა რძე უნდა სვას და დედა შარონის ბავშვს იმის გამო დაღუპავს, რო ჭიშკრის გარეთ რამდენიმე კაცი ყვირის?

— როგორ მინდა, რო გაიგონ, — სევდიანად თქვა კეისიმ, — მიხვდნენ, რო ხორცის ნაჭრის შენარჩუნება მხოლოდ ესე შეიძლება. ღმერთო, როგორ დავიღალე, ზოგჯერ არაფრის თავი აღარ მაქ. ციხეში ერთი კაცი გავიცანი, მე რო ვიჯექი, მაშინ შემოიყვანეს. ამ კაცს კავშირის ჩამოყალიბება უნდოდა და კიდევაც მოახერხა. იმ „სიფხიზლის კომიტეტის“ წევრებმა, ყველგან რო არიან და ვითომ წესრიგს რო ამყარებენ, ხო იცი, იმათ დაშალეს. მერე ვის დახმარებასაც ეს კაცი ცდილობდა, ყველა გადაუდგა, მასთან ერთად გამოჩენის ეშინოდათ. პირდაპირ ეუბნებოდნენ, გაგვეცალე, შენთან ყოფნა საშიშიაო. კაცს გული ეტკინა, იდარდა, მაგრამ თავს მოერია. ყოველთვის ესე იყო და სულ არ მიკვირს. ამბობდა, საფრანგეთის რევოლუციის მეთაურებს თავები დააჭრეს, ესეც ჩვეულებრივი ამბავია, კაცი ესეა მოწყობილი, იმიტო კი არ იქცევა ესე, რო მოსწონს, არამედ იმიტო, რო სისხლში აქ და სხვანაირად არ შეუძლიაო. ნახეთ, ვაშინგტონს რა უქნეს, კაცი რევოლუციისთვის იბრძოდა და მერე იმ ნაბიჭვრებმა შეუტიესო. ლინკოლნსაც იგივე დაემართა, უნდოდათ, რო მოეკლათ. ეს ყველაფერი ბუნებრია, ისეთივე ბუნებრივი, როგორც ციდან წვიმის წამოსვლაო.

— ჰოო, — თქვა ტომმა, — მაგაში კარგი არაფერია.

— არაფერი. კიდე რას ამბობდა, იცი, ის კაცი? ყველა შემთხვევაში, რაც შეგიძლია, ის უნდა გააკეთოო, ოღონდ ის უნდა იცოდე, რო ჩინ ერთი პატარა ნაბიჯი მაინც გადადგიო, იქ-

ნებ ფეხი აგიცდეს და ოდნავ უკანაც დაიხიო, მაგრამ მაინც წინ გადადგმული ნაბიჯი რჩებაო, ამის დამტკიცებას არაფერი უნდა და ეს არი სწორედ, რაც ამართლებს ყველაფერსო, ეს კიდე იმას ნიშნავს, რო დრო ტყუილად არ დაგიკარგავსო.

— ლაპარაკობ და ლაპარაკობ, არ ჩერდები, არა კეისი? ელის მაგალითი ავიღოთ. ეხლაც გოგოების საძებნელადაა გასული, მეტი არაფერი აინტერესებს. ერთი-ორ დღეში აქაც ვიღაცას გაიჩენს. მთელი დღე მაგაზე ფიქრობს და მთელი ღამე მაგით არი დაკავებული. სუ ფეხებზე კიდია, ვინ საით დგამს ნაბიჯს, წინ, უკან თუ გვერდით.

— ეგრეა, ტომ, იმას აკეთებს, რასაც თვლის, რო უნდა გაკეთოს. ჩვენც ეგრე არა ვართ?

კაცმა, გარეთ რომ იჯდა, კარვის კალთა ფართოდ გადახსნა, — დასწყევლოს ღმერთმა, რაღაც არ მომწონს, — თქვა მან.

— რა ამბავია? — ჰკითხა კეისიმ.

— არ ვიცი, რაღაც ქეციანი კატასავით ყველაფერი მექავება.

— რა მოგივიდა?

— ვერ ვხვდები, თითქოს რაღაც ხმა მესმის, მივუგდებ ყურს და არაფერი...

— იმიტო რო აფორიაქებული ხარ, — უთხრა ჩამომხმარმა, ფეხზე წამოდგა, გარეთ გავიდა და რამდენიმე წუთში ისევ დაბრუნდა.

— დიდი შავი ღრუბელი მოიწევს, ჭექა-ქუხილს უჩანს პირი. ალბათ მაგან აგაფორიაქა. — ელექტროობამ, — გარეთ კიდევ ერთი კაცი გავიდა.

— ყველა აფორიაქებულია, პოლიციელები გვემუქრებიან, თავპირს დაგალეწავთ და აქედან გაგყრითო. ამდენს რო ვლაპარაკობ, მე მეთაური ვგონივართ, — თქვა კეისიმ.

ჩამომხმარმა კარავში შეიხედა.

— კეისი, ჩააქრე ფარანი და გარეთ გამოდი, რაღაც ხდება.

კეისიმ ფითილს დაუწია, ალი მინელდა, ნაპერწკალი გადმოყარა და ჩაქრა. კეისი გარეთ ხელის ცეცებით გავიდა, ტომი უკან მიჰყვა.

— რა არი? — ხმადაბლა იკითხა კეისიმ.

— არ ვიცი, მოუსმინე

სიჩუმეს ბაყაყების ყიყინი და ჭრიჭინების გამაყრუებელი ჭრიჭინი არღვევდა, მაგრამ საიდანღაც კიდევ სხვა ხმები მოდიოდა — ძლივს გასაგონი ნაბიჯებისა და მიწის კოშტების ფეხქვეშ დაფშვნის ხმა გზის ნაპირიდან, ბუჩქების შრიალი — ნაკადულის მხრიდან.

— ვერც იტყვი დაბეჯითებით, მართლა ისმის თუ არა, ალბათ გვეჩვენება. — გამხნევება სცადა კეისიმ.

— ჩვენ ისეთი გაგიჟებულები ვართ, მართლა შეიძლება მოგვეჩვენოს. ტომ, გესმის რამე?

— მესმის, — თქვა ტომმა, — ჰო, მესმის, მგონი ყველა მხრიდან მოიწევენ, ალყაში გვაქცევენ. აქედან უნდა ავიბარგოთ.

— ხიდის ქვეშ, იქით უნდა წავიდეთ. ეჰ, როგორ მენანება ჩემი კარვის დატოვება.

— წავედით, — თქვა კეისიმ.

ნაკადულის გასწვრივ ფრთხილად მიაბიჯებდნენ. წინ ხიდის თაღი გამოქვაბულივით მოჩანდა. კეისიმ თავი დახარა და თაღის ქვეშ გაიარა, ტომი უკან მიჰყვა. ნაპირიდან ფეხები წყალში უსხლტებოდათ. ოცდაათი ფუტი გაიარეს, მორკალუ-

ლი ჭერიდან სუნთქვა ექოდ უბრუნდებოდათ, მეორე ნაპირზე გადავიდნენ და წელში გაიმართნენ.

და უეცრად მჭახე ხმა:

— აქ არიან! — ორი ელექტროფარნის შუქის სხივი აელვარდა, კაცებს სახეებზე დაეცა და დააბრმავა — ადგილზე გაჩერდით! — ხმა სიბნელიდან გაისმა, — ეს არი ის ნაბიჭვარი, შუბლი რო უპრიალებს.

კეისი ბრმასავით უცქერდა სინათლეს. მძიმედ სუნთქავდა.

— მისმინეთ, — თქვა მან, — არ იცით, რას სჩადიხართ, თქვენ ვიღაცებს ბავშვებს შიმშილით ახოცინებთ.

— მოკეტე, შე ნაბიჭვარო, წითელი ხარ, ხმას როგორ იღებ!

დაბალი ჩაფსკვნილი კაცი სინათლეზე გამოვიდა, ხელში ახალი თეთრი კეტი ეჭირა. კეისიმ გაიმეორა:

— არ იცით, რას აკეთებთ.

ჩაფსკვნილმა კეტი მოიქნია. კეისი დაბარბაცდა, მიწაზე დაეშვა. კიდევ ერთი მოქნევა, საფეთქლის ძვლის მსხვრევის ყრუ ხმა და კეისი გვერდზე, სიბნელისკენ გადაგორდა.

— ღმერთო, ჯორჯ, მგონი მოკალი.

— მიანათე, — თქვა ჯორჯმა. — ახია მაგაზე. — ელექტროფარნის სხივი მიწაზე ამოძრავდა. ცოტა ხანში სხივმა კეისის გადახლეჩილი თავი გაანათა.

ტომი იდგა და მქადაგებელს უცქერდა. ფარნის შუქი ჩაფსკვნილის ფეხებსა და ახალ თეთრ კეტს ანათებდა. ტომის ხმა არ ამოუღია, ისე დაეცა თავს ჩაფსკვნილს. კეტის ხელში ჩაგდება არ გასჭირვებია. მოუქნია, ასცდა, ბეჭში მოარტყა, მეორე გამანადგურებელი დარტყმა თავში და კაცი მოწყვეტით დაეცა, მოქნეული კეტი კიდევ ერთხელ დაეშვა კაცის თავისკენ.

სინათლის სხივები აქეთ-იქით აწყდებოდნენ. ხმაური, გაქცეულების ნაბიჯების ხმა, ბუჩქების ტოტების ლაწალუწი. ტომი პირქვედამხობილ სხეულს დასცქეროდა. და უეცრად დამაბრმავებელი დარტყმა, თითქოს დენმა დაარტყა. წუთიც და ნაკადულის გასწვრივ წელში მოხრილი გარბოდა, მდევარი ეწეოდა, მათ ფეხქვეშ წყალი დგაფუნობდა. ტომი მკვეთრად შებრუნდა, ბუჩქნარში გადავიდა, შხამიანი თუთუბოს უსიერ ბარდებში ჩაწვა და გაიტრუნა, ნაბიჯების ხმა უახლოვდებოდა, სინათლის სხივები ნაკადულის ნაპირს ხაზავდა. ტომმა ბარდები ხოხვით გაიარა. წინ ხეხილის ბაღი იყო, მაგრამ მდევრის ხმა იქაც აღწევდა, წელში მოხრილმა მოხნულ მიწაზე გადაირბინა, მიწის კოშტების ნაფშვენზე ფეხი უსხლტებოდა. წინ, სარწყავი არხის გასწვრივ, მინდორს ჩაშავებული ბუჩქნარი ერტყა. ღობეში გაძვრა, ვაზისა და მოცხარის მწკრივებში გააღწია და აქოშინებული მიწაზე გაწვა. დაბუჟებული სახისა და გატეხილი ცხვირის ტკივილი იგრძნო, სისხლი ნიკაპზე ჩამოსდიოდა. სანამ აზრი დაუბრუნდებოდა, მუცელზე გაუნძრევლად იწვა. შემდეგ არხთან მიხოხდა, გრილი წყლით სახე დაიბანა, თავის ლურჯ პერანგს ბოლო შემოახია, დაასველა და გაგლეჯილ ლოყასა და ცხვირზე მიიდო, ცივი წყალი ნესტარივით მწარედ იჩხვლიტებოდა.

ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შავმა ღრუბელმა გადაუარა. ღამემ მშვიდი ძილი დაიბრუნა.

ტომმა წყალში შეაბიჯა, ფეხქვეშ ფსკერი მაშინვე გამოეცალა, ერთი-ორჯერ ხელი მოიქნია და მეორე ნაპირზე ტანი ძლივს აიტანა. ტანსაცმელი ტანზე ეკვროდა, ფეხსაცმელს ჭყაპაჭყუპი გაჰქონდა. დაჯდა, ფეხსაცმლებიდან წყალი გადმოღვარა, შარვლის ტოტები და პიჯაკი გაწურა.

გზატკეცილის გასწვრივ, არხის ნაპირზე, ელექტროფარნების სხივები ცეკვა-ცეკვით მოძრაობდნენ. ტომმა ფეხსაცმელი ჩაიცვა და მომკილ ყანაზე ფრთხილად გადააბიჯა. ახლა ჭყაპაჭყუპი აღარ ისმოდა, ალღოს დაჰყვა და გეზი მომკილი ყანის მეორე მხარისკენ აიღო, ოთხკუთხა სახლებს დიდი სიფრთხილით მიუახლოვდა, რომელიღაც გუშაგს ხმა მოესმა და დაიყვირა, — ვინ არის! — ტომი მიწაზე გაწვა, ადგილზე გაიყინა. ელექტროფარნის სხივმა თავზე გადაუარა. ჯოუდების სახლის კართან ფეხაკრეფით მივიდა. კარი ჭრიალით გაიღო, დედამ დაიძახა:

— რომელი ხარ?

— ტომი ვარ, დე.

— დაწექი, ტომ ელი ჯერ არ მოსულა.

— ალბათ ვიღაც გოგოსთან არი.

— დაიძინე ფანჯრის ქვეშ დაწექი,

ტომმა მიჩენილი ადგილი მოძებნა, ტანსაცმელი გაიხადა და აკანკალებულმა საბანი წაიფარა. დაბუჟებამ გაუარა, დაგლეჯილი სახე და თავი ტკივილისგან უფეთქავდა. დაახლოებით ერთ საათში ელი დაბრუნდა, ფრთხილად მოძრაობდა, შემთხვევით ფეხი ტომის სველ ტანსაცმელს წამოსდო.

— შშშ! — გააფრთხილა ტომმა.

— გღვიძავს? როგორ დასველდი?

— ჩუ. დილას გეტყვი.

მამამ გვერდი შეინაცვლა და ჰაერი მისი ხვრინვა-ფრუტუნით გაჯერდა.

— გაყინული ხარ, — უთხრა ელმა.

— დაიძინე. დილით მოგიყვები.

შავი ოთახის ფონზე პატარა ოთხკუთხა ფანჯარა ნაცრისფერი ჩანდა.

ტომს ძილი არ ეკარებოდა. დაგლეჯილ სახეზე ნერვებმა სიცოცხლე დაიბრუნეს. ღაწვის ძვლის ფეთქვა გულს უწვრილებდა. დამტვრეული, გასიებული ცხვირის გაუსაძლისი ტკივილისგან აკანკალებდა. იწვა და პატარა ოთხკუთხა ფანჯარაში იცქირებოდა. ვარსკვლავები ქვევით ეშვებოდნენ და უჩინარდებოდნენ. დროგამოშვებით მის ყურს ღამის გუშაგის ნაბიჯების ხმა სწვდებოდა.

როგორც იქნა, სადღაც შორს, მამლებმა იყივლეს. თანდათან ფანჯარას სინათლე შეემატა. ტომმა სახე თითებით მოისინჯა. მისმა მოძრაობამ ელი შეაფხიზლა და კვნესა აღმოხდა.

ბოლოს და ბოლოს, გათენდა. მიჯრით ჩამწკრივებული სახლებიდან ფიჩხის მტვრევისა და ტაფების ჩხაკუნის ხმა გაისმა. რუხ ბინდბუნდში დედა უეცრად ლეიბზე წამოჯდა, ტომი მის ძილისგან შეშუპებულ სახეს ხედავდა. დედა ერთხანს ფანჯარაში იცქირებოდა, მერე საბანი გადაიძრო და ხელით კაბას დასწვდა. ისევ ლეიბზე იჯდა. კაბა თავზე გადაიცვა, მკლავები ასწია, წელამდე ჩაიწია, წამოდგა და კაბა კოჭებამდე ჩაიქაჩა. ფეხშიშველი ფანჯარასთან მივიდა. სანამ დილის სინათლეს უცქერდა, მარჯვე თითებით ნაწნავი დაიშალა, თმა გაისწორა, ისევ დაიწნა და აიწია, შემდეგ ხელები ერთმანეთს გადააჭდო და ცოტა ხანს უმოძრაოდ იდგა. სახეზე ფანჯრიდან შემოჭრილი დილის სინათლე ეცემოდა. შებრუნდა, ლეიბებს შორის ფრთხილად გაიარა, ფარანი მოძებნა. თავსახური ახადა და ფითილს მოუკიდა. მამა მისკენ გადატრიალდა და ნახევრად დახუჭული თვალით შეხედა.

— მა, ფული კიდე გაქ? — ჰკითხა დედამ.

— მაქ, სამოცი ცენტის ქვითარია გამოწერილი.

— ადექი და ცოტა ცხიმი და ფქვილი იყიდე.

— იქნებ მაღაზია ღია არც არი, — მთქნარებით უპასუხა მამამ

— არ არი და გააღებინე. რამე უნდა ჭამოთ, სამუშაოდ გადიხართ.

მამა გაიზმორა. სამუშაო შარვალი და გახუნებული პიჯაკი ჩაიცვა. გარეთ მთქნარებით გავიდა და მაღაზიისკენ უხალისოდ გაემართა. ბავშვებმა გაიღვიძეს და საბნებიდან წრუწუნებივით იჭვრიტებოდნენ. ოთახი უღიმღამო დღის შუქით აივსო. დედამ ლეიბებს გადახედა, ძია ჯონი ფხიზლად იყო. ელს ღრმად ეძინა. თვალებით ტომი მოძებნა, წამით შეათვალიერა და მისი ლეიბისკენ სწრაფი ნაბიჯით წავიდა. ტომს ჩალურჯებული სახე ერთიანად შეშუპებოდა. ტუჩებზე და ნიკაპზე სისხლი შეხმობოდა, ლოყაზე ჭრილობის კიდეები დაჭიმვოდა.

— ტომ, რა დაგემართა? — ჩურჩულით ჰკითხა დედამ.

— ჩუ, ხმამაღლა ნუ ლაპარაკობ, — ჩხუბი მომივიდა.

— ტომ!

— თავი ვერ შევიკავე, დე.

დედამ ტომის გვერდით ჩაიმუხლა.

— შარში გაები?

ტომი კარგა ხანს არ პასუხობდა.

— ჰო, სამუშაოდ ვერ გავალ. უნდა დავიმალო.

ბავშვები ოთხზე დაყრდნობილები მიხოხდნენ, ტომს თვალს არ აცილებდნენ.

— დე, რა მოუვიდა?

— ჩუმად წადით, დაიბანეთ.

— საპონი არ გვაქ.

— მარტო წყლით დაიბანეთ.

— ტომს რა დაემართა?

— ჩუმად იყავით და კრინტი არავისთან დაძრათ.

ბავშვებმა უკან დაიხიეს და მოპირდაპირე კედელთან ჩაცუცქდნენ. იცოდნენ, რომ იქ ნაკლებ ყურადღებას მიიქცევდნენ.

— სერიოზულია?

— ცხვირი მაქ გატეხილი.

— მე საქმეზე გეკითხები.

— ხო, სერიოზულია.

ელმა თვალები გაახილა და ტომს შეხედა.

— ღმერთო, ტომ, რაში გაები?

— რა ამბავია? — იკითხა ძია ჯონმა.

ოთახში მამამ შეაბოტა.

— მართალი იყავი, ღია იყო, — ღუმლის გვერდით, იატაკზე, ფქვილით სავსე პატარა პარკი და ერთი შეკვრა ცხიმი დააწყო.

— რა მოხდა? — იკითხა მან.

ტომი წამით იდაყვს დაეყრდნო, მაგრამ მაშინვე უკან გადაწვა.

— უჰ, რა სუსტად ვარ. ერთხელ ვიტყვი და ყველა აქ მინდა რო იყოთ, ბავშვები?

დედამ კედელთან მიყუჟულ ბავშვებს შეხედა.

— წადით, პირი დაიბანეთ

— არა, იყვნენ. უნდა იცოდნენ, თორე სადმე წამოაყრანტალებენ.

— რა ჯანდაბა ხდება? — იკითხა მამამ.

— ეხლა მოგიყვებით. წუხელ გარეთ გავედი, რო გამეგო, რა ხმაური იყო და შემთხვევით კეისის შევხვდი.

— მქადაგებელს?

— ჰო, მა, მქადაგებელს, მაგრამ ეხლა გაფიცვას მეთაურობდა. ასაყვანად მოვიდნენ.

— ვინ მოვიდა ასაყვანად?

— არ ვიცი, ვიღაც ტიპები. ალბათ ისინი, იმ ღამეს ბანაკთან რო გაგვაჩერეს. ხელკეტებით იყვნენ. — შეჩერდა. — ჩემ თვალწინ მოკლეს, თავი გაუხეთქეს. იქვე ვიდექი, სიმწრისგან გონება ამერია, იმ ტიპს კეტი გამოვტაცე. — ყვებოდა და ყველაფერი ახლიდან დაინახა, ღამე, სიბნელე, ელექტროფარნები, — და... და კაცს თავში ჩავცხე.

დედამ ვეღარ ამოისუნთქა. მამა გაშეშდა.

— მოკალი? — ხმადაბლა ჰკითხა მან.

— არ ვიცი, გიჟივით ვიყავი, მაგრამ მინდოდა, რო მომეკლა.

— დაგინახეს? — ჰკითხა დედამ.

— არ ვიცი, არ ვიცი. ალბათ, ფარნებს გვანათებდნენ.

წამით დედამ ტომს თვალებში შეხედა. მერე მამას მიმართა:

— მა, ყუთები დაამტვრიე. საუზმე უნდა მოვამზადო, სამუშაოდ უნდა წახვიდეთ. რუთ, უინფილდ, ვინმე რამეს თუ გკითხავთ, ტომი ავადაა. გაიგეთ? რამეს თუ იტყვით, დაიჭერენ და ციხეში ჩასვამენ. გესმით?

— გვესმის, დე.

— ჯონ, ყურადღება მიაქციე, არ გაუშვა რო ვინმეს დაელაპარაკონ.

მამამ ყუთები დაამტვრია და ცოტა ხანში დედამ ყუთები, რომელშიც ადრე ნივთებს ინახავდნენ. ცეცხლს შეუკეთა. მერე ცომი მოზილა, ყავადანი ცეცხლზე შემოდგა. ხმელ ფიცრებს ცეცხლი მალე მოედო და ალი ბრიალით აიჭრა საკვამურისკენ.

მამა ყუთების მტვრევას მორჩა და ტომისკენ წავიდა.

— კეისი კარგი კაცი იყო რატო ჩაერთო ეგეთ საქმეში?

— ისიც ჩვენსავით სამუშაოდ იყო ჩამოსული, ხუთ ცენტს იყვნენ დაპირებული, — ტომს სახე ჩამოსტიროდა.

— ჩვენც ეგრე ვმუშაობთ.

— ჰო, მაგრამ ჩვენ ვმუშაობდით, ისინი კიდე გაფიცულები იყვნენ. იმათ უთხრეს, ორ ნახევარ ცენტს გადაგიხდითო.

— ორ ნახევარს? მაგით ხო საჭმელს ვერ შეჭამ,

— ვიცი, — დაღლილი ხმით თქვა ტომმა, — მაგიტომაც გაიფიცნენ. მოკლედ, გაფიცვა გუშინ ჩაახშეს. დღეიდან ჩვენც ორ ნახევარს გადაგვიხდიან.

— რატო, ეგ ნაბიჭრები.

— ეგრეა, მა, ეგრე. კეისი კარგი კაცი იყო და კარგ კაცად დარჩება, დასწყევლის ღმერთი! იმ სურათს თავიდან ვერ ვიგდებ, იქ იწვა, თავის ძვლები და ტვინი ერთმანეთში ჰქონდა აზელილი, სისხლი შადრევანივით ასხამდა, ღმერთო! — სახეზე ხელები აიფარა ტომმა.

— რა ვქნათ? — იკითხა ძია ჯონმა.

ელი ფეხზე წამოდგა.

— მე ვიცი, რაც უნდა გავაკეთო. აქედან წავალ და მორჩა.

— არა, ელ, ვერ წახვალ, ოჯახს ჭირდები, აქედან მე წავალ, როგორც კი უკეთ გავხდები. ჩემ გამო ეხლა ყველა საფრთხეში ხართ.

დედა ღუმელთან იდგა და საუზმეს ამზადებდა, თავი ნახევრად შეებრუნებინა, რომ ლაპარაკი უკეთ მოესმინა, ტაფაში ცხიმი ჩადო და როცა ცხიმი აშიშხინდა, კოვზით ცომის გუნდები ჩააწყო.

ტომმა განაგრძო:

— უნდა დარჩე. ელ, სატვირთოს შენ გარდა სხვა ვინ მიხედავს.

— აღარ მინდა, მომბეზრდა.

— მეტი გზა არ არი. ეს შენი ოჯახია, შენ უნდა დაეხმარო. მე ყველას საფრთხეში გაგდებთ.

ელი გაბრაზებული ბურტყუნებდა:

— გარაჟში მინდა მუშაობა, რატო არ მანებებთ თავს.

— იმუშავებ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, — უთხრა ტომმა და მზერა შარონზე გადაიტანა. შარონი ლეიბზე იწვა, თვალები გაფართოებოდა. — ნუ გეშინია, — გასძახა ტომმა, — ნუ გეშინია. დღეს რძეს გიყიდით, — შარონმა თვალები დაახამხამა და ტომი უპასუხოდ დატოვა.

— უნდა ვიცოდეთ, ტომ, მოკალი ის კაცი?

— არ ვიცი. ბნელოდა. ვიღაცამ თავში ჩამცხო, მაგრამ იმედი მაქ, რო ჩაძაღლდა.

— ტომ! — დაიყვირა დედამ, — ეგრე ნუ ლაპარაკობ.

ქუჩიდან მანქანების ნელი მოძრაობის ხმა ისმოდა. მამა ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა.

— აუჰ, რამდენი ახალი ხალხი მოვიდა, — თქვა მან.

— ესე იგი, გაფიცვა ჩაახშეს. ეხლა თქვენც ორ ნახევარს გადაგიხდიან.

— დღე და ღამე რო იმუშავო, მაგით საჭმელს მაინც ვერ შეჭამ.

— ვიცი, — თქვა ტომმა, — ჩამოყრილი ატამი ჭამეთ, ცოტა გაგამაგრებთ.

დედამ ცომი გადააბრუნა და ყავას მოურია.

— მისმინეთ, — თქვა მან, — დღეს დაფქვილ სიმინდს ვიყიდი, საღამოს ფაფას შევჭამთ და როგორც კი საწვავის ყიდვას

შევძლებთ, აქედან მივდივართ, საშინელი ადგილია. და აქ ტომის მარტო დატოვებას არ ვაპირებ.

— არა, დე, გითხარი, საშიშია-მეთქი.

დედამ ნიკაპი ასწია.

— ესე მოვიქცეთ. ეხლა მოდით, ჭამეთ და სამუშაოდ წადით. თეფშებს დავრეცხავ და მეც მოვალ, ცოტა ფული უნდა ვიშოვოთ.

კვერები ისეთი ცხელი იყო, რომ პირში შიშხინებდა. ყავა დიდი ყლუპებით დალიეს და კიდევ დაისხეს.

ძია ჯონმა თავი ჩაქინდრა.

— ესე ადვილად ვერ გამოვძვრებით ამ ყველაფრიდან. მგონი, ჩემი ცოდვების გამო ვისჯებით.

— უჰ, მოკეტე რა! — დაიყვირა მამამ, — ეხლა შენი ცოდვების დროა? ადექი, სამუშაოდ წავიდეთ, ბავშვებო, თქვენც უნდა მოგვეხმაროთ. დედა მართალია, აქაურობას მალე უნდა გავეცალოთ.

რომ გავიდნენ, დედამ ტომს ფაფა და ყავა მიუტანა.

— ცოტა ჭამე. ტომ.

— არ შემიძლია, დე. ყველაფერი მტკივა, ვერ ვღეჭავ.

— ეცადე.

— არა, არ შემიძლია.

დედა ლეიბის კიდეზე ჩამოუჯდა.

— ტომ, ყველაფერი მომიყევი, მინდა, რო გავიგო, რა ხდება, მინდა, რო სწორად მესმოდეს. კეისი რას აკეთებდა? რატო მოკლეს?

— არაფერს, ფარნის შუქზე იდგა.

— არ გახსოვს, რას ამბობდა?

— მახსოვს. რა უფლება გაქვთ, ხალხს რო აშიმშილებთო. იმ ჩაფსკვნილმა კაცმა წითელი ნაბიჭვარი ხარო, უღრიალა.

კეისი იდგა და იმეორებდა, არ იცით, რას სჩადიხართო, მერე იმ ტიპმა კეტი მოუქნია.

დედამ თვალები დახარა და ხელები ერთმანეთს მოუჭირა.

— არ იცით, რას სჩადიხართო, არა?

— ჰო.

— ნეტა ეხლა ბებო ისმენდეს,

— დე, რას ჩავდიოდი, მართლა არ ვიცოდი. რო სუნთქავ, ხო არ ფიქრობ, ვსუნთქავო. მეც ზუსტად ეგრე დამემართა.

— კარგი იქნებოდა, რო არ დაგმართნოდა, საერთოდ იქ რო არ ყოფილიყავი, მაგრამ სხვანაირად ვერ მოიქცეოდი. არ გადანაშაულებ, — ღუმელთან მივიდა. ტილო თბილ წყალში ჩაასველა და ტომს მიაწოდა, — სახეზე დაიდე.

ტომმა თბილი ტილო სახეზე დაიფინა და ტკივილისგან შეკრთა.

— დე, ამაღამ მივდივარ. ჩემს ოჯახს საფრთხეში ვერ ჩავაგდებ.

დედას გაბრაზება დაეტყო.

— ტომ, მე ბევრი რამე არ მესმის, მაგრამ შენი წასვლით რო არაფერი გვეშველება, ეგ ვიცი. პირიქით, სუ დავიღუპებით. — და განაგრძო, — იყო დრო, როცა მიწაზე ვცხოვრობდით, ვიცოდით ჩვენი ნაკვეთის საზღვარი სად გადიოდა. მოხუცები კვდებოდნენ, ბავშვები იბადებოდნენ, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ერთ ოჯახად ვრჩებოდით, როგორც ერთი მთელი და მაშინ ყველაფერი ადვილად გასაგები იყო. ეხლა სხვანაირად არის, აღარაფერი მესმის. საით წავიდე, აღარ ვიცი. ერთად აღარაფერი გვაკავებს. ელი სუ წუწუნებს, თავის გზაზე წასვლა უნდა, ძია ჯონი უქმად არი, თავის თავს ძლივს მოათრევს. მამამ თავისი ადგილი დაკარგა, ოჯახის მეთაურობა აღარ შეუძლია. ვიშლებით, ტომ, ჩვენ ოჯახი აღარ გვქვია. შა-

რონი მალე გააჩენს, — ფართოდ თვალებგახელილ გოგონას გადახედა — და ოჯახი აღარ არი. არ ვიცი, რა ვქნა, სუ ვცდილობ, რო გავამხნევო. უინფილდს შეხედე. მაგისგან რა გამოვა? ან რუთი. გაველურდნენ, ცხოველებივით იზრდებიან. ნუ წახვალ, ტომ, დარჩი და დაგვეხმარე.

— კარგი, — დაღლილი ხმით უპასუხა ტომმა, — კარგი, ვიცი, რო უნდა წავიდე. მაგრამ დავრჩები.

დედამ თუნუქის თეფშები ჭურჭლის თასში დარეცხა და დაამშრალა.

— არ გძინებია, ხო?

— არა.

— დაიძინე. შენ სველ ტანსაცმელს ღუმელთან მივფენ, — საქმეს მალე მორჩა, — მივდივარ, კაცებს უნდა დავეხმარო. შარონ, ვინმე თუ მოვა, ეტყვი, რო ტომი ავადაა, გაიგე? არავინ შემოუშვა, — შარონმა თავი დაუქნია, — ნაშუადღევს დავბრუნდები. დაიძინე, ტომ, შეიძლება ამაღამ აქედან წასვლამ მოგვიწიოს. ტომ, ხო არ გაიპარები?

— არა, დე.

— ნამდვილად არ წახვალ?

— არა, დე. აქ ვიქნები.

— კარგი. შარონ, არ დაგავიწყდეს, რაც გითხარი. — დედა გავიდა და კარი კარგად დახურა.

ტომი გაუნძრევლად იწვა. ცოტა ხანში ძილის ტალღამ არაცნობიერისკენ გაიტაცა, ნელ-ნელა უკან დააბრუნა და ისევ გაიტაცა.

— ტომ!

— ჰა, რა არი! — შარონის ვარდს გადახედა, გოგონა აღშფოთებისგან თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა, — რა გინდა?

— კაცი მოკალი, ხო?

— ხო, ნუ ყვირი. გინდა რო ვინმემ გაიგოს?

— არ მადარდებს, გაიგონ! — ყვიროდა შარონი, — იმ ქალმა ყველაფერი ამიხსნა, ცოდვა გვაწევს კისერზე. ამიხსნა ცოდვას რისი გაკეთებაც შეუძლია. ჯანმრთელი ბავშვი როგორ გამიჩნდება? კონი წავიდა, ისე არ ვჭამ, როგორც საჭიროა, რძეს არ ვსვამ, — უკვე ისტერიკულად კიოდა, — შენ კაცი მოკალი! რა შანსი მაქ, რო კარგი ბავშვი გამიჩნდეს? ვიცი, რაც იქნება, მახინჯი გამიჩნდება, მახინჯი! ის ცეკვა მე არასდროს მიცეკვია!

ტომი წამოდგა.

— ჩუ! — უთხრა გოგონას, — ყვირილს გაიგონებენ და ხალხი შემოვა.

— ფეხებზე მკიდია, მახინჯი მეყოლება! ჩახუტებულს სხვასთან არასდროს მიცეკვია, არასდროს!

ტომი ახლოს მივიდა.

— გაჩუმდი.

— არ მომიახლოვდე! კაცი პირველად არ მოგიკლავს! — მღელვარებისგან ერთიანად გაწითლდა. სიტყვებს თავს ძლივს უყრიდა, — შენი დანახვაც კი არ მინდა, — დაწვა და თავზე საბანი წაიფარა.

ტომის ყურამდე დახშული, წყვეტილი ქვითინის ხმა აღწევდა. ტუჩი მოიკვნიტა, იატაკს ჩააშტერდა. მერე მამას ლეიბისკენ წავიდა. ლეიბის კიდის ქვეშ ოცდათვრამეტკალიბრიანი გრძელი, მძიმე „ვინჩესტერი“ იდო. ხელში აიღო, ბერკეტი ჩამოაგდო, სავაზნე შეამოწმა, ჩახმახი შეაყენა, თავის ლეიბთან დაბრუნდა, იარაღის ლულა ქვევით მიმართა და გვერდით დაიდო. შარონის გულამოსკვნილი ქვითინი ახლა სლუკუნში გადაზრდილიყო. ტომი დაწვა, ჩალურჯებულ ლოყაზე საბანი წაიფარა, ცხვირთან პატარა ადგილი დატოვა, რომ ესუნთქა,

როგორც იქნა, მოთავსდა და ღრმად ამოიოხრა, — ღმერთო, ოჰ, ღმერთო!

სახლის წინ მანქანები გაჩერდა, საუბრის ხმა ტომამდე აღწევდა.

— რამდენი კაცი ხართ?

— მარტო ჩვენ, სამნი. რამდენს იხდით?

— ოცდამეხუთე სახლისკენ წადით. ნომერი ზედ აწერია.

— კარგი, რამდენს იხდით?

— ორ ნახევარ ცენტს.

— რატო, დასწყევლოს ღმერთმა მაგით კაცმა როგორ უნდა ჭამოს!

— ორ ნახევარს ვიხდით და მორჩა. სამხრეთიდან ორასი კაცი ჩამოდის, სიხარულით აიღებენ ამ სამუშაოს.

— მაგრამ, მისტერ...

— ან დათანხმდით და ან წადით, თქვენთან კამათის დრო არ მაქ.

— მაგრამ..

— მისმინეთ, ფასებს მე არ ვადგენ. მე უბრალოდ აღწერას ვაწარმოებ. გინდათ? აიღეთ, არადა, მარჯვნივ გაუხვიეთ და გზა განაგრძეთ.

— ოცდამეხუთე სახლი, არა?

— ჰო, ოცდამეხუთე.

ტომი ლეიბზე თვლემდა. ოთახში ფრთხილი მოძრაობის ხმა გაისმა. ტომს გაეღვიძა. ხელი იარაღისკენ გააპარა და კონდახს ჩასჭიდა. სახიდან საბანი გადაიძრო. მის ლეიბთან შარონის ვარდი იდგა.

— რა გინდა? — ჰკითხა ტომმა.

— დაიძინე. — თქვა მან, — დაიძინე, მე კარს ვუყარაულებ, არავის შემოვუშვებ.

ტომი დაკვირვებით უცქერდა, — კარგი, — თქვა ბოლოს და საბანი ისევ წაიფარა.

უკვე ბინდდებოდა, დედა რომ დაბრუნდა. კართან შეჩერდა, დააკაკუნა და ტომს რომ არ შეშინებოდა, თქვა, — მე ვარ. — კარი გააღო და ოთახში შევიდა. ხელში პატარა ტომარა ეჭირა. ტომმა გაიღვიძა. ლეიბზე წამოჯდა ჭრილობას ნაპირები მოეკრა, დაჭიმულობისგან კანი უბზინავდა. მარცხენა თვალი თითქმის დახუჭული ჰქონდა.

— ვინმე ხო არ მოსულა? — იკითხა დედამ.

— არა, არავინ. გავიგე, რო ფასი ჩამოაგდეს.

— საიდან იცი?

— გარეთ ხალხი ლაპარაკობდა და გავიგონე.

შარონმა დედას ცარიელი თვალებით შეხედა. ტომმა შარონისკენ ცერა თითი გაიშვირა.

— ერთი ამბავი ატეხა, დე. გონია, რო ყველა უბედურება მარტო მაგას დაატყდება თავს. თუ ესე ვანერვიულებ, მაშინ უნდა წავიდე.

დედა შარონის ვარდს მიუბრუნდა.

— რა მოგივიდა?

— როგორ მეყოლება ჯანმრთელი ბავშვი, როცა გარშემო ამდენი საშინელება ხდება? — ნაწყენი ხმით თქვა გოგონამ.

— ჩუმად! ეხლავე გაჩუმდი. ვიცი, რასაც განიცდი, ისიც ვიცი, რო ძნელია თავის შეკავება, მაგრამ პირი მოკუმე. ხმა გაკმინდე. — დედა ტომისკენ შებრუნდა, — ნუ აქცევ ყურადღებას, ძალიან ძნელია, ხო მახსოვს, როგორც არის ბავშვს რო ელოდები, გეჩვენება, რო ყველა შენკენ ისვრის, ყველა სიტყვას შეურაცხყოფად იღებ, ყველა შენ წინააღმდეგ გგონია. ნუ აქცევ ყურადღებას. უჭირს, თავს ვერ იკავებს.

— არ მინდა, რო გული ვატკინო.

— მორჩა! აღარ გინდა მაგაზე ლაპარაკი, — ტომარა ცივ ღუმელზე დადო, — დღეს თითქმის არაფერი გვიშოვია. აქედან უნდა წავიდეთ. ტომ, ცოტა შეშა დამიჩეხე, თუმცა არა, შენთვის არ შეიძლება. აი, ეს ყუთი აიღე და დაამტვრიე. სხვებს ვეტყვი, რო გზაზე ფიჩხი მოაგროვონ. ფაფას მოვხარშავ, ცოტა შაქარიც გვაქ.

ტომი ადგა და ბოლო ყუთი ნაფოტებად აქცია, დედამ ყუთის ნაფოტები ღუმლის ერთ ბოლოს დააწყო, ფრთხილად მოუკიდა და ცეცხლის ალი ღუმლის მხოლოდ ერთი ხვრელისკენ მიმართა, წყლით სავსე ჩაიდანი ზედ ხვრელის თავზე შემოდგა. წყალმა მალე დაიწყო თუხთუხი.

— დღეს რამდენი დაკრიფეთ? — ჰკითხა ტომმა.

დედამ ჭიქა სიმინდის ფქვილის ტომარაში ჩაყო.

— არ მინდა მაგაზე ლაპარაკი. დღეს იცი რა გამახსენდა? ხალხი რამდენს ხუმრობდა ხოლმე. რა ცუდია, ტომ, არავინ ხუმრობს. თუ ვინმე გაიხუმრებს, შიგ იმდენი სიმწარეა, რო აღარ გეცინება. დღეს ერთმა თქვა, დეპრესია ნამდვილად დამთავრდა, გზაზე კურდღელი მირბოდა და უკან არავინ მისდევდაო. მეორემ უპასუხა, საქმე მაგაში არ არი, ეხლა კურდღლებს აღარ კლავენ, იჭერენ, წველიან და ისევ უშვებენო. შენ რო ნახე, ის ალბათ არ იწველებოდაო. მითხარი ერთი, ამაში სასაცილო რა არი? ადრე სუ სხვა იყო. გახსოვს, რამდენი ვიცინეთ, ძია ჯონმა ერთი ინდიელი რო მოაქცია და სახლში მიიყვანა? იმ ინდიელმა მთელი ყუთი ლობიო შეუჭამა, ერთი ბოთლი ვისკიც ააწაპნა და გაიქცა. ტომ, ცივ წყალში ტილო დაასველე და სახეზე დაიფინე.

ბნელდებოდა. დედამ ფარანი აანთო და ლურსმანზე დაკიდა, ცეცხლს შეუკეთა. ცხელ წყალში ნელ-ნელა სიმინდის ფქვილი ჩაყარა. — შარონ, შეგიძლია რო მოურიო?

გარედან ფეხების ბრაგაბრუგი გაისმა. კარი ერთბაშად გაიღო და კედელს მიენარცხა.

ოთახში რუთი შევარდა.

— დე! — დაიყვირა მან, — დე! უინფილდს კრუნჩხვები აქ!

— სად არი, ჩქარა მითხარი!

რუთი სულს ძლივს ითქვამდა.

— გათეთრდა და დაეცა, იმდენი ატამი ჭამა, რო მთელი დღე კუჭი ქონდა აშლილი. უცებ დაეცა, სუ თეთრი იყო.

— წამიყვანე! შარონ, ფაფას მიხედე.

გარეთ რუთთან ერთად გავიდა. გოგონა წინ გარბოდა, დედა ქოშინით მისდევდა. ბინდში სამი კაცი გამოჩნდა. ერთერთს უინფილდი ხელში აეყვანა. დედამ კაცებთან მიირბინა. — ჩემია! — დაიყვირა მან, — მომეცით!

— მე წამოვიყვან, მემ.

— არა, არა, მომეცით, — პატარა ბიჭი ხელიდან გამოსტაცა და კაცებს ზურგი აქცია. წამში გონს მოეგო, შებრუნდა და უთხრა, — დიდი მადლობა.

— არაფერს, მემ. პატარა ძალიან სუსტადაა, ალბათ ჭიები ჰყავს.

დედა სახლისკენ სწრაფად მიაბიჯებდა. მის მკლავებში უინფილდი უმოძრაოდ მისვენებულიყო. დედამ სახლში შეიყვანა, დაიხარა და ლეიბზე დააწვინა.

— მითხარი, უინფილდ, რა მოხდა? — ჰკითხა დედამ, — უინფილდმა თვალები გაახილა, თავი გააქნია და ისევ დახუჭა.

— ხო გითხარი, დე, ძაან ბევრი ატამი ჭამა, მთელი დღე კუჭი ქონდა აშლილი, ყოველ წუთში უნდებოდა.

დედამ შუბლზე ხელი დაადო.

— სიცხე არა აქ, მაგრამ ფერმკრთალია, სუ მომჩვარულია.

ტომი ახლოს მივიდა და ფარანი დაანათა.

— გასაგებია, — თქვა მან, — მშიერია, იმიტო დასუსტდა. რძე უნდა ვუყიდოთ და დავალევინოთ. რძიანი ფაფა უნდა ვაჭამოთ.

— უინფილდ, მითხარი, როგორ ხარ.

— თავბრუ მეხვევა, ყველაფერი ტრიალებს.

— ესეთი ფაღარათი არც მინახავს, — მრავალმნიშვნელოვნად თქვა რუთმა.

ოთახში მამა, ძია ჯონი და ელი შევიდნენ. ღუმელთან ფიჩხი და ბუჩქების ტოტები დაყარეს.

— ეხლა რაღა მოხდა? — იკითხა მამამ.

— უინფილდს რძე სჭირდება.

— ღმერთო ძლიერო! ყველას რაღაცა გვჭირდება.

— დღეს რამდენი ვიშოვეთ?

— დოლარი და ორმოცდაორი ცენტი.

— წადი და უინფილს ერთი ქილა რძე უყიდე.

— რა მოუვიდა? რამ გახადა ცუდად?

— რამ, არ ვიცი, მაგრამ ცუდად არი, ჩქარა წადი. — მამა ბუზღუნით გავიდა.

— ფაფას ურევ? — ჰკითხა შარონს დედამ.

— ვურევ, — და პასუხის დასტურად შარონმა ხელი ააჩქარა.

_ ღმერთო! დილიდან ვმუშაობთ და მარტო ფაფა გვაქ საჭმელად? — დაიწუწუნა ელმა.

— ელ, ხო იცი, რო აქედან უნდა წავიდეთ, რაც დარჩება საწვავისთვის შევინახავთ.

— კაი რა, დე, კაცი რო მუშაობს, ხორცი არ უნდა ჭამოს?

— დაწყნარდი და ჩუმად იჯექი, — უთხრა დედამ, — უფრო დიდი რამე გვაქ მოსაგვარებელი და ძალიან კარგად იცი, რასაც ვგულისხმობ.

— ჩემზე ამბობ? — ჰკითხა ტომმა.

— ჯერ ვივახშმოთ და მერე დავილაპარაკოთ, — უპასუხა დედამ, — ელ, საწვავი საკმარისია, რო აქედან წავიდეთ?

— დაახლოებით მეოთხედი ბაკი.

— დე, მითხარი რას ფიქრობ.

— ვახშმის შემდეგ, მოიცადეთ.

— მოურიე მაგ ფაფას, მოურიე. ეხლა ყავას დავადგამ, შაქარი ან ყავაში ჩაიყარეთ, ან ფაფაში, ორივესთვის არ გეყოფათ.

მამამ რძე მაღალი ქილით მოიტანა.

— თერთმეტი ცენტი, — ამრეზით თქვა მან — გამომართვი.

დედამ თუნუქის ქილა გამოართვა და დანა ჩაარჭო, ჭიქაში სქელი სითხე ჩამოასხა და ტომს მიაწოდა.

— უინფილდს მიეცი, — უთხრა დედამ.

ტომმა ლეიბთან ჩაიმუხლა.

— აჰა, უინფილდ, დალიე.

— ვერ დავლევ. გული მერევა, თავი დამანებეთ.

ტომი წამოდგა.

— ეხლა ვერ დალევს. დე, ცოტა დავაცადოთ.

დედამ ჭიქა გამოართვა და ფანჯრის რაფაზე დადგა.

— ვინმემ ხელი არ ახლოს. უინფილდისაა.

— რძე მეც მჭირდება, — სახე მოეღუშა შარონის ვარდს.

— ვიცი, მაგრამ შენ ფეხზე დგახარ. ეს პატარა კიდე, ხო ხედავ, რო ვეღარ დგება. ფაფა შესქელდა?

— ჰო, უკვე ძლივს ვურევ.

— კარგი, ეხლა ვჭამოთ. შაქარი აქ არი, თითო კოვზი, გინდა ყავაში და გინდა ფაფაში.

— ფაფა მარილით და წიწაკით მირჩევნია, — თქვა ტომმა.

— აი, მარილი, წიწაკა აღარ გვაქ.

რადგან ყუთები აღარ ჰქონდათ, ყველნი თავთავიანთ ლეიბებზე ჩამოსხდნენ. ფაფა რამდენჯერმე გადაიღეს.

— ცოტა უინფილდს შეუნახეთ, — გააფრთხილა დედამ.

უინფილდი წამოჯდა და რძე დალია. შიმშილმა მაშინვე თავი გაახსენა. ქვაბი ფეხებშუა ჩაიდგა და ფაფა სწრაფად ამოსანსლა, მერე ქვაბის გვერდებს მიადგა და ფხეკა დაუწყო. დედამ დარჩენილი რძე ჩამოასხა და შარონს ისე მიაწოდა, რომ სხვებს არ შეემჩნიათ. ბოლოს ჭიქები ცხელი შავი ყავით შეავსო და ყველას დაურიგა.

— არც ეხლა გვეტყვი, რა ხდება? — იკითხა ტომმა. — არ მინდა, რო რუთმა და უინფილდმა მოგვისმინონ. გარეთ ვერ გავლენ?

— არა, აქ დარჩებიან და დიდი ადამიანებივით მოიქცევიან. რუთ, უინფილდ, რასაც აქ გაიგებთ, არასდროს, არსად უნდა თქვათ, თორე ყელში დანას გამოგვისვამთ.

— არ ვიტყვით, უკვე დიდები ვართ.

— კარგი, ეხლა წყნარად იყავით.

ყავის ჭიქები იატაკზე ეწყო. ფითილის მოკლე, განზე გასული ალი პატარა პეპლის ფრთასავით ფარფატებდა და კედლებს ყვითელ შუქს ჰფენდა.

— დაიწყეთ, — თქვა ტომმა.

— მა, შენ უთხარი, — უთხრა დედამ მამას.

ძია ჯონმა ყავა მოხვრიპა. მამამ დაიწყო:

— შენ როგორც გვითხარი, ისე მოხდა, ფასი დააგდეს, მგლებივით მშიერი ხალხი მოვიდა, ისეთები, რო ერთ ნაჭერ პურზეც იმუშავებენ. ატმისკენ ხელს გაიწვდენ, უნდა მოწყვიტო და ამ დროს ვიღაცა გასწრებს, ალბათ მთელ მოსავალს ერთ დღეში აიღებენ. ვიღაცა ხესთან გარბის, რო მოკრიფოს და მეორე ეჩხუბება, არა, ეს ჩემი ხე არიო და კიდე მესამე ეკ-

ვეხება, მე უნდა მოვკრიფოო. ელ ცენტროდან ჩამოსულან, მგლებივით მშივრები არიან, ერთ ნაჭერ პურზე მუშაობენ. მივედი და იმ მიმღებს ვუთხარი, ორ ნახევრად ვერ ვიმუშავებთ-მეთქი. კარგი, თუ არ გინდათ, ნუ იმუშავებთ, ამათ უნდათ და იმუშავებენო. მერე ვეუბნები, რო გაძღებიან, აღარ იმუშავებენ-მეთქი, და სანამ ეგენი გაძღებიან, ატამი უკვე დაბინავებული გვექნებაო, — მამა შეჩერდა.

— რა ჯანდაბა ხდება, ვერ გაიგებ, — თქვა ძია ჯონმა, — ამბობენ, რო ორასი კაცი კიდე მოდის ამაღამ.

— კარგი. მეორე საქმეზე რა იცით?

მამა ერთხანს ჩუმად იყო.

— ტომ, — თქვა მამამ, — როგორც ამბობენ, მართალია.

— ეგრეც ვიცოდი, ვერ დავინახე, მაგრამ ვხვდებოდი.

— ხალხი მეტზე არაფერზე ლაპარაკობს, რაზმები შეუქმნიათ და ლინჩის წესით გასამართლებით იმუქრებიან. ხო, თუ დაიჭირეს.

ტომმა თვალებდაჭყეტილი ბავშვებისკენ გაიხედა. ტომს ისე უცქერდნენ, თვალს არ ახამხამებდნენ, თითქოს ეშინოდათ, რომ სწორედ იმ წუთში, ისინი თვალებს რომ დახუჭავდნენ, რამე საშინელი მოხდებოდა.

— იმ კაცმა... იმ კაცმა ეგ მას მერე გააკეთა, რაც კეისი მოკლეს.

მამამ შეაწყვეტინა.

— მაგრამ ეგრე არ ყვებიან, ამბობენ, რო პირველმა იმ კაცმა მოკლაო.

— ოოჰ! — ამოიოხრა ტომმა.

— „სიფხიზლის კომიტეტის“ წევრებიდან დაწყებული ყველას ოჯახებს უქსევენ, აქვე ავიყვანთ, ვერ გაგვექცევაო, ამბობენ.

— იციან, როგორ გამოიყურება? — ჰკითხა ტომმა.

— ზუსტად არა, მაგრამ იციან, რო ნაცემია. სახეზე...

ტომმა ხელი ასწია და დალურჯებულ ლოყას ფრთხილად შეეხო.

— ყველაფერი სხვანაირად იყო! — წამოიყვირა დედამ.

— დე, დაწყნარდი. ხო იცი, რასაც ისინი მოჩმახავენ, სიმართლე ის იქნება.

ნახევრად სიბნელეში დედა ტომის ტუჩების მოძრაობას აკვირდებოდა.

— ტომ, შენ სიტყვა მომეცი.

— დე, იქნებ ჯობია, რო აქედან წავ... ის კაცი აქედან წავიდეს. თუ იმ კაცმა რამე ცუდი ჩაიდინა, იტყვის, აჰა, აქა ვარ და ჩამომახრჩვეთო, მაგრამ ცუდი არაფერი ჩაუდენია და მყრალი სკუნსის გაგორებისთვის დამნაშავედ თავს ვერ იგრძნობს.

რუთმა ლაპარაკი შეაწყვეტინა.

— დე, მე და უინფილდმა ყველაფერი ვიცით, რათ უნდა, ვიღაც კაცზე რო ლაპარაკობს.

ტომმა ჩაიცინა.

— ხოდა, იმ კაცს არ უნდა, რო სახრჩობელაზე ჩამოკიდონ, იმიტო რო დამნაშავე არ არი, მაგრამ არც ის უნდა, რო ოჯახი საფრთხეში ჩააგდოს. დე, უნდა წავიდე.

დედამ ხელი პირზე აიფარა და ჩაახველა.

— ვერ წახვალ. სად წახვალ? აქ ვერ დაიმალები. ვის უნდა ენდო? მარტო ოჯახის ნდობა შეიძლება. სანამ სახე მოგირჩება, ჩვენ დაგმალავთ, მშიერს არ დაგტოვებთ.

— მაგრამ, დე...

ფეხზე წამოდგა.

— არ წახვალ, ჩვენ წაგიყვანთ, ელ, სატვირთო კართან რაც შეიძლება ახლოს მოაყენე. მივხვდი, როგორც უნდა მოვიქცეთ. ერთ ლეიბს ძირს დავაგებთ. ტომი სწრაფად აძვრება, მერე მეორე ლეიბს დავკეცავთ და ისე დავდებთ, რო გამოქვაბულივით გაკეთდეს, ტომი იქ იქნება და სუნთქვაც შეეძლება. გარედან რამეს მივადგამთ, რო ლეიბი არ ჩამოვარდეს. ესე ვიზამთ. კამათი არ დამიწყოთ.

— კაცებს სიტყვა აღარ გვეთქმის, არა? სუ გათავხედდა. ერთი სადმე დავსახლდეთ და მერე მე ვიცი, მოვუვლი მაგას.

— რო დავსახლდებით, რაც გინდა ქენი. ადექი, ელ, უკვე ბნელა.

ელი გარეთ გავიდა. გონებით მანძილი გაზომა და სატვირთო უკანა სვლით პირდაპირ სახლის საფეხურს მიაყენა.

— ჩქარა ლეიბი შეიტანეთ!

მამამ და ძია ჯონმა ლეიბი უკანა კედლიდან გადაისროლეს.

— ეხლა მეორე.

მეორე ლეიბი ასწიეს.

— ტომ, ჩქარა! გადახტი და ლეიბის ქვეშ შეძვერი.

ტომი სწრაფად გადაძვრა. სატვირთოს იატაკზე ერთი ლეიბი დააგო, დაწვა, მეორე ზედ წაიფარა მამამ ლეიბი ასწია და გვერდულად ისე დააყენა, რომ ტომი თაღის ქვეშ მოქცეულიყო, ასე კედლების ღრიჭოებიდან გზის დანახვაც შეიძლებოდა. მამა, ელი და ძია ჯონი მანქანას გამალებულები ტვირთავდნენ. ტომის გამოქვაბულის თავზე საბნები დააწყვეს, გვერდებზე სათლები მიუდგეს, უკან ბოლო ლეიბი დააგეს. ყუთები აღარ ჰქონდათ და ახლა ქვაბები, ტაფები და ტანსაცმელი პირდაპირ იატაკზე ეწყო. დატვირთვა თითქმის დასრუ-

ლებული იყო, როცა მანქანასთან მკლავზე იარაღგადაკიდებული მცველი მივიდა.

— აქ რა ხდება? — იკითხა მან.

— მივდივართ, — უპასუხა მამამ.

— რატო?

— კარგი სამუშაო შემოგვთავაზეს.

— მართლა? სად?

— ქვევით, უიდპეტჩთან ახლოს.

— დაიცადეთ, უნდა დავათვალიეროთ, — ხელის ფარანი პირდაპირ სახეში მიანათა — ჯერ მამას, შემდეგ ძია ჯონს, ბლოს ელს — თქვენთან კიდე ერთი კაცი იყო.

— ჩვენ რო მოვიყვანეთ? დაბალი კაცი. ფერმკრთალი სახე რო ქონდა?

— ჰო, მე მგონი.

— აქეთ რო მოვდიოდით, გზაზე ავიყვანეთ. ამ დილას ფასი რო დაეცა, წავიდა.

— კიდე ერთხელ მითხარი, როგორ გამოიყურებოდა?

— დაბალი იყო და ძაან ფერმკრთალი.

— სახეზე ჭრილობა ჰქონდა?

— არ შემიმჩნევია, — უპასუხა ელმა, — ბენზინგასამართი ღიაა?

— კი, რვამდე.

— ჩასხედით. — დაიყვირა ელმა, — თუ უიდპეტჩში დილამდე გვინდა ჩასვლა, უკვე გზაში უნდა ვიყოთ. დე, წინ ჯდები?

— არა, უკან დავჯდები, — უპასუხა დედამ, — მა, შენც უკან დაჯექი, წინ შარონის ვარდი და ძია ჯონი დასხდებიან.

— მა, ქვითარი მომეცი. საწვავზე იქნებ გადავცვალო.

გუშაგი იდგა და სანამ მანქანა ბენზინგასამართი სადგურისკენ გადაუხვევდა, თვალი არ მოუშორებია.

— ორი გალონი.

— ალბათ შორს არ მიდიხართ.

— არა. მისტერ, ამ ქვითრის საწვავზე გადაცვლა შემიძლია?

— სიმართლე რო გითხრა, არ შეიძლება.

— მისმინეთ, მისტერ, მეგობრულად გთხოვთ, კარგი სამუშაო შემოგვთავაზეს, მაგრამ ამაღამ თუ არ ჩავასწარით, დავკარგავთ.

— კარგი, ოღონდ ქვითარზე ხელი მომიწერეთ.

ელი ჩახტა და მანქანას შემოუარა.

— მოგიწერთ, აბა, რას ვიზამ. — რადიატორს თავსახური მოხსნა და წყალი ჩაასხა.

— ორი გალონი მითხარით?

— დიახ, ორი.

— საით მიდიხართ?

— სამხრეთით, სამუშაოს გვპირდებიან.

— მართლა? ეხლა სამუშაოს შოვნა ძნელია.

— იქ მეგობრები გვყავს, გველოდებიან. აბა, კარგად იყავით, — სატვირთო მოაბრუნა და ოღროჩოღრო გზიდან მოასფალტებულ გზაზე გადავიდა. ცალი ფარის სუსტი შუქი ამოძრავდა, მარჯვენა ფარს დენი ცუდად მიეწოდებოდა და მხოლოდ დროგამოშვებით ინთებოდა, იატაკზე დახვავებულ ჯამჭურჭელს ყოველ ბიძგზე ჩხაკაჩხუკი გაუდიოდა.

შარონის ვარდმა დაიკვნესა.

— ცუდად ხარ?

— ხო, სუ ცუდად ვარ. ნეტა მშვიდად დამსვა სადმე, ნეტა არ წამოვსულიყავით, კონი არ მიმატოვებდა, ისწავლიდა და სამუშაოს იშოვიდა.

ელმა და ძია ჯონმა არაფერი უპასუხეს, შარონთან კონის შესახებ ლაპარაკი ეუხერხულებოდათ.

ფერმის თეთრად შეღებილ ჭიშკართან რომ მივიდნენ, მცველი მიუახლოვდათ.

— აღარ დაბრუნდებით?

— არა, — უპასუხა ელმა, — სამუშაო ვიშოვეთ, ჩრდილოეთით მივდივართ.

მცველმა ფარანი სატვირთოს მიანათა, ხელი ასწია და შუქი ბრეზენტის საფარისკენ მიმართა. დედა და მამა გაქვავებულები ისხდნენ, სინათლის სხივის მოძრაობას თვალს არ აშორებდნენ.

— კარგი, — მცველმა ჭიშკარი გააღო, სატვირთომ მარცხნივ გაუხვია და 101-სკენ, ჩრდილო-დასავლეთის დიდი გზატკეცილისკენ გაემართა.

— სად მივდივართ იცი? — ჰკითხა ძია ჯონმა.

— არა, — უპასუხა ელმა. — უბრალოდ მივდივარ და უკვე ყელში ამომივიდა.

— მალე მშობიარობა მიწევს, — შარონის ხმაში მუქარა გაისმა, — გირჩევნიათ, ჩემთვის რამე კარგი ადგილი მოძებნოთ.

ღამის სუსხი ნესტარივით იჩხვლიტებოდა. გზის გასწვრივ, ხეხილის ბაღებში ფოთოლცვენა დაწყებულიყო, დედა სატვირთოს კედელს მიეყრდნო. მამა მის პირისპირ იჯდა.

— ტომ, ხო კარგად ხარ? — გასძახა დედამ.

— ცოტა ვიწროდ, — გაისმა ყრუ ხმა, — ფერმა გავიარეთ?

— ფრთხილად იყავი, შეიძლება გაგვაჩერონ.

ტომმა გამოქვაბულის ცალი მხარე ასწია. სიბნელეში ქვაბები აჩხაკუნდა.

— თუ საჭირო იქნება, სწრაფად ჩამოვწევ, — თქვა მან, — თან არ მინდა, რო ესე ვირთხასავით ხაფანგში გამომწყვდეული ვიყო. — წამოწვა და იდაყვს დაეყრდნო, — აცივდა, ხო იცი.

— ცაზე ღრუბლები გროვდება, ამბობენ, წელს ზამთარი ადრე მოვაო.

— ციყვები მაღლა ხტიან, ბალახმა თესლი ნაადრევად დაყარა, არა? ღმერთო, კიდე რითი წინასწარმეტყველებენ ამინდს? ძველი ნიფხვით არ შეიძლება?

— რა ვიცი, აბა! მე კი ვგრძნობ ზამთრის მოახლოებას. ისე, აქ დიდხანს უნდა ცხოვრობდე, რო შენ თითონ მიხვდე.

— საით მივდივართ? — იკითხა ტომმა.

— რა ვიცი, ელმა მარცხნივ გაუხვია მგონი იქით მივდივართ, საიდანაც მოვედით.

— რა რას ჯობია, აღარ ვიცი, გზატკეცილზე უფრო მეტი პოლიციელი იქნება და ესეთი სახით თუ დამინახეს, ეგრევე ამიყვანენ. ალბათ რო გადავუხვიოთ და უკანა გზებით სოფელ-სოფელ ვიაროთ, ჯობია.

— დააბრახუნე. ელი გააჩერე.

ტომმა წინა კედელს რამდენჯერმე დაარტყა მუშტი. მანქანა გვერდზე გადავიდა და გაჩერდა. ელი უკანა კედელთან მივიდა.

— რა არი?

— უნდა მოვიფიქროთ, რას ვაკეთებთ. ტომი ამბობს, უკანა გზებით სიარული ჯობიაო.

— ესეთი სახით, — თქვა ტომმა, — ნებისმიერი პოლიციელი ამომიცნობს და ეგრევე ამიყვანენ.

— კაი, საით გინდა რო წავიდე? ეხლა სამხრეთიდან ჩრდილოეთში მივდივართ.

— ხო, მაგრამ უკანა გზებით იარე.

— და რო გავჩერდეთ, ცოტა დავიძინოთ და ხვალ გავაგრძელოთ?

— ჯერ არა, ელ, ცოტა მოვშორდეთ აქაურობას, — უთხრა დედამ.

რუთმა და უინფილდმა საბნები წაიფარეს.

— უინფილდი როგორ არი?

— კარგად, დე, გვეძინა.

დედა სატვირთოს გვერდს მიეყრდნო.

— ისეთი გრძნობა მაქ, თითქოს მონადირეებს გავურბივართ. ბოღმამ ლამის დამახრჩოს, ვატყობ, რო თანდათან ვბოროტდები.

— ყველა გაბოროტებულია, ყველა, ხო ნახე, დღეს ბაღში როგორ ჩხუბობდნენ, — თქვა მამამ. — შეიცვალა ადამიანი. ქვევით, მთავრობის ბანაკში, გაბოროტება არავის ეტყობოდა.

ელმა მოხრეშილ გზაზე მარჯვნივ გადაუხვია. ფარების ყვითელი შუქი მიწაზე აცახცახდა, ხეხილის ბაღები თანდათან ბამბის ნარგავებმა ჩაანაცვლა. მინდვრებს შორის, სოფლების მიხვეულ-მოხვეულ გზებზე, დაახლოებით ოცი მილი იარეს. გზა ვიწრო მდინარის ბუჩქნარით დაფარული ნაპირის გასწვრივ გადიოდა, ბეტონის ხიდზე უხვევდა და მდინარეს მეორე მხრიდან მიჰყვებოდა. მალე ფარების შუქზე სანაპიროზე ჩამწკრივებული წითელი უბორბლებო საბარგო ვაგონები გამოჩნდა, იქვე დაფაზე დიდი ასოებით ეწერა: „გვესაჭიროება ბამბის მკრეფავები“. ელმა სვლა შეანელა. ტომმა საბარგოს ფიცრებშორის ღრიჭოში გაიხედა. ვაგონებს დაახლოებით მეოთხედი მილით რომ გასცდნენ, ტომმა სატვირთოს წინა კედელზე კვლავ დააბრახუნა. ელმა მანქანა გვერდით გადაიყვანა, გააჩერა და გამოვიდა.

— ეხლა რა გინდათ?

— ძრავა ჩააქრე და აქ ამოდი, — უთხრა ტომმა.

ელი საჭეს მიუჯდა, მანქანა არხთან მიიყვანა, ფარები და ძრავა გამორთო და სატვირთოს უკანა კედელზე გადაძვრა.

— რა არი? — იკითხა ელმა.

ტომი ქვაბებზე გადახოხდა და დედას წინ ჩაიმუხლა.

— მომისმინეთ, — თქვა მან, — წარწერა დავინახე. ბამბის მკრეფავები სჭირდებათ. ვფიქრობდი, ისე როგორ ვქნა, რო ოჯახთან დავრჩე და თან საფრთხეში არ ჩავაგდო-მეთქი. სახე რო მომირჩება, მერე საშიში აღარ იქნება. აი, იმ ვაგონებს ხო ხედავთ, შიგ მკრეფავები ცხოვრობენ. იქნებ სამუშაო აქვთ, იმუშავებთ და თქვენც ესეთ ვაგონში იცხოვრებთ.

— შენ რას იზამ? — ჰკითხა დედამ.

— სანაპიროზე ბუჩქნარი ხო დაინახე, იქ ადვილია დამალვა, ვერავინ დამინახავს. საღამოობით მოხვალ და რამე საჭმელსაც მომიტან. იქით დიდი სადრენაჟო მილი ეგდო, ვნახავ, იქნებ შიგ დაძინება შეიძლება.

— გამიხარდება კიდეც ბამბის კრეფა, ეგ საქმე კარგად ვიცი, — თქვა მამამ.

— მგონი, ვაგონში ცხოვრება ცუდი არ იქნება, შიგ ალბათ სიმშრალეა. ტომ, შენ ამბობ, რო ხშირი ბუჩქნარია?

— კი, ხშირია, დავაკვირდი, რო მოვდიოდით. პატარა ადგილს მოვძებნი და დავიმალები. მალე სახე მომირჩება და გამოვალ.

— ნაიარევი დაგრჩება, — უთხრა დედამ.

— მერე რა, ნაიარევი ვის უკვირს.

— ერთხელ ოთხასი ფუნტი დავკრიფე, — თქვა მამამ, — იმ წელს კაი მოსავალი იყო. ყველა თუ ვიმუშავებთ, ცოტა ფული გაგვიჩნდება.

— ხორცსაც ვიყიდით, — თქვა ელმა, — ეხლა რას ვაპირებთ?

— ამაღამ მანქანაში დავიძინოთ, — უთხრა მამამ, — დილას სამუშაოს დავიწყებთ. თვალი ისე მაქ გაწაფული, რო ბამბის კოლოფებს სიბნელეშიც კი დავინახავ.

— ტომმა რა უნდა ქნას? — იკითხა დედამ.

— დე, ჩემზე ნუ ფიქრობ. საბანს წავიღებ და წავალ. უკან რო წახვალთ, დააკვირდი, დიდ სადრენაჟო მილს დაინახავ, საჭმელს რო მომიტან, პური იქნება, კარტოფილი თუ ფაფა, იქ დამიტოვებ. მერე მივალ და ავიღებ.

— რა ვიცი...

— ჭკუასთან ახლოა, — თქვა მამამ.

— აბა რა, — დაიჟინა ტომმა, — ცოტა ხანში სახე მომირჩება, გამოვალ და ბამბის კრეფას დავიწყებ.

— კარგი, — დაეთანხმა დედა, — მაგრამ ფრთხილად იყავი, ვინმეს თვალში არ გაეჩხირო.

ტომი სატვირთოს ბოლოსკენ გახოხდა.

— ამ საბანს წავიღებ, დე. უკან რო წახვალთ, ის სადრენაჟო მილი მოძებნე.

— თავს გაუფრთხილდი, ტომ, თავს გაუფრთხილდი, — შეევედრა დედა.

— კარგი, დე, — უკანა კედლიდან გადახტა და ნაპირისკენ წავიდა.

— ღამე მშვიდობისა.

დედამ თვალი გააყოლა. ტომის სილუეტი თანდათან ღამის სიბნელეს შეერია და მალე მდინარის პირას მოდებულ ბუჩქნარში გაუჩინარდა.

— ღმერთო ძლიერო! კარგად ამყოფე!

— ეხლა უკან გავბრუნდე? — იკითხა ელმა.

— ჰო, — უპასუხა მამამ.

— ნელა იარე. ის სადრენაჟო მილი რო დავინახო და ადგილი დავიმახსოვრო.

ელმა კარგა ხანს იწვალა, სანამ ვიწრო გზაზე მანქანას შეაბრუნებდა. საბარგო ვაგონების რიგს ნელა მიუახლოვდა. ფარების შუქზე ვაგონების ფართო კარებამდე მისასვლელი ბილიკები გამოჩნდა. ბნელოდა. ქუჩაში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ელმა ფარები გამორთო.

— შენ და ძია ჯონი ზევით ადით. მე აქ დავიძინებ, — უთხრა ელმა შარონს.

ძია ჯონმა შარონს ხელი წააშველა და უკანა კედელზე გადაიყვანა. დედამ ჯამ-ჭურჭელი კუთხეში მიაწყო. ლეიბები უკანა კედელთან მიჯრით დააგეს და დაწვნენ.

ერთ-ერთ ვაგონში ბავშვი ასლუკუნდა. ქუჩაში ძაღლი დაძუნძულებდა. იქაურობა დაყნოსა, კვალი აიღო და ჯოუდების მანქანას გარს ფრთხილად შემოუარა. მდინარის კალაპოტიდან წყლის ჩუხჩუხი ისმოდა.

27.

„გვესაჭიროება ბამბის მკრეფავები“ — გზებზე გამოკრული პლაკატები, ფურცლები, ფორთოხლისფერი ფურცლები — „გვესაჭიროება ბამბის მკრეფავები“.

აი, ამ გზით უნდა წავიდეთ, ესე წერია.

ერთ დროს ხასხასა მწვანე ბუჩქებს ახლა სინედლე დაჰ-კარგვოდათ, გახევებულ ღეროებზე მძიმე კოლოფები თავს ძლივს იმაგრებდნენ, გადახსნილი პარკებიდან თეთრი ბამბა ბატიბუტივით ამოყრილიყო.

ერთი მალე მიგვიშვან, ნაზად შევეხები, თითის წვერებით.

კარგი მკრეფავი ვარ.

აი, იმ კაცს უნდა დაველაპარაკოთ.

ბამბის დასაკრეფად ვარ მოსული.

ტომარა გაქვს?

არა, არ მაქვს.

დოლარი ღირს, პირველ ას-ნახევარ ფუნტს რო დაკრეფთ, გადასახადიდან გამოგიქვითავთ. პირველი მოკრეფა — ასი ფუნტი ოთხმოცი ცენტი, მეორე — ოთხმოცდაათი. ტომარა აიღე. დოლარი თუ არ გაქვს, პირველი ას ნახევარი ფუნტის გადასახადიდან გამოგიკლებთ. ხო სამართლიანი გარიგე-ბაა?

დიახ, სამართლიანია. კარგი ტომარა მთელი სეზონი გა-მოგადგება. ძირი რომ გამოეხევა, შეაბრუნებ, მეორე ბოლოს გაკერავ. გახეულს გაჭრი და ისევ გამოიყენებ. ორივე ბოლო დაეხევა და, ხელში მშვენიერი ტილო შეგრჩება! საზაფხულო

საცვლებს შეიკერავ, შეიძლება ღამის პერანგისთვისაც გეყოს. ბამბის ტომარა? რას ამბობ, მართლაც კარგი შენაძენია!

წელზე ჩამოიკიდე და ფეხებშუა მოიქციე, თავიდან თრევა არ გაგიჭირდება, ფუმფულა კოლოფები თითის წვერებით დაკრიფე. მერე ხელი ფეხებშუა ტომრისკენ ჩააცურე და შიგ ჩაყარე. უკან ბავშვები გამოგყვებიან. იმათ ბამბის ტომრების ნაცვლად ჯუთის ტომრებს მისცემენ. ან სულაც რად უნდათ, სულაც მამების ტომრებში ჩაყრიან. რო დამძიმდება, წინ გადაიხარე და ტომარა ისე წაათრიე. მე ხელი მაქვს ბამბის კრეფაში გაწაფული, ჩემმა თითებმა თავის საქმე იციან. კრიფე ბამბა და ილაპარაკე, ხალხს ესაუბრე. იქნებ სიმღერაც დასცხო, სანამ ტომარა ძაან დაგიმძიმდება. თითები გრძნობენ, თითებმა იციან. თვალი აკვირდება, ხედავს, მაგრამ ვერ გრძნობს.

ისაუბრეთ, ერთმანეთს ამბები მოუყევით.

ჩვენს მხარეში ერთი ქალი ცხოვრობდა, გვარს არ დავასახელებ, — ერთ დღესაც, ისე რომ არავინ არაფერი იცოდა, ზანგი ბავშვი გააჩინა, მაგრამ ბავშვის მამა თვალით არავის უნახავს. მას მერე იმ ქალს თავი ზევით არ აუწევია. რატო გამახსენდა? იმიტო, რო ის ქალი კარგი მკრეფავი იყო.

ტომარა დამძიმდა. წინ იარე, წაათრიე, თეძოებს დააწექი, სასაპალნე ცხენივით იმუშავე. ბავშვები კრეფენ და მამის ტომარაში ყრიან. რა კარგი მოსავალია. დაბლობებში სუსტი და გახევებული ბამბის ბუჩქებია, ესეთი კი არა. კალიფორნიაში რო ბამბა მოდის, ეგეთი არსად მინახავს, გრძელი ბოჭკო აქ. არა, ესეთი მართლა არ მინახავს, მიწას კი მალე ფიტავს, ხო იცი. ვთქვათ, კაცს ნაკვეთის ყიდვა უნდა, რო ბამბა მოიყვანოს. ნუ იყიდი რა, შე კაი კაცო, იქირავე, გამოიფიტება და მერე სხვაგან იქირავებ.

ბამბის რიგებს შესეული მკრეფავები მწყობრად მოძრაობენ. გაწაფული, დაგეშილი თითები ფოთლებშორის დასრიალებენ და კოლოფებს თავად პოულობენ, თვალის მიდევნება არ სჭირდებათ.

ბრმა რო ვიყო, ბამბას მაინც მოვკრეფდი. გუმანით ვაგნებ კოლოფებს. ისე სუფთად ვკრეფ, ზედ ერთ ხიჭვს ვერ იპოვი.

ტომარა სავსეა. სასწორთან წაათრიე. კამათი მოგიწევს. ამწონი ამბობს, ტომარაში ქვები ჩაყარა, წონაში რომ მოიგოსო. თვითონაც კარგი ვინმეა, სასწორი იმდენს აჩვენებს, რამდენიც თვითონ აწყობს, მაგრამ ზოგჯერ სიმართლე მის მხარესაა — ტომარაში ქვები ყრია. ზოგჯერ შენ ხარ მართალი — სასწორი აშკარად ტყუის. ისეც ხდება, რომ ზოგჯერ ორივე მართლები ხართ, რადგან ქვებიც ყრია და სასწორიც ტყუის. იკამათე, იკამათე, არ დანებდე. კაცი ხარ, კაცი შენც და ისიც.

ქვები? რამდენიმე კენჭი რა სახსენებელია? ფუნტის მეოთხედიც არ იქნება. უპასუხოდ არ დატოვო, შეეკამათე.

უკან ცარიელი ტომრით ვბრუნდებით. ჩვენი წიგნაკები გვაქ. წონას ვიწერთ. ესეა საჭირო. ეს რო იციან, ვეღარ გვატყუებენ. არ ჩავიწერთ და, მერე ნახე მოტყუება, მე შენ გეტყვი, ვინმე დაგეხმარება.

კარგი სამუშაოა, ბავშვები თავისუფლად დარბიან.

ბამბის საკრეფ მანქანაზე გსმენია რამე?

კი, მსმენია.

როგორ გგონია, შემოიყვანენ?

შემოიყვანენ და დავიღუპებით, ხელით კრეფა ვიღას დასჭირდება.

უკვე ღამდება. დავიღალეთ, მაგრამ ბლომად დავკრიფეთ. მე, ჩემი ცოლი და ბავშვები ვმუშაობდით, სამი დოლარი ვიშოვეთ.

ბამბის მინდვრებთან მანქანები გროვდება. კარვები ერთიმეორის მიყოლებით იშლება. მაღალი, თავზე ბადეგადაკრული სატვირთოები და მისაბმელები თეთრი ბამბის ქულებითაა გადატენილი. ბამბა ღობის მავთულს ეკვრის, ქარი დაუბერავს თუ არა, პაწია თეთრი ფიფქები გზებზე ფარფატს იწყებენ. სუფთა ფითქინა ბამბა საწმენდ მანქანაში მუშავდება. მალე დიდ გაბერილ ფუთებს კომპრესორში უკრავენ თავს. ბამბა ტანსაცმელზე გეწებება, წვერ-ულვაშში გებლანდება.

ცხვირი მოიხოცე. ბამბით გაქ გამოტენილი.

წელში მოიხარე და იარე, საღამომდე ტომარა შეავსე. გაწაფული თითები კოლოფებს ეძებენ. თეძოებს ძალა დაატანე. ტომარა დამძიმდა, გვიანია, ბავშვები დაიღალნენ. რიგებს შორის ფეხებს ძლივს მიათრევენ. მზე ჩადის.

რა კარგი იქნება, ეს სამუშაო დიდხანს რო გაგრძელდეს. ღმერთმა იცის, ბევრს ვერ ვშოულობთ, მაგრამ მაინც კარგი იქნება.

გზატკეცილზე უამრავი ძველი მანქანა იყრის თავს. აქ იმ ნარინჯისფერმა ფურცლებმა ჩამოიყვანეს.

ბამბის ტომარა გაქვს? არა.

ერთი დოლარი ღირს.

ორმოცდაათი კაცი რო ვიყოთ, ცოტა ხანს კიდე ვიმუშავებდით, მაგრამ ხუთასნი ვართ. ცოტაც და აღარ იქნება სამუშაო. ერთ კაცს ვიცნობდი, ტომრის ფულის გადახდა ვერ მოასწრო. კრეფა რო დაიწყო, ტომარა მისცეს და სანამ ის ასნახევარ ფუნტს დაკრეფდა, მოსავალი უკვე აღებული იყო.

ღმერთი არ გაგიწყრეს, სუ არ დახარჯო, გადაინახე, მალე დაზამთრდება. ზამთარში კალიფორნიაში სამუშაო არ არი. ტომარა შეავსე, სანამ დაბნელდება. იმ კაცმა ტომარაში მიწის ორი კოშტი ჩააგდო, ჩემი თვალით დავინახე.

მერე რა მოხდა? აბა წონა დავკარგო? ხო იცით, იმის სასწორი რო ტყუის?

აი, წიგნაკში მიწერია, სამას თორმეტი ფუნტია.

სწორია.

ხედავთ? არც კი შემეკამათა. ალბათ სასწორი იტყუება. ასეა თუ ისე, დღეს მაგრა გამიმართლა.

ამბობენ, კიდე ათასი კაცი მოემართება ამ მინდვრებისკენო. ხვალ ყოველი რიგი ომით უნდა ავიღოთ, კოლოფები ხელიდან უნდა გამოვტაცოთ.

„გვესაჭიროება ბამბის მკრეფავები“. რაც მეტი კაცი იმუშავებს, მით სწრაფად ჩავუშვებთ ბამბას საწმენდ მანქანაში.

ბანაკში დავბრუნდეთ.

ამაღამ ვახშმად ფერდის ხორცი გვექნება. ღვთის მადლით, პურის ფულს ვშოულობთ.

შენს ბიჭს ხელი ჩასჭიდე. ხო ხედავ, რა სუსტადაა. გაიქეცი, ოთხი ფუნტი ფერდის ხორცი იყიდე. დედა კვერებსაც გამოაცხობს, საღამომდე ძალა თუ შერჩა.

28.

პატარა მდელოს გასწვრივ, მდინარესთან ახლოს, თორმეტი საბარგო ვაგონი ორ რიგად ჩაემწკრივებინათ. თითო რიგში ექვსი უბორბლებო ვაგონი იდგა. ფართო გასაწევ კართან ფიცარნაგი მიედგათ. არაუშავდა რა, ცხოვრება შეიძლებოდა. წვიმა და ორპირი ქარი არ შეაწუხებდათ. თორმეტ ვაგონში ოცდაოთხი ოჯახი განეთავსებინათ — ყოველი ვაგონის ცალ მხარეს ერთი ოჯახი, მეორე მხარეს კი, მეორე. უფანჯრო იყო, ამიტომ ფართო კარი არასდროს იკეტებოდა. ზოგი ვაგონი ბრეზენტით გადაეტიხრათ, თუმცა, უმეტესად, ოჯახებს შორის ზღვარი კარის შუა ხაზზე გადიოდა.

ჯოუდები განაპირა ვაგონის ცალ მხარეს შეუშვეს. ადრინდელ მცხოვრებლებს ნავთის ბიდონი დაეტოვებინათ, ბიდონზე დამაგრებული საკვამლე მილი კედელში ამოჭრილ ხვრელში გადიოდა. ღია კარიდან შეჭრილი შუქი სიბნელეს ვერ ერეოდა. დედამ შუაში ბრეზენტის ფარდა დაკიდა.

კარგია, მთავრობის ბანაკს თუ არ შევადარებთ, ყველას ჯობია, სადაც აქამდე გვიცხოვრია, — თქვა დედამ.

დედა ყოველ ღამე ლეიბებს აგებდა, ყოველ დილას ისევ კეცავდა. ყოველ დილას ბამბის საკრეფად გადიოდნენ ყოველ საღამოს ხორცს მიირთმევდნენ. ერთ შაბათ დღეს ტულარეში გაემგზავრნენ, თუნუქის ღუმელი შეიძინეს. კაცებისთვის ახალი სამუშაო შარვლები, დედასთვის ახალი კაბა იყიდეს, დედას საუკეთესო კაბა კი, შარონს გადაულოცეს.

— ისე გასუქდა, რო ეხლა ახალი კაბის ყიდვა ფულის გადაყრაა, — თქვა დედამ.

ჯოუდებს გაუმართლათ — ადრე ჩავიდნენ და ვაგონში ადგილი ერგოთ. პატარა მდელო ახალმოსულების კარვებით გადაივსო. ვაგონის ბინადართ აქ ძირძველ მცხოვრებლებად მიიჩნევდნენ და ერთგვარი პატივითაც ექცეოდნენ.

ვიწრო მდინარე ტირიფნარიდან გამორბოდა, მდელოზე იშლებოდა და ისევ ტირიფნარში იკარგებოდა. ყოველი ვაგონიდან მდინარემდე კარგად გაკვალული ბილიკი ჩადიოდა. ვაგონებშუა გაჭიმულ თოკებზე დარეცხილი ტანსაცმელი შრებოდა.

საღამოობით დაკეცილ ბამბის ტომრებს ამოიღლიავებდნენ და მინდვრებიდან ბრუნდებოდნენ. გზაჯვარედინზე, მაღაზიაში, უამრავი მკრეფავი ირეოდა.

— დღეს როგორ იმუშავეთ?

— კარგად, კარგად. სამ ნახევარი დოლარი ვიშოვეთ. რაღა გვიჭირს, აქ დიდხანს რო გაგრძელდეს სამუშაო. ბავშვებიც სწავლობენ, კარგი მკრეფავები დადგებიან. დედამ ძველი პერანგებისგან პატარა ტომრები შეუკერა. დიდ ტომრებს ვერ მიათრევდნენ, ბამბას ჩვენ გვიყრიდნენ. ეხლა კარგად მუშაობენ.

დედა ხორცის დახლს მიუახლოვდა, საჩვენებელი თითი პირთან მიეტანა, სულს უბერავდა და ფიქრობდა.

— დაბეგვილი ღორის ხორცი ხო არ ვიყიდო? რა ღირს?

— ფუნტი ოცდაათი ცენტი, მემ.

— სამი ფუნტი მომეცით. მოსახარში ძროხის ხორციც, თუ შეიძლება, ხვალ ჩემი გოგო მოხარშავს. ერთი ბოთლი რძეც. გიჟდება რძეზე, ორსულად არი, ბევრი რძე სვიო, უთხრეს. კიდე რა მინდოდა? კარტოფილი გვაქ...

მკითხველთა ლიგა

მამას ხელში სიროპის ქილა ეჭირა.

— ეს არ ავიღოთ? ოლადებს გამოაცხობდი, — ჰკითხა მამამ.

დედამ წარბები შეჭმუხნა.

— კარგი, ამასაც ავიღებთ. ცხიმი საკმარისი გვაქ.

რუთმა დედასთან მიირბინა, ხელში ტკბილი ორცხობილით სავსე ორი დიდი ყუთი ეჭირა. დედას ნაღვლიანი თვალებით შეხედა — თავს დაიქნევს თუ გააქნევს დედა? ნაღველი იქნებ ტრაგედიად ექცეს, მაგრამ ხომ შეიძლება დიდი სიხარული ეწიოს? — დე, — უფრო მომხიბვლელად რომ წარმოეჩინა, რუთმა ყუთები ხელში შეათამაშა.

— ეხლავე თავის ადგილას დადე...

თვალებში ჩამდგარი ნაღველი ტრაგიკულმა მზერამ ჩაანაცვლა.

— თითო ხუთი ცენტი ღირს. დღეს კარგად იმუშავეს ბავშვებმა, — თქვა მამამ.

— კარგი, — რუთის თვალებში სიხარულმა გაიბრწყინა, — ავიღოთ, — თქვა დედამ.

რუთი ადგილიდან მოწყდა. სანამ კართან მივიდოდა, უინფილდთან მიირბინა და გარეთ თავ-პირის მტვრევით გაცვივდნენ.

ძია ჯონმა ყვითელი ტყავით გაწყობილი ტილოს ხელთათმანი შეათვალიერა, მოიზომა, გაიძრო და დადო. ნელ-ნელა სასმელების თაროსკენ გადაინაცვლა და იარლიყების კითხვას შეუდგა. დედამ თვალი მოჰკრა, — მა, — თავი ძია ჯონისკენ გაიქნია. მამა დინჯად გაემართა ჯონისკენ.

— რაო, ჯონ, მოგწყურდა?

— არა.

— მოიცადე, სანამ კრეფა დამთავრდება და მერე რამდენიც გინდა, იმდენი დალიე, თუ გინდა, თავზეც დაისხი.

— არ მინდა, — თქვა ძია ჯონმა, — ბევრს ვმუშაობ, კარგად მძინავს, სიზმრებიც არ მაწუხებს.

— ბოთლებს რო უყურებდი, ნერწყვი გდიოდა.

— ვუყურებდი, მაგრამ ვერ ვხედავდი. უცნაურია, მინდა, რომ რაღაცები ვიყიდო. ის საპარსი მომეწონა, კიდე, ხო ხედავ, იქ რო ხელთათმანები აწყვია. ძაან იაფია.

— ხელთათმანით ბამბას ვერ დაკრეფ, — უთხრა მამამ.

— ვიცი, საპარსიც არაფერში მჭირდება. უბრალოდ, ისეა ყველაფერი გამოფენილი, რო გჭირდება თუ არა, კაცს რაღაცის ყიდვა გინდება.

— წავედით, ყველაფერი ვიყიდე, — დაიძახა დედამ, — მამამ და ძია ჯონმა პარკები ჩამოართვეს.

რუთი და უინფილდი გარეთ იცდიდნენ. თვალები გადმოცვენაზე ჰქონდათ, პირი ტკბილი ორცხობილით გამოეტენათ.

— საჭმელს აღარ შეჭამენ, — თქვა დედამ.

მაღაზიიდან ხალხი ვაგონებისკენ დაიძრა. მალე კარვებში ფარნები აციმციმდა, საკვამურებში კვამლი ახრჩოლდა. ჯოუდებმა ფიცარნაგი აიარეს და თავის სადგომში შევიდნენ. შარონის ვარდს ცეცხლი გაეჩაღებინა. თუნუქის ღუმელი ალისფრად ვარვარებდა.

— რძე იყიდეთ? — იკითხა შარონმა.

— კი, აი, გამომართვი.

— მომეცი. შუადღის მერე აღარ დამილევია.

— გონია, რო წამალია.

— ექთანმა ესე მითხრა.

— კარტოფილი მზად არი?

— კი, გავთალე.

— ეხლა შევწვათ, დაბეგვილი ხორცი ვიყიდეთ. მიდი, კარტოფილი ახალ ტაფაში ჩაჭერი, ცოტა ხახვიც დაუმატე. კაცებო, წადით, დაიბანეთ, რო წამოხვალთ, სათლით წყალი წამოიღეთ. რუთი და უინფილდი სად არიან? თითო ყუთი ტკბილი ორცხობილა ვუყიდეთ.

კაცები დასაბანად მდინარესთან ჩავიდნენ. შარონის ვარდმა დაჭრილი კარტოფილი ახალ ტაფაში ჩაყარა და დანის წვერით მოურია.

უეცრად ბრეზენტის ფარდა გადაიხსნა. ვაგონის მეორე მხრიდან მსუქანი ოფლიანი სახე გამოჩნდა.

— მისის ჯოუდ. დღემ როგორ ჩაიარა?

დედა შებრუნდა.

— საღამო მშვიდობისა, მისის უეინრეიტ. კარგად, სამ ნახევარი დოლარი ვიშოვეთ, სამი და ორმოცდათექვსმეტი, უფრო ზუსტად.

— ჩვენ ოთხი.

— თქვენ მეტნი ხართ, ესეც უნდა იყოს.

— ჰო, ჯოუნსი უკვე დიდი ბიჭია. დაბეგვილი ხორცი გიყიდიათ?

ღია კარში უინფილდი გამოჩნდა.

— დე!

— ერთი წუთით ჩუმად იყავი. დიახ, ჩემებს უყვართ და...

— მე შებოლილ ხორცს ვწვავ, — თქვა მისის უეინრეიტმა, — სუნი აღწევს აქამდე?

— არა, არ აღწევს, კარტოფილს ხახვი დავუმატეთ...

— ხორცი იწვის! — დაიყვირა უეინრეიტმა და გაუჩინარდა,

— დე. — თქვა უინფილდმა.

— რა იყო? ორცხობილამ გაწყინა?

— დე, რუთმა წამოაყრანტალა...

მკითხველთა ლიგა

— რა წამოაყრანტალა?

— ტომზე.

დედა უინფილდს მიაშტერდა. მერე მის წინ მუხლებზე დაეშვა.

— უინფილდ, ვის რა უთხრა?

ბიჭი დაიბნა და უკან დაიხია.

— სულ არა, ცოტა რაღაცები თქვა.

— უინფილდ! ყველაფერი მითხარი!

— ორცხობილა სულ ერთად არ შეუჭამია, შეინახა და მერე თითო-თითოს ჭამდა, როგორც იცის ხოლმე, და თან მაჯავრებდა, შენ რო ერთად შეჭამე, ალბათ ეხლა როგორ ნანობო.

— უინფილდ! ჩქარა მითხარი! აღელვებულმა ფარდას გახედა, — შარონ, წადი მისის უეინრეიტს დაელაპარაკე, რო არ მოგვისმინოს.

— კარტოფილს რა ვუყო?

— მე მივხედავ. წადი, წადი, არ მინდა, რო ფარდას ყური მოადოს. — გოგონა ფეხების თრევით გავიდა და ბრეზენტის კედელს შემოუარა.

— უინფილდ, დაიწყე.

— ხო გითხარი, თითო-თითოს ჭამდა და ხანდახან ერთს შუაზე ყოფდა, რო დიდხანს ეჭამა.

— ჩქარა მოყევი-მეთქი!

— ბავშვები მოვიდნენ და იმათაც მოუნდათ, რუთი კიდე იდგა და აკნატუნებდა, ერთი ცალიც არ მისცა. ერთი ბიჭი ძაან გაბრაზდა და მთელი ყუთი წაართვა.

— უინფილდ, ის მოყევი...

— გიყვები, — უთხრა ბიჭმა, — რუთი გიჟივით გაეკიდა. ჯერ ერთ ბავშვს გაარტყა, მერე მეორეს, ბოლოს ერთმა დიდმა გოგომ მაგრა გაულაწუნა. რუთმა ტირილი დაიწყო და უთხრა,

ჩემ უფროს ძმას ვეტყვი და მოგკლავსო. იმ დიდმა გოგომ კიდე, ნახეთ, უფროსი ძმაც ყოლიაო, დასცინა. — აღელვებული უინფილდი სულს ძლივს ითქვამდა. — მერე იჩხუბეს და იმ გოგომ მაგარი მოსდო. რუთმა უთხრა, ჩემს ძმას ვეტყვი და შენს ძმას მოკლავსო, იმან კიდე, ჩემმა რო მოკლას შენიო? არა, ჩემი მოკლავსო და ესე აგრძელებდნენ. ბოლოს რუთმა უთხრა, ჩემს ძმას უკვე ორი კაცი ყავს მოკლულიო. დიდმა გოგომ დასცინა, რა მატყუარა ხარო. რუთმა უთხრა, სიმართლეს ვამბობ, ეხლა ჩემი ძმა იმიტო იმალება, რო კაცი მოკლა და შენს ძმასაც ზედ მიაყოლებსო. მერე ერთმანეთს ლანძღვა დაუწყეს, რუთმა იმ დიდ გოგოს ქვა ესროლა, ის გამოეკიდა, მე კიდე შენთან გამოვიქეცი.

— ღმერთო! — დაღლილი ხმით თქვა დედამ, — ო, უფალო იესო ქრისტე, უცოდველო ჩვილო, როგორ მოვიქცე? — ხელი შუბლზე იფარა, თვალები მოისრისა, — როგორ მოვიქცე? — აგიზგიზებული ღუმლიდან დამწვრის სუნი ავარდა. დედა წამოდგა და კარტოფილს მოურია.

— შარონ! — დაუძახა დედამ. გოგონამ ფარდა გადასწია. — ვახშამს მიხედე, უინფილდ, წადი და რუთი მოიყვანე.

— უნდა ცემო? — იმედი მიეცა უინფილდს.

— არა, ცემა რაღას უშველის. რამ ათქმევინა? ეხლა გინდა ცემე და გინდა არა. გაიქეცი და აქ მოიყვანე.

კარში რომ გადიოდა, სამ კაცს შეეჩეხა. გვერდზე გადგა და დაიცადა, სანამ კაცები ვაგონში შევიდოდნენ.

— მა, უნდა დაგელაპარაკო, — ხმადაბლა უთხრა დედამ მამას, — რუთმა ვიღაც ბავშვებს ტომზე მოუყვა.

— რა?

— ჩხუბი მოუვიდა და წამოსცდა.

— რატო, მაგ საზიზღარს!

— არ იცოდა, რას სჩადიოდა. მა, მისმინე, შენ აქ იყავი. მე წავალ და ტომს მოვძებნი, უნდა ვუთხრა, რო ფრთხილად იყოს. აქ იყავი, მა, ყურადღება მიაქციე აქაურობას, ტომს ცოტა საჭმელის წავუღებ.

— კარგი, — დაეთანხმა მამა.

— რუთს არაფერი უთხრა, მე დაველაპარაკები.

სწორედ ამ დროს კარში რუთი გამოჩნდა, უინფილდი უკან მოჰყვებოდა. ჭუჭყში ამოგანგლულ გოგონას პირზე ტკბილი ორცხობილის ნაფხვენები აწებებოდა. ცხვირიდან ჯერ კიდევ სისხლი სდიოდა. დარცხვენილი და შეშინებული იცქირებოდა.

უინფილდი უკან გამარჯვებული იერით ედგა. რუთმა გააფთრებული თვალით გადახედა იქაურობას, მერე კუთხეში დაჯდა და ზურგით კედელს მიეყრდნო, ბოღმა ახრჩობდა, მაგრამ ვერც სირცხვილისთვის დაეღწია თავი.

— დედამ ყველაფერი იცის, — უთხრა უინფილდმა.

დედამ ორი ნაჭერი ხორცი და შემწვარი კარტოფილი თუნუქის თეფშზე გადადო.

— გაჩუმდი, უინფილდ, ნუ დაუმატებ, ისედაც გამწარებულია.

რუთი დედას მივარდა, წელზე ხელები შემოავლო, თავი მის კალთაში ჩამალა და აქვითინდა, მთელი სხეული უცახცახებდა. დედამ გათავისუფლება სცადა, მაგრამ რუთი ჭუჭყიანი ხელებით დედას მთელი ძალით ჩაეჭიდა. დედამ თითებით თმა გადავარცხნა, ზურგზე მიუალერსა.

— ნუ ტირი, არ იცოდი, რას სჩადიოდი, — რუთმა ჭუჭყიანი, ცრემლითა და სისხლით მოთხვრილი სახე ასწია.

— ტკბილი ორცხობილები წამართვეს! იმ ნაბიჭვარმა გოგომ მცემა! — გულამოსკვნით ტიროდა რუთი.

— გაჩუმდი, ეგრე ნუ ლაპარაკობ. კარგი, გამიშვი, უნდა წავიდე.

— დე, არ უნდა ცემო? მაგას რო თავისი ორცხობილით ბავშვები არ გაექეზებინა, არაფერიც არ მოხდებოდა. მიდი, ცემე. ღირსია.

— შენ შენ საქმეს მიხედე, — გაწიწმატდა დედა, — თორე შენ თითონ იცემები. რუთ, გამიშვი, უნდა წავიდე.

უინფილდი აკეცილ ლეიბზე დასკუპდა და ოჯახს ცივი, დამცინავი თვალებით გადახედა. ისე დაჯდა, რომ თავი დაცულად ეგრძნო, რადგან იცოდა, როგორც კი შეძლებდა, რუთი თავს დაესხმებოდა, გულმოკლული რუთი კი ისევ ვაგონის კუთხეში მიიყუჟა.

დედამ თეფშს გაზეთის ფურცელი დააფარა.

— მივდივარ, — თქვა მან.

— არაფერს შეჭამ? — ჰკითხა ძია ჯონმა.

— რო დავბრუნდები, შევჭამ, ეხლა არ მინდა. — დედა კარში გავიდა და დაქანებულ ფიცარნაგზე დაეშვა.

ვაგონების იმ მხარეს, რომელიც პატარა მდინარეს გადაჰყურებდა, კარვები ერთმანეთის მიყოლებით გაეშალათ. ბაგირები ერთმანეთში გადახლართულიყო, პალოები მიწაში მიჯრით ჩაემაგრებინათ, ბრეზენტის კედლებიდან მკრთალი შუქი გამოდიოდა, საკვამურებიდან კვამლი ზევით მიიზლაზნებოდა. კარვებთან უფროსები იდგნენ და საუბრობდნენ, ბავშვები გიჟებივით დარბოდნენ, რიგებს შორის ვიწრო ქუჩაზე ამაყად თავაწეული დედა მიაბიჯებდა. ხალხი სცნობდა, ესალმებოდა:

— საღამო მშვიდობისა, მისის ჯოუდ.

— მშვიდობა მოგცეთ.

— რა მიგაქვთ, მისის ჯოუდ?

— ქვევით მეგობარი მყავს, პური ვესესხე და უნდა დავუბრუნო.

როგორც იქნა, კარვების რიგი ჩამთავრდა. დედა შეჩერდა, უკან მიიხედა. ბანაკიდან მკრთალი სინათლე მოჩანდა, მის ყურამდე მხოლოდ ხმადაბალი ბუტბუტი აღწევდა, თუმცა, დროდადრო, საიდანღაც მკვეთრი ხმები იჭრებოდა. ჰაერში კვამლის სუნი ტრიალებდა. ვიღაც ჰარმონიკას აკვნესებდა, ალბათ ვარჯიშობდა, ერთსა და იმავე აკორდს მრავალჯერ იმეორებდა.

დედამ ტირიფნარში შეაბიჯა. ბილიკიდან მოშორებით მიწაზე დაჯდა, ხმებს ყური მიუგდო. შეშინებული ჩანდა, არ უნდოდა, რომ ვინმეს გადაყროდა. ბილიკზე კაცი გამოჩნდა, ბანაკისკენ მიდიოდა, აჭიმებს ისწორებდა და თან ჯინსის ღილებს იკრავდა. დედა ადგილზე გაშეშდა, კაცმა ისე ჩაიარა, რომ ვერ შენიშნა. კიდევ ხუთი წუთი და დედა ფეხაკრეფით გადავიდა ბილიკზე, ისე მსუბუქად, იმდენად ფრთხილად მიაბიჯებდა, რომ მის ფეხქვეშ ხმელი ფოთლების შრიალი მდინარის ბუტბუტის ხმას ვერ ჯაბნიდა. ბილიკმა მდინარესთან ერთად ჯერ მარცხნივ გაუხვია, მერე მარჯვნივ და ბოლოს გზატკეცილს მიუახლოვდა. რუხ ბინდ-ბუნდში გზისპირა მიწაყრილი და სადრენაჟო მილის შავად დაფჩენილი პირი გამოჩნდა. ტომს ყოველთვის აქ უტოვებდა სადილს. მილს ფრთხილად მიუახლოვდა, სავსე თეფში დადო და ცარიელი აიღო, უკან გაბრუნდა. გაუვალ ბუჩქნარში შეაბიჯა, როგორღაც გზა გაიკვალა; ისე დაჯდა, რომ გადახლართულ ტოტებს შორის მილის პირი დაენახა, ხელები მუხლებზე შემოიჭდო და გაიტრუნა. რამდენიმე წამში ბუჩქნარში სიცოცხლე ჩვეულ წესს დაუბრუნდა, ფოთლებში მინდვრის თაგვები აწრიალდნენ, სკუნსი უშიშრად გაბაჯბაჯდა ბილიკზე, ქვევით დაეშვა

და საკუთარი სიმყრალე თან წაიყოლა, ქარმა, თითქოს ძალა მოსინჯა, ტირიფები მსუბუქად შეარხია და ოქროსფერი ფოთლები ფარფატით დაეშვნენ მიწაზე. უეცრად ქარი გაძლიერდა, გადიდგულდა, ხეებს ქოჩორში სწვდა და ფოთლების თავსხმა შხრიალით წამოვიდა, გარინდებულ დედას ფოთლები თმასა და ბეჭებზე დაეფინა. ცაზე შავი ღრუბელი ვარსკვლავებს გადაეფარა და ერთიმეორის მიყოლებით ჩააქრო. წვიმის მსხვილი წვეთები რაკარუკით ცვიოდა და მოფარდაგებულ მიწაზე შხეფებად იშლებოდა. მალე ღრუბელმა გადაიწია და ვარსკვლავები ისევ აკიაფდნენ. დედა იჯდა და კანკალებდა. ქარმა მხარი იცვალა, ბუჩქნარი დამშვიდდა, ხეების შრიალი ახლა შორიდან ისმოდა. ბანაკიდან ვიოლინოს გულშიჩამწვდომი ხმა გაისმა, ხემის რამდენჯერმე გასმა და მევიოლინემ მელოდიას მიაგნო.

დედასგან მარცხნივ ფრთხილი ნაბიჯების ხმა გაისმა. დაიძაბა. მუხლები გაშალა, თავი ასწია და ყური მიუგდო. შრიალი შეწყდა. კარგა ხნის შემდეგ რაღაც ისევ ამოძრავდა. ლიანას ხლართი გამხმარ ფოთლებს ხმაურით გამოედო. ბუჩქნარიდან შავი, წელში მოხრილი ფიგურა გამოვიდა და სადრენაჟო მილისკენ წავიდა. წამით მილის პირი გადაიფარა, შემდეგ წელში მოხრილი კაცი უკან გაბრუნდა.

— ტომ, — ხმადაბლა დაუძახა დედამ.

კაცი ისე გახევდა, იმდენად მოიხარა, რომ კუნძი გეგონებოდათ. დედამ ისევ დაუძახა:

— ტომ, გესმის, ტომ! — კაცი ამოძრავდა,

— დე, შენ ხარ?

— ჰო, მე ვარ, — დედა წამოდგა და შესაგებებლად გაემართა.

— რატო მოხვედი, დე? — ჰკითხა ტომმა.

— უნდა მენახე. ტომ, სალაპარაკო მაქ.

— ბილიკთან ახლოა, ვინმემ რო გაიაროს, შეიძლება დაგინახოს.

— სამალავი ადგილი არ გაქ?

— როგორ არა, მაქ, მაგრამ ვინმემ ჩემთან ერთად თუ დაგინახა, ყველაფერი ჩაიშლება.

— საჭირო იყო, ტომ.

— კარგი. მაშინ წამომყევი. ფრთხილად იარე.

ტომმა წყალმარჩხ ადგილას შეაბოტა და მდინარე ფეხდაფეხ გადაკვეთა. დედა უკან გაჰყვა. ბუჩქნარი გაიარეს. ტირიფნარის მეორე მხარეს ღია მინდორში გავიდნენ. ბამბის შიშველი ბუჩქები პირქუშად იცქირებოდნენ, ღეროებს აქა-იქ ფითქინა ფთილები შერჩენოდათ. მინდორ-მინდორ კიდევ მილის მეოთხედი გაიარეს, შემდეგ ტომმა ისევ ბუჩქნარში გადაუხვია და მალე ბორცვზე გადაბარჯღლულ მოცხარის ბუჩქებს მიადგა. დაიხარა, ერთმანეთში გაბმული ბარდები გვერდზე გადასწია.

— შეხოხება მოგიწევს, — უთხრა დედას.

დედა ოთხზე დადგა. ხელებქვეშ ქვიშა იგრძნო. წინ წაიწია. სულ მალე ტომის საბანს გამოედო. ტომმა ბარდები თავის ადგილას დააბრუნა. გამოქვაბულში უკუნი სიბნელე ჩამოწვა,

— დე, სად ხარ?

— აქ ვარ. ხმადაბლა ილაპარაკე, ტომ.

— ნუ გეშინია, აქ კურდღელივით ცხოვრებას უკვე მივეჩვიე.

ტომმა თუნუქის თეფშს ქაღალდი შემოაცალა.

— დაბეგვილი ღორის ხორცი და შემწვარი კარტოფილია.

— უჰ, რა კარგია, ჯერ კიდე თბილია.

დედა ვერ ხედავდა, მაგრამ ესმოდა, როგორ კბეჩდა ხორცს, როგორ ღეჭავდა და ყლაპავდა.

— კარგი სამალავია, არა?

— ტომ. — გაუბედავად წამოიწყო დედამ, — რუთმა ყველაფერი წამოაყრანტალა.

— რუთმა? რატო?

— იმის ბრალი არ არი. ბავშვებთან ჩხუბი მოუვიდა და ჩემ ძმას ვეტყვი და შენ ძმას მოკლავსო, უთხრა. ხო იცი, როგორც ხდება ხოლმე. მერე დაუმატებია, ჩემმა ძმამ უკვე მოკლა კაცი და ეხლა იმალებაო.

ტომმა გაიცინა.

— პატარა რო ვიყავი, სუ ძია ჯონით ვიმუქრებოდი, მაგრამ ის არასდროს ჩარეულა. ბავშვების ამბავი ხო იცი. ეგ არაფერი.

— როგორ თუ არაფერი, — უთხრა დედამ, — ჯერ ერთმანეთს ეტყვიან, მერე ოჯახები გაიგებენ, მალე ყველას ეცოდინება. მერე ვინმე იტყვის, მოდი, აბა ვნახოთ, სად იმალებაო და ძებნას დაგიწყებენ. უნდა წახვიდე, ტომ.

— თავიდანვე მინდოდა. სუ მეშინოდა, რო ვინმე დაინახავდა, მილში საჭმელს რო მიტოვებდი.

— ვიცი, მაგრამ მინდოდა, ახლოს მყოლოდი, მეშინოდა. ვერ გხედავ, სახე როგორ გაქ?

— მიხორცდება.

— ახლოს მოდი, ტომ, მოიწიე, ხელით ვიგრძნობ.

დედასთან მიჩოჩდა. დედამ ხელი გაიწოდა და სიბნელეში ტომის სახეს მიაგნო, თითები ცხვირზე ჩამოუსვა, მერე მარცხენა ლოყაზე გადაატარა.

— დიდი ნაიარევი გაქ. ცხვირიც სუ მოგბრეცია.

— იქნებ კარგიც არი, ვერავინ მიცნობს. ჩემი თითის ანაბეჭდები რო არ ქონდეთ, აღარაფერზე ვიდარდებდი. — ტომმა ჭამა განაგრძო.

— ჩუ! რა ხმაა?

— ქარია, დე, ქარი.

ქარმა მდინარეს შეუტია, ხეები შრიალით შეეპასუხნენ.

დედა ტომის ხმას კიდევ უფრო მიუახლოვდა.

— მინდა, რო შეგეხო, ტომ. მინდა, რო დაგიმახსოვრო. ბრმასავით ვარ. თვალები ვერა, მაგრამ თითები დაგიმახსოვრებენ. უნდა წახვიდე. ტომ.

— ჰო, თავიდანვე ვიცოდი.

— კარგად ვიმუშავეთ, ცოტა ფულის გადადება მოვახერხე. ხელი მომეცი, აქ შვიდი დოლარია.

— არ გამოგართმევ. — უთხრა ტომმა, — უფულოდაც მოვახერხებ რამეს.

— ხელი მომეცი, ტომ. გინდა, რო დარდით თვალი ვეღარ მოვხუჭო? იქნებ ავტობუსით წახვიდე. შორს წადი, ტომ შორს, სამასი-ოთხასი მილის იქით.

— ფულს არ გამოგართმევ

— ტომ, — მკაცრი ხმით უთხრა დედამ, — გამომართვი, გესმის? რა უფლება გაქ, რო გული მატკინო?

— ეჰ, სამართალი სად არი, — თქვა ტომმა.

— დიდ ქალაქში წადი, ლოს ანჯელესში, მაგალითად, იქ არავინ მოგძებნის.

— მისმინე, დე, დღე და ღამე მარტო ვარ და სულ ვფიქრობ. იცი ვინ მახსენდება ხოლმე? კეისი. ბევრს ლაპარაკობდა, ხანდახან მაწუხებდა კიდეც, მაგრამ ეხლა ყველაფერი, ყოველი სიტყვა მახსენდება. ერთხელ მითხრა, უდაბნოში წავედი, რო ჩემი სული მეპოვაო, მაგრამ იქ მივხვდი, რო ცალკე ჩემი სუ-

ლი არ არსებობს, ის ერთი დიდი სულის ნაწილიაო. მარტოობა სიკეთეს არ მომიტანს, იმიტო რო დიდი სულის ჩემი ნაწილი ცალკე არაფრის მაქნისია, დანარჩენს უნდა შეუერთდეს და ერთ მთელად იქცესო. უცნაურია, რა კარგად მახსოვს. მე მეგონა, რო არ ვუსმენდი. ეხლა ვხვდები, რო კაცი მარტო არ უნდა დარჩეს.

— კარგი კაცი იყო, — თქვა დედამ.

— ერთხელ პირი მოხსნა და წმინდა წერილიდან ნაწყვეტების კითხვა დაიწყო. მაგრამ ჯოჯოხეთის ცეცხლში დაწვაზე კი არ იყო ან სამუდამო ტანჯვაზე, არა. ორჯერ გაიმეორა და კარგად მახსოვს. ეკლესიასტედან არიო, თქვა.

— რაო, რა თქვა, ტომ?

— „მარტო ყოფნას სჯობს ორნი იყვნენ, რადგან კეთილად მიეზღვებათ მათ საშრომელში. თუ დაეცნენ, ერთი მაინც წამოაყენებს თავის ამხანაგს. მაგრამ ვაი, მარტომყოფს, თუ დაეცა ვინღა უშველის“, — ეს ერთი ნაწილია.

— მერე? — განაგრძე, ტომ.

— მერე — „თუ ორნი დაწვნენ, გათბებიან; მარტომყოფს კი რაღა გაათბობს“, — და კიდე ეს, — „თუ ერთს დასძლევს ვინმე. ორი ხომ გაუმკლავდება. მალე არ გაწყდება სამმაგი ძაფი“.

— წმინდა წერილიდანაა?

— ჰო, კეისიმ ესე თქვა. ეკლესიასტე ქვიაო.

— ჩუ! რისი ხმაა?

— ქარია, დე, ქარი. ბევრი ვიფიქრე, დე. თითქმის ყველა ქადაგება ღარიბებზეა, თუ არაფერი გაბადია, გულზე ხელები დაიკრიფე და ფეხებზე დაიკიდეო, გეუბნებიან, სამაგიეროდ, რო მოკვდები, იქ ნაყინს ოქროს ლანგრით მოგართმევენო. აქ კიდე სხვანაირად არი, ეკლესიასტე ამბობს, ორს კეთილად მიეზღვევათ მათ საშრომელშიო.

— ტომ, რას აპირებ? — ჰკითხა დედამ.

ტომი ერთხანს ჩუმად იყო. ბოლოს თქვა:

— სუ მთავრობის ბანაკი მახსენდება ხოლმე. თავის თავს თითონ უვლიდნენ, ჩხუბი თუ აიწეოდა, თითონ აგვარებდნენ, პოლიციელები იარაღის ჟღარუნით არ დადიოდნენ, მაგრამ ისეთი წესრიგი იყო, რო სადაც პოლიციები არიან, იქ ეგეთი არც კი უნახავთ. ჩემთვის ვიფიქრე, რატო არ შეიძლება, რო ყველგან ესე იყოს-მეთქი. პოლიციელები რო გავყაროთ — ისინი ჩვენიანები არასდროს იქნებიან — და ყველამ ერთად, ჩვენი თავისთვის ვიმუშაოთ, ჩვენ მიწაზე, ჩვენ-ჩვენ სახლებში ვიცხოვროთ.

— ტომ, რას აპირებ? — კითხვა გაიმეორა დედამ.

— იმას, რასაც კეისი აპირებდა.

— კეისი მოკლეს.

— მოკლეს, დარტყმის აცილება ვერ მოასწრო. დე, ის კანონის წინააღმდეგ არაფერს აკეთებდა. ფიქრისგან ლამის თავი გამისკდეს... ჩვენი ხალხი ღორებივით ცხოვრობს, ამდენი ნაყოფიერი მიწა კიდე დაუმუშავებელია. ან ერთ კაცს მილიონი აკრი აქ ნაყიდი და ათასობით კარგი ფერმერი შიმშილობს. რა იქნება, რო გავერთიანდეთ და ყვირილი ავტეხოთ, როგორც ჰუპერის ფერმაში ატეხა რამდენიმე კაცმა...

— გაგანადგურებენ და ბოლოს მოგკლავენ, როგორც იმ საწყალ ფლოიდს უქნეს.

— ისედაც მანადგურებენ, მარტო მე კი არა, ყველას.

— ტომ, კიდე ხო არ აპირებ ვინმეს მოკვლას?

— არა. ჩემთვის ვიფიქრე, მაინც ძებნილი ვარ და იქნებ... ჯანდაბა, ჯერ არც კი ვიცი, რას გავაკეთებ. დე, ეხლა არ გინდა, ნუღარ დამიმატებ.

ბარდებით დაგმანულ გამოქვაბულში უკუნეთი იდგა.

— და შენზე არაფერი მეცოდინება. რო მოგკლან ან დაგასახიჩრონ, როგორ გავიგო?

ტომმა სევდიანად ჩაიცინა.

— თუ მართლა ისეა, როგორც კეისიმ თქვა, თუ კაცის სული დიდი სულის ნაწილია, მაშინ...

— მაშინ რა, ტომ?

— მაშინ სადარდებელი არაფერი გაქ. სიბნელეში ვიდგები და შენ მაინც დამინახავ, საითაც გაიხედავ, ყველგან ვიქნები, დე, იქ ვიქნები, სადაც მშიერი ხალხი პურისთვის იბრძოლებს, სადაც პოლიციელი კაცს სცემს. თუ კეისი მართალი იყო, იმათთან ვიქნები, ვინც ვერ მოითმენს და იყვირებს, მშიერ ბავშვებთან ვიქნები, დე. და შინ დაბრუნებულებს ვახშამი მზად რო დახვდებათ, მეც მათთან ერთად ვიმხიარულებ, ჩვენი ხალხი რო თავის აშენებულ სახლებში თავის მოწეულს შეჭამს, მაშინაც იქ იქნები. გაიგე? ღმერთო, კეისივით ვლაპარაკობ, იმდენი ვიფიქრე, ზოგჯერ მეჩვენება, რო ვხედავ კიდეც.

— ვერ გავიგე, ტომ, არ მესმის.

— არც მე, — უთხრა ტომმა, — ეს ჩემი ფიქრებია. კაცი რო მარტოა და არაფერს აკეთებს, ათას რამეზე ფიქრობს. შენი წასვლის დროა.

— ეს ფული გამომართვი.

წამით გაჩუმდა და მერე:

— კარგი, — თქვა ტომმა.

— ყველაფერი რო ჩაწყნარდება, ხო დაბრუნდები, ტომ, ხო მოგვძებნი?

— აბა რას ვიზამ. ეხლა წადი. დე, ხელი მომეცი.

გასასვლელისკენ მიუშვა. დედას თითებით მისი მაჯა ეჭირა. მეორე ხელით ტომმა ბარდები გადასწია და დედას გარეთ გაჰყვა.

— მინდორზე იარე, სანამ ნაპირზე ჭადრები გამოჩნდება და იქ მდინარეზე გადადი. ნახვამდის, დე.

— ნახვამდის, — თქვა დედამ და სწრაფი ნაბიჯით წავიდა. ცრემლი თვალებს სწვავდა, მაგრამ არ უტირია. მყარი, გაბედული ნაბიჯებით მიდიოდა. ფოთლებს შრიალი გაჰქონდათ. ბუჩქნარს თავი რომ დააღწია, მოქუფრული ციდან წვიმის მსხვილი წვეთები წამოცვივდნენ და ხმელ ფოთლებზე ტყაპატყუპი ატეხეს. რამდენიმე წუთი გალუმპულ ბუჩქებს შორის იდგა. მერე უკან შეტრიალდა და ბარდების გამოქვაბულისკენ სამი ნაბიჯი გადადგა. ისევ შეჩერდა, ისევ შებრუნდა და გეზი ვაგონებისკენ აიღო. სადრენაჟო მილს ჩაუარა და მიწაყრილიდან გზაზე გადავიდა. წვიმამ გადაიღო, მაგრამ ცა ისევ მოღრუბლული იყო. მის უკან ნაბიჯების ხმა გაისმა. დედა დაფრთხა და სწრაფად შეტრიალდა. მიწაზე ელექტროფარნის სუსტი შუქი თამაშობდა. დედამ ნაბიჯს აუჩქარა. კაცი წამოეწია. თავაზიანად, ისე რომ სახეში ფარანი არ შეუნათებია, მიესალმა:

— საღამო მშვიდობისა.

— საღამო მშვიდობისა, — მიუგო დედამ.

— ისეთი პირი უჩანს, ალბათ იწვიმებს.

— ჩაგვეშლება კიდეც კრეფა, არადა, როგორ გვჭირდება.

— კრეფა მეც მჭირდება. თქვენ ამ ბანაკში ცხოვრობთ?

— დიახ, სერ.

გზაზე ფეხშეწყობილები მიაბიჯებდნენ.

— ოცი აკრი ნაკვეთი მაქვს. წელს ბამბას ცოტა დააგვიანდა, მაგრამ ახლა მომწიფებულია. ვიფიქრე, ბანაკში მივალ, იქნებ მკრეფავები ვიშოვო-მეთქი.

— რასაკვირველია, იშოვით. აქ კრეფა უკვე მთავრდება.

— კარგი იქნება. ჩემი ნაკვეთი აქვეა, ორი მილიც არ იქნება იქამდე.

— ჩვენ ექვსნი ვართ, — უთხრა დედამ, — სამი კაცი, მე და ორი ბავშვი.

— წარწერას გამოვაკრავ. ორი მილიც არ იქნება.

— დილას იქ ვიქნებით.

— იმედი მაქვს არ იწვიმებს.

— მეც. ოცი აკრი მალე დაიკრიფება

— რაც მალე, მით უკეთესი ჩემთვის. წელს დათესვა დამაგვიანდა.

— რამდენს იხდით, მისტერ?

— ოთხმოცდაათ ცენტს.

— დილიდან დავიწყებთ. ხალხი ამბობს, გაისად სამოცდათხუთმეტ ცენტამდე ჩამოვაო, ზოგი იმასაც ამბობს, სამოცზე მეტს არავინ გადაიხდისო.

— მეც გავიგე.

— გაჭირდება საქმე,

— ვიცი, მაგრამ ჩემნაირ წვრილფეხობას არაფერი შეუძლია, ფასებს ასოციაცია ადგენს და გვინდა თუ არა, უნდა გავითვალისწინოთ, არადა, ფერმებს დავკარგავთ. ყველა მხრიდან ჩვენ გვიტევენ ხოლმე.

ბანაკს მიუახლოვდნენ.

— დილით მოვალთ, — უთხრა დედამ, — აქ თითქმის აღარაფერია მოსაკრეფი.

ბოლო ვაგონისკენ შებრუნდა და ფიცარნაგზე ავიდა. ფარნის სუსტი შუქი ვაგონის კედლებზე პირქუშ ჩრდილებს ხატავდა. მამა, ძია ჯონი და ვიღაც ხნიერი კაცი კედელთან ჩაცუცქულიყვნენ.

— საღამო მშვიდობისა, მისტერ უეინრაიტ.

კაცმა თავი ასწია, დახვეწილი სახის ოვალი და მორკალული წარბების ქვეშ ღრმადჩამჯდარი თვალები ჰქონდა. თეთრ თმაზე მოცისფრო ელფერი დაჰკრავდა, წვერით დაფარული ყბები და ნიკაპი ვერცხლით მოსევადებულს მიუგავდა.

— საღამო მშვიდობისა, მემ, — თქვა მან.

— ხვალ საკრეფად მივდივართ, — გამოაცხადა დედამ, — აქედან ორი მილია. ოცი აკრი ყოფილა დასაკრეფი.

— მოდი, სატვირთოთი წავიდეთ, მალე მივალთ და მეტის დაკრეფას მოვასწრებთ.

უეინრაიტი აფორიაქდა.

— ჩვენც რო წამოვიდეთ, შეიძლება?

— როგორ არ შეიძლება, გზაში კაცი დამეწია, აქ მოდიოდა, მკრეფავები მჭირდებაო, თქვა.

— აქ უკვე მოილია. რაც დარჩა უვარგისია, კაცი იმაზე ფულს ვერ იშოვის. ჯერ უნდა გაასუფთავო და მერე ააწონინო.

— იქნებ ერთად წავიდეთ, — განაგრძო დედამ, — საწვავის ფული გავიყოთ.

— კარგი იქნება, მადლობა, მემ.

— ორივე ვიხეირებთ, — უპასუხა დედამ.

— მისტერ უეინრაიტი აქ იმიტო მოვიდა, რო დარდი გაგვიზიაროს, სწორედ ეხლა ვსაუბრობდით, — თქვა მამამ.

— რა მოხდა?

უეინრაიტმა თავი ჩაქინდრა და იატაკს დააცქერდა.

— ჩვენი ეგი უკვე დიდი გოგოა, თექვსმეტის ხდება.

— ეგი ლამაზი გოგოა, — თქვა დედამ.

— მოუსმინე, — ჩაერია მამა.

— ეგი და თქვენი ელი ყოველ საღამოს ერთად ატარებენ. ეგი მოწიფული ჯანმრთელი გოგოა, ქმარი სჭირდება, სხვანაირად უბედურებაში გავეხვევით. ჩვენ ოჯახში ეგეთი რამე

არასდროს მომხდარა. ეხლა ისე გავღატაკდით... მე და მისის უეინრაიტს ძალიან გვეშინია, რა უნდა ვქნათ, რამე უბედურება რო დაემართოს?

დედამ ლეიბი გაშალა და ჩამოჯდა.

— ეხლაც ერთად არიან?

— ყოველ ღამე ერთად არიან, — უთხრა უეინრაიტმა, — ყოველ ღამე.

— ელი სანდო ბიჭია. ასაკი აქ ისეთი, რო ცოტა მამლაყინწობს, თორე დასაწუნი არაფერი ჭირს. უკეთეს შვილს ვერც ვინატრებდი.

— არა, არა, ელს კი არ ვიწუნებთ, პირიქით, მოგვწონს, მაგრამ გვეშინია, ეგი დიდი გოგოა. ვინ იცის, იქნებ თქვენ მოგიხდეთ წასვლა ან ჩვენ, და მერე უცბად აღმოჩნდეს, რო უსიამოვნებაში ვართ გახვეულები. ჩვენი ოჯახი არასდროს არავის შეურცხვენია.

— დაველაპარაკებით, ჩავერევით, თქვენს ოჯახს სირცხვილს არ ვაჭმევთ.

უეინრაიტი სწრაფად წამოდგა.

— მადლობა, მემ. ეგი კარგი გოგოა, წესიერი. დაქალდა და რა ქნას, მისი ბრალი ხო არ არი. მადლობელი ვიქნები, მემ, თუ ჩემს ოჯახს სირცხვილს აარიდებთ.

— მამა დაელაპარაკება, — უთხრა დედამ, — თუ არ მოინდომებს, მერე მე დაველაპარაკები.

— ღამე მშვიდობისა, — თქვა უეინრაიტმა, — და კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით.

ფარდის უკან, ვაგონის მეორე მხარეს გავიდა და მისის უეინრაიტს საგანგებო დავალების შედეგი ხმადაბლა მოახსენა.

დედამ წამით ყური მიუგდო და კაცებს მიუბრუნდა.

— მოდით, აქ დასხედით.

მამა და ძია ჯონი მძიმედ წამოდგნენ და დედას გვერდით, ლეიბზე დასხდნენ.

— ბავშვები სად არიან?

მამამ თითი კუთხისკენ გაიშვირა.

— რუთი უინფილდს ეცა და სცემა. დავსაჯე და დავაწვინე, ალბათ უკვე სძინავთ. შარონის ვარდი თავის ნაცნობ ქალთან გადავიდა.

დედამ ამოიოხრა.

— ტომი ვნახე. — ხმადაბლა თქვა დედამ, — რაც შეიძლება შორს წადი-მეთქი, ვურჩიე.

მამამ ნელა დააქნია თავი. ძია ჯონს ნიკაპი ჩამოუვარდა.

— სხვა გამოსავალი არ არი. შენ რას ფიქრობ, ჯონ?

ძია ჯონმა მამას შეხედა.

— მე ვეღარაფერზე ვფიქრობ, ესე მგონია, ყველაფერი სიზმარში ხდება.

— კარგი ბიჭია ჩვენი ტომი, — თქვა დედამ. მამას მიუბრუნდა და მოუბოდიშა, — არ იფიქრო, რო შენთვის გულის ტკენა მინდოდა და უეინრაიტს იმიტო ვუთხარი, ელს მე დაველაპარაკები-მეთქი.

— ვიცი, — ხმადაბლა თქვა მამამ, — ჩემგან სარგებელი აღარ არი. მარტო იმაზე ვფიქრობ, ადრე რაც იყო, სუ ჩვენი სახლი მახსენდება. ხო ვიცი, რო ვეღარასდროს ვნახავ, მაგრამ მაინც.

— აქ უფრო ლამაზი მიწებია, — უთხრა დედამ.

— ვიცი, მაგრამ მე ვერც ვამჩნევ. იმაზე მეფიქრება, რო ეხლა ჩვენს ტირიფებს ფოთლები სცვივა. ზოგჯერ ყველაფერი მავიწყდება ხოლმე და მგონია, რო უნდა ავდგე და ჩვენი ღობე შევაკეთო. მიკვირს, ქალი მართავს ოჯახს, ქალი გვეუბნე-

ბა სად წავიდეთ და რა გავაკეთოთ, მე კიდე ისე ვუყურებ, თითქოს არაფერი ხდებოდეს.

— ქალები უფრო ადვილად ეგუებიან ცვლილებებს, — დამამშვიდებელი ტონით თქვა დედამ, — ქალებს ცხოვრება მკლავებში აქვთ მოქცეული, კაცებს — თავში. ნუ გწყინს, იქნებ... იქნებ გაისად პატარა ნაკვეთიც იყიდოთ.

— ეხლა არაფერი გვაქ. — თქვა მამამ, — აქ დიდი ხანი აღარ იქნება სამუშაო, მოსავალი უკვე აღებულია. რა ვქნათ? საჭმელი როგორ ვიყიდოთ? შარონი მალე გააჩენს და... დაფიქრებაც არ მინდა. წარსულ დროს ვიხსენებ, რო ფიქრს თავი ავარიდო. ესე მგონია, დამთავრდა ჩვენი ცხოვრება

— არა, მა, — გაიღიმა დედამ, — არ დამთავრებულა. ქალებმა სწორედ ეგ იციან. დავაკვირდი, მა, და მივხვდი, კაცებს ბიძგები აცხოვრებთ; ბავშვი დაიბადება ან კაცი მოკვდება — ბიძგია, ფერმას იყიდის ან დაკარგავს — ისიც ბიძგია. ქალებისთვის ცხოვრება დინებაა, მდინარესავით მიდის, ხან პატარა მორევი დატრიალდება, ხან ჩანჩქერი წაგიღებს, მაგრამ მდინარე არ ჩერდება, მიედინება. ქალები ესე ხედავენ ცხოვრებას. არ დავიხოცებით, მა, ხალხი შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ სიცოცხლეს გააგრძელებს.

— საიდან იცი? — ჰკითხა ძია ჯონმა, — რა შეუშლის ხელს, რო ყველაფერი გაჩერდეს? რა შეუშლის ხელს, რო დაღლილი ხალხი არ დაეცეს?

დედა დაფიქრდა. ფაფუკი ხელების ზურგი ერთმანეთს გაუსვა, მარჯვენის თითები მარცხენა ხელის თითებშორის შეაცურა და უპასუხა:

— ძნელი სათქმელია. ყველაფერი რასაც ვაკეთებთ, წინ გვამოძრავებს, მე ესე მგონია. ვიღაცას შია, ვიღაც ავადაა, ვი-

ღაც კვდება, მაგრამ დანარჩენები ძლიერდებიან. ყოველ დღეს უნდა გაუძლო, ჯონ, ყოველი დღით უნდა იცხოვრო.

— მაშინ რო არ მომკვდარიყო...

— თავს ნუ იტანჯავ, დღევანდელი დღით იცხოვრე.

— ჩვენს მხარეში გაისად კარგი მოსავალი იქნება, — თქვა მამამ.

— ჩუ! უსმინეთ!

ფიცარნაგიდან ფრთხილი ნაბიჯების ხმა გაისმა. მერე ფარდა გადაიხსნა და ელი გამოჩნდა.

— გაუმარჯოს, მე მეგონა, გეძინათ.

— ვლაპარაკობდით, ელ, მოდი, ჩვენთან დაჯექი.

— კარგი, მეც მინდოდა თქვენთან დალაპარაკება. მალე წასვლა მომიწევს.

— ვერ წახვალ, ჩვენ გვჭირდები, ელ. რატო ამბობ, რო წასვლა მოგიწევს?

— მე და ეგი უეინრაიტს დაქორწინება გვინდა, გარაჟში სამუშაო უნდა ვიშოვო და ცოტა ხნით სახლი ვიქირაოთ და, — ოჯახის წევრებს მკაცრი თვალით გადახედა, — ესე გვინდა და ვერავინ შეგვაჩერებს!

ელს გაშტერებულები უცქერდნენ.

— რა კარგია, ელ, არც იცი, როგორ გაგვახარე. — უთხრა დედამ.

— მართლა?

— აბა რა! უკვე დიდი ხარ, ცოლი გჭირდება, მაგრამ ეხლა ნუ წახვალ, ელ.

— ეგის დავპირდი, — უნდა წავიდეთ, აქ ვეღარ გავჩერდებით.

— გაზაფხულამდე. — შეევედრა დედა, — გაზაფხულამდე დარჩი ელ, სატვირთოს ვინ მართავს, შენ თუ წახვედი?

— მაგრამ...

— უკვე გაიგეთ? — ფარდა გადასწია მისის უეინრაიტმა.

— ამ წუთას გავიგეთ.

— ღმერთო! ნეტა ნამცხვარი გვქონდეს, ან რა ვიცი, რამე.

— ყავას მოვადუღებ და ბლინებს გამოვაცხობ, სიროპიც გვაქ.

— კარგი, კარგი, ცოტა შაქარს მოვიტან და შაქრიანი ბლინები გამოვაცხოთ.

დედამ ღუმლის კარი გამოაღო და მინავლებულ ნაკვერჩხალს ფიჩხი დააყარა. ცეცხლი აგიზგიზდა, რუთი და უინფილდი ისე გამოძვრნენ ლოგინიდან, როგორც კიბო-განდეგილები ტოვებენ ხოლმე ნიჟარას: თავიდან ფრთხილად იყვნენ, ამოწმებდნენ, კიდევ დამნაშავეებად მიიჩნევდნენ თუ არა. როდესაც დარწმუნდნენ, რომ მათთვის არავის ეცალა, გათამამდნენ. რუთმა ნახევარი ვაგონი ასკინკილით შემოირბინა ისე, რომ კედელს ხელი არ შეხებია.

შარონის ვარდმა ფიცარნაგი რომ აიარა, დედა ჯამში ფქვილს ყრიდა. შარონი წელში გაიმართა და დედას ფრთხილად მიუახლოვდა

— რა მოხდა?

— ახალი ამბავი გვაქ! — შესძახა დედამ, — პატარა წვეულებას ვაწყობთ. ელი და ეგი უეინრაიტი დაქორწინებას აპირებენ.

შარონის ვარდი ადგილზე გაშეშდა, ძმას თვალი შეავლო. ელი აფორიაქებული და დაბნეული ჩანდა.

ვაგონის მეორე მხარეს მისის უეინრაიტის ხმა გაისმა:

— ეგის გამოვპრანჭავ. სუფთა კაბას გადავაცმევ და ეხლავე მოვალ.

შარონის ვარდი ნელა შებრუნდა. ფართო კართან მივიდა, ფიცარნაგი ჩაიარა და როგორც კი ფეხებქვეშ მიწა იგრძნო, ნელა გაემართა მდინარისკენ; ბილიკს იქით გაუყვა, საითაც ცოტა ხნის წინ დედა მიდიოდა. ტირიფნარში შეაბიჯა. ქარი თანაბრად უბერავდა, ბუჩქებს შრიალი გაჰქონდათ. შარონი მუხლებზე დაეშვა და ბუჩქნარის სიღრმეში შეხოხდა. კენკრის ეკალბარდები სახეს უკაწრავდა, თმაზე ედებოდა, მაგრამ ვერც კი ამჩნევდა. მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როცა ტოტები მთელ სხეულზე შემოეჭდვნენ და გზა ჩაუხერგეს. ზურგზე გადაწვა და ტანი გამართა, მუცელში ბავშვის ტოკვა იგრძნო.

ჩაბნელებული ვაგონის კუთხეში დაგებულ ლეიბზე დედა აწრიალდა. მერე საბანი გადაიძრო და წამოდგა ვაგონის ღია კარიდან ვარსკვლავების სუსტი შუქი იჭრებოდა. დედა კართან მივიდა, გარეთ გაიხედა. აღმოსავლეთით ვარსკვლავები ფერმკრთალდებოდნენ. ტირიფნარში ქარი შრიალებდა, მდინარიდან წყლის ხმადაბალი დუდუნი ისმოდა. ხალხს ჯერ კიდევ ეძინა, მაგრამ ერთ-ერთი კარვის წინ უკვე ცეცხლი გაეჩაღებინათ. კაცები კოცონის გარშემო შეკრებილიყვნენ, თბებოდნენ, აცეკვებული ალი სახეებს უნათებდათ და დედა ხედავდა, რომ კაცები ხელებს იფშვნეტდნენ, მერე ტრიალდებოდნენ, ხელებს უკან იწყობდნენ და ცეცხლს ზურგით ეფიცხებოდნენ. დროდადრო ქარი მოვარდებოდა ხოლმე, ბუჩქებს ააფორიაქებდა და უკან იხევდა. შემოდგომის სუსხი იკბინებოდა. დედას გააკანკალა, ხელები ერთმანეთს გაუსვა და ვაგონში ფეხაკრეფით შებრუნდა. ფარნის გვერდით ასანთს ხელის ცეცებით მიაგნო, ფითილს მოუკიდა, დააცადა, რომ ცისფერი ალი გაყვითლებულიყო, მორკალულიყო და სანამ ხმელ ტოტებს დაამტვრევდა, იქვე, ღუმელზე დადგა. სულ ცოტა ხანში საკვამურში ცეცხლი აგუგუნდა.

შარონის ვარდი გვერდზე გადაგორდა და ლეიბზე წამოჯდა.

— ეხლავე ავდგები, — თქვა მან.

— რატო, იწექი, სანამ დათბება.

— არა, ავდგები.

დედამ სათლიდან ყავადანში წყალი ჩაასხა და ცეცხლზე შემოდგა. სიმინდის კვერებისთვის ცხიმიანი ტაფა გააცხელა.

— რა დაგემართა? — ჰკითხა შარონს.

— მეც მოვდივარ.

— სად მოდიხარ?

— ბამბის საკრეფად.

— შენთვის არ შეიძლება.

— შეიძლება.

დედამ წყალში ყავა ჩაყარა.

— შარონ, წუხელ ბლინები რო გავაკეთე, ჩვენთან ერთად რატო არ ჭამე?

გოგონამ არ უპასუხა.

— რატო გინდა ბამბის მოკრეფა?

გოგონამ არც ამჯერად უპასუხა.

— ეგის და ელის გამო? — დედამ შარონი ყურადღებით შეათვალიერა. — არ არი ბამბის კრეფა საჭირო.

— უნდა წამოვიდე.

— კარგი, მაგრამ თავს ძალა არ დაატანო.

— მა, გაიღვიძე! ადექი!

მამამ თვალები დაახამხამა და დაამთქნარა.

— ვერ გამოვიძინე, თერთმეტი იქნებოდა, რო დავწექი, — ხვნეშით უპასუხა მამამ.

— ადექით! ყველა ადექით. დაიბანეთ!

ვაგონის მკვიდრნი ნელ-ნელა ცხოვრებას უბრუნდებოდ-ნენ. საბნებიდან თავები გამოყვეს და სიცივისგან აკანკალე-ბულებმა ტანსაცმელი გადაიცვეს. დედამ დამარილებული ღორის ხორცი ტაფაში ჩაჭრა.

— ჩქარა გადით და დაიბანეთ! — განკარგულება გასცა დე-დამ.

ვაგონის მეორე ბოლო განათდა, ხმელი ტოტების მტვრე-ვის ხმა გაისმა.

— მისის ჯოუდ, — დაიძახა მისის უეინრაიტმა, — უკვე ფეხზე ვართ, მალე მზად ვიქნებით.

— რა საჭიროა ესე ადრე ადგომა? — ჩაიბუზღუნა ელმა.

— სულ ოცი აკრია, — უთხრა დედამ, — ცოტაა დასაკრეფი, მალე უნდა მივიდეთ, თორე აღარაფერი დარჩება. — დედა სწრაფად ამზადებდა საუზმეს და თან ოჯახს აჩქარებდა. — მო-დით, ყავა დალიეთ, მალე უნდა გავიდეთ.

— დე, სიბნელეში ხო არ დავიწყებთ კრეფას.

— სანამ იქ მივალთ, გათენდება.

— თან ნაწვიმარია.

— ცოტა ხანს წვიმდა. ყავა დალიეთ. ელ, რო მორჩები, მან-ქანა დაქოქე.

— მზად ხართ, მისის უეინრაიტ? — გასძახა დედამ.

— თითქმის. ვსაუზმობთ, ერთ წუთში მზად ვიქნებით.

ბანაკი იღვიძებდა. კარვების წინ ცეცხლი გაეჩაღებინათ. ვაგონების საკვამურებიდან კვამლი იფრქვეოდა.

ელმა ყავა გადაკრა და პირი ნალექით გაევსო. ფიცარნაგ-ზე რომ ჩარბოდა, რამდენჯერმე გადააპურჭყა.

— ჩვენ მზად ვართ, მისის უეინრაიტ, — გასძახა დედამ და შარონს მიუბრუნდა, — უნდა დარჩე, შარონ.

შარონმა ნიკაპი წინ გაიშვირა.

— მოვდივარ, — თქვა მან, — უნდა წამოვიდე.

— ბამბის ჩანთა არ გაქვს, რო გქონდეს, მაინც ვერ ათრევ.

— შენ ჩანთაში ჩავყრი.

— იქნებ გადაიფიქრო, შარონ.

— არა, მოვდივარ.

— კარგი, მაშინ თვალს არ მოგაშორებ. ოჰ, როგორ მინდოდა, რო ექიმთან წამეყვანე.

შარონის ვარდი აფორიაქებული ჩანდა. მსუბუქი ქურთუკი მოიცვა და ისევ გაიხადა.

— გადასაფარებელი წამოიღე, — უთხრა დედამ, — დასვენება რო მოგინდება, თბილად იქნები.

ვაგონის უკან სატვირთომ დაიბღუვლა.

— წავედით, პირველები უნდა მივიდეთ! — აღტაცებით წამოიძახა დედამ, — ტომრები წამოიღეთ. რუთ, პერანგით რო ჩანთა შეგიკერე, არ დაგრჩეს.

უეინრაიტები და ჯოუდები სატვირთოზე ავიდნენ. ცას მკრთალი შუქი შეეპარა, განთიადი შორს აღარ იყო.

— მარცხნივ გაუხვიე, — უთხრა ელს დედამ, — წარწერა უნდა იყოს გამოკრული.

ჩაბნელებულ გზას ნელი სვლით გაუდგნენ. უკან მანქანების მთელი რიგი მიჰყვებოდათ. ბანაკში სატვირთოები ერთიმეორის მიყოლებით იქოქებოდა, ხალხით იტვირთებოდა, გზატკეცილზე გადიოდა და მარცხნივ უხვევდა. გზის მარჯვენა მხარეს საფოსტო ყუთზე მიმაგრებულ მუყაოს ნაჭერზე ფანქრით წაეწერათ: „გვესაჭიროება ბამბის მკრეფავები“.

ელმა ჭიშკრისკენ გადაუხვია. ფერმის ეზო მანქანებით გადავსებული დახვდათ. თეთრი ფარდულის თავზე გამოკიდებული ელექტროფარანი სასწორთან შეჯგუფულ ხალხს დასცქეროდა. მკრეფავებს ტომრები დაეკეცათ და იღლიის ქვეშ

ამოედოთ, ზოგს ცარიელი ტომარა ბეჭებზე მოსასხამივით მოეგდო.

— არც ისე ადრე მოვსულვართ, როგორც გვეგონა, — თქვა ელმა და მანქანა ღობესთან მიაყენა. ორივე ოჯახი სატვირთოდან ჩამოვიდა და მომლოდინეთა რიგს შეუერთდა.

გზიდან უწყვეტ ნაკადად უხვევდნენ მანქანები და რიგს სულ უფრო მეტი ხალხი უერთდებოდა, ფარდულის ბოლოს, ფარნის შუქქვეშ, მეპატრონე აღრიცხვას აწარმოებდა.

— ჰოული? ჰ-ო-უ-ლ-ი? რამდენი ხართ?

— ოთხნი. უილი...

— უილი, — ჩაინიშნა მეპატრონემ.

— ბენტონი...

— ბენტონი.

— ამელია...

— ამელია.

— კლერი...

— კლერი. შემდეგი ვინ არის? კარპენტერი? რამდენი ხართ?

— ექვსნი.

წიგნაკში იწერდა და მათი სახელების გასწვრივ ადგილს ტოვებდა, რომ შემდეგ წონა აღენიშნა.

— ტომრები გაქვთ? მე რამდენიმე მაქვს. დოლარი ღირს, გამოგიქვითავთ. — ეზოში მანქანები ერთიმეორის მიყოლებით შედიოდნენ. აფორიაქებულმა მეპატრონემ დათბილული ტყავის ქურთუკის საყელო აიწია, გზას გადახედა და თქვა:

— რამდენი ხალხი მოგროვდა, ჩემი ოცი აკრის მოკრეფას დიდი დრო არ დასჭირდება.

ბავშვები ბამბის გადამზიდ დიდ მისაბმელში აძვრნენ და ფეხის თითების მავთულის ხლართებში გაყოფით თავს იქცევ-დნენ.

— არ დაგლიჯოთ ეგ მავთული, ჩქარა ჩამოდით მაქედან! — დაუყვირა მეპატრონემ. — ბავშვები დაფრთხნენ და მისაბმე-ლიდან უსიტყვოდ ჩამოძვრნენ.

განთიადს რუხი სინათლე შეემატა.

— ნესტის გამო დაქვითვა მომიწევს, — თქვა მეპატრონემ, — მზე ამოვა და სრულ წონას მერე ვიანგარიშებ. კარგი, როცა გინდათ, მაშინ დაიწყეთ. გათენდა, უკვე დაინახავთ.

ხალხი მინდორს შეესია. ყველამ თავისი რიგი დაიკავა. წელზე ბამბის ტომრები შეიბეს, ხელი ხელს შემოჰკრეს, რომ სიცივისგან გაშეშებული თითები აემოძრავებინათ, რადგან კრეფის დროს სიმარჯვე და სისხარტე სჭირდებოდათ. განთი-ადმა აღმოსავლეთით გორები შეაფერადა და ხალხი რიგე-ბისკენ დაიძრა. გზატკეცილიდან კვლავ გადმოდიოდნენ მან-ქანები და რადგან ეზოში ტევა აღარ იყო, გზის გასწვრივ ჩერ-დებოდნენ.

— არც კი ვიცი, ამდენმა ხალხმა როგორ გაიგო, — ამბობდა მეპატრონე, — ესე როგორ მოედო აქაურობას ამბავი. ჩემი ოცი აკრი შუადღემდე დაიკრიფება. თქვენი სახელი? ჰიუმი? რამდენი ხართ?

ბამბის რიგებში ჩამდგარი მკრეფავები შეუჩერებლად მოძ-რაობდნენ. დასავლეთის ძლიერ ქარს ლამის ტანსაცმელი შე-მოეგლიჯა. თითები სხარტად კრეფდნენ კოლოფებს და სწრა-ფად ყრიდნენ უკვე დამძიმებულ ტომრებში. მამა თავისი რი-გის მეზობელს გამოელაპარაკა.

— ჩვენს მხარეში ესეთი ქარის მერე წვიმა იცოდა. ცოტა ზედმეტად ცივა, არა? რამდენი ხანია რაც აქ ხარ? — ისე ჰკითხა მამამ, რომ ბამბის ბუჩქისთვის თვალი არ მოუშორებია.

თავი არც მეზობელს აუწევია.

— წელიწადია.

— რას იტყვი, იწვიმებს?

— მე რა ვიცი. არ გეწყინოს, მაგრამ მე კი არა, წლობით აქ ვინც ცხოვრობს, იმათაც არ შეუძლიათ წინასწარ თქმა. მოსავლის აღების დრო რო მოვა, წვიმაც მაშინ დაიწყება, რო ხელი შეგიშალოსო, აი, აქაურები ესე ამბობენ.

მამამ თვალი ჰკიდა დასავლეთს. ქედების თავზე შექუჩებულ შავ ღრუბლებს ქარი მიერეკებოდა.

— ალბათ იწვიმებს, — თქვა მამამ.

— ვერ გეტყვი, — მიუგო მეზობელმა და ღრუბლებს ალმაცერად ახედა. რიგში ჩამწკრივებულნი დასავლეთით შებრუნდნენ, ღრუბლებს თვალი შეავლეს და მერე კიდევ უფრო მოიხარნენ წელში, კიდევ უფრო გამალებით აამოძრავეს თითები. სწრაფად, სწრაფად უნდა დაკრიფონ, დროს, წვიმას, ნესტს და ერთმანეთსაც უნდა შეეჯიბრონ, იქნებ მეტი დააგროვონ, იქნებ მეტი იშოვონ. მინდვრის მეორე მხარეს გადავიდნენ, ახალ რიგში ჩადგომას ჩქარობდნენ. ქარი სახეში ეხლებოდათ, რუხი ღრუბლები ამომავალი მზისკენ მიცურავდნენ. გზის გასწვრივ უამრავ მანქანას მოეყარა თავი, ფარდულთან ახალმოსული მკრეფავები ეწერებოდნენ. გახელებული ხალხი ელვის სისწრაფით მოძრაობდა, ტომრებს წონიდნენ, წიგნაკებში იწერდნენ, ბამბას მეპატრონეს აბარებდნენ, წონას საკუთარ ჩანაწერებს ადარებდნენ და კვლავ სამუშაოდ გარბოდნენ.

თერთმეტი საათისთვის ბამბა უკვე დაკრეფილი იყო, მავთულის გვერდებიან სატვირთოებს მავთულის გვერდებიანი მისაბმელები ჩააბეს, გზატკეცილზე გაიყვანეს და ბამბის საპენტი დანადგარისკენ გაემართნენ. ფუმფულა ბამბის პატარა ქულებმა მავთულებს შორის გზა მონახეს, ჰაერში აფრიალდნენ, გზის გასწვრივ სარეველებს გამოედნენ და ქარში მათთან ერთად აცეკვდნენ. ნირწამხდარი მკრეფავები ფარდულთან იდგნენ და გასამრჯელოს ელოდნენ.

— ჯეიმს ჰიუმი — ოცდაორი ცენტი. რალფი — ოცდაათი. ტომას ჯოუდი — ოთხმოცდაათი, უინფილდი — თხუთმეტი ცენტი. — დახარისხებული ფული პატარა გროვებად ეწყო — ვერცხლი, ნიკელი, სპილენძი. გადახდის დროს მკრეფავები წიგნაკებში იყურებოდნენ და ჩანაწერებს ამოწმებდნენ.

— აგნეს უეინრაიტი — ოცდათოთხმეტი, ტობინი — სამოცდასამი ცენტი, — რიგი წინ მიიწევდა, ოჯახები უხმოდ ბრუნდებოდნენ მანქანებში და ეზოდან ნელა გადიოდნენ.

ჯოუდები და უეინრაიტები გზის განტვირთვას უცდიდნენ. ამასობაში ციდან წვიმის პირველი წვეთები ჩამოცვივდა. ელმა ფანჯარაში მკლავი გაყო, რომ სისველე შეეგრძნო. შარონის ვარდი შუაში იჯდა, მის გვერდით — დედა. გოგონა ისევ ჩამქრალი თვალებით იცქირებოდა.

— არ უნდა წამოსულიყავი, — უთხრა დედამ, — ათ-თხუთმეტ ფუნტზე მეტი ვერ დაკრიფე. — შარონმა წინ გაშვერილ მუცელზე დაიხედა და არაფერი უპასუხა, უეცრად გააკანკალა, თავი ასწია. დედა მის ყოველ მოძრაობას აკვირდებოდა. დაკეცილი ბამბის ტომარა გაშალა, შარონს ბეჭებზე შემოახვია და მკერდზე მიიხუტა.

როგორც იქნა, გზა გაიხსნა. ელმა მანქანა დაქოქა და გზატკეცილზე გაიყვანა. მსხვილი, აქა-იქ ჩამოყრილი წვეთე-

ბი გზაზე შხეფებად იშლებოდა, სატვირთო წინ მიიწევდა, თანდათან წვრილი, ხშირი წვეთები ჩამოცვივდა და კაბინის თავზე ისეთი რაკარუკი ატყდა, რომ ძველი ძრავის ბრახუნი გადაფარა. ძარაზე მოკალათებულმა ჯოუდებმა და უეინრაიტებმა ბამბის ტომრები გაშალეს და თავებსა და ბეჭებზე გადაიფარეს.

დედას მიხუტებულ შარონს აკანკალებდა.

— ჩქარა იარე, ელ! — დაიყვირა დედამ, — შარონი გაცივდა, ფეხები ცხელ წყალში უნდა ჩავაყრევინო.

ელმა სიჩქარეს მოუმატა. ბანაკში რომ შევიდა, მანქანა წითელ ვაგონთან ახლოს მიაყენა. ჯერ მანქანა გამორთული არც იყო, დედა რომ უკვე განკარგულებებს გასცემდა,

— ელ, — ბრძანა მან, — შენ, მამა და ძია ჯონი ტირიფნარში გადადით, რაც შეიძლება ბევრი ხმელი ტოტი მოაგროვეთ, ვაგონში სითბო გვჭირდება.

— სახურავი ხო არ წვეთავს?

— არა მგონია, სიმშრალე იქნება, მაგრამ შეშა გვჭირდება, უნდა დავათბოთ. რუთი და უინფილდიც წაიყვანეთ. წვრილ ტოტებს მოაგროვებენ. შარონი ვერ არი კარგად. — დედა მანქანიდან გადმოვიდა, შარონი ეცადა, რომ გაჰყოლოდა, მაგრამ მუხლებმა უმტყუნეს და სატვირთოს საფეხურზე მძიმედ დაეშვა. ჩასუქებულმა მისის უეინრაიტმა თვალი მოჰკრა.

— რა მოუვიდა? უკვე დროა?

— არა. აკანკალებს, მგონი, გაცივდა. ხელი მომეცი, შარონ. — ორი ქალი შარონს შეეხიდა. პირველი რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ გოგონას ფეხებში ძალა დაუბრუნდა და ნაბიჯი გამართა.

— კარგად ვარ, დე. — უთხრა შარონმა დედას, — უბრალოდ წუთით სისუსტე ვიგრძენი.

შარონი ქალებს იდაყვებით ეჭირათ.

— ფეხები ცხელ წყალში, — გადაჭრით თქვა დედამ. — ფიცარნაგზე ასვლაში დაეხმარნენ და ვაგონში შეიყვანეს.

— ხელები გაუზილეთ, — უთხრა დედას მისის უეინრაიტმა, — მე ღუმელს გავახურებ. — საუზმის შემდეგ მორჩენილი ფიჩხი ღუმელში შეყარა და ცეცხლი ააგიზგიზა. თავსხმა წვიმა ვაგონის სახურავზე ხმაურით იღვრებოდა. დედამ ჭერში აიხედა.

— მადლობა ღმერთს, მყარი ჭერი გვაქ, არ გვაწვიმს. კარავი, რაც არ უნდა კარგი იყოს, მაინც აპარებს. მისის უეინრაიტ, ბევრ წყალს ნუ დაადგამთ.

შარონი უმოძრაოდ იწვა. ხელი არ შეუშლია, რომ მისთვის ფეხსაცმელი გაეხადათ და ფეხები დაეზილათ. მისის უეინრაიტი მისკენ დაიხარა.

— გტკივა? — ჰკითხა გოგონას.

— არა, უბრალოდ ცუდად ვარ.

— ტკივილგამაყუჩებელი და კუჭში გასახსნელი წამლები მაქ. თუ დაგჭირდათ, არ მოგერიდოთ.

გოგონას მთელი სხეული უკანკალებდა.

— დე, დამაფარე, მცივა. — დედამ ყველა საბანი ერთად დაუფარა. წვიმას სახურავზე ბრაგუნი გაჰქონდა.

კაცებმა ერთმანეთზე აკოკოლავებული ტოტები ვაგონში შეზიდეს. ქუდებიდან და ტანსაცმლიდან წყალი წურწურით სდიოდათ.

— თავსხმაა, ერთ წამში დაგვასველა, — თქვა მამამ.

— ისევ წადით, კიდე მოიტანეთ. ძაან სწრაფად იწვის. იჩქარეთ, მალე დაღამდება.

გალუმპულმა რუთმა და უინფილდმა ფიჩხი დაყარეს და კარისკენ გატრიალდნენ.

— თქვენ დარჩით, — ბრძანა დედამ, — ღუმელთან დადექით და გაშრით.

წვიმამ საღამო ვერცხლისფრად შეაფერადა. ბილიკებზე წყალი ალაპლაპდა. ბამბის ბუჩქები ჩამოჭკნა, კიდევ უფრო გამუქდა. მამა, ელი და ძია ჯონი, ვინ იცის მერამდენეჯერ, ტირიფნარიდან ხმელ ტოტებს ეზიდებოდნენ. ვაგონის კართან ახლოს აწყობდნენ და სანამ გროვა ჭერს მისწვდებოდა, ტოტებს ამატებდნენ და ამატებდნენ. ბოლოს შეშის გროვა ჭერს რომ მიებჯინა, სრულიად სველი პიჯაკები გაიძრეს და ღუმელს მიეფიცხნენ. წყალი წურწურით ჩამოსდიოდათ, ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ფეხსაცმელს ჭყაპუნი გაუდიოდა.

— ყველაფერი გამოიცვალეთ, — უთხრა დედამ — კარგი ყავა მოგიმზადეთ, — მშრალი სამუშაო შარვლები ჩაიცვით, ეგრე ნუ დგახართ.

ადრე ჩამობნელდა. ვაგონებში შეყუჟული ოჯახები ისხდნენ და სახურავზე ატეხილ წყლის თხლაშათხლუშს უსმენდნენ,

29.

ოკეანიდან წამოსული ღრუბელი მთელ მაღალმთიან სანა-პიროსა და ხეობას ჩამოაწვა. გამძვინვარებული ქარი მაღლა ჰაერში უხმოდ დაძრწოდა, მერე ქვევით რომ დაეშვებოდა, ბუჩქნარს როზგს გადაუტყლაშუნებდა, ტყეში შევარდებოდა და იქაურობას ღრიალით იკლებდა, ღრუბლები წინ ნაჭერ-ნა-ჭერ, ნაკეც-ნაკეც მიიწევდნენ, ცას ხან კვამლივით ეკვროდ-ნენ, ხან შავი კლდესავით ეფარებოდნენ; ბოლოს შეგროვ-დნენ, გამთლიანდნენ და დასავლეთის ცას უძრავად დაუკიდ-ნენ. ქარი დამშვიდდა და შეუვალი, გადიდგულებული ღრუბ-ლები მიატოვა.

წვიმა შხაპუნითა და წყვეტილი თავსხმებით დაიწყო. მერე თანდათან დადგა, ტემპი შეარჩია — ახლა წვრილი წვეთები მიწას მძიმედ, ბრაგუნით ეცემოდა. წვიმის რუხი ფარდის მიღ-მა არაფერი ჩანდა. შუადღისას ისე ბნელოდა, რომ თვალთან თითის მიტანაც კი ჭირდა. თავიდან გამომშრალმა მიწამ სის-ველე შეისრუტა. ორი დღის განმავლობაში წყალს ხარბად ეწაფებოდა, მერე გული იჯერა, გაივსო, წყალი ვეღარ დაიტია და თავის ნებაზე მიუშვა. მალე პატარა გუბურები და ტბებიც კი გაჩნდა. მღვრიე წყალი ზევით სწრაფად იწევდა. ბოლოს წყურვილი მთებმაც დაიოკეს; წყალი ფერდობებზე გადმოიღ-ვარა, მდინარეებს შეუერთდა, აზვირთდა და გორებიდან ღრიალით ჩავარდა ხეობაში. წვიმა გადაღებას არ აპირებდა, ნაკადულებმა და პატარა მდინარეებმა კალაპოტის კიდეებამ-დე აიწიეს, ტირიფებს ფესვებში ეცნენ, წელში გადატეხეს, ბამ-

ბის ნარგავები ძირიანად მოთხარეს, ხეები დაამტვრიეს. მერე ტალახიანი წყალი დატრიალდა, აბუყბუყდა და ბოლოს იმდენი ქნა, რომ ნაპირები გადალახა და მინდვრებში, ბაღებში, ბამბის კვლებში შევარდა. მინდვრები ვრცელ რუხ ტბებად იქცა, წვიმა არ ცხრებოდა, ტბების ზედაპირებზე წყლის შოლტებს შხუილი გაუდიოდა. წყალი გზატკეცილზე გადავიდა, მანქანები წყალს ნელი სვლით კვეთდნენ და ქაფიან კვალს ტოვებდნენ. მიწა გუგუნებდა. მთებიდან მოვარდნილი წყალი ადიდებულ მდინარეებს ქუხილით უერთდებოდა.

წვიმა რომ დაიწყო, მომთაბარენი კარვებში შეიყუჟნენ, — მალე გადაიღებს, — ამბობდნენ ისინი და მაშინვე კითხვას სვამდნენ — ნეტა რამდენ ხანს იწვიმებს?

გუბურები რომ დაინახეს, ნიჩბები მოიმარჯვეს, გარეთ გავიდნენ და კარვების გარშემო არხები გათხარეს. ბრეზენტმა დიდხანს ვერ გაუძლო და წვიმა კარვებში ჩაიღვარა. წყალმა არხები გადარეცხა და კარვებში შევარდა, საბნები და ლეიბები დაასველა. გალუმპულებმა ყუთებს შორის ფიცრები გადეს და ზედ დასხდნენ. და ისხდნენ დღისით და ღამით, დღისით და ღამით...

წყალმა კარვებთან ახლოს გაჩერებული ძველი მანქანების ანთების სადენები დააზიანა, კარბურატორები მწყობრიდან გამოიყვანა. რუხი კარვები ტბებში მოექცა. ბოლოს ხალხმა წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ მანქანებმა უმტყუნეს, რადგან სველი სადენები მოკლე ჩართვას იძლეოდა. ვისი მანქანაც დაიქოქა, იმისიც ადგილიდან ვერ დაიძრა — ბორბლები ტალახმა ჩაითრია. და ხალხი წყალში შევიდა, საბნები მოისხეს, ბავშვები და უძლური მოხუცები ხელში აიყვანეს და გზას წყალში ფეხების თხლაშუნით გაუდგნენ. და თუ სადმე შემაღ-

ლებულ ადგილას ფარდული იდგა, ყველა აკანკალებული, სასოწარკვეთილი ხალხით გაივსო.

ზოგმა სადამხმარებლო ორგანიზაციას მიაკითხა, მაგრამ მალე თავისიანებს კიდევ უფრო გულმოკლულები დაუბრუნდნენ. — კანონის მიხედვით ერთი წელი მაინც უნდა ცხოვრობდე ერთ ადგილას, დახმარება რო მიიღოო. მთავრობა დაგეხმარებათ, მაგრამ როდის, არ ვიცითო.

და თანდათან ხალხი შიშმა შეიპყრო.

კიდევ სამი თვე სამუშაო არ იქნება.

ფარდულებში თავშეფარებულები შიშისგან გაშავებულები ისხდნენ. მშიერი ბავშვები ტიროდნენ, მაგრამ ვერაფერს შველოდნენ, საჭმელი არავის ჰქონდა.

ბოლოს ავადმყოფობამ იძალა — ფილტვების ანთება, წითელა, რომელიც ყურებსა და თვალებზე გართულებებს იწვევდა. და ისევ გადაუღებლად წვიმდა. წყალი გზატკეცილზე მიედინებოდა, რადგან სადრენაჟო მილები ვეღარ ატარებდა.

გალუმპული, ძონძებში გამოხვეული ადამიანები კარვებიდან და ფარდულებიდან გამოიშალნენ. ტალახაკრული, დამბალი ფეხსაცმლებით წყალში შეაბოტეს და ქალაქებს, სოფლის მაღაზიებს, სადამხმარებლო ორგანიზაციებს შეესიენ. ლუკმა-პურს ევედრებოდნენ, შიშისგან მოკუნტულები საჭმელსა და დახმარებას ითხოვდნენ, თუ მოახერხებდნენ, იპარავდნენ, იტყუებოდნენ. ამდენმა ხვეწნა-მუდარამ, ამდენმა დამცირებამ თავისი ქნა და მათში რისხვა გააღვივა. პატარა ქალაქებში ამ გალუმპული ხალხის შეცოდება სიბრაზეში გადაიზარდა, და ბოლოს, ბრაზი, რომელსაც მშივრების მიმართ განიცდიდნენ, შიშმა ჩაანაცვლა. შერიფები თანაშემწეებს ფიცს ართმევდნენ, დამატებით იარაღს, ცრემლსადენი გაზს, ტყვია-წამალს ითხოვდნენ. მშიერი ხალხი კი მაღაზიების უკან

გროვდებოდა, რომ პური ეთხოვათ, რომ, იქნებ, სიდამპლე-შეპარული ბოსტნეული გამოეცინცლათ ან დრო ეხელთათ და მოეპარათ.

ექიმების კარზე გაშმაგებულები აკაკუნებდნენ, მაგრამ ექიმებს არ ეცალათ, დაკავებულები იყვნენ, მერე გზისპირა მაღაზიებში კორონერებს სიტყვას უტოვებდნენ, რომ მანქანები გამოეგზავნათ, კორონერებს კი ეცალათ, ბანაკებისკენ მანქანებით იკვლევდნენ გზას და კარვებიდან მიცვალებულებს ეზიდებოდნენ.

უმოწყალოდ წვიმდა. ადიდებულმა მდინარეებმა ველ-მინდვრები დატბორა.

ქოხმახებში, გადაჭედილ ფარდულებში სველ თივაზე მოკალათებული შიში და შიმშილი რისხვას ბადებდა.

და შემდეგ გარეთ გავიდნენ: ბიჭები — არა, სამათხოვროდ არა, მოსაპარად; კაცები — უფრო გაუბედავად, მაგრამ ისინიც მოსაპარად.

შერიფებმა ახალ თანაშემწეებს ფიცი დაადებინეს, იარაღზე კვლავ მოთხოვნა გააგზავნეს. მყარი, მყუდრო სახლების ბინადარნი მომთაბარეთა მიმართ თავიდან თანაგრძნობას ამჟღავნებდნენ, მოგვიანებით ზიზღს, ბოლოს კი, სიძულვილს.

ფარდულებში, სადაც სახურავიდან წყალი თქრიალით ჩადიოდა, სველ თივაზე ფილტვების ანთებით აქოშინებული ქალები მშობიარობდნენ. კუთხეებში მიკუნტული მოხუცები იქვე იხოცებოდნენ, კორონერებს ისე გაჰქონდათ ცხედრები, რომ მათ გასწორებას ვერ ახერხებდნენ.

ღამღამობით თავზეხელაღებული კაცები თამამად შედიოდნენ საქათმეებში და აკრიახებული ქათმები გამოჰყავდათ. სროლის ხმას არ უფრთხოდნენ და გზას პირქუში სახით,

წყალში ფეხების თხლაშუნით განაგრძობდნენ, და თუ ტყვია მიზანს არ ასცდებოდა, ქანცგაწყვეტილები მოწყვეტით ეცემოდნენ ტალახში.

წვიმა შეწყდა. მინდვრებში წყალი რუხ ცას ირეკლავდა და დაშოშმინებული დუდუნით მიედინებოდა.

ფარდულებიდან და ქოხმახებიდან კაცები გამოვიდნენ, ჩაცუცქდნენ და დატბორილ მინდვრებს თვალი უხმოდ გაუშტერეს. დროდადრო, აქა-იქ, ხმადაბალი ლაპარაკი ისმოდა:

— გაზაფხულამდე სამუშაო არ იქნება.

— არა, არ იქნება.

— ესე იგი, არც ფული იქნება და არც საჭმელი.

— კაცს ცხენები რო ყავს, მიწას იმათ ამუშავებინებს, ახვნევინებს და როცა არ ამუშავებს, თავში აზრად არ მოსდის, რო გაყაროს ან აშიმშილოს.

— ისინი ცხენები არიან — ჩვენ ადამიანები.

ქალები კაცებს უხმოდ აკვირდებოდნენ; იქნებ, ბოლოს და ბოლოს, გატყდნენ... მაგრამ როცა კაცები შეიკრიბნენ და ქალებმა შიშის ნაცვლად მათ სახეებზე რისხვა შენიშნეს, შვებით ამოისუნთქეს, რადგან მიხვდნენ, კაცები ყველაფერს გაუძლებდნენ, არ გატყდებოდნენ და ასე იქნებოდა მუდამ, როცა კი შიშს რისხვა დაამარცხებდა.

მიწიდან ბალახი ამოიწვერა და რამდენიმე დღეში გორები ახალ დღეს მწვანე საბურველით მორთულები შეეგებნენ.

30.

ბანაკი გუბურებს შორის მოექცა. წვიმას ტლაშუნი გაუდიოდა. პატარა მდინარე ნელ-ნელა გადავიდა კალპოტიდან და საბარგო ვაგონებისკენ დაიძრა.

მეორე დღეს ელმა ბრეზენტის ფარდა ჩამოხსნა და სატვირთოს კაპოტს გადააფარა. ვაგონში დაბრუნდა და ლეიბზე დაჯდა. ახლა, როდესაც ბრეზენტის ტიხარი მოიხსნა, ორ ოჯახს ერთმანეთისგან აღარაფერი ჰყოფდა. გუნებაწამხდარი კაცები ერთად ისხდნენ. დედა ცდილობდა, რომ შეშა დაეზოგა და თან ღუმელში ცეცხლი არ ჩამქრალიყო, ამიტომ თითო-თითო პატარა ტოტს უკეთებდა. ვაგონის ბრტყელ სახურავზე წვიმა ხმაურობდა.

მესამე დღეს უეინრაიტები აფორიაქდნენ.

— ჩვენ ალბათ წავალთ, — თქვა მისის უეინრაიტმა.

ესეთ მყარ სახურავს სადღა მიაგნებთ, — გადარწმუნებას ეცადა დედა.

— არ ვიცი, მაგრამ მგონია, რო წასვლა ჯობია.

ქალები კამათობდნენ. დედა ჩუმ-ჩუმად თვალს ელისკენ აპარებდა.

რუთმა და უინფილდმა თამაში წამოიწყეს, მაგრამ საერთო განწყობამ მალე მათზეც იმოქმედა და გაჩერდნენ. სახურავზე წვიმას ბრაგუნი გაუდიოდა.

მესამე დღეს წვიმის ბრაგუნის მიღმა მდინარის ჩხრიალიც გაისმა. მამა და ძია ჯონი წამოდგნენ და ღია კარიდან ადიდებულ მდინარეს გადახედეს. ბანაკის ორივე მხარეს წყალი

გზატკეცილისკენ მიედინებოდა, მაგრამ ვაგონებთან ისე უხ-ვევდა, რომ ბანაკი მიწაყრილსა და ადიდებულ მდინარეს შო-რის იკეტებოდა.

— ცოტაც თუ ადიდდა, წყალი შემოგვივარდება. ჯონ, შენ რას იტყვი?

ძია ჯონმა ხელი ჯაგარა წვერზე ჩამოისვა და თქვა:

— ჰოო, შეიძლება.

შარონის ვარდი იწვა და სიცხისგან კანკალებდა, აჭარ-ხლებულ სახეზე თვალები უელავდა. დედა გვერდით ეჯდა.

— აი, ეს ცხელი რძე დალიე, შიგ ცოტა ღორის ქონი ჩავაგ-დე, რო ძალა მოგცეს.

შარონმა თავი ოდნავ შესამჩნევად გაიქნია.

— არ მშია.

მამამ თითით ჰაერში რკალი მოხაზა.

— ყველამ ერთად რო ნიჩბები ავიღოთ და მთელ სიგრძეზე თხრილი გავთხაროთ, წყალს შევაჩერებთ. ოღონდ აქედან რო დავიწყებთ, ბოლომდე უნდა ჩავყვეთ.

— ჰოო, შეიძლება, — უპასუხა ძია ჯონმა, — მაგრამ არ ვიცი, სხვები დაგთანხმდებიან თუ არა. იქნებ წასვლა ურჩევნიათ.

— სად უნდა წავიდნენ, ესეთ მშრალ საცხოვრებელს სად იპოვიან. ერთი წუთი დამაცადე... — ფიჩხის გროვიდან პატარა ტოტი აიღო, ფიცარნაგზე ჩაირბინა, ტალახში გააბოტა, მდი-ნარესთან მივიდა, აბუყბუყებული წყლის პირას შემაღლებულ ადგილას ტოტი ჩაარჭო და მაშინვე უკან გაბრუნდა.

— ჯანდაბა, სუ დავსველდი, — თქვა მამამ.

კაცები იდგნენ და ტოტს თვალს არ აშორებდნენ. წყალი ტოტს გარს უვლიდა და ნელ-ნელა ზევით იწევდა. მამა ღია კართან ჩაცუცქდა.

— მალე იმატებს, უნდა წავიდეთ და ხალხს ვკითხოთ, იქნებ დაგვეხმარონ, რო თხრილი გავთხაროთ. თუ არადა, აქედან უნდა გავაღწიოთ.

მამამ უეინრაიტებისკენ გაიხედა. ელი ეგის გვერდით იჯდა. მამა მიუახლოვდა.

— წყალი მალე იწევს, — თქვა მან, — კარგი იქნება, რო ყველამ ერთად თხრილი გავთხაროთ.

— ეხლა ვლაპარაკობდით და ალბათ ჩვენ წავალთ, — უთხრა მისტერ უეინრაიტმა.

— აქაურობა ხო კარგად იცით, სად გეგულებათ მშრალი ადგილი?

— რა ვიცი, სულ ერთი არ...

— მა, თუ წავლენ, იცოდე, რო მეც მივდივარ.

მამა გაოგნდა.

— როგორ, ელ, მანქანის ტარება არცერთმა ვიცით.

— აღარ მადარდებს. მე და ეგის ერთად ყოფნა გვინდა.

— მოიცადე, მოიცადე, აბა, აქეთ მოდით...

უეინრაიტი და ელი წამოდგნენ და კართან მივიდნენ.

— ხედავთ? — მამამ ხელი გაიშვირა, — აი, აქედან იქამდე რო გაითხაროს... — მამამ ტოტს შეხედა. წყალი გარშემო უვლიდა, მალე ნაპირს გადალახავდა.

— ბევრი უნდა ვიწვალოთ და შეიძლება მაინც ვერ დაიჭიროს.

— რას ვაკეთებთ? უსაქმურად ვზივართ. ვცადოთ, უკეთეს ადგილს მაინც ვერ ვნახავთ. წამოდით, ხალხს დაველაპარაკოთ, ყველა ერთად თუ ვიმუშავებთ, გამოგვივა.

— ეგი თუ წავა, მეც წავალ, — თქვა ელმა.

— მისმინე, ელ. თუ ხალხი უარს გვეტყვის, ჩვენც წავალთ, მაგრამ ეხლა ვცადოთ, დაველაპარაკოთ.

მხრებაწურულებმა ფიცარნაგზე ჩაირბინეს, მომიჯნავე ვაგონს მიადგნენ, ფიცარნაგზე ისევ აირბინეს და ღია კარში შევიდნენ.

დედა ღუმელთან იდგა. მიმქრალ ცეცხლს ფიჩხს უმატებდა. რუთი მიუახლოვდა და გვერდზე აეკრო, — მშია�ა, — წაიტირა რუთმა.

— არ გშია, ბევრი ფაფა ჭამე.

— ორცხობილები მინდა. რა გავაკეთო, ვერ ვერთობი.

— ცოტა მოითმინე და გაერთობი, მალე გაერთობი, სახლიც გვექნება და ყველაფერი...

— მე ძაღლი მინდა.

— ძაღლიც გვეყოლება და კატაც.

— ჟღალი კატა?

— რუთ, გეყოფა, ნუ შემჭამე, — უთხრა დედამ, — შარონი ავად არი. ხო კარგი გოგო ხარ, ცოტა ხანი წყნარად იჯექი. ნუ გეშინია, მალე ისევ გაერთობი.

რუთი ბურტყუნით გაეცალა.

იმ ლეიბიდან, რომელზეც საბნებში ჩაფუთნული შარონის ვარდი იწვა, მკვეთრი ყვირილი გაისმა. დედა სწრაფად დატრიალდა და მისკენ წავიდა. სუნთქვაშეკრულ შარონს შიშისგან თვალები გადმოყრაზე ჰქონდა.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა დედამ.

გოგონამ ამოისუნთქა და სუნთქვა ისევ შეიკავა. დედამ საბნის ქვეშ ხელი შეუცურა, მერე წამოდგა და დაიძახა:

— ოჰ, მისის უეინრაიტ! მისის უეინრაიტ!

დაბალი მსუქანი ქალი ჯოუდების ნახევარში გადავიდა.

— მეძახდით?

— შეხედეთ! — დედამ შარონის სახისკენ მიუთითა. გოგონა კბილებით ქვედა ტუჩს იკვნეტდა, შუბლზე ოფლი ასხამდა, აპრიალებულ თვალებში შიში ჩასახლებოდა.

— მგონი დაეწყო, — თქვა დედამ, — მაგრამ ჯერ ადრეა.

გოგონამ ღრმად ამოიოხრა, კბილები შემალა, თვალები დახუჭა და მოეშვა. მისის უეინრაიტი მისკენ გადაიხარა,

— თითქოს ერთბაშად მოგიარა, არა? თვალები გაახილე და მიპასუხე. — შარონმა თავი დააქნია, მისის უეინრაიტი დედას მიუბრუნდა, — დაეწყო. თქვენ ამბობთ, რო ადრეა?

— ალბათ სიცხეებმა დააჩქარა.

— უნდა წამოდგეს, უნდა წამოდგეს და იაროს.

— ვერ ადგება, სუსტადაა, — თქვა დედამ.

— უნდა ადგეს, — მისის უეინრაიტი მშვიდად, გამოცდილი კაცის იერით ლაპარაკობდა. — ბევრ ქალს დავხმარებივარ. ეხლა კარი ისე დავხუროთ, რო ცოტა ჰაერი შემოვიდეს. — მძიმე გასაწევ კარს მიაწვნენ და მხოლოდ პატარა ღრიჭო დატოვეს. — ჩემს ფარანსაც მოვიტან, — თქვა მისის უეინრაიტმა. მღელვარებისგან სახე წითლად ულაპლაპებდა.

— ეგი! — დაიძახა მან, — ბავშვებს მიხედე!

— რუთ, შენ და უინფილდი ეგისთან დარჩით, ჩქარა, გადით აქედან!

— რატო?

— ეგრეა საჭირო, შარონს მალე ბავშვი გაუჩნდება.

— მეც მინდა, რო ვუყურო, დავრჩები რა.

— რუთ! აქედან დაიკარგე! — ისეთი ხმით უთხრა დედამ, რომ რუთი უხმოდ გაიძურწა.

რუთი და უინფილდი ეგის მხარეს უხალისოდ გადავიდნენ. დედამ ფარანი აანთო, მისის უეინრაიტმა თავისი „როჩესტე-

რის“ ფარანი იატაკზე დადგა. დიდი ფითილის წრიულმა ალმა ოთახი გააჩახჩახა.

შეშის გროვას ამოფარებული რუთი და უინფილდი ჩუმად იჭყიტებოდნენ.

— რო დაიბადება, ჩვენ დავინახავთ, — ხმადაბლა თქვა რუთმა, — არ იხმაურო, ხო იცი, რო დედა არ გვაყურებინებს. აქეთ თუ მოიხედავს, შეშას მოეფარე.

— ესეთი რამე ცოტა ბავშვს უნახავს, — თქვა უინფილდმა.

— ცოტას კი არა, არავის უნახავს. მარტო ჩვენ გვექნება ნანახი.

ლეიბის გვერდით დედას და მისის უეინრაიტს სჯა-ბაასი ჰქონდათ გამართული, წვიმის ხმაურის გამო ოდნავ ხმამაღლა უწევდათ ლაპარაკი. მისის უეინრაიტმა წინსაფრის ჯიბიდან სამზარეულოს პატარა დანა ამოიღო და შარონის ლეიბის ქვეშ ამოდო.

— შეიძლება არაფერს აკეთებს, — მოიბოდიშა მან, — მაგრამ არც არაფერს აშავებს.

დედამ თავი დააქნია.

— ჩვენ სახნისის კბილს ვდებდით ხოლმე. ყველაფერი მჭრელი კარგია, რო მშობიარობის ტკივილი გაჭრას. იმედი მაქ, შარონს დიდხანს არ გაუგრძელდება. — ეხლა უკეთ ხარ, შარონ?

შარონის ვარდმა თავი დააქნია და აღელვებულმა იკითხა:

— დამეწყო?

— ჰო, დაგეწყო. ყველაფერი კარგად იქნება, უბრალოდ, ცოტა შენც უნდა დაგვეხმარო. შეგიძლია, რო ადგე და იარო?

— ვცდი.

— აი, ყოჩაღ, კარგი გოგო ხარ. ჩვენ აქეთ-იქით ამოგიდგებით. — ფეხზე წამოაყენეს, ბეჭებზე საბანი მოახურეს, ნელ-ნე-

ლა შეშის გროვამდე მიიყვანეს, და ისევ ლეიბთან დაბრუნ-დნენ. შემდეგ კიდევ და კიდევ...

სახურავზე წვიმას ბრაგუნი გაუდიოდა. რუთი და უინფილ-დი აღტაცებულები უცქერდნენ.

— როდის დაიბადება? — იკითხა უინფილდმა.

— ჩუ! თორე გაიგებენ და გაგვყრიან.

ეგი ბავშვებთან ერთად შეშის გროვის უკან იდგა. ფარნის შუქი სახესა და ქერა თმაზე ეცემოდა. კედელზე კი მისი თავი-სა და ცხვირის წაგრძელებული ჩრდილი მოძრაობდა.

— ბავშვის გაჩენა გინახავს? — ჩურჩულით ჰკითხა რუთმა ეგის.

— მინახავს.

— ხო არ იცი, როდის დაიბადება?

— ჯერ არა, კიდევ დიდხანს არ დაიბადება.

— რამდენად დიდხანს?

— ალბათ დილამდე.

— ტფუი! აბა ეხლა ყურებას რა აზრი აქ? შეხედე, შეხედე!

ქალები შეჩერდნენ. უეცრად შარონი დაიძაბა, ტკივილმა დაუარა. ადგილზე გაშეშებულ გოგონას სიმწრის ყვირილი აღმოხდა. ქალებმა ლეიბზე წამოაწვინეს და მუშტებშეკრულ-სა და აქოშინებულს შუბლი მოსწმინდეს. დედა გვერდით მი-უჯდა და ხმადაბლა დაუყვავა:

— ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, მუშტები შეკა-რი, ჰო ეგრე, ეხლა ტუჩს კბილი დააჭირე, კარგია, მალე გა-გივლის. — ტკივილმა გაიარა. გოგონამ სული მოითქვა, ქა-ლებმა კვლავ ფეხზე წამოაყენეს და სიარული დაიწყეს. წინ და უკან, წინ და უკან... მამამ ღრიჭოში თავი შეჰყო. ქუდიდან წყა-ლი წურწურით ჩამოსდიოდა.

— კარი რატო დაკეტეთ? — იკითხა მამამ და მოსიარულე ქალებს შეხედა.

— დრო მოვიდა.

— ესე იგი, ძალიანაც რო გვინდოდეს, მაინც ვერ წავალთ.

— ჰო, — მაშინ თხრილი უნდა გავთხაროთ.

— მოგიწევს.

მამამ ტალახში გააბოტა და ისევ მდინარესთან დაბრუნდა. მდინარის პირას ჩარჭობილი ჯოხი წყალს ოთხი ინჩით დაეფარა. თავსხმა წვიმაში ოცი კაცი იდგა.

— უნდა დავიწყოთ, — დაიყვირა მამამ, — ჩემ გოგოს ტკივილები აქ.

კაცები გარს შემოერტყნენ.

— ბავშვი გეყოლებათ?

— ჰო, ეხლა ვეღარსად წავალთ.

მაღალმა კაცმა თქვა:

— კი მაგრამ, ჩვენ ხო არ გვეყოლება? ჩვენ შეგვიძლია წავიდეთ.

— აბა რა! ვინ გიჭერთ! ისედაც მარტო რვა ნიჩაბია.

მამა მდინარის მარჯვენა ნაპირს მიადგა, ნიჩაბი მოიმარჯვა და მიწას დაჰკრა. სველი მიწა ნიჩაბს წკლაპუნით ამოჰყვა. ტალახი მდინარის პირას დაბალ ადგილას მოისროლა. მამას გვერდით კაცები ჩამწკრივდნენ. მალე ნაპირის გასწვრივ ტალახი დახვავდა. ნიჩბის გარეშე დარჩენილებმა ტირიფებს ტოტები დაამტვრიეს, ერთმანეთში გადახლართეს და ნაპირზე დაყარეს. თანდათან კაცები მუშაობისა და ბრძოლის ჟინმა შეიპყრო. ერთი კაცი ნიჩაბს რომ დააგდებდა, მაშინვე მეორე იღებდა, ქუდები მოიხადეს, პიჯაკები გაიძრეს. შარვლები და პერანგები სხეულზე აეწებათ, ფეხსაცმელი ტალახის უფორმო კოშტებად ექცათ, მაგრამ არ ნებდებოდნენ, მუ-

შაობას განაგრძობდნენ. ჯოუდების ვაგონიდან გულგამგმირავი კივილი გაისმა. კაცები შეჩერდნენ, შეცბუნებულებმა ყური მიუგდეს და ისევ სამუშაოს დაუბრუნდნენ. მალე მიწაყრილი ორივე მხრიდან გზატკეცილის მიწაყრილს შეუერთდა. კაცები დაიღალნენ. ახლა ნიჩბები შედარებით ნელა მოძრაობდა. წყალი ნელ-ნელა იმატებდა და ცოტა ხანში სწორედ იქამდე აიწია, სადაც მამამ პირველად მოისროლა ტალახი.

— უკვე გადმოვიდოდა, რო არ გაგვეთხარა, — გამარჯვებული იერით გაიცინა მამამ.

მდინარე ნელა იწევდა, ახალდაყრილი მიწიდან ტირიფის ტოტებს გლეჯდა.

— კიდე უნდა დავყაროთ, — დაიყვირა მამამ, — უფრო მაღალი უნდა იყოს.

მოსაღამოვდა, მაგრამ მუშაობა არავის შეუწყვეტია. დაღლილობის ზღვარს კარგახანია გადააბიჯეს. ახლა გაქვავებული, ჩამკვდარი სახეებით მუშაობდნენ — მანქანებივით წყვეტილად, ჯერადობით. რომ დაბნელდა, ქალებმა კარებში ფარნები და თითო ჭიქა ყავა გადგეს, თავად კი ჯოუდების ვაგონთან შეგროვდნენ და დახურული კარის ღრიჭოში გვერდულად რიგრიგობით შედიოდნენ.

შარონს ტკივილები გაუხშირდა. დაახლოებით ოც წუთში ერთხელ საშინელი ტკივილისგან დატანჯული სულისშემძვრელად კიოდა. მეზობელი ქალები რიგრიგობით ეფერებოდნენ და ისევ თავიანთ ვაგონებში ბრუნდებოდნენ.

ღუმელში ცეცხლი გიზგიზებდა. დედას ყველა ქვაბი და ჯამი წყლით აევსო და ცეცხლზე შემოედგა. დროდადრო ღრიჭოდან მამა იძახდა:

— როგორ არი საქმე?

— კარგად, კარგად, — ამშვიდებდა დედა.

დაბნელდა და მუშაობა რომ გაეგრძელებინათ, ვიღაცამ ელექტროფარანი გაიტანა. ძია ჯონი მიწაყრილს ტალახს გავეშებული აყრიდა.

— ცოტა დამშვიდდი, თავს ნუ იკლავ, — უთხრა მამამ.

— არ შემიძლია, ვერ ვუსმენ ამ კივილს, იმ ღამესაც ესე იყო...

— ვიცი, მაგრამ ცოტა დამშვიდდი.

— არა, არა, უნდა ვიმუშაო, თორე რო გავჩერდე, აქედან გავიქცევი, — აღმოხდა ჯონს.

მამა შებრუნდა.

— ტოტი რო ჩავარჭე რა მოუვიდა?

ელექტროფარნის პატრონმა ფარანი ტოტს მიანათა. წყალი თეთრად ალაპლაპდა.

— იწევს.

— ეხლა შედარებით ნელა აიწევს, — თქვა მამამ, — გვერდით გადაიღვრება.

— მაგრამ იწევს და რა მნიშვნელობა აქ...

ქალებმა ღია კარში კვლავ გადგეს ყავით სავსე ჭიქები. დრო მიდიოდა, კაცები ტალახიდან ფეხებს ძლივს სწევდნენ; ახლა ნელა, სასაპალნე ცხენებივით მძიმედ მოძრაობდნენ და მიწაყრილს გადახლართულ ტოტებსა და ტალახს ამატებდნენ. მიწაყრილი მაღლდებოდა, წვიმა გადაღებას არ აპირებდა. და თუ ელექტროფარნის სხივი რომელიმე მათგანს დაეცემოდა, კაცები დაჟინებულ მზერასა და დაძაგრულ კუნთებს ახვედრებდნენ.

ჯოუდების ვაგონიდან დიდხანს ისმოდა კივილი, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ჩაყუჩდა, შეწყდა.

— რო გაჩენილიყო, დედა დამიძახებდა, — თქვა მამამ, — და კუშტი სახით მუშაობა განაგრძო.

მკითხველთა ლიგა

მიწაყრილთან წყალს ბუყბუყი გაუდიოდა. შემდეგ, უეცრად, გამაყრუებელი ჭახანი გაისმა და ელექტროფარნის შუქზე წყლისკენ გადაზნექილი დიდი ალვის ხე გამოჩნდა. კაცებმა მუშაობა შეწყვიტეს. ხის ტოტებმა ქვევით დაიწიეს. წყალზე გაწვნენ და ერთხანს იქვე ტივტივებდნენ; ამასობაში წყალმა ხეს ძირი გამოუთხარა და მიწას მოსწყვიტა. ხე ნელა ჩაწვა მდინარეში. ქანცგაწყვეტილი კაცები პირდაღებულები უცქერდნენ. ხე დინებას გაჰყვა, მაგრამ ტოტი ჯირკს წამოედო და შეაჩერა. მერე ნელ-ნელა ფესვები ახალ მიწაყრილს ჩაეჭიდნენ. დაგუბებულმა წყალმა მიწაყრილი გაარღვია. წყლის ნაკადმა არ დაახანა და მაშინვე გზა მონახა. მამა ნიჩბით მივარდა და ჩაშლილი ადგილი ტალახით ამოავსო. ხემ მდინარე ჩახერგა, წყალი დააგუბა. და მერე მიწაყრილს წყალმა ერთბაშად, ელვის სისწრაფით გადაუარა. კაცებს წყალი ფეხებში ეცათ, ჯერ კოჭებამდე, მერე მუხლებამდე. კაცებმა ფარ-ხმალი დაჰყარეს და გაიქცნენ, და წყლის ნაკადი დაბლობზე, მანქანების ქვეშ, ვაგონების ქვეშ გაიშალა.

უკუნეთი იდგა, მაგრამ ძია ჯონმა მაინც დაინახა, როგორ წაიღო წყალმა მიწაყრილი, შეტორტმანდა, თავი ვერ შეიკავა, მუხლებზე დაეცა და მკერდამდე წყლის მორევში ჩათრეული აღმოჩნდა. მამამ დაინახა და დაუყვირა:

— ეი, რა მოგივიდა? — ამოიყვანა და ფეხზე დააყენა. — ავად ხო არ ხარ? წამო, ნუ გეშინია, ვაგონამდე ვერ მიაღწევს.

ძია ჯონმა ძალა მოიკრიფა.

— არ ვიცი, — მოიბოდიშა მან, — ფეხებმა მიმტყუნეს. — მამამ ხელი მოჰკიდა და ვაგონამდე მიაცილა.

როგორც კი წყალმა მიწაყრილი გადარეცხა, ელი შებრუნდა და მძიმე ნაბიჯებით გაიქცა. სატვირთომდე რომ მიაღწია, წყალი უკვე წვივებამდე სწვდებოდა. კაპოტს სწრაფად გადა-

ხადა ბრეზენტი, საჭეს მიუჯდა და სტარტერს დააჭირა. ძრავა დატრიალდა, მერე კიდევ, და კიდევ, მაგრამ არ დაიქოქა. ელმა კარბურატორის საფარი დაახშო. ბატარეა ნესტიან ძრავას სულ უფრო ნელა ატრიალებდა, ძრავა კი დუმდა. ადრეული ანთება ჩართო. სავარძლის ქვეშიდან დასაქოქი სახელური გამოიღო და კაბინიდან ჩახტა. წყალი უკვე სატვირთოს საფეხურს ასცდენოდა. კარტერი წყლის ქვეშ მოქცეულიყო. გაშმაგებულმა სახელური მოარგო და გიჟივით დაატრიალა, ერთხელ, მეორედ... ყოველ ბრუნზე მის ხელს აყოლილი წყალი შხეფებად იღვრებოდა. ბოლოს თავი მოთოკა. გაიმართა, ძრავა წყლით იყო სავსე, აკუმულატორი დამჯდარი, იქვე, ოდნავ შემაღლებულ ადგილას, ორი მანქანა დაქოქეს, ფარები ჩართეს, ადგილიდან დაძრეს, მაგრამ შორს ვერ წავიდნენ. ტალახში ღრმად ჩაფლული ბორბლები კარგა ხანს ტრიალებდა ადგილზე. ბოლოს მძღოლებმა ძრავები გამორთეს და კაბინებიდან უცქერდნენ, როგორ წკეპლავდნენ მიწას ფარების შუქით განათებული წვიმის შოლტები. ელმა ნელა შემოუარა მანქანას და ანთების სისტემა გამორთო.

როდესაც მამა ვაგონს მიუახლოვდა, შეამჩნია რომ ფიცარნაგის ბოლო წყალში ტივტივებდა და ფეხით ტალახში ჩაამაგრა.

— ჯონ, შენ თითონ ახვალ?

— კი, შენ წინ წადი.

მამამ ფიცარნაგი აიარა და კარის ღრიჭოში ტანი გაჭირვებით გაიტანა ორივე ფარნისთვის ჩაეწიათ. დედა შარონის ვარდის გვერდით, ლეიბზე ჩამომჯდარიყო და დამშვიდებულ სახეს მუყაოს ნაჭრით უნიავებდა. მისის უეინრაიტმა ღუმელს ფიჩხი დაამატა. ღუმლის თავსახურის კიდეებიდან კვამლი ამოვარდა და ვაგონში დამწვრის სუნი დატრიალდა. მამა

რომ შევიდა, დედამ სულ ერთი წამით შეხედა და მაშინვე თვალები დახარა.

— როგორ არი? — ჰკითხა მამამ.

დედას თვალები არ აუწევია.

— არაუშავს, ეხლა სძინავს.

მშობიარობას ჰაერი უსიამოვნო სუნით დაემძიმებინა. ძია ჯონი ვაგონში შებარბაცდა და რომ არ დაცემულიყო, კედელს მიეყრდნო. მისის უეინრაიტი ღუმლის ჩხრეკას შეეშვა, მამას მიუახლოვდა, იდაყვში ხელი მოჰკიდა და ვაგონის კუთხესთან მიიყვანა, შემდეგ ფარანი ვაშლის ყუთს დაანათა. ყუთში ჩაფენილ გაზეთზე პატარა ლურჯი დაკრუნჩხული სხეული იდო.

— ერთხელაც არ ამოუსუნთქავს, მკვდარი დაიბადა, — ხმადაბლა თქვა მისის უეინრაიტმა.

ძია ჯონი შებრუნდა და ფეხების თრევით თავი ვაგონის ბნელ კუთხეს შეაფარა. ახლა წვიმა ჩუმად იღვრებოდა სახურავზე, იმდენად ჩუმად, რომ სიბნელიდან დაქანცული ძია ჯონის სლუკუნის ხმა ყველას ესმოდა.

მამამ მისის უეინრაიტს შეხედა, ფარანი ჩამოართვა და ძირს დადგა. რუთსა და უინფილდს თავიანთ ლეიბებზე ეძინათ. შუქი რომ მოეჩრდილათ, ბავშვებს მკლავები თვალებზე გადაეფარებინათ.

მამა შარონის ლეიბს ნელა მიუახლოვდა, ჩაცუცქება სცადა, მაგრამ დაღლილობისგან პირდაპირ მუხლებზე დაეშვა. დედა ოთხკუთხა მუყაოს ნაჭერს აქეთ-იქით იქნევდა. ერთი წუთით მამას ფართოდ გახელილი თვალებით მთვარეულივით უაზრო მზერა მიაპყრო.

— რაც შეგვეძლო... რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ.

— ვიცი.

— მთელი ღამე ვმუშაობდით, მაგრამ ხე დაეცა და მიწასთან გაასწორა.

— ვიცი.

— ვაგონის ქვეშ წყალი დგას.

— ვიცი. მესმის.

— როგორ იქნება? გადარჩება?

— არ ვიცი.

— იქნებ რამე შეგვეძლო... და... და არ გავაკეთეთ?

დედამ ფერდაკარგული გახევებული ტუჩები ძლივს აამოძრავა.

— არა. იმას ვაკეთებდით, რასაც ცხოვრება მოიტანდა, მეტი გზა არ გვქონდა.

— ქანცის გაწყვეტამდე ვიმუშავეთ და უცებ ის ხე...

დედამ ჭერში აიხედა და თავი ისევ დახარა. მამა გაუჩერებლად ლაპარაკობდა.

— არ ვიცი, სადამდე აიწევს. შეიძლება ვაგონში შემოვიდეს.

— ვიცი.

— შენ ყველაფერი იცი.

დედა გაჩუმდა. მუყაოს ნაჭერს წინ და უკან იქნევდა.

— იქნებ რამე შეგვეშალა ან გამოგვრჩა?

დედამ უცნაურად შეხედა. ფერმკრთალ ტუჩებზე იდუმალი ღიმილი და თანაგრძნობა გამოესახა.

— თავს ნუ იდანაშაულებ, გაჩუმდი, ყველაფერი მოგვარდება. ეხლა ცვლილებების დროა... ყველგან...

— იქნებ წყალი... იქნებ წავიდეთ აქედან.

— დრო მოვა და წავალთ. იმას გავაკეთებთ, რაც საჭირო იქნება. ეხლა გაჩუმდი, არ გააღვიძო.

მისის უეინრაიტმა ტოტები დაამტვრია და ღუმელს შეუკეთა. სველი შეშა ხრჩოლვით იწვოდა. გარედან კაცის გაბრაზებული ხმა გაისმა.

— უნდა შევიდე და მე თითონ დაველაპარაკო!

და შემდეგ ელის ხმა:

— სად აპირებ შესვლას?

— ის ნაბიჭვარი ჯოუდი უნდა ვნახო.

— ვერ ნახავ, რა გინდა?

— იმას რო თხრილის გათხრა არ მოეფიქრებინა, უკვე წასულები ვიქნებოდით. ეხლა ჩვენ მანქანაში წყალი ჩავიდა, არ იქოქება.

— ხო, და გგონია რო ჩვენი დარბის გზატკეცილზე არა?

— შემიშვი!

ელმა ცივად მიუგო:

— ჯერ ჩემთან მოგიწევს ჩხუბი.

მამა ნელა წამოდგა და კართან მივიდა.

— კარგი, ელ, მოვდივარ, დამშვიდდი.

ფიცარნაგზე რომ ჩადიოდა, დედამ მისი სიტყვები გაიგონა.

— ავადმყოფი გვყავს, ქვევით ჩავიდეთ,

წვიმა მსუბუქად ეცემოდა სახურავს. ახალამოვარდნილი ნიავი წვეთებს აქეთ-იქით ფანტავდა. მისის უეინრაიტი ღუმელს მოშორდა, შარონის ლეიბთან მივიდა და დახედა.

— მალე გათენდება, მემ. იქნებ ცოტა ხნით დაიძინოთ, შარონთან მე ვიქნები.

— არა, — თქვა დედამ, — არ დავღლილვარ.

თქვენი შემხედვარე მაგას ვერ ვიტყოდი, — უთხრა მისის უეინრაიტმა, — ცოტა ხანს წამოწექით.

დედა ნელა იქნევდა მუყაოს.

— მეგობრობა გაგვიწიეთ, — თქვა დედამ, — მადლობელი ვარ.

ჩასუქებულმა მისის უეინრაიტმა გაიღიმა.

— სამადლობელო რა გავაკეთე, ერთ ვაგონში ვცხოვრობთ. ჩვენ რო დაგვჭირვებოდა, ხელს თქვენ გამოგვიწვდიდით.

— აბა რას ვიზამდით.

— ან ვინმე სხვა. ადრე ხალხმა მარტო თავისი ოჯახი იცოდა. ეხლა ეგრე აღარ არი. რაც უფრო შეჭირვებულია ხალხი, მით მეტი საზრუნავი გვაქ... ბავშვის გადარჩენა შეუძლებელი იყო.

— ვიცი, — თქვა დედამ.

რუთმა ღრმად ამოიოხრა და თვალებიდან მკლავი მოიცილა. ცოტა ხანს სინათლეს მიუჩვეველი თვალი ფარანს გაუშტერა, შემდეგ თავი შეატრიალა და დედას შეხედა.

— დაიბადა? — ჰკითხა დედას, — გამოვიდა?

მისის უეინრაიტმა ტომარა აიღო და ვაშლის ყუთს გადაა ფარა.

— სად არი?

დედამ ტუჩები გაისველა.

— ბავშვი არ არი, არ ყოფილა, შეგვშლია.

— ტფუი! — თქვა რუთმა და დაამთქნარა, — როგორ მინდოდა, რო გაჩენილიყო.

მისის უეინრაიტი დედას გვერდით დაჯდა, მუყაოს ნაჭერი გამოართვა და შარონს დაუნიავა. დედამ ხელები კალთაში ჩაიწყო. დაღლილ თვალებს ქანცგაწყვეტილი შარონის სახეს არ აშორებდა.

— უბრალოდ წამოწექით, — უთხრა მისის უეინრაიტმა, — აქვე იქნებით და ცოტა ღრმად რო ამოისუნთქოს, მაშინვე გაგეღვიძებათ.

— კარგი, წამოვწვები. — დედა მძინარე შვილს გვერდით მიუწვა. მისის უეინრაიტი იქვე, იატაკზე დაჯდა.

მამა, ელი და ძია ჯონი ვაგონის კართან ისხდნენ. რუხი განთიადი ძალას იკრებდა. წვიმას გადაეღო, მაგრამ ცას მძიმე შავი ღრუბელი გადაჰფარებოდა. მალე წყალმა პირველი სხივები აირეკლა. ახლა უკვე ჩანდა, როგორ მიჰქონდა წყალს ხის შავი ტოტები, ყუთები, ფიცრები, როგორ ტრიალებდა ნიაღვარი და როგორ მიედინებოდა წყალი დაბლობისკენ, სადაც საბარგო ვაგონები იდგა. მიწაყრილი უკვალოდ გაქრა. დაბლობზე დინება ჩერდებოდა და ქაფმოგდებული წყალი მშვიდად იდგა. მამა გადაიხარა, ფიცარნაგზე პატარა ტოტი დაამაგრა. წყალი ტოტს ნელ-ნელა მიეპარა, გვერდზე გადასწია და დინებას ტივტივით გაატანა. მამამ ერთი ინჩით ზევით ისევ დაამაგრა ტოტი. იჯდა და თვალმოუშორებლად უცქერდა.

— როგორ გგონია, ვაგონში შეაღწევს? — ჰკითხა ელმა.

— ვერ გეტყვი. რა ვიცი, მთებიდან კიდე რამხელა წყალი წამოვა, შეიძლება ისევ წვიმა დაიწყოს.

— რო შემოვიდეს, ყველაფერი დასველდება.

— ჰო.

— ვაგონის ძირიდან სამ-ოთხ ფუტზე მეტს ვერ აიწევს, გზატკეცილზე გადავა და სიგანეში გაიშლება.

— შენ საიდან იცი? — ჰკითხა მამამ.

— იმ ბოლოდან ვაკვირდებოდი, — ხელი გაშალა, — ამაზე მეტს ვერ აიწევს.

— აიწევს და აიწიოს, აქ აღარ დავრჩებით.

— უნდა დავრჩეთ, სატვირთო აქ არი, რო გადაიღებს, ერთ კვირაში გაშრება.

— რა აზრი მოგივიდა?

— მოდი, სატვირთოს ფიცრები მოვხსნათ, შიგნით რაღაცა ხარაჩოსავით ავაგოთ, ზედ ფიცრები გავდოთ და ყველაფერი იქ ავაწყოთ. ჩვენც იქ დავსხდებით.

— კარგი, მაგრამ საჭმელს როგორ მოვამზადებთ? როგორ შევჭამთ?

— ნივთებს მაინც გადავარჩენთ.

დილას რკინისფერი სხივი შეემატა. მეორე ტოტი ტივტივით გასცდა ფიცარნაგს. მამამ უფრო ზევით კიდევ ერთი ტოტი დაამაგრა.

— ჰო, იწევს. მალე უნდა გავაკეთოთ.

დედა ძილში აწრიალდა. უცებ თვალები დაჭყიტა და გამყინავად ისე დაიკივლა, თითქოს შვილს აფრთხილებდა:

— ტომ! ოჰ, ტომ! ტომ!

მისის უეინრაიტმა დაუყვავა. დედამ თვალები დახუჭა და სიზმარში ცმუკვა განაგრძო. მისის უეინრაიტი წამოდგა და კართან მივიდა.

— კაცებო, — ხმადაბლა დაუძახა მან, — აქედან ალბათ მალე ვერ დავაღწევთ თავს, — ხელი იმ კუთხისკენ გაიშვირა, სადაც ვაშლის ყუთი იდგა, — იქნებ წაიღოთ და დამარხოთ, დარდი და ცრემლი ისედაც არ გვაკლია.

კაცები გაჩუმდნენ. ბოლოს მამამ თქვა:

— მართალია, მარტო მწუხარება გვემატება, მაგრამ დამარხვა რო უკანონობაა?

— უკანონობა ბევრი რამეა, მაგრამ მეტი გზა რო არ არი, ვაკეთებთ.

— სანამ უფრო მოუმატია, სატვირთოს ფიცრები უნდა მოვხსნათ, — თქვა ელმა.

მამა ძია ჯონს მიუბრუნდა.

— ჯონ, შეგიძლია, რო წაიღო და დამარხო? მე და ელმა ფიცრები უნდა შემოვზიდოთ.

— მე რატო? თქვენ რატო არ მარხავთ? რა გინდათ ჩემგან? — და შემდეგ, — კარგი, ეგრე იყოს, მომეცით, — ხმას აუწია, — მომეცით! მომეცით!

— ხალხს ნუ გააღვიძებთ, — უთხრა მისის უეინრაიტმა. ვაშლის ყუთი გაიტანა, ზედ გადაფარებული ტომარა გაასწორა და ჯონს მიაწოდა.

— ნიჩაბი შენ უკან არ მიყუდებული, — უთხრა მამამ. ძია ჯონმა მისის უეინრაიტს ყუთი გამოართვა, იღლიის ქვეშ ამოიდო, მეორე ხელით ნიჩაბი აიღო, კარში გავიდა და წყალში ნელა შეაბიჯა. ფეხი ფსკერზე დადგა თუ არა, წყალი წელამდე მისწვდა.

— ელ, წამო, ფიცრები მოვაძროთ.

რუხი განთიადის ბინდბუნდში ძია ჯონმა უკან ჩამოიტოვა ვაგონი, შემდეგ ჯოუდების სატვირთო და გზატკეცილთან სლიკინა მიწაყრილზე ავიდა, გზას ქვევით დაუყვა, საბარგო ვაგონებს ჩაუარა და ტირიფნარამდე მივიდა, სადაც ადიდებული მდინარე გზისკენ უხვევდა, ნიჩაბი დააგდო, ყუთი მოიმარჯვა, ბუჩქნარში შევიდა და აზვირთებული მდინარის ნაპირს მიადგა. ერთხანს იდგა და უცქერდა გაგიჟებული წყალი ტრიალით მიედინებოდა და გზადაგზა ტირიფების ფესვებზე ყვითელი ქაფის ფთილებს ტოვებდა. ჯონს ვაშლის ყუთი მკერდთან ახლოს ეჭირა. შემდეგ დაიხარა. ყუთი წყალში ჩაუშვა. ცოტა ხნით ხელით შეაკავა და განრისხებულმა დაიყვირა:

— გაცურდი, ქვევით დაეშვი და მოუყევი! ქუჩებში გაცურე, დალპი და ისე გააგებინე, შენ სხვანაირად ლაპარაკი არ შეგიძლია. არც ვიცი ვინა ხარ, ბიჭი თუ გოგო, არც მინდა, რო ვიცოდე. მიდი, გაცურდი და სადმე ქუჩაზე გაჩერდი, იქნებ მაშინ მაინც მიხვდნენ! — ხელით დინებისკენ მიუშვა. ყუთი წყალში ჩაეშვა, ნაპირებს მიაწყდა, მორევმა ჩაითრია, დაატრიალა და ნელა გადმოაბრუნა. ტომარა წყლის ზედაპირზე გაიშალა. სწრაფ დინებას ყუთი ტივტივით გაჰყვა და მალე ბუჩქნარის უკან თვალს მიეფარა. ძია ჯონმა ნიჩაბს ხელი დასტაცა და სწრაფად გაემართა ვაგონებისკენ. წელამდე წყალში ფეხების თხლაშუნით სატვირთოსთან მივიდა. ელი და მამა ძარადან ფიცრებს ხსნიდნენ.

— გააკეთე? — ჰკითხა მამამ.

— ჰო.

— მისმინე, ელს თუ დაეხმარები, მე ჩავალ და მაღაზიიდან რამე საჭმელს მოვიტან.

— მკერდის ნაჭერი იყიდე. ხორცის ჭამა მინდა.

— კარგი, — უთხრა მამამ და სატვირთოდან ჩამოხტა. მისი ადგილი ძია ჯონმა დაიკავა.

— რას აკეთებ?

— ხარაჩოები უნდა გავაკეთოთ და ზედ ფიცრები გავდოთ, რო ნივთები არ დაგვისველდეს.

— რატო? — ჰკითხა დედამ, — შიგნით სიმშრალეა.

— აღარ იქნება, წყალი იმატებს.

დედა ფეხზე ძლივს წამოდგა და კართან მივიდა.

— აქედან უნდა წავიდეთ. — თქვა მან.

— ვერ წავალთ, სატვირთო და რაც გვაბადია, ყველაფერი აქ არი.

— მამა სად არი?

— მაღაზიაში წავიდა.

დედამ წყალს დახედა. ექვსი ინჩიც და ვაგონში შეაღწევდა. შარონის ლეიბთან დაბრუნდა და გოგონას დახედა. შარონმა მზერა შეაგება.

— როგორ ხარ? — ჰკითხა დედამ.

— დაღლილი ვარ, ძალიან დაღლილი.

— უნდა გაჭამო.

— არ მშია.

მისის უეინრაიტი დედას გვერდში ამოუდგა.

— კარგად გამოიყურება.

შარონის ვარდი დედას თვალებით უსვამდა კითხვას. დედა თვალს არიდებდა. მისის უეინრაიტი ღუმელთან მივიდა.

— დე?

— ჰო, რა გინდა?

— როგორ არი?

დედამ თავი ვეღარ შეიკავა და მის ლეიბთან მუხლებზე დაეშვა.

— კიდე გეყოლება, ღმერთი მოგცემს. რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ.

შარონის ვარდმა გაიბრძოლა და ლეიბიდან წამოიჭრა.

— დე!

— შენი ბრალი არ არი.

გოგონა ლეიბზე გადაწვა და თვალებზე ხელები აიფარა. რუთი ახლოს მიცოცდა და შეშინებული თვალებით დააცქერდა. ბოლოს ჩახლეჩილი ხმით იკითხა:

— დე, ავად არი? მოკვდება?

— არა, რას ამბობ, კარგად იქნება. მალე კარგად იქნება.

პარკებით დატვირთული მამა ვაგონში შევიდა.

— როგორ არი?

— არა უშავს.

რუთმა უინფილდს მოახსენა.

— დედა ამბობს, არ მოკვდებაო.

უინფილდი დიდი კაცივით იჯდა და პატარა წათლილი ჯოხით კბილს იჩიჩქნიდა. რუთს მოუსმინა და შემდეგ თქვა: — ისედაც ვიცოდი.

— საიდან იცოდი?

— შენი საქმე არ არი, — თქვა მან და ჯოხის ნაწილი გადმოაფურთხა.

დედამ ცეცხლს დარჩენილი ტოტები შეუკეთა, ხორცი შეწვა და საწებელი მოამზადა. მამამ მაღაზიაში ნაყიდი პური იქვე დადო. დედამ გაბრაზებული ხმით ჰკითხა:

— ფული დაგვრჩა?

— არა, მაგრამ ძალიან გვშია.

— ხოდა, მაღაზიის პური უნდა ვჭამოთ, არა? — უსაყვედურა დედამ.

— მთელი ღამე ვმუშაობდით, ძალიან მოგვშივდა.

დედამ ამოიოხრა.

— ეხლა როგორ მოვიქცეთ? — იკითხა მან.

სანამ საუზმობდნენ, წყალი ნელ-ნელა ზევით იწევდა. ელმა თავისი წილი ხორცი ერთბაშად გადასანსლა და მამასთან ერთად ხარაჩოს აგებას შეუდგა. იატაკიდან ოთხი ფუტის სიმაღლეზე — სიგანე ხუთი ფუტის, სიგრძე ექვსი ფუტი. წყალი კართან მიიპარა, შეჩერდა, ერთხანს თითქოს ჭოჭმანობდა, შემდეგ ზღურბლი გადალახა და ვაგონისკენ დაიძრა. გარეთ ისევ წვიმდა, მსხვილი წვეთები ისევ ისე იღვრებოდა შხეფებად, ისევ ისე ყრუდ ბრაგუნობდა სახურავზე.

— ჩქარა, ჩქარა! ლეიბები და საბნები ავზიდოთ, რო არ დასველდეს.

მთელი ავლადიდება ფიცრებზე შეაწყვეს. წყალი იატაკზე მიიკლაკნებოდა. დედამ, მამამ, ელმა და ძია ჯონმა შარონის ვარდის ლეიბს კუთხეებში მოჰკიდეს ხელი, გოგონა ლეიბიანად ასწიეს და ბარგის თავზე მოათავსეს. შარონმა შეწინააღმდეგება სცადა:

— მე თითონ... სიარული შემიძლია, კარგად ვარ.

წყალი იატაკს თხელ ფენად გადაეკრა. შარონმა დედას ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. დედამ საბნის ქვეშ ხელი შეყო, მკერდზე შეეხო და თავი დაუქნია.

ვაგონის მეორე მხარეს უეინრაიტები თავის ხარაჩოს აგებდნენ. წვიმამ იმატა, მაგრამ ცოტა ხანში ისევ შეწყდა.

დედამ ფეხებზე დაიხედა. ახლა წყლის სიმაღლე დაახლოებით ნახევარ ინჩს აღწევდა.

— რუთ, უინფილდ! — დაიყვირა შეშფოთებულმა, — ზევით ადით, არ გაცივდეთ!

ბავშვები ხარაჩოზე სწრაფად აძვრნენ და შარონის ვარდის გვერდით შემცბარი სახით დასხდნენ. უეცრად დედამ თქვა:

— უნდა წავიდეთ.

— ვერ წავალთ, — უთხრა მამამ, — მთელი ავლადიდება აქ გვაქ. კარს მოვხსნით და კიდე გავაკეთებთ დასაჯდომს, რო ყველა დავეტიოთ.

ხარაჩოზე გადებულ ფიცრებზე ხმაგაკმენდილები, შეშინებულები ისხდნენ. წყალმა ექვს ინჩამდე აიწია, ნიაღვარმა მიწაყრილს გადაუარა და გზის მეორე მხარეს ბამბის პლანტაციაში შევარდა. ვაგონის კარზე ერთმანეთის გვერდიგვერდ ჩამომსხდარ კაცებს მთელი დღე და ღამე სველი ტანსაცმლით ეძინათ. დედა შარონის გვერდით იწვა. დროდადრო ეჩურჩულებოდა, ზოგჯერ კი, წამოჯდებოდა და ჩაფიქრებული

წყალს უცქერდა. დედას საუზმის შემდეგ მორჩენილი პურის ნატეხი საბნის ქვეშ ამოედო.

ახლა წყვეტილად წვიმდა — წამოუშენდა და მერე წყნარდებოდა. მეორე დილას მამამ პირდაპირ წყალში გააბოტა და უკან ჯიბეებში ჩაწყობილი ათი კარტოფილით დაბრუნდა. მერე ნაჯახით ვაგონის შიდა კედლიდან რამდენიმე ფიცარი ჩამოხსნა, ცეცხლი დაანთო, ქვაბში წყალი ჩაასხა, კარტოფილი ჩაყარა და ცეცხლზე შემოდგა. დედა შუბლშეკრული უცქერდა. ცხელი მოხარშული კარტოფილი ხელით შეჭამეს. და როცა უკანასკნელი ლუკმაც დამთავრდა, უხმოდ დააშტერდნენ წყალს. გვიან ღამემდე თვალი არ მოუხუჭავთ.

გათენდა, მშფოთვარე ძილიდან გამოერკვნენ. შარონის ვარდმა დედას წასჩურჩულა.

— ჰო, — თავი დაუქნია დედამ, — დრო მოვიდა, — და ვაგონის კარზე ჩამომსხდარი კაცებისკენ შებრუნდა.

— ჩვენ მივდივართ, — მკაცრად თქვა მან, — უფრო მაღალ ადგილს მოვძებნით. თქვენ წამოხვალთ თუ არა, შარონი და ბავშვები მიმყავს და მივდივარ.

— აქედან ვერ წავალთ, — სუსტი ხმით შეეწინააღმდეგა მამა.

— მაშინ შარონი გზაზე გაიყვანე და დაბრუნდი. ეხლა არ წვიმს, უნდა წავიდეთ.

— კარგი, წამოვალთ, — თქვა მამამ.

— მე ვერ წამოვალ, დე. — თქვა ელმა.

— რატო?

— ეგი... მე და ეგი...

დედამ გაიღიმა.

— მესმის, — თქვა მან, — შენ აქ დარჩი, აქაურობას მიხედე. წყალი რო დაიწევს, დავბრუნდებით. მა, იჩქარე, — უთხრა მამას. — წამოდი, შარონ, სადმე მშრალ ადგილას წაგიყვანთ.

— ჩემი ფეხით წამოვალ, — თქვა შარონმა.

— გზაზე რო გავალთ, მაშინ შენი ფეხით გაივლი. მა, გიცდით.

მამა წყალში ჩასრიალდა. დედა შარონს ჩამოსვლაში დაეხმარა და კარამდე მიიყვანა. მამამ გოგონა ხელში აიყვანა, რაც შეეძლო ზევით ასწია, ღრმა წყალში ძალიან ნელა, ძალიან ფრთხილად გადადგა ნაბიჯები, ვაგონს ჩაუარა და გზატკეცილზე გავიდა. მერე შარონი ფეხზე დააყენა და მხარში ამოუდგა. ძია ჯონს რუთი მიჰყავდა. დედას წყალში ფეხი აუსრიალდა და წუთით მისი ქვედაბოლო ბუშტივით გაიბერა.

— უინფილდ, მოდი, კისერზე შეგისვამ. ელ, წყალი რო დაიწევს, დავბრუნდებით და ელ, — წამით შეჩერდა, — ტომი... ტომი თუ გამოჩნდა, უთხარი, რო დავბრუნდებით, უთხარი, რო ფრთხილად იყოს. უინფილდ! მოდი, კისერზე შემაჯექი, აი, ესე, ფეხები არ ათამაშო.

მკერდამდე წყალში ბორძიკით იარა. მიწაყრილთან კაცები დაეხმარნენ და უინფილდი ჩამოსვეს.

იდგნენ და გზატკეცილიდან წყლის საბურველის ქვეშ მოქცეულ მიდამოს, ატორტმანებულ წყალში ღრმად ჩაფლულ წითელ ვაგონებს, მსუბუქ და სატვირთო მანქანებს უცქერდნენ. ისევ გაწვიმდა. ამჯერად ცრიდა,

— უნდა წავიდეთ, — თქვა დედამ, — შარონ, შენით სიარული შეგიძლია?

— ცოტა თავბრუ მეხვევა. ისე ვგრძობ თავს, თითქოს მაგრა მცემეს.

— კარგი, წავიდეთ, მაგრამ საით? — დაიწუწუნა მამამ.

— არ ვიცი. მოდი, შარონს დაეხმარე, — დედამ მარჯვენა მკლავზე მოჰკიდა ხელი, მამამ მარცხენაზე, — იქ მივდივართ, სადაც სიმშრალეა, მეტი გზა არ არი. ორი დღეა სველი ტანსაცმლით დადიხართ.

გზას მიჰყვებოდნენ. მათ გასწვრივ მდინარე ჩქეფით მიედინებოდა. რუთი და უინფილდი ერთად ფეხების თხლაშუნით მიდიოდნენ. დრო გადიოდა. ჩამობნელდა, წვიმა გაძლიერდა, გზატკეცილზე მოძრაობა შეწყდა.

— უნდა ვიჩქაროთ, შარონი რო დასველდეს, არც კი ვიცი, რა დაემართება.

— ვიჩქაროთ, მაგრამ საით, ხო არ გვეტყვი? — კითხვაში გესლი გაურია მამამ.

გზა მდინარის ტოტთან ერთად უხვევდა. დედამ დატბორილ მინდვრებს გადახედა. მარცხნივ, გზიდან მოშორებით, პატარა გორაკზე, წვიმისგან გაშავებული ფარდული იდგა.

— შეხედეთ! — წამოიყვირა დედამ, — შეხედეთ იმ ფარდულში სიმშრალე იქნება, იქ დავიცადოთ, სანამ წვიმა გადაიღებს.

— თუ პატრონმა არ გამოგვყარა, — ამოიხვნეშა მამამ.

რუთმა გზის პირას წითელი ლაქა შენიშნა. სასწრაფოდ მიირბინა, რომ გაერკვია რა იყო. ველური ნემსიწვერა აღმოჩნდა, წვიმით შელახული ერთადერთი ყვავილით. რუთმა ყვავილი მოწყვიტა, ერთი ფურცელი ფრთხილად მოაცალა და ცხვირზე მიიკრა. უინფილდი მიუახლოვდა.

— მეც მომეცი, რა?

— არა, სერ, ჩემია. მე ვიპოვე. — მეორე კაშკაშა წითელი ფურცელი, რომელიც გულს ჰგავდა, შუბლზე მიიკრა.

— კარგი რა, რუთ, მომეცییი... — უინფილდმა წართმევა სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. რუთს ბევრი არ უფიქრია და გაშლილი ხელი პირდაპირ სახეში თხლიშა. უინფილდი მო-

ულოდნელობისგან გაშეშდა, მერე ტუჩები აუცახცახდა და თვალები ცრემლით აევსო.

ამ დროს სხვებიც წამოეწივნენ.

— რა ქენი? — ჰკითხა დედამ, — რა გააკეთე?

— ჩემი ყვავილის წართმევა უნდოდა.

— ერთი ფურცელი მინდოდა, — ქვითინით თქვა უინფილდმა, — ცხვირზე რო მიმეკრა.

— მიეცი, რუთ.

— ჩემია, ადგეს და თითონ იპოვოს.

— ეხლავე მიეცი, — დედას ხმაში მუქარა გაისმა და რუთმა უკან დაიხია, — კაი, მოდი, — გათამაშებული კეთილგანწყობით უთხრა ძმას, — მოდი, დაგაკრავ. უფროსები დაწინაურდნენ. უინფილდმა რუთს ცხვირი მიუშვირა, რუთმა ფურცელი ენით დაასველა და ცხვირზე უხეშად დაატყეპა. — შე პატარა ნაბიჭვარო, — თქვა ხმადაბლა. უინფილდმა ფურცელი ხელით მოისინჯა და ცხვირზე კარგად მიიკრა. უფროსებს სწრაფი ნაბიჯებით აედევნენ. რუთმა უგუნებოდ შესთავაზა, — აჰა, კიდე აიღე და შუბლზეც აიკარი.

გზის მარჯვენა მხარეს თქეში წამოვიდა.

— დიდი წვიმა იქნება — დაიყვირა დედამ, — ამ ღობეში გავძვრეთ, მოკლეზე გადავიდეთ. ჩქარა იარეთ ცოტა კიდე მოითმინე, შარონ! — როგორც იქნა, გოგონა თხრილზე გადაიყვანეს. ღობეში გაძვრნენ და თავსხმა წვიმამ დასცხო კიდევაც. ატალახებული მინდორი გადალახეს და პატარა აღმართს შეუდგნენ. წვიმის ფარდის მიღმა ფარდული თითქმის არ ჩანდა. თქრიალით წამოსულ წვიმის ნაკადებს ქარი წინ ერეკებოდა. შარონს ფეხი დაუსრიალდა, მამას და დედას მკლავებით ჩამოეკიდა.

— მა, ხელში ვერ აიყვან?

მამა დაიხარა და შვილი ხელში აიტაცა.

— მაინც დავსველდით, — თქვა მან, — უინფილდ, რუთ, ჩქარა! წინ გაიქეცით!

როგორც იქნა, ფარდულს მიადგნენ და დაქანცულებმა გადახურულ უკარო სივრცეში ბორძიკით შეაბიჯეს. აქა-იქ ჟანგიანი სასოფლო-სამეურნეო იარაღი ეყარა: დისკებიანი გუთანი, დამტვრეული კულტივატორი, რკინის ბორბალი. სახურავზე წვიმა ხმაურობდა და შესასვლელს ფარდასავით ჩამოჰფარებოდა, მამამ შარონი ზეთით დათხვრილ ყუთზე ფრთხილად დასვა.

— ღმერთო ძლიერო! — აღმოხდა მას.

— შეხედეთ, კარი ყოფილა, იქნებ შიგნით თივაა, — კარმა ჟანგიან ანჯამებზე გაიჭრიალა. — აი, თივა! — დაიყვირა დედამ, — შემოდით!

შიგნით ბნელოდა. სინათლე მხოლოდ ფიცრებშორის დარჩენილი ღრიჭოებიდან იჭრებოდა.

— შარონ, დაწექი, დაისვენე, აუცილებლად უნდა გაშრე, იქნებ რამე მოვიფიქრო.

— დე! — წვიმის ხმაური უინფილდის ხმას ახშობდა, — დე!

— რა არი? რა გინდა?

— შეხედე იქ კუთხეში...

დედა შებრუნდა. სიბნელეში ორი ადამიანის ფიგურა გამოიკვეთა. კუთხეში კაცი იწვა, გვერდით პატარა ბიჭი მისჯდომოდა და ახალმოსულებს გაფართოებული თვალებით უცქერდა. ბიჭი წამოდგა, დედას მიუახლოვდა,

— ეს ფარდული თქვენია? — ჩახლეჩილი ხმით ჰკითხა დედას.

— არა, — უპასუხა დედამ, — თავი შემოვაფარეთ. ავადმყოფი გოგო გვყავს. მშრალი გადასაფარებელი ხო არ გექნებათ? ცოტა ხნით გვათხოვეთ, რო სველი ტანსაცმელი გავხადოთ.

ბიჭი კუთხეში დაბრუნდა. ჭუჭყიანი გადასაფარებელი აიღო და დედას მიაწოდა.

— მადლობა, იმ კაცს რა მოუვიდა?

— თავიდან ავად იყო... მაგრამ ეხლა შიმშილით კვდება, — ჩახლეჩილი ხმით თქვა ბიჭმა.

— რა?

— შიმშილით კვდება. ბამბას ვკრეფდით და ავად გახდა... ექვსი დღეა, არ უჭამია.

დედა კუთხესთან მივიდა და კაცს დახედა. დაახლოებით ორმოცდაათი წლის იქნებოდა. ჯაგარა წვერით დაფარული გაძვალტყავებული სახე ჰქონდა, გაშტერებული თვალებით უაზროდ იცქირებოდა. ბიჭი დედას გვერდით ამოუდგა.

— შენი მამაა? — ჰკითხა დედამ.

— დიახ. ხან ამბობდა, არ მშიაო და ხან არ მინდა, ეხლა ვჭამეო. თავის წილს მე მაძლევდა. ეხლა ისეა დასუსტებული, რო ვეღარ მოძრაობს.

წვიმამ იკლო, სახურავზე გამალებული ბრაგუნი დაცხრა. დაძაბუნებულმა კაცმა ტუჩები აამოძრავა. დედა მისკენ დაიხარა და ყური მიაპყრო. კაცმა ისევ რაღაც თქვა.

— რასაკვირველია, — თქვა დედამ, — დამშვიდდით, კარგად იქნება. ერთი წუთით დამაცადეთ, ჩემ გოგოს სველ ტანსაცმელს გავხდი.

დედა შარონთან დაბრუნდა.

— გაიხადე, — უთხრა მან. გოგონა თვალს რომ მოფარებოდა, დედამ გადასაფარებელი გაშალა და შარონმა ტანსაცმელი რომ გაიძრო, გადასაფარებელი ბეჭებზე მოახურა.

ბიჭი დედას ისევ გვერდით ამოუდგა და ახსნა განაგრძო:

— მე არ ვიცოდი. რო ვეკითხებოდი, მეუბნებოდა, უკვე ვჭამე, არ მშიაო. წუხელ წავედი, ფანჯარა გავტეხე და მაღაზიიდან პური მოვიპარე. მივეცი, რო დაეღეჭა, მაგრამ გადმოაფურთხა. მერე კიდე უფრო დასუსტდა. წვნიანი ან რძე სჭირდება. თქვენ ფული ხო არა გაქვთ, რო ცოტა რძე ვუყიდო?

— კარგი, გაჩუმდი, რაღაცას მოვიფიქრებთ.

უეცრად ბიჭმა დაიყვირა.

— კვდება შიმშილით კვდება, გეუბნებით, რო კვდება!

— გაჩუმდი, — თქვა დედამ. ძია ჯონსა და მამას გადახედა. კაცები ავადმყოფს უმწეოდ დასცქეროდნენ. შემდეგ გადასაფარებელში ჩაფუთნულ შარონს შეხედა, წამით შვილს მზერა გაუსწორა. მერე კი ისევ შეხედა და ორმა ქალმა ერთმანეთს ღრმად ჩახედა თვალებში. შარონს სუნთქვა აუჩქარდა და ძლივს გასაგონად თქვა:

— ჰო.

— ვიცოდი, შარონ, ვიცოდი, — გაიღიმა დედამ და ერთმანეთზე გადაჭდობილ ხელებზე დაიხედა.

— თქვენ... თქვენ ყველა გადით, კარგი? — ჩურჩულით თქვა შარონმა.

სახურავზე წვიმა მსუბუქად შხაპუნობდა.

დედა წინ გადაიხარა. შარონს ჩამოყრილი თმა ხელით უკან გადაუვარცხნა და შუბლზე აკოცა. მერე სწრაფად წამოდგა.

— წამოდით, ყველა კარს იქით გადით.

რუთმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ დედამ დაასწრო.

— გაჩუმდი და წამოდი. — კარი გააღო, ბიჭს დაუძახა, ყველა ერთად კარს იქით გაუშვა და ჭრიალა კარი მიხურა.

წვიმა ჩქრიალებდა. შარონი ერთხანს გაშეშებული იჯდა. მერე დაღლილი სხეული ძლივს ასწია, წამოდგა და გადასაფარებელი მჭიდროდ შემოიხვია. კუთხემდე ნელი ნაბიჯით მივიდა, შეჩერდა, კაცის წაშლილ სახესა და შეშინებულ თვალებს დააცქერდა. შემდეგ დაიხარა, გვერდით მიუწვა. კაცმა თავი გააქნია. შარონის ვარდმა ცალ მხარეს გადასაფარებელი ჩამოიხსნა, მკერდი მოიშიშვლა და თქვა: — ესეა საჭირო, — უფრო ახლოს მიჩოჩდა, კაცის თავი მკერდზე მიიბჯინა, — აი, ესე, — თქვა მან, — აი, ესე. — თავქვეშ ხელი ამოსდო, თმაზე ნაზად გადაუსვა თითები, ფარდულს გადახედა, მერე თვალები ზევით აღაპყრო და ტუჩებზე ოდნავ შესამჩნევი იდუმალი ღიმილი გადაეფინა.